ამონაბეჭდები

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: **აკაკი ციცქიშვილმა**

შიო გვეტაძე

მონანიება

თავი I

შეუსვენებლივ თოვს...
ქათქათა ზეწარში გახვეულ ქალაქს შუაღამის სიწყნარე დაუფლებია.
ასეთი ზამთარი დიდი ხანია არ სწვევია ქუთაისს.
დეკემბრის ცივი, წვიმიანი ამინდების შემდეგ ახალი წელი თბილი მზის სხივებით შემოვიდა ქალაქში და თოვლის მომლოდინე პატარებს გუნება გაუფუჭა. მთელი ათი დღე ისეთი ამინდები დაიჭირა, ხეებს კვირტები დაებურცათ და სწორედ მაშინ, როდესაც ყველასდაავიწყდა ზამთარი , დილით გაღვიძებულმა ქუთათურებმა თეთრად გადაპენტილი იხილეს საყვარელი ქალაქი. თითქოს დაკარგულს ინაზღაურებსო, სამი დღე გადაუღებლივ თოვდა. ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა; ხვავრიელმა თოვლმა გაუვალი გახადა ქუჩები. მხოლოდ აქა–იქ, ისიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში,თუ ჩაივლიდა თითო–ოროლა მანქანა საბურავებზე დამაგრებული ჯაჭვების ღრჭიალით.
უჩვეულო ზამთარმა ქუთათურებს ახალი საზრუნავი გაუჩინა–ხის ნიჩბებით შეიარაღებულნი გულმოდგინედ თოვლავდნენ სახურავებს; ცენტრალურ ქუჩებს ბულდოზერები შეესიენ. დაბინდებამდე არ ცხრებოდა ადამიანთა ჟრიამული
 და მოტორების გუგუნი.ახვეტილი თოვლი ბორცვებად აღიმართა ქალაქის მოედანზე.შემდეგ ამბორცვებსაც ახალი საბურველი გადაეფარა და ფართო მოედანი აისბერგებით დაფარულ ყინულოვან ოკეანის მინიატურას დაამსგავსა. თოვლის მთებმა ისევ ჩახერგეს ჩიხები და შესახვევები,ადამიანებს მხოლოდ ვიწრო საცალფეხო გასასვლელებითღა შეეძლოთ სარგებლობა.

ღამის 2 საათია...
თოვს...
სიჩუმეა ქუჩებში...
თეთრნაბადწამოსხმული მარად მწვანე ნაძვები გოლიათებივით დგანან და გარინდულან.
ქალაქის პარკის გვერდით ცალკე სახლია. იქ შუქი ციმციმებს–არ სძინავთ მილიციის საქალაქო სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ ბალანჩივაძის ბინაში.

პოლკოვნიკის მეუღლე ნინო და რძალი ციალა მაგიდას ალაგებენ. სავარძელში მოხერხებულად მჯდარი პოლკოვნიკი ნება–ნება აბოლებს თამბაქოს და მოფუსფუსე ქალებს ესაუბრება. 12 იანვარი ტრადიციული დღეა ბალანჩივაძის ოჯახში. ერთადერთ შვილიშვილს, ცელქსა და მოუსვენარ თამაზს დღეს 10 წელი შეუსრულდა, პაპამ მეათედ აღნიშნა ღირსშესანიშნავი თარიღი. როგორც ყოველთვის, დღესაც ყველაფერი პაპის განაწესით წარიმართა. საზეიმოდ მორთული პატარა იუბილარი კრავივით დასდევდა საყვარელ პაპას,თვალებგაბრწყინებული ეგებებოდა სტუმრებს და თავაზიანად უხდიდა მადლობას დაბადების დღის მომლოცველებს. ეს დღე დაუვიწყარი იყო მომავალში თამაზისათვის. ორი წლის წინათ პაპამ ნება დართო ღამის 12 საათამდე დარჩენილიყოუფროსებთან. კმაყოფილი ბავშვი სიხარულით სარგებლობდა ამ უფლებით. არავის, მათ შორის მკაცრ ბებო ნინოსაც კი, არ შეეძლო დაერღვია დადგენილი წესი და უფრო ადრე გაესტუმრებინა შვილიშვილი საწოლ ოთახში.
დღესაც სტუმრებმა მხიარულად ივახშმეს,ჩინებულად გაატარეს დრო და ნახევარი საათის წინ წავიდ–წამოვიდნენ.
...სავარძელში ნახევრად მიწოლილი პოლკოვნიკი ტკბილ ფიქრს მისცემოდა... ბედნიერი ოჯახი აქვს ბალანჩივაძეს: შვილი, ილია, ერთ–ერთი ქარხნის მთავარი ინჟინერია; რძალი ციალა ბარათელი, მთელ ქალაქში ცნობილი ქირურგი, უკვე სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს; ნინო საოჯახო საქმეებს და თამაზის აღზრდას უნდება. თუ პაპა არავის ანებებდა თამაზის დღეობის გადახდას, ბებიამ განუყოფლად მიითვისა შვილიშვილის აღზრდის უფლება და აგერ უკვე ათი წელია თამაზი მისი პირადი მეთვალყურეობით იზრდება.
ახალგაზრდა ცოლ–ქმარი პირველად ვერ შეეგუა ამ მდგომარეობას, შემდეგ კი სიამოვნებით შეურიგდნენ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ბებიის მიერ მოპოვებულ უფლებას.
წლევანდელი 12 იანვარი მაინც განსაკუთრებით სასიხარულო იყო ბალანჩივძეების ოჯახისათვის: პოლკოვნიკი რამდენიმე დღის წინ თბილისში გამოიძახეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულს სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდო გადასცა. თავისი დაჯილდოვების აღნიშვნა პოლკოვნიკმა თამაზის დაბადების დღეს დაუკავშირა და ორი სიხარული ერთად იზეიმა.
...პოლკოვნიკი სავარძელში შესწორდა, შემდეგ საწოლ ოთახისაკენ გააპარა თვალი: ოჯახის ნებიერა მშვიდად ფშვინავდა. მძინარს ცალი ხელი თავქვეშ ამოედო და ტუჩებაბურცულს ოდნავ გადახდოდა მკერდზე საბანი. ბალანჩივაძე სხარტად წამოდგა, ოთახში შევიდა, ბავშვს საბანი შეუკეცა, ნაზად აკოცა შუბლზე და ისევ სასადილო ოთახში დაბრუნდა.
ქალებმა მაგიდის ალაგება დაამთავრეს.

– დაწექით, მამა, მოისვენეთ, უკვე გვიანაა,–წყნარად სთხოვა ციალამ მამამთილს.
– არა უშავს, შვილო, დავიცდი, საცაა ილიაც მოვა.
–ილიას დააგვიანდება, მამა, ტრანსპორტი ვერ მოძრაობს. ეთერი და ქეთევანი კი გორაზე ცხოვრობენ.
– მაინც რა უჩვეულო თოვლი მოვიდა. აგერ ქალი დავბერდი და ასეთი ბავშვობაში, მახსოვს,– ჩაერია ნინო.
– დიდი თოვლი მოვიდა,მაგრამ ეს არაფერია,გაუძლებთ,მოსავალი კი უხვი იქნება.
– დღეს თითქმის ყველა სახლი გადათოვლეს. ქუჩებში მხოლოდ ნიჩბებით შეიარაღებული ხალხი დადიოდა, – სიცილით თქვა ციალამ.
– მოედანთან გაიარე? ვეღარ იცნობ, ისეა შეცვლილი.
– გავიარე,დედა, ლამაზი სანახაობაა.
ქალები ტახტზე ჩამოსხდნენ.
– რა უცნაური კაცია გიორგის მოადგილე, – შეცვალა საუბრის თემა ნინომ.
– ბრეგვაძე?, სულ არ ჰგავს სხვებს, რაღაც ჩუმი და გულჩახვეული სჩანს.
– არა, ნინო, ბრეგვაძე ძალზეგულისხმიერი კაცია, თუმცა ერთი შეხედვით ასეთი არ გეგონება.
– მე მინდელის მსგავსი ხალხი უფრო მომწონს.
– მამამთილს გაეღიმა.
– მესმოდა თქვენი დავა,რომელი პროფესია სჯობიაო,მაგრამ არ ვიცი,ვის აზრს იზიარებდა ლევანი.
– არავისას! ის გვიან ჩაერია კამათში. მოკამათეებს, როგორც იტყვიან,ცივი წყალი გადაასხა. დაუმტკიცა,რომ არც ერთი პროფესია არ არის რაღაც განსაკუთრებული - უპირატესობით გამოსარჩევი.
– ლევანი ყოველთვის ობიექტურად მსჯელობს.
– ყოველთვის?! არა მგონია,დღეს ის ამტკიცებდა, პაპას და ბებიას არ ეკუთვნით უპირატესობა შვილიშვილის სახელის არჩევაშიო, – ცხარედ წარმოთქვა ნინომ
– შეუმჩნევლად ჩაუკრა თვალი.

ნინო ცოტა უკმაყოფილო იყო,რომ ერთადერთ შვილიშვილს ციალას თხოვნით თამაზი დაარქვეს და არა პაპის სახელი–დავითი. მთელი ათი წელია ნინო ამას მწვავედ განიცდიდა და ხშირად მსჯელობის საგნად აქცევდა. და ვაი მას, ვინც შეეკამათებოდა–ყველას „არაობიექტურთა კატეგორიას„ მიაკუთნებდა.
ასე მოხდა ამ საღამოსაც.
თამადამ, ახლახან დანიშნულმა დირექტორმა იმ ქარხნისა, სადაც ილია ბალანჩივაძე მთავარ ინჟინრად მუშაობდა, გაიკვირვა, პირველი შვილიშვილი პაპის სახელს რომ არ ატარებდა. მისმა გაკვირვებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. პროკურატურის უფროსი გამომძიებელი–ლევან მინდელი თამადის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს მიემხრო და მაშინვე ნინომ იგი „არაობიექტურთა კატეგორიაში„ ჩარიცხა.
– რა გეცინება? სწორს არ ვამბობ თუ?

– კარგი, ნინო , გენაცვალე, ნუღარ ვდაობთ ამ საკითხზე,– სთხოვა პოლკოვნიკმა საკმაოდ შემართულ მეუღლეს.

სახლში ილია შემოვიდა,შუშაბანდში ციალა მიეგება, დათოვლილი პალტო ჩამოართვა და სააბაზანო ოთახში გაიტანა ჩამოსაფერთხად.

– ისევ მაგრად თოვს, ილია? – შეეკითხა პოლკოვნიკი.
– მერედა როგორ! თითქოს პირთამდე უნდა აავსოს ქვეყანა, გარდა მთავარი ქუჩებისა , მხოლოდ ბილიკით შეიძლება გასვლა. – ილია მაგიდასთან ჩამოჯდა.
– თუ ასე ითოვა, ხვალ ტროლეიბუსიც ვერ იმოძრავებს. შეიძლება ქარხანასაც არ მისცენ დენი, – დაუმატა მოგვიანებით.
– მიაცილე ქალები? – შეეკითხა ნინო.
– სახლამდე მივაცილე, სწორედ... – ტელეფონის ზარმა სიტყვა გააწყვეტინა. პოლკოვნიკმა საათს დახედა– სამს 15 წუთი აკლდა.
– ვინ უნდა რეკავდეს? – იკითხა უნებურად და ყურმილი აიღო.
– პოლკოვნიკი ბალანჩივაძე გისმენთ... რაო? ნახევარი საათის წინ?... სევასტოპოლის ქუჩაზე? კარგი... კი უსათუოდ... არა, არ მეძინა, გელოდები... ბალანჩივაძემ წყნარად დასდო ყურმილი.პერანგის საყელო სწრაფად შეიკრა. ოთახში მყოფნი მოლოდინით მიაჩერდნენ უეცრად გუნებაშეცვლილ პოლკოვნიკს.
– რა მოხდა,დავით,ვინ დარეკა? – შეეკითხა შემკრთალი მეუღლე.
– ოჯახი გაუძარცავთ, ბინის პატრონი მძიმედ დაუჭრიათ,– წარმოთქვა დაღვრემილმა პოლკოვნიკმა.
– ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! – დაიკვნესა ნინომ.
– ალბათ უნდა წახვიდე, მამა, არა? – შეეკითხა ციალა და ზეზე წამოიწია.
- ჰო, უნდა წავიდე,ლევანი გამომივლის მანქანით.
ბალანჩივაძე წასასვლელად მოემზადა.
– გეთაყვა, ციალა,პალტო მომაწოდე.
– ახლავე, მამა!
– თქვენ ნუ დამელოდებით,მე ალბათ დამაგვიანდება.
პოლკოვნიკმა პალტო ჩაიცვა და ფანჯარაში გაიხედა. ქუჩაში მანქანა შეჩერდა.
– მინდელია, წავედი, – წარმოთქვა დავითმა და აჩქარებით დაეშვა კიბეზე.

§ § §

სევასტოპოლის ქუჩის №... სახლში ხალხს მოეყარა თავი. ერთი ყაყანი და ჩოჩქოლი იდგა.
ოპერატიული მუშაკების მისვლისთანავე ხალხი გაჩუმდა. ორად გაიპო და ბინაში შესასვლელი გზა გაათავისუფლა.

ტყეშელაიძის ბინა სამთვალიანი იყო. სასადილო, საწოლი და ერთიც პატარა ოთახი, რომელშიაც წიგნების კარადა და საწერი მაგიდა იდგა, ეტყობოდა, სამუშაო კაბინეტი უნდა ყოფილიყო.
საწოლ ოთახის კარებში მილიციელი იდგა. სასადილო ოთახში მწუხარებისაგან თითქმის შეშლილი, ტყეშელაიძის სახედაკაწრული მეუღლე ხმამაღლა კიოდა და ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა მეზობელ ქალებს, რომლებიც თმების დაგლეჯისა და სახის დაკაწვრის საშვალებას არ აძლევდნენ.
საწოლი ოთახი ცარიელი იყო. ოპერატიული ჯგუფისათვის სასწრაფო დახმარებას დაესწრო და მძიმედ დაჟრილი. თითქმის მომაკვდავი ტყეშელაიძე ს ა ავადმყოფოში წაეყვანა.
ბალანჩივაძემ, გარდა ორი ქალისა,ყველანი დაითხოვა ოთახიდან, შემდეგ მტირალ ქალს მიუახლოვდა და რბილად უთხრა:
– ბოდიშს ვიხდი , ქალბატონო, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შეწუხება ძნელია,მაგრამ საჭიროა ახლავე შევუდგეთ ბოროტმოქმედთა ძებნას. ეს კი თქვენი დახმარების გარეშე შეუძლებელია.
ქალმა ყურადღება პრ მიაქცია ბალანჩივაძის სიტყვებს, ჩანდა, ვერც გაიგო ნათქვამი, კვლავ მოთქვამდა და,მიუხედავად იმისა, რომ გაკავებული ჰყავდათ, ცდილობდა თავი კედლისათვის მიეხეთქებინა.
– ქალბატონო, გთხოვთ ცოტა ხნით როგორმედამშვიდდეთ და რამოდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ, – გაუმეორა თხოვნა პოლკოვნიკმა.
– თინა, თინა, როგორ შეიძლება ასე, ქალო, ცოცხალი კაცის ტირილი ვის გაუგონია, გონება მოიკრიბე, დამშვიდდი და უპასუხე,– სიტყვა შეაწია პოლკოვნიკს ქალმა, რომელსაც მტირალის მარჯვენა ეკავა.
სახე დაკაწრულმა ქალმა დასიებული თვალები უაზროდ მიაპყრო უცნობს, ერთი წამით მოთქმაც შეწყვიტა, შემდეგ ტახტზე წაიქცა, თავი ბალიშში ჩარგო და კვლავ აქვითინდა.
ბალანჩივაძე სკამზე ჩამოჯდა და მოთმინებით დაელოდა, როდის შეიძლებოდა ტყეშელაიძის მეუღლე ოდნავ დამშვიდებას, რომ მომხდარი ამბავი გადმოეცა.
ასე გავიდა რამდენიმე წუთი. მერე ქალმა თავი ასწია, ცრემლი მოიწმინდა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, ტანზე მოსხმული ხალათიდან თითქმის შიშველი მკერდი მოუჩანდა. დარცხვენილმა მჭიდროდ შემოიხვია ხალათი, ტახტზე შესწორდა, მაგრამ ტირილის შეკავება მაინც ვერ შესძლო.
– ქალბატონო, ახლა ტირილი კი არა, მოქმედებაა საჭირო, გთხოვთ, დამშვიდდეთ და კითხვებზე მიპასუხოთ: – რა მოხდა, ვინ და როგორ დაგესხათ თავს? – კვლავ შეეკითხა პოლკოვნიკი.
ქალი ცოტა ხანს კიდევ ტიროდა, შემდეგ ოდნავ დამშვიდდა და ცრემლიანი თვალებით საცოდავად შეხედა ბალანჩივაძეს.
– მე და ჩემმა ქმარმა, – დაიწყო მან აკანკალებული ხმით, – დაახლოებით 11 საათზე ვივახშმეთ და დავიძინეთ. არ ვიცი, რამდენ ხანს გვეძინა. უეცრად ყვირილმა გამაღვიძა და დავინახე, ალექსანდრე ვიღაც კაცს ებრძოდა. შიშისაგან პირველად ენა ჩამივარდა,ხმაც ვერ ამოვიღე, შემდეგ კი, როდესაც გონს

მოვედი,კივილი ავტეხე და საწოლიდან წამოვვარდი.მომხვდურის ხელში დანამ გაიელვა, ჩემი ქმარი მაშინვე დაეცა.თავდამსხმელი ღია ფანჯარაში გადახტა და გაუჩინარდა. მე მაშინვე ალექსანდრეს მივვარდი, თან შეუსვენებლივ ვკიოდი ის უგონოდ იწვა და სისხლში ცურავდა. მერე ის იყო კივილის ხმაზე მეზობლებმა კარები შემოტეხეს, რამდენიმე წუთში სასწრაფო დახმარებაც მოვიდა და ალექსანდრეც წაიყვანეს.
ქალმა კვლავ ტირილი დაიწყო.
– თავდამსხმელი ერთი იყო?
– დიახ, ერთი.
– ხომ არავის ამგვანებთ?
–არა არავის.
– ფრიად სამწუხარო ამბავია, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, თქვენს მეუღლეს არა განუჭირდება რა. ახლა კი თქვენი ნებართვით ბინა უნდა დავათვალიეროთ. მოქვითინე ქალმა თავის დაქნევით მისცა დასტური. პოლკოვნიკი წამოდგა.
– ჩვენს მოსვლამდე ალბათ ვინმე შევიდა საწოლ ოთახში?–შეეკითხა მილიციელს.
– დიახ , ამხანაგო პოლკოვნიკო, მეზობლებიდა სასწრაფო დახმარების ხალხი; ტყეშელაიძე ხომ საწოლ ოთახიდან წაიყვანეს.
– დასანანია, მაგრამ შევიდეთ, დავათვალიეროთ, – წარმოთქვა პოლკოვნიკმა და კარი შეაღო. ოთახში მხოლოდ მინდელი შეჰყვა, ექიმი ექსპერტი და ფოტოგრაფი ადგილზე დარჩნენ.
– ოთახში ციოდა. ფართოდ გაღებული სარკმლიდან თოვლის ფანტელები მოფარფატებდნენ; ტანსაცმლის კარადასთან სისხლის შედედებული გუბე იდგა; ერთი კარი ღია იყო; თაროზე უწესრიგოდ არეული თეთრეული ეყარა.მინდელმა და ბალანჩივაძემ ფრთხილად გპადააბიჯეს სისხლის გუბესდა ოთახის დათვალიერებას შეუდგნენ.
აღმოსავლეთ მხარეზე შეტყუპებული წყვილი საწოლი იდგა; მარჯვნივ, პატარა ტუმბზე „ყაზბეგის„ გახსნილი კოლოფი. საფერფლე და ასანთი იდო;საფერფლეში ორი ღერი ბოლომდე მოწეული პაპიროსი და ასანთის სამიოდე თავმომწვარი წკირი ეყარა; კოლოფს რამოდენიმე ღერი პაპიროსი აკლდა; საწოლთან სკამზე მამაკაცის შარვალ, პიჯაკი და ცისფერი პერანგი იყო გადაკიდებული; ტანსაცმელს ზემოდან შავი ფერის გასკვნილი ყელსახვევი იდო; ღია ფანჯარასთან მცირე ოდენობით სისხლის ლაქები ჩანდა; კარადასა და ფანჯარას შორის, იატაკზე, საშუალო სიდიდის საოჯახო დანა ეგდო სისხლით მოსვრილი. მინდელმა ფრთხილად, მხოლოდ წვერსა და ტარზე შეხებით, აიღო დანა და ქაღალდში შეახვია.შემდეგ ტანსაცმელი გასინჯა: პიჯაკის ერთ ჯიბეში ტყეშელაიძის პირადობის მოწმობა, პარტიული ბილეთი, მივლინების ბარათი და ორი ცალი სამგზავრო ბილეთი იპოვნა; მეორეში– პატარა უბის წიგნაკი სხვადასხვა ჩანაწერებითა და ტელეფონების ნომრებით; შარვლის ჯიბეში 10 მანეთამდე წვრილი ფული და ჭრელი ცხვირსახოცი აღმოჩნდა. თუმცა ლოგინი აშლილი იყო, საწოლთან ბრძოლის არავითარი კვალი არ აღმოჩნდა.

მინდელმა სისხლის გუბეს გადააბიჯა და ფანჯარასთან მივდა. პოლკოვნიკი გამადიდებელი შუშით გულმოდგინედ ათვალიერებდა ფანჯრის ერთ კუთხეში ჩაჭედილ პატარა ქუდმოღრეცილ ლრსმანს, რომელზედაც მოწითალო ლაქათი დასვრილი რამდენიმე ძაფი იყო შერჩენილი. დიდხანს სინჯავდა ძაფებს,შემდეგ ფრთხილად ჩამოხსნა და მინდელს გადასცდა.
ლევანმა ღია ფანჯარა მოსინჯა, იგი თავისუფლად იკეტებოდა. ასევე თავისუფლად მოძრაობდა რკინის საკეტი არავითარი ნიშნები გატეხვისა არ ეტყობოდა. კარადის სამი კარიდან ორი დაკეტილი აღმოჩნდა. შუა კარის კლიტეში გასაღები იყო გაჩრილი, რომლის რგოლზე გასაღებების აცმა ეკიდა. მინდელმა გასაღები გადაატრიალა, კარადა სავსე იყო ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელით. ჩანდა, ბოროტმომქმედს ვერ მოესწრო ბოროტი საქმის ბოლომდე მიყვანა.
გამომძიებელმა დიდი გულმოდგინებით დაათვალიერა ღია ფანჯარა, დიდხანს უტრიალა გამადიდებელი შუშით, შემდეგ ეზოში გავიდა, სახლს ღია სარკმლის მხრიდანშემოუარა და კვალს დაუწყო ძებნა.
მიუხედავად ბარაქიანი თოვლისა, გამომძიებელმა ფანჯრის ქვეშ ფეხის მრავალი კვალი შენიშნა. ელექტრომაშუქი მოიმარჯვა და დათვალიერებას შეუდგა. მაგრამ მალე დარწმუნდა, კვალის აღება შეუძლებელი იყო. თოვლს უკვე მოესწრო მისი წაშლა და მხოლოდ ზოგადი, გამოუსადეგარი კონტურებიღა ემჩნეოდა.
გამომძიებელმა სინანულით გაიქნია თავი და ფანჯარას მიუახლოვჟდა. ტყეშელაიძის ბინა ბელეტაჟიან სახლში იყო. ფანჯრიდან მიწამდე ორი მეტრი და 80 სანტიმეტრი იქნებოდა. ელექტრობატარეის შუქზე მინდელი დიდხანს ათვალიერებდა კედელს ფანჯრის ქვემოთ. შემდეგ უბის მოზრდილი წიგნაკი ამოიღო, უკვე ჩაწერილს რამდენიმე შენიშვნა მიუმატა და სახლში შებრუნდა.
ბალანჩივაძემ ექსპერტი და ფოტოგრაფიმიიწვია. ექსპერტმა შედედებული სისხლის კოლტები ფრთხილად ჩაასხა სინჯარებში და იქვე დალუქა. ფოტოგრაფმა ფირზე აღბეჭდა ღია ფანჯარა,აშლილი ლოგინები, სისხლის დიდი და მცირე გუბე და ოთახის საერთო მდგომარეობა.
შემთხვევის ადგილის დათვალიერება დამთავრდა. პოლკოვნიკმა საათს დახედა – 4 საათი და 15 წუთი იყო.
– ლევან, – მიუბრუნდა გამომძიებელს, – შენ აქ დარჩი, დათვალიერების ოქმი გააფორმე და შემთხვევის პირველი მოწმეები დაჰკითხე, მე კი წავალ, იქნებ დაჭრილ ტყეშელაიძის დაკითხვა მოხერხდეს.
– კეთილი, წადით. ექსპერტი და ფოტოგრაფიც აღარ არიან საჭირო, თუ მოვასწარ, მეც მოვალ საავადმყოფოში.
მინდელი მარტო დარჩა. უბის წიგნაკი ამოიღო,დათვალიერების დროს ჩაწერილი შენიშვნები გადაიკითხა,შემდეგ იქვე პატარა მაგიდასთან ჩამოჯდა და ოქმის გაფორმებას შეუდგა.
... თინა ტყეშელაიძის დაკითხვა არ მოხერხდა. ვიდრე მინდელი ოქმს აფორმებდა, ის საავადმყოფოში წასულიყო. მეზობლებმა, რომლებიც სახლში ქალის კივილზე შემოცვენილიყვნენ, საგულისხმო ვერაფერი უთხრეს გამომძიებელს.

თითქმის 6 საათი იყო, როცა მინდელი საქმეს მორჩა და საავდმყოფოში გაემართა. კვლავ შეუსვენებლივ თოვდა.
გამომძიებელი მძიმედ მიაბიჯებდა თეთრ წყვდიადში და ფიქრებში წასული ვერც კი ამჩნევდა, რომ ქუდი ხელში ეჭირა, ხოლო გრუზა თმებს ნელ–ნელა უფარავდა თეთრი პეპლებივით მოფარფატე თოვლის ფანტელები. საავადმყოფოს კარებში მოღუშული პოლკოვნიკი შემოხვდა. მძიმედ დაჭრილი ტყეშელაიძე გონს მოუსვლელად გარდაცვლიყო.

§ § §

დილის 10 საათია. ქალაქის პროკურორის, გიორგი ხომერიკის, კაბინეტში თავი მოეყარათ ტყეაიძის მკვლელობასთან დაკავშირებით შექმნილ ოპერატიული ჯგუფის წევრებს. აქ იყო პოლკოვნიკი ბალანჩივაძეც. ხომერიკმა თათბირი გახსნა და სიტყვა ინფორმაციისათვის მინდნლს მისცა.
ლევანმა მოკლედ მოახსენა საქმის ვითარება:მოკლულის ვინაობა, ადგილობრივი დათვალიერების შედეგები და ექსპერტთა პირველპდი დასკვნები.
– თავდამსხმელი ორი მაინც იყო, ერთი მათგანი დაჭრილია, მხოლოდ, არ ვიცი, მსუბუქად თუ მძიმედ. უდავოა, ბრძოლაში პურის საჭრელი დანაა გამოყენებული, მაგრამ ვის მიერ, ამას კრიმინალისტური ექსპერტიზა გვეტყვის, – დაამთავრა იმფორმაცია მინდელმა.
– რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბოროტმომქმედი მარტო არ მოქმედებდა და ერთი მათგანი დაჭრილია? – ერთბაშად ორი კითხვა დასვა კაპიტანმა ჩრდილელმა
-უეჭველი! უპასუხა მინდელმა. – ჯერ ერთი, ტყეშელაიძის ბინის ფანჯარაში სხვის დაუხმარებლად შესვლა შეუძლებელია, ხოლო კიბე ან სხვა რაიმე დამხმარე საშვალება ადგილზე არ აღმოჩნდა. კიბის მიტანა და შემდეგ უკანვე წაღება კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხულია მეორე, ოთახში დიდი გუბის გარდა ფანჯარასთან სისხლის შედარებით პატარა ლაქებიც იქნა აღმოჩენილი. ექსპერტის დასკვნით სისხლის დიდი გუბე, რაც ყველა საფუძველი გვაქს ვიფიქროთ ტყეშელაიძეს ეკუთვნოდა, პირველი ჯგუფისაა, მაშინ, როდესაც მცირე ლაქები სისხლის მესამე ჯგუფს შეადგენს.
- რატომ მიგაჩნიათ, ბოროტმოქმედნი უეჭველად ფანჯრიდან შევიდნენ? განა გამორიცხულია გასაღების გამოყენება? – იკითხა ახალგაზრდა ლეიტენანტმა.
– ამ შემთხვევაში გამორიცხულია, – უპასუხა ცოტა არ იყოს უკმაყოფილოდ მინდელმა, – ჯერ ერთი, მე უკვე აღვნიშნე, რომ კარები თინა ტყეშელაიძის კივილზე მეზობლებმა შეამტვრიეს, მეორე, ფანჯრის გარეთა რაფაზე აღმოჩენილია ბოროტმოქმედის ფეხსაცმლის სველი კვალი. მართალია, კვალი სრული არ არის, მაგრამ ჩანს, ფეხსაცმელი სქელლანჩიანი და ქუსლ დალურსმული ყოფილა. კვალის მდებარეობა გარედან შიგნით ნათლად

მიუთითებს მიმართულებას. ფანჯრის ძირა კედლის დათვალიარებამაც დაადასტურა ეს, და კიდევ ერთი გარემოებაც: ბოროტმომქმედი, რომელიც პირველად გადავიდა ფანჯარაში, მეორის დახმარებით სარგებლობდა, რადგან ფანჯრის ქვეშ თოვლი საგრძნობლად იყო დატკეპნილი, გარდა ამისა, კედელზე მიწიდან 1 მეტრსა და 96 სმ.–ზე იმავე ფეხსაცმლის უფრო სუსტი კვალია დატოვებული.
– ზამთრის გამო ფანჯრის ღიად დატოვება გამორიცხულია. თქვენი იმფორმაციიდან კი ჩანს, რომ ფანჯრის გატეხვას ან შუშის ამოღებას ადგილი არ ჰქონია. როგორი ვერსია გაქვთ ამ საკითხზე? – მორიგი კითხვა დასვა ოპერატიული ჯგუფის უფროსმა
– აქ ჯერჯერობით ერთი ვარიანტია: უნდა ვიფიქროთ, რომ ფანჯარა ტყეშელაიძეებს ჩაუკტავი დარჩათ. ამჟამად ამ საკითხზე სხვა პასუხის გაცემა შეუძლებელია,– მიუგო ბალანჩივაძემ.
– გულმავიწყობით ფანნჯარის ჩაუკეტაობაში ვერ დაგეთანხმებით, – განაცხადა პროკურორის მოადგილემ. –ასეთ შემთხვევას შეიძლება მართლაც ჰქონდა ადგილი,მაგრამ ბოროტმოქმედებს ხომ არ შეეძლოთ ამის გათვალისწინება. მით უმეტეს, დანაშაული უეჭველად წინასწარ შემუშავებული გეგმით არის ჩადენილი.
– მე არ გედავებით , პატივცემულო პავლე, მაგრამ ამჟამად სხვა ვარიანტი გამორიცხულია.
– რას ფიქრობთ მკვლელობის მოტივზე? – ახალი კითხვა დასვა ხომერიკმა.
– ამ კითხვაზე ჯერჯერობით ძნელია პასუხის გაცემა. სახლიდან წაღებულია მოკლულისა და მისი მეუღლის ოქროს საათები და 25000 მანეთის 3 პროცენტიანი შინაგანი სესხის ობლიგაცია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, დანაშაული გაძარცვის მიზნით იქნა ჩადენილი.ის ფაქტი, რომ სხვა ნივთები არ არის წაღებული და ტანსაცმლების კარადაც ხელუხლებელია, გვაფიქრებინებს, მძარცველებს ვიღაცამ, შესაძლოა თვით ტყეშელაიძემ, შეუშალა ხელი დანაშაულის დამთავრებაში, რასაც მკვლელობა მოჰყვა. ეს ვერსია პირობითია, დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ბოროტმოქმედება, სულ ერთია ძარცვაა ის თუ სხვა უფრო მძიმე დანაშაული, წინასწარ მოფიქრებით, სათანადოდ შედგენილი გეგმით იქნა ჩადენილი. სხვა ყველაფერი პირობითია, რადგან მთელი რიგი არსებითი მნიშვნელობის საკითხები ჯერ დაზუსტებული არ არის.

კაბინეტში ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.

-მაშ ასე, – დაიწყო ხომერიკმა, – ჯერჯერობით დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ თავდამსხმელები სულ ცოტა ორი იყო, ტყეშელაიძის ბინაში ფანჯრიდან შევიდნენ დაერთი მათგანი დაჭრილია. ეს კი ძალიან ცლტაა. უფრო სწორად–არაფერი, საჭიროა სასწრაფოდ დავადგინოთ ბოროტმოქმედნი. დანაშაულის მოტივის სწორად განსაზღვრა ძალზე გააადვილებდა გამოძიების

წარმოებას, მაგრამ მოტივს წინასწარ ვერ განვსაზღვრვთ. ამან შეიძლება სწორ გზას აგვაცდინოს. საჭიროა შემუშავებულ იქნეს სათანადო ოპერატიული გეგმა.
– მე უკვე შევიმუშავე რაღაც გეგმის მაგვარი, – დაიწყო მინდელმა.
– გაგვაცანით! – ბრძანა ხომერიკმა.
– პირველ რიგში, აუცილებელია სასწრაფოდ შემოწმდეს ქალაქის ყველა საავადმყოფო და პოლიკლინიკა – ხომ არ გამოცხადებულა ვინმე დაჭრილი მოქალაქე სამედიცინო დახმარებისათვის. უფრო საფიქრებელია ბოროტმოქმედმა პოლიკლინიკას და საავადმყოფოს გვერდი აუაროს და კერძო პრაქტიკის მქონე ექიმთან მისვლა არჩიოს, ამიტომ ეს საკითხიც უნდა გავითვალისწინოთ; შემდეგ, საჭიროა სასწრაფოდ დაიკითხოს მეზობლები, ტყეშელაიძის ნათესავები, განსაკუთრებით ძმის შვილები, რომლებიც დიდხანს ცხოვრობდნენ მის სახლში, აგრეთვე ტყეშელაიძის ცოლის დისშვილი ჩიკვაიძე, რომელიც გუშინ სოფელში წასულა დედის ავადმყოფობის გამო; უნდა გაირკვეს, იყო თუ არა ვინმე მტრულ დამოკიდებულებაში ტყეშელაიძის ოჯახთან, რადგან გამორიცხული არ არის,რომ მკვლელობა შურისძიებით იქნა ჩადენილი; ჩატარდეს ექსპერტიზა და დადგინდეს, არის თუ არა ტყეშელაიძეზე მიყენებული ჭრილობა გამოწვეული დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი დანით; და ბოლოს გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს საშვალებით ყველა შემნახველ სალაროებს დატაცებული ობილიგაციების ნომრები, რაც საბედნიეროდ ჩაწერილი აღმოჩნდა ტყეშელაიძის მეუღლეს
– სულ ეს არის? – შეეკითხა პროკურორი.
– დიახ ეს არის.
– თქვენს მიერ წამოყენებული საკითხები უეჭველად საყურადღებოა, ამხანაგო ლევან , მაგრამ გამოძიების გეგმა არ არის. გავალებთ, მიიღოთ საქმე თქვენს წარმოებაში და დღის ბოლოს დასამტკიცებლად წარმომიდგინოთ კონკრეტული გეგმა. განსაკუთრებით ყურადგება მიაქციეთ ფანჯრის საკითხს, დაიხმარეთ ოპერატიული ჯგუფის უფროსი კაპიტანი ჩრდილელი. თუ შეკითხვები არ არის, ამით დავამთავროთ.
ოფიცრები წამოიშალნენ და წყნარად გაიკრიფენ კაბინეტიდან.
ხომერიკმა საათს დახედა.
– ამხანაგო დავით, – მიუბრუნდა ბალანჩივაძეს, – თორმეტის ნახევარია, 12 საათზე ქალაქკომის მდივანი გველოდება ტყავის ქარხნის საქმე უნდა მოვახსენოთ, არ გაგფრთხილეს?
– როგორ არა, წავიდეთ, – უპასუხა პოლკოვნიკმა და ფეხზე წამოდგა....პოლკოვნიკი სავარძელში შესწორდა, შემდეგ საწოლ ოთახისაკენ გააპარა თვალი: ოჯახის ნებიერა მშვიდად ფშვინავდა. მძინარს ცალი ხელი თავქვეშ ამოედო და ტუჩებაბურცულს ოდნავ გადახდოდა მკერდზე საბანი. ბალანჩივაძე სხარტად წამოდგა, ოთახში შევიდა, ბავშვს საბანი შეუკეცა, ნაზად აკოცა შუბლზე და ისევ სასადილო ოთახში დაბრუნდა.

თავი II

მინდელი თავის სამუშაო კაბინეტში იჯდა და ტყეშელაიძის მკვლელობის საქმის მასალებს გულდასმით ეცნობოდა. მოკლულის ცოლის ჩვენებით, ტყეშელაიძე 9 იანვარს დილით მივლინებით წავიდა,თბილისში, თან ცოლიც წაიყვანა. სახლში ალექსანდრეს ცოლის დისშვილი–სტუდენტი ანზორ ჩიკვაიძე დარჩა. თავდაპირველი გადაწყვეტილებით ცოლ–ქმარი თბილისიდან 14 იანვარს უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ გიორგიმ 2 დღეში მოაგვარა სამსახურებრივი დავალება და მესამე დღეს თბილისი–ქუთაისის მატარებლით უკან დაბრუნდა. ჩამმოსულებს ანზორი არ უნახავთ, მეზობელმა გადასცა ბინის გასაღები და უთხრა: ანზორს სოფლიდან დეპეშა მოუვიდა და დღეს შუადღისას გაემგზავრაო. ცოლ–ქმარმა ივახშმა და დაახლოებით ღამის 11 საათსა და 30 წუთზე დაიძინა. მინდელმა საქაღალდეში მოძებნა ტყეშელაიძის ჯიბეში აღმოჩენილი მივლინების ბარათი და თინა ტყეშელაიძის ჩვენებას შეუდარა. თბილისში გამგზავრებისა და უკან დაბრუნების თარიღი ზუსტად დაემთხვა ჩვენებას. ამასვე ადასტურებდა რკინიგზის ორი ცალი სამგზავრო ბილეთი, ქუთაისიდან თბილისამდე და თბილისიდან ქუთაისამდე.

თინა ტყეშელაიძე გადაჭრით უარყოფდა სახლშიმისვლის შემდეგ ფანჯრის გაღებას. რაც თუ მას დაეჯერებოდა, სავსებით გამორიცხავდა ფანჯრის შემთხვევით ჩაუკეტავად დატოვებას. თბილისიდან დაბრუნების შემდეგ დაზარალებულის ბინაში რამდენიმე მეზობელი შესულა, მაგრამ მოკლულის მეუღლე მათ ყველას ეჭვს გარეშე აყენებდა.

მინდელმა დაჰკითხა ტყეშელაიძის თითქმის ყველა მეზობელი და გააკეთა დასკვნა, რომ ტყეშელაიძეებს ძალზე ტკბილი ცოლ–ქმრობა ჰქონდათ. თუმცა შვილი არ ჰყავდავთ, მათი უკმაყოფილება მეზობლებს არასოდეს შეუმჩნევიათ. ალექსანდრე ტყეშელაიძეს, ქარხნის მთავარი ბუღალტრის მოადგილეს,გამრჯე და პატიოსანი ადამიანის სახელი ჰქონდა. თინა არ მუშაობდა. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ცოლ–ქმარი არასდროს ყოფილან მარტო, მათი სახლი მუდამ ღია იყო ალექსანდრეს თუ მისი მეუღლის ნათესავებისათვის, განსაკუთრებით სწავლის მოსურნე ახალგაზრდებისათვის ალექსანდრეს ორმა ძმისშვილმა ქუთაისში დაამთავრა სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტი და სტუდენტობის წლები ბიძის ოჯახში გაატარა. ალექსანდრეს გულწრფელად უყვარდა ძმისშვილები, ხელს

უწყობდა და ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მანვე გადაუხადა ორთავეს ვახშამი და გულწრფელი ცრემლებიც ღვარა ძმისშვილების მისგან გადასვლის გამო.

არა ნაკლებ უყვარდა თინა ყმაწვილებს.

მინდელმა მათი დაკითხვის ოქმები გადაათვალიერა: შოთა და რევაზი, ბიძის ვერაგული მკვლელობით შეწუხებლნი, თინას დედად თვლიდნენ. მათ ვერაფრით აეხსნათ ალექსანდრეს სიცოცხლის ხელყოფა მინდელმა ახალგაზრდა

სპეციალისტების დაკითხვის ოქმები გვერდზე გადასდო და ჩაფიქრდა: „ბოროტმომქმედი ტყეშელაიძის ბინაში ფანჯრიდან შევიდა, ეს უდავოა, მაგრამ იცოდა თუ არა მან, რომ ფანჯარა დაკეტილი არ იყო. ფანჯრის წინასწარ განზრახვით ღიად დატოვების ვერსია თითქმის გამორიცხულია. ან ვის უნდა დაეტოვებინა ღიად და რა მიზნით? ანზორმა გასაღები ივანე გორდელაძეს დაუტოვა. მისი პიროვნება თითქმის ეჭვს არ იწვევს, დამსახურებული პედაგოგი, ღვაწმოსილი პენსიონერი,–მინდელს მისდა უნებურად გაეღიმა,–არცთუ მაინცდამაინც სახარბიელო თანამდებობაა გამომძიებლობა: ჭეშმარიტების ძებნაში იძულებული ხარ, ყველას და ყველაფერს ფრთხილი თვალით უცქირო. ვიდრე ამა თუ იმ ადამიანის უდანაშაულობაში ფაქტებით არ დარწმუნდები, რაიმეს გამორიცხვა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, ეს პიროვნება გორდელაძის მსგავსია, თუ რამდენიმეჯერ ნასამართლევი, რეციდივისტი. იქნებ ფანჯარა რაიმე იარაღით იქნა გაღებული და დათვალიერებისას ვერ შევამჩნიე? მაგრამ არა, ეს შეუძლებელია: მცირე კვალი რომ მაინც დარჩენილიყო ნამდვილად შევამჩნევდი. კი, ფანჯარა ჩაურაზავი იყო ალბათ – ფიქრობდა გამომძიებელი.
ტელეფონის ყურმილი აიღო.
– მილიციის საქალაქო განყოფილების კომუტატორი მომეცით, – სთხოვა ტელეფონისტ ქალს. – მილიციის კომუტატორია? მალაპარაკეთ კაპიტან ჩრდილელთან შალვა! ლევანი გელაპარაკებით. დაკითხეთ თუ არა ანზორ ჩიკვაიძე? ახლა აწარმოებთ დაკითხვას? კეთილი! დაკითხვის მასალები ამაღამვე მომიტანეთ... კი..კი.. მე გვიან ღამემდე აქვიქნები, ჯერ მხოლოდ პირველის ნახევარია.
მინდელმა ყურმილი დადო, სავარძლიდან წამოდგა, ფანჯარის ფარდა გასწია და ქალაქს გახედა: ბარაქიანად ბარდნიდა, ქუჩაში კანტიკუნტად მიმავალი მგზავრები თოვლის მოძრავ ბაბუებს დამსგავსებოდნენ; აქა–იქ მიმავალ მსუბუქ მანქანებს სპეტაკი თოვლის საკმაოდ სქელი ფენა დასდებოდა; დღის მეორე ნახევარში წამოსულ ხვავრიელ თოვლს თეთრად დაეფარა დილით გაწმენდილი ქუჩების სავალი ნაწილი.
„ თუ მთელი ღამე ასე ითოვა, ხვალ ვერავითარი ტრანსპორტი ვერ იმოძრავებს„, – ჩაილაპარაკა მინდელმა და საწერ მაგიდას დაუბრუნდა.შუშის ქვეშ დადებულ გოგონების სურათს დააცქერდა, გაეღიმა: რუსუდანი და მზია ეშმაკური გამოხედვით შესცქეროდნენ მამას, თითქოს საცაა დაილაპარაკებენო.
„ჩემსავით უყვართ ცუგრუმელებს თოვლი„–გაიფიქრა მინდელმა და გაახსენდა: ყოველ ზაფხულს ბავშვები პირობას ართმევდნენ,ზამთრის არდადეგები ბაკურიანში გაეტარებინათ, თავის მხრივკი, სწავლაში ფრიადოსნობას პირდებოდნენ. აგერ ხუთი წელია ორივე მხარე პირნათლად ასრულებდა პირობას–ბავშვები წარჩინებულად სწავლობდნენ. ხოლო მინდელი ყოველ 28 დეკემბერს თხილამურებითა და ბარგით დატვირთული გოგონებს ბაკურიანში აიყვანდა.იქ დედასთან ერთად ტოვებდა და თვითონ უკან ბრუნდებოდა შემდეგ,

ათი დღის განმავლობაში,რესტორანში უხდებოდა სადილობა უცოლშვილო კაცივით.
„კარგია ბავშვობა,კარგი და ნათელი ბავშვობა!„– სიყვარულით გაესაუბრა ლევანი ბავშვებს. მერე საწერი მაგიდის უჯრიდან ახალი საქმე ამოიღო და ყურადღებით ლდაიწყო კითხვა.
ოთახში გამეფებული სიმშვიდე ტელეფონის ზარის წკრიალმა დაარღვია.
– გამომძიებელი მინდელი გისმენთ! რაო? კარგი, ძალიან კარგი! ახლავე, ახლავე წამოვალ, – აჩქარებით ჩასძახა ყურმილში, შემდეგ იგი ხმაურით დააგდო ბერკეტზე და ისე სწრაფად გავარდა კარებში,წინ შეხვედრილი პროკურორის მოადგილე კინაღამ წააქცია.
– რა მოხდა, სად გარბიხარ ასე უპალტოოდ?–შეეკითხა გაკვირვებული ბრეგვაძე.
– ბოდიშს ვიხდი, ბატონო პავლე, მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსმა დამირეკა, წუხელ ღამის 4 საათზე ვიღაც უცნობ პირებს ქირურგი გრძელიძე ავადმყოფთან მიუწვევიათ, სახლიდან გამოსვლისთანავე თვალები აუხვევიათ და ახლა, სულ რაღაც ნახევარი საათის წინ, ისევ თვალახვეული ჩამოუსვამთ ქუჩაში,
– სხაპასხუპით უპასუხა მინდელმა, შემდეგ პალტო მოისხა და კიბეებზე დაეშვა.
დაახლოებით 15 წუთის შემდეგ მინდელი განყოფილების უფროსის კაბინეტში იყო.
– გაიცანით გამომძიებელი მინდელი, – მიმართა პოლკოვნიკმაბალანჩივაძემ პირდაპირ მჯდომ შუახნის სათვალეებიან, მელოტ მამაკაცს. მერე მინდელს მოუბრუნდა: უცნობი ავადმყოფის სამკურნალოდ მოტაცებული ექიმი გრძელიძე.
გრძელიძე წამოდგა, მინდელს თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა.
-დაბრძანდით, დაბრძანდით! – მინდელმა სკამი გაუწოდა ექიმს და თვითონაც მის პირდაპირ ჩამოჯდა. – დაკითხეთ? – შეეკითხა მილიციის განყოფილების უფროსს.
– მხოლოდ ვესაუბრე, ამხანაგ გრძელიძემ არ ისურვა თავისი მოსვლის მიზეზი მორიგესათვის გაენდო, პირდაპირ ჩემთან მოვიდა, მოვუსმინე თუ არა, ვიფიქრე, იქნებ ეს მოტაცება ტყეშელაიძის საქმესთან იყო დაკავშირებული, ამიტომ დაგირეკეთ, – უპასუხა ბალანჩივაძემ,შემდეგ წამოდგა, მინდელს თავის სავარძელზე მიუთითა და დაუმატა: – აქ დაჯექით, ლევან, და თქვენ დაკითხეთ, მეც მოგისმენთ.
გამომძიებელი სავარძელში გადაჯდა,თან მოტანილი საქაღალდედან სუფთა ფურცლები ამოიღო და გრძელიძის დაკითხვას შეუდგა.
- პატივცემულო ექიმო ,გთხოვთ გვიამბოთ ყოველივე. ეცადეთ არაფერი, თქვენთვის უმნიშვნელო წვრილმანიც კი, არ გამოგრჩეთ.
– პირველ რიგში, – დაიწყო გრძელიძემ, – გთხოვთ არავინ გაიგოს, მით უმეტეს ჩემმა წამყვანებმა, რომ ჩემი ფეხით მოვედი მილიციაში, თორემ სიკვდილი არ ამცდება, ასე გამაფრთხილეს წუხანდელმა პაციენტებმა და ვფიქრობ, ისინი არაფრის წინაშე არ დაიხევენ უკან. თუმცა მე ბევრი არაფერი ვიცი და მათი ვინაობაც არ შემიძლია დავასახელო, თანმივდევრობით გადმოგცემთ, რაც მოხდა: წუხელ ჩემი სიძე და ქალიშვილი, რომლებიც სტუმრად იყვნენ ჩამოსული ქ.

თბილისიდან ღამის მატარებელზე გავაცილე ცოტა ნასვამიც ვიყავი და სადგურიდან დაბრუნებისთანავე დავიძინე. რამდენ ხანს მეძინა არ ვიცი, უეცრად ზარის ხმამ გამაღვიძა. წამოვდექი, ჯერ ტელეფონი მეგონა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, კიბიდან რეკავდნენ. შუქი ავანთე, კარი გავაღე, მაგრამ ჯაჭვი არ მომიხსნია, ისე შევეკითხე ვინ უნდოდათ.
- „ქირურგი გრძელიძე სახლში ბრძანდება?„ – მკითხეს გარედან.
– „მე გახლავართ, – ვუპასუხე, – რაშია საქმე?„
– „ექიმო , თქვენი გადაუდებელი დახმარება გვესაჭიროება, დაგვდეთ პატივი და გამოგვყევით, კაცი გვიკვდება„, – მიპასუხა მეორემ.
– მართალი გითხრათ, ცოტა შემეშინდა და ვიდრე კარს გავაღებდი, მოსულნი შევათვალიერე. ორნი იყვნვნ, ერთი შედარებით ახალგაზრდა, მოკლე შეკრეჭილი ულვაშებით. მეორე კი ჭაღარა წვერიანი, თავზე ჩაბალახწაკრული, ჩემი ვიკითხე, როცა ქუჩაში გამოვედიშეხედულებით სოფლის გლეხი კაცი. რადგან კარების გაღება დავაყოვნე, მოსულთაგან უფროსმა მითხრა:„ ჩვენი არ შეგეშინდეთ ექიმო, მართალია,ძალიან გვიანაა ,მაგრამ ცუდი განსაზღვრით არ გეგონოთ მოსული, გაგვიღეთ კარი, კაცი გვყავს დაჭრილი და ყოველი წუთი ძვირფასია, ნუ დააგვიანებთ,თორემ თქვენს სინდისზე დარჩება უმწეო ადამიანის სიკვდილი.„ მოგეხსენებათ, ექიმს ხშირად გვიანაც მიმართავენ დახმარებისათვის რადგან ავადმყოფობამ მით უმეტეს ფათერაკმა, დრო არ იცის ამიტომ კარი გავაღე და ორთავე შემოვუშვი. უცნობები თავაზიანად მომესალმნენ და კვლავ გამიმეორეს თხოვნა. ბევრი აღარ მიფიქრია, სასწრაფოდ ჩავიცვი, ქირურგიული იარაღები პატარა ჩომოდანში ჩავაწყვე და გავყევი.
„შორს არის თქვენი ავადმყოფი?„–ვიკითხე, როცა ქუჩაში გამოვედით.
„არც ისე ახლოა, მაგრამ ჩვენი მანქანით წავალთ„,– მიპასუხა ახალგაზრდამ და თავაზიანად გამიღო ჩემი სახლის წინ გაჩერებული მანქანის უკანა კარი. ჩავჯექი. ახალგაზრდა საჭესთან დაჯდა, მეორე ჩემს გვერდით მოთავსდა და მანქანაც დაიძრა.
ჩემი სახლიდან სულ რაღაც ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ მანქანამ ბნელ ქუჩაში შეუხვია და გაჩერდა. მე გაკვირვებაც ვერ მოვასწარი, რომ ჭაღარამ საფეთქელთან როველვერის ლულა მომადო და ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მითხრა:
„პატივცემულო ექიმო, თუ ხმაურს არ ატეხთ, თქვენს სიცლცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, ხოლო თუ ჩვენს პირობებს მიიღებთ და არ გაჯიუტდებით, თქვენი შრომა უხვად იქნება ანაზღაურებული. ახლავე უნდა გითხრათ ისიც, რომ უარის შემთხვევაში სიკვდილი გელით„
„რა გინდათ ჩემგან? თუ გაძარცვას მიპირებთ, მე თან არავითარი ძვირფასი ნივთი, გარდა მაჯის საათისა, არ გამაჩნია„ – მივუგე მე.
„როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ექიმო, ჩვენი მძარცველებად მიჩნევა, – მიპასუხა ახალგაზრდამ და ახლა შევამჩნიე, რომ იმასაც რევოლვერი ეჭირა ხელში. – პირიქით, როგორც ბიძაჩემმა გითხრათ, თქვენი შრომა უხვად იქნება ანაზღაურებული, მხოლოდ საჭიროა წამოყენებულ პირობებს დაეთანხმოთ და უსიტყვოდ აასრულოთ ჩვენი არცთუ ზრდილობიანი მოთხოვნა.„

„რა პირობებს მიყენებთ?„ – შევეკითხე ორთავეს.
„სულ უბრალოს, რითაც არც თქვენი ღირსება შეილახება და არც სინდისი, – დაიწყო ჭაღარამ, – ჩვენ არ გატყვილებთ, მართლაც გვყავს დაჭრილი,რომელსაც თქვენი გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება, მაგრამ თქვენთვის უცნობი უნდა დარჩეს მისი ვინაობა. არ დაგიმალავთ, დაჭრილი ახალგაზრდა სასიძო ბიჭია, მშვენიერი ვაჟკაცი. დაჭრეს ქალის გამო და თუ გაიგეს მისი ვინაობა, ციხე არ აცდება.აი ამიტომ მე ახლავე აგიხვევთ თვალებს და ისე წაგიყვანთ, სახლში, ავალდმყოფთან. არავითარი შეკითხვებით არ მიმართავთ არც მას, არც სხვა ვინმეს. შეასრულებთ თქვენს მოვალეობას, რის შემდეგ სათანადო გასამრჯელოს მოგართმევთ და ასევე უვნებელს, მხოლოდ თვალახვეულს, მიგიყვანთ სახლში. თანახმა ხართ?„
„რა გაეწყობა, – ვუპასუხე, – თქვენ ხელთა ვარ და სხვა რა გამოსავალი მაქვს„.
ჭაღარამ რევოლვერი შეინახა, პალტოს შიგნითა ჯიბიდან შარფი ამოიღო, თავაზიანად მოიხადა ბოდიში და თვალები ამიხვია. შემდეგ ისევ შემახო რევოლვრის ლულა და გამაფრთხილა:„გახსოვდეთ, ერთი დაყვირება ან ცდა შარფის მოძრობისა და... გესვრით„.
მე ხმა არ ამომიღია.
მანქანა დაიძრა...
ვიარეთ დაახლოებით 30–35 წუთი. შემდეგ გავჩერდით.
„მივედით! – მომესმა ჭაღარას ხმა, – გახსოვდეთ, როცა საჭირო იქნება, შარფს ჩვენ თვითონ მოგხსნით, ახლა კი მანქანიდან გადმობრძანდით, მე დაგეხმარებით სიარულში„.
მანქანის კარი გააღო, გადავიდა,შემდეგ ხელი მომკიდა და გადმომიყვანა.
ცალ ხელზე თათმანი არ მეკეთა, შიშველ ხელზე თოვლისფიფქის დაცემით მივხვდი, რომ საკმაოდ თოვდა. ჭაღარამ ხელი გამომდო და წამიყვანა.გავიგონე ჭიშკრის გაღების ხმა.
როდესაც ჭიშკარს გადავაბიჯე, ჩემდაუნებურად საკუთარი ნაბიჯების თვლა დავიწყე. ოცდამერვე ნაბიჯზე გამყოლმა გამაჩერა.
„რაშია საქმე„? – ვიკითხე.
„არაფერი,პატივცემულო ექიმო, აქ კიბე იწყება და არ დაიმტვრეთ„.
მე ხელის ფათურით მოვძებნე მოაჯირი და კიბეზე ფეხი შევდგი. მეორე მხარეს გამყოლს ვეჭირე. როცა ჩვიდმეტი საფეხური გავიარე, მოაჯირმა მკვეთრად მოუხვია, ვიფიქრე კიბე გათავდა – მეთქი და შევჩერდი. გამყოლი ალბათ მიხვდა ჩემი შეჩერების მიზეზს.
„იარეთ, იარეთ,–მითხრა მან–კიბე არ გათავებულა„.
მე წინ წავდგი ერთი ნაბიჯი და წავიფორხილე,რადგან მოძრაობით კიბის შემდეგ საფეხურს ვგულისხმობდი, მაგრამდავრწმუნდი,რომ ეს მხოლოდ ბაქანი იყო. მართლაც მეორე ნაბიჯი უკვე კიბეზე შევდგი და სვლა განვაგრძე. ახლაც არ ვიცი რატომ, კვლავ საფეხურების თვლა განვაგრძე ანგარიშმიუცემლად მექანიკურად. 22 საფეხურისავლის შემდეგ კიბე გათავდა. ჭაღარამ კარი შეაღო, სახლში შევედით,სითბო ვიგრძენი. გამყოლმა კიდევ 10 ნაბიჯი გამატარა, კარი გააღო და

შემიყვანა. იქ შედარებით უფრო თბილოდა.მე ვიდექი და ხმას არ ვიღებდი.ჭაღარამ ხელის ერთი მოძრაობით მომაშორა თვალსაბურავი. ელექტრონის შუქმა სიბნელეს შეჩვეული თვალი მომჭრა და დავხუჭე. შემდეგ ისევ გავახილე და დავინახე , რომ და ჭაღარა საკმაოდ მოზრდილ ოთახში ვიყავით.
„დამთავრდა, ბატონო ექიმო, მასკარადის პირველი ნაწილი, – გაიღიმა მან დაშემდეგ დაუმატა: – სულითა და გულით გთხოვთ, მაპატიოთ ჩემი უხეში მოქმედება, იმედია გამიგებთ, რომ სხვა გამოსავალი არ მქონია„.
პასუხი არ გამიცია. თვალებით ავადმყოფს ვეძებდი,მაგრამ შეკითხვის მიცემისაგან თავი შევიკავე.
ჭაღარა მიხვდა.
„ახლავე ყველაფერი მზად იქნება„, – მიპასუხა ჩემს უტყვ კითხვაზე.
იმავე წუთს გაიღო კარი და ახალგაზრდა შემოვიდა, რომელსაც ხელში ჩაიდანი, საპონი და პირსახოცი ეჭირა. ჭაღარამ ტაშტი მოძებნა, სკამზე დადგა და თავაზიანად მთხლვა ხელი დაიბანეო.
ხელის ბანას შევუდექი. წყალს ახალგაზრა მისხამდა, ჭაღარამ ელექტროქურა ჩართო, შემდეგ ჩემს დაუკითხავად ჩემოდანი გახსნა, სტერილიზატორი ამოიღო, წყალი ჩაასხა შიგ, სკალპერი, პინცეტი და სხვა იარაღები ჩაყარა და ქურაზე დადო. ხელების ბანა დავამთავრე.
„მაჩვენეთ ავადმყოფი„ – მივმართე ჭაღარას.
მან უხმოდ გააღო მეორე ოთახში გასასვლელი კარი ლდა ჟესტით მიმიწვია. უსიტქყვოდ გავყევი.
ეს ოთახი პირველთან შედარებით უფრო დიდი იყო. ერთ მხარეს ორი საწოლი იდგა, პირველ საწოლზე ვიღაც მამაკაცი იწვა და კვნესოდა. ღამის სანათური იმდენად მცირე სინათლეს გადმოსცემლა, რომ ავადმყოფის სახე ვერ გავარჩიე.
„აანთეთ სინათლე!„ – მივმართე ჭაღარას.
მან უხმოდ მოძებნა ამომრთველი და ბოლოს ჭაღი აანთო.
ავადმყოფს საბანი გადავხადე, გასისხლიანებული პერანგი ავუწიე და დავინახე, მუცლის არე სისხლიანი სახვევებით ჰქონდა შეხვეული.
„შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?„ – ეს მხოლოდ ავადმყოფთან იქნება დაკავშირებული„, – ვკითხე ჭაღარას.
„ბრძანეთ!„
„ვინ შეუხვია ჭრილობა?„
„მე„
„შეიძლება გავხსნა?„
„ცხადია„, – მიპასუხა მან.
ავადმყოფს სისხლიანი სახვევებიგავაცალე და ჭრილობა გავსინჯე უცნობი მუცელში იყო დაჭრილი. სხეულის შიგნით ბევრი სისხლი ჩაქცეოდა და ეტყობოდა მუცლის ღრუ გაევსო, დაჭრილს დიდი რაოდენობით დაეკაოგა სისხლი და უგონოდ იყო.
„რას იტყვით?„ – შემეკითხა ჩემი მიმყვანი.

„ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულია, საჭიროა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, სისხლის გადასხმა; ყოველივე ამის მარტო ჩემს მიერ ყოვლად შეუძლებელია. თუ დაჭრილს ახლავე საავადმყოფოში არ წაიყვანთ, აუცილებლად დაიღუპება„, – მივუგე მე„.
ჭაღარას თვალებში მკაცრი, ბოროტი ნაპერწკლები აციალდენენ.
„არა ექიმო, ყველაფერი, რაც საჭიროა, აქ გაკეთდება და გაკეთდება მხოლოდ თქვენს მიერ, მე თვით ვიქნები ასისტენტი და ექთანიც. რაც შეეხება სისხლის გადასხმას მოვაგვარებთ, ჩემს სისხლს გადაუსხამთ.„
გაკვირვებით შევხედე.
„როგორ თუ თქვენ სისხლს? ეს შეუძლებელია! დაჭრილს შეიძლება სულ სხვა ჯგუფის სისხლი აქვს, ასეთ შემთხვევაში თქვენი სისხლის რამოდენიმე გრამი მას აუცილებლად დაღუპავს„.
„მაგაზე ნუ წუხართ, ჩვენ ერთი ჯგუფის სისხლი გვაქვს„.
„თქვენ რა მამა ხართ დაჭრილის?„ – დამავიწყდა გაფრთხილება.
„მე გაგაფრთხილეთ,კითხვების მიცემისაგან თავი შეგეკავებინათ„ – მკვახედ მესროლა მან.
„კი მაგრამ ეს შეუძლებელია! სხვა არა იყოს რა, სისხლის გადასხმის ხელსაწყოებიც არა მაქვს„, – არ ვნებდებოდი მე.
„გიშოვნით. ახლა კი დროს ნუ კარგავთ, მიხედეთ ავადმყოფს!„ – ქვასავით მომიგდო ჭაღარამ. შემდეგ ახალგაზრდას დაუძახა, ჩემთან დატოვა და თვითონ ოთახიდან გავიდა.
რამდენიმე წუთის შემდეგ ჭაღარა სისხლის გადასასხამი აპარატით დაბრუნდა და ახალგაზრდას უბრძანა, ელექტროქურა, სტერილიზატორი და ჩემი ჩემოდანი შემოეტანა. როდესაც ყველაფერი ეს ოთახში შემოიტანეს, ჭაღარამ ხელები დაიბანა. ახალგაზრდასაც დააბანინა და შემდეგ მე მომმართა:
„ასისენტები მზად არიან ექიმო. გთხოვთ, საქმეს შეუდგეთ!„
ჩემოდანიდან ხალათი ამოვიღე, ჩავიცვი და ამ მეტად უცნაურ პირობებში ოპერაციისათვის მზადებას შევუდექი.
ჭაღარამ თეთრეულის კარადა გააღო, რამდენიმე ზეწარი გამოიღო და უსიტყვოდ მომაწოდა.
მე უკანასკნელად ვეცადე გაბრძოლება.
„იცოდეთ ასეთ პირობებში გაკეთებული ოპერაცია ავადმყოფის მკვლელობას უდრის, ნუ მაიძულებთ ასეთ საშინელებას, ნუ გამხდით მკვლელად, დაჭრილი მაინც შეიბრალეთ„.
„ექიმო გთხოვთ საქმეს შეუდგეთ! აი თქვენი ჩომოდანი, შპრიცი და საანესთეზიო საშუალებანი„, – მიპასუხა ჭაღარამ და ჩემოდანი ახლოს მომიწია.
მე კვლავ ვყოყმანობდი, ახალგაზრდამ ჯიბიდან ბებუთი ამოიღო.
„გაძლევთ 30 წამს„, – მშვიდი, შეუვალი ტონით მითხრა მან და მე მივხვდი, ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ოპერაციის გაკეთებაზე იყო დამოკიდებული.

„რეზინის მილი მომეცით, – მივუბრუნდი ახალგაზრდას, – თქვენ კი – მივმართე ჭაღარას – მოემზადეთ! გახსოვდეთ, მე სიკვდილის მუქარით მაიძულებთ თქვენი სისხლის გადავუსხა დაჭრილს„.
ჭაღარამ უხმოდ გაიხადა პიჯაკი, პერანგის სახელო გაიხსნა და დაკუნთული, ჭაღარა წვერისათვის შეუფერებელი ძლიერი მკლავი გამოაჩინა.
დიდი წვალებით გადავუსხი დაჭრილს სისხლი, შემდეგ ჭრილობა გავხსენი, მუცლის ღრუ ამოვუსუფთავე და როდესაც ყოველივეს მოვრჩი კიდევაც გათენდა. ახალგაზრდამ ოთახში კონიაკი, ღვინო, ცხელი ჩაი და საუზმე შემოიტანა. მე უკვე ვიცოდი, რომ დაჭრილი გადარჩა. დავრწმუნდი იმაშიც, რომ დაჭრილი და ჭაღარა ახლობელი ნათესავები – შეიძლება მამაშვილიც იყვნვნ და ახლა, როდესაც ყველაფერი გათავდა, შიშის ნაცვლად ცნობის მოყვარეობა მომერია. ვინ არის ეს ხალხი? სად ვარ? ვინ ქალის გატაცებაზე დაიჭრა ეს მშვენიერი ვაჟკაცი და რატომ ასე მალავენ მის დაჭრას?
ჭაღარა მადიანად ილუკმებოდა, გადავწყვიტე, დამერღვია მიცემული პირობა და ზოგიერთი კითხვით მიმემართა ჩემი მოძალადე მასპინძლისათვის, მაგრამ თითქოს ჩემი ფიქრები ამოიცნო, ჭაღპრამ ძლივს შესამჩნევი დაცინვით, რომელშიაც მუქარაც გამოსჭვიოდა, გამაფრთხილა
„პატივცემულო ექიმო, მე თქვენ აგიკრძალეთ კითხვების მოცემა და ჩემს ნათქვამს არ შევცვლი, თუმცა თქვენი მოქმედებით დიდად დავალებული ვარ. სანაცვლოდ შრომის გასამრჯელოს უხვად აგინაზღაურებთ.უადგილო, ცუდმა ცნობისმოყვარეობამ კი შესაძლოა კარგი თავი და მშდლიანი მარჯვენა დაგარკარგვინოთ. ბორის, – მიუბრუნდა ახალგაზრდას, – მოიტა ფული.„
ახალგაზრდა წამოდგა, სკამზე გადაკიდებული პიჯაკიდან ქაღალდის ფულების დასტა ამოიღო, რამოდენიმე ბანკნოტი გამოაძრო და ჭაღარას გაუწოდა.
„ეს რა არის ? აი შე ძუნწო! მოიტა კილდევ!„
ახალგაზრდამ მთელი კიპა მიაწოდა. ჭაღარამ ოცდაათი ცალი 100–მანეთიანი ბანკნოტი გადაითვალა, გამომიწოდა და მითხრა:
„ეს თქვენი შრომის საზღაური. მოცემულ სიტქყვას მტკიცედ ვიცავ. აიღეთ, აიღეთ–მეთქი!„ – აუწია ხმას,რადგან შემატყო ვყოყმანობდი და ფულის აღება არ მინდოდა.
ფული ჩამოვართვი.
ჭაღარამ ჩაიცინა და კონიაკი გადაჰკრა.
„მე ახლა საჭირო აღარ ვარ , გთხოვთ გამიშვათ,„ – მივმართე.
მან ისევ გაიცინა.
„არა ექიმო, თქვენი ახლა გაშვება ყოვლად შეუძლებელია, უკვე გათენდა და აქედან თვალახვეული კაცის გაყვანა ცოტა არ იყოს, უხერხულია. მოითმინეთ საღამომდის, დაღამდება თუ არა, სრულიად უვნებელს მიგიყვანთ სახლში. თუ დაიღალეთ, მოისვენეთ, თუ არა და ისე იგრძენით თავი, როგორც ძვირფასმა სტუმარმა მოყვარული მასპინძლის ჭერქვეშ„.
ისევ კონიაკი გადაჰკრა.

პირდაპირ საკვირველი იყო, ამ საკმაოდ ჭაღარა კაცმა თითქმის ერთი ბოთლი კონიაკი შესვა, მაგრამ სიმთვრალის ნატამალიც არ ეტყობოდა ორის მაგივრად სვამდა, ჭამდა და ჩემთან საუბარს განაგრძობდა. გამაკვირვა იმანაც, რომ საკმაოდ ერკვევოდა სამედიცინო ტერმინოლოგიაში.
ერთისიტყვით დაღამებამდე იმ გამოუცნობ ბინაში დავრჩი. ჩემს ძალად მასპინძლებს ერთი წუთითაც არ მიუტოვებივარ მარტოდ და თუმცა ამ ორ ოთახში თავისუფლად სიარულის ნებას მაძლევდნენ, კატეგორიულად ამიკრძალეს ფანჯარასთან მისვლა. ოთახიდან კი ჩამოკეტილ დარაბებში მარტოოდენ სინათლის წვრილ ზოლს ვხედავდი. კიდევ კარგი, საათი არ ჩამომართვეს, თორემ დროსაც არ გავიგებდი.
როგორც იყო დაღამდა, მაგრამ ჩემს გაშვებას არავინ ჩქარობდა. ღამით თორმეტის ნახევარზე ოთახში ჭაღარა შემოვიდა.
„ბატონო ექიმო, აბა ერთი კიდევ დახედეთ ჩვენს ავადმყოფს, შემდეგ დაგვარიგეთ, როგორ მოვიქცეთ და გაემგზავრეთ„.
მე სიხარულით შევასრულე მისი ეს სურვილი.
ავადმყოფს ეძინა. ოპერაციის შემდეგ. საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა. მაჯა სუსტად, მაგრამ რითმულად მუშაობდა. სიკვდილის შიში აღარ არსებობდა.ყოველივე ეს ჭაღარას ვუთხარი, შემდეგ დავარიგე, როგორ მოქცეულიყვნენ, განსაკუთრებით ავუკრძალე ავადმყოფის განძრევა, და წასასვლელად გავემზადე.
„როდის შეიძლება წამოდგეს ავადმყოფი?, – მკითხა ახალგაზრდამ.
„ერთი კვირა მაინც უნდა იწვეს„, – მივუგე ამ კითხვით გაოცებულმა.
ჭაღარამ ჩაიცვა, შემდეგ კვლავ ზრდილობიანად მოიხადა ბოდიში უხეშობისათვის და ახლა უკვე ჩემი საკუთარი შარფით მაგრად ამიხვია თვალები. ირგვლივ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა. იმავე გზით, იმავე კიბეებით,ჭაღარას უშუალო დახმარებით, გამოვედი ეზოში, იქიდან ჭიშკარში, სადაც ჩამსვეს მანქანაში და წამომიყვანეს.
რამდენიმე ხნის შემდეგ მანქანა გაჩერდა.
„მოვედით, აქედან თქვენს სახლამდე 200–300 მეტრია ბოდიშს ვიხდი, რომ სიფრთხილის გამო სახლამდის ვერ მიგაცილეთ. კიდევ ორი პირობა და თავისუფალი ბრძანდებით„. – ჩაილაპარაკა ჭაღარამ ჩუმად და რევოლვერის შეხებაც ვიგრძენი.
„კიდევ რა გინდათ ჩემგან?„ – შევეკითხე.
„ცოტა რამ. პირველი, მანქანიდან გადასვლის შემდეგ 30 წუთი თვალსახვევს არ მოიხსნით, მეორე, დაივიწყებთ ჩვენს ვიზიტს! თქვენ არსად არ ყოფილხართ და არავითარი ოპერაცია არ გაგიკეთებიათ. თქვენ უკვე იცით, რომ პირობას მტკიცკდ ვასრულებ, თუ ნახევარი საათის განმავლობაში თვალსახვევის მოხსნა გაბედეთ, სინათლეს სამუდამოდ გამოეთხოვებით, ხოლო თუ ვინმესთან დაგცდათ სტუმრობა, იცოდეთ მიწაშიც რომ ჩაძვრეთ, მოგნახავთ და სიცოცხლეს გამოგასალმებთ, თანახმა ხართ?„
„ჩემს სურვილს რა მნიშვნელობა აქვს, როცა ძალა თქვენს ხელშია,„ – მივუგე მე.

„კეთილი! მაშასადამე შევთანხმდით.გადმობრძანდით მანქანიდან!„
ჭაღარამ კარები გააღო, ხელი შემაშველა და მანქანიდან გადმომიყვანა.
„აქ დადექით, ამ შესახვევში, ყურადღებას არავინ მოგაქცევთ. დინჯად დაითვალეთ ორი ათასამდე,შემდეგ შეგიძლიათ თვალსახვევი მოიხსნათ. მშვიდობით! არ გისურვებდით კიდევ შეგხვდეთ სადმე, მით უმეტეს ნახევარი საათის გასვლამდე„, – დამემუქრა ის და ხელი გამიშვა. არ გასულა ნახევარი წუთიც მანქანის ძრავა ამუშავდა და მე მარტო დავრჩი.
რამდენჯერმე გადავწყვიტე თვალსახვევის მოხსნა, მაგრამ იმის შიში, რომ ჭაღარა იქ სადმე ახლოს იდგა და მითვალთვალებდა, გამბედაობას მიკარგავდა. ასე გავიდა მტანჯველი დაახლოებით ნახევარი საათი, რის შემდეგ გავბედე და თვალებიდან შარფი მოვიგლიჯე. მარტოდ–მარტო ვიდექი შესახვევში, თუ რომელში, მაშინვე ვერ გავერკვიე. შემდეგ განათებული ქუჩა დავინახე და იქით ავიღე გეზი. როდესაც სინათლეზე გამოვედი, დავრწმუნდი, წერეთლის ქუჩაზე ვიყავი და მაშინვე მილიციის განყოფილებაში წამოვედი.
აი, სულ ეს არის. მე მგონია არაფერი გამომრჩენია,– დაამთავრა გრძელიძემ.
შემდეგ სათვალე მოიხსნა, გულდასმით გაწმინდა, ისევ გაიკეთა და გამომძიებელს მიაჩერდა. მინდელმა და ბალანჩივაძემ გულდასმით მოისმინეს ექიმის ვრცელი ნაამბობი.
კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა, გამომძიებელი მაგიდაზე დადებულ ფურცელს ჩასცქეროდა, რომელზეც შენიშვნები ჩაიწერა და პაიროსს პაპიროსზე აბოლებდა. დუმდა ბალანჩივაძეც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ექიმის ნაამბობმა.პოლკოვნიკს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გრძელიძის „ვიზიტიორები„ და დაჭრილი ახალგაზრდა ქალის მოტაცებაში არ იყვნენ გარეული, მაგრამ ვინ იყვნენ? ჰქონდათ თუ არა რაიმე დამოკიდებულება ტყეშელაიძის მკვლელობასთან? სად იყვნენ დაბინავებულნი და როგორ უნდა მოენახათ? ასეთივე კითხვები აწუხებდა მინდელსაც. ის როგორც გამოცდილი გამომძიებელი, დიდ ანგარიშს უწევდა პროფესიულ ინტუიციას. აქ კი გარდა ინტუიციისა ფაქტების ისეთ დამთხვევასაც ჰქონდა ადგილი, რომელიც თითქმის უეჭველს ხდიდა ამ ორი საქმის კავშირს.
– ხომ ვერ გვეტყვით, რა დრო იქნებოდა სახლიდან რომ გამოხვედით? – დაარღვია დუმილი მინდელმა.
– როგორ არა ჩემს სახლიდან 3 საათსა და 40 წუთზე გამოვედით. ეს მე დაბეჯითებით მახსოვს, რადგან ვიდრე სინათლეს გამოვრთავდი, საათს დავხედე.
– თქვენი აზრით, რამდენი კილომეტრი გაიარეთ?
– მე მგონია, არა ნაკლებ 30 კილომეტრისა.
– რატომ გგონიათ?
- საქმე იმაშია,რომ მე თვითონ აგერ 10 წელია საკუთარი ავტომანქანა „პობედა„ მაქვს, ვატარებ და თვალახვეულსაც მოტორის ხმაურის მიხედვით შემიძლია სიჩქარის მიახლოებით განსაზღვრა.
– თქვენი წაყვანა „პობედით„ მოხდა? – შეეკითხა პოლკოვნიკი ბალანჩივაძე.

– მაგას ვერ გეტყვით. სამწუხაროდ,ყურადღება არ მიმიქცევია, შეიძლება „პობედა„ იყო ან „მოსკვიჩი„
– მანქანაში რომელ მხარეს იჯექით. – ისევ მინდელმა გააგრძელა დაკითხვა.
– მარცხენა მხარეს და ძალიანაც შევწუხდი.
– რამ შეგაწუხათ?
– მანქანის სავარძლის საჯდომი ნაწილი, როგორც ჩანდა დაზიანებული იყო, ზამბარას ქსოვილი გაეჭრა და მხოლოდ მალითა იჭერდა მოგეხსენებათ, ასეთ სავარძელში ჯდომა არცთუ ისე სასიამოვნოა. ისე შემაწუხა,ადგილის შეცვლაც დავაპირე, მაგრამ შემეშინდა, ჩემი მოძრაობა წინააღმდეგობის გაწევად ან თვალსახვევის მოხსნის ცდად არ მიეღოთ და შეპირებისამებრ ადგილზე არ გავეთავებინეთ.
– თქვენი აზრით სად წაგიყვანს?
– აბა რა ვიცი დარწმუნებული ვარ ქალაქგარეთ ვიყავი, უფრო მაიაკოვსკის რაიონისკენ, მაგარამ სად, წარმოდგენა არა მაქვს.
– რამ შეგიქმნათ ასეთი რწმენა?
–ჯერ ერთი, იმან, რომ დაახლოებით 30 კილომეტრი ვიარეთ; მეორეც, თუმცა მცირე მანძილი, მაგრამ საკმაოდ საგრძნობი დაღმართი გავიარეთ. უნდა მოგახსენოთ, წნევის ცვალებადობა ჩემზე ცუდად მოქმედებს. მე არა ერთხელ ვყოფილვარ მანქანით მოსკოვში, როგორც მგზავრად, ისე მანქანის საჭესთან და სადგურ რიონის დაღმართს თვალდახუჭულიც კი ვცნობდი. დაეშვებოდა თუ არა მანქანა იმ დაღმართზე, ყურები მაშინვე შემიგუბდებოდა.
– კი მაგრამ დაღმართი სხვა მიმართულებითაც არის, მაგალითად ზესტაფონის გზაზე. გაცდებით თუ არა რკინიგზის ხიდს, იქაც ასეთივე დაღმართი იწყება, – ჩაურთო ბალანჩივაძემ
– მართალია! ამ გზაზეც მივლია და იგივე მიგვრძნია, რაც სხვა დაღმართის ჩავლისას, ამიტომ მე არ ვამტკიცებ რომ უეჭველად მაიაკოვსკისკენ ვიყავი, ეს მხოლოდ ვარაუდია აგებული სამ გარემოზე: ერთი, დაღმართი დაახლოებით 10–15 კმ გავლის შემდეგ ვიგრძენი, ხოლო ჩემი სახლიდან საფიჩხიამდე 2 კმ თუ იქნება; მეორე უკან დაბრუნებისას დაღმართი არ მიგვრძნია,და მესამე, როდესაც იმ ჩიხიდან გამოვედი, სადაც უცნობებმა ჩამომსვეს, შევამჩნიე, რომ ჩემი მომყვანი მანქანა წერეთლის ქუჩით აბრეშუმკომბინატისაკენ წასულა მანქანის საბურავების კვალი კარგად ემჩნეოდა, თუმცა იმ დროის განმავლობაში, რაც მე თვალახვეული ვიდექი, კვალი საკმაოდ ამოევსო თოვლს.
– თუ შეგიძლიათ აგვიწერეთ თქვენი წამყვანები და დაჭრილი, – თხოვა ექიმს მინდელმა.
– სიამოვნებითჭაღარა დაახლოებით 50–55 წლისა იქნება, საშუალოზე მაღალი ტანისა გახლავთ, თვალების ფერს ვერ გეტყვით, რადგან დღის შუქზე არ მინახავს; კარგად მოყვანილი მოგრძო, ლამაზი და მიმზიდველი სახე, ფართო შუქი, ძალზე მეტყველი ალერსიანი გამოხედვა აქვს; გაბრაზების დროს თვალები საოცრად ენთება, ბოროტ ნაპერწკლებს აკვესებს და მთელი სახე რაღაც საშინელ ბოროტ გამომეტყველებას ღებულობს; ხმა ოდნავ ჩახრინწული, სიცილი ცივი,

მეტად უსიამოვნო აქვს. ლაპარაკობს დინჯად, კილო მტკიცე და მომთხოვნი; ცხვირი საშუალო ზომის, სწორი; მსხვილი ერთმანეთზე გადაბმული წარბები: მის ასაკთან შედარებით ძლიერი, კარგად განვითარებული კუნთები აქვს; წვერი როგორც მოგახსენეთ, ჭაღარა; ოდნავ მელოტი; დადის გამართული; სასიამოვნო მოსაუბრეა; ქცევით ზრდილობიანი სჩანს , შეიძლება ითქვას ნატიფი; ნაკითხი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და საკმაოდ ერკვევა მედიცინაში.
მისი თანმხლები 30–35 წლის ახალგაზრდა იქნება. საშუალო სიმაღლის; პატარა ჭროღა ჩავარდნილი თვალები, თითქმის სწორი წარბები; საკმაოდ დიდი თავი; შუბლი წამოწეული; თმა წინიდან უკან აქვს გადავარცხნილი: ოდნავ კეხიანი ცხვირი; მოკლედ შეკრეჭილი ქერა ულვაშები; ლაპარაკობს წვრილი, ქალური ხმით; გამოხედვა ცივი; ბეჭებში ოდნავ მოხრილი.
ავადმყოფის სახესა და თვალებზე ვერაფერს გეტყვით. თმა ქერა, უფრო ოქროსფერი, ოდნავ ხუჭუჭი;30–32 წლისა იქნება, შედარებით პატარა ტანისაა; ხელები თეთრი, ქალივით ნაზი, ალბათ ფიზიკურად არასდროს უმუშავნია; წარბები საკმაოდ მოხრილი; მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები; შედარებით გამხდარი და სუსტი აგებულებისაა, – დაამთავრა ექიმმა.
– რაიმე განსაკუთრებული ნიშნები ხომ არ შეგიმჩნევიათ რომელიმე მათგანისათვის? – კითხვა დაუსვა ბალანჩივაძემ.
ექიმი კარგად დაფიქრდა და შემდეგ გადაჭრით უპასუხა.
- არა, არვითარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ გარემოებას: ჭაღარას საოცრად თეთრი, ლამაზი და როგორც ეტყობა, საკმაოდ მაგარი კბილები აქვს.
– თქვენ დაჭრილი რამოდენიმეჯერ ნახეთ, როგორც აღნიშნეთ პულსიც გაუსინჯეთ. ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება მარჯვენა ხელის თითებზე? – შეეკითხა მინდელი.
- განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, როგორც მოგახსენეთ, მე მხოლოდ ის შევამჩნიე, რომ ხელები ნაზი და უფრო ქალური აქვს, ვიდრე მამაკაცის ხელებია.
– რაიმე განსაკუთრებული ნიშანი ხომ არა აქვს? – გაიმეორა კითხვა მინდელმა.
– არა ამხანაგო გამომძიებელო , ეს კია, მარჯვენა ხელის შუათითზე პატარა ნაჩხვლეტი ჭრილობა შევამჩნიე, მაგრამ ეს ხო რაიმე განსაკუთრებული ნიშანი არაა, რომ თქვენ გამოგადგეთ.
მინდელს გაეღიმა.
–ჩვენ ყველაფერი გამოგვადგება, თუ გნებავთ ასეთი წვრილმანიც, ამიტომ გთხოვთ შეძლებისდაგვარად ყველაფერი გაიხსენოთ. ის რასაც თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, შეიძლება გამოძიებას გამოადგეს.
გრძელიძე ჩაფიქრდა.სათვალე ისევ მოიხსნა, გულ0დაგულ გაწმინდა ცხვირსახოცით, ისევ გაიკეთა და მიუგო:
– არა სხვარაიმე არ შემიმჩნევია.
– ექიმო , გთხოვთ საწყენად არ მიმიღოთ, ყველას თუ არა , ადამიანთა დიდ უმრავლესობას მაინც რაღაც თავისებური ახასიათებს, რაღაც სხვისგან განსხვავებული ჩვევა აქვს ეს კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. აი თქვენი,

მაგალითად , ამ ერთი საათის განმავლობაში სათვალე 7–ჯერ გაწმინდეთ, ეს ალბათ ჩვეულების ამბავია და ადამიანი უანგარიშოდ აკეთებს, – მინდელს კვლავ გაეღიმა.
გრძელიძე შეცბა, სიწითლე მოერია, შემდეგ გაოცებით შეხედა მინდელს.
– თქვენ მართალი ხართ, ეს ჩემი ჩვეულებაა და თითქმის მექანიკურად ვაკეთებ, არც მიფიქრია, რომ შეამჩნევდით, თქვენ კი დაგითვლიათ კიდევაც.
ექიმი ერთი წამით დაფიქრდა და შემდეგ ყოყმანით დაუმატა:
– იცით რა, დაბეჯითებით ვერ გეტყვით, მაგრამ მგონია ჭაღარა ფრჩხილებს იკვნეტავს.
ბალანჩივაძემ გაიცინა.
– აი, ხომ ხედავთ, ექიმო, თქვენც შეგიმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ჭაღარას თავისებურ, არცთუ მეტად ჰიგიენურ ჩვევაზე მიუთითებს.
– დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით! მე არ მეგონა , თუ ასეთ წვრილმანებს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა.
– თქვენ ნამდვილად გახსოვთ კიბის საფეხურების რიცხვი? – შემდეგი კითხვა დასვა მინდელმა.
–ნამდვილად ამხანაგო გამომძიებელო, აკი მოგახსენეთ, საფეხურები ისე, ანგარიშმიუცემლად, მეც არ ვიცი რატომ, მაგრამ ნამდვილად დავთვალე. მათი რაოდენობა მტკიცედ დამამახსოვრდა – 17, შემდეგ ბაქანი და კვლავ საფეხურები– 22 დამაცადეთ, დამაცადეთ... ახლა გამახსენდა, რომ იმ 22 საფეხურიდან ერთ ერთს, მერვეს თუ მეათეს, მარცხენა მხარე მოაჯირისაკენ ჩამოტეხი აქვს.
თვალახვეულმა ცხადია ვერ შევამჩნიე და კინაღამ დავეცი. ჭაღარამ ბოდიშიც კიმოიხადა ამის გამო.
– მოაჯირი ხისაა,
– არა, რკინის, დაკუთხული რკინის. როდესაც კიბეზე ავდიოდი, საცხელურს უთათმანო ხელით ვეხებოდი,
– შეგიძლიათ აგვიწეროთ ოთახები?
გრძელიძე ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:
პირველი ოთახი დაახლოებით 16–18 კვ. მეტრი იქნება: მაღალი ჭერი, შუაში ოთხკუთხა მაგიდა,რამოდენიმე სკამი, კუთხეში წიგნების თარო, ტახტი, მის პირდაპირ კედელზე ხალიჩა გახლავთ ჩამოკიდებული, რაც ტახტის ნაწილსაც ფარავს. სხვა ნივთები არ შემიმჩნევია. მეორე ოთახი უფრო დიდია, 20–22 კვ მეტრი. ძვირფასი ხის ორი საწოლი, სარკე, ჩინური ვაზა, ტუმბები, ტანსაცმლის დიდი კარადა, ჭერზე პატარა ზომის ბროლის ჭაღი, ნათურების რაოდენობა არ მახსოვს, მაგიდის პატარა აბაჟური.
– ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება წიგნებისათვის?
– არა ამხანაგო გამომძიებელო, მხოლოდ ი.ჭავჭავაძის თხზულებათა რამოდენიმე ტომი დავინახე.მართალი გითხრათ ტყვეობაში დროის მოკვლის მიზნით მინდოდა რაიმე წიგნით გამერთო თავი, მაგრამ ნება არ მომცეს, ახლოსაც არ მიმაკარეს თაროს.
– გარდა თქვენი მომტაცებლებისა, სხვა ხომ არავინ გინახავთ იქ?

– არა , არავინ.
– ლაპარაკიც არ მოგისმენიათ? – კვლავ შეეკითხა მინდელი
– არა , არ მომისმენია, როგორც მოგახსენეთ, დილას სასმე–საჭმელი ახალგაზრდამ შემოიტანა, საღამოს მანვე მოიტანა მოხარშული ქათამი და შემწვარი ხორცი, რა თქმა უნდა, ღვინო და კონიაკიც. სხვა არავინ მინახავს, არც საუბარი მსმენია. ჭაღარა ოთახიდან არ გასულა, თითქმის მთელი დრო დაჭრილთან გაატარა. ხანდახან გამოდიოდა ჩემთან, მესაუბრებოდა, და უკანვე გადიოდა. ახალგაზრდა კი მთელი დღე ჩემს ოთახში იჯდა, მხოლოდ წამოსვლამდე რამდენიმე წუთით გავიდა გარეთ.
დუმილი ჩამოვარდა. მინდელმა კალმისტარი აიღო, სუფთა ფურცელი გადანომრა და გრძელიძეს მიმართა:
– ექიმო მართალია გვიან არის, მაგრამ ცოტა ხნით კიდევ უნდა გაგაჩეროთ, ვიდრე თქვენს ჩვენებას წერილობით გავაფორმებთ და ხელს მოგაწერინებთ. შემდეგ კი მივიღებთ ზომებს თქვენი სახლში გაცილებისა და უშიშროებისათვის.
- მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგო გამომძიებელო, მაგრამ მე მგონია, თქვენ მთავარი დაგავიწყდათ. ამ თავაზიანმა ყაჩაღებმა ჩემი შრომისა და შიშის მეფური საზღაური გადამიხადეს. მე ავადმყოფის საშველად ხშირად ღამით ფეხით თუ ცხენით 10–20 კმ. გამივლია, მაგრამ ფული პატიოსანი ხალხიდანაც არ ამიღია, მხოლოდ ექიმის მოვალეობას ვასრულებდი. და მით უმეტეს, დღეს ასეთი გზით აღებული ფული ჩემთვის არ არის საჭირო.
გრძელიძემ ჯიბეში ხელი ჩაიყო, გაკეცილი ასმანეთიანები ამოიღო და მინდელს წინ მაგიდაზე დააწყო.
ბალანჩივაძეს გაეღიმა.
- თქვენი უანგარობის მტკიცება ჩვენთვის საჭირო არ არის, საკმაოდ გიცნობთ და ეჭვი არ გვეპარება რაიმეში, ფულს კი უსათუოდ დავიტოვებთ. ის საქმეს უნდა დაერთოს.
- პატივცემულო დავით! – მიმართა მინდელმა ბალანჩივაძეს, – მე ისე სასწრაფოდ წამოვედი თქვენთან, არც კი მომგონებია კაპიტან ჩრდილელის გაფრთხილება, ის ალბათ პროკურატურაში მეძებს. იქნებ გააფრთხილოთ მორიგე აქ გამოგზავნოს ჩრდილელი. ვატყობ, ამაღამ არ ერთ ჩვენგანს ძილი არ გვიწერია. საჭირო იქნება სწრაფი მოქმედება. ვიდრე მე ამხანაგ გრძელიძის ჩვენებას გავაფორმებ, აუცილებელია ოპერbr/ატიული ჯგუფის თავმოყრა და შემდგომი მოქმედების გეგმის შემუშავება.
– კეთილი, კეთილი! ოპერმუშაკები ყველანი ადგილზეა, შეტყობინების გარეშე არც ერთი მათგანი არ მიდის განყოფილებიდან.
ბალანჩივაძემ ზარის ღილაკს თითი დააჭირა და შემოსულ სერჟანტს უბრძანა: 20 წუთის განმავლობაში შეეკრიბა მი კაბინეტში ყველა ოპერატიული მუშაკი.

თავი III

კვლავ გადაუღებლივ თოვდა.

ეძინა ქუთაისს, შრომით დაღლილი ქალაქი ისვენებდა, ღონეს იკრებდა. არ ეძინა მხოლოდ მილიციის საქალაქო განყოფილებას, სადაც თავი მოეყარა მთელ აპარატს. ბალანჩივაძის კაბინეტში თათბირი მიმდინარეობდა. აქ იყო პროკურორი ხომერიკიც.
მინდელმა შეკრებილთ გააცნო ქირურგ გრძელიძის მოტაცების ამბავი და მისი დაკითხვიდან გაკეთებული დასკვნები.
– საქმე მეტად სერიოზულია, – განაცხადა მან ინფორმაციის დასასრულს. – მართალია ჯერჯერობით არავითარი იურიდიული მონაცემები არ გაგვაჩნია, რომ გრძელიძის მოტაცება ტყეშელაიძის მკვლელობასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ ეს დაჭრილი დაესხა თავს ტყეშელაიძის ოჯახს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ბოროტმომქმედნი გამოცდილნი, თავისი საქმის მცოდნე, მოხერხებული და გამბედავი ნაძირალები არიან. მაგრამ როგორი ძლიერი და ჭკვიანიც არ უნდა იყოს დამნაშავე, როგორც არ უნდა ფრთხილობდეს იგი, კვალს მაინც ტოვებს. არ არსებობს დანაშაული კვალის გარეშე. უნდა შეგვეძლოს ამ კვალის პოვნა,უნდა შეგვეძლოს მოვლენათა ჯაჭვში მხოლოდ მთავარი რგოლის მოძებნა, რომ ხელი ჩავჭიდოთ და მისი საშუალებით დანაშაულის მთელი არსი გამოვიტანოთ დღის სინათლეზე.
ექიმ გრძელიძის ჩვენება მეტად საინტერესო მონაცემებს შეიცავს, რაც სასწრაფო შემოწმებას და მთელი ოპერატიული ჯგუფის დაძაბულ შრომას მოითხოვს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, დამნაშავენი ფრთხილობენ. დაჭრილი ოპერირებულია და პირველი შეძლებისთანავე შეეცდებიან დატოვონ ქუთაისი. დიახ, ქუთაისი! რადგან მე დარწმუნებული ვარ, ისინი ქუთაისში იმყოფებიან, თუმცა გრძელიძე ამტკიცებს, რომ ის ქალაქგარედ ჰყავდათ წაყვანილი. საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები ბანდიტების ბუნაგის აღმოსაჩენად. ეს არის მთავარი რგოლი ტყეშელაიძის საქმეში და ჩვენც მას უნდა ჩავჭიდოთ ხელი. ჩვენ გვაქვს სამი დამნაშავის, თუმცა არასრული, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათელი სიტყვიერი პორტრეტი. ვიცით რომ სახლი , რომელშიაც ისინი იმალებიან, ორსართულიანია, შესასვლელი ეზოდან აქვს და ბინას უკავშირდება ორ მარშიანი კიბით. კიბე გადაუხურავია. ქვის 39 საფეხურს შეიცავს, მეორე მარშის ერთ–ერთი საფეხური მარცხენა მოაჯირისაკენ ჩამოტეხილია. ასეთი მონაცემებით არცთუ ისე ადვილია სახლის პოვნა, თანაც ქუთაისი საკმაოდ დიდი ქალაქია და ორსართულიანი სახლიც ბევრია, მაგრამ გვაქვს კიდევ ერთი თავისებურება–დიდი თოვლის გამო გარეუბანში ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობს. აქედან დასკვნა: ჩვენთვმს საინტერესო სახლი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და ძებნაც აქ უნდა ვაწარმოოთ.– მინდელმა პნგაპიროსს მოუკიდა. ღრმად მოქაჩა, შემდეგ საათს დახედა და განაგრძო:–ახლა ღამის 3 საათია. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი წუთი.საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ღონისძიების გატარება:უნდა გაისინჯოს ქუჩებში მოძრავი ყველა მსუბუქი მანქანა. ეჭვის გარეშეა,ბანდიტებს საკუთარი მანქანა ჰყავთ, ეს დადასტურებულია ექიმის ჩვენებით. დამნაშავეთა მანქანის

უკანა სავარძლის მარცხენა ნაწიოი დაზიანებულია, ზამბარა აქვს ამოვარდნილი. აღმოჩენის შემთხვევაში მანქანა და შიგ მსხდომი დაკევებული უნდა იქნენ რაიმე უმნიშვნელო მიზეზით: საჭიროა ახლავე დაუკავშირდეთ ქალაქის საარქიტექტურო სამმართველოს დატექნიკური აღრიცხვის ბიუროს. ხვალისათვის ჩვენს ხელთ უნდა იყოს ჩემს მიერ აღწერილ სახლების სია, რის შემდეგ მოვახერხებთ საბაბის პოვნას ამ ბინებში შესასვლელად. გახსოვდეთ, ჭაღარა და მისი დამქაშები ჩვეულებრივი ქურდბაცაცები როდი არიან მცირედი ეჭვი, რომმათ ჩავარდნის საფრთხე ნმუქრებათ, საკმარისია ახალი მკვლელობის ჩასადენად. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, – დაამთავრა მინდელმა. შემდეგ ისევ პაპიროსს მოუკიდა და დაჯდა.
– შეიძლება? – წამოდგა ოპერატიული ქვეგანყოფილების უფროსი, მაიორი თედიაშვილი. ბალანჩივაძემ უსიტყვოდ დაუქნია თავი.
– რა მონაცემები გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენთვის საინტერესო სახლი ქუთაისში მდებარეობს? გრძელიძე ამტკიცებს, მანქანამ დაახლოებით 30 კმ გაიარაო. ამტკიცებს აგრეთვე, რომ გადალახეს საკმაოდ დამრეცი დაღმართი და ეს მან წნევის ცვალებადობით იგრძნო. ავტოინსპექტორ დევდარიანის ნახაზითაც დადგენილია, რომ ჩიხში გრძელიძის მიტოვების შემდეგ მანქანა წერეთლის ქუჩით ლითოფონის ქარხნის ე.ი. მაიაკოვსკის მიმართულებით წასულა. განა ყველა ეს არ გვაფიქრებინებს, რომ ექიმი ქალაქგარეთ ჰყავდათ წაყვანილი?
– არა! – უპასუხა პროკურორმა ხომერიკმა, – ჩვენთვის საინტერესო სახლი ქუთაისში მდებარეობს. ეს დასკვნა მე, ამხანაგ ბალანჩივაძემ და მინდელმა სწორი ლოგიკური ფაქტების ანალიზის შედეგად გავაკეთეთ. როგორც ირკვევა, ტყეშელაიძის მკვლელი საკმაოდ მძიმედ არის დაჭრილი, ისე მძიმედ, რომ ჭაღარა ჩავარდნასაც არ მოერიდა და დაჭრილის საოპერაციოდ ქალაქის ერთ–ერთი ცნობილი ქირურგიც კი მოიტაცა, და მოიტაცა დანაშაულის ჩადენიდან დაახლოებით ერთნახევარი, ორი საათის შემდეგ. ხოლო ამ დროის განმავლობაში ბანდიტები რაიონში ჩასვლას და უკანვე ჩამოსვლას ვერ მოასწრებდნენ. ნუ დაგავიწყდებათ. აგრეთვე ისიც, რომ ვიდრე ექიმის მოტაცებას გადაწყვეტდნენ, ჭაღარამ თვით აღმოუჩინა დაჭრილს სათანადო სამედიცინო დახმარება, ამასაც დრო სჭირდება. ლოგიკურია ისიც, რომ ჭაღარამ დიდი ჭოჭმანისა და უკიდურესი აუცილებლობის გამო გასწია რისკი ექიმის წაყვანისა და ვიდრე ეს გადაწყვეტილება მიიღო,საკმაო დრო გავიდა. თუ ყველა ამას გავითვალისწინებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ ბანდიტები ქუთაისში არიან მოკალათებულნი.
– გარდა ამისა, პროფესიული დამნაშავეები ყოველთვის ერიდებიან სოფელ–დაბებში დაბინავებას. კარგად იციან, იქ უცხო ხალხი ადვილი შესამჩნევია. ესეც მინდელის მინდელის დასკვნის სასარგებლოდ ლაპარაკობს, – დაუმატა პოლკოვნიკმა.
– რაც შეეხება დაღმართს და 30 წუთის განმავლობაში მგზავრობას, – განმარტა მინდელმა, – ეს ჭაღარას ჭკვიანური მოსაზრების ნაყოფია. მიუხედავად მუქარისა, ის უეჭველად ითვალისწინებდა გრძელიძის მოტაცების გამჟღავნების შესაძლებლობას, ამიტომ შეეცადა მოხერხებულად დაებნია კვალი მანქანა

ქალაქში ატარა, ხოლო ჯაფარიძის,მიასნიკოვის, მახარაძისა და თბილისის ქუჩებს ისეთი დაქანება აქვთ, რომ მანქანის დაშვება დაავადებულ კაცს წნევის ცვალებადობას. არის კიდევ ერთი გარემოება, რაც სავსებით გამორიცხავს დამნაშავეთა ბუნაგის ქალაქის ტერიტორიის გარეთ არსებობას: ყოველი დამნაშავე როგორი მოხერხებულიც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად უშვებს ერთი შეხედვით მცირე, თითქმის შეუმჩნეველ, შეცდომას. ასე მოუვიდა ჭაღარასაც: მანი ჩიხში მიტოვებულ გრძელიძეს სიკვდილის მუქარით აუკრძალა წუთის განმავლობაში თვალსახვევის მოხსნა. ეს დრო სავსებით საკმარისია წერეთლის ქუჩის მეოთხე ჩიხიდან ქალაქის, რომელიც გნებავთ ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქუჩაზე მისასვლელად, ხოლო ძალზე მცირეა რაიონში ჩასასვლელად.
კაბინეტში ცოტა ხნით სიწყნარე ჩამოვარდა.
– მაშ ასე ამხანაგებო, – წამოდგა პოლკოვნიკი, – ამოცანა ნათელია. თუმცა დაჭრილი მძიმე მდგომარეობაშია დაექიმმაც აუკრძალა ჭაღარას მისი განძრევა, მაგრამ გამორიცხული არ არის,რომ ისინი ამაღამვე შეეცდებიან თანამზრახველებით ქალაქიდან გასვლას.ქალაქის ყველა მისასვლელები უნდა ჩაიკეტოს, შეიკრას! ქუთაისიდან შეუმოწმებელი ვერ უნდა გავიდეს ვერც ერთი მანქანა!
– ამხანაგო გრიგოლ! – მიმართა მან მელოტ მაიორს, ერთერთი განყოფილების უფროსს, – დაუკავშირდით სამტრედიას, ზესტაფონსა და ხაშურს, გადაეცით შეამოწმონ ქუთაისიდან მიმავალი ყველა მანქანა,გამორიცხული არ არის , რომ დამნაშავეთა ჯგუფი უკვე გავიდა ქალაქის ტერიტორიიდან. საქმის საერთო გამოძიებას ამხანაგი მინდელი ხელმძღვანელობს მილიციის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელობას კი კაპიტან ჩრდილელს ვავალებ. თუ შეკითხვები არ არის, შეუდექით დავალების შესრულებას.
ყველა წამოდგა.
– ამხანაგო შალვა,თქვენ ცოტა ხნით დარჩით,ზოგიერთ საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ, თან ჩიკვაიძის დაკითხვის მასალებს გაგაცნობთ, – მიმართა მინდელმა კაპიტანს.
– ახლავე, – უპასუხა ჩრდილელმა, – ამხანაგებს დავალებას გავუნაწილებ და დავბრუნდები.
კაბინეტში ბალაჩივაძე, ხომერიკი და მინდელი დარჩნენ.
ბალანჩივაძემ ბორჯომის ბოთლი გახსნა,წყალი ჭიქაში ჩაასხა, ხომერიკსა და მინდელს შესთავაზა და თვითონაც დალია.შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო და თავის ბინას დაუკავშირდა.
– ნინა, დავითი ვარ, როგორ არის ბავშვი? ჰო, კარგი, კარგი, მე დამაგვიანდება. შეიძლება დილამდე ვერ მოვიდე. ნუ დარდობ , შიმშილით არ მოვკვდები,– დაუმატა ღიმილით და ყურმილი დაკიდა.
ხომერიკს გაეცინა.
– ყველგან ასეა, ჩემი მუშაობის 15 წლის მანძილზე გამოძიების ყველა მუშაკის ოჯახში ერთი და იგივე მესმის:„ როდის დაიძინებ?„ „როდისისადილებ?„

„როდის მოიცლი ოჯახისთვის?„ „ბავშვებისთვის?„ და იცით რა, მე მგონია, თავისებურად მართალნი არიან ცოლები. მათაც ხომ აქვთ მოითხოვონ ქმრისაგან ის, რაც ჩვეულებრივი და ასე ხელმისაწვდომია სხვა დარგის მუშაკთა ცოლებისათვის?
– რა თქმა უნდა თავისებურად არიან მართალნი, – ღიმილით უპასუხა პოლკოვნიკმა და განაგრძო: – მაგრამ არც ჩვენ ვართ მტყუანი. ჩვენ მათ და სხვა ასებისა დაათი ათასების ძილს ვდარაჯობთ, ხოლო როცა სადარაჯოზე ხარ ფხიზლად უნდა იყო. ნინას ეს ესმის, სხვებსაც, მაგრამ ოჯახი თავისას მოითხოვს. ხანდახან ხომ რამდენიმე ღამე ისე გაივლის მხოლოდ ერთი ორი საათით თუ წაიძინებ. ასეთ დროს ჩემი მეუღლე უეჭველად აბუზღუნდება და გულს იმით იოხებსრომ, სერიოზულად მარწმუნებს, – შენ ერთადერთი ღამურა ხარ ჩვენს ოჯახში და ღმერთმა ნუ ქნას, შვილებიც შენს გზას დაადგნენო.
სამივეს გაეცინა.
კაბინეტის კარი ჩრდილელმა შემოაღო.
– შეიძლება? – იკითხა მან.
– შემოდი, შალვა, შემოდი!–ნება დართო პოლკოვნიკმა.
ჩრდილელი მაგიდასთან ლევანის გვერდით დაჯდა,საქაღალდედან რამდენიმე ფურცელი ამოიღო და გამომძიებელს გაუწოდა.
– დაკითხვის ოქმებია, – განმარტა მან.
ლევანმა ქაღალდები ჩამოართვა, ჩუმათ გადაიკითხა,რამდენიმე სტრიქონს წითელი ფანქრით ხაზი გაავლო და შემდეგ ჩრდილელს ჰკითხა:
– როგორ იქცეოდა ჩიკვაიძე დაკითხვაზე?
კაპიტანი არ აჩქარებულა, ერთხანს დუმდა, შემდეგ კი უპასუხა:
– ჩიკვაიძე მე პირველად დღის 6 საათზე დავკითხე. ცოტა უხერხულიც იყო მისი გამოწვევა, რადგან ის არის ახლა ერთადერთი ნუგეში დაქვრივებული ქალისა და ტყეშელაიძის დაკრძალვამდე არ მინდოდა ოჯახის შეწუხება, მაგრამ მაინც გავუგზავნე უწყება. მოვიდა. ძალზე შეწუხებულია. მხოლოდ ეს არის,რატომღაც მომეჩვენა, რომ მისი მწუხარება უფრო ღრმაა,ვიდრე მოკლულის ნათესავს ან შვილს შეიძლება ჰქონდეს.
დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი: სოფელ იანეთიდან, სადაც მისი დედა ცხოვრობს, დეპეშა მიუღია დედის ავადმყოფობის შესახებ.ბინის გასაღები მეზობელ გორდელაძისთვის დაუტოვებია და ავტობუსით სოფელში წასულა. სოფლიდან 13 იანვარს უნდა დაბრუნებულიყო, ასე დაუბარებია გორდელაძისათვის. მეორე დღის 2 საათზე შეატყობინეს ალექსანდრე ტყეშელაიძის სიკვდილი. არაფრით არ დაეჯერებინა, რადგან დედამისი და ალექსანდრე თბილისში იყვნენ წასული და იცოდა 15 იანვრამდე არ დაბრუნდებოდნენ. შემდეგ როდესაც დაერწმუნებიათ, თავის დედასთან ერთად ჩამოსულა.

– დედასთან ერთად? – გაუეკვირდა მინდელს.

– დიახ დედასთან ერთად! ამას მეც მივაქციე ყურადღება, მაგრამ ჩიკვაიძისათვის არ მიგრძნობინებია, გავუშვი. შემდეგ სასწრაფოდ ტელეგრაფში წავედი და იანეთიდან 11 იანვარს გამოგზავნილი დეპეშის ასლი მოვითხოვე. არ აღმოჩნდა. ჩემი თხოვნით ტელეგრაფის უფროსი მაშინვე დაუკავშირდა იანეთის სფოსტო განყოფილებას, საიდანაც გვიპასუხეს, რომ არავითარი დეპეშა ტყეშელაიძის, არც ჩიკვაიძის სახელზე საფოსტო განყოფილებაში მიღებული არ ყოფილაო.
– შემდეგ? – იკითხა ხომერიკმა, რომელიც ბალანჩივაძესთან ერთად ყურადღებით უსმენდა ჩრდილელს.
– მე უკვე ეჭვი დამებადა ჩიკვაიძიყ ჩვენების სისწორეში და გადავწყვიტე მისი პირვნების შეახებ ცნობები შემეკრიბა. პირველ რიგში ინსტიტუტში წავედი. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა არასახარბიელოდ დაახასიათა ჩიკვაიძე: ცუდად სწავლობს, ხშირად სვამს, ინსტიტუტში არავისთან არ მეგობრობს, სტილიაგობს. გასული წლის ოქტომბერში უღირსი საქციელისათვის, რაც მისივე სოფლელი სტუდენტი ქალიშვილის გალახვაში გამოიხატა, ჩიკვაიძის საკითხი დირექციისა და კომკავშირის კომიტეტის მსჯელობის საგანი გამხდარა. ინსტიტუტში პირობით დაუტოვებიათ, ხოლო კომკავშირის კომიტეტს სასტიკი საყვედური ჩაუწერია სააღრიცხვო ბარათში.
– რატომ უცემია ქალიშვილი ჩიკვიძეს?–გააწყვეტინა მოხსენება პოლკოვნიკმა ჩრდილელს.
– საბედნიეროდ გალახული გოგონა ინსტიტუტში აღმოჩნდა, ვესაუბრე, შემდეგ დავკითხე,– ჩრდილელმა სსაქაღალდიდან რამოდენიმე ფურცელი ამოიღო და განაგრძო: – მე ვფიქრობ, ეს გოგონა გულგრილი არ არის ანზორ ჩიკვაიძისადმი. მაგრამ ამის თაობაზე არაფერი მიკითხავს, მოვერიდე როგორც ეტყობა, თამარ ლეჟავას–ასე ჰქვია სტუდენტ ქალიშვილს, – არ მოსწონდა ჩიკვაიძის ქცევა, მისი სისტემატიური სმა და საეჭვო პირებთან მეგობრობა. ანზორი გატაცებული ყოფილა პოკერის თამაშით. ერთხელ ნასვამს თვითონვე დაუტრაბახებია ქალიშვილთან გუშინ 2000 მანეთი მოვიგეო. ლეჟავა აღშფოთებულა და დამუქრებია, თუ ამ სისაძაგლეს არ მოეშვები, დეიდაშენს ვეტყვიო ანზორმა პირობა მისცა, მაგრამ არ შეასრულა. რამდენიმე ხნის შემდეგ თამარს მუქარა აუსრულებია და ანზორის დეიდასთვის ყველაფერი უთქვამს. რა ზომები მიიღო ტყეშელაიძის მეუღლემ, ეს ლეჟავასთვის უცნობია, ხოლო მეორე დღეს ინსტიტუტში მოსულ ანზორს საჯაროდ გაულანძღავს ქალიშვილი და ხელითაც შეხებია.
როგორც ჩანს , ინსტიტუტში კარგად ვერ დგას ახალგაზრდობის აღზრდის საქმე. კომკავშირის კომიტეტმა და დირექციამ არც კი იციან საქმის ნამდვილი არსი, რადგან პოკერის თამაშის შესახებ ლეჟავას არაფერი გაუმხელია, ცემა რაღაც სხვა გარემოებით აუხსნიათ და საქმე ამით გათავებულა, რომ ჩიკვამძეს ბიუროზე ბოდიში მოუხდია და პატიება უთხოვია.
– გამოარკვიეთ ვისთან მეგობრობს ჩიკვაიძე? – იკითხა მინდელმა.
– ვერა, ლეჟავა ჩიკვაიძის მეგობრებს არ იცნობს.უნახავს რამდენიმეჯერ ორ ახალგაზრდასთან ერთად ქალაქში, მაგრამ მათი ვინაობა არ იცის, სახით ორივეს

იცნობს, ხოლო ვინ არიან, ქუთაისში ცხოვრობენ თუ სხვაგან, ან რა საქმიანობას ეწევიან, მისთვის ცნობილი არ არის.
შევკრიბე რა ეს ცნობები, ხელმეორედ გამოვიძახე ჩიკვაიძე. მან კატეგორიულად უარყო ყველაფერი. ლეჟავას ცემა კი დაადასტურა და განაცხადა:გასაქანს არ მაძლევდა, სულ კუდში დამსდევდა, საშინლად ეჭვიანობდა ყველა ქალიშვილზე და პრეტენზიებს აცხადებდა ჩემზე, თუმცა ამის საბაბი არ მიმიციაო. მოვთხოვე დეპეშა. მიპასუხა სადღაც დავკარგეო.
თქვენგან არაერთხელ მსმენია გამომძიებლის ინტუიციისა და იმის შესახებ, რომ უნდა გჯეროდეს ამ გრძნობისა,ამიტომ გადავწყვიტე ჩიკვაიძე კიდევაც დამეკავებინა, მაგრამ საამისო საფუძველი ჯერ არ მქონდა და შევყოყმანდი, მერე უხერხულადაც ჩავთვალე ეს ღონისძიება. შეიძლება ჩემი ვარაუდი არ გამართლებულიყო და, წარუხოცელ ჩირქს მოვცხებდი ახალგაზრდა კაცს. ზოგიერთის თვალში ის თავისი აღმზრდელი ბიძის, დეიდის ქმრის მკვლელი დარჩებოდა, და ეს სამუდამოდ დაამახინჯებდა მის ცხოვრებას. ამიტომ დავამთავრე თუ არა დაკითხვა, ჩიკვაიძე გავუშვი.
– რომელ საათზე გაუშვით ჩიკვაიძე? – მოუთმენლად იკითხა მინდელმა.
– პირველ საათს ხუთი წუთი აკლდა.
– უსწოროდ მოქცეულხართ, ამხანაგო შალვა,ჩვენი თანხმობის გარეშე მეორედ არ უნდა დაგებარებიათ ჩიკვაიძე, ეს შეცდომაა,ხოლო მეორე შეცდომა ის გახლავთ,რომ არ დააკავეთ. როგორ ფიქრობთ, თუ ჩიკვაიძე ტყეშელაიძის მკვლელობის მონაწილეა, თანამზრახველები თვალყურს არ ადევნებენ? ეს ხომ ჩვენი მუშაობის სრული გაშიფვრაა! როგორ დაუშვით ასეთი რამ? – მკაცრად მიმართა ხომერიკმა.
ჩრდილელი შეკრთა.
კაბინეტში შემოსვლამდე დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ჩინებურად გააკეთა, სწრაფი ოპერატიული მოქმედებით ამხილა ჩიკვაიძის სიყალბე. საჭმელიც არ გახსენებია, მთელი დღე საჭირო ცნობების შეკრებასა და ლეჟავას მოანდომა. ახლა კი ...ხომერიკის მკაცრი შენიშვნის შემდეგ მიხვდა, თუ რა დიდი ვნება შეეძლო მოეტანა საქმისათვის მის თვითნებურ მოქმედებას.
– მკვლელობაში ჩიკვაიძის მონაწილეობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. ადამი აფთარი უნდა იყო, რომ აღმზრდელი ბიძა ასე ვერაგულად გაიმეტო. მერე და, რისთვის უნდა მოეკლა? თუ გაძარცვა სურდა, ბინა მის განკარგულებაში იყო, შეეძლო თავისუფლად გაეტანა რაც უნდოდა.გარდა ამისა, შეგროვილი მასალებიდან ჩანს, რომ ტყეშელაიძე ფულსა და ძვირფასეულობას დაკეტილშიარ ინახავდა. 2500 მანეთის სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობილიგაცია, რაც ბოროტმოქმელდებმა საათებთან ერთად გაიტაცეს, დაუკეტავ კარადაში ინახებოდა. ეს ანზორმაც იცოდა, მაგრამ ობლიგაციისათვის ხელი არასოდეს უხლია. არა, მე არ ვამართლებ ჩრდილელის მოქმედებას, ეს ოპერატიული თვალსაზრისით შეცდომაა, დიდი შეცდომაა, მაგრამ არა მგონია ჩიკვაიძეს რაიმე კავშირი ჰქონდეს ტყეშელაიძის მკვლელობასთან, – წარმოთქვა პოლკოვნიკმა და მინდელს შეხედა.

მინდელი დუმდა. პაპიროსის ნამწვავი საფერფლეში ჩასრისა, ჩააქრო, შემდეგ ახალ პაპიროსს მოუკიდა.
– მე...მე არ მეგონა, ამხანაგო პროკურორო, თუ ჩემი მოქმედება საფრთხეს შეუქმნიდა საქმის გახსნას, ახლა კი ვგრძნობ, შეცდომა დამიშვია, – სინანულით ჩაილაპარაკა ჩრდილელმა და თავი ჩაკიდა.
– ეს მარტო ჩრდილელის შეცდომა არ არის,მეც ვარ დამნაშავე,ჩიკვაიძის დაკითხვა სხვისთვის არ უნდა მიმენდო. ამ საქმისათვის თვითონ უნდა მომეკიდა ხელ. მით უმეტეს რომ...
ტელეფონის ზარმა მინდელს სიტყვა გააწყვეტინა.
ბალანჩივაძემ ყურმილი აიღო.
– გისმენთ! სად? რომელ საათზე? კარგი, გასაგებია, – ყრუდ დაამთავრა მოკლე საუბარი.
– რა მოხდა? – შეეკითხა ხომერიკი გაფითრებულ პოლკოვნიკს
– 35 წუთის წინ, ღამის 4 საათზე, წულუკიძის ბაღში საბაგირო გზის სადგურთან შემოსვლისას, გუშაგმა მილიციელმა გვამი აღმოაჩინა, როგორც ჯიბეში ნაპოვნი საბუთებით დასტურდება, მოკლული ახალგაზრდა ანზორ ილიას ძე ჩიკვაიძეა. ხომერიკს ასანთის ასაღებად გაწვდილი ხელი გაუშეშდა. ჩრდილელი მოწყვეტით დაეცა სკამზე.
– კიდევ ერთი მსხვერპლი! კიდევ ერთი მკვლელობა! ჭაღარას ბანდა მტკიცედ მოქმედებს, – დაიგმინა მინდელმა.

თავი IV

გათენდა. მთელი ღამის უძილო, დაღლილი მინდელი თავის საწერ მაგიდასთან იჯდა და გვამის აღმომჩენ მილიციელის ჩვენებას აფორმებდა.
მილიციის უფროსი სერჟანტი, ახვლედიანი, დინჯად და დალაგებით გადასცემდა მომხდარ ამბავს:
– ცვლა ღამის 12 საათზე ჩავიბარე.მოგეხსენებათ, ჩემი საპატრულო უბანი არც თუ ისე მცირე ტერიტორიას მოიცავს. ღამის ლდაახლოებით 12 საათსა 40 წუთზე სასტუმრო „ქუთაისიდან„ თეთრი ხიდის მიმართულებით წავედი. ხიდთან მდებარე სკვერი და საბაგირო გზის სადგური დავათვალიერე, შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს გავედი და მაღაზიები შევამოწმე. რადგან საეჭვო არაფერი შემიმჩნევია, უკანვე,სასტუმროსაკენ დავბრუნდი.

გადაუღებლივ თოვდა. ქუჩაში თითქმის არავინ იყო.
როდესაც სასტუმროს მიუახლოვდი, ორი ახალგაზრდა დავინახე, ერთმანეთს ათიოდე მეტრით დაშორებულნი, თეთრი ხიდის მიმართულებით მიდიოდნენ. ყურადღებასაც არ მივაქცევდი ალბათ, მაგრამ როგორც აღვნიშნე, დაცარიელებულ ქუჩაში სხვა არავინ იყო. უხმოდ ამიარეს გვერდი და შესახვევში თვალს მიეფარენ. დაახლოებით ერთი საათი სასტუმროსთან დავყავი, შემდეგ ისევ გავაგრძელე საპატრულო უბნის შემოვლა. როცა სკვერთან მივედი, საათს

დავხედე,– 3 სრულდებოდა. აქ ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიქცია–გზის მარჯვენა მხრიდან სკვერის მიმართულებით გაუტეხავ თოვლში აშკარად ჩანდა ფეხის კვალი.გამიკვირდა, საბაგირო გზა არ მუშაობდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ვინმეს სკვერში? გულდასმით დავაკვირდი ფიფქი თოვლით თითქმის ამოვსებულ ნაკვალევს. სულ ადვილად გავარკვიე, რომ ორ ადამიანს გაევლო. მაგრამ საკვირველი ის უფრო იყო, უკან დაბრუნების კვალი არ ჩანდა. მაშასადამე, ისინი,ვინც რამდენიმე ხნის წინ სკვერში შევიდნენ, ჯერ ისევ იქ იყვნენ. გადავწყვიტე,გამომერკვია. რაში იყო საქმე და კვალს მივყევი. ბევრი არ მივლია, მივუახლოვდი თუ არა საბაგირო გზის სადგურს,ვაგონის მისაღებ ბაქნის ქვეშ თოვლისაგან დაუფარავ ადგილზე რაღაც შავი საგანი შევამჩნიე, მწოლიარე ადამიანად მივიღე და შევუძახე. ის არ განძრეულა. ახლოს მივედი, მართლთც ადამიანი აღმოჩნდა ცემენტის იატაკზე გულაღმა გაწოლილი. მთვრალია, გავიფიქრე მე და ხელი მოვკიდე, მაგრამ შევეხე თუ არა დავრწმუნდი, უკვე მკვდარი იყო. რაღა უნდა მექნა საგანგაშოდ გავისროლე. რამდენიმე წუთში მეზობელ საგუშაგოდან მილიციელი მოვიდა. ის გვამთან დავტოვე, მე კი ყოველივე ტელეფონით ვაცნობე მილიციის განყოფილების მორიგეს, – დაამთავრა ახვლედიანმა.
– ხომ არ დაკვირვებიხართ სასტუმროსთან შეხვედრილ ორ მოქალაქეს? – შეეკითხა მინდელი.
– არა, არ დავკვირვებივარ.

– ხომ არ ფიქრობთ რომ ისინი ერთად იყვნვნ?
უფროსი სერჟანტი ცოტა ხანს დადუმდა.
– არა,არ ვფიქრობ. მე მგონი ისინი ერთმანეთის სრულიად უცნობი იყვნენ და თვითეული მათგანი თავისი გზით მიდიოდა.მე არ ვიცი ვინ იყვნენ გამვლელები, მაგრამ ჩემი აზრით, ის მოკლული რომელიმე მათგანი არ არის.
– რატომ გგონიათ?
– ამის ახსნა არ შემიძლია, ამხანაგო გამომძიებელო,მაგრამ ვფიქრობ, მოკლული არც ერთ მათგანს არ ჰგავს.
– განა თქვენ დააკვირდით უცნობებს?
– არა არ დავკვირვებივარ, მაგრამ მაგრამ მოკლულს მაინც ვერ ვამგვავნებ რომელიმე მათგანს.
– კეთილი.
მინდელს მეტი კითხვა არ დაუსვამს.სწრაფად გააფორმა ჩვენება და ახვლედიანი გაუშვა. შემდეგ შუბლი მოისრისა და ჩაფიქრდა.
უფროსისერჟანტის ჩვენებას ახალი არაფერი მოუტანია უკვე შეკრებილი მასალებისათვის.
ჯერ კიდევ გათენებამდე მინდელმა, ხომერიკმა და ბალანჩივაძემ სასმართლო–სამედიცინო ექსპერტთან ერთად გულდასმით გამოიკვლიეს მკვლელობის ადგილი. დათვალიერებაში გართულთ შეუმჩნევლად შემოელიათ ღამე და ალიონის მკრთალ, ნაცრისფერ სინათლეზე ოთხივემ კარგად გაარჩია, ბებერი

ჭადრისაკენ წასული მკვლელი ქვის გალავანზე აფოფხებულიყო და გალავნის იქით მდებარე სკოლის ეზოდან უკვალოდ გამქრალიყო.
მკვლელობის ადგილზე რაიმე თვალსაჩინო კვალი ვერ იქნა აღმოჩენილი. მინდელმა ისიც კი არ იცოდა, რამდენ ხანს იდგნენ საბაგირო გზის სადგურთან მკვლელი და მოკლული, რადგან დგომის ადგილს ბაქანი ფარავდა და ცემენტის იატაკი თოვლით არ იყო დაფარული. მხოლოდ ერთი რამ დაადგინა მტკიცედ: ჩიტკვაიძის მკვლელი მარტო იყო, ჭადრისაკენ მხოლოდ ერთი ადამიანის კვალი მიდიოდა. ადგილზე მისვლამდე მინდელს კიდევ გააჩნდა მცირე იმედი, იქნებ მოკლული სხვა იყოსო, მაგრამ ეს იმედი მალე გაქრა, ჩრდილელმა ამოიცნო მასთან რამდენიმე საათის წინ დაკითხვაზე მყოფი ჩიკვაიძე.
როდესაც გვამი გასინჯეს, ყველა სხატად დარჩა–ცხედარს მარცხენა ძუძუში თვითნაკეთი ბებუთის სისტემის დანა ბოლომდე ჰქონდა ჩასობილი. პირისა და ტარის გამყოფი ჩანგალიც კი ჭრილობაში იყო შესული. ექსპერტმა იქვე ივარაუდა: დანის დარტყმა დიდი ძალით იყო მომხდარი,სიკვდილი ელვისებური იქნებოდა. გვამის გაკვეთამ დაადასტურა ექსპერტის წინასწარი მოსაზრება. დანას ნეკნი გაეტეხა და ანზორისათვის გული გაეგმირა.
ყველაფერი ეს ლოგიკურად მიუთითებდა, რომ ჩიკვაიძე მკვლელობის მსხვერპლი იყო. მაგრამ, როდესაც საავადმყოფოში ჭრილობიდან ამოღებული დანა დაათვალიერეს,გამომძიებლის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: დანის ტარზე გარკვევით ჩანდა ამოჭრილი სახელი „ანზორი„.
„ვისია დანა? ნუთუ ანზორის? ხოლო თუ ჩიკვაიძისაა, საიდან გაჩნდა ის მკვლელის ხელში? იქნებ ჩიკვაიძემ ვერ აიტანა ბიძის სიკვდილი და თავი მოიკლა? – ზედიზედ გაუელვა ამ კითხვებმა გონებაში გამომძიებელს დანის დათვალიერებისას, – არა, – დაასკვნა მან, – ყველაფრის დაშვება შეიძლება, მაგრამ თვითმკვლელობისა კი არა. დანის დარტყმის მიმართულება და ჭრილობა ამასარგვაფიქრებინებს.ასეც არ იყოს, ანზორ არ შეეძლო თავი მოეკლა. მაგრამ დავუშვათ,ჩიკვაიძე ბიძის სიკვდილში ერია დაჩრდილელის მიერ მეორედ დაკითხვისას დარწმუნდა, გამოძიებამ რაღაც კვალს მიაგნო? იქნებ საშინელი სინამდვილისგამომჟღავნებას სიკვდილი არჩია? მაგრამ მაშინ რა უნდოდა სკვერში? ან ვინ არის ის, ვინც თან შეჰყვა საბაგირო გზის სადგურში?„ – ფიქრობდა გამომძიებელი.
თოვლში დარჩენილი კვალის დათვალიერებით და გაზომვით უდავო იყო, რომ ჩიკვაიძე და მასთან მყოფი უცნობი. ქვაფენილიდან ერთად, გვერდიგვერდ მიმავალნი გავიდნენ უკვალავ თოვლში, ასევე ერთად მივიდნენ მანქანამდე და იქ ცემენტის იატაკზე შეჩერდნენ. ჩიკვაიძე სამუდამოდ დარჩა ადგილზე გულგანგმირული, მასთან მყოფი კი უკვალოდ მიიმალა. მარტოოდენ ეს ფაქტი სავსებით გამორიცხავდა თვითმკვლელობის ვერსიას, მპგრამ დანა... როგორ მოხვდა ანზორის დანა მკვლელის ხელში? თუ დანა მართლაც ანზორისაა, – განაგრძობდა გამომძიებელი, – ბუნებრივია, უნდა დავასკვნათ, რომ მკვლელი ახლო ნაცნობია ჩიკვაიძისა და განიზრახა რა მკვლელობა, კვალის არევის მიზნით,წინასწარ ინათხოვრა იარაღი ანზორისაგან. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე

ჩიკვაიძის ახლობელთა წრეში უნდა მოიძებნოს.უცნობს ხომ არ ათხოვებდა დანას იგი?
მინდელმა ამ სამი დღის განმავლობაში ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გულდასმით, საფუძვლიანად შეისწავლა სასამართლოს არქივი, ეძებდა ანალოგიურ საქმეს, მაგრამ უშედეგოდ. გამომძიებელს მანამდეც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მკვლელობა კვალიფიციური დამნაშავის მიერ იყო ჩადენილი, ხოლო არქივის შესწავლამ და რეგისტრირებულ დამნაშავეთა ბარათების დაბეჯითებით შემოწმებამ დაარწმუნა, რომ ბოროტმომქმედნი მძიმე ყოველ შემთხვევაში მკვლელი , ქუთაისში რეგისტრირებულ დამნაშავე ელემენტებს არ ეკუთვნოდა. ახლა კი ეჭვი შეეპარა მუშა ჰიპოტეზის სისწორეში. იქნება ორთავე მკვლელობა შურისძიებით იქნა ჩადენილი და ძარცვა მხოლოდ ფანდია გამოძიების ცრუ კვალზე გასაყვანად?
ხოლო თუ ძარცვაა, რა ურთიერთობა ჰქონდა ჩიკვაიძეს მკვლელებთან, საიდან იყვნენ ისინი ჩამოსულნი? როგორ დაუკავშირდნენ ჩიკვაიძეს და რამ გახადა ბოროტმომქმედნი იძულებულნი ანზორიც მოეკლათ?
მინდელს თვალწინ წარმოუდგა ჩიკვაიძის სახედაკაწრული, თითქმის შეშლილი დედა, რომელიც ცრემგამშრალი თვალებით უაზროდ მისჩერებოდა საავადმყოფოს მორგს და გამეტებით ურტყამდა თავს კარებს. გამომძიებელს გულწრფელად შეებრალა მრავალტანჯული დედა. უზომო ჯაფის ისედაც ნაადრევად დაებერებინა ერთ დროს შესამჩნევად ლამაზი ქალი, ხოლო ზედიზედ თავს დამტყდარ საშინელ უბედურებას ისე მოექცია, ღრმა მოხუცი ეგონებოდა ადამიანს.
„შვილოო! დედის ერთად–ერთო იმედოო! ვინ გაგიმეტა�ა? ვის რა დაუშავე ჩემო უმამოდ გაზრდილო ხუჭუჭა ბიჭოოო! ვისთვის ვიცოცხლო ორთავეს დამკარგავმა, ვინ დამიხუჭავს დასამიწებელ თვალებს... შვილოო!„ – მოსთქვამდა იგი და მისი შემზარავი ხმა გატეხილი ზარივით ჟღრიალებდა განთიადის სიჩუმეში.
ვერც მინდელმა, ვერც სხვებმა ვერ მოძებნეს ორი ძვირფასი ადამიანის ასე ტრაგიკულად დამკარგავი, გაუბედურებული ქალის დამამშვიდებელი სიტყვები. გრძნობდნენ, რომ ნუგეში ასეთ მდგომარეობაში მყოფისათვის ახლა, მხოლოდ ლიტონი სიტყვა იქნებოდა. დუმდნენ და უსიტყვოდ, მოკრძალებით, პატივისცემით თანაუგრძნობენ ნაადრევად გათეთრებულიდედის მწუხარებას. ძლივს დაიყოლიეს გაკერპებული ქალი შვილის გვამი დროებით დაეტოვებინა საავადმყოფოში.გაგონებაც კიარ სურდა გაკვეთისა, მხოლოდ ხომერიკის ნათქვამმა, რომ ეს აუცილებელი იყო მკვლელის აღმოსაჩენად, მოსტეხა იგი და დასთანხმდა.
ბალანჩივაძემ თავის მანქანით გაისტუმრა ჩიკვაიძის დედა და მათთან მყოფ ქალებს სთხოვა თვალყური ედევნებინათ, რომ თავისი თავისათვის არაფერი აეტეხა გაუბედურებულს. ასეთ პირობებში ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა მის დაკითხვაზე, მინდელს არც უცდია ეს. მხოლოდ ნაწყვეტ–ნაწყვეტ ქალის მოთქმასა და საუბარში გამოარკვია, რაც პირველ რიგში აინტერესებდა: ჩიკვაიძე

ადრე დაობლდა, ამამ 1943 წელს ფრონტზე ჟდაეღუპა. ხუთმ წლის ანზორი დედპმისმა გაზარდა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ტყეშელაიძემ ქუთაისში წაიყვანა ცოლის ობოლი დისშვილი. დაეკხმარა, ინსტიტუტში მოაწყო და თავისთან დააბინავა. ანზორს არ უცხოვრია თბილისში ან დიდ ქალაქში. ყოფილა დედაქალაქში, მაგრამ რამოდენიმე დღით. მასაშადამე,ანზორს ბოროტმომქმედთა ჯგუფი ქუთაისში დაუკავშირდა, მაგრამ როდის? რამდენი ხნის წინათ?
მინდელს კარგად ესმოდა, კვალიფიციური ბოროტმომქმედნი უცხო და შედარებით პატარა ქალაქში დიდხანს არ ჩერდებიან უსაქმოდ. მოახდენენ რამდენიმე თავდასხმასდა სწრაფად მიმალებიან. იქნებ ადრე ჰქონდათ დაგეგმილი ტყეშელაიძის ოჯახის ამოწყვეტა?იქნებ შემთხვევამ შეუშალათ ხელი ტყეშელაიძის ცოლის მოკვლაში, და ანზორიც იმიტომ გადარჩა რამოდენიმე დღით, რომ მკვლელობის ღამეს სახლში არ იყო? თუ ტყეშელაიძისა და შემდგომ ანზორის მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა, მაშინ... მაშინ ჭაღარა, დაჭრილი და მათთან მესამე მინდელმა მანქანის მძღოლს ეს სახელი უწოდა ტყეშელაიძის ოჯახს კარგად იცნობენ. ხოლო თუ ეს ასეა, რატომ არჩიეს თავდასხმისათვის 12 იანვარი? ამ დღეს ხომ ტყეშელაიძე და მისი ცოლი შემთხვევით დაბრუნდნენ თბილისიდან? განა შურისძიებით ჩადენილ მკვლელობას მოფიქრებულად,წინასწარშედგენილი გეგმით არ ამზადებენ? იქნებ თბილისიდან გამოყვათ მკვლელები?
...არა! – განაგრძობდა ფიქრს მინდელი, – ტყეშელაიძის მოკვლა ბოროტმოქმედთა თავდაპირველ გეგმაში არ შედიოდა. ამას საქმის ყველა მონაცემი ადასტურებს. თავდასხმის მიზანი უეჭველად გაძარცვა იყო, ხოლო ჩიკვაიძე ან მონაწილეა ან ...რაღაც იცოდა და ...თავიდან მოიშორეს, დაადუმეს. ყოველ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შესაძლო ვერსიაც შურისძიების შესახებ. მთავარია ბოროტმოქმედთა აღმოჩენა,დეტალები კი დაზუსტდება.
კაბინეტის კარები წყნარად გაიღო და ოთახში სამედიცინო ექსპერტი შემოვიდა.მინდელი გამოერკვა, წამოდგა, შემოსულს მიეგება.
ექსპერტმა ხმაურით გასწია სკამი, ტახტზე ჩამრჯდა.
– ფიქრობ, ლევან?
– ვფიქრობ, ავთანდილ, – მოწყენილად გაიღიმა გამომძიებელმა, – ამ დანამ მთლად ათრია ყველაფერი.
– მდაა! – ჩაილაპარაკა ექსპერტმა, – მართლაც რომ არია, ასეთი ჭრილობა არ მინახავს. მკვლელი, ეტყობა, ფიზიკურად ძალზე განვითარებული და დიდი ღონის პატრონია.
– ეგ ჭრილობით დაასკვენი?
– ჭრილობით, ასეთ დარტყმას საშუალო ღონის ადამიანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს.
– გაამზადე დასკვნა?
– გავამზადე. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ სიკვდილი რამდენიმე წამში დადგა. გვამს სხვა ჭრილობა არა აქვს. სისხლის ჩაქცევები მარჯვენა მაჯაზე და

ნიკაპის არეში დაზიანების მსუბუქ კატეგორიას მიეკუთვნება და სიკვდილის წინ აქვს მიყენებული, – ექიმმა გულის ჯიბიდან ორად გაკეცილი ფურცელი ამოიღო, მინდელს გაუწოდა და ტახტიდან წამოდგა
– დაწვრილებით აქ წერია ყოველივე.
– კეთილი, გმადლობთ. – მინდელმა დასკვნა ჩამოართვა და გადაათვალიერა.
– მე წავალ, ლევან, შენ დასკვნას გაეცანი. თუ საჭირო შევიქენი, დამირეკე, დღის ბოლომდე კაბინეტში ვიქნები.
მინდელი მარტო დარჩა. რამდენჯერმე გადაიკითხა გვამის სასამართლო–მედიკური გაკვეთის აქტი, ზოგი რამ ცალკე ფურცელზე ამოიწერა. კარი უეცრად გაიღო და კაბინეტში საარქიტექტურო სამმართველოს უფროსი ლევიძე და ქალაქის აღმასკომის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს გამგე აბაშიძე შემოვიდნენ.
– მობრძანდით, ამხანაგებო, ეს არის დარეკვას ვაპირებდი, – მიეგება შემოსულთ მინდელი, შემდეგ ორთავეს ხელი ჩამოართვა, სკამები შესთავაზა და ვიდრე თვითონაც დაჯდებოდა შეეკითხა: – როგორ არის საქმე, შეასრულეთ ჩვენი დავალება?
– მთლიანად ვერა, ამხანაგო ლევან, დილის 9 საათიდან მთელი აპარატი შეუსვენებლივ მუშაობს, მაგრამ თქვენთვის საინტერესო ყველა ქუჩის შემოწმება ვერ შევძელით, – მიუგო აბაშიძემ.
– ომის შემდეგ ბევრი ორსართულიანი სახლი აშენდა ქუთაისში, განსაკუთრებით ცენტრალურ ქუჩებში. ასე რომ, რამდენიმე საათში თქვენი დავალების შესრულება ძნელია.
– საჭირო ცნობები ფრიად სასწრაფოა ბარემ გადმოგვეცით სახლების სია, რომლებიც უკვე შემოწმებულია და უდგებიან ჩვენთვის საინტერესო ნიშნებს.რაც შეეხება სხვა სახლებს, ისინი დღესვე უნდა შემოწმდეს, ხვალ შეიძლება გვიან იყოს. თუ ამ ამოცანის დაძლევა საკუთარ ძალებით არ შეგიძლიათ, აღმასკომის თავმჯდომარეს ვთხოვ,სხვა განყოფილებიდან დაგვეხმარონ მუშაკები.
– არა, ამხანაგო ლევან, დახმარება საჭირო არ არის, კიდევ რამდენიმე საათი და ყველა ქუჩა შემოწმებული იქნება.
– კეთილი, როგორც კი დაამთავრებთ,ცნობა დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ, მე დაგელოდებით.
კაბინეტში ხომერიკი შემოვიდა. ის ძალზე დაღვრემილი იყო, ფეხზე წამომდგარ მინდელს ხელით ანიშნა დამჯდარიყო, თვითონაც დაჯდა, შემდეგ პაპიროსს მოუკიდა, მოქაჩა და ბოლი ლუკმასავით გადაყლაპა.
– არის ახალი რაიმე, – იკითხა მან, როგორც კი გამომძიებელთან მარტო დარჩა.
– დიახ, ამხანაგო პროკურორო. ამ დილით კრიმინალისტური ლაბორატორიის საექსპორტო დასკვნა მივიღეთ. დანაზე, რომელიც ტყეშელაიძის მკვლელობის ადგილზე ვიპოვეთ, აღმოჩენილია მხოლოდ ერთი ადამიანის თითების ანაბეჭდი და იგი განსვენებულ ტყეშელაიძეს ეკუთვნის, რაც შეეხება ფანჯარასთან ლურსმანზე აღმოჩენილ რამოდენიმე ძაფს, ექსპერტი ასკვნის, რომ ეს ძაფები ფაბრიკული ნაწარმის ქალის მსუბუქი ხელთათმანისაა.

– მაშ ექსპერტის ვარაუდით მკვლელობაში ქალიც ურევია? – კვლავ დასვა კითხვა ხომერიკმა.
მინდელმა მხრები აიჩეჩა.
– თინა ტყეშელაიძე ამტკიცებს, რომ მან ოთახში მხოლოდ ერთი ადამიანი– მამაკაცი დაინახა, მაგრამ ამ ჩვენების სრულ ჭეშმარიტებად მიჩნევა, ჩემი აზრით, ჯერ ნაადრევია,მით უმეტეს, რომ თავდამსხმელი ერთი არ ყოფილა, შესაძლებელია მეორე ან მესამე თინა ტყეშელაიძის გამოღვიძებამდე გადახტა ფანჯრიდან, გამორიცხული არ არის სხვა ვერსიაც.
სიჩუმე ჩამოვარდა.
ხომერიკი წამოდგა, რამდეჯერმე გაიარა, შემდეგ კუთხეში ტახტზე ჩამოჯდა.
– დაკითხე ვინმე ჩიკვაიძის დანის შესახებ? – დაარღვია დუმილი პროკურორმა.
– ჯერ არა, გიორგი ასლანიჩ, ლეჟავა და ანზორის სხვა რამდენიმე ამხანაგი დავიბარე, დღის ბოლოს დავკითხავ, დანის ამოცნობასაც მოვახდენ. თუმცა ძნელია, მაგრამ იქნებ თინა ტყეშელაიძისა და ანზორის დედის დაკითხვაც მოვახერხო ამ საკითხზე. საღამოს მინდა პანაშვიდზე მინდა წავიდე. იქ შევძლებ მათთან გასაუბრებას.
– ჩიკვაიძის მკვლელობაზე რას ფიქრობთ? – მოულოდნელად, ჯიქურ დასვა კითხვა პროკურორმა.
მინდელი ერთხანს დუმდა.
– მიმძიმს პასუხის გაცემა, პატივცემულო გიორგი, ეს მეტად რთული საკითხია, თუ დანა ჩიკვაიძისა აღმოჩნდა,მაშინ...
– მაშინ რა?
– მაშინ შეიძლება სულ სხვა რამ გამოირკვეს, – დაამთავრა მინდელმა.
– სახელდობრ?
– ვინ იცის, ჩიკვაიძის მკვლელობა იქნებ სულაც არ არის დაკავშირებული ტყეშელაიძის მკვლელობასთან და ეს ორი სიკვდილი შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს, – მიუგო ყოყმანით მინდელმა.
– შეიძლება, – დაეთანხმა ხომერიკი, – მაგრამ უფრო დასაშვებია, რომ ორივეს მკვლელობა ერთი და იგივე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ არის ჩადენილი. გინდა გითხრა, რას ვფიქრობ? თითქმის ეჭვი არ მეპარება, რომ დანა ჩიკვაიძის კუთვნილებაა და მკვლელმა, რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ანზორთან, წინასწარ ინათხოვრა ან მოიპარა ეს დანა, რათა გამოძიება ცრუ კვალზე გაეყვანა.
– მეც ვიფიქრე,გიორგი ასლანიჩ, ამასთან ჩიკვაიძეს შეიძლება უთვალთვალეს. იფიქრეს,გაიყვანდა გამოძიებას დამნაშავეთა კვალზე და სწორედ ამიტომ მოკლეს.
ხომერიკმა მსუბუქად ამოიოხრა.
– ასეა თუ ისე,ჩრდილელის შეცლომა ძვირად დაგვიჯდა. ანზორ ჩიკვაიძეს უეჭველად იმავე დამნაშავეთა ჯგუფმა მოუღო ბოლო, რომელმაც ბიძამისი გამოასალმა სიცოცხლეს. ეს მწარე, ძალზე მწარე გაკვეთილია. მართმსაჯულების

მუშაკთა შეცდომას ყოველთვის ადამიანის სიკვდილი თუ არა დიდი მორალური ტრამვა მაინც მოსდევს.
– გეთანხმებით გიორგი ასლანიჩ, მაგრამ ჩრდილელის შეცდომაც ხომ სწორედ ამ მეორე ფაქტორის თავიდან აცილების ცდამ განაპირობა. ის მოერიდა ჩიკვაიძის სახელს, შეეშინდა სწორედ მორალურად არ დაემახინჯებინა ანზორი, ჩირქი არ მოეცხო ხალხის თვალში, მეორე და ვინმესარ ჩაეთვალა ანზორი ბიძის მკვლელობის მონაწილედ და აი, იგი დაიღუპა. ძნელი მეტად ძნელია ჩვენი სამუშაო. დიდ სიფრთხილეს, ასჯერ გაზომვას, მაგრამ ხშირად ძალზე სწრაფად მოქმედებას მოითხოვს. ჩრდილელი რომ ნახოთ, ვერ იცნობთ,ამ ერთ ღამეში ათი წლით მაინც დაბერდა კაპიტანი.თადარიგში გასვლასაც კი აპირებს.
– თადარიგში გასვლა იოლია. იქ ასეთ შეცდომას არ დაუშვებ, მაგრამ ყველა თუ თადარიგში გავიდა, ჩვენს სამუშაოს ვინღა შეასრულებს? ჩრდილელმა დააშავა და დაისჯება კიდეც, მაგრამ ახლა მე სულ სხვა რამ მინდა გითხრა. ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ცუდად ერკვევა საზოგადოებრივ აზრში. აი შენც, თუმცა საკმაოდ კვალიფიცირებული გამომძიებელი ხარ, ამ საკივხზე ჩრდილელის შეხედულებას იზიარებ: „ჩირქი არ მოეცხოს, ვინმეს მიერ ბიძის მკვლელად არ იქნეს აღიარებული„. მერე და ვინ არის ეს „ვინმე„? ობივალეტურად მოაზროვნე ვიღაც კაცუნები, რომლებიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შემორჩნენ ჩვენს საზოგადოებას! განა მათ აზრს ჩვენი საზოგადოებისათვის მნიშვნელობა აქვს? ხდება ხოლმე, ადამიანს, პატიოსან კაცს, არა მარტო აკავებენ, არამედ აპატიმრებენ კიდეც, ამას მოითხოვს საქმე, ჩვენი საზოგადოების ინტერესები. შემდეგ გამოძიებით ირკვევა ამ კაცის უდანაშაულობა და მას არა მარტლ ათავისუფლებენ, არამედ სრულ რეაბილიტაციასაც უკეთებენ. ასეთი შემთხვევები თუმცა ძალიან მცირეა, მაგრამ არის და მომავალშიციქნება, საზოგადოება რეაბილიტირებულებს სიხარულით ღებულობს ჩემთვის, როგორც პროკურორისათვის, სამწუხაროა შეცდომა, მაგრამ სასიამოვნოა დაპატიმრებულის უდანაშაულოდ ცნობა.
საზოგადოებრივი აზრი ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ ჩვენი სამართლიანი მოქმედებით, ამიტომ დაგვსვეს აქ მეც, თქვენც, ჩრდილელიც და ათასობით სხვა. ჩვენ არ გვეპატიება მსგავსი შეცდომები. ჩრდილელი ახალგაზრდა მუშაკია, მან თავი შორლოკ ჰოლმსად წარმოიდგინა, „სწრაფად, ოპერატიულად„ ამხილა ჩიკვაიძის სიცრუე და რამდენიმე საათის შემდეგ კვლავ გამოიძახა დაკითხვაზე. შედეგი? ჩიკვაიძე მოკლეს! დაიღუპა ადამიანი, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, უფრო სწორედ ვიფიქროთ, რომ მას უთვალთვალებდნენ. რატომ? შესაძლოა რაიმე იცოდა, შეეძლო დამნაშავეთა კვალზე დავეყენებინეთ. ეს შესაძლებლობაც დაიკარგა, მკვლელებს კი თავის თავისადმი რწმენა მოემატათ. ორ ღამეში ორი მკვლელობა ქუთაისში! გესმით ეს რას ნიშნავს?
ხომერიკის ხმა ძალზე მკაცრად ჟღერდა.
– მართალს ბრძანებთ, გიორგი ასლანიჩ, როცა უდანაშაულო კაცს აპატიმრებენ და პასუხისგებაში აძლევენ, მაშინ თვით სჩადიან დანაშაულს საგამომძიებლო ორგანოები.აბა წარმოვიდგინოთ ჩვენს თავზე – უდანაშაულოდ ციხეში ამოგვაყოფინონ თავი, მერე გაგვამართლონ და ბოდიში მოგვიხადონ. განა

ბოდიშები აანაზღაურებს იმ სულიერ ტრამვას, რასაც განიცდის თვით უკანონოდ დასჯილი, მისი ნათესავები, მეგობრები და საზოგადოება? რომელ ბლდიშს შეუძლია აანაზღაუროს ადამიანის სიცოცხლის ანგარიშზე ცხოვრებისაგან იზოლირება, საზოგადოებისაგან მოწყვეტა?თავისუფლების დაკარგვა – ეს ხომ სიკვდიოლია, და ვინ მოგვცა ჩვენ უფლება მოვკლათ ადამიანი, წავართვათ მას სიცოცხლე, როცა ჩვენ მისთვის იგი არ მიგვიცია და ვერც მივცემთ. ჩვენ, მართმსაჯულების მუშაკებმა უნდა ვიხემძღვანელოთ უდანაშაულობის პრეზუმპციით–დავადასტუროთ ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში თავი შევიკავოთ ყოველგვარი დასჯითი ღონისძიებებისაგან. თუმცა რაც ჩრდილელს შეემთხვა, ჩემის აზრით საგანგებო შემთხვევაა.
ხომერიკმა კვლავ პაპიროსს მოუკიდა, რამდენჯერმე გაიარ–გამოიარა და უკან მიუხედავად შეეკითხა მინდელს:
– სახლების ნუსხა როდის იქნება მზად?
– ერთ საათში ან ცოტა უფრო ადრე. მუშაობენ.
– საღამოსათვის უკვე დადგენილი უნდა იყოს საეჭვო სახლი. დრო არ ითმენს. „ჭაღარას„ ბანდა ყოველ წუთში შეეცდება დატოვოს ქუთაისი. ეს კი არ უნდა მოხდეს.
– ყველაფერს გავაკეთებთ, გიორგი ასლანიჩ, ჩიკვაიძე „ჭაღარას„ უკანასკნელი მსხვერპლია. ძვირად დაუჯდებათ ავაზაკებს ორი სიცოცხლე.
ხომერიკს თვალწინ წარმოუდგა დარდისაგან გამშრალი ანზორის დედა
– საბრალო ქალი, – კვლავ ამოიოხრა მან, – ორ დღეში ორი ძვირფასი ადამიანის დაღუპვა, ეს მართლაც დიდი საშინელებაა...წაასვენეს ჩიკვაიძე?
– არა ორთავეს აქ, ქუთაისში ასაფლავებენ. განკარგულება მივეცი ოპერატიულ მუშაკებს ყოველ პანაშვიდს დაესწრონ, მეც მინდა წავიდე. გამორიცხული არ არის გამორიცხული არ არის ამ გზითაც რაიმე კვალის მიგნება.
პროკურორმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, პაპიროსის ნამწვავი საფერფლეში ჩასრისა, ახალს მოუკიდა და წარმოთქვა:
– როდის გამოვიდა ჩიკვაიძე ბინიდან და ვისთან ერთად?
– ჩიკვაიძე ჩრდილელთან ღამის 11 საათზე გამოცხადდა. როგორც გამოძიებით ირკვევა, სახლიდან მარტო წამოვიდა. ჩრდილელმა იგი გორდელაძის ბინის ტელოფონით გამოიძახა. შეხვდა თუ არა ვინმეს, პირველი დაკითხვის შემდეგ, ჯერჯერობით დაუდგენელია.
– თქვენი აზრით, რა ვითარებაში მოკლეს ჩიკვაიძე?
მინდელი ჩაფიქრდა, შემდეგ არცთუ მტკიცედ მიუგო:
– აქ რამდენიმე ვერსია შეიძლება, მაგრამ უფრო საფიქრალია, რომ ჩიკვაიძემ რაღაც იცოდა ტყეშელაიძის მკვლელობის ირგვლივ, მას უთვალთვალებდნენ, საფიქრელია, კიდეც შგეხვდნენ პირველი დაკითხვიდან მიმავალს, ესაუბრნენ, შეიძლება დაემუქრნენ, თვალთვალიც გააგრძელეს. მეორე დაკითხვა 11 საათზე დაიწყო და თითქმის პირველ საათზე დამთავრდა. დამნაშავეთათვის ცნობილი გახდა ჩიკვაიძის მილიციაში მეორედ მისვლა, დაუდარაჯდნენ, შეხვდნენ,

მუქარით ან მოტყუებით გაიყვანეს რიონის პირას და მოკლეს, რითაც თავიდან მოიცილეს საშიში მოწმე.
– რატომ ფიქრობ, რომ მხოლოდ მოწმე?
– როგორ გითხრათ პატივცემულო გიორგი, ჩიკვაიძე მე არ მინახავს და არ დავლაპარაკებივარ,მაგრამ რატომღაც მისი მკვლელობაში მონაწილეობა გამორიცხულად მიმაჩნია. დეიდასთან და ბიძასთან ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ტყეშელაიძე შვილივით ზრდიდა. ანზორი რაიმე დანაშაულში არ ყოფილა შემჩნეული, როგორც გამოირკვა, ნასამართლევიც არ ყოფილა. ცხადია, შეიძლებოდა მისი დანაშაულში ჩათრევა, მაგრამ მკვლელობაში არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, მკვლელობაში ჩათრევა ასე არ ხდება. გარდა ამისა თუ მან მონაწილეობა მიიღო მკვლელობაში, რა აუცილებელი იყო სხვა მონაწილეთა მიერ მისი თავიდან მოშორება?
– დავუშვათ თქვენ სწორი ხართ, მაშინ რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდა მას კვალიფიციურ დამნაშავეებთან?
– ვინ იცის , თუ მკვლელობა წურისძიებით არ არის ჩადენილი, შეიძლება ანზორმა იცოდა რაიმე. ეს კი მკვლელებისათვის ცნობილი იყო და თავიდან მოიშორეს, დაადუმეს.
ორივენი გაჩუმდნენ.
ხომერიკი ბოლთას სცემდა და შეუსვენებლივ ეწეოდა პაპიროსს.
მინდელი, საწერ მაგიდას დაყრდნობილი, თვალს ადევნებდა მოღუშულ პროკურორს. მას კარგად ჰყავდა შესწავლილი ხომერიკი–დინჯი, აუღევლვებელი მუშაკი, არასოდეს არ კარგავდა მოთმინებას. 8 წლის მუშაობის მანძილზე მინდელს ერთხელაც არ უნახავს ის აღელვებული, ერთხელაც არ გაუგონია, რომ რომელიმე მუშაკისათვის ეყვიროს, დღეს კი ხომერიკი გარეგნულად თუმცა დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ მინდელს არ გამოპარვია, ამ ორ მკვლელობას ხომერიკი ძალზე აეღელვებინა. მას აღელვებდა ისიც, რომ საქმის გახსნა სწრაფ მოქმედებას მოითხოვდა, მაგრამ ახლო მომავალში ეს პრესპექტივა საეჭვო იყო. არადა, მკვლელებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაეტოვებინათ ქალაქი და შემდეგ მათი პოვნა უფრო მეტად გაძნელდებოდა. გამოძიებას კი ჯერჯერობით ერთი ძაფიც არ მოეპოვებოდა ხელჩასაჭიდი. არ იყო რაიმე კვალი, რაიმე ეჭვი, მინდელს იმის საფუძველიც კი არ ჰქონდა, დაბეჯითებით გადაეწყვიტა, რომ მკვლელობა გაძარცვის მიზნით იყო ჩადენილი. მინდელს არა ერთი საქმე გაეხსნა, როდესაც შურისძიებით ჩადენილი მკვლელობის კვალის დაფარვისა და გამოძიების მცდარ გზაზე დაყენების მიზნით დამნაშავეს განგებ გაუძარცავს მრკლული.
– მკვლელები პროფესიული დამნაშავენი არიან, – დაარღვია დუმილი პროკურორმა, – ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილზე არავითარი ხელჩასაჭიდი კვალი არ არის, ამის უდაო დადასტურებაა. გამოუცდელი დამნაშავენი ხელთათმანებით არ აკეთებენ თავიანთ შავბნელ საქმეებს. საჭიროა კვლავ გულდასმით გაისინჯოს ბარათები, ხომ არ დაბრუნებულა ან გამოქცეულა რომელიმე კვალიფიციური არამზადა. გარდა ამისა , ჩემი აზრით, საჭიროა დაწვრილებითი ცნობები შეიკრიბოს ჩიკვაიძეზე, როგორც ინსტიტუტში, ისე

ამხანაგებსა და მეზობლებში. იმოქმედეთ ისე,რომ არც საქმე დაზიანდეს და არც ვისმეს ინტერესი. უნდა გაირკვეს, როგორ ცხოვრებას ეწეოდა ჩიკვაიძე, ვისთან მეგობრობდა, სად ატარებდა თავისუფალ დროს, ვის ხვდებოდა, ვისთან იყო ცუდ ან მტრულ დამოკიდებულებაში. თუმცა ნაკლებად საფიქრებელია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ორთავე მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე იქნა ჩადენილი,წინასწარ საბოლოო დასკვნის გამოტანა სიმართლის დედინაცვალია მხოლოდ.
– გასაგებია, გიორგი ასლანიჩ! მე უკვე მივიღე საჭირო ზომები. დღეს დილით თბილისში გადავეცი ტელეფონოგრამა მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოში. შემპირდნენ, რომ პასუხს საღამომდე მაცნობებენ. შესაძლებელია მართლაც გვეწვია კვალიფიციურ დამნაშავეთა ბანდა. იგივე ვთხოვეთ ბათუმს, სოხუმს; ვაცნობეთ „ჭაღარას„ და მისი ამხანაგების გარეგნული აღწერილობა, უფრო სწორად ის ნიშნები, რაც გრძელიძემ გვიჩვენა. გარდა ამისა, ინსტიტუტის დირექციას გამოვართვი სია სტუდენტებისა,რომლებიც ასე თუ ისე ახლოს იყვნენ ჩიკვაიძესთან. დღეს ყველა მათგანი დკითხული იქნება. დავიბარე აგრეთვე ლეჟავას ქალიც, საჭიროდ მიმაჩნია მისი დაწვრილებითი დაკითხვა. ვფიქრობ, საღამოსთვის ხელთ მექნება საქმისათვის საჭირო ზოგიერთი მონაცემები.
– ლეჟავასა და ანზორის სხვა ამხანაგებს უჩემოდ ნუ დაკითხავთ. საერთოდ, თუ რაიმე საჭირეობამ მოითხოვოს, დამირეკე ან თვითონვე მოდი – ხომერიკმა საათს დახედა და დაუმატა – მე საქალაქო კომიტეტში ვიქნები, ბიუროს სხდომაა. გარდა ამისა, ქალაქკომის მდივანმა მოითხოვა მოვახსენო, რა ღონისძიება გატარდება მკვლელობის გასახსნელად.
ხომერიკი მძიმე ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.
დღის ზუსტად ორ საათზე კაბინეტში აბაშიძე შემოვიდა.
– დაამთავრეთ? – მიეგება მინდელი.
– დავამთავრეთ, სულ ექვსი სახლი აღმოჩნდა, ასეთი. აი მისამართებიც, – მიუგო მან და ფურცელი გაუწოდა.
მინდელმა ჩამოართვა, ჩაათვალიერა, შემდეგ საქაღალდეში ჩადო.
– გმადლობთ, თქვენგან სხვა არა გვესაჭიროება რა.
აბაშიძემ წასვლა შეაყოვნა, შემდეგ ყოყმანით თქვა:
– თუ შეიძლება ერთი რამ მინდა გკითხოთ.
– ბრძანეთ!
მინდელმა წარბები შეიკრა. ეს აბაშიძემაც შეამჩნია, შეწუხდა, ბოდიშის მოხდა დააპირა, მაგრამ ვიდრე რაიმეს იტყოდა, გამომძიებელმა შეკრული წარბები გახსნა, გათიღიმა.
– კანონით მე ამ კითხვაზე არ უნდა გიპასუხოთ, მაგრამ როგორც გამონაკლისი შემთხვევა, დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობისმოყვარეობას: ჩვენთან შემოსული ცნობებით ერთ–ერთი ასეთი სახლი აშენებულია მსხვილი კომბინატორის მიერ სხვის გვარზე. კომბინატორი გაება, ძიებას კი სახლიც აინტერესებს, აი რატომ დაგვჭირდა სახლების სია. კმაყოფილი ხართ?

აბაშიძემ თავი დახარა, მეტი კითხვა არ დაუსვამს. თავაზიანად გამოემშვიდობა გამომძიებელს და წყნარად გაიხურა კარი.
მარტოდ დარჩენილი მინდელი საწერ მაგიდას დაუბრუნდა და გულდასმით შეუდგა სიის დამუშავებას. ნახევარი საათის შემდეგ გამომძიებელმა გამოარკვია: საეჭვოდ მიჩნეული ექვსი სახლიდან ოთხი ეჭვს არ იწვევდა. ეს სახლები ეკუთვნოდა: თადარიგის გენერალ მაისურაძეს; ძველ კომუნისტს, პერსონალურ პენსიონერ დოლიძეს; პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრს, ინსტიტუტის დოცენტს იაშვილს და საავტომობილო ქარხნის ხარატს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აბჟანდაძეს. დანარჩენი ორი სახლიდან ერთი დაკავებული ქონდა მდგმურებს–3 ოჯახს, სახლის მეპატრონე კი თბილისში ცხოვრობდა; ხოლო მეორე – ვინმე დევიძეს. თუმცა გამომძიებლის ყურადღება ორ სახლზე შეჩერდა, მან მაინც გადაწყვიტა ფრთხილად შეემოწმებინა ყველი ექვსი სახლი.
მიიღო რა ეს გადაწყვეტილება, მინდელი სწრაფად წამოდგა, პნალტო ჩაიცვა და პირდაპირ საქალაქო კომიტეტში გაეშურა. სახლების შემოწმების საკითხი პროკურორთან და მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსთან უნდა შეეთანხმებინა. მინდელმა იცოდა: სულ მცირე ეჭვი, რომელიც სახლების შემოწმებისას შეიძლებოდა აღძროდათ ბოროტმოქმედებს, არა მარტო საქმეს შეაფერხებდა, შესაძლოა, ახალი მსხვერპლი მოჰყოლოდა.
დღის სამ საათზე ხომერიკი და მინდელი მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ბალანჩივაძის კაბინეტში იყვნენ. პოლკოვნიკმა აწრაფად მოუყარა თავი ჯგუფის ყველა წევრს. ჩრდილელმა მოკლედ მოახსენა, მანქანების შემოწმებას ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, ავტოინსპექტორები ძებნას განაგრძობენ და ქალაქგარეთ მიმავალ ყველა მსუბუქი ავტომობილი მოწმდებაო.
ბალანჩივაძემ მოკლე თათბირი ჩაატარა.
– მაშ ასე ამხანაგებო – ამბობდა ის, – ბანდიტები შეიარაღებულნი არიან, მათი რიცხვი არ ვიცით, თავშესაფარი კი, ერთი მაინც ამ ექვსი სახლიდანერთ – ერთში აქვთ. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება სწრაფად შევამოწმოთ საეჭვო სახლები, მაგრამ ვერც ერთი ჩვენი მუშაკი უშუალო შემოწმებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. სახლებში ბანდიტების საძებრად ვერ შევალთ. გარდა იმისა რომ, არ ვიცით ამ ექვსი სახლიდან რომელში ცხოვრობენ ბანდიტები, ასე ხელაღებით ბინებსაც ვერ გავჩხრიკავთ. რჩება, –საეჭვო სახლებში რაღაც საბაბით უნდა შევიდნენ სახალხო რაზმელები. ამ საქმისათვის საჭირო იქნება 14 კაცი. მე და ამხანაგმა ხომერიკმა უკვე შევარჩიეთ ისინი. მათ დაევალებათ სახლების შემოწმება, თქვენ კი შორიდან უნდა ადევნოთ თვალყური. სახლებში ორ–ორი რაზმელი შევა, თითოეულ წყვილს გაჰყვება 2 ოპერმუშაკისაგან შემდგარი ჯგუფი. ამოცანა თქვენთვის ცნობილია.. გაფრთხილებთ, დრომდე ვერავინ ვერ უნდა გაიგოს, ვის ან რას ვეძებთ. რაზმელებს ინსტრუკტაჟი მიცემული აქვთ. საჭირო შემთხვევაში იმოქმედეთ შეხედულებისამებრ. ჯგუფებს შორის კავშირი არ იქნება. სახლები სხვადასხვა ქუჩაზე მდებარეობს. ჩვენთვის საინტერესო სახლის აღმომჩენი ჯგუფის ერთი წევრი ადგილზე რჩება, მეორე დაუყოვნებლივ ჩემთან ცხადდება

რაზმელებითურთ. ადგილზე დარჩენილმა სათვალთვალოდ ისეთი ადგილი შეარჩიეთ, რაც მცირე ეჭვსაც არ გამოიწვევს. ახლა 3 საათი და 15 წუთია. 10 წუთის შემდეგ ოპერაციაზე გახვალთ. ჯგუფის უფროსებად ვნიშნავ ბურდულს, ჟორჟოლიანს, ჩაფიძეს, ჭანტურიას, დავიდოვს, მეგრელიძეს და აბშილავას. თუ შეკითხვები არ არის, თქვენ–თქვენ სამუშაო ოთახებში დაიცადეთ. 10 წუთში როაზმელები აქ იქნებიან.
ყველანი წამოიშალნენ. კაბინეტში მხოლოდ ბალანჩივაძე, ხომერიკი და მინდელი დარჩნენ.
ბალანჩივაძემ სერჟანტი იხმო და უბრძანა, მოსაცდელში მყოფი რაზმელები შემოუშვა.
- ამხანაგებო, – მიმართა მათ ბალანჩივაძემ, – ამოცანა ზოგადად თქვენთვის ცნობილია, საქმისათვის საჭირო სახლების შემოწმება. შემოწმების მიზანი: დადგენილ იქნას ორსართულიანი სახლი ცალკე ეზოთი,აუცილებლად ორ მარშიანი ქვის კიბით. კიბეს მარცხენა მხარეს კუთხოვანი რკინის სახელური აქვს, შედგება 17 და 22 საფეხურისაგან და მეორე მარშის მე–8 თუ მე–10 საფეხურის მარცხენა მხარე ჩამოტეხილია. შემოწმების საბაბი: თქვენ ქალაქის წარმომადგენლები ხართ, ამოწმებთ ელექტრო წერტილებს, ელექტროენერგიის ხარჯვას. პირადობის მოწმობებს ახლავე გადმოგცემთ. სახლში შესვლისას გასინჯეთ ყველა სათავსო; დაიხსომეთ ოთახების განლაგება; ყურადღება მიაქციეთ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომებს, მაგრამ ისე, რომ ბინის პატრონისთვის უეჭველად შეუმჩნეველი დარჩეს. რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო აქტი გააფორმეთ. საჭირო ინსტრუქტაჟი უკვე მიღებული გაქვთ. დავალება მეტად მნიშვნელოვანი და საიდუმლოა. ზედმეტია გაფრთხილება, რომ ამის შესახებ არავინ არ უნდა გაიგოს. საჭიროა საქმით გაამართლოთ ამხანაგების ნდობა და სახალხო რაზმელის წოდება. არავითარი ზედმეტი სიტყვა, თქვენ მხოლოდ„ქელასის„ თანამშრომლები ხართ და სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებთ. შეკითხვები გაქვთ?
– საჭირო სახლის აღმოჩენის შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ? – იკითხა ხუჭუჭთმიანმა ახალგაზრდა რაზმელმა.
– დაბრუნდებით და მოგეხსენებათ, სხვა არაფერი. – უპასუხა ხომერიკმა.
– თუ ყველაფერი გასაგებია, მერვე ოთახში უფროს ლეიტენანტ ბურდულთან გამოცხადდით, რაიმე ეჭვის თავიდან აცილების მიზნით სამუშაო საათებში უნდა დამთავრდეს, – დასძინა პოლკოვნიკმა და წამოდგა.
ყველა წამოიშალა. კაბინეტში კვლავ ბალანჩივაძე, ხომერიკი და მინდელი დარჩნენ.
– ასეა, – გაიღიმა პოლკოვნიკმა, – საქმის მთელი სიმძიმე მილიციას აწყდება, პროკურატურას კი... მიჰგვარეთ დატყვევებული ბანდიტი.
– რა ვუყოთ, – ღიმილითვე გამოეხმაურა ხომერიკი, – ეს მართლაც ასეა. მილიციის მუშაკები ყოველ წუთშისაფრთხეში იგდებენ სიცოცხლეს. აკი ამიტომაც გიმღეროდათ მაიაკოვსკი. გახსოვთ? – „მე მიცავს ჩემი მილიცია„ხოლო პროკურორზე კი დამწყებ პოეტსაც არდაუწერია ჯერ ლექსი.

– ჩვენ ვხუმრობთ, ეგ კი მართლა საწყენია. რატომ არ უნდა წერდნენ ჩვენ მუშაკებზე? რამდენის სიცოცხლე შეიწირა საზოგადოების ხორცმეტებთან ბრძოლამ და ვინ იცის, კიდევ რამდენი იქნება მსხვერპლი. ხალხმა უნდა გაიცნოს ისინი თავიანთი საგმირო საქმეებით. განა ჩვენ თავისებურ ფრონტზე არ ვიბრძვით?
– გულს ნუ გაიტეხთ პატივცემულო დავით, ხალხს უყვარს მილიცია, თავისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების უანგარო დარაჯი. განა ბიჭები, ახლა რომ ჩვენს დავალებას ასრულებენ, ხალხმაარ მოგვცა? – დინჯად ჩაურთო მინდელმა.
– დიახ! ხალაი, მასები! თითოეული პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე! – სწორედ ამაშია ჩვენი ძალა. წარმოუდგენელია მათ გარეშე საგამომძიებლო ორგანოების მუშაობა. მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთ ადამიანში ჯერ კიდევ ცოცხლობს „სხვის საქმეში„ ჩაურევლობის პრინციპი. მათ გვერდით ადამიანი რომ მოკლან,თითსაც არ გაანძრევენ, დანაშაულის აღსაკვეთად თავს არ შეიწუხებენ. მათი აზრით, ეს მხოლოდ მილიციის საქმეა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ასეთი ადამიანების მიმართ სისხლის სამართლის ნორმებს ვერ მოიმარჯვებ, თუმცა მათი შეგნებული უმოქმედობა არაფრით არ განსხვავდება დანაშაულისა და დამნაშავესათვის ხელშეწყობისაგან.
– მართალი ხართ ამხანაგო დავით, ასეთები ჯერ კიდევ არიან და არცთუ ცოტა. ავიღოთთუ გნებავთ ტყავის ქარხნის საქმე. იქ მოკალათებული კომბინატორთა დიდი ჯგუფი ორი წლის მანძილზე იტაცებდა სახელმწიფო ქონებას. რევიზიამ, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით, ეს ვერ გამოამჟღავნა, მაგრამ ამ კომბინატორთა მეზობლებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც მათთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა,ცნობილი იყო, რომ ეს ხალხი ხელგაშლილად ცხოვრობდა და გაცილებით მეტს ხარჯავდა შემოსავალთან შედარებით.რატომ არც ერთი მათგანი არ შეეცადა ჩვენამდე მოეტანა ეს ამბავი? თქვენ ალბათ გახსოვთ ერთ–ერთი დამნაშავის ახლო მეზობელმა, რომელიც ამ საქმეზე დავკითხეთ, პროტესტიც კი განაცხადა, როგორ მაკადრეთ ჯაშუშობა მეკისრაო. მერე და ვინ არის ეს კაცი? ერთიშეხედვით მეტად პატიოსანი ადამიანი, სამსახურში თავის საქმის წესიერად შემსრულებელი, შვილების კარგი აღმზრდელი, მაგრამ საზოგადოებისათვის რა სარგებლობა მოაქვს მას? არაფერი. სამსახურეობრივი მოვალეობის კარგად შესრულება ჩვენს დროში საკმარისი რომ არ არის, ეს იმის გაგებას აღემატება. ასეთებს არ უნდათ გაიგონ, რომ მათი „ჩაურევლობის პოლიტიკა„ არსებითად ღალატია, როგორც სახელმწიფოსი, ისე იმისა, ვის საქმეშიც არერევიან. რა იქნებოდა, რომ გამფლანგველის მეზობელს ჩვენამდე მოეტანა ის, რაც ასე შესამჩნევი იყო? გაფლანგვას გადარჩებოდა ათეული ათასი მანეთი და გამფლანგველიცარ მიიღებდა მკაცრ სასჯელს. ეს მარტივი ჭეშმარიტება ზოგიერთ გონებაჩლუნგ პიროვნებას ჯაშუშობად მიაჩნია და თავისი უმოქმედობით ხელს უწყობს ადამიანი უფსკრულში გადაიჩეხოს, – გულმოსულად გაეპასუხა ხომერიკი.

– ასეთ ხალხს უნდა ვებრძოლოთ და შევაგნებინოთ, რომ გამფლანგველის ან კომბინატორის მხილება თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა და არა ჯაშუშობა.
ბალანჩივაძე სავარძლიდან წამოდგა, რამდენიმეჯერ გაიარ–გამოიარა და განაგრძო:
– აი სწორედ იმ პატიოსან მოქალაქეს, რომელიც თქვენ ახსენეთ, ჯიბგირმა რომ რამოდენიმე გროში ამოაცალოს, ქვეყანას შეძრავს და ას განცხადებას მაინც გაუგზავნის ზემდგომ ორგანოებს მილიციის უმოქმედობაზე, ხოლო თუ მისი მეზობელი თვეში რამდენიმე ათეულ ათასს ამოიღებს სახელმწიფოს ჯიბიდან„ ეს მას არ ეხება „ და „ჯაშუშობას„ არ იკისრებს. ამგვარად მოაზროვნე ადამიანები უფრო საშიშნი არიან, ვიდრე ის ქურდბაცაცები, – დაამთავრა პოლკოვნიკმა.
ხომერიკმა საათს დახედა 5 სრულდებოდა. თითქმის ორი საათი საუბარში გაეტარებინათ, და თუმცა არც ერთ მათგანს არ უხსენებია ჭაღარას საქმე, სამთავეს აზრი მხოლოდ მას დასტრიალებდა.
– აგვიანებენ, – ყველას აზრი გამოხატა ბალანჩივაძემ.
ხომერიკმა მზერა კაბინეტის კუთხეში მდგარ ვებერთელა საათზე გადაიტანა და ჩაილაპარაკა:
– მართლაც რატომ დააგვიანდათ ამდენი, ხომ არა შეემთხვათ რა?
– ეგ ყოვლად შეუძლებელია, რაზმელებს ზუსტი ინსტრუკტაჟი მიეცათ, – წარმოთქვა პოლკოვნიკმა.
არავინ შედავებია.
მინდელი სავარძლიდან წამოდგა,ფანჯრის ფარდა გასწია. ოთახში ჩამავალი მზის სუსტი სხივები აციმციმდა. მინდელმა სიამოვნებით მიუშვირა სახე საამოდ მოსალბუნე სითბოს.ფანჯარაში გაიხედა – ქალაქი თოვლში იყო ჩაფლული.თბილად ჩაცმული ლოყათურაშაული ბიჭუნების ჯგუფი დიდი სახლის ეზოში ჟივილხივილით გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს შუა ეზოში ვეებერთელა თოვლის კაცი ცოცხით შეეიარაღებინათ. ბავშვების ერთი ჯგუფი ომობანათი ერთობოდა. თოვლისგან გაწმენდილ ქუჩებში მსუბუქი მანქანები დასრიალებდნენ. დინჯად ვიდოდნენ გაჭედილი კრიალა ტროლეიბუსები. შორიდან ბულდოზერის გუგუნი ისმოდა. „წერეთლის ქუჩას თოვლისაგან წმენდენ„ – გაიფიქრა მინდელმა.
კაბინეტის კარი გაიღო, ზღურბლზე ბურდული გამოჩნდა.
– შეიძლება?
– შემოდი, შემოდი,რა ხანია გელოდებით, – მიუგო პოლკოვნიკმა.
– რა ამბავი მოიტანეთ? – იკითხა ხომერიკმა
– ჩვენთვის საინტერესო სახლი აღმოჩენილია, იგი ნატალია დევიძეს ეკუთვნის, – მიუგო ბურდულმა, – რაზმელებმა მშვენივრად იმუშავეს. შესანიშნავად შეასრულეს „ქელასის„ კონტროლიორთა როლი, თუმცა ამაში თვითონვე დარწმუნდებით, როდესაც მოუსმენთ.
– სად არიან? – გაეღიმა ბალანჩივაძეს.

– „ქელასში„ წავიდნენ. სადაცაა მოვლენ, რა თქმა უნდა, ცალ–ცალკე, – ღიმილით უპასუხა ბურდულმა.
– ხომ არავინ გამოგყოლიათ უკან? – იკითხა მინდელმა.
– დარწმუნებული ვარ, არავინ . რაზმელები დევიძის ბინაში დაახლოებით 10 წუთი დარჩნენ ჩვენ შორიდან ვუთვალთვალებდით. მათ იქ ყოფნაში სახლიდან არავინ გამოსულა, ხოლო „ქელასის კონტროლიორების„ წასვლის შემდეგ თითქმის 10 წუთი ადგილზე დავრჩით, შემდეგ მე წამოვედი, ზვიადაძე კი დავალებისამებრადგილზე დავტოვე. – მიუგო ბურდულმა
კაბინეტში სერჟანტი შემოვიდა.
– ამხანაგო პოლკოვნიკო „ქელასის კონტროლიორები„ თქვენთან შემოსვლას ითხოვენ.
– შემოუშვი!
სერჟანტი სხარტად გატრიალდა. მაშინვე კარებში ორი 22–24 წლის ახალგაზრდა შემოვიდა. მაგიდას უხერხულად მიუახლოვდნენ.
– აბა „კონტროლიორებო„, – ღიმილით მიმართა პოლკოვნიკმა, – დასხედით და მოგვახსენეთ.
რაზმელები ერთმანეთს უცქერდნენ და არ იცოდნენ, საიდან დაეწყოთ, ბოლოს ერთი მათგანი წამოდგა,უხერხულად ჩაახველა და დაიწყო:
– დევიძის სახლს მართლაც ორმარშიანი კიბე აქვს კუთხოვანი რკინის სახელურით. კიბე გადაუხურავია,მეორე მარშის მეცხრე საფეხურის მარცხენა კუთხე ჩამოტეხილია. კიბე პირდაპირ შუშაბანდში შედის.
თვით დევიძე სახლში დაგვხვდა. მისი გადმოცემით, დღეს სამსახურიდან თავისუფალია. შევამოწმეთ ელექტროწერტილები. მრიცხველი არა აქვს. აღმოვაჩინეთ ჩართული ელექტროღუმელი, სათანადო ჯარიმაც გამოვწერეთ. ყველა ოთახები დავათვალიერეთ, მაგრამ წიგნების კარადა არ გვინახავს. მაგიდაზე ვნახეთ ერთად ერთი წიგნი „ვაზის ყვავილობა„, სხვა წიგნები დევიძის სახლში ვერ აღმოვაჩინეთ. ბინა,რომელიც დევიძეს უჭირავს , სამი ოთახისა, შუშაბანდისა და დამხმარე სათავსოებისაგან შესდგება. ოთახები ერთმანეთში გასასვლელია. ყველაზე დიდ ოთახს შესავალი შუშაბანდიდან აქვს. მესამე ოთახის ერთი კარები გაუქმებულია.
– რატომ სამი ოთახისაგან? – გაუკვირდა მინდელს, – აკი გეგმაში ხუთი ოთახია?
– ხუთი ოთახია მაგრამ დევიძეს ორი ოთახი გაქირავებულიაქვს. მდგმურები, ახალგაზრდა ცოლ–ქმარი 10 დღეა ლენინგრადში არიან წასული. ოთახები კი დაკეტილია.
– სწორედ ამ ოთახებში გასავალი კარია გაუქმებული, – უპასუხა მეორე რაზმელმა.
– დევიძე როგორ იქცეოდა? – იკითხა ხომერიკმა
– ჩვეულებრივად, საეჭვო არაფერი შეგვინიშნავს.
– კარგი, შემოწმების შედეგებზე მოხსენებითი ბარათი დასწერეთ, შემდეგ თავისუფალი ხართ. დავალების სააუცხოოდ შესრულებისათვის მადლობას გიცხადებთ, – წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

რაზმელები გაბრწყინებული თვალებით გავიდნენ კაბინეტიდან.
– გამოსარკვევია მეტად საინტერესო ფაქტი: შეცდა ექიმი, მდებარეობა შეუცვალეს ნივთებს თუ სხვაგან უნდა ვეძებოთ ბანდის თავშესაფარი? – დასვა კითხვა ბალანჩივაძემ.
– რას გვეტყვის ჯგუფის უფროსი? – მიუბრუნდა ხომერიკი ბურდულს.
– ყველა სხვა სახლის საფეხურები მთელია, 4 მათგანს სახელურები ხისა აქვს, ესეც არ იყოს, თვით მობინადრეთა პიროვნება არ იწვევს ეჭვს. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც მაფიქრებინებს, რომ ბანდიტები დევიძის ბინაში იმალებიან...
– დაკეტილ ოთახებში? – სიტყვა გააწყვეტინა მინდელმა.
– დიახ, დაკეტილ ოთახებში. მე უკვე შევკრიბე ზოგიერთი ცნობები, ვესაუბრე საუბნო – სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარეს. გამოირკვა: დევიძე მთელ სახლში მარტოკა ცხოვრობს. იგი მეუღლეა ალექსანდრე გაიოზის ძე გიორგაძისა, რომელსაც ძარცვისათვის ხუთი წლის წინათ ხანგრძლივი პატიმრობა აქვს მისჯილი. დევიძის ორი ოთახი დაახლოებით ორი წლის წინათ გაუქირავებია. მდგმურები – ახალგაზრდა ცოლ–ქმარი–ზავიალოვები საავტომობილო ქარხანაში მუშაობენ. ქმარი ინჟინერია, ცოლი მოანგარიშე. ზუსტად 10 დღის წინათ შვებულებით ლენინგრადში წასულან მშობლების სანახავად. თვით დევიძე მუშაობს...
– საავადმყოფოში ან სადმე პოლიკლინიკაში ექიმად თუ ექთნად, – მოულოდნელად ჩაურთო მინდელმა.
– მართალია, მაგრამ თქვენ საიდან იცით? – გაუკვირდა ბურდულს.
– ჭაღარამ მიამბო, – გაიცინა მინდელმა და დასძინა: – დაგავიწყდათ აპარატი? ეს მან მისცა ექიმს სისხლის გადასხმისათვის.
– მართალია ეს აღარ მომგონებია. დევიძე ექთანია. თითქმის 12 წელიწადია ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობს. წყნარ ცხოვრებას ეწევა და, სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის აზრით, ძალზე პატიოსანი ქალია. მიუხედავად იმსა , რომ უღლე გამოუსწორებელი ქურდია, ნატალიას არ მიუტოვებია იგი და თავის შემოსავლის დიდ ნაწილს სისტემატიურად ხან ფულად, ხან ამანათის სახით შორეულ გადასახლებაში მყოფ ქმარს უგზავნის. ბინის პატრონისა და მის მდგმურებს შორის ძალზე კარგი განწყობილებაა, – დაამთავრა ბურდულმა.
პოლკოვნიკს წესად ქონდა ბოლომდე მოესმინა განყოფილების მუშაკების აზრი და შეემოწმებინა რამდენად სწორი დასკვნები გამოჰქონდათ შეგროვებული ფაქტებიდან. ამჯერადაც დაამთავრა თუ არა ბურდულმა, ბალანჩივაძემ არ დააყოვნა კმთხვის დასმა
– რა დასკვნა გააკეთეთ შეკრებილ ცნობებიდან?
– ერთი უეჭველია,ზავიალოვებმა ოთახების გასაღები დევიძეს დაუტოვეს. მეორე: ჭაღარას ბანდა ამ სახლის შემთხვევითი სტუმარი არ არის, დევიძე ასეთ სტუმრებსშემთხვევით არ მიიღებდა. ის დაკავშირებულიაბანდიტებთან. სწორედ მით უნდა ავხსნათ, რომ ისინი დევიძეს,ზავიალოვების ლენინგრადში

გამგზავრების შემდეგ ეწვივნენ. ამაზე მიუთითებს ნატალიას მიერ ბანდიტების დაკეტილ ოთახებში დამალვა და დაჭრილისათვის საიდუმლო დახმარების ამოჩენა. ვფიქრობ, საჭიროა ბუნაგის სწრაფი ლიკვიდაცია და დევიძის დაპატიმრება.
პოლკოვნიკი ჩაფიქრდა შემდეგ წყნარად წარმოთქვა:
– დასკვნას ძირითადად ვეთანხმები, მაგრამ დევიძის ბანდიტებთან დაკავშირების ვერსია ჯერ ნაადრევია. შეიძლება მან არც იცოდეს მათი საქმიანობა, ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი ზუსტად უნდა დადგინდეს. რაც შეეხება ბანდიტების შეპყრობას ესეც ნაადრევია, ჩვენ არ ვიცით ჭაღარა და მისი ხალხი ახლაც დევიძესთან არიან თუ უკვე გამოიცვალეს ბინა. ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ისინი იქიდან არ წასულან. ბინა მისი აღმოჩენის წამიდან ჩვენი თვალთვალის ქვეშ იმყოფება, ახალი დანაშაული გამორიცხულია. ამის საშუალებას არ მივცემთ, ხოლო დევიძის დაპატიმრებამ ან დაკავებამ შეიძლება მთელი ჩვენი შრომა წყალში ჩაყაროს და ბანდიტებიც ხელიდან დაგვიძვრნენ.
– გარდა ამისა, – დაურთო მინდელმა, – შეუპყრობელი არ უნდა დაგვრჩეს ბანდის არც ერთი წევრი, ექიმმა სამი მათგანი ნახა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მეტნი არ არიან. ახლა ისინი დაჭრილის მომჯობინებას უცდიან, რომ სწრაფად გაეცალონ ქუთაისს. უეჭველია, ჯერჯერობით ეს მათ ვერ მოახერხეს, ან უფრო სწორად არ უცდიათ. ქალაქიდან გამავალი ყველა მანქანა კონტროლდება, მოწმდება, აგრეთვე მატარებლებიც. აეროპორტიც ჩვენი კონტროლის ქვეშ არის. მკვლელობის დღიდან მხოლოდ დღეს იყო ფრენის ამინდი. არც ერთი საეჭვო პირი, დაჭრილი ან ავადმყოფი მათ პიროვნების შემოწმების გარეშე ქალაქიდან არ გასულა. მაშასადამე, ჭაღარას ბანდა ჯერ კიდევ ქუთაისშია. შეიძლება დევიძის ბინაში, შეიძლება სხვაგან. ეს კი ამ ორ დღეში გამოირკვევა.
– დევიძის ბინის ჩხრეკა და ბანდიტების შეპყრობა მართლაც ნაადრევია, საქმეს გააფუჭებს. უნდა გამოვამჟღავნოთ ბანდის ყველა წევრი და დამხმარე. ამაში თვითონ ბოროტმომქმედები დაგვეხმარებიან. ისინი ფრთხილად, მაგრამ მაინც ხვდებიან ერთმანეთს. მთელი ბანდა არ შეიძლება დევიძის ბინაში იყოს მოკალათებული. მთავარი რამ გაკეთებულია – ჭაღარას ადგილსამყოფელი აღმოვაჩინეთ. ეს კი უმოქმედოდ არ გაჩერდება, შეეცდება, თუ ახალი დანაშაულის ჩადენას არა ქალაქიდან გასვლისას მაინც დაუკავშირდება ვისმეს.შეხვდება ან პირადად, ან ბანდის რომელიმე წევრის საშუალებით. ჩვენ უპირატესობა გვაქვს: ჭაღარამ არ იცის, რომ უკვე ვუთვალთვალებთ, ეს კი ცოტა როდია. მე სავსებით ვეთანხმებიამხანაგ დავითს. ბანდის შეპყრობა რამდენიმე დღით უნდა გადავდოთ და ისე მოვახერხოთ მისი ლიკვიდაცია, რომ ახალი მსხვერპლი არ მოითხოვოს. ასეთი ტიპები ცოცხლად არ უვარდებიან ხელში გამოძიებას, მათი შეპყრობისათვის დიდი სიფრთხილე და ზუსტად დამუშავებული გეგმაა საჭირო. – დასძინა ცხომერიკმა.
– კეთილი, – დაასკვნა პოლკოვნიკმა, – ასე მოვიქცეთ, მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ჭაღარა ჭკვიანი და გამოცდილი ბოროტმომქმედია. გამორიცხული არ არის,მან უკვე იყნოსა რა კონტროლიორებიც იყვნენ დღეს

დევიძესთან, შეიძლება შეამოწმოს, გააგზავნოს ვინმე „ქელასში„. საჭიროა დაარწმუნოთ იგი, რომ დევიძე ნამდვილად კონტროლიორებმა დააჯარიმეს. ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, – მიუბრუნდა ბურდულს, – ეეს საკითხი დაუყონებლივ მოაგვარეთ. გააფრთხილეთ ქელასის უფროსი. – პოლკოვნიკმა ზარის ღილაკს დააჭირა თითი. – მაიორ ცინცაძეს უხმეთ! – უბრძანა შემოსულ სერჟანტს.
– არის, ამხანაგო უფროსო! – უპასუხა სერჟანტმა და შეტრიალდა.
ბალანჩივაძემ კალმისტარი აიღო, სუფთა ფურცელზერამდენიმე სიტყვა დაწერა. კაბინეტში ახოვანი აღნაგობის მელოტი მაიორი შემოვიდა.
– ამხანაგო გრიგოლ, არ აცადა პატაკი პოლკოვნიკმა, – სასწრაფოდ გასინჯეთ ბარათები, დაადგინეთ, როდის და რა დანაშაულზე იქნა დაპატიმრებული ალექსანდრე გაიოზის ძეი გიორგაძე, შეამოწმეთ აგრეთვე, ხომ არ მოგვეპოვება რაიმე მონაცემები მის მეუღლეზე–ნატალია პავლეს ასულ დევიძეზე: დაუკავშირდით №1 საავადმყოფოს და გამოარკვიეთ, რომელ განყოფილებაში, რა თანამდებობაზე მუშაობს დევიძე და იყო თუ არა ამაწლის 12 იანვარს. ცნობები დილის 9 საათზე მზად იყოს.
– გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო.შეიძლება წავიდე?
– წადით.
მაშასე ამხანაგებო, – განაგრძო ბალანჩივაძემ, როდესაც მაიორი გავიდა, – საკითხი ძირითადში გარკვეულია. ახლა მთავარია დევიძის ბინის განუწყვეტელი თვალთვალი. ჩვენ აუცილებლად უნდა დავადგინოთ, ვის ხვდება „ჭაღარა„ ბანდის სხვა წევრები ან მასთან მივლენ, ან ის გაგზავნის მათთან ვინმეს. უნდა აღმოვაჩინოთ ყველა მათი თანამზრახველი.
– ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო,ზვიადაძეს ორი საათის შემდეგ შევცვლით, სათვალთვალო პუნქტად შეიძლება გამოვიყენოთ ლუდის ბარიც. ის სწორედ დევიძის სახლის წინ მდებარეობს. იქიდან თვალთვალი უფრო მოსახერხებელია, ნაკლებად შესამჩნევი იქნებით, – პოლკოვნიკმა საათს დახედა 5 საათი და 50 წუთია. 6 საათზე რიგგარეშე პარტიული კრება გვაქვს, ჩრდილელის საკითხს ვიხილავთ. ამხანაგო გიორგი, – მიუბრუნდა ის ხომერიკს, – თუ საშუალება გაქვთ, სასურველია კრებას დაესწროს თქვენი გამომძიებელი, ამხანაგი მინდელიც.
– სიამოვნებით, თუკი დრო აქვს, – ხომერიკმა მინდელს შეხედა.
– დავესწრები, დრო მაქვს, – უპასუხა მინდელმა, – ლეჟავა და ჩიკვაიძის სხვა ამხანაგები ხვალ დილისათვის დავიბარე, პანაშვიდზე წასვლა კი ჯერ ადრეა.
– ჩინებულია! – თქვა პოლკოვნიკმა და წამოდგა. – წავიდეთ.
ბალანჩივაძემ კარი გააღო, ოთახში მყოფნი გაატარა და შუქი გამორთო. დაცარიელებულ კაბინეტში გაცრეცილი ბინდი ჩამრწვა.– საავადმყოფოში ან სადმე პოლიკლინიკაში ექიმად თუ ექთნად, – მოულოდნელად ჩაურთო მინდელმა.

თავი V

სახლი, რომელშიაც ნატალია დევიძე ცხოვრობდა, სადღეღამისო თვალთვალქვეშ იქნა აყვანილი. ბალანჩივაძემ ისე გაანაწილა ოპერატიული მუშაკები, რომ ყოველგვარი შემთხვევითობა თავიდან აცილებული ყოფილიყო. სახლს ორი შესასვლელი ჰქონდა –სადარბაზო და ეზოდან.მეორე სართულის 2 ფანჯარა სხვა ქუჩაზე გადიოდა და გამორიცხული არ იყო, საჭიროების შემთხვევაში, სწორედ ფანჯრებით ესარგებლათ ბოროტმოქმედთ.
ეს მხარე ბურდულსა და ჩრდილელს ებარათ. პოლკოვნიკმა პირველად თავი შეიკავა ჩრდილელის კანდიდატურაზე, მაგრამ ბურდულმა, რომელიც ახლა ჯგუფის უფროსად იყო დანიშნული, თვითონვე დაბეჯითებით მოითხოვა ჩრდილელისთავის ჯგუფში ჩარიცხვა.
ჩიკვაიძის დაღუპვას ჩრდილელი ძალზე მტანჯველად განიცდიდა. პარტორგანიზაციის კრებაზე, სადაც მისი საკითხი რიგგარეშე მსჯელობის საგანად იქცა , კაპიტანს ერთი სიტყვითაც არ უმართლებია თავი, თვითონვე აღიარა შეცდომა. არც ის გაჰკვირვებია, რომ ოპერატიულმა მუშაკებმა დაუზოგავად გააკრიტიკეს და მისი მკაცრად დასჯა მოითხოვეს. იჯდა სირცხვილით იწვოდა და ღიმილით უსმენდა ამხანაგების მკაცრ სიტყვებს. იქ კი, სადღაც გულის კუნჭულში, მისდაუნებურად მაინც სწყინდა, რომ არავინ, არც ერთმა ამხანაგმა, არ ისურვა გამოსარჩლებოდა, ოდნავ მაინც გაემართლებინა მისი მოქმედება. ყველამ, ერთხმად, ყოყოჩად გამოაცხადა იგი. განსაკუთრებით გული ატკინა ბურდულმა,მისმა მეგობარმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან.
– ჩრდილელი, – თქვა მან, – თავისთავში ზედმეტად დარწმუნებული კაცია, მას რატომღაც მიაჩნია, რომ სხვაზე მეტად ოპერატიულია და გამომძიებლის რაღაც ზებუნებრივი ნიჭით არის დაჯილდოვებული. თავბრუ დაასხა ორიოდე საქმის წარმატებით გამოძიებამ, თავი ლეკოკად წარმოუდგენია და ხშირად ანგარიშს არ უწევს ამხანაგების რჩევას. საბჭოთა გამომძიებლისთვის შეუფერებელია თვითდარწმუნება და ყოყოჩობა, ჩრდილელი კი ამ „სიკეთიდან„ თავისუფალი არ არის.
– ის, რაც მას მოუვიდა, შეცდომა როდია, არამედ ყოყოჩობის შედეგია. ტყუილად ცდილობდა ამხანაგი მინდელი თავის თავზე აეღო ჩრდილელის დანაშაული. როგორ, განა მილიციის ოპერატიულმა მუშაკმა, რომელიც თითქმის6 წელია საგამომძიებლო საქმიანობას ეწევა. ასეთი შეცდომა უნდა დაუშვას? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩრდილელმა გადაწყვიტა ყველასთვის გაესწრო „ოპერატიულობაში„ და ელვისებურად გაეხსნა ტყეშელაიძის მკვლელობი საქმე. ხოლო რა შედეგი მოჰყვა ამას, ჩვენ უკვე ვიცით. ის მკაცრად უნდა დაისაჯოს და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს, რომ ყოყოჩობით საქმე არ გაკეთდება.
დიდი კამათის შემდეგ ბალანჩივაძის წინადადებით ჩრდილელს საყვედური გამოუცხადეს და ჯგუფის უფროსობიდანაც მოხსნეს.

კრებიდან გამოსულს ბურდული თითქმის პირად მტრად მიაჩნდა და თუმცა ძალზე ესიამოვნა, გაუკვირდა, როდესაც სწორედ ბურდულმა და არა სხვამ ითხოვა მისი ამ მეტად სერიოზულ ოპერაციაზე გაშვება.
ღამის 12 საათზე ბურდული და ჩრდილელი დევიძის სახლის წინ მდებარე ბარში ისხდნენ, ლუდს შეექცეოდნენ და საუბრობდნენ. ბარში თბილოდა, თამბაქოს ბოლი ბუღივით ტრიალებდა და ხანგამოშვებით გაღებულ კარებში ბოლქვა–ბოლქვად იჭრებოდა გარეთ. საკმაოდ ბევრ ხალხში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ ოპერმუშაკებს მაინც და მაინც არავინ არ აქცევდა ყურადღებას. კუთხის მაგიდასთან მოკალათებულნი თვალს არ აშორებდნენ დევიძის ბინის ჩაბნელებულ ფანჯრებს.
ღამის 11 საათზე ბარში ოთხი კარგად ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა. ხმაურით დაიკავეს შემაღლებული მაგიდა და კონიაკი, ლუდი და ცხელი ხინკალი დაუკვეთეს. ოფიცრებმა ძალაუნებურად ყურადღება მიაქციეს მხიარულ ახალგაზრდებს, რომლებიც მაგიდის ირგვლივ ფეხზე მდგარი ზედიზედ ცლიდნენ კონიაკის ჭიქებს და ლუდს აყოლებდნენ. მალე საკმაოდ შეხურდნენ და მთვრალი კაცის დამახასიათებელი დაუდევრობით ხმამაღლა საუბარი გამართეს.
– ბიჭებო, – დაიწყო მაღალმა, გამხდარმა ახალგაზრდამ, – მოდი ანზორის შესანდობარი დავლიოთ. ღმერთმა აცხონოს, თუ რაიმე არსებობს იმ ქვეყნად, მე რომ დღეს დედამისის საცოდაობა ვნახე, ზეზეურად გავთავდი კაცი.
– გაუმარჯოს, – უპასუხა მეორემ, – ხსოვნა იყოს საწყალი ანზორის.
ოთხივემ სულმოუთქმენლად გადაჰკრა.
– მაინც, ნეტავ ვინ მოჰკლა საწყალი ბიჭი? – იკითხა მესამემ.
– ვინ მოჰკლა, ეგ არ ვიცი, მაგრამ კლავას რომ გადააყოლა თავი , ეს ნაღდია. – უპასუხა პირველმა.
ბურდულმა და ჩრდილელმა ერთმანეთს გადახედეს, ყურადღება გაამახვილეს და არც კი შეუმჩნევიათ, როგორ წამოადგათ თავზე უფროსი ლეიტენანტი კურცხალია.
– ბარიდან გადით. გარეთ მინდელი გიცდით, ნელა ჩაილაპარაკა კურცხალიამ და შემდეგ ხმამაღლა შეეკითხა:
– შეიძლება ჩამოვჯდე?
– დაბრძანდით, ჩვენ უკვე მივდივართ, – უპასუხა ბურდულმა და წამოდგა.
ჩრდილელმა დანახარჯი გადაიხადა.
ოფიცრებმა ბარი დატოვეს.
კურცხალიამ ტოლჩა ლუდი დაუკვეთა. ნელ–ნელა წრუპავდა და შეუმჩნევლად ახალგაზრდებს ათვალიერებდა.
– კლავა რა შუაშია? – იკითხა ახალგაზრდამ.
– იმ შუაშია , რომ ფულით ვერ მოპირა, – უპასუხა პირველმა და განაგრძო: – ანზორა სიკვდილამდე ორი დღის წინ შემხვდა. დანა კბილს არ უხსნიდა.
– ვინ არის ეგ ვიღაცა კლავაა? – იკითხა მეოთხემ, დაბალმა შავგვრემანმა ახალგაზრდამ.
– ერთი რესტორნის ოფიციანტკაა.

– ლამაზია?
– ისე რა, ანზორა დელფინივით ჰყავდა გამოჭერილი, თვითონ თქვა,მე კლავას ვერ მოვშორდებიო.
– უყვარდა? – ისევ იკითხ დაბალმა.
– რა ვიცი, ალბათ უყვარდა, – მიუგო მეორემ და დაცლილი ჭიქები ისევ კონიაკით შეავსო, – დავლიოთ! – დაუმატა მანვე.
– მოიცა , დათო, მე მაინც ვერ გავიგე, რა დამოკიდებულება აქვს ამ ამბავს ანზორის მკვლელობასთან? – იკითხა აქამდე ჩუმად მყოფმა მესამე ახალგაზრდამ.
– რა და, როდესაც ფული გჭირდება, სადმე უნდა იშოვო, უფულოდ კლავა ანზორას კი არა, მზეჭაბუკსაც არ იკარებს. ანზორას მისი სამყოფი ფული სად ჰქონდა. პოკერს თამაშობდა. ყოველთვის ხომ არ მოიგებდა, ჰოდა, ვინ იცის, რა მოხდა... გაგვიმარჯოს.
კვლავ შეავსეს ჭიქები.
– მე შენზე ნაწყენი ვარ, დათო, – შესცვალა საუბრის თემა შავი რატინის მოკლე პალტოში ჩაცმულმა ახალგაზრდამ.
– რა გაწყენინე? – გაუკვირდა თამადას.
– კიდევ მეკითხები?რატომ მომატყუილე ამ სამი დღის წინ და დამტოვე ქორწილში წაუსვლელი?
– აკი გითხარი...
– არაფერიც არ მითხარი. წეღან ანზორის პანაშვიდიდან რომ გამოვედით, იქაც გკითხე და სიტყვა ბანზე ამიგდე. რატომ არ მოხვედი?
– ხომ გითხარი, მანქანა გაფუჭდა–მეთქი.
– ჰოდა, ტყუილი მითხარი. კიარ გაგიფუჭდა, სადღაც იყავი.
– ღმკრთმანი არა, ზურაბ.
– როგორ თუ არა როცა მანქანა სახლში არ გყავდა და თვითონაც ორი დღე დაიკარგე, სად იყავი?
– მაგას კარგი დღე დაადგა შენი მოტყუებისათვის. გაიცინა დაბალმა.
– კარგი ახლა, – იწყინა თამადამ.
– მოიცა, დათო, დასამალი რა არის, – კვლავ გაიცინა დაბალმა და განაგრძო, – ვიღაც ძმაკაცს წაცყვა მგონი სამტრედიაში საქეიფოდ, ჰოდა კარგადაც ჟეჟეს და ორი დღე მანქანაც გზაში ჰყავდა დაყენებული.
– ჟეჟეს? – გაუკვირდა ზურაბს.
– მერე როგორ მანქანის ჩიხოლი სისხლით იყო შეღებილი, კიდევ კარგი, დედამისს არ გაუგია, გარეცხეს, – დაამთავრა დაბალმა და გადაიხარხარა.
– კარგი ერთი, მორჩი, – დათომ სავსე ჭიქა ასწია, მეგობრები ადღეგრძელა. კურცხალია წამოდგა, ლუდის საფასური გადაიხადა, შემდეგ პაპიროსი ამოიღო, ხელში მოსრისა და ასანთი მოძებნა. ყველა ჯიბე მოიჩხრიკა, მაგრამ ვერ იპოვა. მთვრალებთან მივიდა, ზრდილობიანად სთხოვა პაპიროსს მომიკიდეთო. ახალგაზრდებმა კოლოფი მიაწოდეს, კურცხალიამ გაჰკრა, მოუკიდა.
– ერთი ჭიქა დაგვილიეთ, – შეეპატიჟა დათო.
– მობრძანდით, დაგვლოცეთ, – სთხოვეს სხვებმაც

– გმადლობთ, არ ვსვამ, – იუარა კურცხალიამ
– როგორ გეკადრებათ უარის თქმა, ქართველი კაცი არა ხართ? დაგვილიე ერთი ჭიქა, – კვლავ შეეპატიჟა დათო.
კურცხზალიამ განგებისად კიდევ უთხრა უარი. მაგრამ რომ აღარ მოეშვნენ, ჭიქა აიღო, ახალგაზრდები მოკლედ ადღეგრძელა და გადაჰკრა. მწველმა სითხემ საამო სითბო ჩაუღვარა სხეულში.
დაცლილი ჭიქა ხელმეორედ შეუვსეს. ზურაბმა ცხელი ხინკალი მიაწოდა. კურცხალიამ მადლობა გადაუხადა, ჩამოართვა და მადიანად შეუდგა ჭამას.
– აბა ერთიც და კიდეც წამოგეწევი, კვლავ მიაწოდა სავსე ჭიქა თამადამ.
კურცხალიამ გადაჭრით იუარა, ღვიძლი მტკივა და მაწყენსო.
– რა ღვიძლი, რომელი გული, ხომ ხნდავ როგორ ყინავს. სახლამდე არც კი მიგყვება–წააქეზა დაბალმა.
– ვერა ძმაო, ვერ დავლევ, დილის შვიდ საათზე ქარხანაში უნდა ვიყო, დავთვრები და სამუშაოზე დამაგვიანდება, – იუარა უფროსმა ლეიტენანტმა.
– რა დროის ქარხანაზე ლაპარაკია. დიდი ამბავი ერთი საათით თუ დააგვიანე, – არ ეშვებოდა თამადა.
– მაშინ ლუდს დავლევ, – დათმობაზე წავიდა კურცხალია.
– არა კონიაკი დალიეთ. ლუდი დასაყოლებლად არის კარგი, – ჩაება დავაში მეორე.
კურცხალიამ მეორე ჭიქაც გადაკრა. შემდეგ ლუდის ტოლჩა აიღო, ცოტა მოსვა და ხინკალი დააყოლა.
– აი ასე! – კმაყოფილებით წარმოთქვა დათომ, – რა ქართველები ვართ, თუ ორი ჭიქა კონიაკიც ვეღარ დავლევთ, – შემდეგ ახალი ბოთლი გახსნა, მცირე ჭიქები შეავსო და ახალი სადღეგრძელო წამოიწყო...
ოციოდე წუთის შემდეგ ახალგაზრდებთან „დაძმობილებული„ კურცხალია ბარიდან გამოვიდა. მან უკვე იცოდა მოქეიფეთა ვინაობა. ბარის წინ გაჩერებული „პობედა„ შეათვალიერა. კარგად დაიხსომა ნომერი და ნელი ნაბიჯით წავიდა გაჩერებისაკენ, სადაც მინდელი და მილიციის ოფიცრები სხვებთან ერთად ტროლეიბუსს ელოდებოდნენ.
ქუჩაში ხალხის მოძრაობა შეთხელებულიყო. ყინავდა. ქვაფენილზე დარჩენილი თოვლი ელექტროშუქზე ქათქათებდა.
ტროლეიბუსი ჩამოდგა, მგზავრები ჩამოვიდნენ, მათი ადგილი სხვებმა დაიკავეს. ოფიცრები ტროლეიბუსიდან ჩამოსულებში გაერივნენ, მინდელმა რამდენიმე სიტყვა უთხრა კურცხალიას და ტროლეიბუსში შევიდა. ქუჩაში დარჩენილებმა კარგად დაინახეს, როგორ ჩაჯდა სავარძელში გამომძიებელი. ხმაურით დაიკეტა კარები და კრიალა მანქანა დინჯად გაცურდა თოვლისაგან გაწმენდილ ქუჩაზე. ოპერმუშაკებმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, შემდეგ გვერდით ქუჩაში შეუხვიეს და გაჩერდნენ.
– ახალი ხომ არაფერია? – ჰკითხა კურცხალიამ და ამხანაგებს პაპიროსი მიაწოდა.
– არაფერი,ფანჯრები კვლავ ჩაბნელებულია, – ჩრდილელმა ასანთი გაკრა, პაპიროსს მოუკიდა და დაუმატა: – დაადგინე ვინ არიან?

– დავადგინე „დავმეგობრდით„ კიდეც თუმცა მათი გაცნობა კინაღამ დათრობად დამიჯდა. მე ხომ არა ვსვამ, აქ კი ორი ჭიქა კონიაკი ერთბაშად გამოვცვალე. ვინ იცის, რა გზით ნაშოვნი ფულებით ლოთაობენ, თანაც ქართველობით ამაყობენ და ვაჟკაცობას ჩემულობენ.
– აი, ჩვენ უნივერსიტეტი ერთად დავამთავრეთ. ომისაგან განადგურებული ქვეყანა ჩვენი სტუდენტობის წლებში უკვე აღდგენილი იყო. ხალხს აღარ უჭირდა, ყველაფერი იშოვებოდა, მაგრამ მეორე კოსტიუმი სწავლის დამთავრების წინ ძლივს შევიკერეთ. სოფლიდან გამოგზავნილ მჭადს ვაცხობდით და ხშირად სამი დღის ლობიოთიგაგვქონდა თავი. ესენი კი... ჩაცმაში მოდას წინ უსწრებენ. რესტორანში ქეიფობენ, „პობედებს„ დააქროლებენ... საიდან? აი ის, თამადა, ქალაქის მთავარი უნივერმაგის დირექტორის შვილია. გავიქაჩე, ერთ ბოთლ კონიაკს მეც ვიყიდი–მეთქი, თავი კინაღამ მოიკლა „ჩემს სუფრაზე კაპეიკს ვერავინ დახარჯავსო„, თქვა ამაყად, ცხადია,მამამისი ხელფასით არ ცხოვრობს.
– ისინი ბარში დასტოვე? – შეაწყვეტინა ჩრდილელმა.
– ბარში, ძალზე მთვრალები არიან – „პობედა„ გარეთ უცდით, გამოვლენ, მიუჯდებიან საჭეს და კიდევ კარგია თუ არავინ იმსხვერპლეს. ვერ იქნა ვერ აღვკვეთეთ რესტორნების წინ მანქანების დგომა. ამის შესახებ პოლკოვნიკს უნდა მოვახსენოთ.
– საქმისათვის საჭირო გაიგე რამე? – იკითხა ბურდულმა.
– ჯერ ვერ გეტყვი. მე მათ მინდელის დავალებით ტყეშელაიძის სახლიდან გავყევი. იქ მანქანაზე ლაპარაკობდნენ რაღაცას. შემდეგ ბარში წასვლა გადაწყვიტეს. მინდელი დაინტერესდა მათი ვინაობით, მეც იმიტომ შემოვედი იქ.
– აინთო! – უეცრად წამოიძახა ჩრდილელმა და ხელი გაიშვირა. ბურდულმა და კურცხალიამ იქით გაიხედეს, საითაც ამხანაგი ანიშნებდა.
დევიძის ბინის იმ ოთახებში, რომლებიც ცოლ–ქმარ ზავიალოვებს ეჭირათ, შუქი კიაფობდა. ბურდულმა საათს დახედა, პირველი სრულდებოდა. ქუჩაში ბარის წინ ხმაური გაისმა, კურცხალიამ ფრთხილად გაიხედა. დათო და მისი მეგობრები სიცილ–ხარხარით მანქანაში სხდებოდნენ. მანქანის კარები მძლავრი ხმაურით მიხურეს და იმავე წამს თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩაიქროლა „პობედამ„.
– აბა მე წავედი, – აჩქარდა კურცხალია, – მანქანა შორს ვერ წავა. ხიდთან ინსპექტორს დაახვედრებს მინდელი, საბაბიც შესაფერისია დაკავებისათვის, მთვრალები უსხედან საჭეს, – უფროსი ლეიტენანტი ნისლივით გაქრა. ყრუ შესახვევში ორნი დარჩნენ.
– მაშ ასე, – ჩაილაპარაკა ბურდულმა, – დევიძის საიდუმლო მდგმურები ადგილზე არიან და ღამის პირველ საათზე იწყებენ „საქმიანობას„
– ახლა როგორ მოვიქცეთ? – იკითხა ჩრდილელმა.
– ველოდოთ. შენ აქ დარჩი, მე ბიჭებისაკენ გავივლი, გავაფრთხილებ. ახლა განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ჭაღარასთან ან უკვე მოვიდა ვინმე, ან უნდა მივიდეს. შესაძლოა შუქი საამისო სიგნალიც იყოს, – უპასუხა ბურდულმა. შემდეგ მთავარი ქუჩა მოათვალიერა, პალტოს საყელო აიწია და მთვრალი კაცის დამახასიათებელი ნაბიჯით გასწია.

ჩრდილელს უნებურად გაეღიმა. ბურდული ისეთნაირად იქნევდა ტანს და ბარბაცებდა, რომ კინაღამ მასაც შეეპარა ეჭვი. შესმულმა ორმა ტოლჩა ლუდმა ხომ არ დაათროო.
ბურდული თვალს მოეფარა.
ქუჩაში გამვლელები აღარ ჩანდნენ. ხანგამოშვებით მსუბუქი მანქანა ან ტროლეიბუსი თუ ჩაიქროლებდა, მხოლოდ.
ღამე და ყინვა მეფობდა ქალაქში.
ჩრდილელმა პაპიროსი ამოიღო, პალტოს შიგენით დიდი სიფრთხილით მოუკიდა, შემდეგ ორთავე ხელის მუჭში მოიმწყვდია და მადიანად მოსწია. თოვლის სითეთრე ღამეს ებრძოდა. ღამის ჩრდილში შეფარებული ჩრდილელი ისე აკვროდა ელექტრობოძს, ერთი შეხედვით მისი განუყოფელი ნაწილი ეგონებოდაგამვლელს. ის იდგა სიცივეში, ყინვაში, მთელი დღის ნაშრომი, დაღლილი, წუთები კი მძიმედ მიდიოდა ამ დაუსრულებელ ზამთრის ღამეში.

§ § §

დათო ქავჟარაძის დაკავების ამბავი როგორღაც დილითვე გაიგო ჩიკვაიძის დედამ. ცნობილი გახდა ისიც, რომ ჩხრეკის შედეგად ქავჟარაძის გარაჟში მანქანის სისხლიანიშალითები იქნა ნაპოვნი. ვიღაცამ გამწარებულ დედას ისიც ჩააწვეთა, ორი თვის წინ ქავჟარაძესა და ანზორს რომ ჩხუბი მოსვლოდათ და ნაცემი დათო მოკვლით დამუქრებია გამლახველს. ყოველივე ამან ისე გადარია, ისედაც სანახევროდ შეშლილი ქალი, რომ ორი მიცვალებულის ჭირისუფალი ქალები სისხამ დილით მილიციაში მივარდნენ.
– მიჩვენეთ მკვლელი! გამოათრიეთ ჩემი ოჯახის დამღუპველი, დამანახეთ, რომ კბილებით დავგლიჯო, თვალები ამოვკაწრო! – ცივი ხმით კიოდა ის.
ვერაფრით ვერ შეძლეს გაშმაგებული ქალის დაწყნარება, ანზორის დედას არაფრის გაგონება არ სურდა და დაჟინებით მოითხოვდა მკვლელის ნახვას, ხოლო ორთავე მკვლელობა რომ ქავჟარაძის მიერ იყო ჩადენილი, ამაში არ მას და არც თინა ტყეშელაიძეს ეჭვი აღარ ეპარებოდათ.
სამმართველოს პასუხისმგებელი მორიგე დააფრთხო ჩიკვაიძის დედის შემოტევამ. ქალმა არც კი მოუსმინა მის მუდარას, გამომძიებლის ან სამმართველოს უფროსის მოსვლას დალოდებოდა. უეცრად ღონემოცემული გააფრთებული ქალი ძუ ვეფხვივით ბრდღვინავდა და ქავჟარაძის დაუყოვნებლივ გამოყვანას მოითხოვდა.
გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მორიგე ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა გამომძიებლისათვის დაერეკა და სამმართველოში მოსვლა ეთხოვა.
ისედაც ღამენათევი მინდელი სასწრაფოდ მოვიდა. ძაძებში ჩაფლულ ქალებს დაუყვავა, ყველაფრის გარკვევას შეჰპირდა. გამომძიებლის მშვიდმა ტონმა უფრო გააცოფა ქალები.

– რის გამორკვევა, რა გამოძიება, მკვლელი, ორი კაცის მკვლელი გვიჩვენეთ, ჩვენი ხელით უნდა დავკლათ, ფრჩხილებით დავფლითოთ! – საშინელი ხმით კივოდნენ დები და თვალებიდან ღვლეფს ისროდნენ.
9 საათზე ხომერიკიც მოვიდა სამმართველოში, პროკურორმა და გამომძიებელმა ძლივს შეძლეს გაცოფებული ქალების ოდნავ დამშვიდება და სახლში გასტუმრება.
ის იყო ქალები გაიყვანეს, რომ ბალანჩივაძეც შემოვიდა. თანაგრძნობით შეხედა უძილობისა და ნერვიულობისაგან მოქანცულ მინდელს.
– დაიქანცე? – შეეკითხა ღიმილით.
მინდელმა რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა. სამთავენი ბალანჩივაძის კაბინეტში შევიდნენ. პოლკოვნიკმა პალტო გაიხადა, კაჩხაზე მიკიდა, შემდეგ მეგობრულად მხარზე ხელი მიუთათუნა გამომძიებელს.
– რას იზამ, ძვირფასო ადამიანების ასე ტრაგიკულად დამკარგავ ქალებს ბევრი ეპატიებათ, უნდა მოუთმინოთ, არა გიორგი?
– ცხადია – დაუდასტურა ხომერიკმა.
– მესმის,პატივცემულო დავით,მაგრამ დამიჯერეთ, იმდენი შრომა, რაც მე მათ დასამშვიდებლად გავწიე, ორი საქმის გამოძიებას მაინც უდრის ბალანჩივაძემ გაიღიმა.
– მკვლელობაა, ძმაო. ორი მკვლელობა. ეს კი ქალს კი არა მრავალ ჭირგამოვლილ ვაჟკაცსაც დაუკარგავს გონს.
პოლკოვნიკმა პაპიროსის კოლოფი გახსნა, ერთი ცალი ამოიღო.
– მომკლა ამ ოხერმა, – ჩაილაპარაკა უგემურად და ასანთს მოუკიდა.
მინდელი მდუმარედ იდგა ფანჯარასთან.
– დაკითხე ქავჟარაძე? – შეეკითხა პოლკოვნიკი.
– არა წუხელ ძალზე მთვრალი იყო, დღეს კი... თქვენც ნახეთ, აქამდე ქალების დამშვიდებას მოვუნდი.
– მაშ დავკითხოთ.
პოლკოვნიკმა სერჟანტი გამოიძახა და ქავჟარაძის ამოყვანა უბრძანა. შემდეგ ტელეფონზე დარეკა.
– გრძელიძე ბრძანდებით? სალამი , ბატონო გივი! პოლკოვნიკი ბალანჩივაძე ვარ. დიახ, გამოიცანით. ძალიან გვჭირდბით... 6 საათზე? კარგი, იყოს, გელოდებით!
კაბინეტის კარი გაიღო. თავდახრილი ქავჟარაძე უხერხულად აიტუზა კარებთან.
– ახლოს მოდით, დაჯექით! – უთხრა ხომერიკმა და კუთხეში მდგომ სკამზე ანიშნა.
ქავჟარაძე უხმოდ ჩამოჯდა.
ბალანჩივაძემ დაკვირვებით შეათვალიერა თავჩაღუნული ახალგაზრდა. წინაღამით ნაბახუსევს სახე შეშუპებოდა, თვალები ჩათლურჯებოდა, გაფითრებულ შუბლზე დაუვარცხნელი, გაწეწილი ქერა თმები ჩამოჟყროდა.
– დიდი ხანია მანქანა გაქვთ? – ჰკითხა მინდელმა.
ქავჟვრვძემ თავი ასწია.
– სამი წელიწადია, – უპასუხა უღიმღამოდ.

– რატომ ჯდებით მთვრალი საჭესთან? ქავჟარაძე დუმდა.
– სად იყავით წუხელ ბარში შესვლამდე? – განაგრძო მინდელმა.
– ანზორ ჩიკვაიძის პანაშვიდზე ვიყავი, – მიუგო წყნარად დათომ.
– იცნობდით ჩიკვაიძეს?
– დიახ, ვიცნობდი.
– როგორი დამოკიდებულება გქლნდა მასთან?
– ჩვეულებრივი, – უპასუხა განცვიფრებულმა ქავჟარაძემ.
– რაიმე უკმაყოფილება ხომ არ მოგსვლიათ?
– მე და ჩიკვაიძეს? – უფრო განცვიფრდა ქავჟარაძე – არა!
– რატომ სტყუით? – შენიშნა მინდელმა მკაცრად.
– ვსტყუი? მე არ ვსტყუი, მაგრამ რა კავშირი აქვს თქვენს კითხვებს ჩემს მიერ მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვასთან? – კითხვაზე კითხვითვე უპასუხა უფრო განცვიფრებულმა პატიმარმა.
– მიპასუხეთ! კითხვებს აქ მე ვიძლევი.
– არავითარი უკმაყოფილება არ მქონია ჩიკვაიძესთან, – მიუგო ჯიუტად ქავჟარაძემ.
– ამ ორი თვის წინათ რატომ იჩხუბეთ?
პატიმარი აირია.
ვიჩხუბეთ... მერე რა რომ ვიჩხუბეთ. მაინც ამხანაგები ვიყავით, მტრები ხომ არა.
– კარგი, ასე იყოს, – დათანხმდა გამომძიებელი და განაგრძო: – აბა კარგად მოიგონეთ და მიპასუხეთ, სად იყავით თქვენი მანქანით ამაწლის 12 იანვარს?
– 12 იანვარს? თვალები გაუფართოვდა დათოს. – დიახ , თორმეტ და ცამეტ იანვარს! – დააზუსტა მინდელმა ქავჟარაძემ წამით იყუჩა.
– არ მახსოვს... –ჩაილაპარაკა გაუბედავად.
– უნდა გაიხსენოთ, თქვეს პასუხზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.
ქავჟარაძე გამომცდელად მიაჩერდა მინდელს, შემდეგ ჩუმად მყოფ ბალანჩივაძეს და ხომერიკს შეავლო თვალი და მიხვდა, რომ მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვა ამჟამად რაღაც წვრილმანი იყო და გამომძიებელს რაღაც სხვა, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი აინტერესებდა.
– მიპასუხეთ!
– არ მახსოვს, ვერ მოვიგონე, – მიუგო დაფანტულად.
– კარგი, რატომ არის მანქანის შალითა სისხლით მოსვრილი?
ქავჟარაძე უეცრად გაფართოებულ თვალებში შიში ჩაუდგა.
– რა სისხლი! არავითარი სისხლი და საერთოდ...
– ჩვენ უკვე ვნახეთ, მოქალაქე ქავჟარაძე, – მკაცრად შეაწყვეტინა მინდელმა და დარეკა: – შემოიტანეთ წუხანდელი ჩხრეკის შედეგად ქავჟარაძის სახლიდან წამოღებული შალითა! – უბრძანა შემოსულ სერჟანტს.
პატიმარი მიცვალებულივით გაფითრდა, უენცრად დაუგრძელდა სახე და ხელები აუკანკალდა.
მინდელს არ გამოპარვია, რა გავლენაც მოახდინა პატიმარზე სისხლიანი შალითის ხსენებამ და გადაწყვიტა ესარგებლა ქავჟარაძის შეკრთომით.

– უარყოფას აზრი აღარ აქვს დათო, – დასძინა მტკიცედ ქავჟარაძე გამოერკვა.
– რა გინდათ ჩემთან? რას მაბრალებთ? – ჰკითხა შიშით და ცუდად დაფარული მძულვარებით.
– ჩვენ არაფერს გაბრალებთ. გვინდა გვითხრა, სად იყავით 12 და13 იანვარს ღამით, – მშვიდად შენიშნა მინდელმა.
– ამას თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, – უპასუხა მკვახედ.
გამომძიებელს ცივად გაეღიმა.
სერჟანტმა თოკი შეხსნა , გაშალა,ლამაზ დეკორატიულ ქსოვილს უხვად აჩნდა სისხლის ლაქები.
– თქვენია შალითა ? – შეეკითხა პრლკოვნიკი.
ქავჟარაძე დუმდა.
– შეხედეთ და გვიპასუხეთ! – სიმკაცრე დაეტყო პრლკოვნიკი.
პატიმარმა თავაუწევლად შუბლს ქვემოდან შეათვალიერა ქსოვილი.
– ჩემია, – ჩაიჩურჩულა წყნარად,
– ვისი სისხლით არის დასვრილი? – განაგრძო მინდელმა.
– არ ვიცი.
– როგორ თუ არ იცით ? – გაიკვირვა ბალანჩივაძემ ესე იგი არ იცით, ვისი სისხლით არისდასვრილი თქვენი მანქანის შალითა?
ქავჟარაძე კვლავ დუმდა.
– მიპასუხეთ! – ხმას აუწია პოლკოვნიკმა.
– არ ვიცი! – გაიმეორა ჯიუტად პატიმარმა.
– თავს ნუ ისულელებთ, ქავჟარაძე, თქვენთვისვე ჯობს სიმართლე თქვათ.
– აკი გითხარით, არ ვიცი – მეთქი, – გაიმეორა დათომდა უტეხად შეხედა ბალანჩივაძეს.
მინდელს ბრაზი მოერია, მაგრამ თავი შეიკავა პაპიროსს მოუკიდა.
– ქავჟარაძე, – ჟდაიწყო მან წყნარად, – თქვენ უნდა გესმოდეთ , რომ ეგ პასუხი არ არის, შალითა თქვენია ჩვენ ის წუხელ ჩხრეკის შედეგად ამოვიღეთ თქვენი სახლის სარდაფიდან, გესმით? სარდაფიდან და არა გარაჟიდან! და ის ვინც შალითა დამალა, დაინტერესებული იყო არავის ენახა მასზე სისხლის ლაქები!
– ეს სერიოზული სამხილია და თქვენც მისი უარყოფა არ შეგიძლიათ, – დასძინა ხომერიკმა.
ქავჟარაძე არ განძრეულა.
– არ გსურთ მიპასუხოთ?
– მე გითხარით, არ ვიცი სად დაისვარა შალითა.
– მანქანას თქვენს გარდა ატარებს ვინმე?
– დიახ მამაჩემი.
– 12 იანვარს მამათქვენს ჰყავდა მანქანა წაყვანილი?
– არა, არა! რას ამბობთ, მამაჩემმა არც კი იცის, თუ ...
– არ დაამთავრა სათქმელი ქავჟარაძემ.
– თუ რა? დაამთავრეთ!
ქავჟარაძე შეყოყმანდა, მუდარით შეაჩერდა გამომძიებელს.

– თუ მე სახლში არ ვიყავი, – ამოღერღა ბოლოს.
– მაშ მოიგონეთ?, რომ სახლში არ იყავით? კარგია! ახლა სთქვით, სად იყავით? – კვლავ ძველ კითხვას დაუბრუნდა გამომძიებელი.
ქავჟარაძე წამით დუმდა, შემდეგ თავი ასწია. გაბედულად შეხედა გამომძიებელს.
– ვხედავ,რაღაცას მაბრალებთ, მაგრამ მე არ მეშინია, რადგან ვიცი, არავითარი ბოროტება არ ჩამიდენია. რაც შეეხება 12 იანვარს, გითხარით, რომ არ მახსოვს, მაგრამ თუ სადმე ვიყავ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიჩხუბე და რაიმე დანაშაული ჩავიდინე.
მინდელი გააკვირვა ქავჟარაძის პასუხმა, მისმა ტონმა. „დამნაშავეა თუ არა?„ – გაუელვა ფიქრმა და გამომცდელად, ჩაციებით მიაჩერდა პატიმარს.
ქავჟარაძეს პირველმა შიშმა გაუარა. მშვიდად იჯდა სკამზე და ჯიუტად შეკრულ წარბებ ქვეშიდან გულმოსულად შეჰყურებდა გამომძიებელს.
– ასე ფონს ვერ გახვალთ, ქავჟარაძე, – დაარღვია დუმილი გამომძიებელმა, – თქვენ არ გინდათ თქვათ სად იყავით 12–13 იანვარს ღამით, არ გინდათ თქვათ, რა ვითარებაში დაისვარა სისხლით თქვენი მანქანა, სისხლიანი შალითა სარდაფში დამალეთ. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სწორედ თქვენს მიერ არის ჩადენილი დანაშაული.
– რა დანაშაული? – ბრაზიანად ჩაიხიხინა ქავჟარაძემ.
– მკვლელობა! – ცივად მოჰკვეთა მინდელმა.
– მკვლელობაა?! ვისი მკვლელობა? – ძლივს ამოილაპარაკა დათომ.
– ჩიკვაიძის,ანზორ ჩიკვაიძის მკვლელობა, – განუმარტა პოლკოვნიკმა.
ქავჟარაძე ელდანაცემი წამოიჭრა სკამიდან, გაფითრდა. შემდეგ უეცრად მოწოლილმა სისხლმა წითელი ლაქებით აუფორაჯა მოგოძო სახე, ციებიანივით აუცახცახდა ნიკაპი.
– თქვენ... თქვენ გაგიჟდით თუ ხუმრობთ? – იყვირა გაშმაგებით.
– აქ სახუმარო ადგილი როდია, – შენიშნა პოლკოვნიკმა.
ქავჟარაძემ უაზროდ შეხედა ორთავეს. გამომძიებლისა და პოლკოვნიკის ცივმა, მოღუშულმა გამოხედვამ დაარწმუნა დაკავებული, რომ არავითარ ხუმრობას ადგილი არ ჰქონდა და, მოცელილივით დაეცა სკამზე.
– დედა! ვაიმე, დედა! – დაიგმინა მან და ხმამაღლა ატირდა.
მინდელმა და ბალანჩივაძემ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ დათოს მიაპყრეს მზერა, რომელსაც თავი ხელებში ჩაერგო და მხრები უცახცახებდა.
კაბინეტში გამეფებულ დუმილს ქავჟარაძის ზლუქუნი არღვევდა მხოლოდ.
ასე გავიდა რამოდენიმე წუთი.
ქავჟარაძე ოდნავ დამშვიდდა, თავი ასწია,ცრემლიანი თვალებით გამომძიებელს მიაჩერდა.
მინდელი დუმდა და ელოდა როდის ალაპარაკდებოდა იგი.
– ბატონო, გამომძიებელო მე... მე არ მეგონა, გეფიცებით... მწამდა რომ მეხუმრებოდით. მე მკვლელი? როგორ იფიქრეთ...
– სად იყავით 12 იანვარს ღამით? – გააწყვეტინა მინდელმა.
– ვიყავი სხვაგან, ვიყავი, მაგრამ მანქანა... თან არ მყოლია... ის სხვას ვათხოვე.

– ვის ათხოვეთ?
– არ ვიცი ესე იგი გვარი არ ვიცი, ვახტანგის ეძახიან, სახეზე ვიცნობ, – ამოილუღლუღა ქავჟარაძემ.
– მანქანა უცნობს ათხოვეთ? – იჭვნეულად შეეკითხა გამომძიებელი.
– გეფიცებით, ნამდვილად უცნობს ვათხოვე, ორი დღით სამტრედიაში იყო წასული, დამიჯერეთ.
– რატომ ათხოვეთ?
– გეტყვით ყველაფერს, გეტყვით. ვახტანგის ფული მემართა 1000 მანეთი, ჰოდა უარი ვერ ვუთხარი, მითხრა თუ მანქანას მათხოვებ, ვალს გადახდილად ჩაგითვლიო და...
– დაუჯერებელს ლაპარაკობთ, ქავჟარაძე! უცნობს მანქანა ათხოვეთ, უცნობისაგან ფული ისესხეთ, ისიც ამოდენა თანხა. გესმით რა სისულელეა?
– მე, მე არ მისესხებია... ეს ფული ისა... წავაგე... ზარში წავაგე... – ამოღერღა მან. მინდელი გამომცდელად მიაჩერდა.
– წააგეთ? როდის წააგეთ?
– ზაფხულში... თბილისში. შემთხვევით გადავეყარე. მას შემდეგ ახლოს არ გავკარებივარ თამაშს. დასანახად შემძულდა კამათლები. შევპირდი ფულს ჩავუტანდი. ვერ ვიშოვე, შიშით თბილისში ვერ ჩავდიოდი. 10 იანვარს მოულოდნელად აქ, ქუთაისში, გადავეყარე, შემეშინდა, უარი ვერ ვუთხარი. დამიჯერეთ სიმართლეს გეუბნებით.
– ვინ იცის, რომ მანქანა გაანათხოვრეთ?
– არავინ, არვისთვის მითქვამს. სახლიდანაც იმიტომ წავედი, რომ მანქანის განათხოვრება არ გაეგოთ.
– სად არის ახლა ის ვიღაც ვახტანგი? – ჩაერია პოლკოვნიკი.
– არ ვიცი, ალბათ თბილისში. მე ასე მითხრა, თბილისში მივდივარო ამაღამ.
– როდის გითხრათ?
– 13 იანვარს, როცა მანქანა მოიყვანა.
– ვინ არის ვახტანგი და რა საქმიანობას ეწევა?
– არ ვიცი, არაფერ არ ვიცი. შემთხვევით შევხვდი,სახეზე ვიცნობ მხოლოდ, არაფერი ვიცი მის შესახებ.
– სად გაასისხლიანეთ მანქანა?
– მე არა, დილით ვნახე, რომ შალითა სისხლიანი იყო,შემეშინდა, არავინ გაიგოს– მეთქი, იმიტომ დავმალე,რას ვიფიქრებდი თუ...
– გრძელიძეს იცნობთ? – ახალი კითხვა დასვა მინდელმა.
– ვინ გრძელიძეს?...
– ქირურგს.
– არ ვიცი ვინ არის.
– ნატალია დევიძეს?
– არც მას.
– კარგი, ამჟამად კმარა. გაიყვანეთ! – უბრძანა მინდელმა ზარის ხმაზე შემოსულ სერჟანტს.

ქავჟარაძე წამოდგა, მუდარით შეხედა გამომძიებელს.
– მე... მე თავისუფალი ვარ? შეიძლება სახლში წავიდე? – იკითხა ჩავარდნილი ხმით.
– მინდელმა გაკვირვებით შეხედა
– ის, რაც თქვენ მიამბეთ, ჯერჯერობით მხოლოდ უაზრო ზღაპარს ჰგავს. ვიდრე არ შევამოწმებთ, აქ დარჩებით, გაჰყევით.
მინდელი, ხომერიკი და ბალანჩივაძე მარტოდ დარჩნენ.
– რას იტყვით, ლევან? – დაარღვია დუმილი პოლკოვნიკმა.
– ჯერ ვერაფერს, ვნახოთ რას გვეტყვის ქავჟარაძე შემდეგ დაკითხვაზე. თუ ყველაფერი ის, რაც მან ახლა გვიჩვენა მოგონილია, მე კი მგონია, მართლაც მოგონილია, შემდეგ ჩვენებაში იოლად აერევა დეტალები. ორ–სამ დღეში მის პიროვნებას შევისწავლი, სხვა საკითხებსაც გავარკვევ. ახლა კი, უნდა გითხრათ, საქმის ყველა მონაცემი მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ეჭვს არ იწვევს, რომ ამ მანქანით წაიყვანეს ბოროტმომქმედებმა დაჭრილი ბანდიტი, სისხლიც უთუოდ მისია, ამავე მანქანით არის გატაცებული გრძელიძე, ალბათ თვითონაც ამოიცნობს. მე კი წუხელ ღამითვე შევამოწმე ქავჟარაძის მანქანის უკანა სავარძლის მარცხენა კუთხის ზამბარა დაზიანებული აქვს. ახლა მთავარია, რას გვეტყვის თვითონ გრძელიძე. არა მანქანის ამოცნობაზე, ამაში ეჭვი არ მეპარება, თვით ქავჟარაძის შესახებ. საჭესთან მჯდომი დამნაშავის გარეგნობა, რაც გრძელიძემ აგვიწერა, ნაწილობრივ ემთხვევა ქავჟარაძის ნიშნებს. ასე რომ, ჯერჯერობით ფაქტები ქავჟარაძის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს.
პოლკოვნიკი ჩაფიქრდა.
– თქვენ მართალი ხართ, შეკრებილი სამხილები ქავჟარაძის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ. პირდაპირ რომ ვთქვათ, ბრალდება თითქმის დამტკიცებულია, მაგრამ მისი ქცევა...
– ქავჟარაძის ჩვენება რაღაც უაზრო ზღაპარს ჰგავს, – დაფიქრებით წარმოთქვა ხომერიკმა. – შემდეგ... სისლიანი შალითა, გრძელიძის მოტაცება, სავარძლის დაზიანებული ზამბარა–ყველა ეს, დანაშაულის დამადასტურებელი რგოლია. თუ გრძელიძემ მანქანა ამოიცნო, ქავჟარაძის დაპატიმრება მოგვიწევს
– უსათუოდ –ფიქრიანად დაუდასტურა გამომძიებელმა.
კაბინეტის კარები გაიღო, ზღურბლზე ბურდული გამოჩნდა.
– შეიძლება? – იკითხა მორიდებით.
– შემოდით, შემოდით! – პოლკოვნიკი წამოდგა, ბურდულს ხელი ჩამოართვა.
– როგორაა საქმე? – ჰკითხა ღიმილით.
– კარგად,ამხანაგო პოლკოვნიკო.
ბურდული სხვებსაც მიესალმა და მაგიდასთან შეჩერდა.
- დაჯექით! – შეეპატიჟა პოლკოვნიკი, – დაჯეგით და გვიამბეთ, როგორ გაიარა ღამემ.
– როგორც ნაბრძანები გვქონდა, – დაიწყო ბურდულმა, – ჩვენ დევიძის სახლზე სამი მხრიდან დავაწესეთ თვალთვალი. თვითოეულ საგუშაგოზე ორი ამხანაგი მივამაგრე. ერთ–ერთ პუნქტად, თქვენი რჩევით, ამხანაგო პოლკოვნიკო, ლუდის

ბარი გამოვიყენეთ, სითბოშიც ვიყავით და ჩვენს საქმესაც შეუმჩნევლად ვაკეთებდით. მაგრამ, – ბურდულმა ღიმილით გადახედა მინდელს, – ლევანმა მალე გამოგვაბრძანა იქიდან. ერთ ხანს გაჩერებასთან ვიდექით, როგორც ტროლეიბუსის მომლოდინე მგზავრები, შემდეგ, როდესაც მინდელი წამოვიდა და ქუჩაშიც ხალხის მოძრაობა შემცირდა, იქვე ჩიხში შევედით. ზუსტად პირველ საათზე ზავიალოვების ოთახებში ელექტროშუქი აინთო. ჩრდილელი ჩიხში დავტოვე. მე კი დანარჩენები გავაფრთხილე შუქის ანთების შესახებ და ჩემს ადგილზე დავბრუნდი. ასე გავათენეთ მთელი ღამე. დევიძის სახლიდან არავინ გამოსულა. არც იქით წვევია ვინმე, – დაამთავრა ბურდულმა.
– შუქი დიდხანს ენთო? – იკითხა პოლკოვნიკმა.
– ზუსტად 40 წუთი. შემდეგ ჩაქრა და აღარ ანთებულა.
– დარწმუნებული ხართ, რომ სინათლე ზავიალოვების ოთახიდან გამოდიოდა?
– სავსებით,ამხანაგო ლევან. დევიძის სახლის ჩიხისაკენ 5 ფანჯარა აქვს, აქედან უკანასკნელი სამი ფანჯარა ზავიალოვების ოთახებისაა. სწორედ აქ აენთო შუქი. წინა ორ ფანჯარაში კი სინათლე დაღამებიდანვე იყო ანთებული, – განმარტა ბურდულმა.
– კეთილი , მაგრამ იქნებ გამოგეპარათ რაიმე, იქნებ ვერ შეამჩნიეთ მომსვლელი ან წამსვლელი? – ბალანჩივაძემ გამომცდელად შეხედა ბურდულს.
– არა, ამხანაგო პოლკოვნიკო, სახლის ყველა მისასვლელი ჩვენ განუწყვეტელ თვალთვალიში იმყოფებოდა. სათვალთვალო პუნქტები საიმედო ადგილზე ჯერ კიდევ დღისით შევარჩიეთ. არც ეზოდან, არც სადარბაზო შესასვლელიდან დევიძის სახლში არავინ შესულა, არც იქიდან გამოსულა ვინმე, – მტკიცედ უპასუხა.
– სინათლის ანთების შემდეგ არც ვინმე შეჩერებულა დევიძის სახლთან?
– არავინ! მხოლოდ პირველ საათსა და 40 წუთზე ვიღაც კაცმა ჩაიარა, მაგრამ ის იქვე მეორე სახლის ეზოში შევიდა, ალბათ იქ ცხოვრობს.
პოლკოვნიკს გაეღიმა.
– ეგ „კაცი„ უეჭველად დევიძეს ესტუმრა, უდავოა სინათლე სიგნალი იყო, რომ მისვლა უხიფათოა. ჭაღარამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ გამოცდილ დამნაშავეებთან გვაქვს საქმე.
– ესე იგი ბანდიტებმა უკვე იციან, რომ ვუთვალთვალებთ? – შეშფოთდა ბურდული.
– არა, – კვლავ გაიღიმა პოლკოვნიკმა, – ეგ გამორიცხულია. უცნობს რომ ოდნავ ეჭვიც შეპარვოდა, სათოფედაც არ მიუახლოვდებოდა დევიძის სახლს. მან მხოლოდ სიფრთხილე გამოიჩინა და დევიძის სახლში შესვლა მეზობლის ეზოს წინასწარ შეგულვებულ ადგილიდან აირჩია. თუმცა ეგ არაფერი, – განაგრძო პოლკოვნიკმა, რაკი შეამჩნია, რომ ბურდული დანაღვლიანდა, – კიდეც რომ გაგეთვალისწინებინათ ის, რაც ვერ შეამჩნიეთ, ამით არაფერი შეიცვლებოდა. თქვენ ხომ ის გქონდათ ნაბრძანები, სახლიდან გამოსული დაგეკავებინათ, სახლშიკი დაუბრკოლებლად გაგეტარებინათ ყველა მიმსვლელი.
– დიახ, მაგრამ... მაინც...

– არავითარი მაინც... თუ ის უცნობი დევიძის სახლში მივიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ მყოფთ კიდევ ერთი ბოროტმოქმედი შეემატათ. პატიოსანი კაცი სხვის ეზოზე ქურდულად გავლით არ მიდის სტუმრად მაშასადამე, მაშასადამე ხაფანგში ერთი ვირთხით მეტი შევიდა. ახლა სათაგურის კარი ისე უნდა დაიკეტოს, რომ ვირთხები ყველანი შიგ აღმოჩნდენ. ამისათვის კი საჭიროა ეს საიდუმლო სავალიც ჩვენი თვალთვალის ქვეშ მოექცეს. იქ, სადაც შესვლა შეიძლება, გამოსვლაც არ არის შეუძლებელი. გასაგებია?
– დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო!
– კეთილი,სხვები სად სრიან?
– ყველანი აქ არიან, ამხანაგო უფროსო.
– რომელ საათზე შეგცვალეს?
– 8 საათზე
– ვინ უთვალთვალებს ახლა დევიძის სახლს?
– დავიდოვი, ჟორჟოლიანი, ჩაფიძე და ჭანტურია. დღისით მეტი არ არის საჭირო,რადგან ერთმანეთთან კავშირი აქვთ.
– დევიძე სახლშია?
– ალბათ, გუშინ ის არ მუშაობდა. ჩვენს შეცვლამდე სახლიდან არ გამოსულა, ხოლო თუ გამოვა, როგორც ნაბრძანებია „გააცილებენ„
პოლკოვნიკმა საათს დახედა.
– კეთილი, – წარმოთქვა მან, – ახლა 12 საათია. ვინც წუხელ მორიგეობდით, შეგიძლიათ წახვიდეთ, დაისვენოთ, 4 საათზე კი აქ იყავით. საღამოს ალბათ ყველა ჩვენგანს საკმაო სამუშაო ექნება.
– გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკოვნიკო.
ბურდული სხარტად გატრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.
პოლკოვნიკი წამოდგა.
– მაშ ასე ჩემო ლევან, – გაიღიმა მან, – რკალი თანდათან ვიწროვდება, კიდევ ცოტა და საშუალება გვექნება პირისპირ ვესაუბროთ ზოგიერთებს.
მინდელმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, რადგან გარეთ, მოსაცდელში რაღაც ხმაური ატყდა.
– ალბათ ისევ ჩიკვაიძის დედაა – წაილაპარაკა ხომერიკმა.
– არა მგონია, – უპასუხა ბალანჩივაძემ და ყური მიუგდო.
ხმაური გაძლიერდა.
„უფროსთან გიჩივლებ, ნახავ თუ გაგივა შარი პატიოსან...„ – გარკვევით გაიგონა ორთავემ, მაგრამ დანარჩენი სიტყვები ვეღარ გაარჩიეს, რადგან კარი გაიღო და კაბინეტში ლეიტენანტი ჭანტურია შემოვიდა.
– ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, – მიმართა პოლკოვნიკს
– რაშია საქმე, ვინ ყვიროდა? – შეეკითხა პოლკოვნიკი.
– ახლავე მოგახსენებთ.
– როგორც თქვენთვის ცნობილია, დევიძის სახლის თვალთვალი დილის 8 საათიდან ჩემს ჯგუფს დაევალა. 9 საათსა და 45 წუთზე დევიძე სახლიდან

გამოვიდა მე ჩაფიძეს, შემუშავებული გეგმის მიხედვით, სამსახურამდე უნდა მიგვეცილებინა იგი, გავყევით.
დევიძე რუსთაველის ქუჩაზე ტროლეიბუსში ჩაჯდა, ჩვენც მის უკან თავისუფალ სავარძელში მოთავსდით. კიროვის ქუჩაზე ნატალია ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა და იქვე ქუჩის მარჯვენა მხარეს გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდა. ნახევარი კილოგრამი ძეხვი და ერთი ბოთლი არაყი იყიდა.
ჩვენ ორ გარემოებას მივაქციეთ ყურადღება. თუმცა სალაროსთან არავინ იყო, დევიძემ ჩეკი რატომღაც არ აიღო, პირდაპირ ძეხვეულის სექციას მიადგა და გამყიდველ ქალს შეეკითხა იოსკა ხოტოველი თუ მუშაობსო. ახლავეო, უპასუხა ქალმა. შემდეგ ხმამაღლა გასძახა: „იოსებ!„ „აქა ვარ!„ – მოისმა ხმა მაღაზიის შიგა სათავსოდან და ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც მაღალი, მწითური კაცი გამოვიდა.
„რა იყო? – იკითხა მან.
„თქვენ გკითხულობენ„. – ქალმა თვალით უჩვენა დევიძეზე.
„რა გნებავთ ქალბატონო? — დავადგინე „დავმეგობრდით„ კიდეც თუმცა მათი გაცნობა კინაღამ დათრობად დამიჯდა. მე ხომ არა ვსვამ, აქ კი ორი ჭიქა კონიაკი ერთბაშად გამოვცვალე. ვინ იცის, რა გზით ნაშოვნი ფულებით ლოთაობენ, თანაც ქართველობით ამაყობენ და ვაჟკაცობას ჩემულობენ.დევიძის ბინის იმ ოთახებში, რომლებიც ცოლ–ქმარ ზავიალოვებს ეჭირათ, შუქი კიაფობდა. ბურდულმა საათს დახედა, პირველი სრულდებოდა. ქუჩაში ბარის წინ ხმაური გაისმა, კურცხალიამ ფრთხილად გაიხედა. დათო და მისი მეგობრები სიცილ–ხარხარით მანქანაში სხდებოდნენ. მანქანის კარები მძლავრი ხმაურით მიხურეს და იმავე წამს თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩაიქროლა „პობედამ„. მიუბრუნდა იოსები შემოსულს.
„ნახევარი კილოგრამი ახოტნიჩი კალბასი და ერთი ბოთლი არაყი გთხოვათ ვახტანგმა.„
„ახოტნიჩი ახლა არა გვაქვს, სხვას მოგართმევთ, არაყს კი გაგატანთ„
„რა გაეწყობა„ – მიუგო ქალმა, საფულე გახსნა, 50 მანეთიანი ამოიღო და გაუწოდა. იოსებმა დაკვირვებით დახედა ფულს, შემდეგ ჯიბეში ჩაიდო, მარჯვედ შეახვია არყის ბოთლი ქაღალდში და ვიდრეგადასცემდა, ზრდილობიანად იკითხა:
„ძეხვი ქუთაისის ნაწარმი მოგართვათ თუ...„
„წყალტუბოსი, უსათუოდ წყალტუბოსი, ასე გთხოვათ ვახტანგმა„, – არ დაამთავრებინა ქალმა.
„კეთილი ჩემთვის სულ ერთია„ – მიუგო გამყიდველმა. შემდეგ თაროდან ძეხვი გადმოიღო, ასწონა და ისიც ქაღალდში გაახვია. ხურდა არ დაუბრუნებია, არც დევიძეს მოუთხოვია. შეხვეული ჩამოართვა და მაღაზიიდან გავიდა.
დაყოვნება არ შეიძლებოდა, ჩაფიძემ დევიძე გააცილა. როგორც კი ისინი მაღაზიას საკმაო მანძილით დაშორდნენ, გადავწყვიტე მემოქმედნა. იმ წუთში გამოვაცხადე ხოტოველს, იოსკა ამ გვარს ატარებს და ბრალი დავდე მომხმარებლის მოტყუებაში. გამყიდველმა ერთი ამბავი დამითია, როგორ მიბედავთ, ან მოტყუილებული სად არისო. მე აქტის შედგენა დავაპირე, მან კი საბუთი მომთხოვა. ვუთხარი მასწავლებელი და საზოგადო კონტროლი ვარ –

მეთქი. ყვიროდა, ერთი ვნახოთ, სადაური რევიზორი ხარო, თან უკვე მოგროვილ ხალხს შესჩიოდა, უყურეთ, რა დილის შარი გამომეცხადაო.
ხალხმაც მას დაუჭირა მხარი, რადგან დაზარალებული არ ჩანდა. ერთ სიტყვით ვერ აღმოვჩნდი კარგ მდგომარეობაში. ჩემთვის მთავარი ის იყო, ხოტოველი ერთი წუთით მარტო არ დამეტოვებინა, შემდეგ გვიანღა იქნებოდა.
საბედნიეროდ, მაღაზიაში მილიციელი ჯიბლაძე შემოვიდა. ვანიშნე არ გაემჟღავნებინა ჩემი ვინაობა, გამიგო და ორთავენი მილიციაში წამოგვიყვანა. აქ კი, მორიგემ ჩემი თხოვნით იოსებს ყველა ფული, რაც გააჩნდა, საბუთებთან ერთად, ჩამოართვა, თვითონ ხოტოველი კი მდგომარეობის გარკვევამდე მოსაცდელ ოთახში გააჩერა, მაგრამ არ მოიცადა,თქვენთან გამოიქცა. ძლივს დააკავეს სერჟანტმა და მორიგემ.
ჭანტურიამ პოლკოვნიკის მაგიდაზე დააწყო საბუთები და ფული 200 მანეთი და 35 კაპიკი. შემდეგ ფულიდან ერთი ცალი 50 მანეთიანი გამოჰყო, პოლკოვნიკს გაუწოდა და დაუმატა: აი ეს ფული გადასცა დევიძემ გამყიდველს.
ბალანჩივაძემ ფული ჩამოართვა და ინტერესით დაუწყო დათვალიერება. ჩვეულებრივი 50 მანეთიანი ბანკნოტი იყო, საკმაოდ ნახმარი, ცოტა შეცრეცილიც. მაგრამ პოლკოვნიკს ფულის ნამდვილობაში როდი შეეპარა ეჭვი, ის სულ სხვა რამემ დააინტერესა: 50 მანეთიანის ერთ კუთხეში ქიმიური ფანქრით ციფრები და ტირეები იყო აღნიშნული, იქვე სახელიც იყო მიწერილი.„ 407–16/1/10 таниа-„.
ბალანჩივაძემ გულდასმით დაათვალიერა ბანკნოტი. შემდეგ საწერი მაგიდის უჯრიდან საშუალო ზომის გამადიდებელი შუშა ამოიღო და ახლა მისი საშუალებით დაუწყო სინჯვა, მაგრამ ფულს, გარდა ზემოაღნიშნულისა, არავითარი წარწერა არ ჰქონდა.
პოლკოვნიკმა 50 მანეთიანი და გამადიდებელი შუშა უსიტყვოდ გადასცა ხომერიკს. ახლა პროკურორმა და გამომძიებელმა დაუწყეს ფულს კირკიტი. ბალანჩივაძე დუმდა.
დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ეს 50 მანეთიანი გადასცა დევიძემ გამყიდველს? – ჰკითხა მინდელმა ჭანტურიას და დაუმატა: – აქ კიდევ 3 ცალი 50 მანეთიანია.
– დარწმუნებული ვარ. ხოტოველმა დევიძისაგან მიღებული ფული შარვლის მარჯვენ ჯიბეში ჩაიდო, ამ ჯიბიდანვე ამოიღო სამორიგეოში, დანარჩენი კი, ხურდა ფულის გარდა, კოსტუმის გულისჯიბეში ჰქონდა.
– რატომ დაგაინტერესა ფულმა? – ჰკითხა ჭანტურიას ხომერიკმა.
– საქმე იმაშია, რომ დევიძის სახლთან რამდენიმე მაღაზიაა. ძეხვისა და არაყის ყიდვა იქაც შეიძლება, ნატალიას კი ამ მაღაზიებში არც კი შეუხედავს. შემდეგ, როგორც მოგახსენეთ, დევიძემ ფული სალაროში კი არ გადაიხადა, სექციონერ ქალსაც არ თხოვა პროდუქტი, მაინცა და მაინც ამ იოსებისაგან ისურვა ყიდვა. ყოველივე ამან მაფიქრებინა , გამყიდველზე გადაცემული ფული რაღაც პირობით ნიშანს გამოხატავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნატალია, თუ ის მართლაც სამსახურში მიდიოდა, გზას არ გაიმრუდებდა.

– სწორედ მოქცეულხართ, – შეაქო პოლკოვნიკმა, – აქ არის რაღაც და ის რაც თქვენ მოგვახსენეთ, უეჭველად ყურადღების ღირსია. შესაძლოა ეს ვიღაც იოსები, თუ იოსკა დაკავშირებული იყო ჭაღარასთან, თუმცა ამის დამადასტურებელი ჩვენ არაფერი გვაქვს, გარდა დევიძის ხოტოველთან მისვლისა და ამ ფულისა... ჯერჯერობით ეს წარწერაც ბევრს არაფერ ნიშნავს. ფულზე ხშირად გვხვდება სხვადასხვა წარწერები, ზოგი გვარს აწერს, ზოგიც სახელს. შეიძლება ესეც შემთხვევის ამბავია და არავითარ პირობით ნიშანს არ გამოხატავს, თუმცა ვინ იცის, აქ ქალის სახელი წერია.ექსპერტის დასკვნით კი ტყეშელაიძის სახლში ლურსმანზე შერჩენილი ძაფებიც ქალის ხელთათმანია...
– ეს ფული სხვა რამესაც გვეუბნება, – ხომერიკმა 50 მანეთიანი აიღო, დიდხანს სინჯავდა გამადიდებელი შუშით, – ხელწერა ქალის არ არის, არც ბავშვის. ასეთი წერა მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ეს ერთი, მეორე, სახელი„ტანიას„ დამწერი რუსი არ არის. ამ ერთი სიტყვის დაწერაში ორი შეცდომაა დაშვებული, რაც მისი დამწერის რუსული ენის უცოდინარობაზე მიუთითებს.
– სწორია! – დაეთანხმა ბალანჩივაძე
– ყოველ შემთხვევაში, ფული მის პატრონს უნდა დავუბრუნოთ. ის ალბათ თვითონვე დაგვეხმარება ამ რთული რებუსის ამოხსნაში.
პოლკოვნიკმა ყურმილი აიღო, ლაბორატორიის გამგე გამოიძახა.
მალე კაბინეტში 23–25 წლის გამხდარი ქერათმიანი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.
– ოთარ, – მიმართა პოლკოვნიკმა შემოსულს და ფული გაუწოდა, – ეს ორმოცდაათ მანეთიანი ქიმიურად დაამუშავე, ფოტო ასლიც გადაიღე და ერთ საათში შედეგი მომახსენე.
– გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო, – ახალგაზრდამ ბანკნოტი გამოართვა და კაბინეტიდან გავიდა.
ბალანჩივაძემ ჭანტურიას მიერ მაგიდაზე ლდაწყობილი საბუთები გადაათვალიერა, შემდეგ ზარის ღილაკს დააჭირა თითი.
– გადაეცით მორიგეს, ჩემთან ამოიყვანოს სამორიგეოში მყოფი ხოტოველი, – თავაუღებლივ უბრძანა შემოსულ სერჟანტს.
ხუთიოდე წუთის შემდეგ განყოფილების პასუხისმგებელი მორიგე კაბინეტში მაღალი ტანის მწითურ მამაკაცს შემოუძღვა.
– დაჯექით! – მიმართა შემოსულს პოლკოვნიკმა, როგორც კი მორიგემ კარები გაიხურა.
ხოტოველი კაბინეტში ამდენ ხალხს არ ელოდა. ოდნავ აირია და უხერხულად, ცალი გვერდით ჩამოჯდა სკამზე შემდეგ ყველანი შეათვალიერა. მზერა ჭანტურიაზე შეაჩერა და უეცრად წამოხტა, იყვირა:
– უფროსო, მიშველე რამე, რა უნდათ, რას მერჩიან,ვისთვის რა დამიშავებია! არ მიქურდნია, არ მიყაჩაღნია,მოვიდა ეს ვიღაცაა, ხურდა დააკელიო, შარი მომდვა, აქტი უნდა შეგიდგინოვო. აბა ერთი მითხრას ვის დავაკელი, რა დავაკელი, ამნაირი შარი გაგიგონია? კაცს სამუშაო მიმატოვებინეს, მილიციაში მომიყვანეს. ახლა მემუქრება, დაგიჭირავო. საქმეა ეს? ძველი დრო ხომ არ არის, უდანაშაულო კაცი ციხეში ჩამაგდონ; ვეღარ გაიგო, ეს ვიღაცაა, უდანაშაულო კაცის დამჭერს,

რო თითონვე იჭერენ? – სხაპასხუპით დაუშინა ხოტოველმა, შემდეგ ხომერიკისაკენ შებრუნდა და იმასაც ტყვიამფქვრევივით წააყარა: – ეს ჩემი შარის მომდები ძლივს მოვაყვანინე აქამდე მილიციას, წამოსვლა არ უნდოდა, მაგრამ მეც არ მოვეშვი, ხოდა , ახლა თქვენ იცოდეთ და კანონსამართალმა, ერთი ისე გააგებინეთ, რაც საჭიროა, რო სულ დაეკარგოს შარის მადა. გაგონილა?! ხურდა არ დაუბრუნეო... დააკელიო... ახლა ჩემი ბრალი ხო არ არის, მაგან მტყუანისა და მართალის გარჩევა არ იცოდეს და შარზე დადიოდეს, მე ხო...
– მოიცათ, მოქალაქე, – შეაწყვეტინა სიტყვა ბალანჩივაძემ აქაქანებულ ხოტოველს, – დაჯექით და დამშვიდდით, ყველაფერს გავარკვევთ, თუ უდანაშაულო ხართ, გაგიშვებთ. ჯერ გავარკვიოთ რაშია საქმე. ასე რომ ყვირით, ხომ არ გავიწყდებათ სადა ხართ?
– არა,უფროსო, არ მავიწყდება, მაგრამ გამწარებული ვარ. ახლა რო თქვენ არ იყოთ, ვინ იცის, კამერაში რამდენხანს შემინახამდენ, წადი მერე და უყარე კაკალი! მე რომ ერთი დღეც ჩამსვან, ერთი დღეც, ცოცხალი ვერ გადავრჩები, ავადმყოფი კაცი ვარ, გული მტკივა, გვერდები არ მივარგა, ღვიძლი გასიებული მაქვს, ფეხზე ძლივს ვდგავარ, რევმატიზმები მჭირს, – ისევ აქაქანდა ხოტოველი.
– დაჯექით–მეთქი! – სიმკაცრე დაეტყო პოლკოვნის ხმას, – აქ საექიმო კომისია როდია, ამდენი დაავადება რომ ჩამოთვალეთ, თუ ავად ხართ, ექიმს მიმართეთ, აქ სულ სხვა რამეზე ხართ მოყვანილი და უაზრო ყვირილი საჭირო არ არის. ხოტოველი გაჩუმდა. მაგრამ სკამზე არ დაჯდა.
– დაჯექით! აკი ამბობთ, ავად ვარო. ფეხზე დგომა გავნებთ, არ ნერვიულობა მოგიხდებათ. ახლავე გავარკვევთ საკითხს, – დასძინა ხომერიკმა.
ხოტოველი დაჯდა.
– აბა, რაშია საქმე, რატომ დააკავეთ მოქალაქე?
– დღეს ვიღაც მოქალაქემ მაღასიაში ამ კაცისაგან არაყი და ძეხვი იყიდა, წონაშიც დააკლო და ფასიც ზედმეტი გადაახდევინა, მე იქ ვიყავი და ჩემი თვალით ვუყურე ყოველივეს, – განმარტა „მასწავლებელმა„
– ტყუილია! – წამოვარდა ისევ ხოტოველი, – არავისთვის არ დამიკლია არც წონაში და არც სხვა რამეში, რაც ერგებოდა, მივეცი. შარს მდებს, ტყუილა მღუპავს და ცოლშვილსაც მიღუპავს ეგ ამოსაწყვეტი.
– ვინ არის დაზარალებული? – შეეკითხა ჭანტურიას ხომერიკი.
– ხო, ვინ არი! აბა ერთი მოიყვანე, რომ ამ პატიოსან ხალხში თქვას, თუ რამე დავაკელი! – ისევ აყვირდა ხოტოველი, – სად არის, რატომ არ მოიყვანე უფროსთან?
– დაწყნარდით! – შეუტია ბალანჩივაძემ ხოტოველს და შემდეგ ჭანტურიას მიუბრუნდა: – დაზარალებული რა გვარია?
– არ ვიცი, ამხანაგო პოლკოვნიკო.
– როგორ თუ არ იცით? – გაუკვირდა პოლკოვნიკს, – ესე იგი გვარი არ იცით?
– არა, ამხანაგო პოლკოვნიკო, არც გვარი ვიცი, არც სახელი, არც მისამართი. არ მეგონა, თუ საჭირო იყო. მე ის არც კი შემიჩერებია მაღაზიაში, ხოტოველი კი უარს ვერ იტყვის, რომ ფასშიც დააკლო და წონაშიც.

– გადამრევს ე ვიღაცა არი! შარს მდებს და ახლა უფროსებსაც ატყუებს. თუ ხურდა არ მივეცი, ის თითონ არ მომთხოვდა? სასწორს არ უყურებდა, რო ვწონიდი? შენ იქ სულ არ ყოფილხარ, ძალად გინდა დამღუპო, მაგრამ ამნაირი უფროსები კი არა გვყავს ჩვენ, რო შარიან ხალხს დაუჯერონ და პატიოსანი ხალხი ციხეში ჩააგდონ, – შეუტია ხოტოველმა ჭანტურიას.
– ეგრე როგორ შეიძლება, ამხანაგო, დაზარალებული არ შეგიჩერებიათ, არ გიკითხავთ, რამდენი მიიღო ხურდა, ძეხვი არ აგიწონიათ. აბა, რაღაზე ადგენთ აქტს? – მკაცრად მიმართა ბალანჩივაძემ ჭანტურიას.
– აშენდა, უფროსო, შენი ოჯახი, დაუდგა შენ ცოლ–შვილს კაი წელიწადი! – გაუხარდა ხოტოველს.
– ხელს ნუ მიშლით! – გაწყრა პოლკოვნიკი.
– ბოდიში, უფროსო.
– მე არ მეგონა თუ ეს საჭირო იყო.
– როგორ თუ არ გეგონათ, თქვენ სად მუშაობთ ან აქტის შედგენის უფლება ვინ მოგცათ?
– მასწავლებლად ვმუშაობ, თან საზოგადო კონტროლიორი ვარ, – უპასუხა ჭანტურიამ.
– დიდი ხანია?
– არა სულ 10 დღეა. დღეს ამ ამბავს შემთხვევმთ წავაწყდი. არ მეგონა, თუ მყიდველი საჭირო იყო, თორემ წამოვიყვანდი. ხოტოველი კი ტყუის, განა ფული ჯიბეში არ აღმოაჩნდა?
– ჩემ ფულთან შენ რა ხელი გაქვს, შენთვის ხომ არ მომიპარავს. მე ჯიბეში 300 მანეთამდე მქონდა, მორიგემ თვითონ დათვალა, აბა, ყველა იმ ქალს ხომ გადავახდევინე?– ისევ აყვირდა ხლტლველი.
– ყველა არა,50 მანეთი კი ნამდვილად, და ის ფული ცალკე გქონდა ჯიბეში – წაუდგა პირში ჭანტურია.
– ეგ არაფერს არ ნიშნავს, ცალკე ჰქონდა თუ სხვა ფულთან ერთად, ასეთი რამ მეორედ არ მოგივიდეთ, – შეესიტყვა ჭანტურიას პროკურორი.
– ასეთი მონაცემებით ჩვენ ხალხს არ ვაპამტირებთ, ამხანაგო. რას გავს ეს? არც დაზარალებული, არც მოწმე! რა უფლება გქონდათ ასე მოქცეულიყავით? – უსაყვედურპ პოლკოვნიკმა ჭანტურიას.
– სწორია უფროსო, აშენდა შენი ოჯახი, – დაუდასტურა და დალოცა ხოტოველმა პოლკოვნიკი.
ბალანჩივაძეს გაეცინა, მზერა ხოტოველს მიაპყრო და წარმოთქვა:
– ამჯერად თქვენ თავისუფალი ხართ, მაგრამ ფრთხილად იყავით, პატიოსნად იმუშავეთ, თორემ აქტის სწორად შემდგენებიც გამოჩნდებიან და მაშინ ყვირილი და ლოცვა არ გიშველით, წადით, ფულსა და საბუთებს მორიგე გადმოგცემთ.
– გმადლობთ, უფროსო! იცოცხლეთ, უფროსო! კარგად იყავით, სულ რო ამნაირ შარიან ხალხს არ უჯერით და ერთი შეხედვით სცნობთ ჩემნაირ პატიოსან კაცს! – წამოხტა ხოტოველი სკამიდან.

– ჰო,კარგი, კარგი თავისუფალი ხართ. თქვენ კი ამხანაგო, ჯერ უნდა გაარკვიოთ, როგორ უნდა და შემდეგ ებრძოლეთ ვაჭრობის წესების დამრღვევთ. განა საამისო ინსტრუქტაჟი სავაჭრო განყოფილებაში არ მოგცეს?
– გასაგებია, ამხანაგო პროკურორო, – ჩაილაპარაკა ჭანტურიამ.
– შეიძლება, უფროსო, წავიდე? – იკითხა ხოტოველმა.
– წადით,მორიგეს ახლავე მივცემ განკარგულებას,დაგიბრუნოთ ფული და საბუთები.
– დიდი მადლობელი ვარ უფროსო. შენ რომ არ ყოფილიყავი ტყუილა მღუპავდა, მაგას დაუდგა შავი წელიწადი! მიაწყევლა ჭანტურიას და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.
– ლოცვაც ბევრი დაგვიტოვა და წყევლაც, – გაიცინა ბალანჩივაძემ.
– აგრეთვე სამუცნობიანი ამოცანაც, – დაუმატა ხომერიკმა.
ყველას გაეცინა.
– ამოცანის ამოხსნაში ხოტოველი დაგვეხმარება, მაგრამ თუ ფულზე სხვა რამ არ აღმოჩნდა, გასაღები წარწერაში უნდა ვეძებოთ. მიაქციეთ ყურადღება?
ხოტოველმა ერთხელაც არ ახსენა დევიძე ან მისი გამომგზავნი ვახტანგი. სხვა შემთხვევაში გამყიდველი თვითონვე დაასახელებდა ნაცნობ მყიდველს, მოითხოვდა მის მოყვანას, დაკითხვას და სწრაფად დაუმტკიცებდა „მასწავლებელ„ ჭანტურიას, რომ ფასფასები არ დაუმახინჯებია, არც წონაში მოუტყუებია მომხმარებელი.
– სწორია! კვერი დაუკრა მინდელმა, – ხოტოველმა არა თუ დაასახელა დევიძე, ისიც კი არ თქვა, რომ ნაცნობისაგან იყო გამოგზავნილი. ყოველივე ამის დაფიქრება და ღრმა ანალიზი ჭირდება დრო კი ცოტა გვაქვს, ბანდიტებს ყოველ წუთს შეუძლიათ დასტოვონ ბუნაგი.
– საშიში არაფერია. დევიძის სახლში მოკალათებული ბანდიტები ჩვენს ხელთ არიან და თუ რომელიმე მათგანმა ან ხოტოველმა არ მიგვიყვანა ახალ ბუნაგამდე, ჩვენ მათ სათითაოდ ავკრიფავთ; თუ ხოტოველი მათთან დაკავშირებულია და დევიძისაგან რაიმე დავალება მიიღო, მით უკეთესი, იგი ცხადია, შეეცდება დავალების შესრულებას და ამით კიდევ უფრო გაგვიადვილებს ბანდის ლიკვიდაციას, – უპასუხა პოლკოვნიკმა.
კაბინეტში მელოტი მაიორი შემოვიდა.
– ამხანაგო პოლკოვნიკო, თქვენი დავალება შესრულებულია, – მაიორმა სათვალე ამოიღო, მოირგო. შემდეგ საქაღალდე გახსნა და განაგრძო:გიორგაძე ალექსანდრე გაიოზის ძე ოთხჯერ არის ნასამართლევი კვალიფიციური ქურდობისათვის, უკანასკნელად ხუთი წლის წინათ ძარცვისათვის 15 წლის პატიმრობა აქვს შეფარდებული. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა და კვალიფიციურ დამნაშავეთა შორის დიდი გავლენით სარგებლობს. ამჟამად სასჯელს ჩვენი ქვეყნის შორეულ ჩრდილოეთში შრომა–გასწორებითი კოლონიაში იხდის. რაც შეეხება მის მეუღლეს, ის ქუთაისის მკვიდრია, ექთანი, უკვე 12 წელია №1 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობს. მასზე რაიმე კომპრომასალა არ მოგვეპოვება, წყნარ

ცხოვრებას ეწევა; მისი შემოსავლის წყაროს ხელფასი და გაქირავებული ოთახების საფასური შეადგენს. საავადმყოფოს ადმინისტრაცია დადებითად ახასიათებს.
– შეამოწმეთ მუშაობდა თუ არა 12 იანვარს ღამით? – შეეკითხა პოლკოვნიკი.
– დიახ, სწორედ ამიტომ შემაგვიანდა დავალების შესრულება რამდენიმე საათით. გამოირკვა, რომ დევიძემ 12 იანვარს საღამოს 6 საათზე დაამთავრა მუშაობა, მაგრამ ღამით კვლავ მისულა საავადმყოფოში. მე ვესაუბრე ღამის ცვლის ექთანს. მისი გადმოცემით, დევიძე საავადმყოფოში დაახლოებით ღამის სამ საათზე მისულა. მორიგე ექთანს ძლიერ გაჰკვირვებია ასე გვიან სტუმრობა, მაგრამ დევიძეს აუხსნია №4 პალატაში მძიმე ავადმყოფი, ჩემი შორეული ნათესავი წევსო და იმისი ამბავი უკითხავს. უთხოვნია კიდეც მისთვის გაეგო ავადმყოფის მდგომარეობა. მორიგეს თხოვნა შეუსრულებია, რის შემდეგ დევიძე საავადმყოფოდან წასულა.
– დიდხანს დარჩენილა საავადმყოფოში დევიძე? – იკითხა ხომერიკმა.
– დაახლოებით 10–15 წუთი, – უპასუხა მაიორმა და განაშრძო: ის მძიმე ავადმყოფი მართლაც მისი ნათესავია, მაგრამ დევიძე პალატაში არ შესულა. იქ მორიგე ექთანი გაუგზავნია, თვითონ კი სამორიგეოში დაუცდია.
– გასაგებია, დევიძემ მორიგე ექთანი ავადმყოფის დასახედავად გაგზავნა, თვითონ კი ისარგებლა მისი იქ არ ყოფნით და სისხლის გადასხმის აპარატი წამოიღო,ხოლო დილით ადრე უკანვე მიიტანა და შეუმჩნევად დასდო თავის ადგილზე, – დაასკვნა მინდელმა.
– სწორია, – დაეთანხმა პოლკოვნიკი, – მაგრამ აქედან კიდევ ერთი საინტერესო დასკვნაც უნდა გავაკეთოთ: დაჭრილი თუ ჭაღარა დევიძის ძალზე ახლობელი პიროვნება უნდა იყოს. სხვანაირად მათ დევიძე სახლში არ მიიღებდა და არც დანაშაულს დაფარავდა. ცხადია, მან იცის , ვინ არის მისი სტუმრები; ისიც იცის რომ ერთი მათგანი რაღაც ისეთ რამეზე დაიჭრა, რომლის გამხელაც არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში იზრუნებდა დაჭრილის საავადმყოფოში მოსათავსებლად. ეს უდავოა! ვფიქრობ აგრეთვე, მანვე მისცა ბანდიტებს ქირურგ გრძელიძის მისამართი, თუ რა თქმა უნდა, ერთ–ერთი მომტაცებელთაგანი ქუთაისელი არ არის.
– შეიძლება ბანდიტთაგან ერთი დევიძის მეუღლეა – ვარაუდი გამოთქვა ხომერიკმა.
– შეიძლება, – დაეთანხმა პილკოვნიკი და შემდეგ მაიორს მიუბრუნდა, – დღესვე გადაეცით დაშიფრული დეპეშა კოლონიას, შეამოწმეთ ადგილზე იმყოფება თუ არა პატიმარი გიორგაძე. გამორიცხული არ არის, რომ ის გაიქცა საპატიმროდან, ისევ ქუთაისს ეწვია და ამჟამად თავის სახლში არალეგალურად იმყოფება დაუყოვნებლივ ამოიღეთ კარტოტეკიდან გიორგაძის ფოტოსურათი. შესაძლებელია გრძელიძემ ამოიცნოს მასში ? ჭაღარა,,, მით უმეტეს, ასეთი სტაჟის მქონე ქურდი–რეციდივისტი ახალგაზრდა არ უნდა იყოს. რამდენი წლისაა ახლა გიორგაძე?
მაიორმა თან მიტანილი ქაღალდები გადაფურცლა.

– გიორგაძე ამჟამად ორმოცდარვა წლის სრულდება.
– წლოვანება თითქმის ემთხვევა თითქმის გრძელიძის ვარაუდს, – დასძინა ხომერიკმა.
– აგრეთვე მოქმედების მეთოდიც. იშვიათად შეხვდები ისეთ დანაშაულს, სადაც ბოროტმოქმედი ასეთ მცირე კვალს ტოვებს, – დაუმატა მინდელმა.
ბალანჩივაძე სავარძლიდან წამოდგა, რამდენჯერმე დაფიქრებით გაიარა კაბინეტში.
– დღეს საღამოთი, – წარმოთქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, – რესპუბლიკის სამძებროგანყოფილების უფროსი,პოდპოლკოვნიკი ძიძიგური ჩამოვა, სამინისტროში მეტად შეშფოთებულნი არიან ამ ორი მკვლელობით. ჰო, მართლა, – მიუბრუნდა მაიორს, – სასტუმროს საკითხი მოაგვარეთ? უადგილედ არ დაგვრჩეს კაცი.
– მოგვარებულია, ამხანაგო უფროსო, ძიძიგურისათვის მესამე სართულზე 207–ე ნომერია დაჯავშნული.
– მაიორმა ფურცელი გაუწოდა.
– კეთილი, წადით და დაუყოვნებლივ შეასრულეთ დავალება! – პოლკოვნიკმა ქაღალდი ჩამოართვა და მაგიდის კუთხეში დასდო. მინდელმა მექანიკურად გადაავლო თვალი: „207–16/1„ – წაიკითხა.
მაიორი კაბინეტიდან გავიდა.
– ორასშვიდი, ორასშვიდი! – რამდენჯერმე გაიმეორა მინდელმა, შემდეგ უეცრად წამოვარდა სკამიდან, – დღეს რა რიცხვია? – იკითხა მოუთმენლად, – 15 იანვარია ხომ?
– რა მოგივიდათ? – განცვიფრდა პოლკოვნიკი.
მინდელს არაფერი გაუგონია კარებს ეცა და კაბინეტიდან გავარდა.
ბალანჩივაძემ გაკვირვებით გადახედა პროკურორს, ხომერიკმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა. მას თვითონაც ვერ აეხსნა, რა მოუვიდა მუდამ დინჯსა და აუჩქარებელ მინდელს ან რას მოასწავებდა მისგან რამდენჯერმე განმეორებული სიტყვები, მაგრამ ვიდრე რაიმეს იტყოდა, კაბინეტის კარებში კვლავ მინდელი შემოვარდა, რომელსაც ხელში ჯერ ისევ სველი ფოტოქაღალდი ეჭირა, თვალები სიხარულით უბრწყინავდა. უკან გაკვირვებული ლაბორატორიის გამგე მოსდევდა.
„როგორ იწერება რუსულად „ტანია„? – იკითხა მინდელმა კაბინეტში შესვლისთანავე.
– რას ქვია როგორ იწერება? – შეეკითხა განცვიფრებული ხომერიკი.
– მაპატიეთ, გიორგი ასლანიჩ, მაგრამ მე მგონი, აქ სწორად არ უნდა იყოს დაწერილი ეს სახელი, – აჩქარებით წარმოთქვა მინდელმა და სველი ფოტო ქაღალდი გაუწოდა.
– არაფერი მესმის, – წარბები შეიკრა ბალანჩივაძემ, – შენ რა ლევან, საკუთარ თავს რუსული ენის გრამატიკის ცოდნაში ცდი?
– თითქმის, დავით ილიჩ. მე მგონია, აქ შეცდომაა,უეჭველი შეცდომა.
– დავუშვათ, მერე რა?

– მერე ის, რომ სახელი რუსის დაწერილი არ არის, ხოლო დამწერი რუსული მართლწერის ცოდნით ვერ დაიკვეხნის.
– ეგ მე წეღანვე შევამჩნიე და კიდევაც გითხარით, მაგრამ ვერ გამიგია, რისი თქმა გსურს – ჩაურთო ხომერიკმა.
– ჯერ მეც არ ვიცი, გიორგი ასლანიჩ, მაგრამ ერთი იდეა დამებადა და უნდა შევამოწმო, – უთხრა მინდელმა
– რა იდეა?
– ჯერ ვერა, ჯერ ვერ გეტყვით, იქნებ ვცდები, მაგრამ მაინც უნდა შევამოწმო, აუცილებლად შევამოწმო.
– რა უნდა შეამოწმო?
– ჩემი მოსაზრება. და თუ სწორი აღმოვჩნდი, მაშინ გეტყვით, – მინდელმა უხერხულად გაიღიმა.
– კარგი, – გაეცინა ბალანჩივაძეს, – ცნობისმოყვარეობას არ გამოვიჩენთ არა, გიორგი?
ხომერიკმა გაიღიმა, უსიტყვოდ დაუქნია თავი.
– შენ რაო, ოთარ! ბანკნოტი დაამუშავე? – მიუბრუნდა პოლკოვნიკი ლაბორატორიის გამგეს.
– დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მხოლოდ იმას ვუცდიდი, როდის გაშრებოდა ქაღალდი, რომ თქვენთვის ფოტოსურათი წარმომედგინა, მაგრამ ერთიც ვნახოთ, ამ დროს ამხანაგი მინდელი გრიგალივით შემოიჭრა, გასარეცხად ჩაყრილი ფოტოქაღპლდები ამოარჩია და ისევ ელვასავით გამოვარდა გარეთ.
– შეგაშინა? – გაიღიმა ბალანჩივაძემ, – რას ვიზამთ, აი, მე და გიორგიც გაკვირვებული ვართ მინდელის მოქმედებით, მაგრამ ლევანს არ სურს გვითხრას რა დაემართა.მინდელს ყურები შეუწითლდა.
– დღეს სახამოს , უფრო სწორად, რამდენიმე საათის შემდეგ ყველაფერს გაგაცნობთ, მანამდე გთხოვთ, ნურაფერს მკითხავთ. ეხლა კი უნდა წავიდე.
– ოპერატიული ჯგუფის დახმარება გჭირდება? – შეეკითხა პოლკოვნიკი.
– დიახ,კურცხალიას წავიყვან. ის შედარებით ახალი მუშაკია ქუთაისში და ნაკლებად იცნობენ როგორც მილიციის თანამშრომელს.
– კეთილი, წაიყვანეთ, საღამოსთვის კი გელოდებით.
– აუცილებლად. ახლა მხოლოდ სამი საათით, 5 საათზე აქ ვიქნები.
– გიორგი ასლანიჩ – მიუბრუნდა პროკურორს, – შეიძლება მანქანა წავიყვანო?
– წაიყვანე , – ნება დართო ხომერიკმა.
– მაშ წავედი! – აჩქარდა მინდელი, თუ ჩემი ვარაუდი სწორი გამოდგა, ზეგ ყველა ბანდიტი ხელთ გვეყოლება. თუ არა და რაც მე მინდა შევამოწმო, არავითარ ზიანს არ მოუტანს საქმეს.
გამომძიებელი სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან. ხომერიკმა და ბალანჩივაძემ ერთმანეთს გადახედეს.
– უეჭველად რაღაც „დაიჭირა„, – გაიღიმა ბალანჩივაძემ, შემდეგ კაბინეტში უხერხულად გაჩერებულ ექსპერტს მიუბრუნდა:
– შენ წადი, ოთარ,ბარემ დაამთავრე დაწყებული საქმე.

პოლკოვნიკი წამოდგა, პალტო ჩაიცვა.
– ჩვენც წავიდეთ,გიორგი ჩემთან ვისადილოთ. ვინ იცის,საღამოს ვეღარც მოვიცალოთ, ნინას ჩახოხბილი აქვს სადილად, სხვა რამესაც მოგვიხერხებს წამოხვალ?
–წავიდეთ!

თავი VI

მინდელი მხოლოდ 6 საათზე დაბრუნდა სამმართველოში. რაკი მაიორისაგან გაიგო, ბალანჩივაძე და ხომერიკი იქ იყვნენ, პირდაპირ პოლკოვნიკის კაბინეტს მიაშურა.
- მოფრინდი არწივო? – ღიმილით მიეგება პოლკოვნიკი თვალებგაბრწყინებულ მინდელს, – ოჰო, გეტყობა, კმაყოფილი ხარ, ახალგაწმენდილი სამოვარივით გიბრწყინავს სახე. შეამოწმე, რაც გინდოდა?
- შევამოწმე, დავით ილიჩ, ხვალ საღამოს 10 საათზე ხოტოველი თავის “მეურვეებს წყალტუბოში წაიყვანს, – უპასუხა მინდელმა მხიარულად.
- წყალტუბოში?- ერთხმად შესძახეს ბალანჩივაძემ და ხომერიკმა.
- წყალტუბოში, სატუმრო “თბილისის” 407 ნომერში,- მიუგო გამომძიებელმა და დაუმატა:- სწორედ ამის შესამოწმებლად გავიქეცი ასე თავქუდმოგლეჯილი.
- საინტერესოა რატომ მოგივიდათ აზრად, რომ ხოტოველი წყალტუბოში უნდა წავიდეს, ისიც ხვალ საღამოს 10 საათზე და უეჭველად 407 ნომერში? – შეეკითხა ხომერიკი.
- ახლავე მოგახსენებთ, გიორგი ასლანიჩ. ხანდახან უბრალო შემთხვევა ისეთი მოვლენაა, რომელიც უცნაურ და ერთი შეხედვით მეტად ბუნდოვან,გამოუცნობ საკითხსაც მოუძებნის გასაღებს. დღეს როცა ხოტოველზე ჩამორთმეული 50 მანეთიანს ვათვალიერებდი, თითქმის ეჭვი არ შემპარვია, რომ მასზედ წარწერილი ციფრები და სახელი პირობითი ნიშანი იყო. მაგრამ რას ნიშნავდა ისინი, ეს კი ვერაფრით ვერ ამეხსნა. სოლივით ჩამეჭიდა ეს წარწერა გონებაში და ყოფნისას გულში სუმ ამ ციფრებს ვიმეორებდი. შემდეგ ის იყო, თქვენ მაიორს სასტუმროს შესახებ ჰკითხეთ. მან გითხრათ, ძიძიგურისათვის ნომერი დაჯავშნულიაო და ფურცელიც გამოგიწოდათ.
სრულიად შემთხვევით თქვენს მიერ მაგიდის კუთხეში დადაებულ ფურცელს თვალი გადავავლე “207–15/1” წავიკითხე მექანიკურად და მაშინვე ასოციაციით ფურცელზე გაკეთებული წარწერა დამიდგა თვალწინ 407–16/1–10.207,407.15/1,16/1, ელვასავით გამირბინა თავში და მტკიცედგადავწყვიტე, რომ ფურცელში წარწერა სასტუმროს ნომერსა და შეხვედრის თარიღს მიუთითებდა. მაშინ მომეჩვენა, რომ ბანკნოტზე რაღაც სხვა ციფრები ეწერა და ის იყო, ლაბორატორიაში გავიქეცი. არავითარი შეცდომა არ იყო,ციფრს “10”–ს და სახელს შემდეგ მივაქციე ყურადღება და გამოვიტანე ლოგიკური დასკვნა, რომ პირველ საათს ნიშნავდა,მეორე კი ნომრის მფლობელს. მაინც სავსებით არ ვიყავი

დარწმუნებული ჩემს აღმოჩენაში და გადავწყვიტე, შემემოწმებინა ჩემი მოსაზრება. აქედან გაქცეული, კურცხალიასთან ერთად ჩვენს სასტუმროში მივედი, მაგრამ რაოდენ იყო ჩემი გაოცება, როდესაც ადმინისტრატორმა მიპასუხა 407მ ნომერი ქუთაისის სასტუმროს სრს აქვსო.
გულდაწყვეტილი გამოვბრუნდი, შემდეგ გონებაში აღვიდგინე ჭანტურიას მოხსენების ყოველი დეტალი–" ძეხვი ქუთაისის ნაწარმი მოგართვათ თუ..."
"წყალტუბოსი უსათუოდ წყალტუბოსი. ასე გთხოვათ ვახტანგიმ",- ისე ნათლად გამახსენდა ეს სიტყვები, თითქოს ჭანტურია კი არა, მე ვუსმენდი დევიძისა და ხოტოველის დიალოგს. რას უნდა ნიშნავდეს ეს ძეხვი? იქნებ სასტუმროს?... იქნებ კი არა ნამდვილად ნამდვილად წყალტუბოს სასტუმროს, გადავწყვიტე მტკიცედ და თითქმის პროკურატურაში მისულმა გაკვირვებულ მძღოლს მანქანა შემოვაბრუნებინე და წყალტუბოში წავედი. 15 წუთში წყალტუბოში ვიყავი, შევამოწმეთ ჩვენთვის საინტერესო ნომერი და აღმოჩნდა, რომ 407 ნომერი დაკავებული აქვს ტაშკენტიდან 10 დღის წინათ ჩამოსულ ვინმე ტატიანა ივანეს ასულ ბასკაკოვას,- დაამთავრა აღფრთოვანებულმა მინდელმა.
- ყოჩაღ ლევან!- წამოიძახა აღტაცებულმა პოლკოვნიკმა და მაგრად ჩამოართვა ხელი გამომძიებელს,- აი ეს მესმის: შენ ერთხელ კიდევ დაამტკიცე რომ გამოძიებაში არ არსებობს წვრილმანი და მსხვილმანი ფაქტები.ერთი სიტყვით, ვერაფერს ვიტყვით, გვაჯობე,- ბალანჩივაძემ სიყვარულით გაუღიმა მინდელს.
- ნამდვილად გვაჯობა, ახალგაზრდობამ გვაჯობა,- ფართოდ გაიღიმა ხომერიკმა და გამომძიებელს მხარზე ხელი მოუთათუნა.
- აბა, რას ბრძანებთ, ეს ისე, მარტივად, ინტუიციით... – უხერხულად ჩაილაპარაკა მინდელმა და ყურები შეუწითლდა.
- ჰო, მარტივად და უბრალოდ,- გაეცინა პოლკოვნიკს,- მაგრამ ჩვენს მუშაობაში სწორედ ასეთს,ერთი შეხედვით უბრალო დეტალის გამოყენებას, აქვს მნიშვნელობა,თორემ სადარბაზო ბარათით დამნაშავის პოვნა ყველასათვის ადვილია. ერთი სიტყვით, ყოჩაღ!
- ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ ამდენი მაქოთ,- გაიღიმა მინდელმა.
ხოტოველი მაინც მიიყვანდა ოპერატიულ მუშაკებს 407 ნომერში, ჩემი დამსახურება მხოლოდ ის არის,რომ ერთი დღითდავაჩქარე მოვლენების განვითარება.
- ახლა რას ფიქრობთ?- ჰკითხაბალანჩივაძემ.
- ხოტოველის დაკავება ჯერ საჭირო არ არის, დაე ჩავიდეს წყალტუბოში, შეხვდეს ტანიას, ვნახოთ, ვის შეხვდება კიდევ 407 ნომერში.
- მე უკვე მივიღე საჭირო ზომები, მათი საუბარი ზეგ დილით, ჩვენთვის სიტყვა სიტყვით იქნება ცნობილი. რაც შეეხება დევიძეს, ვფიქრობ, საქმის დაუზიანებლად შეიძლება მისი გამოძახება, დაკითხვა და, თუ საჭირო გახდა, დაპატიმრებაც. ამის შემდეგ კი მის ბინაში მოკალათებული ბანდიტების ლიკვიდაციაც. ჩემი აზრით, დევიძე ამაღამვე სამსახურიდან უნდა ავიყვანოთ, ხოლო ბანდიტების შეპყროქა ერთდროულად როგორც აქ, ისე წყალტუბოში ზეგ ღამით მოვახდინოთ.

- თქვენ რას იტყვით, დავით? მე მგონი მისაღები გეგმაა–ჰკითხა ხომერიკმა.
- სავსებით მისაღებია, დევიძის დაკითხვას ახლა საქმის დაზიანება არ შეუძლია. უკვე თავისუფლად შევძლებთ ბანდიტების ლიკვიდაციის გეგმის შემუშავებას.
- ასე გავაკეთოთ. მით უმეტეს, დღეს დევიძე სადღეღამისო მორიგეობაშია და მისი ამაღამ სახლში მიუსვლელობა არავის ეჭვს არ აღუძრავს.
პოლკოვნიკმა ყურმილი აიღო.
- მაიორი ცინცაძე ჩემთან! – ჩასძახა მიკროფონში,შემდეგ ყურმილი დასდო და მინდელს მიუბრუნდა: დევიძის მოყვანაზე ცინცაძე იზრუნვებს, თქვენი საავადმყოფოში წასვლა საჭირო არარის. თქვენებურად შეეცადეთ,რადაც უნდა დაჯდეს, ყველაფერი ათქმევინოთ, მის ჩვენებაზე ბევრად არის დამოკიდებული ბანდის ეფექტური ლიკვიდაცია.
კაბინეტში ცინცაძე შემოვიდა.
ბალანჩივაძემ დავალება გააცნო.
- საავადმყოფოში არავინ, გარდა მთავარი ექიმისა, არ უნდა გაიგოს დევიძის წამოყვანა,ამას დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გასაგებია?
- გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიეო. შეიძლება წავიდე?
- წადით მანქანა ქუჩაში იცდის, მძღოლს უთხარით, წაგიყვანოთ.
- მაშ ასე,- განაგრძო პოლკოვნკმა, როდესაც ცინცაძემ კარები გაიხურა, – თქვენ დევიძე დაჰკითხეთ, მე და გიორგი კი ძიძიგურს შევხვდებით, დეტალურ გეგმას, დევიძის დაკითხვის შემდეგ, ძიძიგურთან ერთად შევიმუშავებთ. ბალანჩივაძე სავარძლიდან წამოდგა.- ზეგ უნდა დამთავრდეს ამ დღეების უძილო ღამეები, ჭაღარას ბანდიდან ერთიც არ უნდა დაგვრჩეს აუყვანელი. წავიდეთ გიორგი, ლევანი კი იქ იმუშავებს, ბურდულის კაბინეტში.
მინდელს დიდხანს არ დასჭირვებია ცდა. ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ცინცაძე დევიძეს შემოუძღვა.
მინდელმა დაკვირვებით შეათვალიერა შემოსული: დევიძე 35–38 წლისა იქნებოდა ოდნავ დასრულებული, მაგრამ სწორნაკვთოვანი. შაუ ფართო თვალებს ჯერ კიდევ არ მოკლებოდა ელვარება,ხელოვნურად დახუხუჭებულ,მოკლედ შეკრეჭილ მუქ წაბლისფერ თმებს ალაგ–ალაგ სპილენძის ფერი გადაჰკვროდა; ხორბლისფერ სახეს რკალივით მოხრილი წარბები უმშვენებდა. ბეჭედივით ვიწრო პირი ჯიუტად მოეკუმა და ოდნავ, სულ ოდნავ უცახცახებდა ზედა ბაგე.
“ღელავს”–გაიფიქრა მინდელმა და შემოსულს სავარძელი შესთავაზა.
დევიძე დაჯდა.
ისმოდა კედლის საათის ტიკტიკი და ქაღალდის შრიალი, მინდელი საქმეს ფურცლავდა.
დუმილი პირველად დევიძემ დაარღვია.
- იქნებ შეიძლება გავიგო, რისთვის დამიბარეთ?
მინდელმა თავი ასწია, დაკვირვებით შეათვალიერა დევიძე
- ვფიქრობ, ამის ახსნა არა გჭირდებათ, ქალბატონო,- მიუგო მინდელმა მშვიდად და შემდეგ დაუმატა:- თქვენი აქ მოყვანის მიზეზი ჩვენთვის ორივესთვის

ნათელია და არა მგონია ამ საკითხის გარკვევისათვის დიდი დროის დაკარგვა იყოს საჭირო.
დევიძის თვალებში სიბრაზემ იელვა, მაგრამ უმალვე შეიკავა თავი.
- მე არაფერი ვიცი,პატივცემულო უფროსო,- ჩაილაპარაკა წყნარად.
- პირიქით,თქვენ ყველაფერი იცით,- ცივად შეაგება მინდელმა,- იცის გამოძიებამაც, მაგრამ დაკითხვამაინც აუცილებელია. ჩვენს საქმიანობაში ფორმალიზმიც საჭიროა, თორემ გარწმუნებთ,ამისათვის დროს არ დავკარგავდით.
- არაფერი მესმის.
- ახლავე ყველაფერს აგიხსნით, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ თქვენს გულწრფელობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ჩვენ ის გვესაჭიროება არა იმტომ, რომ რაიმე ახალს მისცემს გამოძიებას, არამედ მხოლოდ იმისათვის, გავარკვიოთ, როგორ და რა ვითარებაში ჩაებით ბანდაში.
- ბანდაში?! როგორ თუ ბანდაში, რას ამბობთ?!- შეჰყვირა დევიძემ და მიტკალივით გაფითრდა.
- მშვიდად,ისტერიკები საჭირო არ არის, ეს არაფერს შეცვლის,- დინჯად მიუგო მინდელმა.
- თქვენ... თქვენ როგორ მკადრებთ... მე... მე თქვენ... თქვენ მე, მე თქვენ ისა...- ენა დაება დევიძეს და ფეხზე წამოიჭრა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდა, გაფითრებულ სახეზე უცებ სისხლი მოაწვა და ჭარხალივით წამოწითლდა. გამომძიებელი დინჯად უყურებდა დე:ვიძის ფერისცვალებას, “საოცარია,- გაიფიქრა მან,- ასეთი მოქცევა შეურაცხოფით აღშფოთებულ ადამიანს ან ძალზე გამოცდილ დამნაშავეს შეუძლია მხოლოდ.რომელი მათგანია დევიძე? ალბათ მეორე”–დაასკვნა მან.
- დაბრძანდით!- მიმართა მკაცრად.
- მე ერთი წუთითაც არ დავრჩები ამ ოთახში! ახლავე მივალ სადაც საჭიროა და პასუხს გაგებინებთ შეურაცხყოფისათვის!- აყვირდა დევიძე და კარებისაკენ გაიწია.
- დაბრძანდით და თავი დაანებეთ მსახიობობას!- ხმას აუწია მინდელმა,- თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ აქ ტყუილად არ მოგიყვანდით.
დევიძე გამომძიებელს მიაჩერდა. მისი მზერა ერთმანეთში არეულ მძულვარებას და უმწეო ბრაზს გამოხატავდა. ერთხანს შესცქეროდა გამომძიებელს შემდეგ სკამზე დაეშვა.
- რა გინდათ ჩემგან?- შეეკითხა ცუდად დაფარული მძულვარებით.
მინდელმა გამომცდელი მზერა მიაპყრო. ქალი სრულიადაც ვერ დააბნია გამომძიებლის ქორულმა ცქერამ, გამოწვემა მიიღო და თვალი თვალში გაუყარა.
“საოცარია”,- კვლავ გაიფიქრა გაკვირვებულმა მინდელმა,- ისე მიცქერის, თითქოს მისი სინდისი არაფრით იყოს დამძიმებული. სჩანს დარწმუნებულია, ჩვენ არაფერი ვიცით”.
- მაშ არ გინდათ გულწრფელად აღიაროთ დანაშაული?

- მე გითხარით, თავი დაანებეთ ჩემს შეურაცხყოფას მეთქი–მიუგო დევიძემ მკვახედ.
- კეთილი,- ჩაილაპარაკა მინდელმა–მე ვფიქრობდი, შემთხვევით მოხვდით ბანდიტებში. როგორც ჩანს, შევცდი, არა უშავს, ამ შეცდომის გამოსწორება შეიძლება.
- შეწყვეტთ თუ არა ჩემს შეურაცყოფას,მეტყვით თუ არა, რა გნებავთ ჩემგან?- კვლავ იყვირა დევიძემ.
- გეტყვით, რაკი გსურთ ჩემგან გაიგოთ ყოველივე,- მიუგო მინდელმა,- მაგრამ შემდეგ გვიანღა იქნება სინანული.
- მე მოსანანიებელი არაფერი ჩამიდენმა, მორჩით და გაათავეთ!
- კეთილი, კეთილი,თქვენ მარტო ცხოვრობთ?
- დიახ.
- სრულიად მარტო?
- დიახ! სრულიად მარტო, მერე რა გნებავთ?
- მეუღლე სად არის?
- მეუღლე? თქვენ უკეთ იცით პატიმარია.
- ამჟამად სად იმყოფება?
- შორეულ კოლონიაში იხდის სასჯელს.
- დიდი ხანია?
- უკვე მეხუთე წელია.- მიმოწერა გაქვთ?
- ცხადია მაქვს.
- უკანასკნელი წერილი როდის მიიღეთ?
- ათიოდე დღის წინათ.
- ფოსტით?
- ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?
- გეკითხებით, მიპასუხეთ.
- დიახ, ფოსტით.
- დარწმუნებული ხართ?
- რა თქმა უნდა.
- რას გწერდათ უკანასკნელ წერილში?
- როგორ თუ რას?ჩვეულებრივად მატყობინებდა თავის ამბავს და ითხოვდა ამანათის გაგზავნას.
- სხვა არაფერი?
- მე მგონი, არაფერი.
რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მინდელი გამომცდელად მიაჩერდა დევიძეს.
- რამდენი ხანია, რაც საავადმყოფოში მუშაობთ?- დაუსვა ახალი კითხვა.
- უკვე თორმეტი წელია.დავამთავრე თუ არა სკოლა მას შემდეგ სულ №1 საავადმყოფოში ვმუშაობ.
- 12 იანვარს დღისით მუშაობდით თუ ღამით?- მინდელმა თვალი თვალში გაუყარა.

დევიძე შეკრთა, მაგრამ მალე შესძლო თავის დაოკება.
- დღისით ვმუშაობდი.
- ღამით რა გინდოდათ საავადმყოფოში?
- როგორ თუ ღამით?- შეშფოთდა დევიძე.
- ღამით სამ საათზე რა გინდოდათ საავადმყოფოში? გაუმეორა კითხვა მინდელმა.
- სამ საათზე?- ძლივს ამოილაპარაკა ქალმა.
- დიახ სამ საათზე. ღამის სამ საათზე,- დაბეჯითებით განუმარტა მინდელმა.
- ღამით საავადმყოფოში მე არ ვყოფილვარ,- უპასუხა დევიძემ ყოყმანით.
- სტყუით!
- არა,ღმერთმანი.
- სტყუით–მეთქი! აბა მოიგონეთ: ძლიერ თოვდა, თქვენ სულ მთლად დაფარული იყავით თოვლით, როდესაც სამორიგეოში შეხვედით. ასე გვიან თქვენი მოსვლა ექთან კაჭარავას ძალიან გაუკვირდა.
- კაჭარავას?- თითქმის იყვირა დევიძემ და გაფითრდა.
- დიახ, კაჭარავას.თქვენ რომ ავადმყოფი ნათესავის სანახავად გაგზავნეთ №4 პალატაში,- დაცინვით მიუგო მინდელმა და განაგრძო:- მეტად ძლიერად გყვარებიათ თქვენი რძლის ბიძაშვილი, რაკი ღამის სამ საათზე არ დაიზარეთ და მისი ამბის გასაგებად ასეთ ამინდში თითქმის ერთ კილომეტრზე ფეხით იარეთ.
დევიძე დუმდა.
- ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეტად უცნაურია ასე შეწუხება ვიღაც შორეული ნათესავისავის, რომელსაც სხვათა შორის 12 იანვარს საღამოს 6 საათზე სწორედ თქვენი მორიგეობის დამთავრებისას საშიში არაფერი სჭირდა?
დევიძე ისევ დუმდა.
გამომძიებლის პირისპირ სკამზე მჯდარს თავი დაეხარა და შესამჩნევად უტოკავდა მხრები.
- სდუმხართ?- განაგრძო მინდელმა– კეთილი! მაშასადამე, უკვე დარწმუნდით, რომ ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ თქვენი საავადმყოფოში მისვლა წვრილმანია,ჩვენ უფრო სერიოზული ამბავი გვაინტერესებს და თუ კეთილგონიერება გაგაჩნიათ, ნუ გაჯიუტდებით.
- რა გნებავთ ჩემგან?- თავი ასწია დევიძემ.
გამომძიებელმა გაკვირვებით შეხედა.
- მხოლოდ ერთი,- გულწრფელად აღიაროთ დანაშაული.
- ვაღიარო?- იყვირა დევიძემ, რა ვაღიარო?
- რა ვითარებაში დაუკავშირდით ბანდას, აკი გითხარით წეღან,- შენიშნა მინდელმა მკაცრად.
- თქვენ ცდებით, მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია. ვაღიარებ, რომ მართლაც ვიყავი საავადმყოფოში, მაგრამ განა ეს უფლებას გაძლევთ შეურამცხმყოთ და ბანდიტი მიწოდოთ? განა ეს...
- რა გინდოდათ საავადმყოფოში?- შეაწყვეტინა მინდელმა.
- ამას არავითარი კავშირი არ აქვს ვიღაც ბანდიტებთან.
- თქვენ ასე გგონიათ?

- დარწმუნებული ვარ.
- ბანდიტისა და მკვლელისათვის დახმარების აღმოჩენა, დამალვა და ხელშეწყობა, თქვენ დანაშაულად არ მიგაჩნიათ?- სუსხიანად შეეკითხა მინდელი და განაგრძო:- კმარა მოქალაქე დევიძე თავის მოკატუნება! ჩვენ არა მარტო ისვიცით, თუ,როგორ მოიპარეთ საავადმყოფოდან სისხლის გადასხმის აპარატი,არამედ ისიც, სად მალავთ ბანდიტებს. თქვენი ყოველი ნაბიჯი, ისევე როგორც ზავიალოვებზე მიქირავებული ოთახებში მოკალათებული ბანდიტების საქმიანობა, ჩვენთვის ცნობილია და ჯიუტობას აზრი არა აქვს
- ბატონო გამომძიებელო!- შეჰყვირა დევიძემ და ტყვიანაკრავივით წამოვარდა სკამიდან.
- დაჯექით!- მკაცრად შეუტია მინდელმა.
- ბატონო გამომძიებელო, თქვენ.. თქვენ შეცდომაში ხართ შეყვანილი. ჩემს ბინაში არასოდეს ყოფილა თავშეფარებული მკვლელი და ბანდიტი, გეფიცებით, ჩემ ერთად ერთ შვილს,ვის გამოც ესოდენ დიდ ტანჯვას ვიტან ცხოვრებაში, ცდებით და ტყუილად მაყენებთ შეურაცხოფას!
დევიძე ისე გაცხარებით ლაპარაკობდა და იმდენი გულწრფელობა ჩანდა მის სიტყვებში, რომ მინდელი წუთით შეყოყმანდა, მართლაც ხომ არ ვცდებიო, გაიფიქრა, მაგრამ სწრაფად უარყო ეს აზრი.
- ვისი დავალებით მოიპარეთ აპარატი?- შეეკითხა დევიძეს.
- მე აპარატი არ მომიპარავს დილით უკანვე მივიტანე.
- ეს არაფერს ცვლის. ვისი დავალებით წადით საავადმყოფოში?
- თქვენ მას არ იცნობთ, მაგრამ გარწმუნებთ, ის არც მკვლელია და არც ბანდიტი.
- თქვენ ასე გგონიათ?
- ეჭვიც არ მეპარება. მე ვიცი, რატომ მიგაჩნიათ ჩემი ბინა საეჭვოდ. მართლაც რა უფლება მაქვს რეციდივისტის ცოლს პრეტენზია განვაცხადო, რომ არ შეეხოთ ჩემს კეთილ სახელს, მაგრამ გეფიცებით ყოველივეს რაც კი კეთილი შემრჩა ამ ქვეყნად, ნუ იქნებით განუკითხავი და ქმრის გამო ნუ ჩამთვლით იმად, რაც წელან მიწოდეთ...მე გეტყვით ყველაფერს, ყველაფერს გიამბობთ და დარწმუნდებით, რომ ქურდ–რეციდივისტის ცოლიც შეიძლება პატიოსანი ქალი და წესიერი დედა იყოს.
- გისმენთ!- მიუგო მინდელმა და მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.
დევიძე რამდენიმე წამი დუმდა, მძიმედ ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოატანაო და დაიწყო.
- თქვენ უეჭველია იცით,ჩემი ქმარი გამოუსწორებელი ქურდია და ამჟამად უკვე მეოთხედ ზის ციხეში. ჩემი პირადი ცხოვრება დიდი ხანია წაიშალა და თუ ვცოცხლობ მხოლოდ ერთადერთი შვილისათვის და აგრეთვე იმ იმედით, რომ იქნება ქმარიც მოეგოს გონს და დაუბრუნდეს პატიოსან ცხოვრებას.თქვენ ეს დეტალები ალბათ არ გაინტერესებთ, მაგრამ ჩემი ვალია, ყველაფერი გითხრათ, რადგან როგორ უცნაურადაც არ უნდა არ უნდა მოგეჩვენოთ, მე არ დამიკარგავს იმედი ქმრის წესიერი ცხოვრების გზაზე დაბრუნებისა, სწორე ეს

მაიძულებს,ხელი არ ეკრა ჩემს ქმარს, თავის თავის უბედურ ადამიანს და დროდადრო ფული ან ამანათი გავუგზავნო ხოლმე ბანაკში...
ყოველ წერილში ალექსანდრე ფიცით მარწმუნებს, რომ ეს მისი უკანასკნელი ავკაცობაა და თუ ეღირსა საპატიმროდან გამოსვლა,არასოდეს არ დაუბრუნდება შავბნელ საქმიანობას.
ახალი წლის დღეებში, იანვრის ერთ ღამეს, ის იყო,ბავშვი დავაწვინე, რომ კარებზე დააკაკუნეს, გავაღე. ზღურბლზე 30–35 წლის საშუალო ტანის მამაკაცი გამოჩნდა, თავაზიანად მოიხადა ბოდიში, მკითხა ვინ ვიყავი და კონვერტი გადმომცა.
უცნობი სახლში მივიწვიე, კონვერტი გავხსენი.
ქმარი მწერდა, რომ ბარათის მომტანი მისი კარგი მეგობარი იყო და მთხოვდა, უპატივცემლოდ არ გამეშვა იგი.
“ჩემი პროფესიის არ გეგონოს, ინჟინერია, ციხეში ბრმა შემთხვევის გამო მოხვდა, ახლა გამართლდა და სამშობლოში ბრუნდება”–მატყობინებდა ქმარი.
წერილში ჩემი სტუმრის ვინაობა არ იყო აღნიშნული,რამაც მეტად გამაკვირვა,მაგრამ ისე ვიყავი გახარებული იმით,რომ ბარათის მომტანი ქურდი და ავაზაკი არ აღმოჩნდა, ყურადღებაც არ მიმიქცევია ამ მდგომარეობისათვის. როგორც შემეძლო პატივი ვეცი.
გვიან ღამემდე ვისაუბრეთ.
დაწვრილებით მიამბო თავისი თავგადასავალი და ალექსანდრესთან ერთად კოლონიაში გატარებული მძიმე დღეები. დიდი ქებით მოიხსენია ჩემი ქმარი, რომ ალექსანდრე არა,იქნებცოცხალი არ ვიყოო, მითხრა.
ღამის დაახლოებით 12 საათზე ვახტანგი წამოდგა,- ასე ეძახიან მას,- სასტუმროში წასვლა დააპირა.
დიდი ხვეწნის შემდეგ დავიყოლიე, რომ ღამე ჩემს ბინაში გაეთია.
დილით ვახტანგმა მითხრა, ქუთაისში არქივიდან რაღაც საბუთის ასაღებად იყო ჩამოსული, რაც მას მემკვიდრეობის აღსადგენად ესაჭიროებოდა და ქალაქში გავიდა.
ორი დღე დაჰყო სტუმარმა ქუთაისში, მაგრამ საჭირო საბუთის აღება ვერ მოახერხა. “უბედურებაა პირდაპირ, იძულებული ვარ მეორედ ჩამოვიდე”, შემომჩივლა მან და ღამის მატარებლით თბილისში გაემგზავრა.
თუ არ ვცდები, 9 იანვარს ისევ ჩამოვიდა, მომინახულა, ბავშვს საჩუქრები მოუტანა. მითხრა სამსახური დავიწყე, ბინასაც მაძლევენ და მგონი ჩემი ცხოვრებაც მოეწყოსო
ჩემი ამბავითაც დაინტერესდა, ბოდიში მოიხადა,პირველ ჩამოსვლისას ვერაფრით დაგეხმარეთო,შემდეგ ფული გადმომცა,ალექსანდრეს ამანათები არ მოაკლოთო.
ფულის აღებაზე ცივი უარი ვთქვი, თავი კინაღამ მოიკლა:”მე თქვენი მეუღლისაგან სიცოცხლითა ვარ დაავადებული დაა ეს მცირე დახმარება რა საანგარიშოაო”
ბოლოს დამიყოლია 1000 მანეთი დამიტოვა.

ვახტანგი ხან და ხან თუ გავიდოდა ქალაქში,ვიღაც შორეულ ნათესავთან. გვიანაც დაბრუნებულა, მაგრამ ღამეს ყოველთვის ჩემს ბინაში ათევდა.
12 იანვარს ვახტანგმა გამომიცხადა, რომ სამი– ოთხი დღის შემდეგ თბილისში აპირებდა წასვლას და დაახლოებით 11 საათზე ბინიდან გავიდა.
“შეიძლება დამაგვიანდეს”,- მითხრა მან წასვლისას.
დიდხანს ვუცადე,მაგრამ რადგან არ მოვიდა, ღამის 12 საათზე დავწექი.
ზარის ხმამ გამომაღვიძა.
ავდექი, შუქი ავანთე, 2 საათი იყო.
ოთახში ვახტანგი და ვიღაც წვერიანი მოხუცი შემოვიდნენ და ხელით მიცვალებულივით გაფითრებული ახალგაზრდა შემოიყვანეს.
“არ შეგეშინდეთ, ნატა – მითხრა ვახტანგმა,- ეს ახალგაზრდა ჩემი ნათესავია, დაჭრილია და გული წაუვიდა,მომეხმარეთ საწოლში ჩავაწვინოთ, შემდეგ კი ყველაფერ გიამბობთ”.
“ვინ დაჭრა?”–ვიკითხე მექანიკურად.
“შემდეგ,შემდეგ, ჯერ დაჭრილს მოვუაროთ”,- მიპასუხა ვახტანგმა. სწრაფად გავშალე ლოგინი,ტახტზე მისვენებული დაჭრილი საწოლზე გადავიყვანეთ,რამდენიმე ნემსი გავუკეთე. ავადმყოფმა თვალები გაახილა, ყრუდ ამოიკვნესა და ისევ ბურანში წავიდა.
მოხუცმა პერანგი გახადა და დავინახე, რომ მუცელში იყო დაჭრილი.
“ჩქარა ბამბა და ბანდი”,- ამოიღო ხმა აქამდე ჩუმად მყოფმა წვეროსანმა.
სააფთიაქო კარადა მივაწოდე. მოხუცი გაბედულად შეუდგა სისხმდინარე ჭრილობის გასუფთავებას, შემდეგ მაგრად შეუხვია.
ვახტანგმა ხელი მომკიდა, მეორე ოთახში გამიყვანა.
“ნატა,- მითხრა მან,,- უბედურება შეგვემთხვა,როგორმე უნდა დაგვეხმარო, თორემ ეს ყმაწვილი დაიღუპება და მეც დამედება მაგისი ცოდვა.”
“რა შეგემთხვათ, ვინ არის”?- შევეკითხე შეშინებული.
“ჩემი ბიძაშვილია, რაღაც ხათაბალად ქალი შეყვარებია და.. ერთი სიტყვით რადგან ქალი არ თანაუგრძობდა, მოტაცება გადავწყვიტეთ. შედეგს შენც ხედავ: ქალი ვერ მოვიტაცეთ, ყმაწვილი კი დაჭრეს და მგონი, საკმაოდ სახიფათოდაც:”
“მე რა უნდა გიშველოთ?”
“ექიმი, ექიმა საჭირო დაუყოვნებლივ. მე კი აქ არავის ვიცნობ, თანაც შუაღამეა.”
“საავადმყოფოში დავაწვინოთ, მე ეხლავე დავურეკავ “სასწრაფო დახმარებას”.- ვუპასუხე და სწრაფად წამოვიჭერ ფეხზე.
ვახტანგმა ხელით შემაჩერა.
“ეგ შეუძლებელია, სიკვდილს იქნება გადავარჩინოთ, მაგრამ ციხეს კი ვერა. ქალის მოტაცება ხომ კანონით ისჯება, ჩვენც დაგვიჭერენ”.
“მაშ რა ვქნა?”–უმწეოდ ვიკითხე და ციებიანივით ავკანკალდი.
ვახტანგი ერთხანს დუმდა.
“აი რა ნატა–დაიწყო მან,- მე მიმძიმს თქვენი შეწუხება, მაგრამ სხვა გზა არ არის, დაჭრილი პირველ ხანებში მაინც აქ უნდა დარჩეს. აქვე უნდა მოვიწვიოთ ექიმი

და პირველი დახმარება აღმოუჩინოთ. მილიცია ალბათ უკვე გვეძებს და დაჭრილის კვალს თუ მიაგნეს, სამივეს ციხეში ჩაგვსამენ.
“მერე ექიმი?”
“ექიმს ჩვენ მოვიყვანთ. ეს მოხუცი–ვახტანგმა მეორე ოთახზე მანიშნა, სადაც დაჭრილი დავაწვინეთ,- მოიყვანს ექიმს, ზომებსაც მიიღებს, რომ არ გაგვთქვას, თუ შენც ამდენ პატივს გვცემ და დაჭრილის აქ დატოვებას დათანხმდები.
“მერე,რომ მოკვდეს რაღა გვეშველება?”
“არ მოკვდება, ჭრილობა, არ უნდა იყოს სასიკვდილო “არცთუ მტკიცედ მიპასუხა ვახტანგმა.
“ყოყმანი დავიწყე, ერთი მხრივ, მეშინოდა დაჭრილის ჩემს სახლში დატოვება,მეორეს მხრივ, კი მიჭირდა, უარი მეთქვა დახმარებაზე გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის. არც ის მინდოდა,ვახტანგის შეხვედროდა რაიმე,დაეჭირათ და ციხეში ჩაემწყვდიათ.
“განა ამ ყმაწვილს ქუთაისში არავინ ყავს?”–ვკითხე ვახტანგის.
“არავინ,შეიძლება ენდო ასეთ საქმეში. ამიტომ მოვიყვანე თქვენთან, იმედი მქონდა”.
“კარგი,- დავთანხმდი მე,- ასეთ მდგომარეობაში მყოფს მტერსაც არ ეტყვიან უარს, მხოლოდ სად მოვათავსოთ? ბავშვს ახლა სძინავს,
“მაგრამ ხვალ?”
“მე დიდად ვწუხარ ასე რომ გაწუხებთ,- დაიწყო ვახტანგმა. მაგრამ წეღანაც გითხარით, სხვა გზა არ მქონდა, უეჭველად ყველას დაგვიჭერდნენ. ჩვენ ასე გავაკეთოთ: დაჭრილი შენი მდგმურების ერთ–ერთ ოთახში დავაწვინოთ, გასაღები ხომ შენ გაქვს.დღით ეს ოთახები გარედან დაკეტე, ღამე კი, როდესაც ბავშვი დაიძინებს, შეიძლება გავაღოთ. ერთი–ორი დღე ვერავინ გაიგებს, შემდეგ კი წავალთ. გავცილდებით ქუთაისს, მე ხვალ მაინც ვაპირებდი წასვლას, ამ ხლაფორთში რომ არ გავბმულიყავი.”
მეორე ოთახიდან მოხუცი გამოვიდა, ვახტანგი ფეხზე წამოდგა, მოწიწებით შეეგება.
“როგორ არის?”–შეეკითხა
“ცუდად, ბევრი სისხლი დაკარგა თუ სისხლი არ გადავუსხით, ვინ იცის რა მოხდება.”
შიშმა ამიტანა, “რა მეშველება რომ მოკვდეს”,- გავივლე გულში და ის იყო დავაპირე მეთქვა,დაჭრილი წაიყვანეთმეთქი, რომ წვეროსანი მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:
“თქვენს პატივისცემას ქალბატონო, ადამიანი ვერ გადაიხდის, მაგრამ თუ ღმერთმა ინება და ჩემი ძმისშვილი გადარჩა, თქვენს სამსახურში მიგულვეთ”.
ხმა ვერ ამოვიღე.
“ქალბატონო,- დაიწყო ისევ წვეროსანმა,- დრო არ ითმენს, რადგან ასეთი სიკეთე გვიყავით, გეცოდინებათ, ვინ არის ქუთაისში გამოცდილი ქირურგი, იქნებ ბინაც მიგვითითოთ”.
“გრძელიძე, მაგრამ”...

“რა მაგრამ? “
“ის, რომ გრძელიძე ავადმყოფს უეჭველად საავადმყოფოში გადაიყვანს, არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ასეთი მძიმე ავადმყოფის ბინაზე მკურნალობას”.
“ეს მე მომანდეთ”,- მიპასუხა წვეროსანმა მტკიცე ხმით.
“არაფერი გამოვა სისხლს სახლში მაინც ვერ გადაუსხამს, არც ოპერაციას გაუკეთებს”– შევეპასუხე ისევ.
“გაუკეთებს! სისხლსაც გადაუსხამს, მხოლოდ თქვენ კიდევ ერთი სამსახურის გაწევა მოგიწევთ,- როგორმე აპარატი უნდა ვიშოვოთ”.
სახტად დავრჩი, ჩაბალახ მოხვეული წვეროსანი დაკვირვებით შევათვალიერე.
“თქვენ იცით ამ აპარატის სახელი?”–ვერ დავფარე განცვიფრება.
“გიკვირთ?- გაიღიმა მან,- თუმცა დიდი ხანია ვაზს ვუვლი და ყურძენი მომყავს, მაგრამ... მედიცინას ვიცნობ, ჩემი ჭაბუკობის წლებში გატაცებული ვიყავი და ერთ დროს ექიმობასაც ვაპირებდი. ეჰ, რა დროს ამაზე ლაპარაკია. გვიშოვით?
“ახლა ღამის 2 საათი და 30 წუთია, სად ვიშოვი?
“საავადმყოფოდან უნდა წამოიღეთ, სხვა გზა არ არის!- მიპასუხა წვეროსანმა და თითქოს ჩემი თანხმობა უკვე მიღებული ჰქონდა, დაუმატა;- ნუღარ დააგვიანებთ, ექიმის მისამართი გვასწავლეთ და წადით!
რაღაც არ მომეწონა მისი ტონი, ბრძანებლური კილო, მაგრამ არაფერი მითქვამს. ვახტანგის გრძელიძის მისამართი ვუთხარი, ავუხსენი სადაც ცხოვრობდა. ჭაღარამ პალტო ჩაიცვა, ჩაბალახი მჭიდროდ შემოიხვია.
“ახლა ექიმთან წავალთ, თქვენ, ალბათ, ჩვენს მოსვლამდე დაბრუნდებით საავადმყოფოდან, მაგრამ ექიმთან შეხვედრა საჭირო არ არის, როდესაც ჩვენი ფეხის ხმა გაიგონო, ოთახში გაბრძანდით და კარები დაკეტეთ, მანამდე კი, ავადმყოფს ნუ მოშორდებით. წავიდეთ ვახტანგ!
წვეროსანი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ბრძანებებს იძლეოდა, მაგრამ თავზე დამტყდარმა უეცარმა ამბავმა იმდენად წამართვა ნებისყოფა, გაბრაზებაც ვერ მოვახერხე.ყველაფერი მათი სურვილით შევასრულე.
ის ღამე თეთრად გავათენე.
დილით წვეროსანი არ გამოჩენილა, მხოლოდ ვახტანგი შემოვიდა ჩემს ოთახში,ჩაის ადუღება მთხოვა, ჩემოდნიდან ძეხვი და კონიაკები ამოიღო.
“დაგტანჯეთ ქალბატონო ნატა, არ ვიცი როგორ მოვიხადო ბოდიში ასეთი შეწუხებისათვის”,- მოიბოდიშა მან.
“როგორ არის დაჭრილი?”
“ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ერთი–ორი დღე საწოლში უნდა იყოს”
“რა თქვა გრძელიძემ? გაუკეთა ოპერაცია”
“...გაუკეთა, უხვმა გასამრჯელომ თავისი გაიტანა,გოძელიძე არსად არაფერს იტყვის”.
“წავიდა?”
“წავიდა”.
თავისუფლად ამოვისნთქე.
“ახლა მაინც მითხარით, ვის იტაცებდით?”

“მეც არ ვიცი, გუშინ საღამოს რომ გავედი, ისიდორე შემხვდა”.
“ვინ?”
“ისიდორე, ამ მოხუცს ისიდორე ჰქვია.სასაუზმეში შევედით. იქ გამიტყდა, ხოდა, მეც არ ვიცი, რა ეშმაკმა მაცდუნა, დავთანხმდი. ქალი სტუდენტია. გვეგონა, ოთახში მარტო იყო, მივუხტით,მოვახერხეთ და კარები გავაღებინეთ, მაგრამ იღბალი რომ არ ექნება კაცს...მამა და ძმა დაგვიხვდა ჩამოსული. უკან აღარ დავიხიეთ. ქალს ბინის პატრონიც წამოეშველა. შეიქნა ერთი ამბავი. ამ უბედურს დანა ჰქონდა. ჩხუბში ქალის ძმამ წაართვა და დასჭრა კიდეც. ერთი სიტყვით ძლივს გამოვასწარით. კიდევ კარგი თუ არ გაგვიგეს და ციხეში არ ჩაგვყარეს ყველა” ,- დაამთავრა ვახტანგმა.
“ქალის მეტი რაა ქვეყანაზე,რაზე იკლავდა ეს შენი ნათესავი თავს!”
“თქვენ ეგა თქვით, მე რა ეშმაკად გავერიე ამ საქმეში, თორემ...ციხე მინდა ახლა მე?”
“ღმერთმა დაგიფაროთ!”
“ეჰ, რაც იყო, იყო,იქნებყველაფერი კარგად დამთავრდეს”, – ვახტანგი წამოდგა ჩაის ჭურჭელი,კონიაკი და საუზმე დაჭრილის ოთახში გაიტანა.
დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ისევ შემობრუნდა, ჭიქები და თეფშები გამოიტანა სამზარეულოში მაგიდაზე დააწყო და პალტო ჩაიცვა.
“ახლა მე წავალ, იქნებ გავიგო რამე. დაჭრილის ოთახი გარედან გადაკეტე!”– მითხრა მან.
“დაჭრილის ბიძა წავიდა?”
“არა მასთან არის, მაგრამ შენ მაინც დაკეტე, არავინ შემოიხედოს, მე მალე დავბრუნდები”.
მთელი დღე სახლში დავყავი. ბაზარშიც არ წავსულვარ, ხალხის მეშინოდა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, მეგონა მთელმა ქალაქმა იცოდა, ჩემს სახლში იმალებოდა, დაჭრილი.
ვახტანგი ახალ შეღამებულზე დაბრუნდა,დაკლული ქათამი, ხორცი და კონიაკი მოიტანა.
“ხომ არავინ ყოფილა?” – იკითხა შემოსვლისთანავე.
“არავინ”,- ვუპასუხე მე.
“ჩინებულია! როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად გათავდება.”
“მერე და ქალი არ იჩივლებს?”
“ალბათ უკვე იჩივლა, გვეძებენ კიდევაც, მაგრამ სასიძოს სახლში რომ ვერ იპოვნიან, შეიქნება მიწერმოწერა, ძებნა, მანამდე ყმაწვილიც მორჩება და რაღაც საშველს მოვძებნით,- მიპასუხა მხიარულად ვახტანგმა. შემდეგ გასაღები მთხოვა და დაუმატა:- მე ერთი მათთან შევალ, თქვენ კი იქნებ ეს ხორცი შეწვათ, ქათამიც მოხარშეთ, თორემ შიმშილით დაიხოცება ორთავე.”
სამზარეულოში გავედი. ისე როგორც დილით, ამჯერადაც ვახტანგმა შეიტანა ოთახში სასმელ–საჭმელი.მე იმ ორ ოთახში არ გავსულვარ.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე ვახტანგი და დაჭრილის ბიძა ჩემს ოთახში შემოვიდნენ. მოხუცმა კიდევ ერთხელ მოიხადა ბოდიში, ათასი მადლობა გადაიხადა, დამპირდა რომ ორი დღის შემდეგ დაჭრილს წაიყვანდა და წავიდა. ამ დღიდან ვახტანგი უვლიდა დაჭრილს,შესასვლელის ერთი გასაღები მივეცი, რათა უფრო თავისუფლად შეძლებოდა ჩემი არყოფნის დროს ბინაში მოსვლა და წასვლა.
დაჭრილის მდგომარეობა უფრო სერიოზული გამოდგა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. 1–2 დღე საკმარისი არ აღმოჩნდა და დღესაც ლოგინში წევს,- დაამთავრა დევიძემ.
მინდელს ერთი შეკითხვითაც არ გაუწყვეტინებია თხრობა. მშვიდად უსმენდა ქალს და დრო და დრო თავისთვის შენიშვნებს იწერდა.
ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.
მინდელი თავისთვის ანალიზს უკეთებდა ჩვენებას. ხოლო დევიძე იჯდა და მოლოდინით შეჰყურებდა გამომძიებელს.
- რა მდგომარეობაშია ამჟამად დაჭრილი,- დაარღვია სიჩუმე მინდელმა.
- ვახტანგის თქმით, ჯერ წამოდგომა არ შეუძლია.
- თქვენი შეტყობით?
- მე ის არ მინახავს,პატივცემულო გამომძიებელო.
- როგორ თუ არ გინახავთ?
- არ მინახავს ერთხელაც არ შევსულვარ მასთან.
- რატომ?
- ვახტანგმა მითხრა, დაჭრილს რცხვენია და ნერვიულობსო.
- თქვენც დაიჯერეთ?
- ცხადია, დავიჯერე, რატომ არ უნდა დამეჯერებინა?
- კეთილი. ისიდორე შემდეგ აღარ გინახავთ?
- არა, არ მინახავს, არ მოსულა.
- გამოდის, რომ თქვენ დაგიტოვათ დაჭრილი ძმისშვილი მოსავლელად.
- რატომ მე, აკი მოგახსენეთ, ვახტანგი უვლის–მეთქი.
- განა უცნაურად არ გეჩვენათ, რომ ერთხელაც არ მოაკითხეს მშლობლებმა?
- რა თქმა უნდა, მაგრამ ვახტანგმა მითხრა, მშობლები ვერ მოვლენ, ეშინიათ, მათ კვალ მილიციაც არ მოჰყვესო. საერთოდ ისე მოეშალა ნერვები, რომ ყველაფერს ეჭვის თვალით დაუწყო ყურება.
- ეს როგორ გავიგოთ?
- აი გუშინ “ქელასიდან” ინსპექტორები მოვიდნენ, ელექტროენერგიის ხარჯვა შეამოწმეს, დამაჯარიმეს კიდეც. ვახტანგი ამ დროს დაჭრილთან იყო გარედან დაკეტილ ოთახში. ისინი რომ წავიდნენ, ვახტანგი მთელი ერთი საათი მეკითხებოდა, თუ ვიცნობდი ამ კონტროლიორებს, სხვა დროს თუ შეუმოწმებიათ ელექტროწერტილები, თუ მოსულან და სხვა...მანამ არ დამშვიდდა, ვიდრე “ქელასში” არ წავედი.
- შემდეგ?

შემდეგ არაფერი. ქელასში ქვითარი წარვადგინე, ჯარიმა გადავიხადე, ფული მიიღეს, თან მისაყვედურეს,შტეპსელი რატომ არ გაქვთ გატარებულიო. სახლში რომ დავბრუნდი ვახტანგმა დეტალურად გამომკითხა ყველაფერი. ქვითარიც გასინჯა.
- რა გვარია ვახტანგი?
- კიტოვანი.
- ცოლშვილიანია?
- არა,უცოლშვილოა.
- სად ცხოვრობს, თბილისში?
- ზუსტად არ ვიცი, მგონი საბურთალოს რომელიღაც ახალ დასახლებაში.
- დაჭრილი რა გვარია?
- არც დაჭრილის, არც ისიდორეს გვარი არ ვიცი,ვახტანგის არ უთქვამს. მე კი მომერიდა მეკითხა.
- "ქელასში" ვახტანგის დავალებით წახვედით?
- დიახ, მან მთხოვა და წავედი.
- კიდევ სად იყავით მისი დავალებით?
- არსად, სხვაგან არსად ვყოფილვარ.
მინდელი მოიღუშა.
- მოქალაქე დევიძე, თქვენ დამპირდით, რომ ყველაფერს გულახდილად მეტყოდით.
- დიახ, დაგპირდით და ვასრულებ კიდეც. სხვაგან არსად გაუგზავნივარ,- უპასუხა დევიძემ გულწრფელი გაკვირვებით.
- განა დღეს დილით მაღაზიაში არ იყავით?- მკაცრად შეეკითხა გამომძიებელი.
- მაღაზიაში? მერე ამას რა კავშირი აქვს ქალის მოტაცებასთან?- გაოცდა დევიძე.
- ეს ჩვენი საქმეა იყავით თუ არა?
- დიახ ვიყავი,ვახტანგმა მთხოვა, არაყი და ძეხვი მეყიდა.
- რატომ მალავდით თქვენს იქ მისვლას?
- რას ბრძანებთ, არც მიფიქრია, მაგრამ არაყსა და ძეხვს რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ამ საქმესთან?
- ეგ ჩვენ ვიცით, თქვენი ვალია,გვიპასუხოთ.
- კი ბატონო, მკითხეთ, რაც გნებავთ.
- რა დავალებით გაგაგზავნათ კიტოვანმვ?
- არავითარი დავალება არ მოუცია. მითხრა, დაჭრილმა ძეხვი მოისურვაო, წყალტუბოს ნაწარმი ძეხვი. იმ მაღაზიაში კი ვახტანგის ნაცნობი ჰყოლია და მთხოვა მასთან მიდი სხვა მაღაზიაში ვერ იშოვნიო.
- შემდეგ?
- მეტი არაფერი, ფული მომცა და მეც ვიყიდე.
- ვისგან იყიდეთ?
- ვიღაც იოსკასაგან.
- იცნობთ?
- არა, სხვა დროს არასდროს შემხვედრია.

- არც თქვენთან ყოფილა ბინაზე?
- რას ამბობთ, ჩემს ბინაზე რა უნდოდა!- ისევ გაუკვირდა დევიძეს.
- კეთილი, იოსკას კიოტოვანის მიერ მიცემული ფულით გადაუხადეთ საფასური?
- დიახ.
- ხურდა რამდენი დაგიბრუნათ?
- არავითარი ხურდა არ დაუბრუნებია. რატომ?
- ვახტანგმა მითხრა, მანეთს მისცემ, არაყსა და ძეხვს მოგცემსო, მეც ასე მოვიქეცი. განა ფასი არ გიკითხავთ? არა, არ მიკითხავს, აკი მოგახსენეთ, ვახტანგმა მანეთიანმ გადმომცა და მითხრა, ამ ფულს მისცემ და წყალტუბოს ნაწარმ ძეხვს სთხოვო,- მიუგო დევიძემ და დაუმატა:- მეც ასე გავაკეთე.
- კარგი, სად იშოვეთ სისხლი, ან როგორ გადაუსხეს დაჭრილს?
- რა მოგახსენოთ, მე ოთახში არ ვყოფილვარ, ალბათ გრძელიძემ მოიტანა დაკონსერვებული სისხლი.
თქვენ იცნობთ გრძელიძეს?
გრძელიძეს ვინ არ იცნობს.
დარწმუნებული ხართ მან გაუკეთა დაჭრილს ოპერაცია?
ყოველ შემთხვევაში მე ასე მითხრეს.
პირადად კი არ გინახავთ?
არა, არ მინახავს.
რატომ?
იცით რა,ჯერ ერთი, ვახტანგიმ და დაჭრილის ბიძამ მთხოვეს არ დავნახოდი გრძელიძეს,მეორეც, მეც არ მინდოდა შევხვედროდი, ის ხომ დიდი გასამრჯელოს მიღებით დათანხმდა ოპერაციის გაკეთებას.
განა თქვენ ვალდებული არ იყავით,გეცნობებინათ ჩვენთვის თქვენს სახლში დაჭრილის ყოფნა და გრძელიძის მიერ ოპერაციის გაკეთება?- შეეკითხა გამომძიებელი და კუშტად შეხედა.
დევიძემ თავი დახარა, სახეზე სიწითლე მოერია და ნერვიულად დაიწყო ხელების მტვრევა.
- მიპასუხეთ!
- ცხადია...მაგრამ სიბრალულმა დამძალა,დაჭრილი შემეცოდა, ვახტანგიც ვერ გავიმეტე.
- ექიმი?
- ექიმი...გრძელიძეს მთელი ქალაქი იცნობს, როგორც უაღრესად წესიერ ადამიანს.მართალი გითხრათ, ახლაც ვერ დამიჯერებია,როგორ დათანხმდა ოპერაციის გაკეთებაზე.
- თუ შეხვდით იმ ღამის შემდეგ გრძელიძეს?
- არა, ის სხვასაავადმყოფოში მუშაობს.
- კეთილი, კიტოვანი ვიდრე თქვენთან სტუმრობდა თუ დადიოდა სადმე?
- საღამოობით სადღაც მიდიოდა, მაგრამ სად–მე არასოდეს მიკითხავს.
- თქვენთან თუ აკითხავდა ვინმე?
- არავინ,არც ერთხელ არ მოუკითხავთ.

- არც თქვენ გინახავთ ვინმე ნაცნობთან?
- არა, თუმცა ერთხელ მანქანაში ვნახე.
- ნაცნობის მანქანაში?
- როგორ გითხრათ,მანქანის პატრონს მე ოფიციალურად არ ვიცნობ, ისე კი ვიცი, რომ ქუთაისელია, ქალაქში შემხვედრია.
- რა გვარია.
- გავარი და სახელი არ ვიცი.
- მანქანის ნომერი ხომ არ გახსოვთ?
- არა, არ დავინტერესებულვარ.
- რა მანქანაა?
- “პობედა”.
- ფერი?
- არ ვიცი, არ მახსოვს.
- დაჭრილი რითი მოიყვანეს თქვენთან?
- არ ვიცი.
- იქნებ სწორედ “პობედით?”
- ვერ გეტყვით, შეიძლება “პობედით”, შეიძლება სხვა მანქანით.
- კარგი. ჯერჯერობით ამით დავამთავროთ,გაეცანით, ხელი მოაწერეთ და გარეთ დამელოდეთ.
მინდელმა დევიძეს ფურცლები გაუწოდა და აჩვენა სად უნდა მოეწერა ხელი. დევიძემ ოქმი წაიკითხა,გამომძიებელს კალმისტარი ჩამოართვა და მითითებულ ადგილზე ხელი მოაწერა.
- შეიძლება ერთი შეკითხვა?- იკითხა ყოყმანით.
- რა შეკითხვა?
- ნუთუ დამაკავებთ?- დევიძეს ხმა აუკანკალდა.
- ამაზე ჩემზე უფროსები გადაწყვეტენ. თუ თქვენი ჩვენება სიმართლეს შეიცავს, მე მგონი პასუხისგებაში არ მიგცემენ, თუმცა იმსახურებთ კი.
- ბატონო გამომძიებელო...
- ნუ ღელავთ, გარეთ დამელოდეთ. ცოტა ხნის შემდეგ დაგიძახებთ,- მინდელი სავარძლიდან წამოდგა,დევიძის დაკითხვის ოქმი საქაღალდეში ჩასდო და კაბინეტის ეარები გამოაღო.დევიძე წელმოწყვეტილივით გამოჰყვა და დერეფანში გრძელ სკამზე მოწყვეტით დაეშვა...
- როგორ არის საქმე? – შეეგება პოლკოვნიკი მასთან კაბინეტში შემოსულ გამომძიებელს.
- დავკითხე,- უბრალოდ უპასუხა მინდელმა და დაკითხვის ოქმი გაუწოდა. ბალანჩივაძემ სწრაფად გადაიკითხა,ზოგიერთი ადგილები წითელი ფანქრით გახაზა, შემდეგ იგი ხომერიკს გაუწოდა.
- თქვენი აზრი? – მიმართა ხომერიკმა მინდელს,როგორც კი დევიძის ჩვენების კითხვა დაამთავრა და ფურცლები პოლკოვნიკის მაგიდაზე დასდო.
მინდელი ცოტა ხანს დუმდა.
- მე ვფიქრობ, დევიძის ჩვენება სრულ სიმართლეს შეიცავს.

- ესე იგი...- ჩაურთო პოლკოვნიკმა.
- დევიძე გააცურეს, მან არ იცის მისი სტუმრების ვინაობა და კიტოვანის შეთხზული ზღაპარი ხალას სინამდვილედ მიიჩნია.
- დავუშვათ... შემდეგ?
- შემდეგ, დევიძე საფოსტო ყუთად გამოიყენეს,პირობითი ნიშნებით დანიშნული მანეთიანი ხოტოველზე გადააცემინეს, ის კი დარწმუნებულია მხოლოდ ძეხვი უყიდა ავადმყოფს და სხვა არაფერი.
- ესეც დავუშვათ, მაგრამ ჭაღარა? თუ დევიძის ჩვენებას სიმართლეთ მივიჩნევთ, გამოდის რომ ის იქ აღარ არის.
მინდელი დუმდა.
- რას იტყვით?- კვლავ შეეკითხა პოლკოვნიკი.
- ვფიქობ, აქ ორი ვარიანტია დასაშვები.- დაარღვია დუმილი მინდელმა.- შესაძლებელია ჭაღარა ახლაც დაჭრილთან არის, მაგრამ დევიძემ ამის შესახებ არაფერი იცის,ან ხოტოველს სწორედ ჭაღარასთან აქვს დანიშნული პაემანი წყალტუბოში სასტუმროს ოთხას შვიდ ნომერში,- დაამთავრა მინდელმა.
- რატომ ფიქრობთ ასე?
- დევიძემ ერთი გასაღები კიტოვანს გადასცა, მაშასადამე,დიასახლისის სახლში არ ყოფნისას სტუმარს შეუძლია ვინც უნდა, ის მიიღოს და დევიძეს ამის შესახებ არაფერი ეცოდინება. ის ხომ ზავიალოვების ოთახში არ შედის. მეორე:ჭაღარას, სიფრთხილის გამო, შეეძლო მართლაც დაეტოვებინა დევიძის ბინა და სრულიად ლეგალურად მოწყობილიყო სასტუმროს ნომერში, წყალტუბოში,ხოლო კავშირი ხოტოველის საშუალებით გაეხორციელებინა,- მინდელმა პაპიროსს მოუკიდა, ასანთის ნამწვავი საფერფლეზე დასდო და მტკიცე ხმით დაუმატა:- ერთი რამ უდავოა,ჭაღარა დაჭრილის გამომჯობინებას უცდის და ვიდრე ის ლოგინზეა მიჯაჭვული, არ მიატოვებს.
- რის საფუძველზე გამოგაქვთ ასეთი დასკვნა?- შეეკითხა ბალანჩივაძე.
- დაჭრილი ჭაღარასთვის მეტად ძვირფასია. მის გადარჩენისათვის არც საკუთარი სისხლის გაღებას მოერიდა, არც ხიფათს. ჩავარდნის რისკით უცნობ სახლში შევიდა, და ეს იმ დროს როცა ქუთაისი არცთუ ისე დიდი ქალაქია. აქ ბოროტმოქმედი იოლად ვერ გაიტანს თავს. მან კი გარისკა მაშასადამე, არც მიატოვებს.
ბალანჩივაძემ ღიმილით შეხედა მინდელს, შემდეგ სავარძლიდან წამოდგა.
- შენი მოსაზრება სავსებით სწორად მიმაჩნია,ლევან. ორივე ვარიანტი საყურადღებოა და გეგმის შედგენისას უსათუოდ ორთავე უნდა გავითვალისწინოთ,ხოლო კიტოვანი უეჭველად მოგონილი გვარია. ჩანს, დევიძემ ესეც არ იცის. ხოლო თუ გაიგო, მის სტუმრისაგან სიკვდილი არ ასცდება.
ბალანჩივაძემ ერთხელ კიდევ გადაათვალიერა დევიძის ჩვენება.
- სად ჰყავს ბავშვი ამჟამად დევიძეს?- შეეკითხა მინდელს.
- მორიგეობის დროს დასთან ტოვებს და მხოლოდ მეორე დღეს მოჰყავს სახლში.
- ეს კარგია, ბავშვის სახლში ყოფნა საქმეს გაგვირთულებდა, ბანდიტებისაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

- რა თქმა უნდა, მით უმეტეს დევიძის სტუმარი საკმაოდ გამოცდილი ბოროტმოქმედი ჩანს,- ჩაურთო ხომერიკმა.
- ეჭვს გარეშეა, ალექსანდრე გიორგაძე ცნობილი რეციდივისტია, კიტოვანი მისი ახალი ნაცნობი არ უნდა იყოს,ხოლო მისი ინჟინრობა და სხვა ამბები დევიძის მოსატყუებლად არის მოგონილი. ალექსანდრემ თავისი ბინა თავშესაფარად მისცა ქურდებს, ხოლო რაკი იცოდნენ ნატალია დევიძე ქურდს არ შეიფარავდა, შექმნეს გულისამაჩუყებელი ზღაპარი უდანაშაულოდ დასჯილ და შემდეგ რეაბილიტირებულ ინჟინერზე, ამასთან წინასწარ გაიანგარიშეს, რომ დადებით გავლენას მოახდენდა გულუბრყვილო ქალზე.
ცუდად არის მოფიქრებული და ჯერჯერობით მათი ანგარიშით ყველაფერი თავის რიგზე მიდის,ბოროტმოქმედებმა ხომ არ იციან, რომ გამოძიებამ უკვე მიაგნო დამნაშავეთა კვალს. ეს ჩვენი უპირატესობაა, თანაც დიდი უპირატესობა.
- ეხლა საჭიროა შეკრებილი ფაქტების სწორი ანალიზი და დანაშაულის ჯაჭვის ლოგიკური შეკვრა. შენ რას იტყვი, ლევან?
მინდელი რამდენიმე ხანს დუმდა.
- დევიძის დაკითხვამ,- დაიწყო მან დინჯად,- კიდევ უფრო მტკიცედ გახადა დანაშაულის მთლიანი ჯაჭვის შემკვრელი რგოლი. ჩვენ ვიცით,რომ ბანდიტებს,- მხედველობაში მყავს ჭაღარა და კიტოვანი,- საკუთარი მანქანა არა აქვთ. გრძელიძის ჩვენებით დადასტურებულია, რომ ის ორმა ბოროტმომქმედმა გაიტაცა, რომელთაგან ერთი მანქანას მართავდა. დევიძე ადასტურებს, რომ ექიმის მოსაყვანად ორნი წავიდნენ. აქ საგულისხმოა ერთი ფაქტი: მოტაცებული ექიმი მეორე ღამესაც ისევ მანქანით წაიყვანეს.შალითაზე აღმოჩენილი სისხლი ლაბორატორიის დასკვნით არა მარტო ჯგუფის მიხედვით დაემთხვა ტყეშელაიძის ბინაში ფანჯარასთან ნაპოვნ სისხლის მცირე გუბეს, არამედ ტიპიურობითაც. გრძელიძემ უყოყმანოდ ამოიცნო მანქანა, ხოლო დევიძის ჩვენებამ მტკიცედ დაადასტურა კიტოვანისა და ქავჟარაძის ნაცნობობა. ამდენი თანდამთხვევთი ფაქტების თავმოყრა შემთხვევითი არ არის, ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თუმცა ქავჟარაძე კატეგორიულად უარყოფს დანაშაულის ჩადენას, ის ბანდის ერთ–ერთი წევრთაგანია და მისი ზღაპრის მსგავსია, მანქანის განათხოვრების შესახებ, მოგონილი და დაუჯერებელია. მართალია,ჩემს ვერსიას აქვს სამსჭვალავი ადგილები, სახელდობრ არც დევიძეს, არც გრძელიძეს ქავჟარაძე, და საერთოდ მესამე პიროვნება არ უნახავთ, მაგრამ ვფიქრობ, ბანდიტებს მეკავშირე ჰყავთ, შეიძლება ხოტოველის სახით, და მისი საშუალებით ხვდებიან ერთმანეთს.
ბალანჩივაძე და ხომერიკი გულდასმით უსმენდნენ მინდელის დინჯ განმარტებას. პოლკოვნიკი ღიმილით შესცქეროდა,ხოლო პროკურორმა თბილი მზერა მიპყრო, სახეზე სიამოვნება გამოეხატა. იგი დიდ სიხარულს განიცდიდა. თვითონაც საკმაო სტაჟის მქონე გამომძიებელი,ახლა უკვე პროკურორი, წლების მანძილზე მოთმინებით ასწავლიდა ხელქვეითებს გაბედულად, მაგრამ გულდასმით გაეკეთებინათ დასკვნები შეკრებილი ფაქტებიდან საჭირო შემთხვევაში შეუმჩნევლად უკარნახებდა სწორ მოსაზრებებს, შეცდომას

გაუსწორებდა, მაგრამ ისე, რომ გამომძიებელს ინიციატივის უნარი არ დაეკარგა და ვერსიაც დამოუკიდებლად აეგო. გამოძიება შემოქმედებაო, იცოდა თქმა. მინდელი მაინც გამორჩევით უყვარდა, სამაგალითო გამომძიებლად მიაჩნდა და ეამაყებოდა გამოძიების მისი დიდი ნიჭი, განსაკუთრებული პროფესიული ინტუიცია და დეტალების შემჩნევის თავისებური უნარი.
ახლაც, დაამთავრა თუ არა მინდელმა თავისი აზრის გამოთქმა. ხომერიკმა ოდნავ გაიღიმა, მოწონების ნიშნად თავი დააქნია, შემდეგ ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა და წარმოთქვა:
- შენი მროსაზრება ძირითადად მისღებია და მოსაწონი,მაგრამ ის, რაც თეორიულად დასაშვებია, ხანდახან გამორიცხულია პრაქტიკულად.
- ამას რაზე ამბობთ?- იკითხა პოლკოვნიკმა.
- აი რაზე, ჩვენი საქმიანობიდან არა ერთი და ორი მაგალითის გახსენება შეგვიძლია, როდესაც გამოძიებით შეკრებილმა მასალებმა ფაქტების თანამთხვეობის გამო, პროცესუალურად მტკიცებათა ჯაჭვი სწორედ უდანაშაულო ადამიანის მიმართ შეკრეს. ქავჟარაძის ვერსია თუმცა სუსტია, ძალზე სუსტი, მაგრამ მისი ნამდვილობაც არ არის გამორიცხული,- ფიქრიანად მიუგო ხომერიკმა.
- კი მაგრამ, მაშინ სად ჰყავდათ მანქანა დაყენებული ვიდრე ჭაღარა გრძელიძესთან ერთად, დაჭრილთან იყო ჩაკეტილი? ან ვინ მიიყვანა იგი დევიძის სახლთან მეორე ღამეს, ექიმის უკანვე წასაყვანად?- ერთბაშად ორი კითხვა დასვა პოლკოვნიკმა.
- უდავოა, ამხანაგო დავით,მანქანა ან დევიძის ეზოში იდგა, ან კიდევ თუ ქავჟარაძე დანაშაულის მონაწილეა, მან წაიყვანა და წინასწარ შეთანხმებისამებრ მეორე ღამით თვითონვე მოვიდა.
- მანქანა დევიძის ეზოში არ მდგარა.შეუძლებელია, მას არ შეემჩნია იგი, როდესაც საავადმყოფოში წავიდა სისხლის გადასხმის აპარატის მოსატანად,- შეედავა პოლკოვნიკი.
- ვინ იცის, სრულიად არ არის გამორიცხული, რომ აფორიაქებულმა ქალმა ვერ შეამჩნია მის სახლთან მდგარი ” პობედა” , ხოლო დღისით კი, ბანდიტებმა მანქანა ეზოში მიმალეს, დევიძის სახლში ხომ სხვა არავინ ცხოვრობს დაეზოსაც ისეთი გალავანი აქვს, გარედან ვერაფერს დაინახავს კაცი. აქედან გამომდინარე, თუმცა თეორიული, მაგრამ მაინც არსებობს საფუძველი გამოვრიცხოთ დანაშაულში ქავჟარაძის თანამონაწილეობა.
- რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამ ქავჟარაძის დანაშაულში მონაწილეობაზე,- დასძინა მინდელმა.
სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ საათის ტიკტიკი და ქუჩაში მოსრიალე მანქანები ხმა.
- საჭიროა დევიძისა და ქავჟარაძის საკითხი გადავწყვიტოთ,- დაარღვია სიჩუმე მინდელმა.
ხომერიკმა დევიძის ჩვენება აიღო და კიდევ ერთხელ გულდასმით გაეცნო. ის ადგილები, სადაც ქავჟარაძეზე იყო ლაპარაკი რამდენიმეჯერ ხმამაღლა ჩაიკითხა.

მინდელი დუმილით ელოდა პროკურორის გადაწყვეტილებას. ხომერიკი კი არ ჩქარობდა, დევიძის ჩვენების წაკითხვის შემდეგ ქავჟარაძის ჩვენებას გადახედა, საერთო ფაქტები ერთმანეთს შეუდარა.
ასე გავიდა რამდენიმე წუთი.
ბოლოს ხომერიკმა კითხვა დაამთავრა, ქაღალდები გვერდზე გადასდო:
- ქავჟარაძე პატიმრობაში უნდა ავიყვანოთ,- დაიწყო მან მძიმედ.- ჯერჯერობით შეკრებილი მასალები მართლაც მტკიცედ ამხელენ მას... რაც შეეხება დევიძეს, ვფიქრობ ლევანს სწორი აზრი შეექმნა მის შესახებ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მან გამომძიებელს სრული სიმართლე უჩვენა. ასეთ ადამიანს ნდობა უნდა გამოვუცხადოთ, მხარი უნდა დავუჭიროთ...კიდევ გავესაუბროთ, ზოგიერთი დეტალებიც დავაზუსტოთ და თუ ინტუიცია არ გვღალატობს და დევიძე გულწრფელია ეს ძალზე გააადვილებს ოპერაციის ჩატარებას. მისი ჩვენების გაცნობის შემდეგ მე ერთი გეგმა დამებადა, რომლის შესრულებაში დევიძეს მცირე როლი როდი ექნება დათმობილი, მაგრამ ამაზე შემდეგ...
- მივხვდი, გიორგი, რა გეგმაცაა,- გაიღიმა პოლკოვნიკმა და თითი ზარის ღილაკს დააჭირა.
სერჟანტი დევიძეს შემოუძღვა.
- დაბრძანდით!- მიიწვია ბალანჩივაძემ და სავარძელზე მიუთითა.
ნატალია უხმოდ ჩამოჯდა,დაბნეულად შეხედა კაბინეტში მყოფთ.
ხომერიკმა დაკვირვებით შეათვალიერა ქალი, მის სახეზე შიში და დიდი სულიერი ტანჯვა ამოიკითხა.
- თქვენი გვარი დევიძეა?- დაარღვია სიჩუმე ხომერიკმა.
- დიახ, დევიძე, ნატალია დევიძე,- მიუგო ქალმა შემკრთალი ხმით.
- რამდენი ხანია იცნობთ კიტოვანს?
- სამი კვირა იქნება.
- იცით, რა საქმიანობას ეწევა?
- დიახ!ესე იგი მისგან ვიცი, რომ ინჟინერია.
- დარწმუნებული ხართ?
- აბა რა ვიცი,დღემდე ეჭვი არ შემპარვია.
- ყოფილხართ მასთან ოჯახში,იცნობთ მის ცოლ–შვილს?
- არა, რას ბრძანებთ! არც კი ვიცი, სად ცხოვრობს.
- მაშ რატომ მიიღეთ?
- წერილი... ქმრის წერილი მომიტანა და...
- თქვენც უყოყმანოდ დაიჯერეთ, რომ ის ინჟინერია, არა?
- დიახ,- მიუგო დევიძემ გაუბედავად.
პროკურორმა წამით იყუჩა, დაჟინებით დააცქერდა თავის პირდაპირ მჯდომ ქალს და შემდეგ მტკიცე ხმით განაგრძო:
- ჩვენ წავიკითხეთ თქვენი ჩვენება და გვჯერა, რომ ის სრულ სიმართლეს შეიცავს, მაგრამ გვინდა გავიგოთ,გიფიქრიათ თუ არა ოდესმე, რომ თქვენი სტუმარი ის არ არის,ვინც გგონიათ? გიფიქრიათ თუ არა, რომ თქვენ თავშესაფარი მიეცით საშიშ ბოროტმოქმედებს?

დევიძე შეკრთა.
- ბოროტმოქმედებს?- ძლივს ამოილუღლუღა მან.
- დიახ, ბოროტმოქმედებს! ბანდიტს, მკვლელს!- მკაცრად განმარტა პოლკოვნიკმა.
დევიძე გაფითრდა, კანკალი აუვარდა.
- ვახტანგი?..როგორ შეიძლება!ვერაფრით ვერ დავიჯერებ. ასეთი თავაზიანი, ასეთი კეთილი და მკვლელი?!- ჩაიჩურჩულა მან.
- დიახ,ვახტანგი, ვახტანგ კიტოვთანი! ან უფრო სწორედ ის, ვინც თქვენ ამ სახელით გაგეცნოთ, ბანდიტი და მკვლელია!- დაუდასტურა ხომერიკმა.
დევიძე მთელი სხეულით აცახცახდა.
- დამშვიდდით!- პოლკოვნიკმა წყლიანი ჭიქა მიაწოდა.
- დამშვიდდით და მოგვისმინეთ.
დევიძემ ჭიქა ჩამოართვა, ძლივს მიიტანა პირთან, მოსვა, მაგრამ ცახცახი ვერ შეიკავა. ციებიანივით კბილს კბილზე აცემინებდა და აზრჩამქრალი თვალებით დაჟინებით მისჩერებოდა ერთ წერტილს.ხელში შერჩენილი ჭიქიდან კი წყალი წვეთწვეთ ეღვრებოდა მუხლებზე.
- მინდელმა ჭიქა ჩამოართვა,სიბრალულით შეხედა.
- დამშვიდდით! რა საჭიროა ასეთი აღელვება.
დევიძეს ყურადღება არ მიუქცევია, ჩანდა არც კი გაუგონია გამომძიებლის ნათქვამი.პოზის შეუცვლელად ისევ ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს იქ ეძებდა თავზარდამცემი ამბის ახსნას.
- მისმენთ, დევიძე!- ხმას აუწია ბალანჩივაძემ.
ქალი გამოირკვა, სწრაფად იბრუნა პირი პოლკოვნიკისაკენ, რამდენიმე წამს უყურა, შემდეგ უეცრად მაგიდაზე დაემხო, სახე ხელებში ჩარგო და ტირილი აუვარდა.
- დედა, ჩემო დედა... ვაიმე ჩემო შვილო!- ამოიგმინა საწყალობლად.
რამდენიმეწუთი კაბინეტში ქალის გულსაკლავი ქვითინი ისმოდა მხოლოდ. საათმა თორმეტჯერ დარეკა.
ბალანჩივაძე წამოდგა მტირალს მიუახლოვდა.
- მისმინეთ, დევიძე,გეყოფათ ტირილი!- მიმართა ქალს და ფრთხილად მოკიდა მკლავზე ხელი.
დევიძემ თავი ასწია, ცრემლით სავსე თვალები პოლკოვნიკს მიაპყრო.
- მაშ ვახტანგმა მომატყუა, ის ბანდიტია? ჰო... ალბათ ბანდიტია, ქურდია... სხვა ვინ უნდა იყოს ალექსანდრეს მეგობარი, რატომ მაშინვე ვერ მივხვდი. რატომ არ ვიფიქრე... ოოხ... ღმერთო ჩემო!...ღმერთო ჩემო! რათა ვარ ასეთი უბედური, რათ დავისაჯე ასე! – დაიკვნესა საცოდავად და მეტი სიმწრისაგან ხელის თითები დაიმტვრია. შემდეგ თითქოს ოდნავ დამშვიდდა, ცრემლები შეიშრო და განაგრძო: – ნებისყოფა არ მეყო ალექსანდრე ვერ მივტოვე, ახია ჩემზე, ყვეოაფერი ახია! როგორც გსურდეთ ისე დამსაჯეთ, მხოლოდ შვილი, ჩემი შვილი შეიბრალეთ, მას ალექსანდრესთან არაფერი აქვს საერთო. გეფიცებით თუ ვსეთი კაცის ცოლს დაეჯერება, დამიჯერეთ– არ ვიცოდი,ეჭვიც არ შემპარვია ვახტანგში, არ მეგონა, თუ ქმარი ასე გამწირავდა და ყოველმხრივ გამაუბედურებდა.

- დამშვიდდით, დევიძე, ჩვენ გვჯერა, შეცდომაში შეგიყვანეს, ბოროტად გამოიყენეს თქვენი ნდობა,სტუმართმოყვარეობა, მაგრამ ფაქტია, რომ მკვლელები თქვენს სახლში არიან შემოხიზნული და...
- ვიცი, უფროსო,უკვე დავრრწმუნდი, როგორც გინდათ ისე დამიჯერეთ, ყველაფერზე თანახმა ვარ,- ცხარედ, თავისთავზე გაბოროტებით შეაწყვეტინა დევიძემ
- ხოლო რომ დაგვეხმაროთ, ამის თანახმა არა ხართ?- რბილად შეეკითხა ხომერიკი.
იმ წამს მეხი რომ გავარდნილიყო, ალბათ ისიც არ გააკვირვებდა დევიძეს პროკურორის ნათქვამზე მეტად.
ქალი თითქოს დამუნჯდა, იჭვნეულად მიაჩერდა ხომერიკს, შემდეგ მომღიმარ მინდელზე გადაიტანა მზერა.
- რას იტყვით?- ღიმილით შეეკითხა ბალანჩივაძე.
- მე...მე დაგეხმაროთ?- ამოილუღლუღა ბოლოს.
- სწორედ თქვენ!- დაუდასტურა პროკურორმა.
- მეხუმრებით?
- არა, სავსებით სერიოზულად მოგმართავთ.
- მერე, ისა... მენდობით?- ჩაილაპარაკა დევიძემ.
- რა თქმა უნდა. ქმრის საქციელზე არავინ გთხოვთ პასუხს, მაგრამ თქვენ ხომ საბჭოთა ადამიანი ხართ, რატომ არ უნდა გენდოთ?
დევიძე წამით დუმდა, შემდეგ მის თვალებში სიხარულმა იელვა, მტკიცედ წამოდგა სავარძლიდან.
- ბატონო უფროსო, მიბრძანეთ, რა უნდა გავაკეთო, მე თუმცა ერთი სუსტი, ცხოვრებისგან გათელილი ქალი ვარ, მაგრამ მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ, შევძლებ რაც უნდა დამავალოთ. ოღლნდ ეს ლაქა მომაშორეთ და კიდეც რომ მოვკვდე, არაფრად ჩავაგდებ.
- კეთილი,- გაიღიმა ხომერიკმა,- დაგვეხმარებით, საშიში კი არაფერია.თქვენგან ძალიან ცოტა რამ გვჭირდება, დანარჩენს ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ, ახლა კი საავადმყოფოში წადით, არავისთან დაგცდეთ, სად იყავით, თავის დროზე მოგაკითხავთ,- დაამთავრა მან და შემოსულ სერჟანტს უბრძანა დევიძე გაეცილებინა.
დევიძე სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა. კარებთან მისული უკანვე მობრუნდა, საწერ მაგიდას მიუახლოვდა,დიდხანს უცქირა სამთავეს ბედნიერი ადამიანის სიხარულის გამომხატველი ცრემლიანი თვალებით,შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა.
- საბრალო ქალი!- ამოილაპარაკა პოლკოვნიკმა.
- როგორ გითხრა!- დასძინა მინდელმა.
- დევიძე უდავოდ პატიოსანი ქალია, ასეთები შეიძლება შეეცადინონ ბოროტმოქმედებმა, მაგრამ გადაბირებას კი ვერ მოახერხებენ. ამაშია ჩვენი ძალა, ნატალია, ეს სუსტი ქალი, მალე დაუმტკიცებს თავის სტუმრებს, რა შეუძლია პატიოსან ადამიანს. მეგობრებო,- განაგრძო ხომერიკმა მხიარულად, – ამ დღეების

დაძაბული შრომა და უძილო ღამეები მთავრდება. ხვალ, უკიდურეს შემთხვევაში ზეგ საღამოს, ბანდის ლიკვიდაციას მოვახდენთ. ახლა კი წავიდეთ, ძიძიგურს მივაკითხოთ. შენ ხომ მაინც არ გინახავს, ლევან...
- მართლა, არც კი გკითხეთ, რა ამბავი ჩამოიტანა?
- ახალი არაფერი, როგორც ჩანს, ჭაღარას ბანდა პირდაპირ ჩვენ გვესტუმრა, თბილისში სიწყნარეა.
- საინტერესოა ძიძიგური სასტუმროშია?
- არა, აქ არის სამძებროში,- ბალანჩივაძემ გაიცინა, – ალბათ ტყავს აძრობს ქვეგანყოფილების უფროსს წავედით?
- წავიდეთ, მასთან ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო,- წარმოთქვა მინდელმა და საქაღალდე აიღო.
კაბინეტში სინათლე ჩაქრა.

თავი VII

ოპერატიული თათბირი დასასრულს უახლოვდებოდა.გეგმა, რომელიც ხომერიკმა, ბალანჩივაძემ და მინდელმა შეიმუშავეს, მიღებულ იქნა, ახლა მხოლოდ დეტალებს აზუსტებდნენ.
სპეციალურად შექმნილ, ორი დამოუკიდებელი ოპერატიული ჯგუფის თითოეულ წევრს დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი მიეცა.თითოეულმა ზუსტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, ვისთან ქონდა კავშირი.გათვალისწინებული იქნა ყველა წვრილმანი.
ოპერმუშაკები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ბალანჩივაძეს, რომელიც უკანასკნელ მითითებას აძლევდა ოპერაციაში მონაწილეებს.
- წყალტუბოს ჯგუფს ამხანაგი ძიძიგური ხელმძღვანელობს, ქუთაისისას კი ბურდული.. ბანდიტები, თუმცა შეიარაღებული და თავზეხელაღებული არამზადებია აუცილებლად ცოცხალი უნდა შევიპყროთ, იარაღი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ. საქმეს ართულებს ის მდგომარეობა, რომ ხოტოველის თვალთვალმა საჭირო შედეგი ვერ გამოიღო. ჩვენთვის ცნობილია, რომ მან სასტუმროს 407 ნომერში ინახულა ბასკაკოვა, იგივე ტანია და ფული გადასცა. მაგრამ სხვას არავის შეხვედრია, და საერთოდ,არც რაიმე საეჭვო საუბარი ჰქონია. ქავჟარაძე კვლავ დუმს და მტკიცედ ადგია მანქანის უცნობზე განათხოვრების ვერსიას.ჩიკვაიძის მკვლელობაც ჯერჯერობით ბურუსით არის მოცული. დანა, რომელიც მკვლელმა ჩიკვაიძის მკერდში ჩატოვა, მთელი რიგი მოწმეების ჩვენებით მოკლულს ეკუთვნოდა. იგივე დაადასტურა ანზორის დედამ და დეიდამ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩიკვაიძის მკვლელობა ტყეშელაიძის მკვლელობის გაგრძელებაა. ამიტომ ბანდიტების ცოცხლად შეპყრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხოტოველი დღეს საღამოს 9 საათზე კიდევ უნდა შეხვდეს ბასკაკოვას, გამორიცხული არ არის, რომ 407 ნომერში სხვებიც იქნებიან. სწორედ ამ მიზეზის

გამო წყალტუბოს ოპერატიული ჯგუფის გეგმა შედარებით ზოგადია და ამხანაგ კძიძიგურის ჯგუფსაც გაცილებით რთულ პირობებში მოუხდება ოპერაციის ჩატარება.- პოლკოვნიკი ცოტა ხნით შეჩერდა, ოპერმუშაკებს თვალი მოავლო და მოკლედ მოჰკვეთა:- გახსოვდეთ, ერთი ბანდიტის გაქცევაც კი ოპერაციის ჩაშლად იქნება მიჩნეული. დაუდევრობას კი არავის ვაპატიებთ, სასტიკად დავსჯით. ოფიცრები ჩუმად ისხდნენ, ზოგი მათგანი თავისთვის რაღაც შენიშვნებს იწერდა.
- შეიძლება?- დაარღვია დუმილი პოდპოლკოვნიკმა ძიძიგურმა.
- გთხოვთ, ამხანაგო სერგო,- მიუგო ბალანჩივაძემ,
- ამხანაგებო, ოპერაცია მეტად სერიოზულია, ქუთაისის სინამდვილეში ჩვენს მუშაკებს ჯერ არ ჰქონიათ შემთხვევა ასეთი საშიში ჯგუფის ლიკვიდაციისა. უეჭველია, ჭაღარას ბანდა ქურდ–რეციდივისტებისაგან შესდგება. მართალია, ჩვენთან არსებული ცნობებით 407 ნომერი ბასკაკოვას აქვს დაკავებული, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ეს ჭაღარას ეგრეთწოდებული “იავკაა”, შესახვედრი პუნქტია, სავსებით შესაძლებელია დღეს სწორედ ამ ნომერში შევხვდეთ ჭაღარას. ყველა ბანდიტის შეპყრობა ერთნაირად შნიშვნელოვანია, მაგრამ ჭაღარა მათი ბელადია, ხელმძღვანელია, მის შესაპყრობად განსაკუთრებული ოპერატიულობაა საჭირო, ერთი უბრალო შეცდომა და გათავდა, ეს საშიში დამნაშავე ხელიდან წაგვივა. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჭაღარა უფრო წყალტუბოში ბინადრობს, ვიდრე დევიძის ბინაში. ჩვენს ჯგუფს ის სიძნელეც ახლავს, რომ განსხვავებით ქუთაისის ჯგუფისა. ოპერაციის ჩატარებაში დამხმარე არა ჰყავს, გეგმაც გაცილებით ზოგადია, ამიტომ დიდი დაკვირვება და სიდინჯე გვმართებს. ამხანაგი მინდელიც ჩვენთან მოდის, ის ცალკე გაგაცნობთ ზოგიერთ მოსაზრებებს.- დაამთავრა ძიძიგურმა.
ბალანჩივაძემ საათს დახედა.
- თქვენს განკარგულებაში 1 საათი 20 წუთია,ამით დავამთავროთ თათბირი და ოპერაციისათვის მოვემზადოთ.
ოფიცრები უხმაუროდ წამოიშალნენ.
კაბინეტში ბალანჩივაძე, ხომერიკი, მინდელი და ძიძიგური დარჩნენ.
- სწორედ დროზე ჩამოხვედით, ამხანაგო სერგო. თუმცა სანუგეშო ვერაფერი ჩამოგვიტანეთ, მაგრამ ოპერაციას ჩამოუსწარით და ესეც ცოტა როდია, მით უმეტეს, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ჭაღარას პირადად გაეცნობით და ცნობებსაც მისი პიროვნების შესახებ უშუალოდ მისგან მიიღებთ.
- გამოგიტყდებით, პოლკოვნიკო, რომ ჭაღარას პიროვნებამ და ამ ორმა უცნაურმა მკვლელობამ ყველანი ძალზე დაგვაინტერესა სამმართველოში. საკვირველი ის არის, რომ ჭაღარას ნიშნები სრულიად არ უდგება ჩვენთან რეგისტრირებულ ქურდ–რეციდივისტებს. ასეთები ხომ ახლა თითზე ჩამოსათვლელებიღა დარჩნენ. ზოგი გამოსწორდა, შრომას დაუბრუნდა, მცირე ნაწილი კი საიმედოდ არის იზოლირებული. მინისტრმ მიბრძანა სპეციალური მოხსენებითი ბარათი წარუდგინო ამ საკითხზე. და იცით, რა ნგითხრათ? ლამის ვიფიქრო, რომ ეგ თქვენი ჭაღარა ქართველიც არ არის.

- ამაში კი ცდებით,ჩაერია ხომერიკი,- ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით ჭაღარა უსთუოდ ქართველია. ექიმ გრძელიძეს არაერთხელ ვესაუბრეთ ჭაღარას ეროვნების შესახებ, დაწვრილებით გამოვკითხეთ ყოველივე, ის კი კატეგორიულად ამტკიცებს ასეთი სუფთა ჯუაქცენტო ქართულით არც ერთ სხვა ერის შვილს, თუნდაც საქართველოში გაზრდილს არ შეუძლია ლაპარაკიო, გარეგნულ ნიშნებზეხომ ლაპარკიც ზედმეტია.
- ერთი სიტყვით, ქართველია თუ არაქართველი, უდავოა მას საქართველოში არ "უმოღვაწნია" თორემ რაღაც მაინც გვეცოდინებოდა მასზე,- უპასუხა ძიძიგურმა.
- მისი "მოღვაწეობა" უკვე ორ სიცოცხლედ დაგვიჯდა,- მოწყენით ჩაურთო მინდელმა– ჩემი გონებიდან ჯერ კიდევ არ გამოსულა ჩიკვაიძის დედის მწუხარებისაგან თითქმის შეშლილი სახე. ღმერთმა ნუ ქნას, ჭაღარა ხელიდან წაგვივიდეს, თორემ ეს მისი უკანასკნელი ავკაცობა როდი იქნება.
- და შენც "ასოციაციავ",ამიტომ გადავწყვიტე უშუალო მონაწილეობა მიიღო ასეთ საშიში ბანდიტის შეპყრობაში?- გაეხუმრა ძიძიგური.
- არა,- სერიოზულად უპასუხა მინდელმა,- შეიძლება შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ ჩემი თქვენთან ყოფნა მეტად სასარგებლო აღმოჩნდეს, ბანდიტების უშუალო შეპყრობაში მონაწილეობის მიღება რომ მაინტერესებდეს, მაშინ ბურდულის ჯგუფს გავყვებოდი.
კაბინეტში ახალგაზრდა კაპიტანი შემოვიდა.- ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ოპერატიული ჯგუფი მზად არის გასამგზავრებლად,- უპატაკა ძიძიგურს.
- ახლავე, გრიშა,ახლავე,- უპასუხა პოდპოლკოვნიკმა.
- აბა, წავიდეთ, "ასოციაციავ",- მიმართა ღიმილით მინდელს და მხარზე გადახვია ხელი.
ხომერიკი და ბალანჩივაძე წამოდგნენ, კარებამდე მიაცილეს ორთავენი. ოთახიდან პირველი მინდელი გავიდა. პრლკოვნიკმა წამით შეაყოვნა ძიძიგური.
- სერგო–ჩაულაპარაკა ჩუმად,- მინდელს გაუფრთხილდით,ის ასეთ ოპერაციაზე პირველად მიდის.
- ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერი რიგზე იქნება,- მიუგო ძიძიგურმა და სწრაფად გაიხურა კარი.

§ § § § §

ღამის 9 საათია, ყინავს.
ჩრდილოეთის სუსხიანი ქარი გაზონებიდან ახვეტილ თოვლს ნემსებივით აყრის სახეში შეგვიანებულ მგზავრებს.
საამო, ზაფხულობით მწვანედ შემოსილი კოპწია კურორტი–წყალტუბო, ახლა თეთრ სამოსელშია ჩაფლული.
სამხრეთისათვის უჩვეულო სიცივეს დამსვენებლებთან ერთად ადგილობრივი მკვიდრნიც დაეშინებია. დაცარიელებულ ქუჩებში მხოლოდ ქარი დაეხეტება და უილაჯო ბრაზით აწყდება თეთრად გადაპენტილ ხეებს. სხვა დროს, შედარებით თბილ ზამთარში,გვიან ღამემდე არ წყდება ქუჩაში ხალხის სიარული, ღამის 10–

11 საათამდე პატარა პარკი დამსვენებლებითაა სავსე. ამ ზამთარს კი პარკიც სუსხმა დასძლია; აქა–იქ გაბნეულ გრძელ მერხებსაც თოვლის საბურველი ფარავს. სანატორიუმთა ლამაზი თეთრი შენობები ჰარმონიულად შერწყმია სპეტაკ თოვლს, მრავალსართულიან კორპუსთა ფანჯრებიდან თოვლზე დაღვრილი ელექტროშუქი თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს.
სანატორიუმებიდან გამოირჩევა სასტუმროს მრავალსართულიანი შენობა. თოვლისაგან სულ მთლად გაწმენდილი მისი პატარა მოედანი გაჩახჩახებულია; მოედნის ირგვლივ მარად მწვანე გაზონებზე ალმასებად ბრწყინავენ აქა–იქ შერჩენილი ფიფქები.
სატუმროს მთავარი შესასვლელი ხშირად იღება, ზოგი გამოდის,ზოგი შედის.
9 საათი და 15 წუთია.
სასტუმროსთან ტაქსი გაჩერდა.
წინა მარჯვენა კარიდან მაღალი, პალტოში შეფუთვნილი კეპიანი მამაკაცი გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯით აირბინა კიბის საფეხურები.
უცნობს არ აეთავებინა კიბე, რომ მეორე მანქანაც მოვიდა. იქიდან ორი გადმოვიდა. რუხპალტოიანი სასტუმროში შევიდა. შავ პალტოში ჩაცმული შესასვლელთან შეჩერდა, მარჯვენა ხელზე თათმანი გაიხადა და აუჩქარებლად გააბოლა პაპიროსი.
სასტუმროს მთავარ ადმინისტრატორის სარკმელთან რიგი დგას.ახალგაზრდა ადმინისტრატორი მარჯვედ მუშაობს. მომსვლელ–წამსვლელს აფორმებს, თან შეუწყვეტლივ მოწკარუნე ტელეფონს პასუხობს და ყოველ წუთში ავტომატივით იმეორებს:
- ადგილები არ არის, мест нет! ადგილები არ არის! Нет мест!
წამსვლელთ ახლად მოსულნი ჭარბობდნენ, მიუხედავად ადმინისტრატორის უარისა, სარკმელს არ შორდებიან. ნაწილს სავარძელში მოუკალათებია,სხვადასხვა ზომის ჩემოდნებით გარსშემოჯარულნი მოთმინებით ელიან ადმინისტრატორის წყალობას...
კეპიანმა სწრაფად აუარა გვერდი სარკმელთან შექუჩულ ხალხს და მეორე სართულის კიბეებს შეუყვა.
რუხპალტოიანი დინჯი ნაბიჯით ჩაუდგა კვალში. მეორე სართულზე ოდნავ შეისვენა, პაპიროსი ამოიღო და ასანთი გაჰკრა. ვიღაც კოსტუმიანი ახალგაზრდა მიეახლა, თავაზიანად სთხოვა ცეცხლი, პალტოიანმა ანთებული წკირი გაუწოდა, ოდნავ დაუქნია თავი; ახალგაზრდამ მადლობა გადაუხადა და თითქმის სირბილით შეჰყვა მესამე სართულის კიბეებს.
რუხპალტოიანი ცოტა ხანს იდგა,შემდეგ აუჩქარებლად მობრუნდა, და ისევ ვესტიბიულში ჩამოვარდა. პალტო და ქუდი გარდერობს ჩააბარა, თმა გადაივარცხნა და უზრუნველი კაცის იერით სავარძელში მოიკალათა.
ოციოდე წუთის შემდეგ ვესტიბიულში ისევ გამოჩნდა კეპიანი დაჩქარი ნაბიჯით მიაშურა კარებს, გარეთ გასულმა მიმოიხედა–შესასვლელთან არავინ ჩანდა, ვიღაც ხანშესული მანდილოსანი ნელა, სვენებ–სვენებით ამოდიოდა კიბეზე.

კეპიანს აღარ დაუხანებია, მარდად ჩაირბინა საფეხურები მომლოდინე მანქანის წინა კარები გააღო და სწრაფად ჩაჯდა. მანქანამ მარცხნივ ჩაუხვია და თვალს მიეფარა.
იმავე წამს კარებში კოსტუმიანმა ახალგაზრდამ გამოიხედა,შავპალტოიანი აღარსად იყო. ახალგაზრდამ გაიღიმა, სასტუმროში შებრუნდა და დირექტორის კაბინეტს მიაშურა, შესვლისთანავე კარები მჭიდროდ მიხურა.
- ამბავი?- შეეკითხა კაბინეტში მყოფ სამთაგან ერთი.
- ყველაფერი რიგზე, ხოტოველი აიყვანეს,- მიუგო მან და ფართოდ გაიღიმა,ბროლივით კბილები გამოაჩინა.
- კეთილი,მთავარი წინ გვიძევს, 407 ჯერ თავისუფალია, ბასკაკოვა ნომერში ზის ალბათ, სტუმრებს ელოდება... მაშ ასე, არ აგერიოთ, თუ ტანიას სტუმრები ეწვევა, პირველი მე შევდივარ როგორც სართულის მორიგე, ჯუღელი კარებთან დგება, დანარჩენები კი იქვე ოთახის შესასვლელთან, გასაგებია?
- გასაგებია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო,- ყველას მაგივრად უპასუხა ჯუღელმა.
- ამხანაგო ნოდარ, მე ეხლა თქვენთვის სერგო ძიძიგური ვარ და არა პოდპოლკოვნიკი,- მკაცრად შეესიტყვა, ის, ვისაც პოდპოლკოვნიკი უწოდეს.
- ბოდიშს ვიხდი, მაგრამ აქ ხომ ჩვენს მეტი არავინ არის.- წაიბურტყუნა ჯუღელმა დარცხვენით.
- ეს არაფერს ნიშნავს, მარტო ვარ თუ არა,- მიუგო ძიძიგურმა უფრო რბილად.
კაბინეტის კარები უეცრად გაიღო. სამოქალაქოტანსაცმელში ჩაცმული ქერა, ჩაფსკვნილ ახალგაზრდა თითქმის სირბილით შემოვარდა.
- რა მოხდა ? – ფეხზე წამოიჭრა ძიძიგური.
- ბასკაკოვა სადღაც მიდის, ნომერი დაჰკეტა, გასაღები სართულის მორიგეს ჩააბარა.
ყველანი წამოიშალნენ.
- მშვიდად!- ძიძიგური შემოსულებს მიუბრუნდა:- ბასკაკოვამ პალტო ჩაიცვა?
- არ ვიცი, მას ბადრიძე და სურგულაძე გაჰყვენენ.
- კარგი თქვენ აქ დარჩებით, ჩემთან ჯუღელი წამოვა. ძიძიგური ნელა გაემართა კარებისაკენ, მაგრამ გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა, კარები სურგულაძემ შემოაღო.
- ამხანაგო სერგო, ბასკაკოვა რესტორანში შევიდა...
- მარტო?
- დიახ მარტო, მაგრამ იქ ვიღაც წარმოსადეგი მამაკაცი დახვდა, მათ შესასვლელთან მარჯვნივ პირველი რიგის მესამე მაგიდა უკიათ, ბადრიძე რესტორანშტა.
- ძალიან კარგია, ჩვენც წავედით, შემუშავებული გეგმა ჯერჯერობით ძალაში რჩება, წავიდეთ ლევან– ძიძიგური პირველი გავიდა კაბინეტიდან.
რესტორანი ხალხით იყო გაჭედილი. ოპერატიული მუშაკები ერთმანეთისაგან მოშორებით დასხდნენ. ძიძიგური და მინდელი ბადრიძის მაგიდასთან მოთავსდნენ და რესტორანი მოათვალიერეს.

- მარჯვნივ, პირველ რიგში, მესამე მაგიდა იმ უცნობ მამაკაცს ჰქონდა დაკავებული, შემოვიდა თუ არა, ბასკაკოვამ პირდაპორ იქ მიაშურა. ჩანს ელოდებოდნენ,- ჩუმად თვალაუღებლივ ჩაილაპარაკა გაზეთის კითხვით გართულმა ბადრიძემ.
პოდპოლკოვნიკმა ოდნავ დაუქნია თავი.
ბასკაკოვასკენ ზურგით მჯდომი მინდელი მოპირდაპირე კედელში ჩასმულ ვეებერთელა სარკეში ინტერესით ათვალიერებდა ქალ–ვაჟს.
ბასკაკოვა 30–28 წლისა იქნებოდა, თეთრ ყირმიზ სახეს დიდრონი ცისფერი თვალები და წვრილი, შავი წარბები უმშვენებდა. ჯიშიან კისერს გველივით შემოხვეოდა შავი მძივების სამმაგი რკალი. მოვლილი ხელების ნაზ თითებზე ბეჭდები უბრწყინავდა. უკანასკნელ მოდაზე გაკრეჭილი ქერა თმის კულულები ოქროს ბულულივით ჩამოღვროდა შუბლზე. ხანგამოშვებით პეპელას ფთებივით აფარხულებდა გრძელ ხშირ წამწამებს და ისე შესცქეროდა თავის თანმხლებ ვაჟს, თითქოს ამოდენა ვაჟკაცის თვალით ჩაყლაპვას აპირებდა.
მამაკაცი 36–37 წლისა იქნებოდპ მაღალსა და წარმოსადეგს შავი, საფეთქლებთან შევერცხლილი ხუჭუჭა თმები უხვ კულულებად ეყარა ფართო შუბლზე, დიდრონ, მუქ წაბლისფერ თვალებს რკალივით მოხრილი, ერთმანეთზე ოდნავ გადამბული შავი წარბები უმშვენებდა. მოკლედ შეკრეჭილი წაბლისფერი ულვაშები ლაზათს მატებდა მის ვაჟკაცურ, ოდნავ მოგრძო სახეს. მხრებგანიერი და ბეჭბრტყელი ლაღად იჯდა, ქალს ალერსიანი ღიმილით შეჰყურებდა და წყნარი ხმით ესაუბრებოდა.
ორკესტრი ნაზ მელოდიას ასრულებდა.კუთხის მაგიდასთან ახალგაზრდებს მოეკალათებინათ, უკვე საკმაოდ შეზარხოშებულნი ხმამაღლა იცინოდნენ და გამუდმებით აბოლებდნენ თამბაქოს. ოფიციანტები მარდად ტრიალებდნენ მაგიდებს შორის,დაუღალავად ემსახურებოდნენ კლიენტნბს.
მაგიდას დაბალი, მელოტი ოფიციანტი მიუახლოვდა, სქელ მუყაოს ყდაში ჩასმული მენიუ თავაზიანად გაუწოდა ძიძიგურს და ფანქარმომარჯვებულმა ყუადღებით, დაიწყო ლოდინი.
ძიძიგურმა ლუდი და მსუბუქი ვახშამი დაუკვეთა.
მინდელი კვლავ სარკეს მისჩერებოდა, დაჟინებით დაჟინებით სინჯავდა იშვიათი წყვილის ორეულს, ბადრიძე გაზეთს ჩასცქეროდა თავაუღებლივ, ხოლო ძიძიგური რესტორნის მუდმივი სტუმრის უზრუნველი იერით ათვალიერებდა დარბაზში მყოფთ. მინდელმა საათს დახედა. შემდეგ ისევ სარკეზე გადაიტანა მზერა.
- ბასკაკოვას კავალერი ნახევარი საათის მოსული მაინც უნდა იყოს,- ჩაულაპარაკა ძიძიგურს და სარკეზე ანიშნა სადაც ბროლის გრაფინში კონიაკის ნარჩენი, ხოლო სუფთა თეფშზე ნაჩუქურთმევი ბროლის მაღალფეხიანი ჭიქა ჩანდა.
ძიძიგურმა თავი დაუქნია.
უცნობი წყვილის მაგიდას ოფიციანტი მიეახლა, მარჯვედ შემოახვია ქათქათა ხელსახოცი შამპანიურის ბოთლს და ჩვეული მოძრაობით აართვა საცობი.

გაისმა სუსტი ჭახანი. ყოჩაღმა ოფიციანტმა ოდნავ დახარა გახსნილი ბოთლი და ბოლოს ჭიქებში იჩქეფა ოქროსფერმა შუშხუნა ღვინომ.
ძიძიგურმა ლუდი მოსვა, ბოთლი მინდელის ჭიქაში ჩააპირქვავა.
ხომ არ ვცდებით?- ჩაილაპარაკა მან.- არა მგონია, რესტორანისდაკეტვამდე ჯერ ბევრი დროა, ველოდოთ.
ლამაზი წყვილი მშვიდად შეექცეოდა ვახშამს.
ოფიციანტმა ბროლის ვაზით ყურძენი, ვაშლი და ფორთოხალი მიართვა.
მამაკაცმა ღიმილით ფორთოხალი აიღო, რაღაც უთხრა ქალს, შემდეგ დანას წაეტანა, ფცქვნა დაიწყო.
ტანიამ ღიმილით შეანათა დიდრონი ცისფერი თვალები.
მინდელი მზერად გადაიქცა. მამკაცს მარცხენა ხელის არათითზე მსხვილი ოქროს რგოლი უკიაფობდა.ელეგანტური მოძრაობით ნელ–ნელა გაფცქვნა ძვირფასი ხილი და ლებნებად დახლიჩა, ქალს მიაწოდა.
უეცრად მინდელი წამოდგა.
- გავიდეთ, ბადრიძე დარჩეს!- ჩაულაპარაკა გაკვირვებულ ძიძიგურს და გასასვლელისაკენ დაიძრა.
ვიდრე კარებამდე მივიდოდნენ, მინდელმა ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ასანთი მოძებნა. შეჩერდა, მიმოიხედა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა ბასკაკოვას მაგიდისაკენ. ძიძიგური არ შეჩერებულა. უკან მიუხედავად გავიდა რესტორნიდან.
გამომძიებელი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიეახლა ტანიასთან მყოფ კაცს.
- ბოდიშს ვიხდი, თუ შეიძლება მომაკიდებინეთ,- მიმართა ქართულად და მოიხარა.
- что вы сказали?
- прошу прашения, позвольте прикурить.
- пожалуйста, извольте,- უპასუხა უცნობმა ღიმილით და ნაჩუქურთმევი სანთია გააჩხაკუნა. სუსტად იფეთქა ცისფერმა ალმა.
მინდელმა პაპიროსს მოუკიდა, თავაზიანად გადაუხადა მადლობა და აუჩქარებლად გაბრუნდა.
ვესტიბიულში გაკვირვებული ძიძიგური დახვდა.
- შენ რა მისი სახის ნახვა გაინტერესებდა,- შეეკითხა მოუთმენლად
- არა,გაიღიმა მინდელმა.- მხოლოდ ხელების.
- ხელების?- უფრო განცვიფრდა ძიძიგური.
- ჰო ხელების, მაგრამ ამაზე შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა, მე მგონი არც 407–ში, არც რესტორანში მეტი არავინ მოვა ტანიასთან. ახლა სწრაფი მოქმედებაა საჭირო. ბასკაკოვა და მისი კავალერი უნდა დავაკავოთ, მაგრამ ისე რომ, ისინი ვერაფერს მიხვდნენ და დრომდე დაზარალებულად მიაჩნდეთ თავი.
ძიძიგურმა გაკვირვებით შეხედა.
- არაფერი მესმის...ჩვენ ჭაღარას ვეძებთ, ეგ კი...წვერს არ ატარებს.
მინდელმა გაუღიმა.

- თქვენ ყველა დეტალი არ იცით, სერგო,წვერი კი წვერის მოშორება ძნელი არ არის. ჭაღარა წვერის მოპარსვასაც შეძლებს თუ საჭიროა.
- მოპარსვას?!
- ჰო მოპარსვასაც.
- ვერაფერი გავიგე, მაინც რას აპრებ?
- ახლავე ყველაფერს აგიხსნით, წავიდეთ.
მინდელმა მკლავში ხელი გაუყარა ძიძიგურს და ორივენი დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართნენ...
...ათიოდე წუთის შეემდეგ რესტორანში ლეიტენანტი ჯუღელი შემოვიდა,ცალკე მჯდომ ბადრიძეს გვერდიაუარა და ოპერატიული ჯგუფის მაგიდას მიუჯდა.
სულ მალე მაგიდაზე კონიაკები და ახალი ხილი გაჩნდა.
მეინახეებმა ხმას აუწიეს, ხმამაღალი სიცილი და ოხუნჯობა დაიწყეს.
- აქ მოდი!- დაუძახა "შემთვრალმა" ჯუღელმა ოფიციანტს.
ოფიციანტმა სწრაფად მოირბინა.
- რას გვიბრძანებთ ?
ეს 50 მანეთიანი ორკესტრს მიეცი ჩარლსტონი დაუკრან.
- ახლავე ბატონო.
ოფიციანტი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა შემაღლებულ ესტრადას,ახალგაზრდა ოკორიონისტს ფული გაუწოდა და ჯუღელზე ანიშნა.
აკორდიონისტმა გაიღიმა, დამკვრელებს გადახედა და...
დარბაზი სმენის წამღებმა საცეკვაო მუსიკამ გაავსო. წყვილები საცეკვაოდ გაიჭრნენ.
ჯუღელი წამოდგა, დაბარბაცდა, მაგრამ დროზე მოეჭიდა მაგიდას. გვერდზე მჯდომმა ამხანაგმაც შეაშველა ხელი...
- არფერია,пустое,- იყვირა მან, შემდეგ მაგიდას მოშორდა და მთვრალი კაცის დამახასიეთებელი არეული ნაბიჯით ბასკაკოვას მიეჭრა.
მამაკაცს ზედაც არ შეხედა, ქალს მთვრალი კაცის ღიმილით გაუღიმა.
- красавица, рррразрешите пригласить вас натанец .- ამოიხრიალა მან და თავხედურად წაავლო ხელი ნახევრად შიშველ მკლავზე.
ბასკაკოვა შეკრთა და შეშინებული შველის თვალები კავალერ მიაპყრო.
მთვრალის უხეშმა მოქმედებამ წამით წაართვა მეტყველების უნარი.
მამაკაცს რისხვით აენთო თვალები,სკამიდან შეკუმშული ზამბარასავით წამოხტა.
მთვრალი ერთი ხელის მოქნევით მოაწორა ქალს, შემდეგ მკაცრად შეხედა თვალებში.
- убирайтесь вон, болван! – გამოსცრა კბილებში ბრაზიანად და ისე ჰკრა ხელი,ჯუღელი შურდულიდან გასროლილი ქვასავით მიაწყდა მოპირდაპირე მაგიდას.
იმავე წამს მის ხელში ბოთლმა გაიელვა, მაგრამ უცნობი ჩანდა ელოდა ამას და ვიდრე მთვრალი ხელს მოიქნევდა, მაჯაში წვდა, მარწუხივით მოუჭირა, ბოთლი ხელიდან გააგდებინა და მეორე ხელით ღონიერად დაჰკრა.

“მთვრალმა” სახეში დამიზნებული მუშტი აირიდა, ბეჭი მიუშვირა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო თავი ვერ შეიკავა და წაიქცა.
ატყდა ერთი აურზაური.ახლა დარბაზში ქალების კივილი და მამაკაცთა ღრიანცელი ისმოდა მხოლოდ.
გალახულის ამხანაგები უცნობ მამაკაცზე მიიწევდნენ, მაგრად გასაშველებლად ჩამდგარნი არ უშვებდნენ, აკავებდნენ, ყველაზე მეტს ბადრიძე ცდილობდა.
უცნობი მამაკაცი კი იდგა, ქორული მზერა წაქცეულისათვის მიეპყრო და მშვიდად ელოდა ახალ შემოტევას.
ყვირილსა და ჩხუბში არავის გაუგონია როდის გაჩნდნენ დარბაზში მილიციის მუშაკები. ისინი პირველ რიგში მთვრალს მივარდნენ, რომელსაც წამოდგომა მოეხერხებინა და ისევ ჩხუბს აპირებდა.
- დაწყნარდით, მოქალაქევ,შეწყვიტეთ ხულიგნობა!- შესძახეს მკაცრად და ვიდრე “მთვრალი” გონს მოვიდოდა ორთავე ხელი გაუკავეს.
- დააპატიმრეთ ეგ ხულიგანი!
- შეიპყარით მხეცი!
- под суд его! под суд!
აყვირდა ხალხი.
- წყნარად, ამხანაგებო,გაგვაგებინეთ, რა მოხდა?- შესძახა განყოფილების უფროსმა, მაიორმა ხარაბაძემ.
- აი, ამ მთვრალმა შეურაცხყოფა მიაყენა ამ მოქალაქეებს.- მიუგო ერთმა დარბაისელი შეხედულების მანდილოსანმა და ხელი ბასკაკოვასკენ გაიშვირა.
- ასეთი ხულიგნების გადამკიდე უშიშრად რესტორანშიც ვეღარ შემოსულა კაცი,- დაიწრიპინა ვიღაც უშნოდ აწოწილმა მელოტმა.
- ქალის ასეთ უდიერობას მხეციც კი არ იკადრებს!- ნადირი!
- უზრდელი!
მოისმა არეულად.
- ვინ არს დაზარალებული?- იკითხა ხარაბაძემ.
- აი, ეს ორი მოქალაქე,- ხელით ანიშნა ბადრიძემ.
ბასკაკოვა და უცნობი მამაკაცი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდნენ მაიორს.
ხარაბაძემ დაკვირვებით შეათვალიერა უნაკლოდ შეკერილ კოსტიუმში ჩამჯდარი ელეგანტური მამაკაცი და შეშინებული მომხიბვლელი ქალი.
- დაბრძანდით, აქტს გავაფორმებთ,- განუმარტა რუსულ ენაზე და ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო.
не надо никакого акта, я его прощаю, – წყნარად წარმოთქვა მამაკაცმა.- бог с ним, пусть уходит, – დაუდასტურა ქალმა.
- როგორ თუ წავიდეს, როგორ თუ აპატიებთ!
- პასუხი უნდა აგოს?
- უნდა დაისაჯოს!
გაისმა უკმაყოფილოდ.

- დამშვიდდით ამხანაგებო,ხულიგნებს არაფერს ვაპატიებთ, ახლავე მილიციაში მივაბრძანებთ. ხმაური საჭირო არ არის,- დააშოშმინა აღელვებული ხალხი ხარაბაძემ.
- მილიციაში მიმაბრძანებთ? აი, ამ მოპრანჭული მეტიჩარასათვის? გამიშვით მე მაგის...- გაიწია "მთვრალმა" და შეეცადა ხელიდან გასხლტომოდა მილიციელებს.
- წყნარად მოქალაქევ, გეყოფათ ხულიგნობა!- შეუტია მაიორმა.
- ეგეც წამოიყვანეთ,მთელმა ხალხმა დაინახა, რომ მცემა.
- მეტიც გეკუთვნოდა!
- შე ხულიგანო!
- გაუზრდელო!
- კმარა ამხანაგებო,- ხმას აუწია ხარაბაძემ. შემდეგ მილიციელებს მიუბრუნდა:- წაიყვანეთ, ჩვენც ახლავე მოვალთ.
მთვრალი ძალისძალად გაიყვანეს, თუმცა ილანძღებოდა და კვლავ უშედეგოდ ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა მილიციელებს.
წესრიგი აღდგენილი იქნა.
- ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ცოტა ხნით მილიციის განყოფილებაში უნდა წამობრძანდეთ, თქვენი ახსნა–განმარტებაა საჭირო,- მიმართა ხარაბაძემ ბასკაკოვას და მასთან მყოფ მამაკაცს.
- არ შეიძლება იმ ვალდებულებიდან გაგვაეთავისუფლოთ? გამოგიტყდებით, არავითარი სურვილი არა მაქვს ამ ყინვაში სიარულისა და ვახშამიც არ დაგვიმთავრებია.- უპასუხა მამაკაცმა.
- ძალიან ვწუხარ, მაგრამ ეს აუცილებელია. სულ რაღაც 30 წუთს წაგართმევთ, მანქანით წაგიყვანთ, აქტსაც გავაფორმებთ,- თავაზიანად განუმარტა მაიორმა.
- რა გაეწყობა, წავიდეთ!- უხალისოდ დათანხმდა მამაკაცი და ანგარიში მოითხოვა.
- მეც თქვენთან ერთად წამოვალ, სხვაზე უკეთ დავინახე როგორ მოგეჭრათ მთვრალი ხულიგანი,- ჩაერია ბადრიძე და უცნობ ქალ–ვაჟს თავი დაუკრა.
ხალხი ნელ–ნელა დაწყნარდა და ჩხუბის გამო დაცარიელებულ მაგიდებს დაუბრუნდა.
დაზარალებულნი და ბადრიძე ხარაბაძეს გაყვნენ.
ორკესტრმა სიმღერა "თბილისზე" დაუკრა. სულში ჩამწვდომი მელოდიები დაიღვარა დარბაზში და ჩხუბით გამოწვეული უსიამო ატმოსფერო გაიფანტა.

§ § § §

ღამის 12 საათია.
სძინავს ვეება თეთრ ზეწარში გახვეულ ქალაქს. მხოლოდ მხოლოდ აქა– იქ ციმციმებს შუქი სახლებში.
რა ხანია მიწყდა ქუჩებში ფეხის ხმა. კანტიკუნტად თუ გამოჩნდება ჩქარი ნაბიჯით მომავალი შეგვიანებული მგზავრი; იშვიათად თითო ოროლა მანქანა

თუ ჩაიქროლებს; მდუმარედ გარინდულან თეთრნაბადწამოსხმული გოლიათი ნაძვები,ფხიზლად დარაჯობენ მძინარე ქალაქს.
ზამთრისაგან დაბეჩავებული რაიონი ისე ჩუმად მიიპარება ხიდისქვეშ თითქოს რცხვენიაო, ჩვეული ზათქითა და გოროზობით რომ ვერ მიაგორებს წყულუხვ ტალღებს.
ნახევარი საათის წინ ლუდის ბარიც დაიკეტა და ახლა კარებთან ქურქში გახვეული დარაჯი მიკეცილა თოფით ხელში.
მეორე სართულზე ორი ფანჯარა განათებულია.
ბურდულის ჯგუფი ერთ საათზე მეტია,ამ ფანჯრებს შესცქერის,შეუმჩნეველია მათი სამალავი.
დგანან, იცდიან და დაჟინებით შესცქერიან ფანჯრებს.
უეცრად განაპირა ფანჯარას ჩრდილი დაეცა, ყინვისაგან შეჭირხლულ მინას თვალებდაჭყეტილი თოჯინა აეკრა. აეკრა და იქვე დარჩა.შუბლით ფანჯარას მიყრდნობილი სულელურად უღიმოდა ზამთრის სუსხიან ღამეს.
სიბნელეში მიმალული ლანდები ამოძრავდნენ. მყუდრო ეზოში სათითაოდ შეიკრიბა ხუთი კაცი.
ფრთხილად უხმაუროდ შეუყვნენ მეორე სართულის კიბეს. წინ ბურდული მიდის, სხვები ფეხდაფეხ მიჰყვებიან.
უკანასკნელ საფეხურზე შეჩერდნენ.
- ყველაფერი რიგზეა,- ჩაიჩურჩულა ნიავივით წყნარი ხმით ბურდულმა,- შესასვლელი კარი ღიაა.
რიგრიგობით სრულიად უხმაუროდ შელაგდნენ დერეფანში. მტკიცე ნაბიჯით პირდაპირ წავიდნენ, შემდეგ მარჯვნივ გაუხვიეს. ოთახში შესასვლელი კარებიც ღია დახვდათ. პირველი ბურდული შევიდა. მას სამნი შეყვნენ, მეოთხე გარეთ დარჩა,კედელს აეკრა. ღამის შუქზე ავად აელვარდა მტკიცე მარჯვენით დაბღუჯული რევოლვრის ლულა.
ოთახიდან ჩქამი არ ისმის. ნატალია დევიძე სიჩუმით შეხვდა მისულთ, ის მათ ელოდა.
შემოსულნი ოთახის სიღრმეში მიიმალნენ.
სიჩუმეს მხოლოდ ელექტროღუმელზე მოშიშინე ჩაიდანი არღვევდა. ბურდულმა ხელი აიქნია, რაღაც ანიშნა დევიძეს და მეორე ოთახში გამავალ დაკეტილ კარებს აეკრა.
დევიძე ნელა წამოდგა, დაკეტილ კარებზე ფრთხილად დააკაკუნა ორჯერ, შემდეგ ცოტა შეყოვნებით ერთხელ.
- ჩაი მზად არის.
- ახლავე!- მოისმა ოთახიდან.
ნატალიამ კარებზე დაგებულ ბოქლომს გასაღები მოარგო, გადაატრიალა და ბოქლომითურთ კარებს მოშორდა.
კარები ნელა გაიღო და კუთხეში კედელს აკრული ბურდული დაფარა.
ოთახში საშუალო ტანის მამაკაცი ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა, ნელა მიკეტა კარები. იმავე წამს საფეთქელში ცივი ლითონი მიებჯინა.

- ხმა, კრინტი,თორემ გაგათავე!- მოისმა ჩუმი, მაგრამ მუქარით სავსე მტკიცე ხმა.
მამაკაცმა ინსტიქტურად ჯიბისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ დახელოვნებულმა ბურდულმა,თავდაღმა დააგდო ტახტზე. შეპყრობილი გონს მოვიდა. გაიბრძოლა, თვალებში ველური შიში ჩაეღვარა და ვიდრე პირში ხელსახოცს ჩასტენიდნენ, იხელთა, სახე აარიდა და მხეცივით იბღავლა.
- გაგვყიდა ამ ძუკნამ, თავს უშველეთ!
ბურდულმა გამეტებით დაჰკრა თავში რევოლვერის ტარი მაგრამ უკვე გვიან იყო...
მეხივით იჭექა მეორე ოთახიდან რევოლვერმა და მიკეტილ კარებიდან გამოვარდნილი ტყვია ტახტიდან მოშორებით კედელში გაიჭედა. შემდეგ კიდევ ორჯერ დაიქუხა და ტახტის გვერდზე მდგარი ბუფეტის კარი შეანგრია.საწყალობლად დაიწკრიალა დამსხვრეულმა ბროლმა.
ოპერმუშაკებმა სროლით უპასუხეს.
ბურდულმა, ტახტზე უგონოდ მიგდებული ბანდიტი დაითრია, სწრაფად შეუყარა ხელბორკილი. იმავე წამს ჩრდილელი კარებს ეცა და ფეხისკვრით შელეწა.
ოპერმუშაკები ოთახში შეცვივდნენ.
დაგვნებდით სახლი გარშემორტყმულია!- იგრგვინა ჩრდილელმა და ვეფხვივით დაახტა საწოლზე მჯდომ სილუეტს.
გვერდითი ფანჯრიდან კიდევ ერთხელ იჭექა და რაფაზე მჯდომი ქუჩაში გადახტა.
ჩრდილელმა მარჯვენა გვერდში ძლიერი დარტყმა იგრძო, ელვამ დაჰკრა და ზამბარასავით დაჭიმული მკლავები, რომლითაც ტახტზე წაქცეული სილუეტი ეჭირა,დაუდუნდა; წამიც და გაცვეთილი მათრახებივით ჩამოუცვივდა.
ტახტზე წაქცეულმა მხეცური სიხარულით შეჰყვირა, ბალიშიდან ბებუთი გამოაძრო და ის იყო მკერდში უნდა ჩაეცა დაჭრილისათვის,რომ თავში საშინელი ძალით მოხვდა რაღაც და გონებადაკარგული ხურჯინივით გადაეკიდა საწოლს.
- ბორკილი დაადეთ!- დაიღრიალა ბურდულმა, შემდეგ ღია ფანჯარას ეცა და თავგამოდებით გადაეშვა.
რბილად დაეცა, წამსვე წამოხტა და თოვლში მოგორავეებს მიაშურა.
ერთ ბურთად შეკრული ლეიტენანტი კურცხალია და ფანჯრიდან გადამხტარი ბანდიტი სამკვდრო სასიცოცხლოდ ებრძოდნენ, თმებს აგლეჯდნენ, უწყალოდ ცემდნენ, თოვლით პირს უტენიდნენ ერთმანეთს.
ბურდულმა დრო შეარჩია და სწორედ იმ წამს, როდესაც ბანდიტი ზემოდან მოექცა ლეიტენანტს, რევოლვერი სიბრტყით დაჰკრა საფეთქელში და უგონოდ მიაგდო.
გახეთქილი თავიდან სისხლმა იჩქეფა, წითლად შეღება თოვლი.
ბურდულმა გონებადაკარგულ ბანდიტს ხელბორკილი დაადო.
- შეკარი!- უბრძანა უკვე ფეხზე წამომდგარ კურცხალიას, შემდეგ თოვლში ჩავარდნილი ბანდიტის რევოლვერს დასწვდა ჯიბეში ჩაიდო და კვლავ სახლში შებრუნდა.

...ჩრდილელი იმავე ტახტზე იწვა, სადაც ორიოდე წუთის წინ ბანდიტი ჰყავდა დაბღუჯული. თვალებდახუჭული მძიმედ სუნთქავდა, განიერი მკერი საბერველივით აუდ–ჩაუდიოდა. მიმზიდველი, მოგრძო სახე ზეწარივით გათეთრებოდა.საწოლზე სისხლის ტბა იდგა. ტახტთან დაჩოქილი დევიძე გულმოდგინედ უხვევდა ჭრილობას. ოთახში სისხლის, იოდის და თოფის წამლის ერთმანეთში არეული მძიმე სუნი იდგა.
გათოკილი, პირგამოტენილი ბანდიტები რუმბებივით ეყარნენ ოთახის კუთხეში, თვალებში პირუტყვული შიში ჩასახლებოდათ და უძლური ბრაზით შეჰყურებდნენ ოპერმუშაკების კუშტ სახეებს.
ოთახში ჩხრეკა წარმოებდა.
ბურდული დაჭრილისაკენ დაიხარა.
- როგორ ხარ შალვა, შემომხედე ბიჭო!- ჩასძახა მან და შუბლზე გადაუსვა ხელი.
დაჭრილს არ უპასუხებია, ისევ მძიმედ სუნთქავდა, სახეზე ცივი ოფლის მსხვილი წვეთები უხვად დაჰყროდა.
- სასწრაფო დახმარება, ჩქარა!- აღელდა ბურდული.
- უკვე მივიღეთ ზომები!- უპასუხა ვიღაცამ.
კურცხალიამ და კუხმანიძემ ქუჩაში შეპყრობილი ბანდიტი შემოიყვანეს, ბურდულმა ინტერესით შეათვალიერა: საშუალო ტანის, ტყვიასავით ჩასხმულს, შემოხეულ პერანგიდან ტატუირებული ბრინჯაოსფერი მკერდი მოუჩანდა. გახეთქილი თავიდან სისხლი სდიოდა. მთელი სახეც სისხლიც ჰქონდა მოსვრილი, ნიკელის სამაჯურებში ხელებჩაკეტილი, გალიაში მომწყვდეული ფოცხვერივით აბრიალებდა თვალებს და ბრაზიანად იგრიხებოდა.
დაჭრილი ჩრდილელს ზიზღნარევი მზერა შხამივით შეასხა,შემდეგ გათოკილებს გადახედა, მგელივით დაუბრიალა თვალები.
ბანდიტებმა მისი მზერა დაიჭირეს, ოდნავ დაუქნიეს თავი. ბურდულს არ გამოპარვია მათი მუნჯური საუბარი, მიხვდა, ქუჩიდან შემოყვანილმა ოთახში მყოფთ სრული დუმილი რომ უბრძანა.
- ამხანაგო ნატა, შეუხვიეთ ჭრილობა!- ანიშნა დევიძეს ბანდიტზე.
- რა გულისამაჩუყებელი კაცთმოყვარეობაა!- დაცინვით წარმოთქვა თავგახეთქილმა და შემდეგ კუშტად დაუმატა:- ეს ძუკნა აქედან გამაშორეთ, თორემ კბილით დავგლეჯ!
დევიძე ჩუმად იდგა, მთელი სხეული უკანკალებდა.
ბურდულმა ბანდიტის მიერ სიჩქარეში დატოვებული სკამზე გადაკიდებული ფიჯაკი აიღო,თავგახეთქილს ბეჭებზე მოასხა–გეშინიათ არ გავცივდე?- ცივად გაიცინა მან.
- დაცინვასაც რომ ბედავს, ეს პარაზიტი!- აღშფოთდა კურცხალია და ბანდიტს თვალები დაუბრიალა.
- გამოთქმები შეარჩიეთ,ხომ არ გგონიათ ვინმე ბაცაცას ელაპარაკებით,- დაუბრუნა ბანდიტმა.
- ჩუმათ!- შეუტია კურცხალიამ,- შენისთანა ხორცმეტს მხოლოდ ტყვიით უნდა ელაპარაკოს ადამიანი.

- ასე იყოს თქვენგან ზრდილობიან მოპყრობას არც ველოდები, პროფესიას ხომ არ უღალატებთ. რა ვუყოთ, ახლა თქვენი დარია, მაგრამ თუ ხელიდან წაგივედით, სხვა დროს გადაგიხდით.
- ტყუილი იმედია, სხვა დრო აღარ დაგიდგებათ,- მიუგო კურცხალიამ.
ბანდიტს ოდნავ გაეღიმა.
- კეთილი, მაგრამ თუ ეს ძუკნა,- თვალით დევიძეზე აჩვენა,- ერთ დღეს გამოშიგნული ნახოთ, იცოდეთ ბარი–ბარში ვიქნებით. ახლა კი იქნებ კეთილინებოთ და წაგვიყვანოთ. ჩვენი ნერვები დაჭრილისა და სისხლის ყურებას ვერ უძლებს, მეშინია არ...
მანქანის ყვირილმა ბანდიტს სიტყვა შეაწყვეტინა. ცოტა ხნის შემდეგ ღია კარებში ექიმი გამოჩნდა, უკან სანიტრები მოჰყვებოდნენ ჯალამბრით.
ბურდულმა მხოლოდ ახლა მოათვალიერა მეგობრები:
კუხიანიძეს პალტო შემოხეოდა, გოგოლიძეს კოპი აჯდა შუბლზე, კურცხალიას ნაკბენი ხელი გალურჯებოდა, მაჯაზე შავ ლაქებად აჩნდა კბილების კვალი. ჩრდილელი ფრთხილად გადაიყვანეს ჯალამბარზე. სანიტრებმა ტვირთი ასწიეს და ნელა დაიძრნენ გასაავლელისაკენ.
ბურდული ექიმს გაჰყვა.
გარეთ გამოსულმა მიმოიხედა, მეზობელ სახლებში შუქი აენთოთ. სროლის ხმაზე გაღვიძებული ადამიანები ბელურებივით შემოსეოდნენ ფანჯრებს.
ქუჩაში მძიმე, დახურული მანქანა გაჩერდა. კაბინეტიდან ახალგაზრდა ლეიტენანტი გადმოხტა და ნაბიჯით შეჰყვა საფეხურებს. შუაკიბეზე გაჩერდა, სანიტრები გაატარა.
- მოგვიკლეს ვინმე?- შეეკითხა ბურდულს შეშფოთებით.
- არა, დასჭრეს, მძიმედ დასჭრეს ავაზაკებმა ჩრდილელი, – უპასუხა ბურდულმა ნაღვლიანად და ოთახში შებრუნდა.
ლეიტენანტი ფეხდაფეხ შეჰყვა.
ბანდიტები სათითაოდ ჩასხეს მანქანაში.- ოპერმუშაკები დახურულ ძარაში მოთავსდნენ.
- სამმართველოსაკენ!- უბრძანა მძღოლს კაბინაში შესულმა ბურდულმა.
მძღოლმა ძრავა ჩართო, მანქანა ნელა დაიძრა ვიწრო ჩიხიდან.
ღამის 2 საათი სრულდებოდა.

თავი VIII

მეორე დღეს ამინდი შეიცვალა.
ზამთრისათვის უჩვეულო მზიანი დილა გათენდა. ოქროსფერ სხივებზე ალაპლაპებული ქალაქი ვეებერთელა თეთრ თაიგულს დაემსგავსა:
სახურავებიდან ქუჩებს ცრემლად დაედინა ნაგროვები თოვლი.
ღამენათევ მინდელს მხოლოდ 10 საათზე გაეღვიძა,სწრაფად წამოდგა „მაინც არ გამაღვიძა„ ,- გაიფიქრა წყენით და თვალით მეუღლეს დაუწყო ძებნა.

ბინაში არავინ იყო, საწოლთან ტუმბოზე რვეულის ფურცელს მოჰკრა თვალი.
„უსაუზმოდ არ წახვიდე, ჩაი მზადაა„– წაიკითხა მინდელმა და გაიღიმა, შემდეგ სააბაზანო ოთახში გავიდა,წვერი გაიპარსა. დილის ვარჯიშითა და ცივი მასაჟითგახალისებულმა მადიანად ისაუზმა.
სულ ორი საათიც არ სძინებია, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გაკაჟებული ორგანიზმისათვის.
დილის 10 საათზე და 40 წუთზე წვერგაპარსული და ენერგიით სავსე გამომძიებელი მილიციის სამმართველოში იჯდა და შეპყრობილი ბანდიტების დაკითხვის გეგმას აზუსტებდა.
თითქმის ერთი საათი იმუშავა, შემდეგ კალამი გვერდზე გადასდო. ჩაფიქრდა, გონებაში წინაღამით ჩატარებული ოპერაცია აღადგინა, ჯუღელის მიერ რესტორანში ატეხილი სკანდალი მოაგონდა, გაეღიმა, თვალწინ წარმოუდგა ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც მტანჯველად განიცდიდა რესტორანში ჩადენილ „ხულიგნურ საქციელს„
„ტუტუცი, ნადირი, და კიდევ ვინ იცის, რა არ მიწოდეს,- უყვებოდა მილიციის განყოფილებაში მინდელს და ძიძიგურს ჯუღელი,- ისე გამთათხეს, ვერცერთი მექისე ვერ გამრეცხავს. კიდევ კარგი, ბიჭები დროზე შემოვიდნენ,თორემ აღშფოთებული ხალხი სულს ამომართმევდა„ ,- ჩიოდა იგი.
მინდელს ხმამაღლა გაეცინა. შემდეგ ბასკაკოვა და მისი თანმხლები მამაკაცი დაუდგა თვალწინ.
„ჩარგიევი... მათე ალექსის ძე ჩარგიევი... ვითომ ჩარგიევია?- დაუსვა კითხვა თავის თავს და თვითონვე უპასუხა:- ვნახავთ...გამოვარკვევთ„.
...ჩარგიევი ზრდილობიანად მიიწვიეს ხარაბაძის კაბინეტში, სრული სერიოზულობით შეადგინეს აქტი, დაჰკითხეს დაზარალებულები ჩარგიევმა, მოკლედ, ღირსებით გადასცა მომხდარი ფაქტი და დინჯად მოაწერა ჩვენებას ხელი.შემდეგ წამოლდგა, სატუმროში წასვლა აიჩქარა. ვერც კი მიხვდა, რომ ჯუღელის ხულიგნობა მისი განყოფილებაში მიყვანის საბაბი იყო მხოლოდ.
...აღშფოთდა, პროტესტი განაცხადა და ცხარედ შედავა განყოფილების უფროსს, მაგრამ ყველაფერი ეს ნატიფი ზრდილობითა და დიდი ღირსებით თქვა. კუთხეში მჯდარი მინდელი ინტერესით უსმენდა.
არცერთი ვულგარული სიტყვა! არავითარი ჟარგონი!
მილიციის განყოფილების უფროსს უკანონოდ დაკავებული
ზრდილი და განათლებული მამაკაცი ელაპარაკებოდა და ცხარე პროტესტს გამოთქვამდა პიროვნების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დარღვევის გამო.
ვინ არის ბასკაკოვა?- ეს რა მათი საქმეა, ჩვენს ქვეყანაში ადამიანი თავისუფალია და არავის არა აქვს უფლება განმარტება მოსთხოვოს, რატომ მეგობრობს ქალი მამაკაცთან ან პირიქით, სად გაიცნო? არც ეს არის მათი საქმე. რა უნდათ მისგან მილიციის მუშაკებს? ნუთუ ასეთი „პატივით„ ხვდებიან ისინი ყველა არაქართველ დამსვენებელს? თუ ასეა, თუ მილიციის მუშაკები ამდენ უფლებას აძლევენ თავიანთ თავს და კანონის დარღვევასაც არ ერიდებიან, იგი, ჩარგიევი,

მონახავს ადგილს, ძვირად დაუსვამს თავხედობას გათამამებულ მაიორს. მანამდე კი ჩარგიევი ხმასაც არ ამოიღებს, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა საკუთარი ღირსების დამცირებად მიაჩნია.
მინდელს ერთი სიტყვაც არ გამოპარვია ჩარგიევის ნალაპარაკევიდან. მათე დინჯად, სუფთა გამართული რუსულით ლაპარაკობდა. არც ერთი გრამატიკული შეცდომა, არც ერთი დამახინჯებული სიტყვა:თვით წინადაჟდების კონსტრუქციაც სხარტი და უწუნო.
ხარაბაძე კითხვას კითხვაზე უსვამს:ვინ ხართ? როდის ჩამოხვედით წყალტუბოში? სად ბინადრობთ და საიდან მოხვედით?
ჩარგიევი ზოგ მათგანზე პასუხობს: ტაშკენტში ცხოვრობს, ტაქსომოტორის პარკის დისპეტჩერია,წყალტუბოში დასასვენებლად ჩამოვიდა. სასტუმროში ბინალრობს 103 ნომერში, უკვე 18 დღეა ჩამოსულია, რამდენიმე დღეში უკან უნდა დაბრუნდეს.
ხარაბაძეს ეჭვი ეპარება მისი პასუხების სისწორეში გამეორებით ეკითხება, სად გაიცნო ბასკაკოვა.
ჩარგიევი აღშფოდა, უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე და კატეგორიულად მოითხოვა პროკურორი.
- კეთილი. აი,გათენდება და პროკურორიც მოვა. მანამდე ჩემი ვალია, დაგაკავოთ,- უცხადებს ხარაბაძე.
- დამაკავოთ? რომელი კანონით, რა საფუძველით? ხომ არ ჰგონია პატივცემულ მაიორს, რომ ასეთ უკანონობას შეარჩენენ? მადლობა ღმერთს, კანონია, სამართალია და ის დროც წავიდა, როდესაც ასეთი მუშაკები უდანაშაულო ხალხს ამწყვდევდნენ ციხეში. ან იქნებ მაიორი გაზეთებს არ კითხულობს?- დაინტერესდა ჩარგიევი.
გამოირკვა , რომ ხარაბაძე გაზეთებს კითხულობს, კანონიც იცის, ამიტომ...
- ამიტომ დილამდე აქ დარჩებით!- შეუვლად აცხადებს განყოფილების უფროსი და ეჭვმიტანილის დაკავების ოქმს ადგენს.
ჩარგიევის აღშფოთება კულმინაციურ წერტილს აღწევს.
- ეს ძალადობაა, თქვენ პასუხს აგებთ უდანაშაულო ადამიანის შეურაცხყოფისათვის!- ცხარედ უტევს მაიორს.
ხარაბაძე დინჯად განაგრძობს წერას.
- რა ბრალდებით მაკავებთ?- უკვე ყვირის ჩარგიევი.
- რესტორანში ჟდებოშის ატეხვისთვის,- მშვიდად პასუხობს მაიორი.
- მშვენიერი სამართალი გქონიათ, ეს ალბათ კარგად იციან აქაურმა ხულიგნებმა და ამიტომაც უშიშრად ესხმიან თავს ადამიანებს რესტორანშიც კი,- მწარედ იღიმება ჩარგიევი.
ხარაბაძე არ პასუხლბს, ოქმის წერას ამთავრებს .
- გაჩხრიკეთ!- უბრძანებს ლეიტენანტს.
ჩარგიევი გაუნძრევლად ზის, მიახლოებულ ლეიტენანტს გამჭოლად აცქერდება.
- ინანებთ, მაიორო!- ეუბნება ხარაბაძეს.
- შესაძლოა, მაგრამ მაინც უნდა გაგჩხრიკოთ!

ჩარგიევს მეორე ოფიცერიც მიუახლოვდა. ის ფეხზე ნელა წამოდგა, სიბრაზით მიაჩერდა მაიორს, აქეთ–იქიდან ამომდგარ ოფიცრებს გადახედა:
- კეთილი,- დაიცხრო მან სიბრაზე,- გამჩხრიკეთ, მაგრამ იცოდეთ, პასუხს გაგებინებთ.
ჩარგიევი გაჩხრიკეს პასპორტი, სამხედრო ბილეთი, 2000 მანეთამდე ფული და ...სხვა არაფერი.
ხარაბაძე ოდნავ დაბნეულად დასცქერის მაგიდაზე დაწყობილ ფულს და საბუთებს, შემდეგ ჩხრეკის ოქმს ადგენს, ჩარგიევს ხელს აწერინებს და დაკავებულის სამორიგეო ოთახში ჩაყვანას უბრძანებს.
- უსათუოდ შევცდით, ცრუ კვალს გავყევით და ოპერაციაც ჩავშალეთ,- შეშფოთდა მაიორი, როგორც კი ჩარგიევი გაიყვანეს.
ძიძიგური მინდელს მიაჩერდა.
გამომძიებელს ოდნავ ეღიმება.
- ყველაფერი ჩინებულად მიდის, ოპერაციაც შესრულებულია!- ამბობს წყნარად.
- შესრულებულია?- იკითხა ხარაბაძემ და შემდეგ დაუმატა:- მერე ჭაღარა? სადღაა ჭაღარა? განა ჩვენი ვარაუდით ის ამაღამ არ უნდა აგვეყვანა?
- უნდა აგვეყვანა!
- სად, ქუთაისში?- განცვიფრდა ძიძიგური.
მინდელს ისევ ეღიმება
- შესაძლოა ქუთაისში, ეს მალე გამოირკვევა,- უპასუხა მოგვიანებით.
- მაშ თქვენ ოპერაცია დამთავრებულად მიგაჩნიათ?- იჭნეულად იკითხა ძიძიგურმა.
მინდელმა საათს დახედა.
- ჯერ არა მხოლოდ 11 საათი და 50 წუთია. შემუშავებული გეგმით კი დევიძე 12 საათის შემდეგ მიიღებს ჩვენსბიჭებს.
ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.
გარკვევით ისმოდა როგორ ტკაცუნობდა ხმელი შეშა თუნუქის ღუმელში.
- გამაგებინე ლევან, რას ფიქრობ?- დაარღვია დუმილი მაიორმა.
- ვფიქრობ, დიდი სიცხე დაადგებათ ჩვენებს დევიძის ბინაზე,- ჩვენ მართლაც შევცდით, მაგრამ არა ჩარგიევის დაკავებაში... ბანდიტებს ძირითადი ბინა დევიძის სახლში აქვთ და არა წყალტუბოში.
- მაშ ბასკაკოვა?- დაიწყო ხარაბაძემ.
- ბასკაკოვა აქ არაფერ შუაშია,- გააწყვეტინა მინდელმა,- ის ისევე როგორც დევიძე, საფოსტო ყუთად იქნა გამოყენებული. ამიტომაც მე განკარგულება მივეცი მორიგეს უკანვე მიეცილებინა იგი სასტუმროში.
- საფოსტო ყუთად?- განცვიფრდა ძიძიგური.
- დიახ, მხოლოდ საფოსტო ყუთად.
- კი მაგრამ ხოტოველი ხომ მარტო მას ხვდებოდა?
- სწორია, მაგრამ ბასკაკოვამ არაფერი იცის ბანდიტების საქმიანობაზე. ამის თქმა ახლა დაბეჯითებით შემიძლება.
- და ეს შენ იცოდი როცა წყალტუბოში მივდიოდით?

ძიძიგურმა გამომცდელად შეხედა მინდელს.
- არა,- მაგრამ ახლა უკვე ვიცი,- გაიღიმა მინდელმა.
- არაფერი მესმის,- მხრები აიჩეჩა ხარაბაძემ.
მინდელი წამოდგა, რამდენჯერმე გაიარ–გამოიარა.
- ამხანაგო ელიზბარ,- მიმართა მტკიცე ხმით ხარაბაძეს,- ჩარგიევი ამაღამვე გადაიყვანეთ ქუთაისში, მაგრამ დიდი სიფრთხილით, იცოდეთ, მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.
- გაქცევა?- განცვიფრდა ხარაბაძე.
- გაქცევაც, ეგ ნატიფ ზრდილობაში გახვეული, ნახტომისათვის გამზადებული მხეცია.
პოდპოლკოვნიკმა ვეღარ მოითმინა.
- ამიხსნი თუ არა!- შეუტია მინდელს.
- ჯერ ვერა სერგო, ხვალ კი , ზოგიერთი საკითხის შემოწმების შემდეგ,დავაკმაყოფილებ შენს სურვილს, მოითმინე ხვალამდე, კარგი?
- ეშმაკსაც წაუღიხარ!- ჩამბურტყუნა ძიძიგურმა.
ყველას გაეცინა.
ძიძიგური და მინდელი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მინდელმა გამომძიებლად დაიწყო მუშაობა, ძიძიგური კი მთავითე სამძებრო სამუშაოს გაჰყვა. ორთავემ, როგორც იტყვიან,თავიანთი ადგილები მონახეს ცხოვრებაში.
ძიძიგურს მუშაობის დაწყებიდან დღემდე არა ერთი საშიში რეციდივისტი ჰყავდა შეპყრობილი. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს სიძულვილთან ერთად დიდი შიშიც ჩაუნერგა, მათ შორის ნამდვილი ომი იყო გაჩაღებული. ბანდიტებმა რამდენემიჯერ ჩასაფრება მოუწყვეს, სამჯერ დაჭრეს,მაგრამ სიკვდილი ვერ მოერია. შიშის ზარს სცემდა თავზეხელაღებულ ქურდ–რეციდივისტებს.
გულადი, მამაცი, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი აუღელებლად მოქმედებდა და არასოდეს არ ღალატობდა პროფესიული ალღო, მაგრამ თავისი საქმის უბადლო ოსტატს „წვრილმანთა„დახსომების უნარი აკლდა.
მინდელი მეტად ჭკვიან გამომძიებლად მიაჩნდა და დიდ პატივს სცემდა. ახლაც მიხვდა, რომ გამომძიებელმა მისთვის შეუმჩნეველი რაღაც,„ წვრილმანი„ დაიჭირა და მტკიცედ ჩაკიდა ხელი.
მაგრამ გამომძიებელი თავის ფიქრებში ჩაიკეტა და ამხანაგს არაფერი გაანდო. ძიძიგური სხვა რამეს არც მოელოდა, იცოდა საერთოდ გულახდილ მინდელს საქმეზე თავის აზრების წინასწარ გამჟღავნება არ უყვარდა.
...გვიან ღამით დაბრუნდნენ ქუთაისში. ჩარგიევიც ჩამოიყვანეს. სამმართველოდან პირდაპირ საავადმყოფოში წავიდნენ. მღელვარებით უცდიდნენ ოპერაციის შედეგს.
ღამის 5 საათზე საოპერაციოდან დაღლილი გრძელიძე გამოვიდა. ყველანი შემოეხვივნენ სახელოვან დასტაქარს,უხმოდ შეაჩერდნენ, კითხვით კი ვერაფერი კითხეს.

გრძელიძის დაღლილ თვალებში ღიმილმა გაიელვა.
- ჯერ უგონოდ არის , ბევრი სისხლი დაუკარგავს,ფილტვი აქვს დაზიანებული, მაგრამ იცოცხლებს, არ მოკვდება, ლომის გული ჰქონია,- უპასუხა მან მუნჯ შეკითხვას და ბალანჩივაძესთან ერთად მთავარი ექიმის კაბინეტს მიაშურა.
ოფიცრები გამხიარულდნენ, ერთბაშად დაავიწყდათ დაღლა და განცდილი ხიფათი. მეგობრულად ეხუმრებოდნენ „ხულიგან„ ჯუღელს„. არც კურცხალია დავიწყებიათ, ერთხმად ურჩევდნენ შრატი გაიკეთე, მართალია, თოვლში დახრჩობას გადაგარჩინა ბურდულმა, მაგრამ სისხლის მოწამვლის საფრთხე ჯერ კიდევ გემუქრებაო.
კურცხალია უხერხულად იღიმებოდა. ნაკბენ ხელს დასცქეროდა, მაგრად რომ ჰქონდა შეხვეული.
მინდელი და ბალანჩივაძე საღამოს 6 საათზე დაბრუნდნენ სამმართველოში. პოლკოვნიკი ჩინებულ ხასიათზე იყო, გულდასმით მოუსმინა მინდელს, შემდეგ ორთავემ მეორე დღის სამუშაო გეზი დაისახეს, დაკითხვის გეგმა შეიმუშავეს და გათენებისას ძლივს მოწყდნენ სამუშაოს. სამუშაო კი ბევრი იყო. ჩარგიევის ოთახისა და პირადი ნივთების ჩხრეკამ საქმეს ვერაფერი შემატა. ტანსაცმელი, თეთრეული, ორიოდე წიგნი, აი ყველაფერი რაც იქ იქნა აღმოჩენილი. არც დანა და არც ცეცხლმსროლელი იარაღი, არც სხვა რაიმე, რაც ოდნავ მაინც ჩრდილს მიაყენებდა მის პიროვნებას.
დევიძის ბინაში შეპყრობილ ბანდიტებს ოთხი რევოლვერი აღმოაჩნდათ,100 –მდე ვაზნა. 4–დან სამი რევოლვერი„პარაბელუმის„ სისტემისა იყო, მეოთხე „ვალტერი„.
მინდელს მშვენივრად ესმოდა, რომ საქმე,- საგამომძიებლო საქმე,- მხოლოდ ახლა იწყებოდა.სამართალს თავისი ფორმალური მხარე აქვს და ფორმაში ჩაჯდომის გარეშე სისხლის სამართლის საქმე იგივე იყო,რაც გაუხსნელი დანაშაული.
„პროცესუალური დამაგრების გარეშე მატერიალური ჭეშმარიტება არ არსებობს„– გაახსენდა მოხუცი პროფესორის ნათქვამი.
მინდელს ბევრი აბურდული საქმე გამოეძიებინა და იცოდა, რომ პირველი დაკითხვა თითქმის ყოველთვის გადამწყვეტი იყო. ამიტომ ბალანჩივაძესთან ერთად ღამით გულდასმით შეადგინა შეპყრობილთა დაკითხვის გეგმა. გაითვალისწინეს ყველა მოსალოდნელი ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტების მიმართ საკმაო მამხილებელი მასალა იყო შეგროვილი, მინდელი ერთი წუთითაც არ ეჭვობდა, მაგრამ ისინი შეეცდებოდნენ მხოლოდ ის ეღიარებინათ, რისი უარყოფაც აღარ შეიძლებოდა, ხოლო დანარჩენი მთავარი, მიეჩქმალათ და თავიდან აეშორებინათ.
გამომძიებელი მტკიცედ იყო დარწმუნებული რომ არც ერთი ბანდიტი არ დაასახელბდა „ჭაღარას„ და ყველა საშუალებით შეეცდებოდა გზაკვალი აერია გამოძიებისათვის. ეს ესმოდა მას და მტკიცედ გადაწყვიტა. მოკლე დროში მოეგო ბრძოლა,გაეტეხა ბოროტმოქმედთა სიჯიუტე და ზუსტად აღედგინა დანაშაულის მთელი სურათი.

კაბინეტის კარი გაიღო, ოთახში ბალანჩივაძე შემოვიდა და სიამით შეავლო თვალი სუფთად წვერგაპარსულ, მუნდირში კოხტად ჩაცმულ მინდელს. გამომძიებელი წამოდგა, მაგრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელი.
- ადრე მოსულხარ, ლევან,აკი გაგაფრთხილე, 12 საათამდე ლოგინიდან არ წამოდგე–მეთქი.
- მშვენივრად დავისვენე დავით ილიჩ,სრულიად არ ვგრძნობ დაღლას,- გაიღიმა მინდელმა.
- მაინც არ უნდა ამდგარიყავით ,ჯანმრთელობას გაფრთხილება უნდა.
- თქვენ მოგბაძეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო.
- და ძალიან ცუდად მოიქეცი, მე სხვა ვარ, კიდევ ორიოდე წელი და პენსიაში გავალ, დავისვენებ,- პოლკოვნიკმა ფართოდ გაიღიმა და დაუმატა:- რა გაეწყობა ასაკს თავისი მოაქვს.
- ჩრდილელისა რა იცით, დავით ილიჩ?
- კარგი ამბავი, ამ დილით მეორედ გადაუსხეს სისხლი , გრძენობაზე მოვიდა,მიცნო, მაგრამ გრძელიძემ კატეგორიულად აუკრძალა ლაპარაკი. მეც მხოლოდ მოკლედ ვუამბე ოპერაციის შესახებ და სწრაფად წამოვედი. ჩვენმა ბუზღუნა დასტაქარმა პალატაში არ დამაყენა.
- ჩინებულია! შალვა საუკეთესო,საქმისთვის თავდადებული მუშაკია, მისმა დაჭრამ ძალიან დაგვაღონა
- რას ვიზამთ, ოპერმუშაკთა გზა ია–ვარდით როდია მოფენილი. ეს იგივე ფრონტია, ხანდახან უფრო ძნელიც.
ომში გამარჯვების მოწმე მოკლული მტერია, აქ კი ბანდიტები ცოცხლად უნდა შეიპყრო, ბრძოლის თანაბარი საშუალებებიც არ გაგვაჩნია, ისინი სასიკვდილოდ არ გვინდობენ, ჩვენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ ვესვრით პირდაპირ,- ფიქრიანად წარმოთქვა პოლკოვნიკმა და ასანთს გაჰკრა.
პოლკოვნიკი ფიქრებში ჩაიძირა. ბოლქვა–ბოლქვა უშვებდა ბოლს ნესტოებიდან. მინდელი ქაღალდებს ჩასცქეროდა და მოთმინებით ელოდა, კვლავ როდის ალაპარაკდებოდა ბალანჩივაძე.
პოლკოვნიკი სავარძელში შესწორდა.
- დავიწყოთ!- მოჰკვეთა მოკლედ და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.- გადაეცით მორიგეს დაკავებული ხოტოველი ამოიყვანოს.- უბრძანა შემოსულ სერჟანტს.
ორიოდე წუთის შემდეგ ახალგაზრდა ლეიტენანტი კაბინეტში ხოტოველს შემოუძღვა. პოლკოვნიკმა ცივად შეათვალიერა უკანასკნკლ მოდაზე კოხტად ჩაცმული ხოტოველი, რომელიც შიშისაგან მობუზულიყო და ხაფანგში გაბმულ ვირთაგვასავით ახამხამებდა თვალებს.
- დაჯექით!- უბრძანა ბალანჩივაძემ.
ხოტოველი დაჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და თავი ჩაქინდრა.
სადღა იყო მისი გამომწვევი ცქერა და უდანაშაულოდ დაკავებული კაცის სიფიცხე! ოთახის კუთხეში თავის ხვედრთან თითქოს შერიგებული ადამიანი იჯდა და მოთმინებით ელოდა, როდის დაიწყებდნენ მასთან საუბარს.

შემუშავებული გეგმის მიხედვით, დაკითხვა მინდელს უნდა ეწარმოებინა, მაგრამ გამომძიებელი არ ჩქარობდა, ქაღალდებს ათვალიერებდა და რაღაც შენიშვნებს აკეთებდა სუფთა ფურცელზე.
დუმილმა რამდენიმე წუთს გასტანა. ბოლოს ხოტოველმა ჯიბე მოისინჯა პაპიროსი ამოიღო:
- ნებას მომცემთ, მოვწიოო?- იკითხა.
- მოსწიეთ უპასუხა პოლკოვნიკმა.
მინდელმა საქაღალდე დაკეცა, საწერი მაგიდის უჯრიდან დაკითხვის შეუვსებელი ბლანკი ამოიღო და დაკავებულის ანკეტური მონაცემების შევსება დაიწყო.ხოტოველი მოკლედ პასუხობდა.
მინდელმა კალმისტარი გვერდზე გალასდო და ხოტოველს თვალი თვალში გაუყარა. ხოტოველი შეეცადა მზერა გაესწორებინა, მაგრამ ვერ შესძლო,ნელ–ნელა დახარა თავიდა გამომძიებლის გამჭოლი მზერა აიცილა.
მინდელი მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.
- იქნებ გირჩევნიათ თქვენ თვითონ დასწეროთ ჩვენება?- დაუსვა მოულოდნელი კითხვა.
- რა ჩვენება?- იკითხა გაკვირვებით.
- ვითომ არ იცით,- გაიღიმა გამომძიებელმა, თუ ახლაც ტყუილად ხართ დაკავებული?
ხოტოველი ერთ ხანს დუმდა, შემდეგ თითქოსგადაწყვეტილება მიიღო, გამომძიებელს პირდაპირ შეხედა და ხმამაღლა თქვა:
- ვხედავ, დუმილი ზედმეტია, მაგრამ მე იმდენი განათლება არ მაქვს, თვითონ დავწერო, დამკითხეთ და გიპასუხებთ.
- კეთილი,- მიუგო გაკვირვებულმა მინდელმა.
გამომძიებელი ბრძოლას ელოდა, ხოტოველი კი მორჩილად აცხადებდა მკითხეთ და ყველაფერს გიამბობთო.
- გაითვალისწინეთ, რომ მე გულწრფელი ვარ გამოძიების წინაშე და ყველაფერს ვაღიარებ,- კვლავ ამოილაპარაკა ხოტოველმა.
- გონიერი საქციელია,- წააქეზა მინდელმა და განაგრძო– აბა დაიწყეთ, გვიამბეთ ვინ გაგაგზავნა ბასკაკოვასთან და რა დავალებით?
ხოტოველის თვალებმა უდიდესი განცვიფრება გამოხატა.
- დავალებით? რა დავალებით?
- ჩვენც მაგას გეკითხებით, რა დავალებით იყავით– მეთქი და ვისგან?- გაუმეორა კითხვა გამომძიებელმა.
- რას ბრძანებთ, უფროსო, არაფერი დავალება მე არ მქონია, ბასკაკოვასთან პირად საქმეზე ვიყავი მხოლოდ,არავისაც არ გავუგზავნივარ.
- ეს არის თქვენი გულწრფელობა?
- მე სიმართლეს მოგახსენებთ, მხოლოდ მომისმინეთ!
- გისმენთ!
- ბასკაკოვა ამ ოთხიოდე დღის წინათ შემთხვევით გავიცანი ქუთაისში. ბრილიანტის ბეჭედს ეძებდა, კარგ ფასს იძლეოდა. სწორედ იმ დღეს

საიუველირო მაღაზიამ ბეჭდები მიიღო, ბასკაკოვას მისამართი დავიტოვე და წუხელ საღამოს ჩავუტანე, 800 მანეთი მოვიგე. ეს იყო და ეს, რა დავალება, რომელი დავალება!
- მხოლოდ ამიტომ იყავით წყალტუბოში?
- ცოლ–შვილი გამიწყდეს, სახლ–კარი დამეწვას, თუ ვტყუოდე.
- ფიცს თავი დაანებეთ და სიმართლე თქვით.
- მე მხოლოდ სიმართლეს ვამბობ.
- ესე იგი ისპეკულიანტეთ, არა?- დამცინავად შეეკითხა პოლკოვნიკი.
- დიახ, უფროსო და გულწრფელად ვაღიარებ, გთხოვთ ოქმშიც ასე ჩასწეროთ.
- სისულელეს თავი დაანებეთ და საქმეზე ილაპარაკეთ!- მკაცრად შეუტია მინდელმა.
- საქმეზე მოგახსენებთ, მაგრამ რო არ მიჯერებთ?
- რამდენი გადაგიხადათ ბასკაკოვამ ბეჭედში?
- 2900 მანეთი,- მიუგო ხოტოველმა უყოყმანოდ.
- ჯიბეში რამდენი აღმოგაჩნდათ?
- ჯიბეში 2000 მანეთი მქონდა.
- დანარჩენი რა უყავით?
- დანარჩენი ხვალ უნდა მოეცა,- უპასუხა ხოტოველმა მტკიცედ.
- უცნობ ადამიანს ამოდენა ფული როგორ ანდეთ?
- მერე რა მოხდა, რომ ვანდე, ვიცოდი, მომცემდა.
- გამოდის, რომ თანახმა ხართ პასუხი აგოთ სპეკულაციისათვის,- კვლავ დამცინავად შეეკითხა პოლკოვნიკი.
- კი, უფროსო, აბა სხვა რაღა დამრჩენია, მაგრამ მე მგონია, მხედველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას და თავდებში გამიშვებთ.
მინდელს გაეცინა, მაგრამ უმალვე შეიკავა თავი.
- ხოტოველო,- დაიწყო მინდელმა,- სპეკულაციის თვით დაბრალებას თავი შეეშვით, არაფერი გამოვა, გვითხარით სიმართლე, ვინ გაგაგზავნათ ბასკაკოვასთან?
- არავინ, უფროსო, მე თვითონ ვიყავი, ბეჭედი ჩავუტანე.
- არ გინდათ სიმართლე თქვათ? კარგი, ჩვენ გათქმევინებთ . ვის მიყიდეთ ამ ოთხი დღის წინათ არაყი და ძეხვი?
- ეგ საქმე ხო გამოირკვა, კიდევ მედავებით?
- ვის მიყიდეთ– მეთქი?- სუსხი დაეტყო მინდელის ხმას.
- რა ვიცი ვინ იყო.
- სტყუით!
- არა,ღმერთმანი...
- სტყუით–მეთქი? მან 50–მანეთიანი გადმოგცათ, მაინცდამაინც წყალტუბოს ნაწარმი ძეხვი გთხოვათ. ეს ფული ჯიბეში ჩაიდევით, ჯერ კი გასინჯეთ, აღარ გახსოვთ?
- რა ვიცი,რამდენი მყიდველი მოდის, ყველას ხომ ვერ დავიხსომებ.

- ყველას არა, მაგრამ ვახტანგის გამოგზავნილი კი უეჭველად კარგად დაისხსომეთ, მან ხომ დავალება მოგიტანათ.
- რა დავალება?- ყოყმანით შეეკითხა ხოტოველი.
მინდელმა საქაღალდე გაშალა.
- აი, რა დავალება,- მიუგო მკაცრად და ფოტოსურათი გაუწოდა–გეცნობათ?
- ხოტოველმა ფოტოზე დაბეჭდილი 50 მანეთიანი ბანკნოტი ბეჯითად დაათვალიერა,შემდეგ მეორე გვერდიც გასინჯა.
- არაფერი მესმის!- ამოილაპარაკა ჩუმად და ფოტოსურათი ფრთხილად დასდო მაგიდაზე.
- პირიქით, ყველაფერი გესმით და გზაც აღარა გაქვთ სიცრუისათვის,- მიაგება მინდელმა,- უკანასკნელად გირჩევთ, აღიაროთ სიმართლე.
ხოტოველი დუმდა.
- გსურთ თუ არა ჩვენების მოცემა?- შეუტია გამომძიებელმა.
ხოტოველმა თავი ასწია.
- მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.
- თქვენი სასჯელის შემსუბუქების უკანასკნელ შანსსაც კარგავთ! ერთი საათის შემდეგ თქვენს აღიარებას აღარ ექნება დიდი მნიშვნელობა.- შემოიყვანეთ მოქალაქე ბასკაკოვა!- მიმართა გამოძახებულ სერჟანტს.
ბასკაკოვა წყნარი ნაბიჯით შემოვიდა კაბინეტში და უხმოდ ჩამოჯდა გამომძიებლის მიერ მითითებულ სავარძელზე.
ხოტოველმა ქვეშ ქვეშ შეხედა ქალს, მაგრამ ბასკაკოვას ეს არ შეუნიშნავს, რადგან მისკენ ზურგშექცევით იჯდა.
- იცნობთ ამ მოქალაქეს?- შეეკითხა მინდელი ხოტოველს.
- ვიცნობ , აკი მოგახსენეთ,ბეჭედი მივყიდე– მეთქი,- სწრაფად რუსულ ენაზე უპასუხა ხოტოველმა
- რუსულ ენაზე იმიტომ მპასუხობთ, რომ იმედი გაქვთ,სიცრუეს დაგიდასტურებენ?- ქართულად შეეკითხა გამომძიებელი და შემდეგ ბასკაკოვას მიუბრუნდა:- თქვენ იცნობთ ამ მამაკაცს?
ბასკაკოვა წყნარად შებრუნდა, რამდენიმე ხანი უცქირა ხოტოველს.
- დიახ ვიცნობ–ჩაილაპარაკა
- რამდენჯერ შეხვედრიხართ?
- ორჯერ, პირველად ოთხიოდე დღის წინათ, მეორედ კი წუხელ ღამით
- სად?
- წყალტუბოში, სასტუმრო „თბილისის„ 407 ნომერში
- ვინ გაგაცნოთ?
- მათე ჩარგიევმა გამაცნო.
- სად გაგაცნოთ?
- წყალტუბოს პარკში.
- რაზე გქონდათ საუბარი?

- არავითარი საუბარი არ გვქონია, მათემ მითხრა, ამ კაცს ჩემი ფული მართებს, მე შეიძლება ერთი–ორი დღით თბილისში წავიდე და თუ ფული მოგიტანოს, დაიტოვეო.
- შემდეგ?მეტი არაფერი, ხოტოველი მაშინვე გამოგვემშვიდობა და წამოვიდა.
- წუხელ რაღაზე მოვიდა?
- აკი გითხარით, ფული მოიტანა და დამიტოვა მათესათვმს გადასაცემად.
- რამდენი?
- ხმანეთი.
ხოტოველი გაფითრდა. ზიზღით შეხედა ბასკაკოვას, მაგრამ ქალმა გამომწვევად გაუსწორა მზერა.
- რა უყავით ფული?
- ჩემს ნომერში მქონდა ჩემოდანში. წუხელი კი მილიციის მუშაკებმა ჩამომართვეს.
- კეთილი,- მიუგო გამომძიებელმა და შემდეგ ხოტოველს მიუბრუნდა:- რას იტყვით?
- არაფერს იმის მეტს, რომ ეს ქალი აშკარად სტყუის,- ახლა უკვე ქართულად უპასუხა ხოტოველმა.
- ხოტოველო, ნუ ჯიუტობთ.
- არაფერსაც არ ვჯიუტობ, მე მაგას ბეჭედი მივყიდე, მორჩა და გათავდა!
- ხოტოველო, ეგ ბავშვობაა,თავის მოტყუებაა, ნუთუ ვერ ხედავთ რომ გამოსავალი აღარ გაქვთ?
- არ მესმის, რატომ უნდა დაუჯეროთ ამ ქალს და არა მე,რით არის მისი ჩვენება უფრო სარწმუნო, ვიდრე ჩემი?
- თქვენ ასე გგონიათ?
- დარწმუნებული ვარ.
- კეთილი...
მინდელი წამოდგა, წიგნების კარადიდან პატარა მოგრძო ყუთი გადმოიღო. მაგიდაზე დადგა და შტეპსელში ჩართო.
ხოტოველი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს გამომძიებლის მოქმედებას და ვერაფერი გაეგო, რაში უნდა ემხილა და გაებათილებინა მისი ჩვენება ამ პატარა ყუთს.
მინდელი სავარძელს დაუბრუნდა, პაპიროსს მოუკიდა დაყუთის შიგნით პატარა კლავიშს დააჭირა თითი, კაბინეტში გამეფებული სიჩუმე დისკოს ბრუნვით გამოწვეულმა შრიალმა დაარღვია.
მინდელი დაკვირვებით მისჩერებოდა ხოტოველს, რომელსაც ჯერ ვერაფერი გაეგო და ხან გამომძიებელს შეხედავდა, ხან კიდევ ბასკაკოვას, ხოლო იქედან ყუთზე გადაჰქონდა მზერა.
ბასკაკოვაც ვერაფერს მიმხვდარიყო, რადგან მინდელს უკანასკნელი ფრაზები აღარ უთარგმნია და ცნობისმოყვარეობით, მისჩერებოდა ძლივს გასაგონად მოშრიალე პორტატულ მაგნიტაფონს. უეცრად ეს პატარა ყუთი გაცოცხლდა, ადამიანის სული ჩაედგა და ხოტოველისა და ბასკაკოვას ხმით ალაპარაკდა,

ალაპარაკდა და ხოტოველიც ააყვირა
- ტყუილიაააა! მოწყობილიაააა! თქვენ მომიწყვეთ, მილიციამ მომიწყოოო!- აღრიალდა ის და ფეხზე წამოვარდა.
- წყნარად! შეუტია მინდელმა, შემდეგ მაგნიტოფონი გამორთო და გაცეცხლებული ხოტოველი უკანვე დასვა სკამზე.
- იცანით თქვენი ხმა?- მიუბრუნდა გამომძიებელი ბასკაკოვას.
- დიახ,- მიუგო გაკვირვებულმა ქალმა,- მხოლოდ არ მესმის, ვინ ან როდის ჩასწერა ჩვენი საუბარი?
- ეს საინტერესო არ არის, ადასტურებთ დიალოგს?
- სავსებით,სწორედ ეგ საუბარი გვქონდა მე და ამ მოქალაქეს ორჯერ შეევედრისას.
- თქვენ ახლაც უარყოფთ, ხოტოველო?- ჩაერია აქამდე ჩუმად მყოფი პოლკოვნიკი.
- ტყუილია, მოწყობილია! მე მაგას ბეჭედი მივყიდე–აყვირდა ხოტოველი.
- კარგი დღეისთვის კმარა!- წარმოთქვა გამომძიებელმა,- გაიყვანეთ!- უბრძანა შემოსულ სერჟანტს.
ხოტოველი წელმოწყვეტით წამოდგა და ფეხათრევით გაჰყვა სერჟანტს.
- თქვენ კი, მოქალაქე ბასკაკოვა,- მიუბრუნდა გამომძიებელი ქალს,- ჯერ კიდევ საჭირო ხართ. გთხოვთ ჩვენი ნებართვის გარეშე წყალტუბოდან არ წახვიდეთ, ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით.
- შეიძლება შეგეკითხოთ?- ბასკაკოვა სავარძლიდან წამოდგა.
- შეიძლება, რა გნებავთ?
- რა ბრალდებით დააკავეთ ჩარგიევი?
- მე უფლება არა მაქვს ასეთ კითხვაზე გიპასუხოთ.
- კი მაგრამ, ის ჩემი საქმროა და მინდა ვიცოდე, რაზე დააკავეთ უდანაშაულო ადამიანი?- მტკიცედ მოითხოვა ქალმა.
მინდელმა პოლკოვნიკს გადახედა.
- დიდი ხანია იცნობთ ჩარგიევს?- დაინტერესდა პოლკოვნიკი.
- დიახ წელიწადზე მეტია.
- კარგი, ამ შემთხვევაში როგორც გამონაკლისი,გეტყვით, რაშიაც ედება ბრალი თქვენს საქმროს. მაგრამ არა აქ. ხვალ ათ საათზე ჩემთან მობრძანდით, მე მილიციის სამმართველოს უფროსი ვარ
- უსათუოდ მოვალ, ნახვამდის!
- ხედავთ, სანამდე მიდის ზოგიერთის ჯიუტობა?- გულმოსულად ამოილაპარაკა ბალანჩივაძემ, როგორც კი ბასკაკოვამ კარები გაიხურა.
- ვხედავ,- წყნარად გაიცინა მინდელმა,- არიან ისეთი ტიპები რა მტკიცებაც არ უნდა წაუყენოთ, მხოლოდ „არას„ გაიძახიან, თუმცა ხოტოველის საქმე მაინც სხვაა და მის „არას„ ჯერ კიდევ მოეპოვება საფუძველი.
- ამით რის თქმა გსურთ?

- აი რისა: მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, ხოტოველმა ჩარგიევს ტყეშელაიძის ბინიდან წაღებული ოქროს ნივთებისა და 3%- იანი ობილიგაციის ღირებულების ნაწილი ჩამოუტანა. დანარჩენი თანხა ან ადრე გადასცა, ანშემდეგ უნდა მიეცა. ჩარგიევზე გადასაცემად მიღებული ფულის ნამდვილი დანიშნულება ბასკაკოვამ არ იცის, ეს ნომერში ფარულად ჩადგმულ მაგნიტოფონზე ჩაწერილმა, დიალოგმაც დაადასტურა. მაშასადამე, ხოტოველისათვის არ არსებობს სიფრთხე, რომ ამ ფაქტს ბასკაკოვას დაკითხვით დავუმტკიცებთ. ხოლო ჩარგიევის მხრივ ხოტოველს აბსოლუტური იმედი აქვს, იგი არაფერს იტყვის. ჩხრეკამაც არაფერი მოგვცა.დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ხოტოველმა მოასწრო საიმედო ადგილზე მიემალა ნაძარცვი ფასეულობა. ეს ყველაფერი გათვალისწინებული აქვს ხოტოველს, ამიტომაც ჯიუტობს. მართლაც, ჯერ შეკრებილი მასალებით ბრალს ხომ ვერ დავდებთ ტყეშელაიძის ბინის გაძარცვის მონაწილეობაში. დუმილი ჩამოვარდა. პოლკოვნიკმა რამდენჯერმე დინჯი ნაბიჯით გაიარა ოთახში, შემდეგ მინდელთან შეჩერდა.
- როგორ ფიქრობ, ლევან, ხომ არ სჯობდა პირველად კიტოვანი დაგვეკითხა?
- არა, დავით ილიჩ, მე იმედი მქონდა ხოტოველი გატყდებოდა და იმის შიშით, რომ ძარცვა არ დაებრალებინათ, სიამოვნებით აღიარებდა იმას, რაც ჩაიდინა და რასაც ბოლოს და ბოლოს ჩვემ მას პროცესუალურადაც დავუმტკიცებდით, ხოლო კიტოვანი და მისი ამხანაგები სულ სხვა ტიპის ბოროტმომქმედები არიან, მათ ასე იოლად ვერ გამოტეხ
- ჩარგიევი?
- ო, ჩარგიევი კიდევ სულ სხვაა, მან ალბათ დაკავებისთანავე მოამზადა ისეთი ვერსია,რომელშიაც ნამდვილი ფაქტები ჩაურთო და სარწმუნოს დაამსგავსა. აი ნახავთ თუ პირველი დაკითხვისთანავე არ დაადასტუროს ხოტოველის მიერ წყალტუბოში ფულის ჩატანა.
- რატომ ხართ ასე დარწმუნებული?- გაეღიმა ბალანჩივაძეს.
- აი რატომ: მე თქვენ წუხელივე გითხარით, როგორ გამოვიცანი მისი პიროვნება და თუ არ ვცდები,- მე კი დარწმუნებული ვარ, არ ვცდები,- ჩარგიევი ძველი, გამოცდილი რეციდივისტია, არც განათლება აკლია და რაც მთავარია, ბასკაკოვა საქმის კურსში არა ჰყავს შეყვანილი.
ქუთაისში გადმოყვანის შემდეგ ის უკვე მიხვედრილია, რომ რესტორანში მომხდარი სკანდალი განგებ, მილიციაში მის მისაყვანად იქნა მოწყობილი. დარწმუნებულია, ჩვენ რაღაც კვალს მივაგენით, ბასკაკოვა კი ხოტოველისაგან ფულის მიღებას არ დაფარავს, ჩარგიევს ამის შესახებ არ გაუფრთხილებია, მაშასადამე, ეს ფაქტი მან უნდა დაადასტუროს, სხვა გზა არა სქვს.
- სავსებით ლოგიკურია,- დაეთანხმა ბალანჩივაძე, შემდეგ ცოტა ხანს იყუჩა და ღიმილით დაუმატა:- ოპერატიულმა ჯგუფმა თავისი საქმე შეასრულა, დანარჩენი ასე ვთქვათ,წმინდა გამოძიების საქმეა, მე სავსებით ვენდობი შენს ინტუიციას და მწამს, ამ საქმეშიაც არ გმიტყუნებს იგი.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დავით ილიჩ,ყველაფერი რიგზე იქნება.

- გინდა რამეში დახმარება?
- გმადლობთ,დავით ილიჩ,კრიმინალისტური და გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნები ზეგ ხელთ მექნება, ვფიქრობ, კიტოვანის ჩემოდანში აღმოჩენილი ქალის ხელთათმანებისა და ტყეშელაიძის ბინაში ფანჯრის ლურსმანზე ნაპოვნი ძაფის იდენტურობა სავსებით დადასტურდება.
- ფულზე გაკეთებული წარწერა?
- ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონია, ესეც კიტოვანის ნაწერია, რაც შეეხება სისხლს, ეჭვს არ იწვევს, იგი დაჭრილ ბანდიტს ივანისელს ეკუთვნის, ამაზე ექსპერტიზა გვეტყვის გადამწყვეტ სიტყვას.
- კეთილი, როდის აპირებთ ბანდიტებთან საბოლოო შეჭიდებას?
- როდესაც ექსპერტების დასკვნები ხელთ მექნება, მანამდე მათ ვინაობას დავადგენთ. სერგო უკვე გაფრინდა თბილისში შეპყრობილთა თითების ანაბეჭდებით, დღესვე შეადარებს დაქტილობარათებს და ღამის მატარებლით ქუთაისში წამოვა. ეს საკითხები სრულებით არ მაწუხებს,მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობ.
- სახელდობრ?
- ჩარგიევი... თუ სერგომ მისი ვინაობის დადგენა თითის ანაბეჭდებით ვერ შეძლო, საქმე გართულდება. ის ისევე ჩარგიევია, როგორც მე ჩინეთის იმპერატორი.
- ისევ გჯერათ, რომ მან ქართული ენა იცის?
- მჯერა, დავით ილიჩ, მტკიცედ მჯერა, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის მისი ვინაობის დასადგენად, ხოლო დევიძე ან ჩვენი ბუზღუნა დასტაქარი მას ვერ ამოიცნობენ. ამაში ეჭვი არ მეპარება. ბანდიტებიც არ გასცემენ. აი რატომ ვფიქრობ, მისი ვინაობის დადგენა დიდ დროს წაგვართმევს.
- პროკურორმა რა თქვა?
- მხოლოდ დროებით დაკავებაზე დამთანხმდა.
- დეტალურად გააცანით თქვენი მოსაზრებანი ჩარგიევზე?
- დიახ, მაგრამ დაპატიმრების სანქციაზე ცივი უარი მითხრა, „მხოლოდ მოსაზრებებით ადამიანს ვერ დავაპატიმრებთო„ რას იზამ, მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი, ჩარგიევი სამართლის პროცესუალური ნორმების თვალსაზრისით ჯერ–ჯერობით ბროლივთ სუფთა, უდანაშაულოა.
- მართალი ხარ, მოქალაქის უსაფუძვლოდ დაპატიმრება დანაშაულია.
- ჰოდა, სწორედ ამიტომ, ვიდრე დროებით დაკავებას მაინც შევათანხმებდი, ხარაბაძე არ მომშორდა.
ბალანჩივაძემ ჩამქრალი პაპიროსი საფერფლეზე დასდო.
- რას ფიქრობთ ბასკაკოვაზე?- შეცვალა საუბრის თემა.
- მე მგონია ბასკაკოვამ არ იცის, ვინ არის ჩარგიევი,იგი ღრმად დარწმუნებულია მის პატიოსნებაში და სერიოზულად წუხს საქმროს დაპატიმრებას, ეჭვი არ ეპარება, აქ რაღაც გაუგებრობაა. ძალზე გაუკვირდა თურმე, როდესაც დღეს სისხამ დილით განყოფილებაში მისულმა ჩარგიევის ქუთაისში წაყვანა გაიგო და უყოყმანოდ გამოსწია ჩვენთან. სხვათა შორის, მჯერა მისი გულწრფელობა, ხოლო

ხოტოველისა და მისმა მაგნიტოფონზე ჩაწერილმა საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა. ბასკაკოვა არ არის ბანდის საქმიანობის კურსში.
- მეც ასე ვფიქრობ, თუმცა საბოლოო დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა. ვნახოთ რას გამოარკვევს გამოძიება. მით უმეტეს თუ თქვენი ვერსია დადასტურდა...გაიგზავნა შიფრი ტაშკენტში?
- დიახ, წუხელვე გავაგზავნეთ, ალბათორ დღეში პასუხსაც მივიღებთ.
კარი გაიღო.
- შეიძლება?- იკითხა მელოტმა მაიორმა.
- შემოდით!- ნება დართო ბალანჩივაძემ,- ახალია რაიმე?
- დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, კოლონიიდაენ პასუხი მოვიდა.
ბალანჩივაძემ სათვალე მოირგო, ღერბიანი ქაღალდი გაათალიერა.
- ამ ცნობას უკვე აღარ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა,- ჩაილაპარაკა მან, შემდეგ კალამი აიღო,ქაღალდს რეზოლუცია წააწერა და მინდელს გადასცა.
- დაურთეთ საქმეს,გვატყობინებენ, რომ ნატალია დევიძის მეუღლე, პატიმარი გიორგაძე,ადგილზე იმყოფება და სასჯელს იხდის.
მინდელმა შუბლი მოისრისა, ჩაფიქრდა.
მაიორმა წყნარად გაიხურა კარი.
- რამ ჩაგაფიქრა, ლევან!- დაარღვია დუმილი პოლკოვნიკმა.
- ვფიქრობ, საიდან უნდა ჩაეგდო ხელში გიორგაძის წერიდი კიტოვანს, ის ხომ დევიძესთან ქმრის წერილით მოვიდა.
- ეგ მართლაც საინტერესოა, უნდა ვიფიქროთ,კიტოვანი გიორგაძესთან ერთად იხდიდა სასჯელს და წერილი განთავისუფლებისას წამოიღო.
- ასეთია ჩემი სავარაუდო ვერსიაც, მაგრამ...
- მაგრამ რა?
ვნახოთ, შეიძლება სხვა რამეც გამოირკვეს ჯერ კი მხოლოდ ის არის ნათელი, რომ კიტოვანის მიერ ჩამოტანილი წერილი ნამდვილად გიორგაძის ხელით არის დაწერილი; აი თქვენ თვითონ შეადარეთ,- მინდელმა საქაღალდე გახსნა და წერილების მთელი დასტა ამოიღო.
- ესეც კიტოვანის ჩამოტანილი წერილი,- დაუმატა მან და სამკუთხედ შეკეცილი ბარათი სხვა წერილებთან ერთად პოლკოვნიკს გადასცა.
- მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს,- განაგრძო მინდელმა, ვიდრე პოლკოვნიკი წერილებს ადარებდა,- მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც საეჭვოდ ხდის წერილის კოლონიიდან წამოღების ვერსიას.
პოლკოვნიკმა თავი ასწია.
- თარიღი?
- დიახ, თარიღი, დავით ილიჩ, ყველა წერილი დათარიხებულია, გარდა უკანასკნელისა.
- რა დასკვნა გააკეთეთ ამ ფაქტიდან?
- წერილის დამწერს თარიღი შემთხვევით არ გამორჩენია, აქ თუთხმეტამდე ბარათია და ყველა დათარიღებულია,მაშასადამე, ავტორმა ეს შეგნებულად გააკეთა. შემდეგ... უკანასკნელი ბარათი ფოსტით არ არის გამოგზავნილი,

შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩემი აზრით, დიდი ხნით ადრე დაიწერა. გიორგაძემ და წერილის წამომღებმ არ იცოდნენ, როდის მიიღებდა მას ადრესატი, ამიტომ შეგნებულად არ დაათარიღა იგი.
- შეიძლება,- დაეთანხმა ბალანჩივაძე,- ყოველ შემთხვევაში, კიტოვანმა ასე თუ ისე უნდა ახსნას, ვისგან და როდის წამოიღო ეს ბარათი. სხვა გზა არა აქვს.
მინდელი დუმდა.
საათმა ორჯერ დარეკა ბალანჩივაძე წამოდგა.
- მე წავედი ლევან, ბიუროზე მაგვიანდება. 6 საათისთვის გავთავისუფლდები, თუ ძალიან არ დაიღლები, დამელოდე, მოვალ.
ბალანჩივაძემ პალტო ჩაიცვა და სწრაფად გავიდა.
მარტო დარჩენილმა მინდელმა საქაღალდე გახსნა და შეგროვილ მასალებში ჩაიძირა.
ოპერატიულმა ჯგუფმა ჩინებულად დაძლია მინდობილი საქმე და ბოლომდე მიიყვანა დაწყებული ოპერაცია,მაგრამ მინდელისთვის ახლა იწყებოდა მთავარი. ოპერმუშაკების მთელი ნამოღვაწარი ახლა მას უნდა დაემთავრებინა. ეს კი არც ისე იოლი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.
დიდხანს მუშაობდა გამომძიებელი, რამდენიმე ფურცელი შეავსო შენიშვნებით, კვლავ და კვლავ გადაიკითხა ჩიკვაიძის, ლეჟავას, გრძელიძის, დევიძის, ბასკაკოვასა და სხვათა ჩვენებები, ზოგიერთი ადგილი წითელი ფანქრით გამოჰყო და როდესაც მუშაობა დაამთავრა, საათმა ოთხის ნახევარი დარეკა.
მინდელმა საქაღალდე დაკეცა, სერჟანტი იხმო.
- ამოიყვანეთ ჩარგიევი!- უბრძანა მოკლედ.
რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტის კარი წყნარად გაიღო, სერჟანტმა დაკავებული შემოიყვანა.
ჩარგიევი კარებთან შეჩერდა, მშვიდად შეათვალიერა სავარძელში მჯდომი გამომძიებელი.
- ახლოს მოდით!- უთხრა გამომძიებელმა.
ჩარგიევმა ნელა მოაბრუნა თავი, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი წადგა და მაგიდასთან შეჩერდა.
- დაჯექით!- ქაღალდებიდან თავისუფლად შეეპატიჟა მინდელი.
პატიმარი უხმოდ ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და პირქუშად მიაჩერდა თავდახრილ გამომძიელებს.
სამარისებული სიჩუმე გამეფდა.
მინდელმა უეცრად შეწყვიტა ქაღალდების ფურცვლა და ჯიქურ შეხედა პატიმარს, ჩარგიევმა ცივი, მშვიდი მზერა მიაგება.
- თქვენი გვარი?
- ჩარგიევი მათე ალექსის ძე.
- როდის დაგაკავეს?
- წუხელ, ღამის დაახლოებით 11 საათზე.
- თქვენი საქმის გამოძიება მე მაქვს დავალებული.
- ჩემი საქმის გამოძიება? რა საქმის?

- ეს მგონი თქვენთვის უკვე ცნობილია.
- პირიქით , მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვიღაც ხულიგანმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, კანონიერების დამცველებმა კი მე დამაკავეს.
- მაშ თქვენ დაზარალებული ხართ?
- ცხადია, მაშ ვინ უნდა ვიყო?
- კეთილი, არ გეკამათებით, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაქვს.
- ბრძანეთ!
- როდის და სად გაიცანით მოქალაქე ხოტოველი?
- ამას რა კავშირი აქვს ჩემს შეურაცხყოფასთან?
- მიპასუხეთ!
- ინებეთ,დაახლოებით 5 დღის წინ, წყალტუბოში.
- რა პირობებში?
- არავითარი განსაკუთრებული პირობები არ ყოფილა, სრულიად შემთხვევით გავიცანი.
- მაინც?
- მე სამკურნალოდ ვარ ჩამოსული, ფული შემომაკლდა, მინდოდა ზოგი რამ გამეყიდ და რაკი სურვილი გამოთქვა, მას მივყიდე.
- რა მიჰყიდეთ?
- 2 კოსტუმი და ერთიც პალტო. 5000 მანეთი მომცა.
- როდის მოგცათ ფული?
- ფული გუშინ საღამოს ჩამოიტანა.
- თქვენ მოგიტანათ?
- არა, ტატიანა ბასკაკოვას.
- ვინ არის ბასკაკოვა?
- ჩემი დანიშნული.
- დიდი ხანია იცნობთ?
- საკვირველი კითხვაა, რა თქმა უნდა, დიდი ხანია, ერთი წელიწადია.
- სად გაიცანით?
- ქალაქ ტაშკენტში.
- კეთილი, მაგრამ რატომ ბასკაკოვას მიუტანა ფული ხოტოველმა და არა თქვენ?
- მე თბილისში ვაპირებდი წასვლას და ბასკაკოვას ვთხოვე შეენახა,ხოტოველიც გავაცანი.
- იცოდით, რომ გუშინ საღამოს უნდა მოეტანა ფული ხოტოველს?
- დიახ,ვიცოდი.
- მაშ რატომ თვითონვე არ შეხვდით?
- ამას ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.
- კეთილი, მაგრამ უცნობ კაცს როგორ ენდეთ?
- ნდობა გარანტირებული იყო,ვიცოდი სად მუშაობდა ხოტოველი.
- და თქვენ ეს საკმარისად ჩათვალეთ?
ჩარგიევი გაბრაზდა.

- თქვენ რა, იმიტომ დამაკავეთ, რომ ფულის დაკარგვის საშიშროება მელოდა?- გამოსცრა კბილებში.
- ცხადია არა!
- მაშ მითხარით, რა გინდათ და გაათავეთ.
- კეთილი, გავათავოთ, რამდენად მიჰყიდე ხოტოველს ნაქურდი ოქროს ნივთები და 3%- იანი ობილიგაციები?
განრისხებული ჩარგიევი ფეხზე წამოიჭრა.
- თქვენ... თქვენ, ვის უბედავთ ამგვარ შეურაცხყოფას! იცით თუ არა, რომ მე თქვენ ამისათვის პასუხს გაგებინებთ!- შეჰყვირა მან.
- მშვიდად, ჩარგიევ, ისტერიკები საჭირო არ არის, ამით არაფერი შეიცვლება,- დინჯად შენიშნა მინდელმა.
- თქვენ პასუხს აგებთ შეურაცხყოფისათვის!
- დაჯექით, ზედმეტ უფლებას ნუაძლევთ თქვენს თავს,- ისევ შენიშნა მინდელმა. ჩარგიევი დაჯდა,შემდეგ ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ზედიზედ მოქაჩა.
- ჩარგიევ,- დაიწყო მინდელმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ,- თქვეთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ხულიგნისაგან შეურაცხყოფილ ადამიანს ჩვენში არ იჭერენ. რაკი აქ მოხვედით, დღეს თუ ხვალ იძულებული გახდებით , ყველაფერი აღიაროთ კიდეც!
- შეურაცხყვეთ და მემუქრებით კიდეც?
- არ გემუქრებით,გაფრთხილებთ მხოლოდ, რომ მთელი საქმე გახსნილია და თქვენი თანამონაწილენიც საიმედოდ არიან ჩაკეტილი.
- ვინ თანამონაწილენი, რას ამბობთ!
- დანაშაულის მონაწილენი.
- გიმეორებთ, შეურაცხყოფას თავი დაანებეთ, მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია.
- კეთილი , პირში წაგიყენებთ თქვენს თანამონაწილეებს.
- თუნდაც ახლავე, ამ წუთში! ვერ წარმომიდგენია,ვინ უნდა დამიპირისპიროთ უდანაშაულო, პატიოსან ადამიანს.
- აჩქარება საჭირო არ არის, ყველაფერი თავის დროზე იქნება.
- მე ლოდინი არ შემიძლია,ლამის გავგიჟდე. თქვენ ალბათ არ იცით, რა არის უდანაშაულო კაცის პატიმრობა.
ჩარგიევმა საჩვენებელი თითი პირში ჩაიდო და ბრაზიანად მოიკვნიტა ფრჩხილი.
- რატომ იკვნეტთ ფრჩხილებს? თქვენი პროფესიის კაცს დამახასიეთებელი გამასხვავებელი ნიშნები არ უნდა ჰქონდეს, საშიშია,- დაცინვით შენიშნა გამომძიებელმა.
- თქვენ ჩემს ფრჩხილებთაენ არაფერი გესაქმებათ.
- პირიქით, ძალზე გვაინტერესებს. დაკვნეტილი ფრჩხილები თქვენდა საუბედუროდ ჭაღარა წვერი ჩაბალახი როდია, რომ თქვენი სურვილით გაიკეთოთ და მოიშოროთ.
- რის წვერი, რა ჩაბალახი?!- განცვიფრდა ჩარგიევი.

- კმარა მათე,- დინჯად დაიწყო მინდელმა,- თქვენი მასკარადი დამთავრდა, თუ გნებავთ, მე თვითონ გიამბობთ თქვენს დანაშაულს,ეხლა ეს გამოძიების მსვლელობას ვერ ავნებს.
- საინტერესოა,- მწარე ღიმილით შენიშნა ჩარგიევმა,- მიამბეთ!
- ინებეთ: თქვენმა ბანდამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ეწვია ქუთაისს, 12 იანვარს გაძარცვა ტყეშელაიძის ბინა და მოჰკლა ტყეშელაიძე, რომელმაც თავის მხრივ მოასწრო ივანისელის–თქვენი საუკეთესო მეგობრის საკმაოდ სახიფათოდ დაჭრა. დაჭრილი დევიძის სახლში დამალეთ. შემდეგ თქვენ და კიტოვანმა ქირურგი გრძელიძე მოიტაცეთ, აიძულეთ ბინაზე გაეკეთებინა ოპერაცია და მეორე დღეს ღამის 12 საათამდე ოთახში გყავდათ დამწყვდეული. ივანისელს ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული; თქვენ თქვენი სისხლი მიეცით; ორი დღის შემდეგ ჩიკვაიძე მოჰკალით, რადგამ გაცემისა შეგეშინდათ. ნაქურდალი ნივთები და 3%- იანი ობილიგაციები ხოტოველს მიჰყიდეთ, რომელმაც ფულის ფულის ნაწილი გუშინ ჩამოგიტანათ, ბასკაკოვას დაუტოვა, თქვენ კი კონსპირაციის თვალსაზრისით არ გამოუჩნდით ხოტოველს. ბასკაკოვას რესტორანში შეხვდით ჭაღარა გრიმისადა ჩაბალახის გარეშე, რა უყავით წვერი?
ჩარგიევის გაქვავებულ სახეს არავითარი ცვლილება არ დასტყობია, არც ერთი კუნთი არ ასტოკებია სახეზე, ყურადღებით უსმენდა მინდელს და განუწყვეტლივ აბოლებდა
- რას იტყვით?- დაარღვია დუმილი მინდელმა.
- მშვენიერი ზღაპარი, მარტომ შეთხზეთ?
- ასეთ ზღაპრებს მწარე ბოლო მოსდევს, ჩარგიევ.
- მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ თუ ზღაპარზე ყველაფერი ითქვა, გთხოვთ, საქმეს დაუბრუნდეთ და მიიღოთ ზომები ჩემს გასათავისუბლებლად. გარწმუნებთ, დიდი ხანია განვვლე ეგ ასაკი და ზღაპრები აღარ მაინტერესებს.
- ასაკი კი განვლეთ, მაგრამ თქვენი ქცევა ამჟამად მართლაც ბავშურია. ნუთუ ფიქრობთ, რომ მტკიცე მასალების გარეშე დაგაპტიმრებდით
- მაშ დაპატიმრებულიც ვარ?
- ცხადია!
- მე პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ
- ეგ თქვენი უფლებაა, თუმცა გარემოებას ვერ შეცვლის
- არა ხუმრობთ?
- დაკითხვის წარმოებისას არასოდეს არ ვხუმრობ,- მშვიდად მიუგო მინდელმა.
- თქვენ პასუხს აგებთ ძალადობისათვის, იცოდეთ, პასუხს აგებთ!- შეჰყვირა ჩარგიევმა.
- ყვირილს თავი დაანებეთ,ბოროტმოქმედთა მუქარის ჩვენ არ გვეშინია.
- ჩარგიევი ბრაზით აცახცახდა, საკმაოდ სანდომიანი სახე ერთბაშად მოექცა, თვალები სისხლით აევსო,მძულვარებით შეხედა გამომძიებელს.
- ბოლოს და ბოლოს რა გინდათ ჩემგან?- ძლივს ამოიხრიალა მან.
- მინდა შეიგნოთ, თქვენი გამოუვალი მდგომარეობა და დანაშაული აღიაროთ.

- რამდენჯერ უნდა გითხრათ, მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია, ველარ გაგაგებინეთ?
- მაშ ხოტოველს ტანსაცმელი მიჰყიდეთ?
- დიახ, ტანსაცმელი.
- საოცარია!
- რა არის საოცარი?- გაუკვირდა ჩარგიევს.
- ის რომ ხოტოველი კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს.
- შეუძლებელია!- აღმოხდა ჩარგიევს.
მინდელმა ზარის ღილაკს დააჭირა თითი.
- შემოიყვანეთ ხოტოველი!
ჩარგიევი სკამზე შესწორდა, მოუთმენლად მიაჩერდა კარებს.
ხოტოველი ათრეული ნაბიჯით შემოვიდა,ქურდულად შეხედა ჩარგიევს, რომელიც სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა, მერე ცალი გვერდით ჩამოჯდა გამომძიებლის მიერ მითითებულ სკამზე.
- ხოტოველო, გაიმეორეთ, რა გინდოდათ წყალტუბოში!- მტკიცე ხმით მოსთხოვა მინდელმა.
- აკი გითხარით, უფროსო!- დაიკნავლა ბეჭდების უიღბლო გამყიდველმა.
- გაიმეორეთ– მეთქი – ხმას აუწია მინდელმა.
- ბეჭედი მივყიდე ტანია ბასკაკოვას,ყელშიც გასჩხერია ის ბეჭედი!- ბრაზიანად ამოღერღა ხოტოველმა.
- იცნობთ თქვენს პირდაპირ მჯდომ მოქალაქეს?
ხოტოველმა დაფეთებული მზერა მშვიდად მჯდომ ჩარგიევ მიაპყრო.
- პირველად ვხედავ.
- არა ცდებით?- კვლავ შეეკითხა გამომძიებელი.
- რანაირად უნდა ვცდებოდე,როცა არსად მინახია.
- კეთილი,მაგრამ იქნებ რაიმე მიჰყიდეთ და აღარ გახსოვთ? აბა კარგად დააკვირდით.
- არა–მეთქი! რა დაკვირვება მინდა, პირველად ვხედავ
- მაშ იქნებ მისგან იყიდეთ რამე?
- არა, უფროსო, არ ვიცნობ, გვარიც კი არ ვიცი მისი,- უპასუხა ხოტოველმა დაბეჯითებით.
- კეთილი...
მინდელმა სიტყვა სიტყვით უთარგმნა ხოტოველის ჩვენება ჩარგიევს.
- ეს სუბიექტი სტყუის, აშკარად სტყუის!- იყვირა ჩარგიევმა, შემდეგ მოკუნტულ ხოტოველს მიუბრუნდა:- წყეულო ვაჭრუკანავ! რატომ მალავ, განა ორი კოსტუმი და ერთი პალტო არ მიგყიდე 5000 მანეთად?- შეუტია თვალების ბრიალით.
- მართალია, უფროსო, მომყიდა, 5000 მანეთად მომყიდა,- დაადასტურა ხოტოველმა.
- მითარგმნეთ!- ისევ იყვირა ჩარგიევმა.
მინდელმა უთარგმნა.

- ოქმი, ახლავე ოქმი გაფორმეთ!- მტკიცედ მოითხოვა ჩარგიევმა.
რამდენიმე წუთის შემდეგ თარჯიმნის თანდასწრებით დაპირისპირების ოქმი შედგა.
ხოტოველმა თავიდან ბოლომდე უარყო აქამდე მიცემული ჩვენებები და დაადასტურა, რომ ჩარგიევისაგან 5000 მანეთად 2 კოსტუმი და ერთი პალტო იყიდა და შენაძენი სამი დღის შემდეგ 1000 მანეთის მოგებით გაჰყიდა.
მინდელს ხოტოველის მოქმედება არ გაჰკვირვებია, ის თითქმის ელოდა კიდეც ამ ამბავს. ხოტოველი საკანში გაისტუმრა და ჩარგიევის დაკითხვა განაგრძო.
ჩარგიევმა კვლავ კატეგორიულად უარყო ბრალდება, გაკვირვება გამოსთქვა ვიღაც კიტოვანის, ივანესელის, ბალავაძის ცნობაზე და გადაჭრით მოსთხოვა გამომძიებელს, დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა პატიმრობიდან.
- წინააღმდეგ შემთხვევაში ხვალიდან შიმშილს ვაცხადებ!- განაცხადა მან.
უკვე კარგად დაღამებული იყო, როდესაც გამომძიებელმა დაკითხვა დაამთავრა და პატიმარი საკანში გაისტუმრა.
მინდელმა საქმე ცეცხლგამძლე ყუთში ჩაჰკეტა და დაღლილი ნაბიჯით დაფიქრებული გავიდა კაბინეტიდან.
დაფიქრების საბაბი კი საკმაოზე მეტი იყო: პირველი იერიში უშედეგოდ დამთავრდა,გამომძიებელსა და ბოროტმოქმედთა შორის ბრძოლა მხოლოდ იწყებოდა.

თავი IX

ბანდიტების დაკავებიდან 6 დღეღამე გავიდა, მაგრამ ჩარგიევის საქმემ იოტისოდენადაც ვერ წაიწია წინ. მინდელის ვარაუდი გამართლდა–გრძელიძემ და დევიძემ ჩარგიევის პიროვნება ვერ ამოიცნეს. მტკიცედ განაცხადეს, არსად გვინახავს, პირველად ვხედავთო. გრძელიძემ გაკვირვებაცხ კი გამოთქვა, სად ეს ახალგაზრდა და სად ჩემი გამტაცებელი ჭაღარაო.
ჩარგიევმა, რომელმაც თარჯიმნის საშუალებით მოისმინა მოწმეთა ჩვენება,შეუვალად მოითხოვა დაპირისპირების გაფორმება და პატიმრობიდან დაუყონებლივ განთავისუფლება.
- მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა უმწიკვლო ადამიანის ლაფში ამოსვრა,- დაემუქრა მინდელს.
გამომძიებელი არ შედავებია. მაგრამ განთავისუფლებაზე ჯერჯერობით უარი უთხრა.
ჩარგიევი აღშფოთდა, დიდხანს ედავა გამომძიებელს და სასწრაფოდ მოითხოვა პროკურორი.
ხომერიკმა ინახულა პატიმარი, გულდასმით მოისმინა საჩივარი გამომძიებლის მოქმედებაზე, შეპირდა, საქმის პირადად შემოწმებას და ორ დღეში გადაწყვეტილების მიღებას.

ჩარგიევი ისევ აღშფოთდა, სასტიკი პროტესტი განაცხადა ადამისნის ბედისადმი ასეთი ჩინოვნიკური დამოკიდებულების გამო და კვლავ გაიმეორა თავისი მოთხოვნა.
- მე უდანაშაულო ვარ, ან ბრალდება წამომიყენეთ ან დაუყოვნებლივ გამანთავისფლეთ, რას მიქვია კიდევ ორი დღე, განა ის არ კმარა, რომ უდანაშაულო ადამიანი 6 დღე და ღამე საკანში ვარ გამომწყვდეული?- იფეთქა და ახლა ხომერიკს დაემუქრა ზემდგომი ინსტანციებით.
მორიგ დაკითხვისას მინდელმა ერთგვარ ექსპერიმენტს მიმართ. კაბინეტში შირმა დადგა, ხოლო შირმის იქეთ ჯერ გრძელიძე, შემდეგ დევიძე მოათავსა და ჩარგიევის ხმა მოასმენინა. გრძელიძე შეყოყმანდა, ხმა თითქოს ეცნო, მაგრამ გადაჭრით ვერაფერი თქვა,დევიძეს ყოყმანიც არ დაუწყია, მტკიცედ განაცხადა უარი.
ამგვარად,გამომძიებელს ამ მხრივ მტკიცების შეკრების სუსტი ძაფიც გაუწყდა და იძულებული გახდა ჩარგიევის მხილების სხვაგზა ეძებნა.
ბანდიტების შეპყრობიდან სამი დღის შემდეგ ძიძიგურმა იოლად დაადგინა ბალავაძის, კიტოვანის ვინაობა.
როგორც მოსალოდნელი იყო, დევიძის ბინაში შეპყრობილი ბოროტმოქმედნი არაერთხელ ნასამართლევი ქურდ–რეციდივისტები აღმოჩნდნენ და სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მილიციის სამმართველოსაც განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ჰყავდათ აყვანილი სამთავე.
ძიძიგურმა გამოარკვია, რომ ივანისელი წინათ ჩადენილი მსხვილი ქურდობის გამო უკვე ოთხი წელია იძებნებოდა, ხოლო კიტოვანი და ბალავაძე ერთი წლის წინათ გაქცეულიყვნენ საპატიმრო ადგილიდან, სადაც ისინი 15 წლით ჩაესვათ შეიარაღებული მძარცველობისათვის.
მხოლოდ ჩარგიევზე არ იყო არავითარი ცნობები. ტაშკენტიდან გამოგზავნილი ცნობით ქალაქის მილიციის სამმართველო ადასტურებდა ჩარგიევის ანკეტურ მონაცემებს, იტყობინებოდა, რომ ჩარგიევი ორი წლის წინათ ჩასულიყო ტაშკენტში, დღემდე მსუბუქი ტაქსების №2 პარკში მორიგ დისპეტჩერად მუშაობდა და რაიმე საეჭვო საქმიანობაშიც არ იყო შემჩნეული.
ასე რომ, ყველა მასალა, რაც კი გამოძიებამ ჯერჯერობით შეკრიბა, მხოლოდ ჩარგიევის სასარგებლოდ მეტყველებდა.
მინდელმა მოწყენეით გადაათვალიერა ჩარგიევის საცნობარო ფურცელი,- „сведений нет„ ,- იუწყებოდა რესპუბლიკური სამმართველო.
- сведений нет,- ხმამაღლა წარმოთქვა მინდელმა.
მინდელმა ცეცხლ გამძლე ყუთი გახსნა, მუყაოს ყდაში ჩასმული, ჯერ აუკინძავი, საკმაოდ სქელტანიანი საქმე ამოიღო, შემდეგ არაერთხელ წაკითხული მასალების ხელახლა კითხვას შეუდგა.
ბასკაკოვა არ უარყოფდა ჩარგიევთან ინტიმურ ურთიერთობას და განმარტავდა, ქორწინების ოფიციალური გაფორმება ზაფხულისთვის ჰქონდათ გადაწყვეტილი.წყალტუბოში იანვრის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა, ჩარგიევი

რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულა ტაშკენტიდან თბილისში და საცოლეს წყალტუბოში დახვედრია. ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ, მხოლოდ სხვადასხვა ნომერში. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად სადილობდნენ, უფრო ვახშმობდნენ, მხოლოდ ეს იყო ბასკაკოვას ვერ გაეხსენებინა, იყო თუ არა მასთან მათე 12 იანვარს, ტყეშელაიძის მკვლელობის ღამეს.

თვით ჩარგიევი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ 12 იანვარს, ისე როგორც სხვა დღეებში, ის სასტუმროში იმყოფებოდა და წყალტუბოდან არსად წასულა. შეუძლებელი აღმოჩნდა მისი ალიბის გაბათილება.
რესტორნის ოფიციანტმა, რომელიც ჩარგიევის მოთხოვნით დაკითხეს, გადაჭრით უჩვენა, ჩვარგიევი და ბასკაკოვა ყოველ საღამოს ერთად ვახშმობდნენ და 12 იანვარსაც მათ მაგიდას მე ვემსახურებოდიო.
დევიძის ბინაზე შეპყრობილი ბანდიტები კატეგორიულად უარყოფდნენ ჩარგიევისა და ბასკაკოვას ნაცნობობას. ბასკაკოვაც, რომლის ჩვენება გამომძიებელს საეჭვოდ არ მიაჩნდა, უარყოფითად პასუხობდა ამ კითხვას. ხოლო ხოტოველმა არათუ ბანდიტებს, დევიძის ნაცნობობაც უარყო და უჩვენა, მაღაზიაში დღეში 100 მოქალაქე მაინც შემოდის, შეიძლება დევიძეც იყო ჩემთან, მაგრამ არავმთარი საუბარი არ გვქონიაო.
გამომძიებელმა პირში წაუყენა პროგორც დევიძე,ისე გამყიდველი ქალი, რომელმაც დევიძე იცნო და მისი ნათქვამიც დაადასტურა, მაგრამ ხრტრველი გაჯიუტდა და „არას„ გარდა ყველა სხვა სიტყვა დაივიწყა.
მინდელი დარწმუნდა, რომ დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები და ბასკაკოვა ერთმანეთს არ იცნობდნენ, ამავე დროს ეჭვს არ იწვევდა ისიც , რომ ხოტოველი კიტოვანმა გაგზავნა ტატიანა ბასკაკოვასთან, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნაც ამაზე მიუთითებდა. ძნელი მისახვედრი როდი იყო, ვინ მისცა ბასკაკოვას მისამართი კიტოვანს, მაგრამ კკიტოვანი კატეგორიუოლად უარყოფდა ჩარგიევის ნაცნობობას.
ბანდიტებიდან ჩამორთმეული 4 რევოლვერიდან საქართველოში ერთი აღმოჩნდა რეგისტრირებული. დაუდგენელი იყო, ვის ეკუთვნოდა სამი და როგორ ჩაიგდეს ხელში ბოროტმოქმედებმა. თვით ფაქტი 4 რევოლვრის და საბრძოლო ვაზნების ასეთი ოდენობით აღმოჩენისა, მტკიცედ მიუთითებდა, რომ გამოძიებას საქმე ჰქონდა
არა შემთხვევით შეპყრობილ ბოროტმოქმედებთან, არამედ ორგანიზებულ ბანდასთან, რომელსაც საკმაოდ მტკიცე ხელი მართავდა.
მინდელის ღრმა რწმენით ეს ხელი ჩარგიევს ეკუთვნოდა და თუმცა შეკრებილი მასალები ჩარგიევის სასარგებლოდ მეტყველებდა, გამომძიებელი იმედს არ კარგავდა, რომ შესაძლებელი იყო საქმის სრულყოფილად გახსნა.
მინდელს დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები ჩარგიევთან დაუყოვნებლივ არ დაუპირისპირებია. გადაწყვიტა ჯერ მათი ვინაობა დაედგინა, ზოგადად დაჰკითხა სამთავე და განცალკავებულად მოათავსა საკნებში. საგულისხმო ის

იყო მხოლოდ, რომ, სამთავემ ივანისელის დაჭრა უცნობებთან ჩხუბით ახსნეს და დაადასტურეს, ქალის გატაცების ცდის ვერსია დევიძის მოსატყუებლად მოვიგონეთო.
შემდეგი დაკითხვისას, რაც მინდელმა თბილისიდან ძიძიგურის დაბრუნების შემდეგ მოახდინა, ივანისელმა და ბალავაძემ ისევ უარყვეს წაყენებული ბრალდებები, მაგრამ ტექნიკური და კრიმინალისტური ექსპერტიზის აქტების გაცნობის შემდეგ უხალისოდ აღიარეს ბინის გაქურდვა და ტყეშელაიძის დაჭრა,- თუმცა ცივი უარი თქვეს განემარტათ, რა უყვეს ან ვის მიჰყიდეს ნაპარავი ნივთები. არც კიტოვანი ამხილეს და მთელი დანაშაული თვითონ დაიბრალეს. ხოლო ჩიკვაიძის მკვლელობა კატეგორიულად უარყვეს.
მინდელმა მათი ჩვენებებიდან ის დასკვნა გააკეთა, რომ ივანისელმა და ბალავაძემ მართლაც არ იცოდნენ, ვის გადაეცა ნაპარავი ნივთები და ხოტოველთანაც მხოლოდ კიტოვანს ჰქონდა ურთიერთობა.
გამომძიებელმა იოლად გამოიცნო ივანისელისა და ბალავაძის განზრახვა, ეღიარებინათ ტყეშელაიძის ბინის გაძარცვა და განზრახვის გარეშე ტყეშელაიძის მკვლელობა, რადგან თუ გამოძიება აღიარებას დაუჯერებდა, ახალი ბრალდებები არაფრით ამძიმებდა მათ მდგომარეობას.
ორთავე ხალისით პასუხობდა, ვიდრე საკითხი ტყეშელაიძის ბინის გაქურდვას ეხებოდა, მაგრამ ახსენებდა გამომძიებელი თუ არა ჩარგიევს, ივანისელი და ბალავაძე უარს აცხადებდნენ მის ნაცნობობაზე და ჯიუტად უარყოფდნენ მასთან ერთად რაიმე დანაშაულის ჩადენას. კიტოვანის ნაცნობობას თუმცა ადასტურებდნენ, მაგრამ ერთხმად ამტკიცებდნენ, ამ საქმეში არ ყოფილა, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთსო.
ჩარგიევთან დაპირისპირებამაც არაფერი შემატა საქმეს. დევიძის ბინაში შეპყრობილმა ბანდიტებმა მტკიცე უარი განუცხადეს მასთან ნაცნობობაზე, ხოლო ბალავაძემ აგდებულად განაცხადა, ისღა გვაკლია პარტნიორად ვიღაც პიჟონი გავიხადოთო.
ჩარგიევი სრული სიმშვიდით შეხვდა ბანდიტებთან დაპირისპირებას, დუმდა და ზიზღით შესცქეროდა სამთავეს.
კიტოვანი არ უარყოფდა ივანისელისა და ბალავაძის ნაცნობობას.
- დიდი ხანია ვიცნობ, იყო დრო ერთად ვმუშაობდით, მაგრამ ამ საქმეში მონაწილეობა არ მიმღია, ქუთაისშიც შემთხვევით შევხვდი, გამიკვირდა კიდეც, რადგან გაქცევის შემდეგ ბალავაძე არ მინახავს; ივანისელი კი სულ არ მეგულებოდა ამ მხარეში,- უტიფრად აცხადებდა იგი.
მინდელმა რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხა საქმის მასალები, შენიშვნებით ისედაც აჭრელებულ ქაღალდს კიდევ რამდენიმე სტრიქონი მიუმატა, შემდეგ პაპიროსს მოუკიდა, სერჟანტი იხმო და საკანიდან ბალავაძის ამოყვანა დაავალა.
- გამსჭრის, უეჭვკლად გასჭრის, ბალავაძე არც იმდენად ჭკვიანია,ორთავე ფეხით გაებას დაგებულ ხაფანგში,- მტკიცედ ჩაილაპარაკა გამომძიებელმა.
ორიოდე წუთის შემდეგ სერჟანტმა ბალავაძე ამოიყვანა.
პატიმარი და გამომძიებელი მარტო დარჩნენ კაბინეტში.

მინდელმა მწყრალად შეხედა, ის რატომღაც თავიდანვე ანტიპატიურად განეწყო ბალავაძის მიმართ და თუმცა ცდილობდა, ვერაფრით ვერ დაეძლია ეს გრძნობა.პატიმარმა თვალი მოარიდა გამომძიებლის მოღუშულ მზერას,ექედნურად გაიღიმა და წვრილი მეჩხერი კბილები გამოაჩინა.
ბალავაძე 30–32 წლისა იქნებოდა, გამხდარი და დალეული,ძალზე გრძელი ხელებით ორანგუტანს წააგავდა, ხოლო ვიწრო მხრებზე დაყრდნობილი დიდი ოთხკუთხა თავი, ერთი შეხედვით, სარზე ჩამოცმულ გოგრას მიუგავდა.ერთმანეთზე გადაბმულ,
ბანჯგვლიან წარბებქვეშ მოუსვენრად ატრიალებდა გადმოკარკლულ თვალებს. ეს თვალები მუდამ სადღაც იყურებოდნენ და ისე გაურბოდნენ პირდაპირ შეხედვას, თითქოს წუხდნენ გამოსაჩენ ადგილას რომ იყვნენ და ადმიანისაგან დამალვა არ შეეძლოთ.
- ბალავაძე! – დაარღვია დუმილი გამომძიებელმა.
- გისმენთ უფროსო!- ასწია თავი პატიმარმა.
- თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჯიუტობას აზრი აღარა აქვს და ყველაზე უკეთესი გზა დანაშაულის სრული აღიარებაა.
- დიახ უფროსო,- უმალვე დაეთანხმა ბანდიტი.
- მაშ აღიარეთ ყველაფერი და გაათავეთ.
- აკი ვაღიარე, სხვა რაღა გინდათ?!- გაიკვირვა ბალავაძემ.
- ის რომ, თქვენი აღიარება სრული არ არის. თავი ქურდად მოგაქვთ და დამწყები ჯიბგირივით კი იქცევით,გეტყობათ ვაჟკაცობის ნატამალიც არ გაგაჩნიათ, ლაჩარი ყოფილხართ.
- ჩემი ლაჩრობა არავის გაუგია, ზოგიც ძიძიგურს კითხეთ და გეტყვით,- წაიდუდუნა ბალანჩივაძემ.
- ეგ უწინ იყო,ახლა კი შიშს დაუბეჩავებიხარ და ივანისელის ოდენასაც ვეღარ ეწევით,გაჯობეს!
- რაში მაჯობეს?
- ვაჟკაცობაში, ივანისელმა სავსებით აღიარა დანაშაული და დაწვრილებით ჩვენებაც მისცა გამოძიებას.
- ეგ ხომ მეც გავაკეთე, თუმცა დიდ ვაჟკაცობად არ ჩაგვეთვლება.
- არა,თქვენ შიში გბორკავთ და ცდილობთ მთავარი დაუმალოთ გამოძიებას.
- რა მთავარი?
- დანაშაულში ჩარგიევისა და კიტოვანის მონაწილეობა.
ბალავაძემ ბოროტად გაიღიმა.
- საკენკს მიყრით?
- სრულებითაც არა.
- – არა კი არა, ნამდვილად. მე რომ სირცხვილად არ მიმაჩნდესჩარგიევისთანა პიჟონის საქმეში გარევა,დავაკმაყოფილებდი თქვენს სურვილებს და გეტყოდით, ისიც ჩვენთან იყო–მეთქი და ამით დაგიმტკიცებდით, რომ მე არავისი არ მეშინია და არც ვინმეს ვფარავ, კიტოვანი კი ნამდვილად არ ყოფილა.

- ცრუობთ! და თუ გინდათ, მე ერთხელ კიდევ დაგიმტკიცებთ, რომ ივანისელთან შედარებით შესაბრალისი ლაჩარი ხართ!- მტკიცე ხმით მიუგო გამომძიებელმა. ბალავაძე აიმღვრა, ბრაზი მოერია.
- დამიმტკიცებთ?- აბა ერთი დამიმტკიცეთ!- ამოიხრიალა მან.
- კეთილი, მხოლოდ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამით არა მარტო თქვენს სილაჩრეს დაამტკიცებთ, არამედ სასჯელის შემსუბუქების უკანასკნელ შანსსაც დაკარგავთ.
- სასჯელს...- ბოროტად ჩაიცინა ბალავაძემ,- თორემ მე ვიცი, დიდ შეღავათს გამიწევთ... იქნებ გგონიათ იმტომ ვაღიარე დანაშაული, რომ თქვენგან ლმობიერებას ველი? ეგ ხომ თქვენც არ გჯერათ, ლმობიერებაა... მერე რაში მჭირდება თქვენი ლმობიერება, რომელიც არასოდეს გამოგშიჩენიათ? ჩვენ კარგად ვიცით, რასაც ვაკეთებთ, ასევე თქვენც, რა საჭიროა ეს კომედია და სულელური აგიტაცია. თქვენი საქმეა–დაგვიჭიროთ, ჩვენ კი გაგექცეთ. ახლა თქვენ გაიმარჯვეთ, ხვალ ჩვენ მოვიგებთ ომს და ამდენ ქაღალდსაც არ გავაფუჭებ.უფრო მოკლე საუბარი გვექნება, თქვენ იცით ჩვენი კანონი, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? ჩარგიევი გაინტერესებთ? ინებეთ და დაუმტკიცეთ ბრალდება. თუმცა ის ერთი პიჟონი ვინმე ჩან.მაგრამ მაინც არ დაგეხმარებით მის დაჭედვაში, მე მგონია, ეს თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, თქვენც ხომ არა ხართ გუშინდელი გამომძიებელი და მშვენივრად უნდა გესმოდეთ ჩვენი.
- თქვენი დახმარება არცა გვჭირდება, მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ მეტსახელი თქვენთვის სწორად შეურქმევიათ, რადგან არა მარტო ტანით, სულითაც „წიპუკა„ ყოფილხართ.
- ლანძღვას თავი დაანებეთ, რაცა ვარ, ყველამ იცის და არც შენ გეპარება ეჭვი ჩემს ვაჟკაცობაში.
- მაშ რატომ არ აღიარებთ ჩარგიევის საქმეში მონაწილეობას?
- აკი გითხარით, ასეთ პიჟონთან ჩვენ საქმე არ გვაქვსმეთქი.
- სტყუით და იმდენად გეშინიათ, ამ „პიჟონის„ სახელის გახსენებაც კი თავზარსა გცემთ.
- რა სახელის?- დაიძაბა ბალავაძე.
მინდელს არაფერი გამოპარვია ბალავაძის ტონის ცვლილება.
„მოდის, თავისუფლად მოჰყვება„–გაიფიქრა სიხარულით.
- ზედმეტი სახელის, თქვენებურად „კლიჩკის„–მიუგო დაუდევრად და თვალი თვალში გაუყარა.
ბალავაძე აიმღვრა მაგრამ სწრაფად შეიმაგრა თავი.
- საინტერესოა,- გაიღიმა მან, იქნებ მითხრათ, რა სახელი ჰქვია?
- სწორედ ამისათვის ამოგიყვანეთ.
- მართლა? მაშ მითხარით და გაათავეთ,- მიუგობალანჩივაძემ მოგონილი სიმშვიდით.
- აჩქარება საჭირო არ არის, ყველაფერს თავის დროზე გაიგებთ, მხოლოდ გაფრთხილებთ, თუ შეეცდებით ხელი შემიშალოთ, მკაცრ ზომებს მივმართავთ.
- არაფერი მესმის,- მხრები აიჩეჩა ბანდიტმა.

- ახლა ყველაფერს აგიხსნით, კარგად მომისმნეთ დადაიხსომეთ: წეღან გითხარით, ივანისელს თქვენზე მეტი აღმოაჩნდა და სათქმელი ბოლომდე თქვა–მეთქი. ახლა მე მას დაგიპირისპირებთ და იგი თვითონვე გეტყვით ჩარგიევის მეტსახელს, მაგრამ თუ რამე მოძრაობით ან წამოძახილით შეეცდებით ივანისელის შეჩერებას, იძულებული გავხდები სათანადო ზომები მივიღო, გ.ასაგებია?
- რა თქმა უნდა, პირველად ხომ არა ვარ,- ბოროტად გაიცინა ბალავაძემ და დაუმატა:- ივანისელმა უნდა მითხრას იმ არიფის კლიჩკა?
- სწორედ ივანისელი გეტყვით. ახლა კი, აქეთ დაბრძანდით, რომ ივანისელს არაფერი ანიშნოთ და ვიდრე ნებას არ დაგრთავთ, მისი შეხედვა ან დალაპარაკება არ გაბედოთ.
გამომძიებელმა ბალავაძე კარების მოპირდაპირე კუთხეში ზურგშექცევით დასვა, შემდეგ სავარძელს დაუბრუნდა და ზარის ღილაკს თითი დააჭირა.
- ამოიყვანეთ ივანისელი!- უბრძანა სერჟანტს.
ბალავძე თამბაქოს აბოლებდა და გულგრილად შეჰყურებდა მის წინ აღმართულ კედელს, მინდელი კი ქაღალდებს ფურცლავდა და თუმცა გარედან არაფერი ეტყობოდა, ღელავდა მან გარკვეული რისკი გასწია და იცოდა, თუ ეს ხერხი არ გასჭრიდა, კიდევ უფრო გართულდებოდა საქმე.
„მე მგონი დავარწმუნე და ვფიქრობ, ჩემი ვარაუდი უეჭველად გამართლდება.ბალავაძე დაგებულ მახეში არა მარტო თვითონ გაებმება, სხვებსახ გააბამს„–ფიქრობდა გამომძიებელი და მშვიდად ფურცლავდა ქაღალდებს.
სერჟანტი ივანისელს შემოუძღვა.
- მანდ დასვით!- უბრძანა მინდელმა და იქვე კარებთან მდგარ სკამზე მიუთითა.
პატიმარი სკამზე ჩამოჯდა,სერჟანტიც იქვე გაჩერდა.
- როგორ გრძნობთ თავს?- შეეკითხა მინდელი ივანისელს.
- გმადლობთ ზრუნვისათვის , არა მიშავს.
- ჭრილობა აღარ გაწუხებთ?
- არა, ყოველდღე დადის ექთანი, წამალსა და მოვლას არ მაკლებენ.
- ხომ არ გსურთ საავადმყოფოში მოგათავსოთ?
- სინაზესა და ნებივრობას თქვენგან ჩვეული არა ვარ, აქაც კარგად ვგრძნობ თავს.- ივანისელმა ბოროტად გაიღიმა.
- უნდა გესმოდეთ, რომ გამოძიებას სრულებითაც არ სურს ფიზიკური ტანჯვა მოგაყენოთ, თქვენთვის სჯობდა საავადმყოფოში დაწოლილიყავით, ჯერ ხომ მთლიანად არ ხართ გ.ანკურნებული, იქ უკეთ მოგივლიან, მით უმეტეს, უკვე აღიარეთ ყველივე და ახლა გამოძიებას მხოლოდ ფორმალური მხარეღა დარჩა შესასრულებელი.
ივანისელის თვალებში სიბრაზემ იელვა.
- რას ჩამაცივდით თქვენი საავადმყოფოთი, სხვა სქმე თუ არა გაქვთ, თავი დამანებეთ და საკანში გამაგზავნეთ!- მიუგო უკმეხად და ფეხზე წამოდგა.
- დაჯექით!- წყნარად უბრძანა გამომძიებელმა,- თუ არ გსურთ , ძალას არავინ გატანთ, რაც შეეხება საკანში გაგზავნას,მოესწრებით, ახლა კი გამოძიება

ბალავაძესთან გაპირსპირებთ და გაფრთხილებთ, ჩემი ნებართვის გარეშე მას არაფერი შეეკითხოთ.
- კი მაგრამ აკი ყველაფერი ვაღიარე, რაღას მაპირისპირებთ?
ბალავაძე შემობრუნდა.
- მშვიდად ბალავაძე!- მკაცრად შენიშნა მინდელმა და შემდეგ ივანისელს მიუბრუნდა:- აი სწორედ ზოგიერთი რამ უნდა უთხრათ ბალავაძეს, ზოგსაც მისგან მოისმენთ და დაადასტურებთ. გასაგებია?
- გასაგებია.
- კეთილი,- მინდელმა საქაღალდე გაშალა, ივანისელისა და ბალავაძის დაკითხვის ოქმები ამოიღო და წინ დაიდო, შემდეგ დაპირისპირების სუფთა ბლანკი მონახა და ანკეტური მონაცემების შევსება დაიწყო.
პატიმრები ჩუმად ისხდნენ, ივანისელი თამბაქოს აბოლებდა, მისგან ზურგშექცევით მჯდომი ბალავაძე კი გისოსებიან ფანჯარას შესცქეროდა და უდარდელად აკაკუნებდა სკამის საზურგეზე.
უეცრად გამომძიებელმა სმენა დაძაბა, კაკუნმა რიტმული ხასიათი მიიღო. გამომძიებელს გარეგნულად არაფერი შეუმჩნევია, დინჯად, ლამაზად გამოჰყავდა ასოები.
ტაკ–ტიკ, ტუკ–ტუკ, ტუკ–ტაკ,ტიკ–ტუკ,- განაგრძობდა კაკუნს ივანისელისაგან ზურგშექცევით მჯდომი ბალავაძე.
მინდელი ხარბად იჭერდა ყოველ დარტყმას, ხოლო როდესაც ივანისელმაც დაიწყო სკამზე დაკაკუნებით თავის გართობა,გამომძიებელმა ძლივს შესძლო მოულოდნელი სიხარულის დაფარვა.
პატიმრები ორიოდე წუთს ერთობოდნენ, თან ზუსტად ასრულებდნენ გამომძიბლის მოთხოვნას და ერთხელაც არ გაუხედიათ ერთმანეთისაკენ.
- აი, ივანისელმა უკანასკნელად რამდენიმეჯერ დაარტყა შეკუმშული ხელის თითები სკამის საზურგეს და კაკუნიც შეწყდა. იმავე წამს ბალავაძე გამომძიებლისაკენ შემობრუნდა.
- გადაიფიქრეთ დაპირისპირება?- შეეკითხა თავხედურად.
- მშვიდად, ბალავაძე!- შეუძახა მინდელმა.
- მესმის უფროსო!- დაკრიჭა მეჩხერი კბილები ბანდიტმა და გამარჯვებულივით გადახედა გამომძიებელს.
მინდელს თითქოს არ შეუმჩნევია ბალავაძის გამოხედვა, სუფთა ფურცელი, რომლის რამდენიმე სტრიქონი წერტილებითა და ტირეებით იყო დაფარული, საქაღალდეში ჩასდო, კალმისტარი გვერდზე გადასდო და სავარძელში შესწორდა.
- შეგიძლიათ შემობრუნდეთ,- ნება დართო ბალავაძეს.
- ვაა,აკი გამაფრთხილეთ, აღარ გეშინიათ?- ცივი ხრინწიანი ხმით გაიცინა ბალავაძემ.
- თქვენი და თქვენისთანების არც როდის გვშინებია,- მშვიდად მიუგო მინდელმა და დაუმატა:- გამოძიება უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას, აღიაროთ ყველაფერი და ამით შეინარჩუნოთ შეღავათის უფლება.
- ერთი ხელი აიღეთ და ...- დაიღრინა ბალავაძემ.

- მაშ არ იცნობთ ჩარგიევს?- დაცინვით შეეკითხა გამომძიებელი.
- ვა, ეს რა ხათას გადავეკიდე, რამდენჯერ უნდა გითხრათ, არა–მეთქი!
- თქვენ?- მიმართა ახლა ივანისელს.
- წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის.
ბალავაძემ ბოროტად გაიღიმა.
- ისევ ძველი ჰანგეი?
ივანისელმა მხრები აიჩეჩა.
- იცით, რა მოქალაქე გამომძიებელო, მე თქვენ გითხარით, როგორ გავქურდეთ ტყეშელაიძის ბინა და როგორ დავჭერი თავდაცვის დროს თვითონ ტყეშელაიძე. გითხარით რომ ამ საქმეზე წიპუკა მახლდა, წიპუკამაც დაადასტურა ჩემი ნათქვამი, სხვა რაღა გინდათ? რას გადამეკიდეთ ვიღაც ჩარგიევით? დაამთავრეთ საქმე და მოგვეშვით! გვისუდონ, თორემ ჩემმა მზემ, მეტს დაკითხვაზეც ვეღარ ამომიყვანთ.
ვეღარ ამომიყვანთ–მეთქი,ეშმაკმა წაიღოს ყველა გამომძინბლის თავი!- ცოფი მოერია ივანესელს.
- სასმართლო ნაადრევია, ფირუზ, მარტო ხომ არ წახვალთ,კიტოვანსა და ჩარგიევს ეწყინებათ.
- კიტოვანი ამ საქმეში არ ყოფილა.
- მაშ ჩოფურას გარეშე გააკეთეთ ეს საქმე?- დაცინვით შეეკითხა მინდელი.
- ეს კიდევ ვინღაა? მინდელს გაეცნა.
- მოკლე მახსოვრობა გქონიათ, ფირუზ, განა ასე მალე დაგავიწყდათ კიტოვანის მეტსახელი? ან იქნებ კვალიაშვილი უფრო მოგწონთ? თუ კიტოვანის მესამე გვარი გირჩევნიათ,შემიძლია დაგისახელოთ.
- ივანისელი აირია, შემდეგ ბალავაძეს ესროლა ბოროტი მზერა.
- ბალავაძეს რას უყურებთ, მიპასუხეთ!- არ მოეშვა გამომძიებელი.
ივანისელი დუმდა.
- თქვენ რას იტყვით ბალავაძე?
- მე რა უნდა ვთქვა?- დაიღრინა მან.
- განა დაგავიწყდათ რაზე შევთანხმდით?
- ჩვენ, ჩვენ შევთანხმდით?
- ცხადია, აკი ითხოვეთ ივანისელთან დამაპირისპირეთო.
- რაო, ვითხოვე? როდის ვითხოვე?- გაოცდა ბალავაძე.
სულ ნახევარი საათის წინ, აკი შევთანხმდით, დამეპირისპირებინეთ ივანისელთან.
- მერე რა?
- მერე და ის, რომ უთხარით, ვინ არის ჩარგიევი და გაათავეთ,- წყნარად მიუგო მინდელმა.
ბალავაძეს ბრაზი მოერია, შემდეგ ივანისელს მიაპყრო მზერა და როდესაც მისი ეჭვიანი ცქერა შენიშნა, გაცოფდა, მძულვარებით შეხედა მშვიდად მომღიმარ გამომძიებელს.
- რა გინდათ ჩემგან?- ჩაიხიხინა ბრაზიანად.

- მინდა უთხრათ ივანისელს ვინ არის ჩარგიევი, კიტოვანზე საჭირო აღარ არის, ივანისელისათვის ეს საკითხი ნათელია.
ივანისელი დაიძაბა,უნებურად შეკუმშა მუშტები და გაშმაგებული მზერა ბალავაძეს მიაპყრო.
მინდელს არ გამოპარვია ივანისელის მღელვარება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, პოზაშეუცვლელად იჯდა მაგიდასთან და ხელში ფანქარს ათამაშებდა.
ბალავაძისათვის გამომძიებელს უკანასკნელი კითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ერთხანს თითქოს გაშტერდა,შემდეგ ხრინწიანად გაიცინა სკამზე გვერდი იცვალა, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და ვიდრე მოუკიდებდა,გამომძიებელს მიუგო:
- პუშკაზე მინდა ამიყვანო? არაფერი შეგეშალოს.
- უთხარით–მეთქი!
ბალავაძე გაცოფდა.
- რას შემომიჩნდი, მე რა ვიცი ვინ არის!- იყვირა ბრაზიანად.
- შიშმა წაგახდინათ?- აკი თქვით წეღან...
- მე...მე ვთქვი?- ბრაზისაგან ენა დაება პატიმარს.
- ცხადია თქვენ!
- რა, რა ვთქვი?
- დაგავიწყდათ?„ჩერ–ქეზი„ , „საშ–კა ჩერ–ქე–ზი„ ,- დინჯად დამარცვლა მინდელმა.
ბალავაძე დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა სკამიდან, შიშმა საშინლად დაუმახინჯა სახე, წამით მეტყველების უნარიც დაკარგა, ქვიშაზე დაგდებული თევზივით რამდენჯერმე დააღო პირი, ჰარი სტვენით შეისუნთქთ, შემდეგ რაღცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო, ავაზასავით ისკუპა ივანისელმა, ერთი ნახტომით გადაევლო მაგიდას და ვიდრე სერჟანტი გაერკვეოდა, ბალავაძე ქვეშ ამოიდო. იმავე წამს მინდელი ივანისელს ეძგერა, გამომძიებელს გონს მოსული სერჟანტიც მიეშველა და როგორციქნა ნახევრად მიმხრჩვალი ბალავაძე გამხეცებულ ბანდიტს ხელიდან გააგდებინა.
ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, ათამდე დათვლასაც ვერ მოასწრებდა კაცი.
- სუკა, პრატიტუტკა, ლეგავის სტუკაჩო! მე მაჩუმებდი, თვითონ კი ყველანი ჩააგირავე, თხასავით გაყიდე?- ახრჭიალებდა კბილებს ივანისელი და მშიერი მგელივით მანამდე იწევდა ბალავაძეზე, ვიდრე სერჟანტმა ხელბორკილი არ დაადო.
ბალავაძე ხმას არ იღებდა. მუნჯივით იჯდა სკამზე,შიშჩამდგარი თვალებით უაზროდ შესცქეროდა გამომძიებელს და ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა.
ის ისე გააბრუა რამოდენიმე წამის წინ დატრიალებულმა ქარტეხილმა, რომ ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. ნებისყოფაწართმეული მანეკენივით გაშეშებული, მექანიკურად იზელდა ყელს, რომელზეც წითლთდ ეტყობოდა ივანისელის თითების კვალი.

დაპირისპირების გაგრძელება არ მოხერხდა, ივანისელი ცოფებს ყრიდა,უშვერი სიტყვებით იგინებოდა და ჯიუტად მიიწევდა ბალავაძეზე. სხვა გზა არ იყო, მინდელმა გამხეცებული ივანისელი საკანში გაისტუმრა.
მინდელი არ ჩქარობდა, მოთმინებით ელოდა, როდის იტყოდა რამეს ბალავაძე, რომელიც ჯერ ისევ პოზაშეუცვლელად იჯდა და უაზროდ ატრიალებდა შიშით გაფართოებულ თვალებს.
უეცრად ბალავაძემ ნადირივით დაიზმუვლა, სკამიდან წამოიწია და გამომძიებლისაკენ გაიწია, მაგრამ გადარაჯებულმა სერჟანტმა მარჯვედ გამოიყენა სამბოს ილეთი, სწრაფად შემოუტრიალა ხელი და ძნასავით დასცა სკამზე.
- მშვიდად, ბალავაძე, თქვენი თამაში დამთავრდა!- მკაცრად შეუტია მინდელმა და ფეხზე წამოდგა.
ბალავაძე გონს მოვიდა.
- ეს რა მიყავი, რა მიყავი–მეთქი, შენი ოხერი დედა...!- ბილწად შეიგინა და გამომძიებელს ზიზღით შეხედა.
- წყნარად, თორემ კარცერში მოხვდებით!- აუღელვებლად შნიშნა მინდელმა.
- მე, მე გამყიდველი, გამცემი? უჰ შენი დედა!...- კვლავ შეიგინა ბალავაძე და შეეცადა ხელიდან გასხლტომოდა სერჟანტს..
- გაიყვანეთ!დღეისათვის კმარა,დანარჩენი შემდეგ, როცა დამშვიდდება,- უბრძანა მინდელმა სერჟხანტს, მაგრამ ბალავაძეს წასვლა არუნდოდა, ხმამაღლა ღრიალებდა და ცოფმორეული იქამდე ისროდა უშვერ სიტყვებს,ვიდრე სერჟანტმა და დასახმარებლად გამოძახებულმა ქვემორიგემ კაბინეტიდან არ გაათრიეს.
მინდელი სიხარულს ვერ ფარავდა. შედეგმა მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. ახლა კიტოვანის გატეხვა საეჭვო აღარ იყო.
გამომძიებელმა სუფთა ფურცელი ამოიღო, რომლის ორი სტრიქონი წერტილ–ტირეებით იყო აჭრელებული, თვალი გადაავლო „კონსპირატორები... ისე გაებნენ ჯერაც ვერ გაუგიათ ეს სწორედ ის უკანასკნელი რგოლია, რომელიც კიტოვანს გასტეხს და ჭაღარასაც აალაპარაკებს„.- ჩაილაპარაკა კმაყოფილებით.
მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მთელი დღე არაფერი ეჭამა, მაგრამ არც კი გრძნობდა შიმშილს.
მტკიცე მოძრაობით გააღო ფანჯარაში გამოჭრილი საჰაერო სარკმელი, მერე დარეკა, სერჟანტს კიტოვანის ამოყვანა დაავალა.
გადამწყვეტი ბრძოლა იწყებოდა.

თავი X

კარებში კიტოვანის გაუპარსავი სახე გამოჩნდა, შემდეგ მთელი ტანით შემოიმართა, მანძილი კარებიდან საწერ მაგიდამდე თავისებური მოძრაობით

გაიარა და შეუპატიჟებლად ჩამოჯდა კუთხეში მდგარ სკამზე. ფეხი ფეხზე გადაიდო და პაპიროსი გააბოლა.
მისი სახე არც ზიზღს გამოხატავდა, არც სიბრაზეს. თვალები დამცინავად მოეჭუტა და ისე შეცქეროდა მინდელს, თითქოს სურდა ეთქვა, ბევრი მინახავს შენისთანა გამომძიებელი და შენც ჩემგან მხოლოდ იმას გაიგებ, რის გამხელასაც მე დავინახავო საჭიროდ.
მინდელმა თითქოს ვერ შეამჩნია პატიმრის გამომწვევი მოქმედება.მშვიდად შეათვალიერა კიტოვანი.
- ფეხი ჩამოიღეთ, სამიკიტნოში როდი ხართ!- უთხრა ცივი ხმით.
- ვაა,განა სამიკიტნო მილიციაზე უარესია?- გაიღრიჭა კიტოვანი, მაგრამ ფეხი ჩამოიღო, პაპიროსი ტუჩების კუთხეში მოიქცია და ხელებით მუხლისთავებს დაებჯინა.
გამომძიებელმა მწყრალად შეხედა, შემდეგ მაგიდის უჯრიდან დაკითხვის შეუვსებელი ბლანკი ამოიღო, წინ დაიდო და ერთხელ კიდევ შეათვალიერა პატიმარი.
- თქვენი გვარი?- დაიწყო დაკითხვა.
- ვა, გუშინწინ არა მკითხე, ვეღარ დაიხსომე?- გაუკვირდა კიტოვანს.
- მე ნამდვილ გვარს გეკითხებით.
- მეც ნატურს გეუბნები, რაღა.
- მაშ არ გინდათ თქვენი გვარი დაასახელოთ? თუმცა არც საკვირველია, თქვენ ხომ მრავალ გვარ ატარებთ.
- არც იმდენს, რომ დახსომება ვერ შევძლო,- ჩაიცინა პატიმარმა.
- მაშინ ჩამოთვალეთ თქვენმი გვარები.
- ძალიან ბევრი მოგივათ, თქვენთვის ერთიც საკმარისია,- კვლავ გაიცინა ცრუ კიტოვანმა.
- კეთილი, რაკი არა გსურთ მე გეტყვით,ბრალდებულო კვალიაშვილო, იგივე დავითიძე, იგივე „ჩოფურა„ იგივე...
- საჭირო აღარ არის, მიაგენით! გაქექეთ უკვე?- შეაწყვეტინა პატიმარმა.
- რა თქმა უნდა. თქვენ ხომ პირველად არ ზიხართ და მშვენივრად იცით თქვენს სრულ ვინაობას დავადგენდით,- დაუდასტურა გამომძიებელმა.
- მომილოცავს მაღარიჩი ჩემზეა, რაღა!
- ლაზღანდარობას თავი დაანებეთ და თქვენ თავზე იფიქრეთ. ნუთუ არ მოგწყინდათ ამდენი ბოროტება?
- აბა, ეგეები არ იყოს! მე თითონ შემიძლია, ვისაც გინდა აგიტაცია გავუწიო,- მკვახედ უპასუხა კიტოვანმა.
- ვხედავ, მაგრამ მაინც, ნუთუ ბორტობაზი უნდა დაასრულოთ თქვენი სიცოცხლე?
- ვაა, ამ ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს. ხომ გაგიგონიათ, ვინ სად ჯდება, მისი ადგილიც იქ აისო, მნც ჩემი ადგილი მამინახია და პურს იმითი ვჭამ.
- ადამიანის სისხლით დამბალ პურს?

- სისხლიან საქმეზე მე არ დავდივარ, სუფთა სამუშაოს მივდევ, რაც ცუდად დაუდევთ, ავიღებ და მორჩა!
- და ასე გინდათ დალიოთ სიციცხლე?
- კიდევ აგიტაციას იწყებთ?- მოიღუშა კიტოვანი.
- თუნაც ასე იყოს, განა ცუდი იქნებოდა პატიოსან გზას დადგომოდით?
- ხელი აიღეთ და...პატიოსან გზას... ესე იგი ქარხანაში ვიმუშაო, ოფლი ვიდინო და თვის ბოლოს რაღაც გროშები მამიგდონ? მამა გიცხონდათ, მეტი საქმე არა მაქვს!
- ბევრი ქურდი გამოსწორდა, პატიოსან ცხოვრებას შეუდგა, შრომას მიეჩვია, ნუთუ თქვენ არ შეგეძლოთ ეს?
- გამოსწორდა... ეს თქვენთვის გამოსწორდა, ერთი ზედმეტი ვირი შეიძინეთ რაღა, ჩვენ კი გვიღალატა, გაგვყიდა, ბევრს ეს სიკვდილად დაუჯდა.
კიტოვანი უეცრად გაბრაზდა, ჩოფურა სახე აუწითლდა,ერთმანეთზე გადაბმული წარბები მოეღუშა.
- იცი რა, უფროსო,- განაგრძო გულმოსულად,- თუ აგიტაციის საქნელად ამომიყვანე, თავი გამანებე, სულ ერთია არაფერი გამოვა.
- კეთილი,- უპასუხა მოკლე პაუზის შემდეგ მინდელმა,- თქვენი ბრალდების საქმეს დავუბრუნდეთ.
- ასე ჯობია,- დაუდასტურა პატიმარმა და კვლავ შემოიდო ფეხი ფეხზე.
- სწორად დაჯექით–მეთქი,- გაბრაზდა მინდელი,- გეყოთ, რაც ითავხედეთ, თქვენ გამომძიებლის კაბინეტში ხართ და არა ქურდების ბუნაგში.
კიტოვანმა ბრაზიანი ხმით გაიცინა, შემდეგ ფეხი ჩამოიღო და სკამზე შესწორდა.
- რომელია თქვენი ნამდვილი გვარი?- გააგრძელა დაკითხვა მინდელმა.
- რომელიც თქვენ მოგეწონოთ, ის ჩათვალეთ,- უპასუხა უკმეხად.
- ეს პასუხი არ არის!- გაწყრა გამომძიებელი.
კიტოვანმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, პასუხი კი არ გასცა.
- დუმხართ?- განაგრძო გამომძიებელმა,- თავი კი ქურდად მოგაქვთ, ძველ ქურდად. თუმცა ჩანს, ქურდადაც არ ვარგიხართ და შიშით დაბეჩავებული ლაზღანდარობით ცდილობთ თავის დაძვრენას, თქვენ მხოლდ ლაჩარი ხართ და სხვა არფერი!
კიტოვანმა თვალები დააბრიალა.
- ლანძღვას თავი დაანებეთ, ჩემი ლაჩრობა ჯერ არავის უთქვამს. ეს თქვენც გამოსცადეთ იმ კახპას სახლში,- მიუგო და ავად შეუბღვირა გამომძიებელს.
- მაშინ ტყავს იცავდით, ეგ ლაჩრის ვაჟკაცობაა, ხოლო როცა ჩავარდით, საკუთარი გვარიც დაგავიწყდათ,- უფრო გააღიზიანა გამომძიებელმა–კმარა!- იყვირა კიტოვანმა,- მე ლაჩარი არა ვარ, მაგრამ თუ შენთვის ასეთი მნიშვნელობა აქვს, გაიხარე:კვალიაშვილი ვარ, შემდეგ დავითაძე,ნიორაძე, გეყოფათ?
- კეთილი მიუგო მინდელმა,- სად გაიცანით ბალავაძე და ივანისელი?
- თბილისში.
- რამდენი ხანია იცნობთ?
- რამდენიმე წელია.
- ვინ გაგაცნოთ?

- ეგ თქვენი საქმეარ არის, მე არავის ჩაგირავებას არ ვაპირებ.
- როდის ჩამოხვედით ქუთაისში?
- 8 იანვარს.
- თქვენი ჩამოსვლის მიზანი?
- გასტროლებზე ვიყავით რაღა,- გაიცინა კიტოვანმა,- მაგრამ ერთი საქმეც არ დაგვიწყია, ისე დავიწვით იმ ძუკნას სახლში.
- მაშ არავინ გაგიძარცვავთ?
- ვა, არა–მეთქი, ხომ გითხარით, ვერ მოვასწარით.
მინდელი გამომცდელად მიაჩერდა პატიმარს, მაგრამ მან გამომწვევად გაუსწორა მზერა.
- მისმინეთ,კვალიაშვილო,- კვლავ დაიწყო გამომძიებელმა,- წეღან გითხარით, თავმ პროფესიულ ქურდად მოგაქვთ და შეგირდივით კი ირჯებით. განა არ გესმით, რომგამოძიებისათვის ყველაფერი ნათელია და ბრალდების აღიარების მეტი არა დაგრჩენიათ რა?
- არა მართლა?- გაკვირდა ცრუ კიტოვანს.
- ნამდვილად!- მტკიცედ დაუდასტურა მინდელმა–მაგრამ ხომ გითხარით, ლაჩარი ხართ–მეთქი, გეშინიათ აღიარების.
- მე არაფრის არ მეშინია. თქვენ კი ტყუილად ცდილობთ პუშკაზე აყვანას. მე არავის არ გავყიდი. სხვა ეძიეთ.
- არც არავინგთხოვთ, უთქვენოდაც ვიცით ყველაფერი.- მოუჭრა მინდელმა.
- მაშ მე რაღად მეკითხებით?
- იმად თუ ოდნავ შეგრჩენიათ, თუგინდ თქვენი ქურდული თავმოყვარეობა, აბდაუბდას თავი დაანებეთ და, ყველაფერი გვიამბოთ.
- ჩემგან ვერაფერს გაიგებთ.
- გავიგებთ,კვალიაშვილო, თქვენ თვითონვე იტყვით,როდესაც დარწმუნდებით, რომ გამოძიებამ ყველაფერი იცის.
- მაგას ვნახავთ,- გაიმეორე ჯიუტად ქურდმა.
- კეთილი,დაკავებისას თქვენ წინააღმდეგობა გასწიეთ და ოპერ მუშაკიც მძიმედ დასჭერით, ეს ერთი. მეორე,თქვენვე აღმოგაჩნდათ 4 რევოლვერი და მრავალი ვაზნა, ამ ფაქტებს ხომ ვერ უარყოფთ?
- რაც მართალია, მართალია!- დაუდასტურა პატიმარმა.
- გრძელიძემ ამოგიცნოთ და დაგიპირისპირდათ კიდევაც მგონი, ესეც არ უნდა იყოს ტყუილი.
- ესეც მართალია.
- ძალიან კარგი. ქალის მოტაცების ზღაპარი თქვენ თვითონვე უარყავით, აღარ მოგეწონათ, ახლა თქვით, სად დასჭრეს ივანისელი?
- ჩხუბში დასჭრეს.
- სტყუით!
- მაშ თქვენ დაამტკიცედ, სად დასჭრეს,- ჩაიცინა კვალიაშვილმა.
- ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, კვალიაშვილო და ჯიუტობას აზრი აღარ აქვს,- მიუგო მინდელმა.

- რა დაამტკიცეთ?
- ის, რომ ივანისელი ტყეშელაიძემ დასჭრა, აი იმ ტყეშელაიძემ, თქვენ რომ გაძარცვეთ და მოჰკალით.
- ჩვენ არავინ არ გაგვიძარცვავს.
- გვიანღაა,ხელთათმანებმა გაგცათ, სისხლის ანალიზმაც დაადასტურა.
- არაფერი მესმის!- მხრები აიჩეჩა კიტოვანმა.
- აგიხსნით,- გამომძიებელმა მაგიდის უჯრიდან ხელთათმანები ამოიღო,კიტოვანს წინ დაუდო და განაგრძო:- ეს ხელთათმანები ეცვა ივანისელს, როდესაც ტყეშელაიძის ბინაში შევიდა. დაჭრის შემდეგ, ფანჯრიდან გადახტომისას, სიჩქარეში მარჯვენა ხელის შუა თით ფანჯარაზე ლურსმანს შეაჭრა და იქვე სისხლის კვალთან ხელთათმანის რამდენიმე ძაფი დასტოვა. ხედავთ?- ხელთათმანი სწორად იმ ადგილზეა გახეული და სისხლიც ეტყობა. ეს ხელთათმანები თქვენს ჩემოდანში ვიპოვეთ, სათანადო ექსპერტიზაც ჩავატარეთ. აი, დასკვნაც ინებეთ,- გამომძიებელმა საქაღალდედან ერთი ფურცელი ამოარჩია და კიტოვანს წინ დაუდო.
- წაიკითხეთ და თვითონვე დარწმუნდით.
კიტოვანმა ზედაც არ დახედა საექსპერტო აქტს, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.
მინდელმა ხელთათმანები ისევ უჯრაში ჩაყარა, ექსპერტიზის აქტიც საქაღალდეში ჩასდო.
- ეხლა ხომ გესმით, რომ თქვენს ჯიუტობას არავითარი აზრი არა აქვს?- დასძინა მტკიცედ.
კიტოვანი ისევ დუმდა,მოწეული პაპიროსი დააგდო და ახალს მოუიდა.
- რას იტყვით?
ისევ დუმილი.
- რას იტყვით–მეთქი?- ხმას აუწია მინდელმა.
კიტოვანი წყნარად შებრუნდა, გამომძიებელს ბრაზიანი მზერა მიაპყრო, ერთხანს უცქირა, შემდეგ ნელ–ნელა დაცხრა, ირონიულად გაიცინა და ყინულივით გადმოაგდო:
- ვაჰ დედასა, სად ჩავვარდი!- თან გამეტებით დაირტყა მკერდზე მუშტი და დაუმატა:- აფსუს, ჩოფურ!
- ასე,- გაიღიმა გამომძიებელმა,- ხომ ხედავთ გზა აღარა გაქვთ.
- ვხედავ რაღა,სუფთად გიმუშავიათ,- ამოღერღა პატიმარმა და ნაძალადევად გაიღიმა.
- მაშ...- დაიწყო მინდელმა.
- მაშ ის, რომ,- სიტყვა ჩამოართვა კიტოვანმა,- ჩემი ბანკი გაკოტრდა, დავიწვი რაღა, თქვენ მოიგეთ. მკითხეთ და გეტყვით, გეტყვით, რაღა!- დაუმატა ბრაზიანად
- კეთილი, აბა დავიწყოთ, როგორ და რა პირობებში გაძარცვეთ ბინა და მოჰკალით ტყეშელაიძე?

კიტოვანი ცოტა ხნით დადუმდა, შემდეგ ხელი ჩაიქნია, თითქოს სურდა ეთქვა, სულ ერთიაო და დაიწყო:
- ეგ საქმე ერთმა ვინმემ მოგვცა, ჰოდა ჩვენც წავედით, ვიცოდით ბინის პატრონები სახლში არ იყვნენ, მაგრამ ალბათ საქმის მომცემს შეეშალა, სახლში პატრონები დაგვხვდნენ, ეძინათ. ის იყო საქმეც მოვათავეთ, რომ კაცმა გაიღვიძა. მე უკვე ფანჯარაში გადავდიოდი. ის მამოხერი ივანისელს ეძგერა, იმანაც პერო მიარტყა და ფანჯრიდან გადმოვარდა, სისხლი სდიოდა, მუცელში იყო დაჭრილი.ეს მერე გავიგეთ, რაღა. ქალმაც გაიღვიძა იფსიხა, ჩვენ კი ავითესეთ, ასე იყო რაღა.
- რამდენი იყავით?
- მე წიპუკა და ფირუზა.
- ივანისელი?
- ჰო,ივანისელი,ფირუზა, რაღა!
- საქმე ვინ მოგცათ?
- ეე, ეგ რა თქვენი საქმეა?
- მაშ არ გინდათ თქვათ?
ყოფურა მოიღუშა.
- იცი რა გითხრა? ჩვენი წესი კარგად იცი, ვინც არ დამწვარა, იმსი გაყიდვა არ იქნება. თუ ასეთ რამეს მკითხავ, ჩემმა მზემ, სულ გავჩუმდები.
- კეთილი,- გაიღიმა მინდელმა,- დრო მოვა და საქმის მომცემსაც დაასახელებთ, ჯერ კი განვაგრძოთ, როგორ შეხვედით ბინაში?
- ისე რა, როგორც სხვა ბინაში შევსულვართ, დუდუკები არ დაგვიკრამს.
- ერთხელ გითხარით, ნუ ლაზღანდარობ–მეთქი,- შეუტია მინდელმა.
- ვა, რასა ცხარობ, უფროსო, მკითხე და გიპასუხე, სხვა რაღა გინდათ?- გაუკვირდა კიტოვანს.
- მე გეკითხებით, როგორ შეხვედით დაკეტილ ბინაში?
- ფანჯარა გავაღეთ და შევედით.
- შიგნიდან დაკეტილი ფანჯარა რგორ გააღეთ?
- ვა, მა რისი ოსტატები ვართ,თუ ფანღარასაც ვერ გავაღებთ?- გულწრფელად გაიკვირვა პატიმარმა.
- არ გინდათ თქვათ?
- გავაღეთ და შევედით, მორჩა და გათავდა!
- კარგი, რა წაიღეთ სახლიდან?
- ცოტა რამ. ჩვენ ბარახლზე არ ვმუშაობთ, ანტიკა რამეები მოგვწონს.- გაიღიმა ცრუ კიტოვანმა.
- მაინც რა წაიღეთ?
- ორი ოქროს ბაკა თავისი ცეპოჩკით და 25000 მანეთის ობილიგაციები.
- კი მაგრამ საქმის მომცემმა გითხრათ, რომ ოქროს საათი და ობილიგაციები იყო მოსაპარავი?
- არა, იმან საქმე მოგვცა.
- ეს როგორ გავიგოთ?

- ისე რა, როგორც ვუბნობ, საქმე მოგვცა და ჩვენც წავიღეთ.
- თქვენ ხომ ტანსაცმლის მოპარვა არ გქონდათ განზრახული?
- მე გითხთრით ბარახლო ჩვენი საქმე არ არის–მეთქი, არ სოხარდება ბლომად ყრია მაღაზიაში იმპორტნი რამეები.
მინდელს გაეღიმა.
- ერთი ეს მითხარით საქმის მომცემი ტყეშელაიძის ნათესავი იყო?
- მე რა ვიცი, ვინ იყო!
- საინტერესოა, განა ახლო ნათესავის გარდა შეეძლო ვისმეს სცოდნოდა, რომ ტყეშელაიძეს სახლში 3% იანი ობლიგაციები ჰქონდა?- დაცინვით შეეკითხა მინდელი.
- ვა,ახლა მე ანკეტას ხო არ შევუვსებდი, საქმე მოგვცა, ეძიეთ და იპოვნით, ნათესავია თუ მტერი!- წარბები შეკრა პატიმარმა.
- ჩვენ უკვე ვიპოვნეთ, კიტოვანო!
- მართლა? მაშ ჰკითხეთ და გეტყვით.
- არა, კიტოვანო, კითხვით ვეღარ ვკითხავთ.
- ვერ კითხავთ, რათა?- გაუკვირდა კიტოვანს.
- თქვენ ხომ მოჰკალით იგი, შეუბრალებლად მოჰკალით!- ყინულივით ცივი ხმით მიუგო გამომძიებელმა.
- მოვკალით? ვინ მოვკალით?- გაფითრდა კიტოვანი და შესამჩნევად აუკანკალდა ხმა.
- ანზორ ჩიკვაიძე, საქმის მომცემი.
- ტყუილია, არავინაც არ მოგვიკლავს, ჩიკვაიძეს არ ვიცნობთ, ტყუილია!- აყვირდა კიტოვანი.
- აი, ნერვებმაც გიღალატათ, ყვირით,- მშვიდად მიუგო მინდელმა და განაგრძო:- რას ერჩოდით ჩიკვაიძეს?
კიტოვანი გონს მოეგო მიხვდა შეცდომა დაუშვა,ნებისყოფა დაძაბა და კანკალი შეიმაგრა.
- ტყუილია, ჩიკვაიძე ჩვენ არ მოგვიკლავს, არ ვიცი ვინ არის,- ამოღერღა ნაძალადევი სიმშვიდით.
- მოჰკალით მეთქი!- შეუვალი ხმით გაიმეორა გამომძიებელმა.
- შენ სველი საქმეების ჩვენზე აკიდებას თავი დაანებე,- კვლავ იყვირა კიტოვანმა,- ჩვენ ქურდები ვართ და არა ბანდიტები.
- კეთილი, ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი მიპასუხეთ, ვისი მანქანით მოიტაცეთ ქირურგი გრძელიძე?
- ხალტურის მანქანა იყო.
- სისულელეებს თავი დაანებეთ! საჭესთან თქვენ იჯექით. გრძელიძემ ამოგიცნოთ.
კიტოვანი აირია, მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მანქანას თვითონ მართავდა. გამომძიებელი მიხვდა პატიმრის მდგომარეობას, გონს მოსვლა და ახალი ტყუილის მოგონება აღარ აცალა.
- ვის გამოართვით მაგნქანა?- შეუტია მკაცრად.

- მე არ ვიცი, წიპუკამ მოიყვანა.
- სტყუით!
- ვა, გეუბნები, არ ვიცი–მეთქი.
- მაშ მე გეტყვით, დავით ქავჟარაძეს გამოართვით.
- მე ქავჟარაძეს არ ვიცნობ.
- არა, იცნობთ, ძალიან კარგად იცნობთ!
- ვის ვიცნობ?
- დავით ქავჟარაძეს, „კიტრას„, აი ვის,- სუსხიანად მიუგო მინდელმა და დაუმატა:- ტყუილად უარყოფთ, ეს უკვე დადგენილია, თუ არ გჯერათ, დაგიპირისპირებთ.
კიტოვანი მოიკუნტა,ერთ წამში დაკარგა ნაძალადევისიმშვიდე და გამომწვევი ქცევა. გაფითრებული, უეცრად დაპატარავებული სახე, წვრილი მოუსვენარი თვალებით,გამომძიებლის გამჭოლავ მზერას აარიდა და უაზროდ შეათვაიერა მუხლებზე დაწყობილი თავისივე ხელები.
- იტყვით თუ არა?- კვლავ შეუტია მინდელმა.
თავდახრილი კიტოვანი ერთხან დუმდა.
- მართალია, ვაღიარებ, რომ მანქანა ქავჟარაძის იყო,- ჩაილაპარაკა თავაუწევლად.
- რატომ ქავჟარაძე არ მართავდა მანქანას?- ახალი კითხვა დასვა გამომძიებელმა.
- მან არ იცოდა რა საქმეზე მივდიოდით, არც ჩვენ გვინდოდა გაეგო.
- რომელი საქმე?
- ტყეშელაიძეს სახლის გაქურდვა.
- მაშ აღიარებთ, რომ ტყეშელაიძის ბინის გასაქურდავად ქავჟარაძის მანქანით იყავით?
- ვაღიარებ, სწორედ მისი მანქანით ვიყავით.
- სად გაიცანით ქავჟარაძე?
- თბილისში გავიცანი.
- როდის და რა ვითარებაში?
- გასულ ზაფხულში, თვე არ მახსოვს. ერთ კამპანიაში შევხვდით, ზარს ვთამაშობდით, ხოდა ნაღდის გარდა 1000 მანეთი ვალიც მოვუგე. ერთ კვირაში უნდა ჩაებარებინა, მაგრამ აითესა. ქუთაისში ჩამოსული შემთხვევით შევხვდი, ფული მოვთხოვე, შემდეგ შევთანხმდით, მანქანა ეთხოვებინა ორი დღით და ვალსაც გადახდილად ჩავუთვლიდი.
- შემდეგ?
- რა გზა ჰქონდა, მათხოვა.
- როდის მიუყვანეთ ქავჟარაძეს მანქანა?
- მეორე დღეს ღამის 2 საათზე.
- სად?
- თავის ბინაზე.
- კეთილი, ვინ არის ის ჭაღარა კაცი, რომელიც გრძელიძის მოსატაცებლად გახლდათ?
- ერთი ჩემი ძმაკაცი.

- ვინ ძმაკაცი, დაასახელეთ!
კიტოვანმა თავი ასწია.
- მე უკვე გითხარით, ეგ ჩვენ კარაბადინში არ სწერია–მეთქი,- მიუგო მტკიცე ხმით.
- აკი დაასახელეთ ქავჟარაძე, რა განსხვავებაა?
- ქავჟარაძე არიფია, არიფები კი სათვალავში არ არის, რაც შეეხება ჩვენს ხალხს, ნაჭერ–ნაჭრადაც რომ ამკუწოთ, არ გავყიდი.
- გამოდის, რომ ჩიკვაიძე თქვენი კაცი იყო, მაშ რად მოჰკალით?
- მე გითხარით, რომ არ ვიცნობ ვიღაც მუდრეგ ჩიკვაიძეს, რას გადამეკიდეთ?- იღრიალა პატიმარმა.
- რად მოჰკალით–მეთქი?- გაუმეორა კითხვა მინდელმა.
კიტოვანს თვალები ჩაუსისხლიანდა, ფეხზე წამოიჭრა.
- თქვენ რა, ტყუილუბრალოდ გინდათ გამიშვათ რასხოდში?- ჩაიხხინა მან.
- დაჯექით!ამის შესახებ მაშინ უნდა გეფიქრათ, როცა მკვლელობას სჩადიოდით.
კიტოვანი მძკლვარედ მიაჩერდა გამომძიებელს, შაემდეგ მუშტი პირთან მიიტანა და ისე გამეტებით უკბინა ცხენისებკრი ჩაყვითლებული კბილებით, რომ სისხლმა გამოჟონა...
- გვიანღაა თითზე კბენა,- შენიშნა მინდელმა.
კიტოვანს არ უპასუხნია.
- თქვით რატომ მოჰკალით ჩიკვაიძე და გაათავეთ!- არ მოეშვა მინდელი!
- არ მომიკლავს–მეთქი! ახლა თუ გინდა, დილამდე მკითხე, აღარ გიპასუხებ, გითხარი ქურდი ვარ და არა ბანდიტი!
- კეთილი, მაგის დროც მოვა,- უპასუხა მინდელმა და ახალი კითხვა დასვა:- რა უყავით ნაძარცვ ნივთებსა და ობილიგაციებს?
კიტოვანმა გაიღიმა, თითქმის გამხიარულდა.
- შევასოხარეთ.
- სად და ვის მიჰყიდეთ?
- ვა, ადგილის მეტი რაა, ქუთაისში ხომ არ დავალეხებდით.
- ისევ ტყუილები დაიწყეთ?
- მე გითხარით, ჩემი ბანკი გაკოტრდა, ამიტომ სიმართლეს ვაღიარებ.
- ტყუილი ანგარიშია, თქვენი ხელის დამცლელი უკვე დაპატიმრებულია.
- ვაა! ვინ არის?
- მალე შეგახვედრებთ.
- შემახვედრებთ და შემახვედრეთ! ეგეც მე ვიტირო?
- მაშ, რატომ არ ამბობთ.
- იმიტომ, რომ არ ვიცი.
- დარწმუნებული ხართ?
- ვა, აი შარი თუ გინდა, ეს არის!- გაიღიმა კიტოვანმა.
- კარგი, ვინ მოგცათ წერილი, რომელიც დევიძეს მიუტანეთ?
- ერთი კაცი ჩამოვიდა მაგა... გადასახლებიდან და იმან მომცა.
- რა გვარია და სად არის ამჟამად?

- ვა, ძალიან ბევრი მოგივათ, ეძებეთ და იპოვით.
- რად გინდოდათ წერილი?
- აკი გითხარით, ქუთაისში გასტროლებზე წამოვედით,ჰოდა, უხიფათო ბინა რომ გვქონოდა, ეს წერილი გამოვიყენეთ.
- წერილი თქვენ ტყეშელაიძის ბინის გაძარცვამდე ჩამოიტანეთ,- შეახსენა მინდელმა.
- სწორია. მერე რა?
- ის, რომ მაშინ მარტო იყავით ჩამოსული და...
- და არც ერთი საქმე არ დამიწყია?- კვლავ ღიმილით შეაწყვეტინა კიტოვანმა და განაგრძო:- მართალია, ჩამოვედი,გიორგაძის ცოლი ვნახე, ბინა შევიგულე და წავედი.
- თქვენი ჩამოსვლის მიზეზი ტყეშელაიძის ბინის გაქურდვა იყო?
- არა, ეგ შემთხვევით გამოვიდა, ჩვენ სულ სხვა საქმე გვქონდა, მაგრამ ვერ გავაკეთეთ ფირუზას დაჭრის გამო.
გამომძიებელი შენიშვნებით აჭრელებულ ფურცლებს დასცქეროდა, უკვე დასმულ კითხვებს ფერადი ფანქრით აღნიშნავდა.
საათმა ხუთჯერ დარეკა, მინდელმა თავი ასწია, კედლის საათს მიაპყრო მზერა, შემდეგ მაჯის საათს დახედა,გაკვირდა შეუმჩნევლად გაერბინა 2 საათს.
გამომძიებელი წამოდგა. ფანჯარა ფართოდ გამოაღო. ოთახში გრილი ჰაერი შემოიჭრა, ბღუჯა–ბღუჯა განდევნა თამბაქოს დაგროვილი ბოლი.
მზიანი ამინდი იდგა. უჩვეულო ყინვების შემდეგ ერთბაშად დათბა, ყინული გალღვა და ქუჩები აატალახა.დაღლილმა მინდელმა გახურებული შუბლი სარკმლის მინას მიაყრდნო, სასიამოვნო სიგრილე შეიგრძნო, ერთ ხანს მისჩერებოდა ქუჩას, მანქანების ცქერით ერთობოდა.
ასე გავიდა ათიოდე წუთი.
კაბინეტში შესამჩნევად გასუფთავდა ჰაერი. მინდელმა ფანჯარა დახურა და სავარძელს დაუბრუნდა.
პატიმარი ისევ თავჩაქინდრული იჯდა და შეუწყვეტლივ აბოლებდა.
- კიტოვანო!- დაარღვია დუმილი მინდელმა.
პატიმარმა თავი ასწია, მოლოდინით მიაჩერდა გამომძიებელს.
- კიტოვანო,- გაიმეორა მინდელმა,- ხომ ხედავთ ჯიუტობას აზრი აღარა აქვს, სთქვით ყოველივე და გაათავეთ.
- ვა,კიდევ დარჩა რამე? რაც გამიკეთებია, მითქვია, რაც არ გამიკეთებია, ტყუილს ხომ არ ვიკისრებ?
- სხვის დანაგშაულს თქვენ არავინ გაბრალებთ, ხოლო რაც გააკეთეთ, იმაზე პასუხს გაგებინებთ.
- მაშ არადა, მე ვიცი.სანატორიუმში გამაგზავნით,- ექედნურად ჩაიცინა პატიმარმა.
- კიდევ ერთხელ გეკითხებით, ვის მიყიდეთ ნაპარავი ნივთები?
- მეც კიდევ ერთხელ გიპასუხებთ, ერთ ვინმეს,- მიუგო კიტოვანმა.
მინდელმა წამით იყუჩა, შემდეგ მოკლედ ისროლა:

- ხოტოველი სალამს გითვლით,ვახტანგ.
- ვინ...ვინ მითვლის?
- ხოტოველი, იოსებ ხოტოველი,- ღიმილით უპასუხა გამომძიებელმა.
- ეს კიდევ ვინღაა?- ისევ ბუნებრივად გაიკვირვა კიტოვანმა, კინაღამ გამომძიებელიც დაეჭვდა.
- იოსებ ხოტოველი, აღარ გახსოვთ, წყალტუბოს ნაწარმი ძეხვი რომ გამოგიგზავნათ?
- არაფერი მესმის!
- როგორ არ გესმით, განა დევიძის ქალი თქვენ არ არ გაგზავნეთ მასთან? იქნებ ამასაც უარყოფთ?
- ჰოო,ხოტოველი? იოსკა?- „მოაგონდა„ კიტოვანს,როგორ არა, გამახსენდა, მაღაზიაში რომ მუშაობს?
- სწორედ ის, ხომ არ გინდათ შეგახვედროთ?
კიტოვანმა თავი ასწია, მომღიმარ გამომძიებელს გამომცდელად შეხედა, შეყოყმანდა.
- რატომუნდა შემახვედროთ?- იკითხა გაუბედავად.
- უბრალოდ, შეგახსენებთ, რა გადაგიხადათ მოპარულ ნივთებსა და ობილიგაციებში და კიდევ...
- კიდევ რა?- თვალები გაუფართოვდა პატიმარს.
- ...და კიდევ...- განგებ გააჭინაურა მინდელმა,- სალამს გადმოგცემთ ჩარგიევ მათესაგან ანუ „საშ–კა ჩერ–ქე– ზისაგან„,- დამარცვლა უკანასკნელი სიტყვები გამომძიებელმა.
კიტოვანი გველცემულივით წამოიჭრა სკამიდან, შემდეგ უეცრად გაფითრდა. საკინძე გაიგლიჯა, თვალებიდან ღვლეფი გადმოსცვივდა.
- მე არავითარ ჩარგიევს არ ვიცნობ,გესმის? არავითარ ჩერქეზს!- ისე იბღავლა, რომ კაბინეტში დაფეთებული სერჟანტი შემოიჭრა და მუშტებმოკუმულ პატიმარს უკნიდან მხრებში სწვდა.
- შეწყვიტეთ ღრიალი!- შეუტია ფეხზე სწრაფად წამომდგარმა მინდელმა. მაგრამ კიტოვანს არაფერი ესმოდა,ანგარიშმიუცემლად მიიწევდა გამომძიებლისაკენ და უეცრად მოღრეცილი პირით რაღაცას ბურტყუნებდა.
- ახლავე შეწყვიტეთ–მეთქი!- იჭექა მინდელმა.
პატიმარი შეკრთა, უაზრო თვალებით მიმოიხედა და სერჟანტის ძლიერ მკლავებში მოქცეული ძნასავით დაეცა სკამზე.
- არ ვიცნობ, არ ვიცნობ–მეთქი!- რამდენჯერმე გ.აიმეორა მან და გამშრალი ტუჩები გაილოკა.
სიჩუმე ჩამოვარდა.სერჟანტს კვლავ მაგრად ეჭირა პატიმარი,რომელსაც პირველმა მძვინვარებამ გაუარა და ახლა მხოლოდ მხრები უტოკავდა ციებიანივით.
- გაუშვით!- უბრძანა მინდელმა,- გაუშვით და წყალი მიაწოდეთ, დამშვიდდება.

სერჟანტმა იჭვნეულად შეათვალიერა მოცახცახე კიტოვანი, შემდეგ ხელები შეუშვა და წყლით სავსე ჭიქა შესთავაზა. კიტოვანმა ხარბად შესვა,გონს მოეგო, ჯიბე მოიქექა,მაგრამ პაპიროსი გამოლეოდა.
- მოსწიეთ!- გაუწოდა მინდელმა კოლოფი.
პატიმარმა აკანკალებული ხელებით ძლივს ამოიღო პაპიროსი, მაგრამ ასანთის გაკვრა ვერ შეძლო, რამდენიმე ღერი გატეხა. სერჟანტი მიეშველა, ანთებული ღერი მიაწოდა.კიტოვანმა ღრმად მოქაჩა, ერთხელ, მეორედ, კიდევ ერთხედ...
- დაგვტოვეთ!- უბრძანა მინდელმა სერჟანტს.
სერჟანტმა წყნარად გაიხურა კარი.
კიტოვანს რაღაც ავადმყოფური გარინდება დაეუფლა, სახე მოღრეცილი, თითქმის შეშლილი, უაზროდ შესცქეროდა გამომძიებელს შიშით გაფართოებული თვალებით.
მინდელიც დუმდა. პატიმრის უეცარმა გაშმაგებამ და შიშით მოთენთვამ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ კიტოვანი არათუ იცნობდა ჩარგიევს, არამედ დიდი შიშიც ჰქონდა მისი.
დაეჭვება არ შეიძლებოდა, ჩარგიევი ბანდის მეთაური და შეპყრობილთა შორის ყველაზე საშიში ბოროტმომქმედი იყო, ამასთან არა მარტო განაგებდა ბანდას, მისი წევრების სიცოცხლეც ხელში ეჭირა. სწორედ ამით უნდა ახსნილიყო ის პირუტყვული შიში, რასაც „საშკა ჩერქეზის„ მარტოოდენ ხსენებაც კი იწვევდა ბანდიტებში.
გამომძიებელმა პატიმარს გადახედა. კიტოვანი ბოროტად შეყრილ წარბებქვეშ ნადირივით აბრიალებდა თვალებს. პირველ შიშს უკვე გაევლო, და მისი მოღუშული სახე ბრძოლისათვის მზადყოფნას გამოხატავდა.
მინდელი წყნარად დაეშვა სავარძელში, შენიშვნებითაჭრელებული ფურცელი წინ დაიდო, რამდენიმე სტრიქონი მიუმატა, შემდეგ კალმისტარი გვერდზე გადასდო და გამჭოლად მიაჩერდა თავჩაქინდრულ კიტოვანს.
პატიმარმა ალღოთი იგრძნო გამომძიებლის მზერა. თავი ასწია, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო, უხერხულად რამდენჯერმე ჩაახველა და გამომძიებლის მტკიცე გამოხედვას თვალი აარიდა.
მინდელი მიხვდა, თუმცა კიტოვანის ნებისყოფა გატეხილი იყო, მაგრამ მისი ადგილი ჩარგიევისადმი შიშს დაეჭირა, იმდენად ძლიერს, რომ უფრო გამდნარ ტყვიას ჩაყლაპავდა, ვიდრე „ჩერქეზზედ„ იტყოდა რამეს.
გამომძიებელი დარწმუნდა, რომ ამჟამად პირდაპირ შეტევას აზრი არ ჰქონდა და გადაწყვიტა სხვა მხრიდან მოევლო კიტოვანისათვის.
- დაწყნარდით?- დაარღვია დუმილი მინდელმა.
კიტოვანმა მხოლოდ შეხედვით უპასუხა.
- ძლიერ გშინებიათ „ჩერქეზის„, თუმცა თავი ვაჟკაცად მოგაქვთ,- განაგრძო გამომძიებელმა.
- მე არავისიც არ მეშინია,- უგემურად ამოღერღა კიტოვანმა,- მით უმეტეს ვიღაც ჩარგიევის.
- არა,გეშინიათ, უფრო მეტიც, ისტერიკები მოგდით.

კიტოვანმა არა უპასუხა რა.
- ყველას ტვირთს თქვენ ვერ ასწევთ, ვახტანგ კვალიაშვილო, გაიჭყლინტებით.
- მე არავის ტჩირთს არ ვეწევი, ჩემიც მეყოფა.
- ეგ რომ გესმოდეთ, თქვენს თავზე იზრუნებდით და არ შეეცდებოდით სხვისი დანაშაულის აღებას.
- თქვენ ჩემზე ნუ ზრუნავთ, უთქვენოდაც იოლად წავალ როგორმე.
- მასაშადამე „ჩერქეზს„ არ იცნობთ!
- გითხარით, არა–მეთქი!- დაიღრინა კიტოვანმა.
- არც ხოტოველი გაგიგზავნმათ მასთან?
- ეს კიდევ საიდან მოიტანეთ?
- თქვენ ცუდი კონსპირატორი ხართ, ჩოფურ,- გაიღიმა მინდელმა.- თუმცა თავი გამოცდილ ქურდად მოგაქვთ,სინამდვილეში ყველა თქვენი ნაცოდვილარი ვეებერთელა კვალს ტოვებს, ჩარგიევიც თქვენ უნდა გიმადლოდეთ ჩავარდნას.
- აყვანას მიპირებთ?- ბრაზიანად ჩაიხიხინა პატიმარმა.
- არა, რათა! სიმართლეს გეუბნებით, თქვენ გგონიათ დიდი კონსპირაცია გამოიჩინეთ, როდესაც ხოტოველს გააგებინეთ როდის და რომელ საათზე გამოცხადებულიყო 407 ნომერში ბასკაკოვასთან? ან იქნებ გგონიათ, რაკიგულუბრყვილო ქალის მოტყუება შესძელით, გამოძიებაც მოტყვილდებოდა? შეცდით კვალიაშვილო, მოტყუვდით! ყველაფერი პირიქით მოხდა და როგორც თქვენ, ისე „ჩერქეზიც„ ორივე ფეხით გაებით ხაფანგში.
- არ მესმით რაზე ლაპარაკობთ.
- კმარა, ვახტანგ, ნუთუ იმდენად დაგაბნიათ შიშმა,მარტივი ჭეშმარიტებაც სადავოდ გინდათ გახადოთ?
- გეუბნებით, არ ვიცი რაზე ლაპარაკობთ, ჯიუტად გაიმეორა კიტოვანმა.
- ნუთუ?- გაიკვირვა გამომძიებელმა, შემდეგ საქაღალდედან ფოტოსურათი ამოიღო, პატიმარს გაუწოდა,- აი, ინებეთ და დარწმუნდით თქვენს სულელურ კონსპირაციაში, იქნებ ამის შემდეგ მაინც გეყოთ გამბედაობა და შეურიგდეთ თქვენს სრულ ჩავარდნას,- დაუმატა დაცინვით.
კიტოვანმა უხალისოდ ჩამოართვა ფოტოსურათი, ზერელედ დაათვალიერა 50 მანეთიანი ბანკნოტის ფოტოასლი, შემდეგ მხრები აიჩეჩა და ფოტოსურათი გამომძიებელს დაუბრუნა.
- იცანით?- შეეკითხა გამომძიებელი.
- რა ვიცანი?
- ფული, რომელიც დევიძეს გაატანეთ ხოტოველთან.
კიტოვანი თითქმის გამხიარულდა.
- აბა, შენა ყოფილხარ აი,- გაიღიმა მან,- გეგონება ბოლშევიკებს მხოლოდ ერთი ცალი ხუთთუმნიანი მოეჭრათ და ისიც უეჭველად ჩემი დასტურით,რომ შევხედავ, თუ არა ხელათ ვიცნო.
- ლაზღანდარობას თავი დაანებეთ, კიტოვანო!
- ჩემმა მზემ, სტრანნი ვინმე ხართ–მეთქი, არა, საიდან მაიტანეთ, რომ ეს ჩაკარტოჩკებული 50 მანეთიანი უეჭველად ჩემი ნაცნობია?

- მაშ უარყოფთ?
- ვა, შარი თუ გინდა ეს არის, აი!იქნება ახლა ისიც მითხრათ, ამ 50 მანეთიანს რანაირი მეტრიკა და პასპორტი აქვს?
- გეტყვით, აუცილებლად გეტყვით,- მიუგო გამომძიებელმა სერიოზულად.
- ვაა! აი სეირი თუ გინდა ეს იქნება, აი! მაშ მოიტა, მაჩვენე, რო ერთი ჯიგრიანად გავიცნო რაღა,- კიტოვანს სრულიად გაუარა „ჩერქეზის„ ხსენებით გამოწვეულმა შიშმა და ისევ ლაზღანდარობა დაიწყო.
- კეთილი, თავის დროზე ყველაფერს გიჩვენებთ, ჯერ კი შემდეგ კითხვაზე მიპასუხეთ: ვინ მოგცათ ბასკაკოვას მისამართი?
- ვისი მისამართი?
- ბასკაკოვას, ტანია ბასკაკოვას მისამართი.
- აკი გითხარით, არ ვიცნობ, ვიღაც ოხერი ბასკაკოვაა
- მაშ ვისთან უნდა გამოცხადებულიყო ხოტოველი 15 იანვარს საღამოს 10 საათზე?
- მე ეგ საიდან უნდა ვიცოდე?
- სწორედ თქვენ უნდა იცოდეთ, აკი ასე დაავალეთ ხოტოველს.
- რამდენჯერ უნდა გითხრათ, ხოტოველისათვის არაფერი დამივალებია–მეთქი.
- თქვენ ასე გგონიათ?
- მა ისე უნდა მეგონოს, როგორც თქვენ გიედათ?
- არა კვალიაშვილო, მაგრამ არც ისე, თქვენ რომ გინდათ,- დინჯად შენიშნა მინდელმა და დაუმატა:- აბა ამ სურათს ერთხელ კიდევ დახედეთ, კარგად დააკვირდით და შემდეგ მიპასუხეთ.
მინდელმა 50 მანეთიანი ბანკნოტის ფოტოასლი ახლოს მიუწია პატიმარს.
- ვა, ანახე და ის იყო, ახლა ზეპირად ხო არ უნდა ვისწავლო.
- დახედეთ,დახედეთ და მიპასუხეთ ეს რა აწერია?- შეეკითხა მინდელი და ფულზე გაკეთებულ წარწერაზე მიუთითა.
კიტოვანი წარწერას დააცქერდა.
- რა სწერია?- გაუმეორა კითხვა გამომძიებელმა.
- რა ვიცი, რა სწერია, „ტანია„ და რაღაც ციფრები,ეტყობა, ვიღაცას ფინანსთა მინისტრობა დაუწყია,- გაიღრიჭა ქურდი.
- განა, ნაწერი არ გეცნობათ?
- მეე?
- ჰო, თქვენ.
- რა თქმა უნდა, არა, ეგეთ ხალხთან საქმე არა მაქვს.
მინდელმა მეორე ფურცელი ამოიღო, რომელზედაც რამოდენიმე სტრიქონზე ერთი და იგივე სიტყვა იყო დაწერილი რუსულ ენაზე. კიტოვანს გაუწოდა.
- ეს ნაწერი თქვენია?
კიტოვანმა ფურცელს დახედა.
- მერე რა რო ჩემია, ეს ხომ თქვენ თვითონ დამაწერინეთ.

- მაშ კარგად დააკვირდით, ფულზე დათქვენს მიერ ჩემი თხოვნით ამ ქაღალდზე დაწერილ რუსულ სიტყვაში „ტანია„ ორივეგან ერთი და იგივე შეცდომაა დაშვებული.
- მერე ეგ მე რაში მეხება?
- საინტერესოა,- გაიღიმა მინდელმა.
- რა არის საინტერესო?
- თქვენი ქცევა.სირაქლემა გაგიგონიათ, ვახტანგ?
- მერე რა!
- ის, რომ თუ სირაქლემა გაგიგონიათ, იქნებ ისიც იცით, ამ ცხოველს ერთი მეტად სულელური ჩვევა რომ აქვს.
- სულელური ჩვევა?
- ჰო, სულელური, როცა მონადირეები დაედევნებიან, თავს ფრთის ქვეშ მალავს და ასე ჰგონია, მდევარი მოვატყუეო.
- მერე მე რაში მეკითხება თავს მალავს თუ კუდს?- გაუკვირდა კიტოვანს.
- თქვენც ასე იქცევით, თუმცა სირაქლემაზე მეტი მოგეთხოვებათ.
- აბა, ეგეები არ იყოს, მე სირაქლემა არა ვარ.
- სირაქლემათა საბედნიეროდ, მაგრამ დავუბრუნდეთ საქმეს. მაშ ეს ნაწერი არ გეცნობათ?
- არა–მეთქი გითხარით.
- კეთილი, გამოდის, რომ ექსპერტი შეცდა.
მინდელმა საქმიდან სხვა ქაღალდი ამოიღო.
„50 მანეთიან ბანკნოტის ფოტოასლზე არსებული რუსული წარწერა „ტანია„ შესრულებულია ვახტანგ ილარიონის ძე კიტოვანის, იგივე გიგლა გაიოზის ძე კვალიაშვილის მიერ„–დინჯად ჩაიკითხა მან, შემდეგ დასკვნა კიტოვანს გაუწოდა და დაუმატა:- რას იტყვით?
- ამას ექსპერტი წერს?
- ცხადია,ექსპერტი, ექსპერტი კალიგრაფი.
- მაშ ეგ ექსპერტი კი არა, ტუტუცი ყოფილა!
- ჯიუტობას აზრი აღარ აქვს, კიტოვანო!
- ეგ საკენკი სვავს დაუყარე, მე კი შემეშვი. აგიტაციით საკენკს კი არა, მწვადს აღარ ვჭამ.
- მაშ არ გინდათ აღიაროთ?
- რაც გამიკეთებია მითქვია,სხვის საქმეს ტყუილად ვერ მაკისრებინებ. გაიგეთ. ვერ მაკისრებინებთ–მეთქი!- ბრაზიანად გაიმეორა კიტოვანმა და თვალები ჩაუსისხლიანდა.
- კიტოვანო, თქვენ პირველად არ ზიხართ და უეჭველად გესმით,რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხართ მოქცეული. იმის შემდეგ რაც თქვენ აღიარეთ, სისულელეა წვრილმანების უარყოფა, ეს არაფერს მოგცემთ. სჯობს ბოლომდე მიიყვანოთ დაწყებული საქმე.
- მე არ ვჯიუტობ, გითხარით, რომ ბინა გავქურდეთ, ტყეშელაიძე მე არ დამიჭრია, ნაქურდალი ნივთები და ობლიგაციები შევასოხარეთ. წამღები თქვენ არ გყავთ და

ვერც დაიჭერთ, გაგიფრინდათ.ხოტოველი ამ საქმეში არ ყოფილა.ჩარგიევს არ ვიცნობ,არც ვიღაც ბასკაკოვას. ვიკისრე ისიც, რომ ექიმი გრძელიძე მოვიტაცეთ. ვინც ჩემთან იყო, წავიდა, მის სახელსაც ვერ გაიგებთ, პუშკებიჩემი არ არის,ივანისელმაც დაგიდასტურათ, ჩემიც რომ იყოს, მაინც ვერ გაიგებთ, ვინ მომცა. სხვა რა გინდა, თავი გამანებე და საქმე დაამთავრე. ბარპემ მისუდონ და მორჩა, საიდანაც მოვსულვარ, ისევ იქ წავალ.
- ასე იოლად ვერ წახვალთ.
- მეტს ხომ ვერ ამკიდებთ, 15 წლის სროკზე მეტს ხომ ვერ მომცემთ.
- ჩიკვაიძის მკვლელობა? ეგ რა დაგიჯდებათ, დაფიქრებულხართ?
- მაგაზე იმან იფიქროს, ვინც მოკლა, ჩვენ არ გაგვიკეთებია, ვერ აგვკიდებთ, სულ ერთია სუდი ვერ დაგვიმტკიცებს.
- უეჭველად დაგიმტკიცებთ, ეს არის, რომ დროს წაგვართმევთ მეტს.
- ხო და, როცა დამიამტკიცებთ, მაშინ ვილაპარაკოთ,- მიახალა კიტოვანმა უტიფრად.
- კეთილი, კეთილი, კიტოვანო. დღეისთვის კმარა, იმედი მაქვს მოიფიქრებთ და შემდეგ დაკითხვაზე მეტ გონიერებას გამოიჩენთ,- მიუგო მინდელმა და მორიგე მილიციელი გამოიძახა.- წაიყვანეთ პატიმარი!- უბრძანა შემოსულ სერჟანტს.
კიტოვანი ზანტად წამოდგა, შეჩვეული კაცის იერით დაიწყო ხელები ზურგს უკან და ნელა გავიდა კარებში.
მარტო დარჩენილი მინდელი მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, დინჯად აკრიფა ნაწერი ფურცლები და საქმესთან ერთად ცეცხლგამძლე ყუთში ჩაკეტა. დაღლილ სახეზე ხელი გადაისვა, რამდენჯერმე გაიარა კაბინეტში და ფანჯარასთან შეჩერდა.
ბინდდებოდა ერთი საათის წინ ამოვარდნილი სუსხიანი ქარი გაბოროტებით აწყდებოდა მინებს.
მინდელი ჩაფიქრდა. ჩარგიევი უეჭველად დიდი ქურდირეციდივისტია, ამიტომ ეშინიათ მისი ისეთ კვალიფიციურ ქურდებსაც კი, როგორც კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელია, მაგრამ როგორ მოხდა, რომ მილიციის რესპუბლიკურ სამმართველოს არავითარი ცნობები არ მოეპოვება მასზე? ნუთუ მცდარია ჩემი მოსაზრება და ჩარგიევი და „ჭაღარა„ ერთი და იგივე პიროვნება არ არის? დავუშვათ, მართლაც არ არის ქართველი, როდის ჩამოვიდა საქართველოში და რომელ ქალაქში „მოღვაწეობდა „ ადრე? მათ მოკლეს ჩიკვაიძე თუ მისი მკვლელობა ცალკე დანაშაულია და გამოძიება ამ ნაწილში მცდარ გზაზე დგას? სად ვეძიოთ ჩარგიევის პიროვნების დამადასტურებელი ცნობები?
- გამარჯობა, ლევან! როგორ ჩაფიქრებულხარ,- მოესმა მინდელს და უცებ გამოერკვა.
კაბინეტში ბალანჩივაძე იდგა და უღიმოდა.
გაუკვირდა, ფიქრში წასულს არ გაუგია კარის გაღება.
- ჩანს,ძალზე დაღლილხარ, ლევან, თუ ჩემი შემოსვლა ვერ გაიგე,- განაგრძო პოლკოვნიკმა და ხელი გაუწოდა.

- გამარჯობათ, დავით ილიჩ, მართლაც ოდნავ დავიღალე,- გაიღიმა მინდელმა და მაგრად ჩამოართვა გამოწვდილი ხელი.
- როგორ მიდის საქმიე, არის რაიმე ახალი?- შეეკითხა პოლკოვნიკი და სავარძელზე დაეშვა.
- არის, დავით ილიჩ, დევიძის ბინაში შეპყრობილმა ბანდიტებმა ძირითადში აღიარეს დანაშაული.
- ჩარგიევი?
- ჩარგიევის შესახებაც არის ზოგი რამ.
- სახელდობრ?
- დღეს მისი მეტსახელი დავადგინე–„საშკა ჩერქეზია„,- უბრალოდ უპასუხა მინდელმა.
- „საშკა ჩერქეზი„? მერედა, როგორ დაადგინე, ვინ ამხილა?
- განზრახ არავინ, ისე კი ბალავაძე დამეხმარა.
- საკვირველია,როგორ მოახერხე?
- საინტერესო შემთხვევაა,- მინდელმა ცეცხლგამძლე ყუთი გახსნა, საქმიდან ერთი ფურცელი ამოიღო და პოლკოვნიკს გაუწოდა.
ბალანჩივაძემ გაკვირვებით ჩამოართვა, რამდენჯერმე გადაავლო თვალი ტირე–წერტილებით აჭრელებულ ორიოდე სტრიქონს, შემდეგ ფურცელი მაგიდაზე დასდო.
- არაფერი მესმის!- ჩაილაპარაკა წყნარად.
- მორზე, დავით ილიჩ, ამ ორ სტრიქონზე ბალავაძისა და ივანისელის საუბარია ჩაწერილი, მორზეს ანბანით.
- ეს როგორ?- უფრო გაუკვირდა პოლკოვნიკს.
- სულ უბრალოდ,- უპასუხა მინდელმა და დაწვრილებით უამბო ბალავაძისა და ივანისელის შეხვედრის შესახებ.
- დიდებულია!- აღფრთოვანდა პოლკოვნიკი, შემდეგ საწერ მაგიდიდან ფურცელი აიტაცა და სათვალე მოირგო.
„არ გაბედო საშკა ჩერქეზის ხსენება, დაგვახრჩობს, არ გაბედო!„
„მესმის, ჩემგან ვერაფერს გაიგებენ„,- გაშიფრა მან ტირე–წერტილები და სიჩვარულით შეხედა დაღლილ მინდელს.
- დიდებულია!- გაიმეორა მან და მაგრად ჩამოართვა ხელი,- ყოჩაღ ლევან, აი რას ნიშნავს გონივრული მოსაზრება, ყოჩაღ!
მინდელს ყურები შეუწითლდა.
- ეს კი დავადგინე, დავით ილიჩ, მაგრამ ოფიციალური ჩვენება ვერც ერთისაგან ვერ
მივიღე, ასე რომ, ბანდიტების აღიარება ჩარგიევის შესახებ მაინც არა გვაქვს.
- ეგ არაფერია, მთავარი ის არის,შენი ვერსია სწორი აღმოჩნდა და ჩარგიევს უსამართლოდ დაპატიმრებული ადამიანის სამოსელი შემოეცალა. ეს კი ცოტა როდია. ვფიქრობ, ჩარგიევზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მისი მეტსახელის დადგენა,- პოლკოვნიკი წამით შეყოვნდა და შემდეგ განაგრძო:- მაშ ასე დავაჯამოთ ფაქტები: ჩარგიევი ბანდის მეთაურია; ბანდიტებმა იციან, რომ

მილიციის სამძებრო განყოფილებას მის შესახებ კომპრმასალა არ მოეპოვება, ამიტომაც ასე გულმოდგინეთ უარყოფენ ჩარგიევის მონაწილეობას საქმეში. რა თქმა უნდა, ამას შიშიც ემატება „ჩერქეზის„ წინაშე.
დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები ბასკაკოვას არ იცნობენ. ჩარგიევსაც მხოლოდ კიტოვანი ხვდებოდა. ბასკაკოვას მისამართიც ჩარგიევმა მისცა კიტოვანს. მან კი თავის მხრივ ხოტოველი გააგზავნა ბასკაკოვასთან. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ კიტოვანმა თუმცა აღიარა ტყეშელაიძის ბინის გაქურდვაში მონაწილეობა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს ხოტოველის წყალტუბოში გაგზავნას. რატომ ზოგავს ხოტოველს? პასუხი ერთია:ხოტოველი ეს ის რგოლია, რომელიც მტკიცე ჯაჭვით აკავშირებს ჩარგიევს დანარჩენ ბანდიტებთან. მაშასადამე, ხოტოველის მხილება ჩარგიევის მხილებაა. ეს კი ბანდიტების ანგარიშში არ შედის, გასაგებია ისიც, რატომ უარყოფენ ჩიკვაიძის მკვლელობას,
- სავსებით გეთანხმებით, პატივცემულო დავით; მაგრამ ჩემი აზრით, ბევრ რამეში ჯერ კიდევ სუსტი ვართ.
- სახელდობრ?
- ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა ჩარგიევი და ჭაღარა? თქვენ იცნობთ ჩემს მოსაზრებას, რომელიც ჩარგიევის დაკავებას დაედო საფუძვლად, დაკვნეტილი ფრჩხილები და თეთრი ლამაზი კბილები სხვასაც შეიძლება ჰქონდეს. ამასთან, ჩემი ვერსია ჩარგიევის მიერ გრიმის ტარების შესახებ მხოლოდ მოსაზრებაა და იურიდიულად არაფრით არ არის გამაგრებული. შეიძლება ჩარგიევი ბანდის ერთი წევრთაგანია მხოლოდ და „ჭაღარა„ ხელიდან გავუშვით? შემდეგ ჩიკვაიძის უცნაური მკვლელობა კვლავ ბურუსით არის მოცული. ბანდიტები კატეგორიულად უარყოფენ ამ ბრალდებას.მაგრამ თუ პირობით მაინც დავუშვებთ, რომ ისიც შეპყრობილმა ბანდიტებმა მოჰკლეს, ისმის კითხვა, რა ურთიერთობა ჰქონდა ჩიკვაიძეს ბანდიტებთან? ვინ არის იგი? მსხვერპლი, საქმის მიმცემი, თუ უშუალო მონაწილე ბიძის მკვლელობისა? სად და როგორ დაუკავშირდნენ ანზორს პროფესიული ქურდები? და ბოლოს, რატომ და რა ვითარებაში მოკლეს ჩიკვაიძე?- დაამთავრა მინდელმა და მოლოდინით მიაჩერდა პოლკოვნიკს.
ბალანჩივაძე ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ სავარძლიდან წამოდგა, კაბინეტში ფართოდ ნაბიჯით გაიარა.
- დასაშვებია, რომ ჭაღარა და ჩარგიევი სხვადასხვა პირებია,- დაიწყო მან,- ისევე როგორც არც მათი იგივეობააგამორიცხული, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ბასკაკოვასა და ხოტოველის დიალოგს, რომლის ჩაწერაც თქვენ 407 ნომერში მაგნიტოფონზე მოახერხეთ და იმას, რომ ტანია ჩარგიევის გარდა არავის შეხვედრია, აგრეთვე ხოტოველისა და ბასკაკოვას ჩვენებათა წინააღმდეგობას და ყოველივე ამას დავუმატებთ თქვენს მოსაზრებას „ჭაღარას„ შესახებ, უფრო მეტი შანსია ვიფიქროთ, რომ „ჭაღარა„ სხვა არავინაა თუ არა შეგრიმული ჩარგიევი. შემდეგ ყველა მონაცემი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩიკვაიძეს ბოლო მოუღეს იმავე ბანდიტებმა, ვისი მსხვერპლიც ტყეშელაიძე გახდა. ხოლო მონაწილეა ჩიკვაიძე

თუ მხოლოდ მსხვრპლი, ამ საკითხზე რაიმე ვერსიის აღება ჯერ ნაადრევია, მით უმეტეს, ჩიკვაიძე საკუთარი დანით არის მოკლული. საერთოდ კი ვფიქრობ, გამოძიება სწორ გზაზე დგას დაეს დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.- პოლკოვნიკმა წამით იყუჩა და შემდეგ მტკიცედ დაუმატა:- ახლა მთავარია დავადგინოთ, ვინ არის ეს „საშკა ჩერქეზი„ და სად ეწეოდა თავის შავბნელ საქმიანობას?შეპყრობმლი ბანდიტეის ჩარგიევთან დამოკიდებულება თავისთავად მიუთითებს, რომ ის სისხლის სამართლის დამნაშავეთა წრეში საკმაოდ ცნობილი ბოროტმოქმედია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მას საქართველოში არ „უმოღვაწნია„, წინააღმდეგ შემთხვევაში რაღაც მაინც გვეცოდინებოდა მასზე. სავსებით გეთანხმებით. სწორედ ამიტომ, ლოგიკურია ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩარგიევი მისი ნამდვილი გვარიც არ არის. სხვა პირობებში „ჭაღარას„ ვინაობის დადგენა გამოძიებას დიდ დროს წაართმევდა, ახლა კი უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული ეს მთავარი კოზირი და ისეთი სვლა გავაკეთოთ, რაც ჩარგიევს დაარწმუნებს შემდგომი ჯიუტობის უაზრობაში.
- თუ სწორად გაგიგეთ, თქვენ ჩარგიევის მეტსახელი გაქვთ მხედველობაში,- გაიღიმა მინდელმა.
- არა ცდებით,მაგრამ ეს დიდი უპირატესობა ჩვენ ისე უნდა გამოვიყენოთ, ჩარგიევი დარწმუნდეს, რომ გამოძიებამ მისი ზედმეტი სახელი სხვა ბრალდებულთა გამოტეხით და დანაშაულის სრული აღიარებით დაადგინა. თუ ეს შევძელით, მთავარი სიძნელე დაძლეული იქნება, დანარჩენს თვით ჩარგიევი აღიარებს, ასეთია მათი სტილი,- წარმოთქვა პოლკოვნიკმა მტიცედ, მინდელის დაღლილი სახე შეათვალიერა და რბილად დაუმატა:- გიფიქრია, რა რეაქციას მოახდენს ჩარგიევზე „საშკა ჩერქეზის„ ამ ასპექტში ხსენება?
- გამოგიტყდებით, რომ–არა, დრო აღარ დამრჩა–ჩაილაპარაკა მინდელმა.
- ვხედავ, დრო არ გქონდა,- თქვა პოლკოვნიკმა,- ჩარგიევის შემდგომი დაკითხვა კარგად მოფიქრებული გეგმით უნდა მოხდეს, ფსიქიური ფაქტორის წინა პლანზე წამოწევით, გეგმას ხვალ შევადგენთ, ახლა კი დაისვენე, სახლში წადი! 8 საათისთვის თეატრთან გელით მეუღლესთან ერთად,პრემიერა მიდის. მარტო ქურდების დევნა არ კმარა, კულტურული გართობაც საჭიროა, წავიდეთ!

თავი XI

კარი წყნარად გაიღო. პატიმარი შემოიყვანეს. ჩარგიევი კარებთან შეჩერდა, ზურგზე ხელებდაწყობილმა მშვიდად შეათვალიერა გამომძიებელი და მზერა ვეებერთელა ნაძვზე გადაიტანა, თეთრად შესუდრული რომ მოჩანდა ფანჯარაში. საამოდ, ხვავრიელად თოვდა. ათასობით ფანტელი ისე ნაზად ეფინებოდა ბებერ ნაძვს, თითქოს ცდილობდა, არ შეაწუხოსო თავისიშეხებით.

მინდელმა დაკვირვებით შეათვალიერა პატიმარი. ჩარგიევი ოდნავ გამხდარიყო, თვალები ჩასცვენოდა, მაგრამ გამოხედვა ისევ ძველი ჰქონდა, მტკიცე და გაუტეხავი.
– ახლოს მოდით! – დაარღვია სიჩუმე გამომძიებელმა.
ჩარგიევმა ნელა მოსწყვიტა მზერა ფანჯარას, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაგიდასთან გაჩერდა.
– დაჯექით! – ქაღალდებიდან თავაუღებლად შეეპატიჟა მინდელი.
პატიმარმა ხელები ჩამოუშვა, უხმოდ ჩამოჯდა.
გამომძიებელი საქმეს ჩასცქეროდა, თითქოს იქ რაღაც ახალი და საინტერესო აღმოეჩინოს, სინამდვილეში კი მისი გონება სულ სხვა რამეთი იყო დაკაებული. ის გულდასმით მოემზადა ჩარგიევთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის. დაკითხვის დეტალური გეგმა, რაც მან ბალანჩივაძესა და ხომერიკთან ერთად შეიმუშავა, ძირითადში ფსიქოლოგიურ ფაქტორზე იყო აგებული. „საშკა ჩერქეზის„ ხსენებას არა მარტო უნდა გაეტეხა ჩარგიევი, არამედ დაერწმუნებინა კიდევაც რომ გამოძიებისათვის ყველაფერი გამორკვეული იყო. წინააღმდეგშემთხვევაში კიდევ დიდხანს მოუხდებოდათ მასთან ჭიდილი.
მინდელმა უეცრად შეწყვიტა საქმის ფურცვლა და ჯიქურ მიაჩერდა პატიმარს. ჩარგიევმა ცივი, მშვიდი ცქერა შეაგება.
– ჩარგიევ, – დაიწყო მინდელმა ყოველგვაი შესავლის გარეშე, – მე მგონია, დროა გავათავოთ კომედია და ვაღიაროთ ყოველივე, თქვენ უნდა გესმოდეთ, სიჯიუტეს ვნების მოტანა შეუძლია მხოლოდ.
– თუ ამ უაზრო კითხვის მოსაცემად ამომიყვანეთ, ტყუილად გარჯილხართ, მომწყინდა ერთი და იგივე კითხვებზე პასუხის გაცემა, – ამოილაპარაკა ბრაზიანად.
– მით უკეთესი, გავათაოთ, ჯერ ტყეშელაიძისა და ჩიკვაიძის მკვლელობის შესახებ გვიამბეთ, შემდეგ კი ძველი საქმეებიც გავიხსენოთ, გეუბნებით, აზრი აღარ აქვს–მეთქი ჯიუტობას.
– არავითარი დანაშაული მე არ ჩამიდენია, არც ჩემი წარსულია რითიმე შებღალული, რამდენჯერ უნდა გითხრათ?
– მაშ ისევ ამტკიცებთ, რომ მათე ჩარგიევი ხართ?
– დიახ და ძალიან მიკვირს, რატომ არ მოგწონთ ჩემი გვარი.
– კეთილი, ასე იყოს, მაგრამ ჩვენ სხვა სახელიც გვაინტერესებს. აი, ის, ქურდებმა რომ შეგარქვეს.
– მე მოვითხოვ, შეწყვიტოთ ჩემი შეურაცხყოფა. აქ რაღაც გაუგებრობაა, ვიღაცაში გერევით.
– საოცარია, მე კი სხვა მგონეთ, სრულიად სხვა, წყნარად შენიშნა მინდელმა.
ჩარგიევი გაცოფდა.
– ვინ სხვა? – შეჰყვირა და თვალები ჩაუსისხლიანდა.
– „ჩერქეზი საშკა„ , „ჩერქეზი„! – ლითონივით ცივი ხმით წარმოსთქვა გამომძიებელმა.
გასროლა მიზანს მოხვდა.

– ჩერქეზი? – წამოიყვირა პატიმარმა და უეცრად შლეგიანივით წამოიჭრა სკამიდან, აკანკალებული ხელით პაპიროსს წაეტანა.
– მშვიდად, ჩარგიევ, თქვენი თამაში დამთავრდა! – მკაცრად შენიშნა ფეხზე წამომდგარმა მინდნლმა და გამჭოლავად შეხედა.
ჩარგიევს არ გაუგონია.
გამომძიებლის ბაგიდან წარმოთქმულმა ორმა სიტყვამ გამანადგურებლად იმოქმედა პატიმარზე, ერთბაშად დაეკარგა ცივი გამოხედვა და შუბლი ოფლის მსხვილმა წვეთებმა შეუსველა.
მინდელი თვითონაც არ მოელოდა ასეთ შედეგს, დაკვირვებით მიაჩერდა ნირწამხდარ პატიმარს.
ჩარგიევი თითქოს გამოერკვა, მოწყვეტით დაეშვა სკამზე, ხელებით მუხლებს დაებჯინა და შეეცადა უნებურად ატეხილი კანკალი შეეჩერებინა.
მინდელმა წყალი დაასხა, უსიტყვოდ შესთავაზა.
ჩარგიევმა არ დალია, ზედაც არ შეხედა ჭიქას, ისევ პაპიროსს მოუკიდა და ბოლი გადაყლაპა, შემდეგ სახეზე ხელი გადაისვა, სკამზე ერთბაშად შესწორდა, თვალები ააელვარა და საკმაოდ მტკიცე ხმით წარმოთქვა;
– დიახ ჩემი თამაში დამთავრდა! „ჩერქიზმა„ დაამთავრა თამაში. მაჯობეთ, მაგრამ მინდა ვიცოდე, ვინ ჩამაგირავა, ვინ გამცა, შემდეგ კი გეტყვით, ყველაფერს გიამბობთ, რადგან აზრი აღარ აქვს, სულ ერთია.
მინდელს რატომღაც არ ესიამოვნა ჩარგიევის ასე ერთბაშად მოტეხა, გაკვირვებით გადახედა უეცრად შეცვლილ პატიმარს.
– ვინ გამცა–მეთქი? – ბრაზიანად გაიმეორა ჩარგიევმა.
– რაკი ასე გაინტერესებთ, თითებზე დაიხედეთ და თვითონვე მიხვდებით, ვინც გაგცათ, – დინჯად შენიშნა გამომძიებელმა.
ჩარგიევი განცვიფრდა.
– რა შუაშია აქ ჩემი თითები? – იკითხა და ხელებზე დაიხედა.
– თქვენი ფრჩხილები... გლეხურად მოირთეთ, სახეც გრიმში დამალეთ,მაგრამ ფრჩხილებმა, დაკვნეტილმა ფრჩხილებმა გაგცათ, ქირურგი გრძელიძე არც ისე მიამეტი აღმოჩნდა, თქვენ რომ გეგონათ.
ჩარგიევმა ხელები გადმოაბრუნა, დაკვირვებით დაათვალიერა დაკვნეტილ–დამახინჯებული ფრჩხილები.
– მაშ ექიმს უნდა უმადლოდე ჩემს ჩავარდნას? – კიდევ უფრო განცვიფრდა იგი.
– რა თქმა უნდა ექიმსაც, – გაეღიმა გამომძიებელს.
– მაგრამ სახელი, „საშკა ჩერქეზი„? ამას ხომ ექიმი ვერ გეტყოდათ.
– ცხადია, ვერა!
– მაშ, ვინ გითხრათ?
– ვინც თქვენთან ერთად ჩაიდინა ბოროტმოქმედება, – მიუგო მინდელმა მტკიცედ.
ჩარგიევს აფთარივით აენთო თვალები.
– რომელმა გამცა?
– ეგ ახლა საინტერესო არ არის, გსურთ მოგვცეთ ჩვენება?

ჩარგიევმა ბოროტად გაიღიმა.
– რასაკვირველია, თუ ქურდებმა ერთმანეთს გაყიდვა დაიწყეს, ხოლო ექიმებმა გამომძიებლობა, სჩანს, ჩვენი საქმე მართლაც წასულია, მაგრამ ვაი მას ვინც „საშკა ჩერქეზი„ ახსენა, მე იმას...
– საქმეს დავუბრუნდეთ, ჩარგიევ, – შეაწყვეტინა გამომძიებელმა.
– მე მზად ვარ, რა გაეწყობა, მაჯობეთ! – ავად გაიღიმა პატიმარმა.
– იქნებ ქართულ ენაზე, ისურვოთ ჩვენების მიცემა? – მოულოდნელად ქართულად შეეკითხა მინდელი და თვალი თვალში გაუყარა.
ჩარგიევმა თვალი გაუსწორა გამომძიებლის ქორულ მზერას, შემდეგ გაიცინა.
– ასე იყოს, არც ამის დამალვას აქვს აზრი, ჩემი და გრძელიძის საუბარი ისედაც ცნობილია თქვენთვის, – უპასუხა ქართულად.
– კეთილი, მაშ დავიწყოთ!
– დავიწყოთ! – უმალ დაეთანხმა ჩარგიევი.
– პირველ რიგში თქვენი ნამდვილი ვინაობა დაასახელეთ, თქვენ ხომ ჩარგიევი არა ხართ, – მტკიცედ განმარტა მინდელმა.
ჩარგიევმა კვლავ ცივად გაიღიმა.
– რა თქმა უნდა, არც ვაპირებ ჩემი გვარის დამალვას.
– კეთილი დაასახელეთ თქვენი ნამდვილი გვარი.
– ინებეთ, ჩემი ნამდვილი გვარი კოკოევია, ალექსანდრე სუმბათის ძე კოკოევი. თბილისში დავიბადე, მშობლები ადრე დამეხოცა. 16 წლისა ქურდების ბანდაში მოვხვდი და მას შემდეგ ამ საქმიანობას ვეწევი.
– სად ცხოვრობდით მთელი ეს წლები?
ჩარგიევი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.
– გეტყვით, ყველაფერს გიამბობთ: ორი წელი თბილისში ვინმე რუბენასთან, შემდეგ კი როცა ჩვენი ბანდა გაანადგურეს, როსტოვში გავყევი რუბენას, იქაც ერთი წელი ვიცხოვრე, შემდეგ ხზარკოვში, ბოლოს მოსკოვში. იქ დამიჭირეს, რუბენა კი მოკლეს. „საშკა ჩერქეზიც„ როსტოვში შემარქვეს.
– რამდენჯერ ხართ ნასამართლევი?
– ორჯერ, ორივეჯერ მოსკოვში, პირველად 1 წელი მომცეს, მეორედ 8 წლით გამისტუმრეს.
– სასჯელი მოიხადეთ?
– მოვიხადე, უკვე ექვსი წელია განვთავისუფლდი.
– შემდეგ?
– შემდეგ ისევ მოსკოვში დავბრუნდი და ჩარგიევის გვარით ხარკოვს ვეწვიე.
– სად იშოვეთ პასპორტი?
– ვიშოვე, ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს,ერთმა ვინმემ გამიკეთა, აღარც კი მახსოვს, მთავარი ის იყო, რომეს პასპორტი სავსებით საიმედო გამოდგა. ერთხანს დავყავი ხარკოვში, შემდეგ ტაშკენტში წავედი. იქ გავაგრძელე ჩემი საქმიანობა.
– რა საქმიანობა?
– ქურდობა, ვთამაშობდი კიდეც.

– თქვენ გინდათ დაგვარწმუნოთ, რომ მთელი ეს წლები ერთხელაც არ ჩავარდით?
– ვითომ რატომ არა? თქვენ მე ვიღაც ბაცაცა ხომ არ გგონივართ, ესეც არ იყოს, გარდა ორიოდე სამედო ქურდისა, არავინ იცოდა ჩემი ვინაობა, არც მეტსახელი, მუდამ ვფრთხილობდი, მაინც გაუფრთხილებლობამ დამღუპა. კიტოვანმა და ბალავძემ შემთხვევით გაიგეს ჩემი სახელი.
– ვინ გაგაცნოთ კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი?
– უცნაურ კითხვას მაძლევთ, ჩვენ არავის წარდგენა არ გვჭირდება, მაშ რაღა ქურდები ვართ თუ ერთმანეთსაც ვერ მოვძებნით?
– სად გაიცანით?
– ივანისელი ტაშკენტში, კიტოვანი და ბალავაძე თბილისში.
– როდის?
– ივანისელი შარშან, დანარჩენი ორი კი დეკემბრის ბოლო რიცხვებში.
– როდის ჩამოდით თბილისში?
– 26 დეკემბერს.
– მარტო?
– ასე ვთქვათ, ივანისელი რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა.
– რა იყო თქვენი ჩამოსვლის მიზანი?
– არვითარი განსაკუთრებული მიზანი არ მქონია.
– მაინც ?
– თბილისში არაფერი, ტანიამ წყალტუბოში წასვლა გადაწყვიტა და წამოვედი.
– ბასკაკოვასთან ერთად?
– არა, ტანია წყალტუბოში ჩამოვიდა, მე კი რამდენიმე დღით ადრე წამოვედი, თბილისში გამოვიარე.
– სად შეხვდით დანარჩენ ბოროტმოქმედებს?
– თბილისში, ივანისელმა გამაცნო.
– თბილიში გადაწყვიტეთ ტყეშელაიძის ბინის გაქურდვა?
– არა, ტყეშელაიძის ბინის გაქურდვა აზრადაც არ გვქნია, ეგ საქმე შემთხვევით წავიღეთ.
– მაშინ რა იყო თქვენი ქუთაისში ჩამოსვლის მიზანი?
ჩარგიევი ცოტა ხნით დუმდა.
– მე სრულიად სხვა საქმე მქონდა, ერთი კაცი მყავდა სანახავი, – მიუგო უხალისოდ.
– ვინ კაცი? დაასახელეთ!
– ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ არც ვასახელებ.
– სხვებიც ვინმეს სანახავად წამოიყვანეთ? – შეეკითხა მინდელი დაცინვით.
– სხვები ჩემთან ერთად არ წამოსულან. მე წყალტუბოში ვიყავი. ივანისელს, კიტოვანს და ბალავაძეს აქ შევხვდი, – უპასუხა პირქუშად ცრუ ჩარგიევმა.
– კარგი. გვიამბეთ, რა პირობებში გაძარცვეთ ტყეშელაიძის ბინა.
ჩარგიევმა ცივად გაიცინა.
– სიამოვნებით, თუმცა ბევრი არაფერია საამბობი: ქუთაისში სრულიად შემთხვევით ჩიკვაიძეს გადავეყარე, კიტოვანმა გამაცნო. ანზორი პოკერით იყო

გატაცებული, რამდენჯერმე შევხვდი, არ ვიცი ვის ოჯახში. გადავწყვიტე ანზორი ჩვენს წრეში ჩამეთრია, ორჯერ თუ სამჯერ განგებ წავაგე, შემდეგ კი კარტი ჩავუწყვე და ნაღდის გარდა 20000 მანეთი მოვუგე. ჩიკვაიძემ ვალის გადახდის მიზნით მისი ბიძის ბინის გაქურდვა შემოგვთავაზა. წინასწარ გვითხრა, სად იყო შენახული 25000 მანეთის 3%–იანი ობილიგაციები. შევთანხმდით – ანზორმა ფანჯარა ჩაურაზავი დატოვა, თვითონ კი სოფელში წავიდა, მისი აზრით, ყველაფერი ქურდებს დაბრალდებოდათ და ჩვენს ვალსაც პატიოსნად გადაიხდიდი.
საღამოს ქუთაისში ჩამოვედი, არაერთგზის ნაცადი ხერხი გამოვიყენე, გლეხურად მოვირთე და ჭაღარა პარიკი გავიკეთე.
წინასწარ გაფრთხილებული კიტოვანი ადგილზე მანქანით მოვიდა, ბალავაძე და ივანისელიც მოიყვანა. ჯერ გავჯავრდი, მაგრამ კიტოვანმა დამარწმუნა, რომ მანქანის პატრონი საიმედო კაცი იყო და დავთანხმდი. მანქანა უკეთესიც იყო ცრუ კვალზე დაგვიწყებდნენ ძებნას.
გვიან ღამით ოთხივე წავედით საქმეზე. დანარჩენი თქვენც იცით. ჩიკვაიძის ბიძა შემთხვევით დაბრუნებულიყო თბილისიდან, გაიღვიძა, ივანისელს შეებრძოლა, დასჭრა კიდეც, იმანაც დანა მიარტყა და ფანჯრიდან გადმოვარდა.
ჩარგიევი გაჩუმდა.
– შემდეგ?
– შემდეგ რა, დაჭრილი ივანისელი დევიძის ბინაში შევიყვანეთ. დევიძეს ჩემი შეთხზული ამბავი ვუამბეთ, ხოლო მეორე დღეს მისგან მალულად ბალავაძეც მის ბინაში მოვათავსეთ.
– რა მონაწილეობა მიიღო დევიძემ თქვენს ბოროტმოქმედებაში?
– დევიძემ არაფერი, მან არც კი იცოდა, ვინ იყო კიტოვანი ან ივანისელი.
– ვინ არის მანქანის პატრონი?
– არ ვიცი.
– იცოდა თუ არა რისთვის მიგყავდათ მანქანა?
– მე ის არ მინახავს, კიტოვანის თქმით კი არ იცოდა. ეგონა სამტრედიაში მიდიოდა კიტოვანი.
– ვინ მოგცათ წერილი?
– რა წერილი?–გაუკვირდა ჩარგიევს.
– წერილი,რომელიც დევიძის ქალს მიუტანეთ.
– მე არვითარი წერილი არ მიმიტანია.
– იცნობთ თუ არა დევიძის ქმარს?
– არა, არც ის ვცოდი, თუ ქმარი ჰყავდა.
– კეთილი,რისთვის მოჰკალით ჩიკვაიძე?
ჩარგიევი წამით დუმდა, შემდეგ მძიმედ დაიწყო:
– შეიძლება თქვენ არ დაიჯეროთ,მაგრამ ჩიკვაიძის სიკვდილი არც მიფიქრია, საქმე შემდეგნაირად მოხდა:ივანისელის დაჭრის გამო ქუთაისიდან ჩვენი წასვლა გადაიდო, დევიძის სახლში მას მარტო ვერ მივატოვებდით, ესეც არ იყოს, არ მინდოდა უიმისოდ წავსულიყავი. ერთად–ერთი კაცი ვისაც შეეძლო გარკვეული

ცნობები მოეწოდებინა თქვენთვის, ტყეშელაიძის ბინის გაძარცვისა და თვით ტყეშელაიძის მკვლელობის შესაებ, ჩიკვაიძე იყო. მართალია, მან ჩვენი ნამდვილი გვარი და სახელიც არ იცოდა, მაგრამ მაინც ბევრი რამ შეეძლო ეამბნა გამოძიებისათვის, ამიტომ გადავწყვიტე შიშქვეშ მყოლოდა იგი და იძულებული გამეხადა არაფერი ეთქვა.
ვუთვალთვალე. როგორც მოველოდი, ანზორი მეორე დღესვე დაიბარეს მილიციაში. გავყევი, მაგრამ შეხვედრა ვერ მოვახერხე, გადავწყვიტე, საღამომდე დამეცადა.მთელი საღამო ტყეშელაიძის სახლის ახლო ვტრიალებდი. სამძიმარზე მოსულ ხალხში, ყველანი მომხდარი საქმის ირგვლივ ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ, მე ყურს ვუგდებდი და მათი საუბრიდან ის დასკვნა გავაკეთე, რომ გამოძიებას ნამდვილი კვალისათვის ჯერ ვერ მიეგნო.
ღამის 11 საათზე ჩიკვაიძე სახლიდან გამოვიდა. უკან გავყევი, ის ისევ მილიციის სამმართველოში მოვიდა.
თითქმის ორი საათი ვუცდიდი გარეთ,როგორც იქნა, გამოვიდა. ავედევნე, შემდეგ ერთბაშად მოვაბრუნე და შევაჩერე.
ანზორი, ცხადია, არ მოელოდა ჩემთან შეხვედრას, ჯერ დაიბნა, შემდეგ კი ყვირილი დააპირა.
„ჩუმად!„ – გავაფრთხილე, მე და ხელი წავავლე.
„კიდევ რაღა გინდათ ჩემგან?„ – ძლივს ამოილუღლუღა.
„ორიოდე სიტყვა მაქვს, აი აქეთ მოვეფაროთ„, – მივუგე მე მშვიდად და საბაგირო გზის სადგურისაკენ წავიყვანე. სიბნელეში გავუჩინარდით, ჩიკვაიძე ხმას არ იღებდა. მეც ვდუმდი, რაღაც ვერ მოვახერხე საუბრის დაწყება.
ასე გავიდა რამოდენიმე წუთი, ბოლოს უხერხული დუმილი თვით ჩიკვაიძემ დაარღვია.
„რისთვის მოჰკალით ბიძაჩემი„? – შემეკითხა ბრაზიანად.
„შენი ბრალია, რატომ მოგვატყუილე?„ – მივუგე ცივად.
„მკვლელებო, ბანდიტებო!„ – ამოიხრიალა ანზორმა.
„ჩუმად, არავინ გაიგონოს, თორემ„...
„თორემ რა?„ – შემომიტია მან.
„ის, რომ დაგვიჭერენ და„...
„დაგიჭერენ? გზაც იქით გაქვთ„
„ჩუმად–მეთქი, შენ გეუბნებიან!„
„არ გავჩუმდები!„ – იყვირა ჩიკვაიძემ.
„გაჩუმდები, შენთვისაც ასე სჯობია„.
„ჩემთვის სჯობია? – უაზროდ გაიმეორა მან.
„ჰო შენთვის... მე არ გატყუილებ, ბიძაშენის მოკვლა ჩვენ ანგარიშში არ შედიოდა, თვივონვე დაგვესხა თავს„
„ცრუობ, განზრახ მოჰკალით! მე თქვენ ყველას... არაფერს დავმალავ, გესმის? ყველაფერს, ყველაფერს ვეტყვი გამომძიებელს. მკვლელებო, ბანდიტებო!„, – ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მითხრა ჩიკვაიძემ.

„ყველაფერს ვიტყვი„, ამ ორმა სიტყვამ დამარწმუნა, რომ ანზორს ჯერ არაფერი ეთქვა გამოძიებისათვის და მტკიცედ გადავწყვიტე, გამეჩუმებინა იგი.
„შენ არავის არაფერს ეტყვი, ანზორ!„
მან ბრაზიანად შემომხედა.
„ვითომ რატომ?„
„იმიტომ რომ თუ ეს საქმე გაიხსნა, შენ პირველს დაგიჭერენ„.
„დამიჭირონ, მეც ის მინდა„.
„არა, არ გინდა. თუ დაგიჭერენ, ჩვენ ვიტყვით, რომ შენ წაგვიყვანე ბიძაშენის სახლის გასაქურდავად და შენვე მოჰკალი იგი, რადგან გაიღვიძა და გიცცნო კიდეც, გაიგე?„
„მე, მე მოვკალი? რას ამბობ?„ – შემეკითხა ის შეცვლილი ხმით.
„ცხადია და ჩვენ ამას დაგიმტკიცებთ, ასე რომ...„
„შენ ვერაფერსაც ვერ იტყვი, საზიზღარო!„ – ამოიხრიალა ანზორმა და იმავე წამს მის ხელში დანამ გაიელვა.
წამით დავასწარი, მარცხენა ხელით მივწვდი დანიან მარჯვენაში, მაგრამ დანა ვერ გავაგდებინე.
„ღორივით, ღორივით უნდა დაგკლა, ისე როგორც ბიძაჩემი დაჰკალით,„ – ჩაისისინა მან და ისევ ღონივრად მიბიძგა, ძლივს შევიმაგრე თავი თოვლში წაქცევისაგან.
ჩიკვაიძე კედელთან იდგა, ოდნავ ეცემოდა ელექტროშუქი.
მისმა ბრაზისაგან დამახინჯებულმა სახემ და ანთებულმა თვალებმა დამარწმუნა, რომ არ დამინდობდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, მარცხენას მარჯვენა შევაშველე და ღონივრად დავიქნიე.
ჩიკვაიძე დაბარბაცდა. ამით ვისარგებლე და სწრაფად გამოვკარ სარმა. ანზორი მოწყვეტით დაეცა ცემენტის იატაკზე, მეც თავი ვეღარ შევიკავე და მთელი სიმძიმთ დავეცი წაქცეულს. უეცრად ჩიკვაიძე მოეშვა, ერთბაშად მოუდუნდა დაჭიმული მარჯვენა და ხრიალი ამოუშვა.
სწრაფად წამოვდექი, ჩიკვაიძეს დავწვდი, გულაღმა გადმოვაბრუნე და დავინახე, რომ დანა ტარამდე ქონდა მკერდში გაყრილი. ჩიკვაიძემ ერთიც გაიბრძოლა და მიჩუმდა, სწრაფად გათავდა თავისივე დანაზე წამოგებული.
მე აღარ დამიყოვნებია, ფრთხილად გამოვედი პარკიდან და სწრაფად გავშორდი იქაურობას, – დაამთავრა ჩარგიევმა.
– შემდეგ?
– შემდეგ არაფერი,დანარჩენი თქვენც იცით.
– იციან თუ არა სხვა ბანდიტებმა, რა ვითარებაში მოჰკალით ჩიკვაიძე?
– არ მომიკლავს– მეთქი გითხარით, მე მხოლოდ თავს ვიცავდი, სხვებმა კი ამის შესახებ ნამდვილად არაფერი იციან.
– თქვენ ტყეშელაიძისაგან თავს „იცავდით„ – შენიშნა მინდელმა.
– დიახ. მაგრამ არა მე, არმედ ივანისელი.
– საოცარი თავდაცვაა, ქურდი, რომელიც სხვის ბინაში გაძარცვის მიზნით შევიდა, კლავს თავისი ქონების დამცველს და ამს თქვენთავდაცვას ეძახით.

ჩარგიევს არ უპასუხნია.
– კარგი, – განაგრძო გამომძიებელმა, – როგორ დაუკავშირდით ხოტოველს?
– კიტოვანის საშუალებით, მანვე მითხრა, რომ ხოტოველი ძველი და სანდო ბარიგაა.
– ვინა?
– ბარიგა, ნაქურდალის გამსაღებელი.
– პირადად შეხვდით?
– ერთხელ კი, მაგრამ შემდეგ არ ვენდე, წყალტუბოში ტანია გავაცანი, კიტოვანს ტანიას მისამართი მივეცი და დავავალე მასთან გამოეგზავნა ხოტოველი.
– სად არის ნაძარცვი ნივთები და 3% ობილიგაციები?
– არ ვიცი, ხოტოველს ჰკითხეთ.
– თქვენ ამტკიცებთ, რომ ნაქურდალი ხოტოველს მიჰყიდეთ?
– რა თქმა უნდა, მეორე დღესვე გადასცა კიტოვანმა.
– რამდენად გაჰყიდეთ?
– 20000 მანეთად.
– თანხა სრულიად მიიღეთ?
– არა. ხოტოველი ორჯერ იყო წყალტუბოში, პირველად 8000 მანეთი ჩამომიტანა, მეორედ, ჩემი დაკავების დღეს, 5000 მანეთი ტანიას მიუტანა.
– დანარჩენი?
– დანარჩენი 7000 მანეთი 17 იანვარს უნდა ჩაებარებია.
– სად და როგორ?
– ისევ წყალტუბოში ტანიასთან.
– მაშასადამე, ბასკაკოვამ ყველაფერი იცოდა?
– არავითარ შემთხვევაში, – მიუგო ცხარედ ჩარგიევმა, – ტანიამ არა თუ ეს ამბავი, ჩემი წარსულიც არიცის. კიტოვანს, ბალავაძეს და ივანისელსაც არ იცნობს, ის მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ ხოტოველმა ჩემი ვალი ჩამოუტანა მხოლოდ.
– რა იცოდა ხოტოველმა, როდის უნდა ჩამოეტანა ფული ტანიასთან?
– იცოდა, სწორედ იმ ღამეს, როდესაც გრძელიძე გავისტუმრეთ, კიტოვანს არა მარტო ტანიას მისამართი მივეცი, ხოტოველის იქ გამოგზავნის დაწვრილებითი გეგმაც დავუსახე.
– რაში მდგომარეობდა ეს გეგმა?
– ხოტოველს წინასწარ არ უნდა ცოდნოდა , როდია უნდა ჩამოეტანა ფული, რათდგან ვშიშობდი, თქვენ არ მოეყვანეთ ჩემამდე. ამ მიზნით კიტოვანს ვუბრძანე, საქონლის გადაცემისას შეთანხმებოდა ხოტოველს პირობით ნიშანზე და საფოსტო ყუთით დევიძე გამოეყენებინა, ხოტოველს რომ პირველ დღესვე მთლიანად ჩამოეტანა ფული, ახლა თქვენთანც არ იქნებოდა, მაგრამ სიხარბე გამოიჩინა და ახია, რაც მოუვიდა! – დაამთავრა ჩარგიევმა ზიზღით.
– კარგი, დღეისთვის კმარა, – დაასკვნა მინდელმა და დარეკა.
– წაიყვანეთ! – ჟესტით უჩვენა გამომძიებელმა სერჟანტს.
ჩარგიევი წამოდგა.

– შეიძლება გთხოვოთ?– იკითხა წყნარად.
– რა გნებავთ?
– ყველაფერი, რაც მე გითხარით სრული სიმართლეა. დარწმუნებული ვარ, ეჭვი არ გეპარებათ, რომ ჩემი ჩვენების შემდეგ სხვებს თუ რაიმე გამორჩათ, იმასაც აღიარებენ, მაგრამ თუ ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ დამიპირისპიროთ კიდეც, რადგან...
– გმადლობთ, – ცივად შეაწყვეტინა მინდელმა, – უთქვენოდ როგორმე გადავწყვეტთ, როდის ან ვისთან დაგიპირისპიროთ.
– რასაკვირველია, მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ვიცი, ჩემს ჩვენებას შეამოწმებთ, მოსკოვიდან პირად საქმეს და ყველა დოკუმენტებს გამოითხოვთ, ამას კი ცოტა დრო არ დასჭირდება, ამიტომ გთხოვთ ციხეში გადამიყვანოთ, არ მიყვარს მილიციის საკანში ჯდომა, ციხეში მირჩევნია, – მწარედ გაიღიმა ჩარგიევმა.
– გაჰყევით!... ციხეში მაშინ გადაგიყვანთ, როდესაც საჭიროდ დავინახავთ. მინდელი მარტო დარჩა.
ჩარგიევ–კოკოევის აღიარება ის უკანასკნელი რგოლი იყო, რომელმაც მტკიცე ჯაჭვად შეჰკრა მთელი საქმე და ჩადენილი ბოროტმოქმედების სრული სურათი აღადგინა.
შეუპოვარმა შრომამ და უძილოდ გატარებულმა ღამეებმა თავისი შედეგი გამოიღო, ლიკვიდირებულ იქნა ძველი, ჯერ კიდევ შემორჩენილი რეციდივისტების მეტად საშიში ბანდა.
დასადგენი ისღა დარჩა სად წაიღო ხოტოველმა ნაძარცვი ფასეულობა, მაგრამ მინდელს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჩარგიევან დაპირისპირების შემდეგ კიტოვანიც ყოველივეს აღიარებდა და შეკრებილ მტკიცებების უეჭველობის გამო ბოლოს და ბოლოს ხოტოველიც გატყდებოდა. ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ გამომძიებელს სრულიად არ უგრძნია ის დიდი სიხარული, რასაც საერთოდ განიცდიდა ხოლმე ყოველი ბნელი და აბურდული საქმის გახსნისას.
მინდელმა კვლავ გულდასმით გადაიკითხა ცრუ ჩარგიევის ჩვენება, თითქოს არაფერი იყო საეჭვო, თვით ჩიკვაიძის მკვლელობის ფაქტიც აღარ იწვევდა დავას. „ჭაღარას„ ჩვენება ზუსტად ასახავდა დანაშაულის სურათს, მაგრამ გამომძიებელს მისდაუნებურად ეჭვი აწვალებდა, რომ ჩარგიევის ჩვენება სრული არ იყო.
მინდელი წამოდგა, უჯრიდან აკრძალული ტომი ამოიღო და დიდხანს დაკვირვებით სინჯავდა ადგილობრივი დათვალიერების ფოტოსურათებს, ჩარგიევის ჩვენებას დანაზე არსებულ დეფექტს უდარებდა. ყველაფერი ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს. თოვლისაგან თავისუფალ ცემენტის იატაკსაც ნათლად ეტყობოდა მცირე გაბარიტის ამოტეხილი ადგილი.
ჩარგიევის ჩვენებამ ლოგიკურად ახსნა, არა მარტო დანისტარზე არსებული დეფექტი, არამედ დარტყმის ის არარდამანური სიძლიერეც, რამაც ასე განაცვიფრა სამედიცინო ექსპერტი.გამომძიებელმა ისე ნათლად წარმოიდგინა ჩიკვაიძის თავისივე დანაზე დაცემის სურათი, თითქოს მოწმე ყოფილიყო ანზორის სიკვდილისა.

მინდელმა ამოიოხრა, შემდეგ ჩიკვაიძის დედის, ტყეშელაიძის ქვრივის, ლეჟავასა და სხვა მოწამეთა ჩვენებებსაც გადახედა. ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, ყველანი ერთხმად ადასტურებდნენ, რომ კუსტარულად ნაკეთები დანა ჩიკვაიძეს ეკუთვნოდა და ტყეშელაიძის მკვლელობის მეორე დღეს ანზორს ჰქონდა ჯიბეში. ამ ჩვენებებით მხოლოდ ის დადასტურდა, რომ ჩარგიევს მართლაც არ ჰქონდა მოკვლის განზრახვა. დაუჯერებელი იყო შეუიარაღებელი ჩარგიევი მკვლელობის წინასწარი განზრახვით შეხვედროდა ჩიკვაიძეს.
„მაგრამ რატომ ასე იოლად აღიარა ყოველივე?„ – ეჭვი აწვალებდა გამომძიებელს და ვერ აეხსნა, რატომ იყო უკმაყოფილო ჩარგიევის ასე სწრაფი გატეხით.
„სისულელეა, ალბათ დავიღალე, ნამდვილად დავიღალე„, – გადაწყვიტა მან, მაგრამ ეჭვს მაინც ვერ დასძლია და ამან კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება, ნერვიულად აიღო ტელეფონის ყურმილი, სწრაფად აკრიფა ციფრები.
– გიორგიასლანიჩ, გამარჯობათ!... დიახ, მინდელი ვარ, თქვენთან მოსვლა მინდა. პატივცემულ დავითს ველი მხოლოდ, თქვენთან არის? მით უკეთესი, დიახ აღიარა, ყველაფერი აღიარა!... მაგრამ სწორედ ამ საკითხზე მინდა შეგაწუხოთ... ახლავე მოვდივარ, 10 წუთის შემდეგ მანდ ვიქნები, გმადლობთ!
მინდელმა ყურმილი აპარტზე დასდო, პალტო ჩაიცვა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.
...ხომერიკი და ბალანჩივაძე დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ, ერთხელაც არ შეუწყვეტინებიათ სიტყვა გამომძიებლისათვის, რომელიც თითქმის 1 საათს მოუნდა საქმის სრული მასალების მოხსენებას.
– მე მხოლოდ ის მიკვირს, რომ ჩარგიევმა ასე ადვილად აღიარა ყოველივე, – დაამთავრა მინდელმა და მოლოდინით მიაჩერდა ორთავეს.
დუმილი პირველად ბალანჩივაძემ დაარღვია:
– ჩემი აზრით, აქ საკვირველი არაფერია, როგორც ვვარაუდობდით „საშკა ჩერქეზის„ ხსენებამ დაარწმუნა ცრუ ჩარგიევი, რომ თამაში წაგებული იყო და ამიტომ აღიარა ყოველივე. ეს ძველი ქურდი–რეციდივისტების სტილია.
– მეც ასე ვფიქრობ – დაეთანხმა ხომერიკი.
– ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ... მაინც რატომღაც ეჭვი მეპარება.
– ეჭვი? მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ მის აღიარებას არ ვენდობით, შევამოწმებთ. ხვალვე გაგზავნეთ შეკითხვა კოკოევ–ჩარგიევის პიროვნების შესახებ, მისი პირადი საქმე,ფოტოსურათები, დაქტილობარათი და ორთავე საქმე გამოითხოვეთ. თუ ყველაფერი დაემთხვა, საეჭვოც არაფერი დარჩება.
– დატაცებული ნივთები და შინაგანი 3%–იანი სესხის ობილიგაციები? – იკითხა მინდელმა.
– ეგ საქმის დამთავრებას ვერ შეაფერხებს. ჩარგიევის ხოტოველთან დაპირისპირება მოახდინეთ? არა? მაშ დღესვე დააპირსპირეთ! საერთოდ, ჩარგიევის ჩვენების შემდეგ უდავოა კიტოვანიც აღიარებს ყოველივეს და დაადასტურებს, რომ ნაძარცვი ხოტოველს გადასცა. ესეც კოზირია ხოტოველის წინააღმდეგ.
– ხოტოველი შეიძლება გაჯიუტდეს, – შენიშნა ბალანჩივაძემ.

– შეიძლება, – დაეთანხმა ხომერიკი, – მაშინ სისრულეში უნდა მოვიყვანოთ ჩვენი გეგმა და ობილიგაციებს თუმცა ცოტა გვიან, მაგრამ უეჭველად აღმოვაჩენთ. ეს მომავლის საკითხია, ახლა კი მაინტერესებს როგორია თქვენი აზრი ქავჟარაძეზე? მინდელი ცოტა ხანს დუმდა.
– გიჭირს? – გაიღიმა პროკურორმა.
– არ დაგიფარავთ, გიორგი ასლანიჩ, მართლაც მიჭირს. დადასტურებულია, რომ ძარცვა და გრძელიძის მოტაცება ქავჟარაძის მანქანით მოხდა, მაგრამ მიიღო თუ არა მონაწილეობა დანაშაულში ან იცოდა თუ არა რაიმე დანაშაულის შესახებ, ამის გადაწყვეტით თქმა ჯერჯერობით ძნელია. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ბევრია ქავჟარაძის როგორც საზიანო ისე სასარგებლო მონაცემები. ვფიქრობ, ეს საკითხი კიტოვანის დაკითხვის შემდეგ გადავწყვიტოთ.
– კეთილი, იმოქმედეთ!
ხომერიკმა პაპიროსს მოუკიდა.
– გინდათ კიდევ რაიმეში ჩვენი დახმარება?
– არა, გიორგი ასლანიჩ. თუმცა მაქვს ერთი გეგმა ჩემი ეჭვის შესამოწმებლად, მაგრამ თუ ნებას მომცემთ ამაზე ხვალ მოგახსენებთ. დღეს კი კიდევ ერთხელ მინდა ანალიზი გავუკეთო ზოგიერთ მოსაზრებებს.
– კარგი, როცა საჭირდ დაინახავთ, გაგვაცანით, ახლა კი–ხომერიკმა საათს დახედა, – თუ სურვილი გაქვთ, წამოდით მე და დავითი ჩრდილელის სანახავად მივდივართ.
– სიამოვნებით, აგერ ერთი კვირა იქნება, არ მინახავს. როგორ არის?
– მშვენივრად, – გაიცინა ბალანჩივაძემ. – ისეთი ლამაზი ქალიშვილი ადგას თავზე, მარტო მისი ცქერა კმარა განსაკურნავად.
– ჩამოვიდა ეთერი? – გაიღიმა მინდელმა.
– უკვე ხუთი დღეა თავზე ადგას.
– ჩინებულია, მაშ მალე ქორწილს უნდა ველოდოთ?
– ასე გამოდის, მაგრამ ჩრდილელს ცდა მოუწევს, არგებს კიდევაც.
გაიცინეს.
– ხომერიკმა მდივანი ქალი იხმო.
– მანქანა მოვიდა? – შეეკითხა შემოსულს.
– დიახ, უკვე 30 წუთია.
– კეთილი, აბა წავიდეთ! – წარმოთქვა ხომერიკმა და წამოდგა.

თავი XII

მინდნლის ვარაუდი გამართლდა, ჩარგიევთან დაპირისპირებისთანავე ბალავაძემ, ივანისელმა და კიტოვანმა სავსებით აღიარეს დანაშაული, დაადასტურეს ჩარგიევის მონაწილობა და გამოძიებას დეტალური ჩვენება მისცეს.

არც ერთ ბანდიტს არ უცდია რაიმე დაემალა გამოძიებისათვის, მხოლოდ ხოტოველი გაჯიუტდა და კატეგორიულად უარყო ობილიგაციებისა და ორი ოქროს საათის კიტოვანისგან შესყიდვა.
კიტოვანი ხოტოველის ჩვენებამ გააცოფა და მანამდე აგინა უშვერი სიტყვებით, ვიდრე მინდელმა ისევ საკანში არ დააბრუნა.
ქავჟარაძის მიმართ გამომძიებელმა საქმე წარმოებით შეწყვიტა და ბავშვივით ატირებული დაუყოვნბლივ გაანთავისუფლა, სხვები კი წინასწარ საპატიმრო საკანიდან ციხეში გადაიყვანა.
გამოძიება თითქმის დასრულდა.
ძალზე მძიმედ განიცადა მინდელმა ტყეშელაიძის ქვრივთან და ჩიკვაიძის დედასთან შეხვედრა: სიძისა და შვილის დაკრძალვის შემდეგ ძაძებით მოსილი, ერთბაშად დაბერებული ანზორის დედა, თითქმის ყოველდღე პროკურორთან იჯდა და დაჟინებით მოითხოვდა გამოძიების სწრაფ დამთავრებას. გამწარებულ ქალს დამნაშავეთა სიკვდილით დასჯაც მცირე სასჯელად მიაჩნდა, ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ბოროტმომქმედნი ჯერ კიდევ არ იყვნენ დასჯილნი დაგაბოროტებული გამოძიებას ბრალს დებდა უმოქმედებაში. მკვლელების მფარველობაში. პროკურორსა და გამომძიებელს ესმოდათ მისი მძიმე მდგომარეობა, ამიტომ ყურადღებას არ აქცევდნენ უსამართლო ბრალდებას, უყვავებდნენ და პირდებოდნენ საქმის მალე დამთავრებას.
და აი დადგა დრო, როდესაც ორი გაუბედურებული ქალისათვის გამოძიების მასალები გაეცნოთ. მინდელის თხოვნით ანზორის დედა და ტყეშელაიძის ქვრივი ხომერიკმა მიიღო, გამომძიებელი ფრთხილად შეუდგა მათ შემზადებას სიკვდილზე უარესი უბედურების შესატყობინებლად.
ქალებზე საქმის გაცნობამ სხვადასხვანაირად იმოქმედა: ტყეშელაიძის ქვრივი თითქოს დამუნჯდა, ხოლო ჩიკვაიძემ დიდხანს ვერ გაიგო რას ამბობდა გამომძიებელი. შემდეგ როდესაც საქმის არსმა მის შემცნებამდე მიაღწია, საზარელი ხმით იკივლა „შვილოო!„ და გულწასული სკამიდან გულწასული გადავარდა. მინდელი აფორიაქებული გავიდა კაბინეტიდან და ნერვებმოშლილმა იმ დღეს მუგშაობაც ვერ მოახერხა.
დილით ხომერიკსა და ბალანჩივაძეს ეთათბირა. მას მოსვენებას არ აძლევდა პატიმარ გიორგაძის წერილი და თვითონაც არ იცოდა რატომ, ეჭვი ეპარებოდა კიტოვანის ჩვენების სინამდვილეში – წერილის შორეულ ჩრთილოეთიდან უცნობი პატიმრის მიერ ჩამოტანაში.ხომერიკი ჯერ წინააღმდეგი იყო ამ საკითხის გასარკვევად გამოძიების გაგრძელებისა და თავის მოსაზრებას კოლონიიდან, სადაც გიორგაძე სასჯელს იხდიდა, უკვე მიღებული პასუხით ასაბუთებდა,ბოლოს ისიც დათანხმდა გამოძიების გაგრძელებაზე და გახარებულმა მინდელმა სასწრაფოდ აფრინა დაშიფრული დეპეშა.
სამიდღის შემდეგ შორეულ ჩრთილოეთიდან ყოვლად მოულოდნელი პასუხი მოვიდა. მინდელი გაკვირვებით დასცქეროდა გაშიფრულ დეპეშას და თვალს არ უჯერებდა. ხომერიკი და ბალანჩივაძე დუმდნენ.

ცნობა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდა მინდელი, სულ ოციოდე სტრიქონს შეიცავდა. მაგრამ რაც ამ სტრიქონში ეწერა თავდაყირა აყენებდა მთელ საქმეს. მინდელს არაფრით არ სურდა დაეჯერებია ცნობის სინამდვილე, ეჭვი შეეპარა პასუხის სწორად გაშიფვრაში და ამით განაწყენებულ კაპიტან დარსაძეს მეორედ მოუხდა დეპეშის დამუშავება. პასუხი იგივე იყო. მაგადანის ოლქის კოლონიების სამმართველო იტყობინებოდა, რომ ქურდრეციდივისტების წრეში „საშკა ჩერქეზად„ წოდებული პატიმარი კოლონიიდან გაქცევის ცდის დროს ტაიგაში დაღუპულიყო.
მინდელი უხერხულად ატრიალებდა ხელში ფარატინა ქაღალდს და ისე ჩაციებით ჩასცქეროდა, თითქოს იქ შეიძლებოდა ეპოვა თავისი ვერსიის ასეთი მოულოდნელი დასასრულის მიზეზი.
დუმილი ხომერიკმა დაარღვია და მინდელს თხოვა ხმამაღლა წაეკითხა მაგადანიდან მიღებული ცნობა. გამომძიებელმა უხალისოდ ჩაიკითხა:
„თქვენი ა/წ №18/3 მომართვაზე გაცნობებთ:
მათე ივანეს ძე ჩარგიევი მაგადანის ოლქის შრომა–გასწორებითი კოლონიაში არ ყოფილა მოთავსებული, რაც შეეხება „საშკა ჩერქეზს„ ასეთ პატიმარს გვარათ ვაზგენ მიხაილის ძე მარკაროვს–ესტონეთის სსრ უმაღლეს სასამართლოს 195... წლის 18–26 მარტის განაჩენით მისჯილი ჰქონდა 25 წლით პატიმრობა და სასჯელს იხდიდა № შრომაგასწორებითი კოლონიაში. 195.. წლის 10 მაისს მარკაროვმა შესძლო კოლონიიდან გაქცევა და გაუპრკვეველი მიმართულებით მიიმალა. გაქცეულის ძებნა უშედეგოდ დამთავრდა. იმავე წლის 9 აგვისტოს, კოლონიიდან 47–ე კილომეირში, გაუვალ ტაიგაში, მონადირეები წააწყდნენ მგლებისგან დაგლეჯილ ადამიანის ჩონჩხის ნარჩენებს. კოლონიის ადმინისტრაციის მიერ მივლინებულმა სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ იგი ეკუთვნოდა კოლონიიდან გაქცეულ პატიმარ მარკაროვს, იგივე „საშკა ჩერქეზს„. სათანადო კვლევის ჩატარებისა და ვინაობის დადგენის შემდეგ ძვლების ნარჩენები და თავის ქალა დამარხულ იქნა ტაიგაში, მისი აღმოჩენის ადგილზე. მაგადანის ოლქის კოლონიათა სამმართველოს უფროსი. ზლოტოვი„
მინდელმა კითხვა დაამთავრა, ქაღალდი საწერ მაგიდაზე დააგდო და ნერვიულად მოქაჩა პაპიროსი.
– ცნობის სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, – ყველას აზრი გამოთქვა პოლკოვნიკმა.
ხომერიკმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, შემდეგ თავდახრილი მინდელს მიუბრუნდა და რბილად შეეკითხა:
– რას იტყვით, ლევან იქნებ შეცდით, იქნებ სწორად ვერ გაიგეთ?
მინდელმა თავი ასწია ერთბაშად აუწითლდა სახე.
– არა, გიორგი ასლანიჩ, არ შევმცდარვარ, დამიჯერეთ ნამდვილად არ შევმცდარვარ.
– კი მაგრამ ეს ცნობა... – დაიწყო ისევ ხომერიკმა.
– ცნობა არის და ამის უარყოფა მე არ შემიძლია, მაგრამ ჩარგიევიც რომ „საშკა ჩერქეზია„ ესეც არ მიმაჩნია სადავოდ, შეიძლება ეს სხვა „საშკა ჩერქეზია„ მაგრამ...

– არა, – გააწყვეტინა პოლკოვნიკმა, – ქურდ–რეციდეივისტებში ასეთი რამ არ ხდება თითოეულ მათგანს თავისი სახელი აქვს და სხვის სახელს არ დაირქმევს. ან ან ჩარგიეი მართლა „საშკა ჩერქეზია„ ან კიდევ... – პოლკოვნიკმა მინდელს გადახედა და სათქმელი არ დაამთავრა.
– ან კიდევ ბალავაძემ მე თვითონ გამაბა ჩემს მიერვე დაგებულ მახეში და მკვდარი „ჩერქეზის„ შემოჩეჩებით ცრუ კვალზე გამიყვანა? – წარმოთქვა მინდელმა ცხარედ.
– ნუ ცხარობ, ლევან, ასეთი რამ სრულიადაც არ არის გამორიცხული, – შენიშნა ხომერიკმა წყნარად.
– და არც სათაკილოა, – დაუმატა პოლკოვნიკმა.
– მე არ გედავებით, რომ შესაძლოა მოხდეს ის რასაც თქვენ ფიქრობთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი მახეში გაბმა გამორიცხულად მიმაჩნია. თქვენ რომ დასწრებოდით ბალავაძისა დაივანისელის დაპირისპირებას და გენახათ თუ რა რეაქცია მოახდინა „საშკა ჩერქეზის„ ვითომდა ბალავაძის მიერ ხსენებამ, დარწმუნებული ვარ არ დაუშვებდით ამ ვერსიას.
– მაშ თქვენ ფიქრობთ „საშკა ჩერქეზმა„ გამოქცევა შესძლო და ახლა ჩარგიევის გვარით ჩავარდა? – იკითხა ხომერიკმა.
– ყოველ შემთხვევაში ამ ვერსიის გამორიცხვა ნაადრევია, მით უმეტეს, შესაძლებლობა გვაქვს 10–15 დღეში შემოწზმდეს ერთი და იგივეა თუ არა ჩარგიევისა და მარკაროვის პირროვნება, – წარმოთქვა მინდელმა ცხარედ.
– კეთილი, დაუშვათ ჩარგიევმა შესძლო შეუძლებელი და კოლონიიდან გაიქცა, როგორ მოხდა, რომ მგლებისაგან დაფლეთილი ადამიანში მაკაროვი ამოიცნეს ან საიდან გაჩნდა ტაიგაში კოლონიიდან არც ისე შორს, ვიღაცას ასე საჭირო გვამი? – დასვა კითხვა პოლკოვნიკმა.
– გარდა ამისა, „ჩვენს ჩერქეზს„ ხომ მეორე გვარიც აქვს–კოკოევი. მაგადანიდან მოსულ ცნობაში კი მხოლოდ ერთი გვარია აღნიშნული.
– გვარი... შეიძლებაგამომძიებლის დაუდევრობით შეუმოწმებელი დარჩა მარკაროვის წარსული. ეს სამწუხაროდ, ბევრს ემართება, ხოლო თავის ქალათი და ორიოდე ძვლით, ასევე ტანსაცმლების ნაფლეთებით ადამიანის სრულყოფილად ამოცნობა ძალზე ძნელია. ყოველ შემთხვევაში შეცდომა გამორიცხული არ არის.
– გვამი? ვისია გვამი? – კვლავ გაიმეორა ხომერიკმა.
– ეს სერიოზული კითხვაა, სწორედ ამიტომ საჭიროდმიმაჩნია ამ საკითხის დეტალურად შემოწმება.
– მიმოწერით?
– შეიძლება მიმოწერითაც, მაგრამ ეს დიდ დროს წაგვართმევს და იქნებ სასურველი შედეგიც არ მოგვცეს, რადგან გვამის ვინაობას მაგადანელი ამხანაგები დადგენილად თვლიან. გარდა ამისა, თუ ჩარგიევი და ტაიგაში დამარხული „საშკა ჩერქეზი„ ერთი და იგივე პიროვნებაა, უნდა აღიაროთ, რომ იგი გაცილებით საშიში რეციდივისტია, ვიდრე ჩვენ მიგვაჩნია. სხვას რომ თავი დავანებოთ „ჩერქეზად„ მიჩნეული გვამი სხვა არაფერია თუ არა მისივე მსხვერპლი. მაშასადამე, ჩარგიევი არა მარტო ქურდია, მკვლელიცაა და რაც

მთავარია, კოლონიიდან გაქცეული პატიმარია. ამიტომ ვთვლი, რომ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ნათელი მოვფინოთ ამ საკითხს. ამისათვის აუცილებლად მიმაჩნია, პირველ რიგში, თვით ჩარგიევის დაკითხვა, რაც დღესვე უნდა მოვახდინოთ, მაგრამ თუ ჩარგიევი არ გატყდა და არ აღიარა, მაშინ...
– მაშინ რა?
– მაშინ უნდა მიმვლინოთ მაგადანში! – წარმოთქვა მინდელმა მტკიცედ.
– მაგადანში?! – განცვიფრდა ხომერიკი.
– დიახ, მაგადანში! მისმენთ, გიორგი ასლანიჩ, ხოტოველმა არ აღიარა სად წაიღო ობილიგაციები, ჩვენ მაინც გვჭირდება თქვენი გეგემის სისრულეში მოყვანისათვის მოსკოვში გამგზავრება და გენერალური პროკურორისათვის საქმის მოხსენება. მე მგონი, როდესაც ჩვენს მოსაზრებას მოისმენენ, ნებას დამრთავენ მაგადანში გამგზავრებაზე, იქ კი ორი დღე სავსებით მეყოფა.
ხომერიკი ცოტა ხანს დუმდა.
– თანახმა ვარ, – წარმოთქვა მან ბოლოს და სავარძლიდან წამოდგა, – მხოლოდ ჯერ ჩარგიევი დავკითხოთ და თუ მან არაფერი აღიარა, დღესვე მიგავლენთ მოსკოვში.
...დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი ციხის უფროსის სამუშაო ოთახში ისხდნენ და პატიმრის კამერიდან ამოყვანას უცდიდნენ.
ჩარგიევი ამოიყვანეს. პატიმარმა მანძილი კაბინეტის კარებიდან საწერ მაგიდამდე მტკიცე ნაბიჯით გაიარა. მისი გარეგნობა არც შიშს გამოხატავდა, არც ზვიადობას. ხომერიკი კი წინ დინჯად შეჩერდა, გულგრილად მოათვალიერა ოთახში მყოფნი და გულხელდაკრეფილი მდუმარედ დაელოდა კითხვებს.
– ჩარგიევ, – დაიწყო პროკურორმა, – ჩვენ ამოგიყვანეთ იმსთვის, რომ დამატებით დავაზუსტოთ ზოგიერთი საკითხი და გამოძიებაც დავამთავროთ.
ჩარგიევმა უსიტყვოდ დაუკრა თავი, მაგრამ დუმილი არ დაურღვევია.
– პირველ რიგში გვაინტერესებს გვითხრათ, რამდენ გვარს ატარებთ და რომელია აქედან თქვენი ნამდვილი გვარი? – განაგრძო ხომერიკმა.
– მე უკვე ვუპასუხე ამ კითხვაზე გამომძიებელს. მგრამ თუ თქვენ გსურთ, შემიძლია გავიმეორო: ჩემი ნამდვილი გვარი კოკევია, ამჯერად კი ჩარგიევის გვარ ვატარებ.
– და თქვენ სხვა გვარი არასოდეს გიტარებიათ? – კვლავ შეეკითხა პროკურორი.
– არა, ამის დამალვას ახლა აზრი აღარა აქვს, მე მგონი სულ ერთია, ქურდი ორ გვარს ატარებს თუ ოთხს, – მიუგო გესლიანი ღიმილით ჩარგიევმა.
– ამაოდ ცრუობთ ჩარგიევ! – ჩაერია ბალანჩივაძე.
– მე მართალს მოგახსენებ, ბატონო პოლკოვნიკო!
– არა, სტყუით! თქვენ მესამე გვარიც გაქვთ, რომლის აღნიშვნაც „გულწრფელი აღიარებისას „ გამოგრჩათ, – შენიშნა მინდელმა დაცინვით.
ჩარგიევი მოიღუშა.
– იცით რას გეტყვით, – დაიწყო მან ცივად, – მე არაფერი გამომრჩენია, არც არფერი დამიმალავს, მაგრამ თუ ჩემი აღიარებით კმაყოფილი არა ხართ, რაშიაც

თქვენი ტონი მარწმუნებს, ეძიეთ და იპოვით. მე მგონი ამისთვის გიხდიან ხელფასს, – ღვარძლიანად მიუგო მინდელს.
– ჩვენ უკვე ვიპოვეთ ჩარგიევ!
– მართლა? – გაიღიმა ჩარგიევმა, – მაშინ იმედი მაქვს გამაცნობთ თქვენს ახალ აღმოჩენას.
– ინებეთ, თქვენი მესმე გვარი მარკაროვია, ამ გვარით იჯექით შორეულ კოლონიაში, საიდანაც სამწუაროდ, მოთხერხეთ გაქცევა.
ჩარგიევის სახეს არავითარი ცვლილება არ დასტყობია, მხოლოდ დამცინავად გადახედა მინდელს და შემდეგ ბალანჩივაძეზე გადაიტანა მზერა.
– აღიარებთ? – შეეკითხა ხომერიკი.
პატიმარი ერთხთნს დუმდა, შემდეგ პაპიროსი ამოიღო მშვიდად მოსრისა ორი თითით და აუჩქარებლად მოუკიდა.
– აღიარებ თუ არა? – გაუმეორა ხომერიკმა.
– სისულელეს არასოდეს ვაღიარებ. სჩანს თქვენ წზარმოდგენა არა გაქვთ შორეულ ჩრდილოეთზე, თორემ გეცოდინებოდათ, რომ იქიდან პატიმრის გაქცევა შეუძლებელია, – დინჯად უპასუხა განმეორებით დასმულ კითხვას ჩარგიევმა.
– შეუძლებელი რომ იყოს თქვენც ვერ გაიქცეოდით, მაგრამ ახლა ამაზე საკამათოდ როდი ამოგიყვანეთსაკანიდან, გეუბნებით, ეს ფაქტი უკვე გამორკვეულია და კოლონიიდანაც ოფიციალური ცნობა გვაქვს მიღებული.
– მე კი გეუბნებით, რომ სისულელეა! თქვენს მიერ დასახელებული გვარი არასოდეს მიტარებია.
– ამის უარყოფას აზრი აღარა აქვს, ჩარგიევ! თქვენ არა მარტო საპატიმროდან გაქცეული მარკაროვი ხართ მეტსახელად „საშკა ჩერქეზი„, არმედ მკვლელიც!
– მკვლელი? მერე და ვინ მოვკალი ან რატომ უნდა მომეკლა? – განცვიფრდა ჩარგიევი.
– კარგად იცით ვინც მოჰკალით, ხოლო მოჰკალით იმიტომ, რომ თქვენი ტაიგაში დაღუპვის ილუზია შეგექმნათ და გაქცეულ „საშკა ჩერქეზის„ ძებნა აღარ მომხდარიყო.
– ზღაპარია, ბატონო პროკურორო.
– თქვენ ტყეშელაიძის გაძარცვა–მკვლელობასაც ზღაპრად თვლიდით, მაგრამ დიდი ხანი არარის რაც ეს ზღაპარი სინამდვილედ მიიღეთ და დანაშაულიც აღიარეთ, – კვლავ ჩაერია მინდელი.
ჩარგიევსბრაზი მოერია.
– ვაღიარე ის, რაც გავაკეთე, მაგრამ ეს იმას რდი ნიშნავს, რომთქვენს ყოველგვარ ზღაპარს დავეთანხმები. გაიგეთ რომ მე ქურდი ვარ და არა მკვლელი.
– ამაყობთ კიდეც თქვენი პროფესიით? – აღშფოთდა ბალანჩივაძე.
– მერე და რით არის სათაკილო? თქვენ ყველანი უარესები ხართ, ყველა ქურდი თქვენთან შედარებით უცოდველი კრავია, წმინდანია. ჩვენ, ქურდები არც ვმალავთ ჩვენს პროფესიას, თქვენ კი თავი პატიოსნ ადამიანებად მოგაქვთ, ათას სხვა პროფესიას ეფარებით, რომ უფრო იოლად შესძლოთ სხვისი გაქურდვა, მოკვლა, გზიდან ჩამოშორება! – ჩარგიევის თვალებში ცეცხლი აგაიზგიზდა, – მე

რომ შემეძლოს, – განაგრძო მან რაღაც არაადამიანური ხმით – ადამიანებს ორ ჯგუფად გავყოფდი, ორივე ჯგუფს სასტიკად ვაშიმშილებდი, შემდეგ ერთმანეთს დაუსევდი და სიამოვნებით ვუყურებდი როგორ დასჭამდით ერთმანეთს.
მინდელი შეჰზარა პატიმრის საშინელმა გულახდილობამ.
– თქვენ ადამიანის სახე დაგიკაგავთ, ჩარგიევ...
– დამიკარგავს... ძაღლივით დაიღრინა პატიმარმა, – კი არ დამიკარგავს, დამიკარგეთ, თქვენ დამიკარგეთ და ეხლა გყოფნით გამბედაობა ადამიანის სახის დაკარგვა მევე დამაბრალოთ.
ჩარგიევი უეცრად შეიცვალა, სადღაც გაქრა მისი ნატიფი ქცევა და ნაძალადევი თავდაჭერა. სახის ნაკვთები საშინლად მოექცა, ერთბაშად გამშრალი ტუჩები გაილოკა და ამღვრეული თვალებით სისხლმოწყურებული ნადირივით მიაჩერდა გამომძიებელს. შემდეგ ნელ–ნელა დაცხრა, პაპიროსას მოუკიდა და თავი ჩაქინდრა.
– მაშ არ გსურთ აღიაროთ? – დაარღვია დუმილი ხომერიკმა.
ჩარგიევმა თავი ასწია.
– მე უკვე გითხარით ჩემი სათქმელი.
– კეთილი, ჩარგიევ, რამოდენიმე დღეში თქვენი პირადი საქმე მოგვივა, მაშინ რაღას იტყვით?
– მაშინ გაიგებთ, – ჩაიცინა პატიმარმა.
– ასე იყოს!
ხომერიკი სავარძლიდან წამოდგა. ბადრაგს პატიმრის გაყვანა უბრძანა.
ჩარგიევი აუჩქარებლად წამოდგა, შეჩვეული მოქმედებით დინჯად დაიწყო ხელები ზურგზე და ნელი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.
ხომერიკმა რამდენეჯერმე გაიარ–გამოიარა, შემდეგ წამომდგარ მინდელთან მივიდა, წყნარად დაადო მხარზე ხელი.
– შენიშენიშვნა უადგილო იყო, ლევან, პატიმარს არასოდეს არ უნდა მისცე საბაბი შეურაცხოფისათვის.
მინდელი შეიშმუშნა.
– საყვედურს არ გეუბნები, – გაიღიმა ხომერიკმა, – დარიგება კი არ გაწყენს.
– მესმის, გიორგი ასლანიჩ, მაგრამ მე არ ველოდი თუ ჩარგიევი ასეთ პასუხს მომცემდა. დაკითხვებზე მისმა ქცევამ სულ სხვა აზრი შემიქმნა. გამოტეხილად რომ გითხრათ, რაღაც სიმპათიაც კი დაბადა ჩემში.
– ...სიმპათია... ანტიპატია... ეს სუბიექტური განცდებია. ძნელად სანდობი, – მიუგო ხომერიკმა და შემდეგ დაფიქრებულმა დაუმატა: – ვინ იცის, რა ვითარებამ განაპირობა მოლიპულ გზაზე ჩარგიევის შედგომა. მე მახსოვს ერთი ქურდი, რომელიც მართმსაჯულობის უხეირო მუშაკთა შნცდომამ აქცია ბოროტმოქმედად. თქვენთვისაც კი მიამბნია ამის შესახებ, დავით...
– ვიცი, მახსოვს, – დაუდასტურა ბალანჩივაძემ, – მაგრამ ჩარგიევის ასეთი კაცთმოძულეობა მე მგონია, იმით უნდა აიხსნას, რომ ის როგორც ძველი ქურდ–რეციდივისტი, თვითონვე გაურბოდა ადამიანებს. მისი ბიოგრაფიაც ადასტურებს ამ მოსაზრებას. ჩარგიევი სულ 37 წლისაა, ქურდობას კი უკვე ოცი წელია ეწევა.

ორი ათეული წელი სავსებით საკმარისია, რათა მტკიცედ შეეძულებინა ადამიანები, ანუ ისინი, ვინც ხელს უშლიდნენ არჩეულ საქმიანობაში. პოლკოვნიკს არ შეპასუხებიან.
მინდელი წყნარად იჯდა ტახტზე და პაპიროსს აბოლებდა. ხომერიკი ბოლთას სცემდა ოთახში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩარგიევის საშინელმა პასუხმა.
„სიამოვნებით ვუყურებდი როგორ დასჭამდით ერთმანეთს!„ – გაახსენდა პატიმარის ნათქვამი და მისი სისხლმოწყურებული სახეც თვალწინ დაუდგა. ჩარგიევის ქცევა არ ჰგავდა ათასი სხვა ქურდის თუ მკვლელის ქცევას, ის რაღაც განსაკუთრებულ წრეგადასულ მძულვარებას შეეპყრო ყველა ადამიანის მიმართ. და სწორედ ეს ვერ აეხსნა პროკურორს.
„ბოროტმოქმედს სძულს საგამომძიებლო დარგის ყველა მუშაკი, ამაში არაფერია გასაკვირი, მაგრამ ადამიანთა მთელი მოდგმისადმი ასეთი მძულვარების მიზეზი უფრო ღრმა უნდა იყოს„, – დაასკვნა პროკურორმა და ჩამქრალი პაპიროსი საფერფლეზე დააგდო, საკიდარიდან პალტო ჩამოიღო, ჩაიცვა.
– წილი ნაყარია, – წარმოთქვა წყნარად, – შენი დაყოვნება აღარ შეიძლება, ლევან, დღესვე უნდა წახვიდე, – საათს დახედა, – ახლა 5 სრულდება, 11 საათზე ჩემთან იყავით კაბინეტში, ზოგიერთ საკითხზე კიდევ უნდა მოვილაპარაკოთ. წინასწარ დირექტივებს არ გაძლევ, შენ თვითონ ადგილზე გაერკვევი, როგორც უნდა იმოქმედო. ეცადე არაფერი, სულ მცირე დეტალიც კი არ დაგრჩეს შეუსწავლელი გაქცეული „საშკა ჩერქეზისა„, თუ ჩარგიევი და მარკაროვი ერთი და იგივე პიროვნებაა, მის წარსულში არის რაღაც ისეთი, რამაც ის მხეცად აქცია, გაანადირა, იმის დადგენა თუ რა დანაშაული ჩაიდინა მან, ყველაფერი როდია, საქმის ერთი მხარეა მხოლოდ ვინ არის იგი? სადაურია? სად და როგორ გაატარა ბავშვობა და სიჭაბუკე? რომელია მისი ნამდვილი გვარი? რა ეროვნებას ეკუთვნის? ყავს ცოლ–შვილი, ნათესავები, ახლობლები? – აი საკითხები, რომლებსაც ჯერჯერობით გადაჭრით ვერ ვუპასუხებთ. – ხომერიკი ცოტა ხნით შეჩერდა და შემდეგ მძიმედ დაუმატა: – დამნაშავის დასჯა ადვილია, არც დანაშაულის გახსნაა მაინცა და მაინც ძნელი, მაგრამ მიზეზი – რატომ გახდა ადამიანი ბოროტმოქმედი, ყოველთვის როდია იოლი დასადგენი. ამას კი დიდი, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. გამიგე, ლევან?
– გაგიგეთ, გიორგი ასლანიჩ!
– კეთილი, ამაღამ თბილისში წახვალთ, დილით რესპუბლიკის პროკურორს მოახსენებ საქმის ვითარებას, ხვალ კი თვითმფრინავით გაფრინდები მოსკოვს. ახლა კი წავიდეთ, დრო ცოტაღა დაგვრჩა, – დაამთავრა ხომერიკმა დაპირველი დაიძრა კარებისაკენ.

§ § §

თებერვლის მეორე ნახევარში ერთბაშად გატყდა ზამთრის სუსხი. თბილმა მზიანმა ამინდებმა სწრაფად აღგავა თოვლი, ხეებს კვირტები დაებერათ, და მარტი ამაყად შემოუძღვა ქუთაისში ნაადრევ გაზაფხულს. თბილად ჩაცმული მინდელი მანქანიდან ათვალიერებდა ნაცნობ ბებერ მუხებს და სიამოვნებით სუნთქავდა კარზე მომდგარ გაზაფხულის სურნელებას. მანქანა სწრაფად მიქროდა უძველეს მუხნარში გაჭრილ ლარივით სწორ გზატკეცილზე. უკვე გამოჩნდა ქალაქი, უკან დარჩა გარეუბანში ჩამწკრივებული კორპუსები. მანქანამ სვლას უკლო, რკინიგზის ხაზი გადაჭრა და ქალაქში შევიდა. მძღოლმა ღიღინი შესწყვიტა და მზერა გამომძიებელს მიაპყრო.
მინდელი მიუხვდა უტყვ კითხვას.
– პროკურატურაში, სოლომონ მძღოლო, პროკურატურაში! სახლში მისვლას შემდეგ მოვასწრებ.
სოლომონმა გაიცინა, საჭესთან შესწორდა და ფეხი აქსელატორს დააჭირა...
მანქანა სამ სართულიან, თეთრად გაფეთქილ, შენობასთან შეჩერდა.
მინდელი სწრაფად გადმოვიდა და სწრაფი ნაბიჯებით აჰყვა კიბეს...
– ლევანს გაუმარჯოს! – სიხარულით შეეგება ხომერიკი გამომძიებელს და ხელი გაუწოდა, – როგორ ხარ, პორალერო, ხომ კარგად იმგზავრე? – დაუმატა და ღიმილით შეათვალიერა გამომძიებელი.
– კარგად ვარ, გიორგი ასლანიჩ. მგზავრობაც ჩინებული გამოვიდა, – მიუგო მინდელმა და მარჯვენას მარჯვენა შეაგება.
ხომერიკმა ხელი მოჰხვია, ფანჯარასთან მდგარ ტახტთან მიიყვანა, დასვა, შემდეგ თვითონაც გვერდით მიუჯდა.
– მაშ კარგად იმგზავრეთ? – შეეკითხა ისევ.
– კარგად, შედეგით მგონი კმაყოფილი დავრჩებით, – მიუგო მინდელმა. შემდეგ სავარძლიდან წამოდგა, მოკლე ქურქი გაიხადა.
– დამახრჩო ამ ოხერმა, – ჩაილაპარაკა მან და საკიდარზე მიაკიდა.
ხომერიკს გაეცინა.
– აბა რა გეგონა, აქ ჩრდილოეთი როდია!
– ვხედავ, გიორგი ასლანიჩ, გაზაფხულია! – მხიარულად უპასუხა მინდელმა, შემდეგ ტანსაცმელი შეისწორა, პაპიროსს მოუკიდა.
– როგორ არის ჩემი ჭაღარა? – იკითხა ღიმილით.
– მოგენატრა? – კვლავ გაეცინა პროკურორს, – კარგად არის, მაგრამ არა მგონია, სიხარულით მოელოდეს შენს ჩამოსვლას.
– ამაში დარწმუნებული ვარ, სამაგიეროდ მე ველი მოუთმენლად მასთან შეხვედრას.
– შენი მოუთმენლობა გასაგებია, ლევან ჩემო, და იმჟამადც მისატევებელიც, – გაიღიმა ხომერიკმა, შემდეგ საწერ მაგიდასთან მივიდა, ყურმილი აიღო და ბალანჩივაძეს დაელაპარაკა...

რამდენიმე წუთის შემდეგ მინდელი ჩვეული დინჯი ტონით აცნობდა პროკურორსა და მილიციის უფროსს შორეულ ჩრდილოეთში შეკრებილ მასალებს.
– ადგილობრივი ამხანაგები ძლიერ გააკვირვა ჩემი ჩასვლის მიზანმა, – უამბობდა მინდელი. – გაიგეს თუ არა, ჩვენ „საშკა ჩერქეზს„ ვეძებდით, მაშინვე მტკიცედ მიპასუხეს: „ჩერქეზი დიდი ხანია მიწაში წევსო„. უხალისოდ მომცეს პირადი საქმე. ფოტო არც კი დამითვალიერებია, პირდაპირ დაქტილო ბარათს ვეცი. ფორუმულები ზუსტად დაემთხვა, მხოლოდ ამის შემდეგ დავაკვირდი პროფილსა და ანფასში გადაღებულ მარკაროვის სურათებს. ფოტოდან ოდნავ შეცვლილი ჩარგიევის სახე შემომცქეროდა, თუმცა არა ისეთი ელეგანტური, როგორც ჩვენი „ჭაღარა„, მაგრამ მაინც ჩარგიევი. ამის შემდეგ კოლონიის ხელმძღვანელობას ვაჩვენე ჩვენს მიერ შედგენილი დაქტილო ბარათი და ჩარგიევის ფოტოსურათები, პირველად დაჯერებაც არ უნდოდათ, მაგრამ დაქტილო ბარათი დაქტილო ბარათია!
გავეცანი ტაიგაში ნაპოვნი გვამის ამოცნობის აქტს და მონაკვლევ მასალებს. უნდა გითხრათ ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ არ გამკვირვებია ადგილობრივი ამხანაგების დასკვნა მარკაროვ–ჩერქეზის ტაიგაში დაღუპვის შესახებ. ტანსაცმლის ნაფლეთებში კომისიას პატიმრის პირადობის დამადასტურებელი საბუთიც ეპოვნა. უფრო სწორედ საბუთი კი არა რაღაც ნაკუწები. დიდი შრომა გაეწიათ ამ საბუთების აღსადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ რაც ექსპერტებმა ცალ–ცალკე და ერთად დაასკვნეს, რომ საბუთი მარკაროვის გვარზე იყო შედგენილი, ჩაეთვალათ, რომ, გვამი, უფრო სწორად გვამის ნარჩენები, კოლონიიდან გაქცეულ „ჩერქეზს„ ეკუთვნოდა.
– კი მაგრამ ნუთუ არავინ აღმოჩნდა უგზო–უკვლოდ დაკარგული ადამიანის მაძებარი? – იკითხა ბალანჩივაძემ.
– აი საქმეც ეგ არის, დავით ილიჩ, რომ არავინ! – მიუგო მინდელმა და განაგრძო: – არავითარი ცნობა ვინმე პატიმრის გაქცევის ან ვისიმე უგზო–უკვლოდ დაკარგვის შესახებ, არც მაშინ, არც შემდეგ, მაგადანის ოლქში არ შემოსულა. ჩემს იქ ყოფნაში კიდევ ერთხელ შევამოწმეთ ეს საკითხი. ასე რომ, ახლაც არ ვიცით ვისია ტაიგაში აღმოჩენილი ცხედარი ან საიდან გაჩნდა იქ.
– ეგ რაღაც წარმოუდგენელია, ადამიანი ჩიტი როდია, რომ მისი დაკარგვა შეუმჩნეველი დარჩეს, – წარმოთქვა ხომერიკმა.
–სავსებით გეთანხმებით, პატივცემულო გიორგი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – მგლების მიერ დაგლეჯილი ადამიანი ჩარგიევი, ანუ მარკაროვი არ არის, ხოლო მკვდრის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. ამ გარემოებამ ძალზე შეგვაშფოთა. ყველანი შევთანხმდით, რომ ნაპოვნი საბუთი ტანსაცმელში შემთხვევით არ მოხვედრილა. ის ცხედარს სწორედ მარკაროვმა ჩაუდო ჯიბეში, ან ცოცხალსვე მისცა, მაგრამ ვინ იყო მკვდარი?
ადგილზე არსებული საბუთების შესწავლით გამოირკვა, რომ კოლონიიდან გაქცევა მარკაროვს და ვიღაც მარტინოვს – ძველ ქურდ–რეციდივისტს მოეწყოთ. მარტინოვი პატრულს გადაჰყრია, უსვრიათ, მძიმედ დაჭრილი მიუყვანიათ

უკანვე. მისი კოლონიაში მიყვანიდან 6 საათის შემდეგ ცნობილი გახდა მარკაროვის გაქცევაც. მაშინვე დაუწყიათ ძებნა, მაგრამ ვერავითარი კვალი ვერ უპოვიათ. მარტინოვის დაკითხვა მხოლოდ მესამე დღეს მრხერხდა, მაგრამ მან უარი განაცხადა მარკაროვთან ნაცნობობაზე და გაქცევის ცდაც უარყო. შემთხვევით კოლონას ჩამოვრჩი და გზა ამებნა, უმიზეზოთ მესროლესო, – იმეორებდა ყოველ დაკითხვისას.
– ახლა თუ დაკითხეთ? – შეაწყვეტინა ბალანჩივაძემ.
– ვერა, ვერ დავკითხეთ მარტინოვი უკვე მომკვდარა, – მიუგო მინდელმა და განაგრძო: – უნდა გულახდილად გითხრათ, გავეცანი ამ მდგომარეობას, თითქმის შეუძლებლად ჩავთვალე კოლონიიდან იმ პირობებში გაქცევა. მარტინოვისათვის არ აღმოუჩენიათ არათუ რაიმე იარაღი, პურის ნაჭერიც კი, ხოლო უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე 150 კილომეტრია გასავლელი. როგორ შეეძლო გაეღწია მარტინოვს ან როგორ მოახერხა ეს მარკაროვმა? – აი კითხვები, რომლებიც წამოიჭრა ჩვენს წინაშე. როგორც კი ადგილობრივი ამხანაგები დარწმუნდნენ მარკაროვის ცრუ სიკვდილში, ბუნებრივია ვიფიქრეთ, რომ მარკაროვს ვიღაც დაეხმარა და შეიძლება შემდეგ თვითონ გახდა მისი მსხვერპლი, მაგრამ ვინ დაეხმარა? – აი, ამ კითხვას კი ვერ ვუპასუხეთ. რადგან თუ ის პატიმარი, ან უარეს შემთხვევაში კოლონიის თანამშრომელი იყო, სახვა არა იყოს რა, მისი უკვალოდ გაქრობა არ დარჩებოდა შეუმჩნეველი. ხოლო თუ დასახლებული პუნქტიდან მოვიდა ვინმე. შეუძლებელია ისე გაევლო ესოდენ დიდი მანძილი, ვერავის შეემჩნია. ერთი სიტყვით, იმდენად წარმოუდგენლად მეჩვენა კოლონიიდან გაქცევა, რომ ის ჩარგიევი არ იყოს აუცილებლად ეჭვი შემეპარებოდა.
– რა სთქვა გიორგაძემ წერილის შესახებ? – შეეკითხა ხომერიკი.
– გიორგაძე ძველი ქურდ–რეციდივისტია. დამნაშავეთა წრეში „პაპაშას„ სახელით იცნობენ. მან კატეგორიულად უარყო მარკაროვის ნაცნობობა. განმარტა, რომ თუმცა გაუგონია „საშკა ჩერქეზის„ სახელი, მაგრამ პირადად არასოდეს უნახავს.„ ისე, როგორც სხვა პატიმრებმა, მეც გავიგე ჩერქეზის გაქცევა და ტაიგაში სიკვდილი. სხვა კი მის შესახებ არაფერი ვიციო„, აქვა. გამოირკვა, რომ ისინი თუმცა ერთ კოლონიაში, მაგრამ ერთმანეთისაგან შორს იმყოფებოდნენ, მართლაც არ ხვდებოდნენ ერთმანეთს. გიორგაძემ დაადასტურა მარტინოვთან ნაცნობობა, მაგრამ წნრილის გადაცემა უარყო.
– კი მაგრმ ვის მისცა წერილი გიორგაძემ?
– ეს კითხვა მეც მაინტერესებს, დავით ილიჩ, გიორგაძემ ვერ აღადგინა ვის მისცა წერილი. განმარტა: „შეიძლება ვინმე განთავისუფლებულ პატიმარს გავატანე, მაგრამ ვის – არ მახსოვსო„. ვაჩვენე წერილი, დაადასტურა, რომ მისი დაწერილია, მაგრამ მასში წერილის წამომღების გვარი ან სახელი არ არის მოხსენებული. ეს კი გიორგაძეს საშუალებას აძლევს „ვერ გაიხსენოს„ ვის გაატანა წერილი. ასე რომ, საკითხი კვლავ ბურუსით არის მოცული.
– რა გამოირკვა საბოლოოდ? – კვლავ შეაწყვეტინა ბალანჩივაძემ.
– გარდა იმისა, რომ გაქცეული მარკაროვი ჩარგიევია, თითქმის არაფერი, – მიუგო მინდელმა.

– ესე იგი?
– ჩვენ არ ვიცით ვისია ტაიგაში ნაპოვნი გვამი.ადგილობრივ ამხანაგებს სრული საფუძველი ჰქონდათ მკვდარი მარკაროვად ჩაეთვალათ, და თუ ჩვენი დეპეშა არა, ალბათ არავის შეეპარებოდა ეჭვი ამ ამბავში. ახლა კი საფუძვლიანი გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა ვეჭვობ რაიმე დადგინდეს თუ თვით ჩარგიევმა არ აღიარა რა ვითარებაში მოახერხა გაქცევა და ვინ არის მოკლული.
– ასე, რომ ჩარგიევზე ვყოფილვართ დამოკიდებული? – თითქოს იხუმრა ბალანჩივაძემ.
– თითქმის! – მტკიცედ მიუგო მინდელმა. – შემთხვევიდან საკმაო დროა გასული, ხოლო ამ საქმის გახსნას ყველაზე მეტად ის ართულებს, რომ არავითარი განცხადება ვისიმე უგზო–უკვლოდ დაკარგვის შესახებ არ ყოფილა შემოსული ამ ხნის მანძილზე არავინ დაინტერესებულა უკვალოდ გამქრალი ადამიანის ძებნით, ბუნებრივია დავასკვნით: ამ ადამიანის მახლობლები არ არინ დაინტერესებული მისი მოძებნმთ და ამ საქმეში ხელისუფლების ჩარევით. ასე რომ, რადაც არ უნდა დაჯდეს ჩარგიევმა უნდა თქვას ვინ არის გამგზავრებული ამ ქვეყნიდან მისი სახელით და მის, ნაცვლად. – მინდელი ცოტა ხნით შეჩერდა და შემდეგ ფრთხილად დაუმატა: – არის კიდევ, თუმცა შედარებით სუსტი, მაგრამ მაინც, ერთგვარი გზა მკვდრის ვინაობის დასადგენად.
– სახელდობრ? – შეეკითხა ხომერიკი.
– როგორც დეპეშით გვაცნობებდნენ, თავის ქალა და ორიოდე ძვალი შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი, იქვე დაემარხათ. მე მოვათხრევინე და თან წამოვიღე.
– თან წამოიღეთ? – განცვიფრდა პოლკოვნიკი.
– დიახ, თან წამოვიღე, ჩავიტანე მოსკოვში და ვთხოვე გენერალურ პროკურორს ჩაერია ამ საქმეში ცნობილი კრანეოლოგი პროფესორი ეფრემოვი. პროფესორი სიამოვნებით დათანხმდა დახმარება გაეწია გამოძიებისათვის, ასე რომ, ახლა ჩრდილოეთში ადგილობრივი ამხანაგები ეწევიან ძიებას. პროფესორი ეფრემოვი უკვე მუშაობს თავის ქალაზე, მისი ნამდვილი სახის აღსადგენად, მე კი ჩარგიევის საშუალებით უნდა დავადგინო ვინ არის მოკლული, – დაამთავრა მინდელმა.
– ეგ სწორად მოგიფიქრებიათ, – გაიღიმა ხომერიკმა, – ხოლო ყველაფერი ის, რაც თქვენ გვიამბეთ ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჩარგიევი თუ მარკაროვი გაცილებით უფრო საშიში პიროვნებაა, ვიდრე თავს გვაჩვენებს.
– ცხადია, – დაუდასტურა ბალანჩივაძემ, – სწორედ ამით აიხსნება თანამონაწილეთა მისადმი ასეთი შიში და მორჩილება, აგრეთვე შედარებით იოლად გამოტეხა ქუთაისში ჩადენილ დანაშაულში.
– სხვა რა მასალები შეკრიბეთ ჩარგიევზე? – დასვა კითხვა ხომერიკმა.
– მე თან წამოვიღე, უფრო სწორად ფოსტით გამოვაგზავნე, მისი პირადი საქმე კოლონიიდან. საკავშირო პროკურორის საშუალებით დავუკავშირდი ვილნიუსს და გამოვითხოვე სისხლის სამართლის საქმე, ის საქმე, რაზედაც ჩარგიევს 25 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი მარკაროვის გვარით, და რის დამალვასაც ცდილობდა აქ. საქმე ალბათ ამ დღეებში ჩამოვა.
– კეთილი. სხვა?

მინდელი გამომცდელად მიაჩერდა მომღიმარ ხომერიკს.
– გენერალურმა პროკურორმა, – დაიწყო მან ყოყმანით, – სავსებით მოიწონა ჩვენი გეგმა ობილიგაციების აღმოჩენის შესახებ. შეუთანხმა საკითხი სადაც საჭირო იყო და მისცა კიდეც ტყეშელაიძის ბინიდან მოპარული ორი ობილიგაციის ნომერი და სერია. ერთ მათგანს უნდა რგებოდა 2500, ხოლო მეორეს 1000 მანეთი მოგება. მაგადანში ყოფნისას შევამოწმე გაზეთი და ძლიერ განვცვიფრდი, რომ ჩვენთვის საჭირო ობილიგაციებს მოგება არ ხვდა.
– ძალიან გეწყინა? – გაეცინა ბალანჩივაძეს.
– ჩემი წყენა რა შუაშია, მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ პროკურატურაში თქვენი დეპეშა მაჩვენეს, რომლითაც ითხოვდით აღარ გაეტარებინათ რაიმე ღონისძიება. რა მოხდა?
– ობილიგაციები ვიპოვეთ, – უპასუხა ხომერიკმა.
– მართლა? – გაუხარდა მინდელს, – აღიარა ხოტოველმა?
– არა! – გაეღიმა ხომერიკს, – ხოტოველი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი სიჯიუტისა, ობილიგაციები კი ვიპოვეთ იმ საშუალებით, რაც ჩვენი მუშაობის ძირითად საყრდენს წარმოადგენს.
– ვერ გავიგე, გიორგი ასლანიჩ.
– ახლავე აგიხსნი, – ხომერიკი სავარძლიდან წამოდგა, – შენი წასვლიდან მეათე დღეს, ძიძიგური ჩამოვიდა თბილისიდან, თან ერთი მეტად სიმპატიური მამაკაცი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, აბრამ კრიხელი ჩამოჰყვა. აი სწორედ ამ კრიხელმა მოიტანა ობილიგაციები უკლებლივ, ლურჯი აბრეშუმის ზონარით შეკრული.
ხომერიკმა რკინმს სალარო გახსნა. მრგვალად დახვეული ობილიგაციები გამოიღო და მინდელის წინ მაგიდაზე დასდო.
– არაფერი მესმის! – აიჩეჩა მხრები მინდელმა და ობილიგაციებს ხელი შეავლო.
– ეს სულ მარტივი და ჩვეულებრივი ამბავია, – განაგრძო ხომერიკმა, – კრიხელი ხოტოველის დეიდაშვილია, საკმაოდ ცნობილი პიროვნება, რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი. იანვრის თვეში ქუთაისში მივლინებაში მყოფი ხოტოველს ეწვია, მან კი წასვლისას დეიდაშვილს ობლიგაციები გადასცა და სთხოვა შეენეახა. „არ მინდა ცოლ–შვილმა იცოდეს, დამიხარჯავენო„, – უთქვამს მისთვის. კრიხელს ცხადია, არაფერი არაჩვეულებრივი ამ საქმეში არ დაუნახავს და ობილიგაციები წაუღია. შემდეგ, როდესაც ხოტოველის დაპატიმრება გაიგო, თუმცა მისი დაპატიმრების მიზეზი არ იცოდა, ეჭვი შეპარვია ობილიგაციების შეძენის პატიოსან საშუალებაში და მილიციის სამმართველოს შეატყობინა. – დაამთავრა ხომერიკმა.
– დიდებულია! – აღფრთოვანდა მინდელი, – ასე რომ ...
– ასე რომ, – სიტყვა ჩამოართვა პროკურორმა, – კრიხელმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა, ხოლო ხოტოველს აღიარების მეტი საშუალება აღარ დარჩა და ობლიგაციებს საათებიც მოაყოლა.
– საათებიც?! საათები სადღა ჰქონდა, ნუთუ სახლში? – აღელდა მინდელი.

– ნუ ღელავ, ლევან, სახლში რომ ჰქონოდა ჩვენც ვიპოვნიდით, ჩხრეკა საფუძვლიანი იყო ჩატარებული. საათები ხოტოველს სოხუმში მცხოვრებ მოქალაქისათვის მიუყიდია. სწორედ გუშინ ჩამოიტანა ბურდულმა.
– კარგი, ძალიან კარგი! – გამხიარულდა მინდელი, – მაშასადამე საქმე უკვე მთლიანად გახსნილია და დანაშაულის სრული სურათიც აღდგენილი.
– მკვლელობა? – ჩაერია ბალანჩივაძე.
– ტაიგაში ჩადენილი მკვლელობა? ეს ამ საქმის დამთავრებას ვერ შეაფერხებს. თუ ჩარგიევმა არ აღიარა, საქმე ამ ნაწილში გამოიყოფა მხოლოდ, – მიუგო მინდელმა.
– ვნახოთ რას გვეტყვის ჩარგიევი, – „ჩარგიევი„, ხაზგასმით წარმოთქვა ხომერიკმა და უეცრად აწკრიალებული ტელეფონის აპარატის ყურმილი აიღო. – პროკურორი ხომერიკი გისმენთ, ააა!! სალამი... კი.. კარგად, კარგად არის... ვიცი მისი ხასიათი, ამიტომ საყვედურიც არ მითქვამს... – ხომერიკმა მინდელს გადახედა და განაგრძო: – ახლავე გამოვგზავნი და ბოდიშს მოვახდევინებ თქვენს წინაშე. თქვენი მხივაც ტყავი ააძვრეთ. ეკუთვნის კიდეც... ეკუთვნის კიდეც, – გაიცინა ხომერიკმა, შემდეგ მინდელს მიუბრუნდა: – ელენეა, რას ფიქრობდი სადგურიდან რომ პირდაპირ აქ მორბოდი, შეგრჩებოდა? – კვლავ გაიცინა მან და მომღიმარ გამომძიებელს ყურმილი გადასცა.
– გამარჯობა, ელენე!.. აბა რა უნდა მომსვლოდა. ძალიან კარგად ვარ, სულ 2 საათია... არა, არა, ნუ ჯავრობ, არ გამხდარვარ... ვიცი რომ არ მსაყვედურობ... კარგი, კარგი, – დაამთავრა მინდელმა და ყურმილი აპარატზე დასდო.
– შეგახურა? – გაეხუმრა ბალანჩივაძე.
– არც უმაგისობაა, – მხიარულად უპასუხა მინდელმა.
– არა უშავს, – დაამშვიდა პოლკოვნიკმა, – მეც ბევრჯერ მომხვედრია, მაგრამ ვუძლებდი, ბოლოს მიეჩვია, აღარ ჩხუბობს.
სამთავეს გაეცინა.
ხომერიკმა საათს დახედა.
– 3 საათია, შენ წადი, ლევან, ბავშვები მოუთმენლად გელიან, დრო არა გაქვს, თორემ მე და დავითიც წამოგყვებოდით... ელენასთან მაინც შეგარიგებდით, – დაუმატა ხუმრობით და განაგრძო: – ხვალ კი საქმეს შევუდგეთ, ჩარგიევის დაკითხვას მეც მინდა დავესწრო. საღამოს, თუ მოახერხო დამირეკე ჩრდილელი ვინახულოთ.
– მართლა, როგორ არის? არც კი გკითხეთ, – აირია მინდელი.
– კარგად, ჯერ სახლშია, 15 მარტს სანატორიუმში მიემგზავრება, – უპასუხა ბალანჩივაძემ და განაგრძო: – ეთერი მიჰყვება, ხომ გაგიგონია ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა ეს სწორედ ჩრდილელზეა ზედგამოჭრილი, ეთერიმ სამი თვით უფასო შვებულება აიღო, სულ ერთად არიან, ხოლო სამაისოდ ქორწილსაც აპირებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში ჩრდილელსაც არ ასცდება შეხურება მივლინებიდან პირდაპირ სამსახურში მოსვლისათვის.
მინდელს გაეცინა.
– ეგ ცხვრის ტყავი აქ დასტოვე, პალტო ჩაიცვი, – გაიცინა ხომერიკმა, თორემ ელენე ნამდვილად შეშინდება.

– მართლა, პალტო ხომ აქა მაქვს, – კვლავ გაეცინა მინდელს და კაბინეტიდან გავიდა.
ხომერიკი და ბალანჩივაძე მარტოდ დარჩნენ.
– ცეცხლივით ბიჭია ლევანი, – დაიწყო ბალანჩივაძემ, გამომძიებლად არის ნამდვილად დაბადებული, მიყვარს ასეთი მუშაკები.
– ძალზე კარგი მუშაკია, თუმცა ჩვენ კი უნდა გამოვეთხოვოთ.
– როგორ თუ გამოვეთხოვოთ, რას ამბობ? – გაუკვირდა ბალანჩივაძეს.
– აპარატში უპირებენ გადაყვანას განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად.
– მერე, უშვებ?
– სხვაგან რომ მიჰყავდეთ იქნებ წინააღმდეგი წავსულიყავი, მაგრამ ცენტრალურ აპარატში...
– თვითონ თანახმაა?
– არ ვიცი, ჯერ არ მითქვამს, მიუგო ხომერიკმა და პალტო ჩაიცვა.
ტელეფონის ზარის ხმაზე ხომერიკმა ყურმილი აიღო.
– გისმენთ! – ჩასძახა მშვიდად. იმავე წამს სახე შეეცვალა, წარბები მრისხანედ შეჰყარა. – რაო?! მერე თქვენ სად იყავით, დღისით, მზისით?! – იყვირა მან და ბრაზმორეულმა ყურმილი გამეტებით დაახეთქა საკისარს.
– რა ოხდა გიორგი? – შესძახა ბალანჩივაძემ.
– ციხის თანამშრომლების სიბრიყვე! – კვლავ იყვირა ხომერიკმა, – ეზოში სასეირნოდ გაყვანილი ჩარგიევი გაიქცა!
– გაიქცა? – პოლკოვნიკი ტელეფონს ეცა, ჩქარა მანქანა! – შეჰყვირა მან.
– საჭირო არ არის! – შეაჩერა ხომერიკმა, – გაქცეული ჩარგიევი დაჭრეს და მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოშია მიყვანილი, იქ კი ჩემი მანქანით წავიდეთ, მინდელიც წავიყვანოთ.
– ცოცხალია?
– ჯერ ცოცხალია, უგონოდ არის, ასე სთქვა ციხის უფროსმა, – მიუგო ხომერიკმა და დაუმატა: – ნუღარ ვაგვიანებთ, – წავიდეთ!
რამდენიმე წუთის შემდეგ პროკურორი, გამომძიებელი და მილიციის უფროსი საავადმყოფოში მივიდნენ, სადაც ამ იშვიათი შემთხვევის გამო ზედმეტი სირბილი და ექთანთა უადგილო ფუსფუსი იყო გამართული.
მისულებს ციხის უფროსი შეეგება.
– როგორ არის პატიმარი – მოუთმენლად იკითხა მინდელმა.
– ცუდად, მძიმე მდგომარეობაშია, – უპასუხა ციხის უფროსმა შეგვიანებით.
– სად არის? – კვლავ იკითხა მინდელმა.
– საოპერაციოშია, მაგრამ უფრო ცუდი ის არის, რომ გრძელიძე მივლინებაშია და...
– მაშ ვინ უკეთებს ოპერაციას? – ჩაერია ხომერიკი.
– ქირურგი ბარათელი, ციალა ბარათელი...
– ჩემი რძალი? – გაეღიმა ბალანჩივაძეს.
– დიახ, პატივცემულო დავით.
– ციალა... ძალიან კარგი. ოპერაცია უკვე დაიწყო?

– ალბათ, ამხანაგო გიორგი.
– როგორ მოხდა ეს ამბავი? – იკითხა ბალანჩივაძემ
– ძალიან უბრალოდ, იმდენად უბრალოდ,რომ წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა თუ ამას გაბედავდა პატიმარი.
– მაინც?
დღის 2 საათზე პატიმრები ჩვეულებრივად იყვნენ გაყვანილი ეზოში გასასეირნებლად. სულ 25 კაცი, მათ შორის ჩარგიევი. თქვენ იცით, ჩვენთან ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ჰოდა ამის გამო ციხის კედკლთან სწორედ სადარაჯო კოშკურის წინ ხარაჩოა ამართული, ხარაჩოზე კი ძელია მიდგმული. ჩარგიევი რამდენჯერმე ავიდა ძელზე, მაგრამ ბარდაგს ყურადღება არ მიუქცევია, ამ ერთი შეხედვით უწყინარი, გართობისათვის, მით უმეტეს, რომ ძელიდან კედლის სიმაღლე 2 მეტრზე მეტია და იქვე კოშკურაზე გუშაგი დგას. ერთბთშად ჩარგიევი ძელს მოსწყდა, ხარაჩოზე შეხტა, და ვიდრე ბადრაგი გამოერკვეოდა, ვეფხვივით ისკუპა, გალავანს გადაევლო. საბედნიეროდ, კოშკურაზე მყოფი გუშაგი არ დაიბნა და გაქცეულს ტყვია დაადევნა. გალავნიდან გადმომხტარი ჩარგიევი მძიმედ დაეცა ქვაფენილზე, მაგრამ გუშაგის ტყვიებს უვნებლად გადარჩენილი, მაშინვე წამოხტა და ქურციკივით მოჰკურცხლა. შესახვევთან გუშაგის ტყვია დაეწია და, როდესაც ჩვენ ადგილზე მივედით, იგი უგონოდ ეგდო და სისხლში ცურავდა.
– სადა აქვს ჭრილობა? – იკითხა ხომერიკმა.
– ზურგში. ტყვია სხეულში აქვს ჩარჩენილი. ვინ იფიქრებდა, რომ ის ამას...
– თქვენ, თქვენ უნდა გეფიქრათ, ამხანაგო რაჟდენ, რომ ჩარგიევი ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას! აკი გითხარით, გაგაფრთხილეთ, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყოლეთ–მეთქი, – გაეპასუხა გულმოსულად პოლკოვნიკი.
ციხის უფროსი დუმილით შეხვდა ამ დამსახურებულ საყვედურს.
– ახლა საყვედურის დრო არ არის, ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი. ამჟამად მთავარია ყველაფერი გაკეთდეს ჩარგიევის სიცოცხლის გადასარჩენად, წავიდეთ, ციალა ვნახოთ! – წარმოთქვა ხომერიკმა და საოპერაციოსაკენ გაეშურა.
დიდ ნათელ ფანჯრებიდან ოთახში ხლოროფორმის მწვავე სუნი იდგა, გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ სტერილიზატორის შიშინი არღვევდა, ექთანი საოპერაციო ხელსაწყოებს ამზადებდა.
ოთახში ფეხაკრებით შემოსულთ ოპერაციის სამზადისში გართული ბარათელი შეეგებათ, დასტაქარს ქათქათა ხალათი ეცვა, თეთრი ქსოვილის ნიღაბ აფარებულს თეთრივე ხელთათმანები ემოსა.
შემოსულებს უხმოდ თავის დაკვრით მიესალმა და იქვე ბორბლებზე შემდგარ მოზრდილ მაგიდას მიუახლოვდა, სადაც თეთრ ზეწარ გადაფარებული დაჭრილი ჩარგიევი იწვა. ხომერიკსაც ამ მაგიდისაკენ გაექცა ათვალი, ჩარგიევის სახეს ზეწარი ფარავდა. მარცხენა ხელი, რომელიც ორდინატორს ეჭირა სანთელივით გაყვითლებოდა, მკერდის მძლავრ მოძრაობაზეღა ეტყობოდა, რომ სიკვდილს ჯერ კიდევ ვერ დაემარცხებინა სიცოცხლე.

– ყველაფერი მზადაა! – ჩუმათ ახსენებს ექთანი.
ციალამ სწრაფი მოძრაობით გადახადა ზეწარი დაჭრილს, სკალპელი აიღო.
– დავიწყოთ! – წარმოთქვა მტკიცედ და მჭრელი იარაღი გაბედულად დაუსვა იოდის ხსნრისაგან ყავისფრად შეფერილ ტიტველ სხეულს.
...ორ საათზე მეტს მუშაობდნენ ბარათელი და მისი კოლეგები. ორ საათზე მეტ ხანს ჩუმად ისხდნენ ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი და პატივისცემით შესცქეროდნენ ექიმთა ბრძოლას ადამიანის სიცოცხლისათვის, სიკვდილის დამარცხებისათვის.
სკალპელი!... მაკრატელი... ბანდი!... მოსაჭრელი დაამზადეთ! – ნაწყვეტ–ნაწყვეტად ისვრის ბარათელი და ხელს იწვდის. სახით კი დაჭრილისკენ დახრილა, დინჯად ჩქარობს დასტაქარი.
ოპერაცია დამთავრდა.
– ცალკე პალატაში სპეცმეთვალყურეობის ქვეშ! – დაღლილი ხმით იძლევა განკარგულებას დასტაქარი და მძიმე ნაბიჯით გადის საოპერაციოდან. ხომერიკი, ბალანჩივაძე და მინდელი თან შეჰყვნენ თავის კაბინეტში შესულ ბარათელს.
– რას გვეტყვი, ციალა? – შეეკითხა რძალს პოლკოვნიკი.
ბარათელმა ხელები შეიმშრალა, პირსახოცი სანიტარს გადასცა.
– მძიმე მდგომარეობაა; თვით ჭრილობა არ არის სასიკვდილო, მაგრამ გული აქვს ცუდი, – მიუგო მოწყენილად.
– ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გადასარჩენად, ჩარგიევი არ უნდა მოკვდეს! – წარმოთქვა მინდელმა.
– მე გაფრთხილება არ მინდა, ამხანაგო ლევან სიკვდილის ხელიდან ადამიანის გამოგლეჯა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ჩემი მოვალეობაა, მაგრამ აქ მეტად მძიმე მდგომარეობაა, შეიძლება გონზეც ვერ მოვიდეს ისე იოლად დაიღუპოს ავადმყოფი.
მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.
– მერედა რა მშვენიერი ვაჟკაცია, უბედური! – წყნარად ჩაილაპარაკა ბარათელმა,
– ვინ იცის, მასაც ყავს ცოლი, შვილები, ახლობლები. აფსუსი არ არის ასეთი ვაჟკაცი ამგვარი სიკვდილით დაიღუპოს.
ხომერიკი წამოდგა.
– ჩვენ წავალთ, ციალა. აქ ყოფნა ამჟამად არაფერს მოგვცემს, თუ ჩარგიევი გონს მოვიდეს, მორიგე ექიმი გააფრთხილეთ, მინდელს დაურეკოს. ტელეფონის ნომერი იცით.
ბარათელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.
– მე ავადმყოფს ვერ მოვშორდები, პატივცემულო გიორგი. ახლა ჩემი ადგილი აქ არის. მამა, – მიუბრუნდა ციალა პოლკოვნიკს, – ნუ დამელოდებით, ილიას უთხარი დამირეკოს. რაც შეეხება დაჭრილს, გონზეც რომ მოვიდეს მასთან საუბრის ნებას მაინც ვერ დაგრთავთ, ის ჯერჯერობით სიკვდილის სარეცელზე წევს.
– გასაგებია, ციალა, მაგრამ ვინ იცის, მაინც იქონიეთ მხედველობაში...

...ციალა მარტო დარჩა, ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი. ვერ აეგო, რატომ დაეუფლა ასეთი კაეშანი. ყოველ ოპერაციას ერთნაირი პასუხისგებით ეკიდებოდა. ხარობდა, როდესაც გაიმარჯვებდა სიკვდილთან ჭიდილში, ნაღვლობდა, როცა სიკვდილი აჯობებდა, მაგრამ დღევანდელი მისი განწყობა არ გავდა პაციენტის მოსალოდნელი დაღუპვით გამოწვეულ პროფკსიულ დარდს. მას სახვა რაღაც გამოუცნობი ვარამი აწვალებდა და ვერაფრით ვერ აეხსნა მისი გამომწვევი მიზეზი.
– ნელ–ნელა გაიცრიცა სინათლე და ოთახში მუქი ბინდი ჩამოწვა. ციალა წამოდგა, ამომრთველი ჩართო, ჩახჩახა შუქზე მექანიკური მოძრაობით შეისწორა თმები და ჩარგიევის პალატას მიაშურა
...მძინარე მინდელი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. საათს დახედა – ზუსტად ღამის 4 საათი იყო. ყურმილიზანტად აიღო, მაგრამ მიხვდა თუ არა რომ ქირურგი ბარათელი რეკავდა, უეცრად გამოფხიზლდა, სწრაფად წამოჯდა საწოლზე. „ჩარგიევი გარდაიცვალა„, გაიფიქრა მან.
– რა მოხდა ციალა? – შეეკითხა შემკრთალი ხმით
– ახლავე, ამ წუთში მოდით საავადმყოფოში, პატიმარი თქვენ სასწრაფოდ ნახვას თხოულობს, – უპასუხა ციალამ.
მინდელს გულზე მოეშვა.
– ამ წუთში მანდ ვიქნები, – ჩასძახა მიკროფონშიდა ლოგინიდან წამოიჭრა. ციალა სამორიგეო ოთახში დახვდა გამომძიებელს, ტირილისა და უძილობისაგან თვალები დასიებოდა, მოწყენილად გაუღიმა შემოსულ მინდელს.
– რა მოხდა ციალა?
– ჩარგიევი გონს მოვიდა, შენი ნახვა ითხოვა... – ხმა აუთრთოლდა დასტაქარს.
– მერე და ამიტომ სტირით? – განცვიფრდა მინდელი.
ციალამ თავი დახარა, მსხვილმა ცრემლებმა შეუსველა ლამაზი სახე.
– ის... ის ბოდავს... საცოდავად ბოდავს, რაღაც უცნაურს და წარმოუდგენელს, – ამოილუღლუღა ბარათელმა და ღვარად წამოსული ცრემლები ცხვირსახოცით შეიშრო.
მინდელი გვერდზე მიუჯდა.
– დამშვიდდით, ციალა! დაჭრილის ბოდვა რად უნდა გიკვირდეთ, ეგ ხომ კანონზომიერია. ჩარგიევი გადარჩა, ეს თქვენი გამარჯვებაა, დასტაქრის მარჯვენის გამარჯვება. სიხარული გმართებთ, თქვენ კი სტირით, არა გრცხვენიათ?
ციალას არ უპასუხია. თავდახრილი, ნერვულად სრესდა სველ ცხვირსახოცს.
– კარგი, ციალა, ნუღარ სტირით! მითხარით მაინც, რას ბოდავს ჩარგიევი, როგორ არის ავადმყოფი?
ციალამ თავი ასწია ნაღვლიანად შეხედა გამომძიებელს.
– ერთი საათის წინ, – წყნარი ხმით დაიწყო ციალამ, – მასთან ვიყავი პალატაში, გულის საშუალებებს ვუკეთებდი, შემდეგ მაჯა გავუსინჯე, გულის ცემა შედარებით გამოუკეთდა.უეცრად დაჭრილმა დაიკვნესა, „მათე აბა შემომხედე, მათე „! – ჩავძახე რამდენჯერმე. მან ისევ დაიკვნესა. მერე ნელ–ნელა გაახილა

თვალი, შემომხედა. მე ღიმილით შევცქეროდი. „როგორ ხარ, მათე? აბა, ჩემკენ მოიხედე, მითხარი რამე„. ჩარგიევს თვალები გაუფართოვდა, დიდხანს შემომცქეროდა მდუმარედ, შემდეგ რაღაცის თქმა დააპირა, რამდენჯერმე აუთრდოლდა ბაგე, მაგრამ სათქმელი ვერა სთქვა, ყრუდ დაიკვნესა მხოლოდ, თვალები კი, ფართოდ გახელილი თვალები, დაჟინებით შემომცქეროდნენ და იმ წამს რატომღაც მომეჩვენა, პირველად არ ვხედავდი მათ, თითქოს ადრეც მენახა, ადრეც შევხვედრივარ. გესმის ლევან?!
– მესმის ციალა! მერე რა მოხდა, ალბათ ვინმე ნაცნობს მიამსგავსეთ, ეს არის და ეს.
– ჰო... ალბათ... მეც მესმის, რომ ეს რაღაც სისულელეა, მაგრამ მაინც, არ ვიცი რატომ, ნაღველი ამეშალა, ცრემლი მომერია. – ციალამ წამით იყუჩა და განაგრძო:
– ჩარგიევმა გაიღიმა, თვალებში სითბო ჩაუდგა; კვლავ აუთრთოლდა გაფითრებული ტუჩები. რამდენიმე ყლუპი წყალი ჩავაყლაპე მან მადლობით შემომხედა, შემდეგ ნელ–ნელა გახსნა ბაგე. „სადა–ვარ?„ – მკითხა სუსტი ხმით.
„საავადმყოფოში„, – ვუპასუხე, რაც შეიძლებოდა მხიარულად. „ახლა კარგად ხართ, მალე სულ კარგად იქნებით„.
„თქვენ... თქვენ ვინა ხართ?„
„მე? მე ექიმი ვარ, ციალა ბარათელი, თქვენი მკურნალი„ – ვუთხთრი ღიმილით და შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოვწმინდე.
„ციალა... ციალა... – ჩაილაპარაკა მან რამდენჯერმე – ჰოო... ალბათ სიზმარში ვარ, ალბათ მძინავს„ – დაუმატა ჩურჩულით.
„რა მოგივიდათ, მათე? – შევკრთი. ავადმყოფი დიდხანს დუმდა.
„მე... მე... არაფერი... ვკვდები, ციალა...„ – ამოილაპარაკა ძლივს.
„რა სისულელეს ლაპარაკობთ, მათე, თქვენთან სიკვდილს რა უნდა!„
„არ მინდა ნუგეში, ვიცი ჩემი სიცოცხლის საათები დათვლილია... მიხარია კიდეც... არც მთლად უბედური ვყოფილვარ, მეც შემხვდა პატარა ბედნიერება... თუმცა სიკვდილის წინ, მაგრამ მაინც შემხვდა... ექიმო, თქვენ გჯერათ სასწაული? არა? მე კი მჯერა. თუ აქამდე ეჭვი მეპარებოდა, ახლა მწამს„
„ლაპარაკი გავნებთ. თქვენ ახლა უნდა დაიძინოთ„! – შევაწყვეტინე.
„ჰო... უნდა დავიძინო... სამუდამოდ უნდა დავიძინო, ექიმო... მაგრამ არა ახლა, მე კიდევ ვიცოცხლებ რამოდენიმე საათს თუ... თუ თქვენ არ მიმატოვებთ... შეიძლება?
მათეს ცრემლით აევსო თვალები და მუდარით შემომხედა.
„მე აქ ვიქნები, არსად წავალ, ოღონდ დამშვიდდით, მღელვარება გაწყენთ.
„თქვენ ძალიან, ძალიან კეთილი ხართ, ექიმო„ – ჩაილაპარაკა მან და თვალები მილულა.
ასე იწვა რამდენიმე წუთს. შემდეგ ისევ გაახილა თვალები, შემომხედა.
„თქვენ იცით მე ვინა ვარ?„
„მე ვიცი, რომ თქვენ ადამიანი ხართ, სხვა არ მეხება„ – მივუგე მტკიცედ
„არა! მე ხომ ქურდი ვარ, ძველი ქურდი, იცით რამდენი სიავკაცე ჩამიდენია?„
„ლაპარაკი გავნებთ, გთხოვთ გაჩუმდით!„

მან თითქოს დამიჯერა, გაჩუმდა. მე ისევ მაჯა გავუსინჯე, დაჭრილი ჩუმად იყო და მომეჩვენა თითქოს თვთლდთხუჭულს რაღაც ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.
მაჯის ცემა გაუუარესდა. ლაპარაკმა მოჰღალა ალბათ, ფრთხილად წამოვდექი სკამიდან.
„ცოტა ხნით დაგტოვებთ, ეცადეთ დაიძინოთ„.
„არა ნუ წახვალთ... ან არადა, წადით, წადით მხოლოდ ეს მითხარით, გამომძიებელი იყო, მნახა?
„არა... ჰო, დიახ იყო... – ავირიე მე, – მაგრამ ვიდრე მთლიანად არ გამოჯანსაღდებით, არ მოვა, მე ავუკრძალე„
მან მწარედ გაიღიმა.
„თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს, ექიმო, აღმითქვით, რომ შემისრულებთ„
„რა გსურთ?„
„ახლავე დაუძახეთ გამომძიებელს! უეჭველად მოიყვანეთ, მე მასთან დიდი, ძალიან დიდი საქმე მაქვს„.
„ხვალ დავურეკავ„.
„ხვალ უკვე გვიან იქნება... დღეს, ახლავე მინდა რომ დაუძახოთ„ – დაჟინებით გაიმეორა მან და ისეთი მუდარით შემომხედა, რომ წინ ვეღარ აღვუდექი.
„კარგი, ახლავე დავურეკავ„ – დავთანხმდი მე.
„გმადლობთ, ექიმო, მხოლოდ იჩქარეთ, თორემ დააგვიანებთ, გამომძიებელი ვეღარ მომისწრეფს.„
მე დაუყოვნებლივ გამოვედი პალატიდან და იმ წამსვე თქვენ დაგირეკეთ. როგორც ადამიანს არ შემეძლო უარი მეთქვა მომაკვდავის თხოვნის შესრულებაზე. როგორც ექიმს კი არ მქონდა უფლება მისი სურვილის დაკმაყოფილებისა, მაგრამ თავს დავძლიე, დაგიძახეთ, – დაამთავრა ბარათელმა და კვლავ მოიწმინდა ცრემლები.
– დამშვიდდით, ციალა! რა საჭიროა ამდენი ცრემლები.
მინდელმა რამდენიმეჯერ გაიარა ოთახში.
– შეიძლება ჩარგიევთან შესვლა? – იკითხა მოგვიანებით.
ციალა წამოდგა.
– წავიდეთ, მაგრამ გთხოვთ არაფერი კითხოთ, მისი მდგომარეობა ძალზე მძიმეა.
ჩარგიევთან ექთანი მორიგეობდა. დასტაქარისა და გამომძიებლის შემოსვლაზე მორიდებით წამოდგა. ზედმეტი ხმაურის გარეშე დაჭრილის საწოლთან დაუდგა სკამი გამომძიებელს.
მინდელი ფრთხილად ჩამოჯდა. ჩარგიევს დააკვირდა, დაჭრილს არწივის თვალები ჩასცვენოდა, მიტკლისფრად ჩასთეთქვოდა სახე, მძიმედ სუნთქავდა, ნელა ტოკავდა მკერდზე სანახევროდ გადაფენილი თხელი საბანი.
ავადმყოფმა თითქოს იგრძნო გამომძიებლის ცქერა, ნელა აახილა თვალები და საწოლთან დახრილ მინდელს მიაპყრო დასუსტებული მზერა, შემდეგ გამომძიებლის გვერდით მდგარ ექიმს შეავლო თვალი.

– გმადლობთ! – ჩაილაპარაკა წყნარად და შეეტყო მაშინვე მდგომარეობა გაუუარესდა.
ექთანი პალატიდან გავარდა და იმავე წუთს შპრიცით დაბრუნდა, კანქვეშ გულის საშუალება შეუშხაპუნა.
ჩარგიევმა ისევ გაახილა თვალი. გაფითრებული ტუჩებით ბარათელს გაუღიმა, შემდეგ მინდელზე გადაიტანა მზერა.
– დაბრუნდით, ბატონო ლევან? – შეეკითხა მოულოდნელად.
გამომძიებელმა თავი დაუქნია.
– გმადლობთ რომ მოხვედით!... ასეც ველოდი... თუმცა... იქნებ საჭიროც არ იყოს... თქვენ ხომ ყველაფერი იცით და „საშკა ჩერქეზის„ ჩვენება ალბათ აღარც გჭირდებათ, – ამოილაპარაკა მან სვენებ–სვენებით.
– მე დასაკითხად არ მოვსულვარ, ჩარგიევ, – შენიშნა მინდელმა წყნარად.
– ვიცი... ჩემი თხოვნით მოხვედით, მე თვით მინდოდა თქვენი ნახვა... სიკვდილის წინ... მინდა რაღაც გითხრათ, ბევრი რამ გითხრათ, მაგრამ...
– მე გისმენთ, მათე, თუ ექიმი ნებას დაგრთავთ.
– ჩემი ექიმი კეთილი ადამიანია, ის უარს არ მეტყვის... მაგრამ მე... მე მინდა მხოლოდ თქვენ მომისმინოთ, არ მინდა სხვა დაესწროს ჩვენს საუბარს, მით უმეტეს ციალა... ქალბატონი ციალა.
მინდელმა გაოცებით შეხედა დაჭრილს, შემდეგ აცრემლებულ ციალას მიაპყრო მიზერა და უსიტყვოდ შეეკითხა როგორ მოვიქცეთო.
– თქვენ სუსტად ხართ, მათე, საუბარი დაგღლით, უნდა დაიძინოთ!
– გმადლობთ, კეთილო ქალო... მე რამდენიმე საათს კიდევ ვიცოცხლებ... ახლა კი გთხოვთ მარტო დამტოვოთ ბატონ ლევანთან, –წარმოთქვა ჩარგიევმა და დაუმატა: – ძალიან გთხოვთ ნუ მეტყვით უარს...
– კარგი, – ხმა აუკანკალდა ბარათელს. მხოლოდ მე აქვე ვიქნები, თუ საჭირო იქნეს...
– დაგიძახებთ ექიმო, ბატონი ლევანი შეგატყობინებთ თუ ცუდად გავხდი... – ნაძალადევად გაიღიმა დაჭრილმა.
პატიმარი და გამომძიებელი მარტონი დარჩენენ. მაგრამ როგორ არ გავდა ეს შეხვედრა წინა შეხვედრებს! მაშინ, როცა პირისპირ ისხდნენ პატიმარი და გამომძიებელი, ჩარგიევი ამაყად იჯდა, ყოველ დასმულ კითხვას დამაჯერებლად პასუხობდა, პროტესტს აცხადებდა, ედავებოდა... თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა, ელვას აკვესებდა... ახლა კი... ახლა ძლივსღა მფეთქავი, ბალიშზე უღონოდ მისვენებული, მძიმედ სუნთქავდა და მორჩილებით მისჩერებოდა საწოლთან სკამზე ჩამომჯდარ მინდელს.
– მე თქვენს ჩამოსვლას ყოველდღე ველოდი, ბატონო ლევან... არ ვფიქრობდი თუ კიდევ მომიწევდა შეხვედრა, მით უმეტეს ასეთ პირობებში, მაგრამ ასე ყოფილა ჩემი ბედისწერა... აქ, ამ საწოლზე უნდა დავამთავრო სიცოცხლე... – პატიმარმა ცოტა ხნით იყუჩა და განაგრძო: – გწამთ ბედისწერა? არა? მე კი მწამს... ესე იგი ახლა მწამს... აქამდე კი არც მე მწამდა... – ჩარგიევი კვლავ გაჩუმდა, მაგრამ რადგან მინდელი სდუმდა, ისევ განაგრძო: – უკანასკნელ დაკითხვისას დავრწმუნდი,

რომ თქვენ ჩემი წარსული მთლიანად გაჰქექეთ... ვიცოდი, რომ მალე დაბრუნდებოდით ახალი დამამტკიცებელი საბუთებით, ამიტომ იმ დღესვე გადავწყვიტე გაქცევა, არ მინდოდა ისევ იქ დავბრუნებულიყავ, საიდანაც გამოვიქეცი... ჩემმა ბედისწერამ სხვანაირად განსაჯა, სიკვდილის წინ ღმერთმა ანგელოზი გამომიგზავნა და მან მაიძულა გითხრათ... გითხრათ ის, რაც არ იცით და ვერც ოდესმე გაიგებდით. – მაშ მისმინეთ, თუ ძალა მეყო, ბოლომდე გიამბობთ ყოველივეს. გიამბობთ ყვედაფერს დაუფარავად. შეულამაზებლად. სიკვდილის სარეცელზე მყოფნი ტყუილს არ ამბობენ, მეც ხალას სიმართლეს გეტყვით. მეგონა გული დიდი ხანია აღარა მაქვს–მეთქი, ვცდებოდი თურმე... ბედმა აქაც დამცინა, თუმცა არ ვნანობ, ვინ იცის, უკეთესიც იყოს, სიკვდილის წინ პატარა სიხარულიც დიდი ბედნიერებაა... – ჩარგიევმა ცოტა შეისვენა და განაგრძო: – მითხარით, ეს ჩემი ექიმი... ქალბატონი ციალა დიდი ხანია ქუთაისში ცხოვრობს?
– ხუთი წელია, – მიუგო პატიმრის კითხვით განცვიფრებულმა მინდელმა.
– ხუთი წელი? ბედნიერია არა? ო, ეს მე ძალიან, ძალიან მიხარია...
გაკვირვებული მინდელი სდუმდა, ვერ გაეგო რა სურდა პატიმარს.
– რა გსურთ მითხრათ? – შეეკითხა მექანიკურად.
ჩარგიევმა უპასუხოდ დასტოვა გამომძიებლის კითხვა და წყნარი ხმით განაგრძო:
– ტყვიით დაჭრილს მან გამიკეთა ოპერაცია... რამდენიმე საათის სიცოცხლე მაჩუქა... რა იცოდა, თუ ამით ისეთ ტანჯვას მომაყენებდა, რაც მთელ ჩემს სიცოცხლეს აიწონიდა... თუმცა არ ვნანობ, არც ბრალს ვდებ, მან ხომ... მაგრამ თავიდან დავიწყებ, თუ სულთამხუთავმა დამაცალა, ყველაფერს გეტყვით. იქნებ უფრო დამშვიდებით გავემგზავრო იმ ქვეყანას...
ჩარგიევი ერთი წამით გაჩუმდა, ჩაფიქრდა და ამბის თხრობას შეუდგა.

თავი XIII

თქვენ ალბათ მიხვდით, მე არც ჩარგიევ–კოკოევი ვარ და არც მარკაროვი...ეს გვარები ყველა შერქმეულია, ყალბია....
...მე ქართველი ვარ, ქალაქ თბილისში დავიბადე, მამაჩემს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, რესპუბლიკაში ერთ–ერთ მსხვილ სპეციალისტად თვლიდნენ, დედაც ინჟინერ–მშენებელი იყო. იმ დროს, რომელსაც ჩემი ნაამბობი შეეხება, ორთავენი თბილისში მუშაობდნენ, საკავშირო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობაზე, მამა მშენებლობის უფროსად, დედა რიგით ინჟინრად მე მათი ერთად–ერთი ვაჟი ვიყავი და ჩემი ბავშვობა ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ლამაზი პერიოდია ჩემი ცხოვრებისა.
მშობლები არაფერს მაკლებდნენ. ვსწავლობდი მუსიკას, უცხო ენას, ვეტანებოდი სპორტს და ყველაფრით უზრუნველყოფილი შევხაროდი სიცოცხლეს. ხდება ხოლმე, ბავშვები სწორედ ამ უზრუნველი ცხოვრებისა და განებივრების გამო,

ცუდისაკენ მიილტვიან, მაგრამ ჩემი მშობლები კარგი აღმზრდელები იყვნენ და მეც იმთავითვე მხოლოდ კარგს ვითვისებდი. არ მახსოვს ერთხელ მაინც დავესაჯეთ სკოლაში, ყველა საგანში „ფრიადი„ შეფასება მქონდა და არც მუსიკის ნიჭს ვიყავი მოკლებული.ერთადერთი სისუსტე, რაც მეექვსე კლასში გადასვლის შემდეგ დამჩემდა, მედიცინისაკენ ლტოლვა იყო. ჩვენს მეზობელს, უცოლშვილოდ დაბერებულ ქირურგს, ძია ივანეს, მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მეც მთელი საათები, მის ოთახში ჩაკეტილი, დაუღალავად ვკითხულობდი სამედიცინო ლიტერატურას. მამას თუმცა მოსწონდა მედიცინით ჩემი გატაცება, მაგრამ თვლიდა, სამედიცინო ლიტერატურის კითხვა ჯერ ჩემთვის ნაადრევი იყო. ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ჩემს ასაკში ძნელია მედიცინაში გარკვევა და გარკვეულ დრომდე მომეთმინა. ბოლოს მამაც შეურიგდა ამ ამბავს და ღიმილით უსმენდა ძია ივანეს, რომელიც ჩემთვის გაუგებარ ადგილებს მიხსნიდა ხოლმე.

შრომამ შედეგი გამოიღო, როდესაც მეათე კლასში გადავედი, ისე ვერკვეოდი მედიცინაში, რომ ძია ივანეს თქმით, სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტს თავისუფლად გავუწევდი მეტოქეობას.
ახლა მამ არათუ მიშლიდა, არმედ ცდილობდა კიდევ უფრო შემეყვარებინა მედიცინა.
ერთი სიტყვით, გატაცებით ვმუშაობდი და ჭაბუკურ ოცნებაში არაერთხელ წარმომედგინა ჩემი თავი დახელოვნებულ დასტაქარად, რომელმაც მრავალი ადამიანი იხსნა სიკვდილისაგან.
ყველანი ბედნიერი ვიყავით, მშობლები შემოგვხაროდნენ მე და ჩემს პატარა დას, ეკას. ის ჩემზე 9 წლით უმცროსი იყო და ყველას ნებიერად ითვლებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას თვთლებფოფინა ნაწნავებიანი და მუდამ მოღიმარი გოგონა. როდესაც გაჯავრდებოდა ცრემლით ევსებოდა დიდრონი ცისფერი თვალები, ხოლო სიხარულის დროს ორ უძირო ლურჯ ტბას ემსგავსებოდა, მათში ცისფერი ნაპერწკლები ციალებდნენ.
1938 წლის იანვარი ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება არა იმიტომ, რომ ყოველი წლის 10 იანვარს ჩემთვის ახალი სიხარული მოჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ჩემი დაბადების დღის უკანასკნელი ზეიმი, რასაც შემდეგ მთელი რიგი უბედურებანი მოჰყვა.
ეს დღეც ისე დაიწყო, ჩემთვის როგორც ყველა გასული წლების 10 იანვარი: დედა და ჩვენი ოჯახის ერთად ერთი ნათესავი–დეიდა თამარი მეზობელი ქალების დახმარებით დილიდანვე შეუდგნენ საზეიმო სუფრისათვის მზადებას. საღამოს 5 საათზე სუფრა გაიშალა, მოვიდნენ ჩემი მეგობარი გოგონები და ბიჭები, დიდხანს ვიმხიარულეთ, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით როიალზე დაკვრასა და ცეკვაში. საღამოს 8 საათზე ჩემი მშობლების რამდენიმე მეგობარი გვეწვია, მხოლოდ ძია ივანე არ იყო მათ შორის ის ჯერ კიდევ ზაფხულში სამუდამოდ წაიყვანეს ძმის შვილებმა ქალაქ კიევში. ახალ, ბროწეულისფერ კაბაში გამოწყობილი ეკა ქურციკივით დახტოდა ნედლი ტაროებივით აშვეტილ ფეხებზე და ყველაზე

მეტს მხიარულობდა. სადილი ვახშმად გადაიქცა. მოზარდები, ცხადია, ღვინოს ვერდებოდით, ცოტას ვსვამდით. ჩვენს ძირითად სასმელს ხილის წყლები და ყურძნის წვენი შეადგენდა. საზეიმოდ მომილოცეს 17 წლის შესრულება. მამამ ლამაზი კოლოფი გადმომცა, გავხსენი, შიგ მაჯის საათი იყო მონოგრამით: „საყვარელ თამაზს მშობლებისაგან 10/1,19... წელი„ წავიკითხე და გული სიხარულით ამევსო. თუმცა ჩემს მშლბლებს არ უჭირდათ, მაგრამ საათი არასოდეს უჩუქებიათ. მეათე კლასში გადასვლის შემდეგ მამ როგორც დიდს ისე მესაუბრებოდა, ახლანდელი საჩუქარი ჩემი ბავშვობის ხანის დამთავრებას ნიშნავდა და გული სიხარულით ამევსო.
სტუმრებმაც მომართვეს მცირე საჩუქრები, ჩვენს ოჯახში არსებული ტრადიციით დღეობაზე ძვირფასი საჩუქრის მიტანა არ იყო მიღებული. მშობლების ამ მოთხოვნას ყველა სტუმარი ემორჩილებოდა. ჩემი სადღეგრძელო შესვეს. მამი სმეგობარმა ძია ვარდენმა, ვაჟკაცი მიწოდა და მისურვა სასახელო ხირურგი გამოვსულიყავი, ყველამ გადამკოცნა. როდესაც ჯერი ჩემს თანაკლასელ ციალაზე მიდგა, მან მხოლოდ ხელი ჩამომართვა და მორცხვად მომილოცა. მეწყინა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ციალამ თავი შეიკავა და კოცნით არ მომილოცა დაბადების დღე, თუმცა ის ჩემი დღეობის უცვლელი სტუმარი იყო. გაოცებით შევხედე, ციალა აირია და გაწითლდა, მეც ჩემდაუნებურად გავწითლდი. ამხანაგების ყიჟინამ გამომარკვია. ორთავეს შემოგვეხვივნენ და შეუვალად მოსთხოვეს ციალას, გადავეკოცნე, რატომღაც მეც უკან დავიხიე და, მიუხედავად ამხანაგების მოთხოვნისა, საქციელწამხდარმა ციალას ხელი, რომელიც აქამდე ხელში მეჭირა, გავუშვი და მეორე ოთახში გავვარდი. ერთი სიცილი და ხარხარი ატყდა. რომ ვისიმეს ეკითხა, რატომ მოვნერიდე ციალას კოცნას, ვერ ვუპასუხებდი. აკი სხვა ამხანაგი გოგონები თავისუფლად გადავკოცნე, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ბევრ რამეში ვერ ვერკვეოდი. რა ვიცოდი თუ დიდი გრძნობა ასე იბადებოდა უმანკო გულში!
მხოლოდ იმ საღამოს შევამჩნიე, რომ ციალას, სხვა ამხანაგ გოგონებისაგან ნგანსხვავებით, რატომღაც უპირატესობას ვაძლევდი და ჩემდაუნებურად საქციელი წამიხდა.
დიდხანს ვმხიარულობდით. როგორც ახლა, იმ წელიწადსაც დიდი თოვლი დასდო. 10 იანვარს მაინც შეუსვენებლივ თოვდა, მხოლოდ საღამოს გადაიღო. ვისაც თოვლში ჩაფლული თბილისი ერთხელ მაინც უნახავს, მას არასოდეს დაავიწყდება მისი თვალწარმტაცი სილამაზე. თბილისი თოვლში შეუდარებელია!
ღამით ყინვა დაიჭირა გარეთ ციოდა, ჩვენს ბინაში კი საზეიმოდ გაწყობილ სუფრასთან უხვად დიოდა სითბო და ჯერ ისევ ბავშვური სიხარული.
სტუმრები გვიან ღამით დაიშალნენ. მინდოდა ამხანაგები გამეცილებინა, მაგრამ არ ქნეს, კარებამდე მივყევი მხოლოდ. როდესაც ციალას ხელი ჩამოვართვი, გული ამიჩქროლდა, მაგრამ ამის მიზეზს შედარებით გვიან მივხვდი.
მამის ძვირფასი საჩუქარი იყო მიზეზი თუ სხვა რამ, გულში სიხარული არ მეტეოდა, მინდოდა მეყვირა, ქვეყნისათვის გამეგებინებინა ჩემი უჩვეულო

ბედნიერება. დიდხანს არ დამეძინა უკვე საწოლში მყოფს მესმოდა როგორ ფუსფუსებდა დედა სასადილო ოთახში და მაგიდიდან ჭურჭელს ალაგებდა.
არ ვიცი როდის ჩამეძინა ან რამდენ ხანს მეძინა, როდესაც თვალი გავახილე ოთახში უცნობი ადამიანები დავინახე.
გაოცებით შევყურებდი უცნობებს. ჩემი გაღვიძება იმათ არპ შეუმჩნევიათ. პირველად გავიფიქრე, ქურდები დაგვესხენ თავს. შიშისაგან გამაჟრჟოლა. უეცრად წამოვხტი ლოგინიდან, მაგრამ ვიდრე რაიმეს დაყვირებას მოვასწრებდი, ერთმა უცნობთაგანმა მტკიცე ხმით მიბრძანა, ჩუმად ვყოფილიყავ. ვიღაცამ ამომრთველი ჩართო, ჩემი ოთახის ღია კარიდან, კარგად დავინახე სასტუმრო ოთახში მაგიდასთან მჯდომი მამა. ანგარიშმიუცემლად გავვარდი მეორე ოთახში, ჩემი დაკავება არავის უცდია. მამამ ნაღვლიანად გაიღიმა:
„ნუ გეშინია, შვილო, არაფერია„ – მითხრა მოწყენილად და ალერსით გადამისვა თავზე ხელი. მამის ხმას სიმშვიდე არ აკლდა, მაგრამ ხელი უკანკალებდა, რაც მისთვის ადრე არასოდეს შემიმჩნევია.
„მამა, მამიკო! რა მოლხდა?„ – შევძახე მე და მოვეხვიე.
„არფერია, შვილო, არაფერი, ნუ შეგეშინდება„, – შეეცადა ჩემს დამშვიდებას.
„არაფერია ბიჭიკო, ნუ ღელავ, პატარა ხომ არა ხარ„, – მითხრა მამის პირდაპირ მჯდომმა უცნობმა.
უნებურად მივიხედე მისკენ, მშვიდად გამიღიმა და მე მივხვდი, რომ ეს ხალხი ქურდები არ იყვნენ.
მაგიდასთან მჯდომ უცნობს დავაკვირდი: ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, სხვებისაგან რომ არაფრით გამოირჩეოდა, 36–38 წლისა იქნებოდა. საკმაოდ სიმპატიურ სახეს გვერდზე გადავარცხნილი ქერა თმები უმშვენებდა, შავი კოსტუმი და ნაცრისფერი თბილი პერანგი ეცვა, ხელში ფანქარი ეჭირა და რაღაცას წერდა.
თუმცა თავი არ აუწევია, მაგრამ ვიგრძენი, მიხვდა, რომ მას ვათვალიერებდი. მამის ნაჩუქარი საათი დაწოლის წინ მაჯიდან არ შემიხსნია, დრო შევამოწმე, ისრები ღამის 4 საათსა და 15 წუთს უჩვენებდა. ჩემს ოთახში მყოფი უცნობები სასტუმროში გამოვიდნენ. ამავე დროს, გაიღო მეორე კარი და ოთახში სხვა ორი შემოვიდა, რომელთაც ძალზე გაფითრებული დედა ლასლასით მოჰყვებოდა. ყოველივე ამან ისეთი თავზარი დამცა, ხმის ამოღების უნარი დავკარგე, ვინ არიან? რა უნდათ ამ დროს ჩვენს ბინაში? რას ნიშნავს ჩემი მშობლების დუმილი? – ვაძლევდი ჩემს თავს კითხვებს, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი. ერთ რაიმეს უეჭველად მივხვდი: მოხდა რაღაც საშინელი, მაგრამ ეს საშინელება არა ჩვენს ქონებას, ჩემს მშობლებს ემუქრებოდა, ხოლო რატომ, რისთვის? – ეს კი ვეღარ გამეგო.
მაგიდასთან მჯდომმა უცნობმა დანარჩენთა შემოსვლაზე თავი ასწია, წერა შესწყვიტა და უსიტყვოდ მიაპყპრ მათ მზერა.
„არაფერი არ არის„ – უპასუხა ერთმა მათგანმა. მაგიდასთან მჯდომმა თავი დაუქნია, რაც ალბათ თანხმობას ნიშნავდა, შემდეგ წერა მოათავა.
„გთხოვთ, ჩაიცვათ!„ – მშვიდად, ლაკონურად მიმართა მან ჩემს მშობლებს.

„კი მაგრამ, მე მგონია აქ რაღაც გაუგებრობაა„. – წარმოთქვა მამამ.
„შესაძლებელია, ბატონო რევაზ. ეს ალბათ მალე გამოირკვევა, თუნდაც მარტო ამისათვის, აუცილებელია თქვენი წამოსვლა„. – ზრდილობიანად უპასუხა მაგიდასთან მჯდომმა შავკოსტუმიანმა და ფეხზე წამოდგა.
სხვები დუმდნენ. მე რატომღაც ვიფიქრე, რომ ის დანარჩენების უფროსი იყო, ხოლო ვინ იყო ეს ხალხი და სად მიჰყავდათ ჩემი მშობლები, უკვე მივხვდი. მშობლებს შევხედე – მამა მშვიდად იჯდა, მაგრამ შევატყვე, რომ სიმშვიდე ნაძალადევი ჰქონდა. კუთხეში მდგარ დედას ცრემლების ნიაღვარი ნიკაპთან ესკვნებოდა, ხოლო თვალები... ჩემთვის ესოდენ ძვირფასი თვალები, მარტო მე მიცქეროდნენ და უდიდეს სიყვარულს გამოხატავდნენ... სევდასა და შიშში შერეულ სიყვარულს... დედაჩემი საკმაოდ ლამაზზ ქალად ითვლებოდა, თუმცა 40 წელს იყო გადაცილებული, ასაკი არ ეტყობოდა, ახლა კი ოთახის კუთხეში მდგარი, ამ ორ საათში საოცრად შეცვლილი, თითქოს დაბერებულიყო, საცოდავი დედა უხმოდ აფრქვევდა ცრემლებს. მისი მდუღარე ცრემლები ის უკანასკნელი წვეთი იყო, რამაც საბოლოოდ დაამსხვრია ჩემი ბავშვური თავშეკავება. დიდი ხანია ცრემლები მახრჩობდა, მაგრამ ტირილს სიპრცხვილად ვთვლიდი და თავს ვიკავებდი, მე ხომ სწორედ იმ ღამეს შემისრულდა 17 წელი, მაგრამ დედის ტანჯვას, მის ცრემლებს, რაც პირველად ვიხილე, ვეღარ გავუძელ, უეცრად ავზლუქუნდი, დედასთან მივიჭერ, მოვეხვიე და სახე მის მკერდში ჩავმალე. მან რაღაც არაბუნებრივი სიშმაგით ჩამიკრა გულში, თავკისერი დამიკოცნა, მომეფერა, თითები თმაში ჩამიყარა, მომიალერსა. „შვილებო, ჩემო შვილებო„ , – ქვითინებდა იგი და ვგრძნობდი როგორ მისველებდა თავ–კისერს ცხელი ცრემლებით.
შავკოსტუმიანი ჩვენთან მოვიდა, ქოჩორი მომიჩეჩა, დამიყვავა: „აბა ეს რა საქციელია, ბიჭიკო, აკი ვთქვი, აქ რაღაც გაუგებრობაა–მეთქი. დაწყნარდი, შენი მშობლები ხვალ უთუოდ დაბრუნდებიან. თქვენც არ გეპატიებათ ასეთი საქციელი, – მიუბრუნდა დედას, – ბავშვს გულს რატომ უხეთქავთ, ყველაფერი გამოირკვევა, არ არის საჭირო ცრემლები„.
მისი ხმა სანდოდ და იმედიანად მეჩვენა, უეცრად შემიშრა ცრემლები, სკამიდან წამომდგარ მამასთან მივედი. მან უხმოდ მომხვია ხელი. ყველანი შუშაბანდში გავედით. მამა ჩაცმას შეუდგა. მე დედას ვეხმარებოდი. ტანსაცმელს ვაწვდიდი, უცნობები მოთმინებით გვიცდიდნენ.
„თუ შეიძლება ერთი თხოვნა მაქვს„ – მიმართა მამამ შავკოსტუმიანს.
მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
„ჩემს გოგონას სძინავს, ნება მოგვეცით მე და ჩემს მეუღლეს, ბავშვს გამოვემშვიდობოთ.„
„რასაკვირველია, რბილად წარმოთქვა შავკოსტუმიანმა და დაუმატა: მიბრძანდით გამოემშვიდობეთ, ჩვენ აქ დაგიცდით„.
დედ–მამა ეკას ოთახისაკენ გაემართნენ, ორი მოსულთაგანი მათ გაჰყვა, მე მხოლოდ ახლა მომაგონდა ეკა და გულზე ცეცხლი შემომენთო: რა მოუვა მას, დედ–მამა რომ რამდენიმე თვე არ გამოუშვან? განა გაუძლებს ჩემი პატარა დაიკო

ამ ამბავს? ან რა ვუთხრა როდესაც გაიღვიძებს? რით ვანუგეშო? – ცხელი შანთივით გამიარა გონებაში და მეც მშობლებს გამოვედევნე, მაგრამ ეკას ოთახში არ შევსულვარ, რადგან იქიდან გამოსულმა მამამ უხმოდ მომკიდა ხელი და გვერდზე გამიყოლია.
ისევ შუშაბანდში შემოვედით, 1–2 წუთის შემდეგ დედაც მობრუნდა. ორთავეს ჩავაცვი პალტოები, შემდეგ ჩემს საწოლ ოთახში შევვარდი, ელვის სისწრაფით ჩავიცვი შარვალი, პერანგი, შიშველი ფეხები ტუფლებში გავუყარე და ისევ შუშაბანდში გავჩნდი. ჩემი მშობლები უკვე მზად იყვნენ. საკიდრიდან პალტო ჩამოვგლიჯე მხრებზე მოვიგდე.
„შენ საით ბიჭიკო„? – შემეკითხა შავკოსტუმიანი.
„როგორ თუ საით, მშობლებს გამოვყვები„, – მივუგე მე, რაც შეიძლება მშვიდად.
„ეგ გამორიცხულია! იქ თქვენ ვერ წაგიყვანთ!„ – ისეთი ტონით მიპასუხა, რომ მე მივხვდი, ვერავითარი ხვეწნა–მუდარა გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა.
„შენ არ წამოხვალ, თამაზ! – მტკიცე ხმით მითხრა მამამ, – ეს საჭირო არ არის, და არც შეიძლება! მე მგონია ჩვენ მალე დავბრუნდებით, ხოლო თუ დაგვაგვიანეს ან... – მამას ხმა აუთრთოლდა, – ან ვერასოდეს დავბრუნდეთ, მხოლოდ ორ რამეს გავალებ, – გახსოვდეს, რომ შენ და ეკა პატიოსანმა მშობლებმა გაგზარდეს, ადამიანებმა, რომლებსაც არაფრით შეუბღალავთ სინდისი, მთელი შეძლებით ემსახურებოდნენ ხალხს და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საერთო საქმეში. რაც არ უნდა მოხდეს, მტკიცედ იყავით დარწმუნებული, რომ მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის და თქვენც – შენ და ეკას – არასოდეს შეგრცხვებათ ჩვენი წარსულით. ეს ერთი, – მამამ ცოტა შეისვენა და რბილად განაგრძო: – თამაზ, შენ უკვე ვაჟკაცი ხარ, ჭკუა გეკითხება, ეკა კი პატარაა. მოუარე მას, სათუთად მოეპყარ და თუ... ერთი სიტყვით, დარდი შეუმსუბუქე! მშვიდობით ჩემო ბიჭიკო!„
ამ სიტყვებით მამა მომეხვია, რამდენჯერმე მაკოცა და სწრაფად გავიდა კარებში.
„მშვიდობით, შვილო, მშვიდობით ჩემო საყვარელო, თამაზ! თავს გაუფრთხილდი, გახსოვდეს შენი დედ–მამა და, ეკა, ჩვენს ეკას მოუარე!„
„ვაიმე შვილებო! უბედურო შვილებო!„ – ამოიგმინა დედამ, შემდეგ მომეხვია. დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული, მე ხმას ვერ ვიღებდი, მოზღვავებულმა ცრემლებმა ლაპარაკის უნარი წამართვა და მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი თავი შემეკავებინა, ისევ ავზლუქუნდი. ვკოცნიდი დედას, ვეალერსებოდი ჩემთვის უძვირფასეს სახეს და რაღაცას ვლუღლუღებდი, მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც ქუჩიდან მანქანის ძრავას ხმაური გავიგონე.
უეცრად მივხვდი, ყველაფერი გათავდა. ჩემი დღეობა, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ დამთავრდა, შორეულ დაუჯერებელ წარსულად იქცა, წინ კი მხოლოდ სიბნელე და სიცარიელე ჩანდა, სადაც ეკას უზრუნველი, სიყვარულით გამთბარი ბავშვობა დასაღუპავად იყო განწირული.
თვალწინ მიდგა სახლიდან ახლახან წაყვანილი დედ–მამა, ვგრძნობდი, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

„ვეღარ ვნახავ, ვერც ერთს ვეღარ ვნახავ! – ვიყვირე რაღაც არაადამიანური ხმით და იატაკზე დავემხე. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში.
„თამაზ, აქ სად დაწოლილხარ!? უჰ, რა სასაცილო ხარ, ერთი დედას ვუთხრა!„ – მომესმა უეცრად და თავი ავწიე, ფანჯრიდან ზამთრის დილა იცქირებოდა, მაგრამ არა მოღუშული, საამოდ თოვდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინ, თითქოს ღამეს უბედურებაც არ მოეტანოს და ჩვენს ოჯახშიაც არაფერი შეცვლილიყოს. ჩემს წინ ღამის პერანგში კოჭებამდე ჩაფლული ეკა იდგა, ტუჩები გაებუტა და გაკვირვებით მიცქერდა.
–„შენ რა თამაზ, გიტირია? ვინ გაგაჯავრა?„ – ატიტინდა ის. შემდეგ ჩემს გვერდით ხალიჩაზე დაეშვა და მოფერება დამიწყო.
–ადექი, თორემ გავჯავრდები და მეც ვიტირებ!„ – ჩაიჟღურტულა ბავშვმა და თმებში ხელი ჩამავლო. გული სიბრალულით ამევსო, უეცრად ფეხზე წამოვიჭერ, ეკა ხელში ავიტაცე, გულში ჩავიკარ და გაშმაგებით დავუწყე კოცნა. ეკამ მკლავები კისერზე შემომაჭდო და თვალები განაბა. დიდხანს ვეალერსებოდი ეკას, ვკოცნიდი, ვეფერებოდი, თვალებიდან კი ღაპა–ღუპით მდიოდა ცრემლები. ეკამ ხელები შემიშვა. თავი ასწია, შემომხედა: ჩემმა ცრემლებმა შეაკრთო, ფოფინა თვალებში შიში ჩაეღვარა, ჩემი ხელებიდან თავი გაინთავისუფლა, ხალიჩაზე ჩამოცურდა, დიდი ადამიანივით შემათვალიერა:
„რა მოგივიდა თამაზ?„ – მკითხა შიშნაკრავად
„არაფერი გენაცვალე, არაფერი!
„გტკივა რამე?„
„ჰო, ჰო მტკივა, აი თავი მტკივა„, – ჩავეჭიდე მის ნათქვამს.
„წამალი უნდა დალიო, მოგირჩება„ – სერიოზულად მითხრა ეკამ, შემდეგ ხელი ჩამავლო.
„აი წავიდეთ დედიკოსთან, წამალს მოგვცემს„.
უნებურად გავყევი, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შევჩერდი. სად წავყოლოდი? ეკაც შესდგა, შემომხედა. დიდი მეტყველი თვალები გაკვირვებით მიცქეროდნენ და ჩემი უცნაური საქციელის ახსნას მთხოვდნენ...
„შენ უკვე ვაჟკაცი ხარ ჭკუა გეკითხება, ეკა კი პატარაა, მოუარე მას, სათუთად მოეპყარ...„ – ისე გარკვევით შემომესმა მამის დანაბარები, რომ უნებურად შუშაბანდისაკენ გავიხედე, მომეჩვენა, მამა იქ იდგა და სიყვარულით შემომცქეროდა.
ცრემლები შევიმშრალე, ეკას ხელი მოვხვიე.
„წამალი არ მინდა , ეკა, ისედაც გაივლის, – მივუგე ნაძალადევი სიმშვიდით, შემდეგ ხელში ავიყვანე, ალერსიანად დავტუქსე: – არა გრცხვენია, ასეთი დიდი გოგო ხარ და პერანგა კი დატანტალებ. დედამ და მამიკომ რომ დაგინახონ ხომ გაჯავრდებიან!„
„მე ახლავე ჩავიცვამ, შენ დედიკოს და მამიკოს ნუ ეტყვი, არ მინდა გავაჯავრო, კარგი? – აჭიკჭიკდა ეკა. პასუხისათვის არც დაუცდია, ისე გაცქრიალდა თავის ოთახში.

მარტო დავრჩი, ფანჯარასთან მივედი, გახურებული შუბლი ცივ მინას მივაბჯინე–მესიამოვნა. ქუჩას გავხედე–გაღვიძებული ქალაქი ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობდა. აი ზარის წკრიალით ჩაიქროლა ტრამვაიმ, მძღოლი ჭაღარა ულვაშებით ვიცანი, თითქმის წლის მანძილზე ამ ხაზზე მუშაობდა. ჩვენი ეზოს ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ, ჟივილ–ხივილით თოვლის გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს. მეეზოვე ნიკალა, განუყრელი გრძელტარიანი ცოცხით ხელში, ეზოში დაბორიალობდა და მოგონილი სიბრაზით ბავშვებს უჯავრდებოდა. ჩვენ კარგად ვიცოდით ძია ნიკალას ხასიათი, სულაც არ გვეშინოდა მისი. ქუჩაში ხალხი მოძრაობდა, ყველას სადღაც ეჩქარებოდა, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული, მათთვის ამ დილას განსაკუთრებული არაფერი მოუტანია, არაფერი შეცვლილა მათ ცხოვრებაში, ხოლო ჩემი ცხოვრება კი...
„თამაზ მე უკვე ჩავიცვი, აბა შემომხედე!„
შემოვბრუნდი. ჩემ წინ ეკა იდგა, ჩაეცვა, პირი დაებანა, ბავშური გულმოდგინებით დაევარცხნა სქელი წაბლისფერი თმა და ლამაზი თვალებით მიცქეროდა.
„აქ მოდი, ეკა, რაღაც უნდა გითხრა„ – ხელი მოვკიდე, ტახტზე დავსვი და მეც გვერდით მივუჯექი.
„რა უნდა მითხრა?„
ენა დამება. არ ვიცოდი საიდან უნდა დამეწყო, როგორ გადამეცა მომხდარი ამბავი, წინასწარ არ მოვმზადებულვარ და ვდუმდი.
„უჰ რანაირი ხარ დღეს, თამაზ! იატაკზე გძინავს, ტირი, სულ არ ვარგიხარ, გებუტები! – სხაპა-სხუპით წარმოთქვა ეკამ, შემდეგ ტახტიდან წამოხტა და დაუმატა: – მე დედასთან წავალ, მამიკოც მინდა,რატომ ძინავთ ამდენ ხანს?„
„მოიცა ეკა! – შევაჩერე, – დედა და მამა სახლში არ არიან, წუხელ ისინი... ისინი მივლინებაში წავიდნენ„.
„მივლინებაში?! ორთავე ერთად? ნუ მატყუებ, დედიკო და მამიკო ერთად არასოდეს დადიან მივლინებაში.„
„არ დადიოდნენ ეხლა, კი წავიდნენ. შენი თავი მე ჩამაბარეს. ჩემო გოგონა. ხომ ყველაფერს გამიგონებ? მამიკო ახალ კაბას ჩამოგიტანს, დედა კი, დიდ თოჯინას, აი ისეთს ძია ვარდენმა რომ მოგიტანა, განა არ გაგეხარდება?
„უჰ, რა კარგია! – შემოკრა ტაში ეკამ და სიხარულისაგან შეხტა. მერე თვალები მომაპყრო და გულუბრყვილოდ მკითხა: – შენ რატომ ტიროდი? დედიკოსა და მამიკოს წასვლა გეწყინა?
„ჰო ეკა, მეწყინა. ძალიან მეწყინა მათი წასვლა და ვიტირე.!„
„რა სულელი ხარ ბიჭო,ისინი ხომ მალე ჩამოვლენ, რა გატირებდა?
რა თქმა უნდა. ჩამოვლენ ეკა, მანამდე კი ჭკვიანად უნდა იყო და ყველაფერი დამიჯერო
„დაგიჯერებ, თუმცა ძალიან მეჯავრება, გოგლიმოგლისაც შევჭამ, კაკაოსაც დავლევ, კარგი? – შემომცინა ბავშმა.
საათმა 9 დარეკა
„ვაიმე სკოლა?„ – იყვირა უეცრად ეკამ და შიშით შემომხედა.

„დღეს სკოლაში არ წახვალ, ეკა! დედამ ტელეფონით დაურეკა მასწავლებელს და გააფრთხილა, რომ ვერ მიხვალ.
„რატომ?! – გაუკვირდა ეკას, – მე რომ ავად არა ვარ?
„ასეა საჭირო ძალიან ცივა„
ეკამ უნდობლად შემომხედა, ეტყობოდა, არადამაჯერებლად ეჩვენა ჩემი ნათქვამი, მაგრამ კითხვა აღარ მოუცია.
„ეკა შედი, გენაცვალე, შენს ოთახში, მეც ახლავე მოვალ, შემდეგ ვისაუზმოთ„, – ვთხოვე მე.
ეკა უსიტყვოდ გაბაკუნდა.
რაღაც უნდა მემოქმედა, მხოლოდ აცხლა გამახსენდა დეიდა თამარი. გადავწყვიტე, დამერეკა და მეთხოვა ჩვენთან მოსულიყო. ტელეფონის ყურმილი ავიღე, ნომრების ასაკრეფად მოვემზადე, ზუმერს ვუცდიდი, აპარატი დუმდა. რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ მივხვდი, რომ ხაზი გათიშული იყო. ყურმილი დადუმებულ აპარატზე დავდე, უკანასკნელი ენეგია მოვიკრიბე, სამზარეულოში გავედი და საუზმის მზადებას შევუდექი. ეკა ჩემთან ერთად ტრიალებდა და სერიოზულად მეხმარებოდა, დიასახლისობდა.
ჩუმად ვისაუზმეთ, უფრო სწორედ, ეკამ ისაუზმა, მე კი არაფერს მივკარებივარ.
„რა გავაკეთო, რა ვიღონო?„ – ვფიქრობდი და ვიდრე ეკა საუზმობდა ათასი გადაწყვეტილება მივიღე და უარყავ. ბოლოს იმაზე შევჩერდი, რომ ყველაფერი დეიდაჩემისათვის შემეტყობინებინა, მივიღე რა ეს გადაწყვეტილება სასწრაფოდ ჩავიცვი, ეკას დავუბარე ჭკვიანად მოქცეულიყო დასახლიდან გავედი.
დეიდაჩემს თავზარი დასცა ჩემი მშობლების დაპატიმრებამ. ერთხანს ხმა ვერ ამოიღო მერე ისტერიული ტირილი აუვარდა, დიდხანს ტიროდა, მე ჩუმად ვიჯექი, არ ვტიროდი, ცრემლი უკვე გამშრალი მქონდა.
როცა უბედურების პირველმა შეგრძნებამ გაუარა, დეიდამ ტირილი შეწყვიტა და დაწვრილებით გამომკითხა მომხდარი ამბავი. ყველაფერი ვუამბე. შევთანხმდით, ეკასათვის ჯერჯერობით არაფერი შეგვეტყობინებია.
„აქ რაღაც გაუგებრობაა, უდანაშაულო ხალხს არავინ დასჯის, გული არ გაიტეხო, საჭირო არ არის ქვეყანას გავაგებინოთ ყოველივე„, – დამარიგა დეიდამ.
„კი, მაგრამ, დედა? მამ? არ უნდა გავიგოთ სად წაიყვანეს, რატომ წაიყვანეს? – ვკითხე.
„წადი, მე თვითონ გავიგებ. 4 საათამდე მოვალ, ყველაფერს შეგატყობინებ„, – მიპასუხა და ჩაცმას შეუდგა.
სახლში დავბრუნდი, ეკა და მეზობლის გოგონა თამაშობდნენ.
„თამაზ, – არ მაცალა ეკამ პალტოს გახდა, – აი თინიკო ამბობს, რომ ჩვენი დედიკო და მამიკო სულაც არ არიან წასული მივლინებაში„.
„როგორ თუ არ არიან?! – ვკითხე უფრო თინას, ვიდრე ჩემს დაიკოს და კუშტად შევხედე. თინიკო აიბუზა, შემდეგ გულუბრყვილოდ შემომხედა:
„ჰო, დღეს დილით მამამ თქვა წაიყვანესო, მანქანით მოვიდნენო და...„
„რა თქმა უნდა, მანქანით წაიყვანეს, სასწრაფო საქმე იყო„, – შევაწყვეტინე სიტყვა ბავშვს და მეორე ოთახში გავედი.

მაშ ასე, მეზობლებმა მანქანის მოსვლა, ჩხრეკა და მშობლების დაპატიმრება გაიგეს, მაგრამ შემოსვლა ვერავინ გაბედა, თუმცა ჩვენი ოჯახი უყვარდათ და ჩემს მშობლებს პატივს ცემდნენ.
არ ვიცოდი რა ბრალს დებდნენ დედას ან მამას, მაგრამ არც ისე პატარა ვიყავ, ვერ მიმხვდარიყავ, რომ მოხდა რაღაც სერიოზული და საშინელი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ ცნობილ სპეციალისტს, როგორც მამა იყო, არ დაიჭერდნენ და არც ბინას გაუჩხრიკავდნენ შუაღამისას.
მაგრამ რა მოხდა? ნუთუ ჩემი მშობლები ბოროტმოქმედები იყვნენ? „მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის და თქვენც არასოდეს შეგრცხვებათ ჩვენი„. – გამახსენდა მამის სიტყვები და შემრცხვა, რომ ეჭვი შევიტანე მშობლების უდანაშაულობაში. შემდეგ ბრაზი მომერია, როგორ შეუძლია თინას მამს ან სხვა მეზობლებს დაეჭვდნენ ჩემი მშობლების სისპეტაკეში? დააპატირეს? მერე რა მოხდა, აი გამოარკვევენ ყველაფერს, ორთავეს გაანთავისუფლებენ და არავის ექნება უფლება ცუდი თვალით შეხედოს ჩვენს ოჯახს. მშობლები ხომ მუდამ სამშობლოს სიყვარულსა და ხალხის სამსახურს მინერგავდნენ! განა შეიძლება შვილს ერთი ჩაუნერგო და მისი საწინააღმდეგო აკეთო?
ჩემივე მსჯელობამ გული დამიმშვიდა, ოდნავ დავწყნარდი. მდგომარეობა არც თუ ისე საშინელი მეჩვენა. „დედას და მამას მალე გამოუშვებენ, ბევრი–ბევრი ერთი კვირა გააჩერონ, ეს არაფერი. „ვფიქრობდი და ბავშვებთან ოთახში გავედი. ეკა მარტოკა დამხვდა. ტახტზე მობუზულს თვალები ცრემლებით ავსებოდა. თინიკო აღარსად იყო.
„დეიდა მარომ თინიკო წაიყვანა, გაუჯავრდა, მეორედ არ გნახო ეკასთან შესულიო, – ამოილუღლუღა ეკამ და ცრემლების ყლაპვით დაუმატა: – განა ჩემთან თამაში არ შეიძლება? ცუდი ბავშვი ვარ?
გული მომიკვდა, მაგრამ თავი შევიკავე, ბავშვს დავუყვავე: „აბა რას ამბობ, ეკა, შენ რა შუაში ხარ, დეიდა მარო ალბათ თინიკომ გააჯავრა. განა გითხრა ცუდი ხარო?„
„არა, მაგრამ თინიკოს რად უთხრა ეკასთან არა გნახოო?„
„ეგ არაფერია, აბა წამოდი, შენი სათამაშოები ვნახოთ, თოჯინაც წავიყვანოთ„, – შევცვალე საუბრის თემა და საწოლ ოთახში შევიყვანე, იქ დიდხანს ვთამაშობდით, ეკამ სწრაფად გადაიყარა დაპდი და კისკისით აავსო ოთახი.
დღის 5 საათზე დეიდა მოვიდა. ჩუმად ვისადილეთ. შემდეგ ეკა საწოლ ოთახში გავიყვანე, დავაწვინე, მე კი სასადილო ოთახში დავბრუნდი. დეიდა დაღვრემილი იჯდა.
უხმოდ ჩამოვჯექი სკამზე. დეიდას გამოხედვა არ მომეწონა, იმის შიშით, რომ ცუდი არაფერი ეთქვა, ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევდა.
„ღმერთო ჩემო„ – ამოიოხრა დეიდამ და ცრემლები გადმოჰყარა.
„დეიდა თამა გაიგეთ რამე?„ – ვკითხე და ვიგრძენი როგორ მომებჯინა გული ყელში.
დეიდაჩემი დუმდა. თვალები დაეხარა, ხოლო ღვარად წამოსული ცრემლები წვიმის წვეთებივით ხმაურით ეცემოდა მაგიდას.

„დეიდა!„ – შევეხმიანე ხელმეორედ.
მან თავი ასწია, შემომხედა, შემდეგ უეცრად ხელი მომხვია და ჩუმი საწყალობელი ხმით ატირდა.
ჟრუანტელმა დამიარა, მიუხედავად იმისა, რომ ბინაში საკმაოდ თბილოდა, კანკალი დამაწყებინა. ციებიანივით კბილს კბილზე ვაცემინებდი. დეიდა კი მეფერებოდა და კვლავ ჩუმად, ისე, რომ ეკას არ გაეგო, ტიროდა...
რამდენიმე წუთი ასე ვიჯექით. შემდეგ დეიდას ხელებიდან თავი გავინთავისუფლე. წამოვდექი და რამდენიმეჯერ ოთახში უმიზნოთ გავიარე. ახლა ისიც არ მინდოდა დეიდას ეთქვა რამე. ისევ გამოუცნობი მოლოდინი მერჩია მწარე სინამდვილის მოსმენას. ეჭვი აღარ მეპარებოდა, დეიდაჩემმ ცუდი, ძალზე ცუდი ამბავი მოიტანა.
„თამაზ, – ჩუმად შემეხმიანა დეიდა, – აქ მოდი!„
უხმოდ მივუახლოვდი.
„დაჯექი შვილო!„ – მომმართა მთრთოლვარე ხმით.
სკამზე დავჯექი, უფრო სწორედ, დავეცი. დეიდა ისევ დუმდა, არც მე ვიღებდი ხმას.
„შვილო თამაზ, – ნაღვლიანად დაიწყო დეიდამ, – უბედურებას დახვედრა უნდა, შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, ყველაფერი...„
„დეიდა, – შევაწყვეტინე სიტყვა, – საჭირო არ არის შესავალი, მითხარი ყოველივე!„
დეიდამ ისევ გადმოყარა ცრემლები.
„უბედური შენი მშობლები დააპატიმრეს... მძიმე ბრალდებას უყენებენ...„ – უფრო ამოიხრიალა, ვიდრე თქვა და ხმამაღლა ატირდა.
თავზარი დამეცა მძიმე ბრალდება! ჩემი მშობლები, ჩემი და ეკას დედ–მამა–ბოროტმოქმედნი! მაშ, მამაჩემი დანაშაულებრივ ცხოვრებას ეწეოდა და დედასთან ერთად უსინდისოდ ატყუებდა ხალხს, მთავრობას, ოჯახს, მაგრამ რისთვის? „გახსოვდეს, რაც არ უნდა მოხდეს, მტკიცედ იყავი დარწმუნებული, მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის„, – ისევ აღსდგა გონებაში მამის სიტყვები. თვალწინ მამა დამიდგა: ნათელი შუბლი, მიმზიდველი სახე, მტკიცე გამოხედვა, სახლიდან თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის ნაბიჯით მიმავალი. „შვილებო, უბედურო შვილებო!„ – ტყვიასავით გამიარა გულში უეცრად დაბერებული დედის გოდებამაც და სკამიდან წამოვიჭერ, ხელები თავში ჩავივლე. დეიდაჩემმა შიშით შემომხედა. წამოიწია.
„არა მჯერა, ტყუილია! მამას არ შეეძლო, დედა არ იზამდა! ისინი შვილებს არ უმტრობდნენ, თქვენ ყველანი სტყუით, ცილს წამებთ!„ – ავყვირდი გამწარებით.
„ჩუმად შვილო, – პირზე ხელი დამაფარა დეიდამ, – არსად წამოგცდეს ეს სიტყვები, რაკი დაიჭირეს ალბათ, დამნაშავენიც არიან.„
„დეიდა!...„
„ჩუმად–მეთქი, ტყუილად არ იჭერენ, უსათუოდ რაღაც არის, შენ არ იცი, არც მე, იმათ კი იციან და იმიტომ დაიჭირეს„
„დეიდა!...„

„ჰო, შვილო, დეიდა ვარ და მომისმინე: თუ უდანაშაულონი არიან, გამოუშვებენ, საქმის გამორკვევამდე კი მოითმინე და ფრთხილად იყავი, დამნაშავის ქომაგი, თვითონაცდამნაშავეა, დიდი დამნაშავე, გესმის?„
„დეიდა შენ... თქვენ არ იცით რა თქვა მამამ, რა მითხრა წასვლის წინ, შენ ვერ იცნობ ჩემს მშობლებს! ისინი ამ სისაძაგლეს არასოდეს, გესმის? არასოდეს არ ჩაიდენდნენ!„
„დაწყნარდი. თამაზ, მე ხომ ჩემს მოსაზრებას არ გეუბნები, ეს თვით იმ ორგანოში მითხრეს ვინაც დააპატიმრა, ამ საკითხზე პროკურორსაც ვესაუბრე.
„არა–მეთქი, ტყუილია! აი ნახავ, ისინი შეცდნენ, უსთუოდ შეცდნენ!„ – ჯიუტად გავიმეორე და დეიდაჩემს სიძულვილით შევხედე.
„ღმერთმაც ქნას, შვილო! ნეტამაც აგრე მოხდეს, მაშინ ბედნიერი ქალი ვიქნები, მაგრამ ჯერ ეს ასეა და ახლა ყვირილი კი არა, ჭკუა გმართებს, წინ უნდა გაიხედო, შენ ჯერ კიდევ არ იცი ყველაფერი.
„მეტი რაღა უნდა ვიცოდე?!„
„მომისმინე, თამაზ, ყველაფერს გაიგებ. შენს დედ–მამას ასეული ათასობით მანეთის გაფლანგვას აბრალებენ, ბრალდება 7 აგვისტოს კანონით არის დაკვალიფიცირებული. ეს საშინელი დანაშაულია და მის ჩამდენს არ ებოდიშებიან. დამნაშავის მთელი ქონება კონსფიკაციას ექვემდებარება. საჭიროა ძვირფასი ნივთების გადამალვა, ცხოვრება ხომ გინდათ„.
„ნივთები გადავმალო? რისთვის?!„
„როგორ თუ რისთვის, აკი გითხარი ყველაფერს წაიღებენ–მეთქი.„
„თუ მამაჩემი გამფლანგველია, დედაჩემიც, ნივთებს რა თავში ვიხლი, რას ამბობ დეიდა?„ – აღვშფოდი მე.
„შენ ჯერ ისევ ბავშვი ხარ, თამაზ, დამიჯერე!„
„არასოდეს! მამა და დედა დაბრუნდებიან! დე, ყველაფერი ჩამოგვართვან, მე ქურდი არ გავხდები, მშობლების ნივთებს არ მოვიპარავ! არც დედა, არც მამა ამ საქციელს არ მომიწონებენ.„
„დამიჯერე თამაზ!...„
„არა–მეთქი! ტყუილად ნუ მირჩევთ!„
...ოთახში ცოფიანივით დავრბოდი, ახლა ყველაზე მეტად დეიდაჩემი მეჯავრებოდა, მძულდა, დანახვაც არ მინდოდა მისი... ძლივს ვიკავებდი თავს, რომ სახლიდან არ გამეგდო. ისიც მიხვდა ალბათ ჩემს განწყობილებას, უხმოდ წამოდგა.
„დამშვიდდი, თამაზ, მე ახლა წავალ, დილით ადრე შემოვივლი, მანამდე კი იფიქრე. ხვალ შეიძლება გვიანიც იყოს,„ – ჩუმად დასძინა მან და კარებისაკენ გაემართა. პასუხი არ გამიცია, დეიდამ უხმაუროდ გაიხურა კარი.
დიდხანს დავდიოდი ოთახში. გონება არ მემორჩილებოდა: „შენი მშობლები საშიში დამნაშავენი აღმოჩნდნენ„ დეიდას ეს სიტყვები ტვინს მიბურღავდნენ. საშინლად შემძულდა დეიდა თამარი.„ როგორ გაბედა ამის დაჯერება, როგორ გაბედა!„ – ვასკდებოდი ჩემ გულს, და ოთახში ადგილს ვერ ვპოულობდი. სული შემეხუთა, ფანჯარა გავაღე, ბინაში ზამთრის სუსხიანი ჰაერი შემოიჭრა. უკვე

კარგა ხანი იყო დაღამებულიყო, თუმცა სიბნელე არ შემიმჩნევია ან როგორ შევამჩნევდი, როდესაც თვით ჩემს სულში ჯერ გათენებამდე დაესადგურა გაუთავებელ შავბნელ ღამეს... – პატიმარმა წამით შეისვენა, გაჭირვებით მოიწმინდა შუბლიდან ოფლი და წყალი ითხოვა. მინდელმაგაფითრებულ ტუჩებთან ჭიქა მიუტანა, დაჭრილმა მოსვა, მადლობით შეხედა გამომძიებელს დაგანაგრძო: – ...დიდხანს ვიდექი ფანჯარასთან და უაზროდვუყურებდი ზამთრის ღამეს. არაფერზე აღარ ვფიქრობდი. ფიქრის უნარი წამერთვა. „თამაზ„, – მომესმა ხმა. გამოვერკვიე, ფანჯარას მოვშორდი. მაგიდასთან ეკა იდგა და გაკვირვებით მიცქეროდა, ბინაში ბნელოდა. ამომრთველის ღილაკი გადავწიე, ოთახი თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა. ეკასთან მივედი ხელში ავიყვანე და უსიტყვოდ დავსვი ტახტზე.
„გშია ეკა?„ – შევეკითხე მხოლოდ იმსთვის, რომ რაიმე მეთქვა, სიჩუმე დამერღვია.
„არა, მეშინია, თამაზ!„ – მომიგო ეკამ და ატირდა.
„აბა რისა გეშინია, არა გრცხვენია?„ – მოვეფერე ბავშვს.
„არ ვიცი, მეშინია„. – ამოილუღლუღა მან და გულში ჩამეკრა. მე დიდხანს უხმოდ ვეალერსებოდი. ეკას ჩაეძინა. კედლის საათმა 12–ჯერ დარეკა, შემდეგ ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ჩემს მკერდში ჩაკრული ეკა მშვიდად ფშვინავდა. უეცრად ზარის წკრიალმა გამომაფხიზლა, ჩვენს ბინაში რეკავდნენ. „დეიდა თამარია„, – გავიფიქრე და ადგომა დამეზარა, არ მინდოდა მისი დანახვა. ზარის ხმა ერთი წამით შეწყდა, შემდეგ ისევ გაისმა ხანგრძლივად, დაჟინებით. ავდექი, ეკა ფრთხილად მივაწვნე ტახტზე, ხალათი წავახურე, ბავშვს ისევ ეძინა. შემდეგ შუშაბანდში გავედი და კარი გავაღე.
ოთახში ჩემთვის უცნობი პირები შემოვიდნენ.
„რა გნებავთ?„ – შევეკითხე შემოსულთ და უეცრად ვიცანი: ისევ ისინი იყვნენ, ჩემი მშობლების წამყვანნი.
შემოსულებმა უხმოდ შაიარეს შუშაბანდი და მისაღებ ოთახში შევიდნენ, მეც უკან გავყევი. ისინი სამნი იყვნენ.
უხმოდ მიუჯდნენ მაგიდას. მეც ხმას არ ვიღებდი.
შავკრსტუმიანმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, გამომიწოდა.
„წაიკითხეთ!„ – მომიგო ლაკონურად.
ქაღალდი ჩამოვართვი, მექანიკურად წავიკითხე.
დეიდაჩემი სწორი აღმოჩნდა: მე და ეკას ბინიდან გვასახლებდნენ.
გული ყელში მომებჯინა, მაგრამ სიბრაზე დავიოკე და უხმოდ დავუბრუნე ქაღალდი შავკოსტუმიანს.
„მოემზადეთ, რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა წავიდეთ!„ – მკაცრად მომართა მეორემ.
მივაჩერდი. სწორედ ის იყო, წინა ღამით დედაჩემს რომ მომგლიჯა და მეორე ოთახში გაყვანით მემუქრებოდა.
„სად უნდა წავიდეთ, თუ ბინიდან მასახლებთ მე მარტო შემიძლია წასვლა„, – მივუგე ნაძალადევი სიმშვიდით და სკამიდან ავდექი.

„ბიჭიკო, – მომმართა შავკოსტუმიანმა, – მართალია ბინიდან გასახლებთ, მაგრამ ქუჩაში როდი გაგდებთ, თქვენთვის უკვე გამონახულია სხვა ბინა და იქ უნდა მიგიყვანოთ. ნივთების ნაწილსაც წაიღებთ, ასეთია განკარგულება.
მე პასუხი არ გამიცია. ეკასთან მივედი, გავაღვიძე.
„რა იყო, თამაზ?„ – მკითხა ეკამ, როდესაც მისი გაღვიძება შევძელი და ტახტზე წამოჯდა.
„უნდა წავიდეთ, ეკა„ – მივუგე მშვიდად.
„სად?! – გაკვირვებით იკითხა ეკამ და მხოლოდ ახლა შეამჩნია ოთახში მყოფი უცნობები, – სტუმრები მოვიდნენ?„ – დაუმატა ჩუმად.
„ჰო... არა... სტუმრები კი არა, შენ ვერ გაიგებ, ეკა, შემდეგ აგიხსნი? – ვუპასუხე მე და ტანსაცმელი მივაწოდე,
ეკამ გაკვირვებით შემომხედა და ჩაცმას შეუდგა...
ახალ ბინაში მანქანით მიგვიყვანეს. შავკოსტუმიანი ცოტა ხნით შეყოვნდა.
„არ იდარდო, თამაზ, ყველაფერი გამოირკვევა და მშობლები დაგიბრუნდებიან... მანამდე კი... ისწავლე, დაიკოს მოუარე, ყველაფერში ისე მოიქეცი, როგორც მამამ დაგაბარა. მე სხვა დროსაც შემოვივლი.„ – დამარიგა მან და წავიდნენ.
ეკა გაოცებით მიყურებდა და თუმცა ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა, კითხვის მოცემას ვერ მიბედავდა, ოთახის კუთხეში დაგებულ ფარდაგზე მჯდარს, მაგრად ჩაებღუჯა თავისი საყვარელი თოჯინა და შიშნაკრავი თვალებით მიცქეროდა. დიდხანს ვდუმდი.
მაშ ასე, ყველაფერი გათავდა, მე და ეკა მარტონი დავრჩით და ჩვენი ცხოვრების გზა მე უნდა გამეკვალა.
„რა იქნება ხვალ? ზეგ? ერთი თვის შემდეგ?„ – ვფიქრობდი მე, მაგრამ ვერას გზით ვერ წარმომედგინა თუ რა იქნებოდა მომავალში. ერთი რამ ცხადად შევიგრძენი: ჩემი მშობლები მოკლე ხანში ოჯახს ვერ დაუბრუნდებიან, არ გაათავისუფლებენ, ეს გადაწყვეტილია, თორემ ბინიდან ასე სწრაფად არ გაგვასახლებდნენ. მაგრამ ნუთუ მამა და დედა მართლაც ბოროტმოქმედნი იყვნენ?
„ტყუილია, შეცდომაა!„ – ვიმხნევებდი თავს.
„ბოროტმოქმედები არიან! შენც და ეკაც ბოროტმოქმედთა შვილები ხართ!„ – ჩამძახოდა ვიღაცა და ეხლა შევამჩნიე, რომ წუხელს აქეთ ეს ვიღაც, ჩემს გულში უკითხავად ჩასახლებული, მთელი ძალით მებრძოდა და მარწმუნებდა, რომ ჩემი მშობლები შეცდომით არ იყვნენ დაპატიმრებულნი.
„სტყუი, საზიზღარო, ცილს წამებ ჩემს მშობლებს!„ – შევუტიე იმ სხვას, მეორეს.
„შენ თვითონვე იცი, რომ არ ვტყუი! შენ მოგატყუეს შენმა მშობლებმა, ჩვენთან უდანაშაულოებს არ აპატიმრებენ!„ – მიპასუხა ორეულმა.
თმებში ხელი ჩავივლე, გიჟივით დავიწყე ოთახში სირბილი, მაგრამ ორეული ფეხდაფეხ დამდევდა, მოსვენებას არ მაძლევდა და დაჟინებით მარწმუნებდა, რომ ჩემი მშობლები დამნაშავენი იყვნენ.
როგორც იქნა გათენდა. ეკა ოთახში დავტოვე და ქუჩაში გამოველ. მიმოვიხედე: სადღაც ავლაბარში ვიყავი, მაგრამ რომელ ქუჩაზე, ვერ გავარკვიე. სწრაფად შევბრუნდი ოთახში, ფარდაგზე მიკუჭული ეკა გავაღვიძე, ჩავაცვი. გადავწყვიტე

დეიდა თამართან წავსულიყავით, თუმცა რომ ვინმეს ეკითხა რა მინდოდა, რისთვის მივდიოდი, ვერ ვუპასუხებდი.
დეიდა სახლში დამიხვდა, გულთბილად მიგვიღო, მოგვეფერა, გაგვამხნევა. „რა ვუყოთ შვილო, მარტო თქვენს თავს როდია ასეთი ამბავი. მოვითმინოთ, თუ რაიმე შეცდომაა, გამოირკვევა, უდანაშაულოდ ხომ არ დასჯიან. ვიცადოთ, დრო ყველაფერს გამოარკვევს.„
პასუხი არ გამიცია. უძილოდ გატარებულმა ღამემ და იდუმალ ორეულთან ბრძოლამ მომქანცა, მშობლების უდანაშაულობის რწმენა შემირყია და თითქმის დამარწმუნა, რომ მათ რაღაც საშინელი ჰქონდათ ჩადენილი.
პირველ ხანებში სკოლაში თანაგრძნობით მექცეოდნენ. ძია ვარდენიც კვირაში ერთხელ მაინც შემოივლიდა დეიდასთან, ჩვენს სანახავად, გვესაუბრებოდა, გვამხნევებდა და რწმენას გამოთქვამდა, რომ ჩემი მშობლების დაპატიმრება გაუგებრობა იყო მხოლოდ და ყველაფერი მალე ძველ კალაპოტში ჩადგებოდა.
ჩემი დედ–მამის საქმეს ასე 36–38 წლამდე ასაკის გამომძიებელი იძიებდა. ერთხელ ძია ვარდენმა მეც წამიყვანა გამომძიებელთან, მე მაშინვე ვიცანი შავკოსტუმიანი ჩეკისტი. მან მეტად თავაზიანად მიგვიღო, შეგვპირდა, რომ ყველაფერს მალე გაარკვევდა. ამასთან გადაჭრით გვაგრძნობინა შიში არა გვქონოდა, უდანაშაულო ადამიანი არ დაისჯებოდა.
ამის შემდეგ ხშირად დავდიოდი გამომძიებელთან და მუდამ გახარებული ვბრუნდებოდი სახლში, თანდათან მომშორდა მტანჯველი ეჭვი, და რწმენა ჩამენერგა, რომ მშობლები გაუგებრობის ნიადაგზე იქნენ დაპატიმრებულნი.
ამით გამხნევებული არაფრად ვაგდებდი ბინიდან გასახლებას და ჩემდამი ორიოდე მასწავლებლისა და მოსწავლის ცივ დამოკიდებულება. „ზოგი ჭირიც მარგებელია, – ვეუბნებოდი დეიდას, – ის მაინც გავიგე ვის უყვარდა ჩვენი ოჯახი გულწრფელად და ვის კიდევ მამაჩემის სახელის გამოგვეტმასნებოდა.„
ასე გავიდა ერთი თვე. ერთ დღეს, სკოლაში მისული ჩვეულებრივად მივესალმე ამხანაგებს, მაგრამ სალამზე არავინ მიპასუხა, ხოლო გაიოზმა, რომელიც თავისი ეგოიზმითა და ბოროტი ხასიათით გამოირჩევოდა, ზიზღით გადმომხედა, მერხზე გაზეთი დამიდო და ღვარძლიანად მესროლა: „აჰა წაიკითხე!„
ამხანაგების ასეთმა ქცევამ იმდენად გამაკვირვა, რომ არც კი ვცდილვარ შევპასუხებოდი. გაიოზს მექანიკურად გამოვართვი გაზეთი და უაზროდ გადავათვალიერე პირველიგვერდი.
„მესამე, მესამე გვერდი წაიკითხე, იქ ნახავ შენთვის საინტერესო წერილს!„ – ბოროტად ჩაიქირქლა გაიოზმა.
უხმოდ გავშალე გაზეთი, მესამე გვერდს დავხედე. საკმაოდ ვრცელი წერილის სათაური მსხვილი შრიფტით იყო აწყობილი და მაშინვე ვიგრძენი როგორ ჩამწყდა მკერდში რაღაც, თვალთ დამიბნელდა.
ბოლოს მოვახერხე ძალის მოკრება. წერილი ბოლომდე წავიკითხე.
გაზეთი მკითხველებს მოუთხრობდა საშიშ დამნაშავეთა ჯგუფზე, რომელიც მამაჩემის ხელმძღვანელობით ხანგრძლივი დროის მანძილზე დაუსჯელად აფათურებდა თურმე ხელს სახელმწიფოს ჯიბეში და უკვე მოესწროთ რამდენიმე

ასეული ათასი მანეთის მითვისება. წერილში ლაპარაკი იყო ბოროტმოქმედთა საქმიანობაზე, სახელმწიფო თანხების დატაცების გამოყენებულ მეთოდზე და მთავრდებოდა მოწოდებით სასტიკად დაესაჯათ დამნაშავენი.
წერილმა გამაოცა. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში. როდესაც გამოვერკვე დავინახე, გაიოზი და მასზე აყოლილი რამდენიმე ბიჭი გარს შემოხვეოდნენ და ბოროტად შემომცქეროდნენ.
ნელა წამოვდექი მერხიდან და გარს შემოხვეული ბიჭების გესლიან ხარხარში, თავდახრილი უკან მოუხედავად წავლასლასდი კარებისაკენ. კლასიდან გასულმა ნაბიჯს ავუჩქარე და ბოლოს გავიქეცი.
ორი დღე სახლიდან არ გამოვსულვარ, ასე მეგონა საკმარისი იყო ჩემი ხალხში გამოჩენა, რომ მაშინვე შემომესეოდნენ ნაცნობები თუ უცნობები და გაიოზის მსგავსად მასხრად ამიგდებდნენ.
მესამე დღეს გამომძიებლის სანახავადწავედი. საშვი კანცელარიის გამგემ დაუშვა. მთელი დღე ველოდე, მაგრამ გამომძიებელი არ გამოჩენილა, უკვე სამუშაო საათები მთავრდებოდა, როდესაც დერეფანში ვიღაც შუახნის მამაკაცი გამოვიდა და მკითხა ვის ველოდი. მე გამომძიებლის გვარი დავუსახელე.
„რა გინდა მასთან?„ – შემეკითხა კუშტად უცნობი. მე გავაცანი ვინც ვიყავი და რა მინდოდა გამომძიებელთან.
უცნობმა ოთახში შემიპატიჟა, რაღაცეები გამომკითხადა შემდეგ კუშტად მომიგო: „თქვენმა მშობლებმა მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, სამართლიანად იქნენ დაპატიმრებულნი და სათანადო სასჯელსაც მიიღებენ. სხვა დრს აქ აღარ მოხვიდეთ, საჭირო არ არის. თქვენ თანამედროვე ახალგაზრდა ხართ და უნდა გესმოდეთ, რომ ისეთი მშობლები, რომლებიც ხელს უშლიან ახალი ცხოვრების აშენებას... ზიზღის ღირსი არიან მხოლოდ.„
„კი მაგრამ გამომძიებელი...„
„არავითარი „მაგრამ„. ამ საქმის გამომძიებელი ახლა მე ვარ, ხოლო ვისთანაც თქვენ დადიოდით უკვე მოხსნილია და ვეღარ ნახავთ, გასაგებია?„
„მოხსნილია?! რისთვის?„
„ეგ თქვენი საქმე არ არის! – მომიგო უცნობმა ცივად. შემდეგ საშვზე ხელი მომიწერა და დასძინა: – ახლა წადით, გამოძიება ალბათ მალე დამთავრდება, მანამდე კი ჩემთან არ მოხვიდეთ. არ მიგიღებთ, არც რაიმე ცნობას მოგცემთ.„
იმ დღიდან ჩემი ცხოვრება მოლოდინის გრძელ, გაუთავებელ ჯაჭვად იქცა. ყველაფერი შეიცვალა – ხალხიც, გარემოც; ყველაში ყველა ამხანაგი ჩამომშორდა, თუ რომელიმე დამელაპარაკებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ზიზღით შეეხსენებინათ ჩემი მშობლების დანაშაული; მასწავლებლებსაც სიცივე დაეტყოთ, სწავლას გულს ვეღარ ვუდებდი და ჟურნალში ჩემი გვარის გასწვრივ სამიანები გაჩნდა, შემდეგ კი ორიანებიც გახშირდა.
ერთადერთი ვისაც ჩემი უბედურების დღეებში არ მივუტოვებივარ ციალა იყო. ხშირად დადიოდა ჩვენს ახალ ბინაში, მამხნევებდა, ეკას ეფერებოდა, ხანდახან ბინასაც გვილაგებდა და დეიდას ფულისგან ნაყიდ სადილს გვიხარშავდა.

ასე გავიდა ორი თვე. ერთ დღეს ციალა ციალა სკოლაში არ მოვიდა. გადავწყვიტე ბინაზე მიმეკითხა, მაგრამ ვერ გავბედე – ყველასგან ათვალისწუნებულს, შემეშინდა სახლიდან არ გამოვეგდე ციალას მშობლებს. ისევ დაცდა ვამჯობინე, მაგრამ ციალა არც მეორე დღეს გამოჩნდა. ახლა კი ვეღარ მოვითმინე და გაკვეთელების დამთავრების შემდეგ პირდაპირ მასთან წავედი. კარი გამიღო საშუალო ასაკს გადაცილებულმა ქალმა, რომელსაც ტირილისა, და უძილობისაგან თვალები დასიებოდა. მორიდებით ვიკითხე ციალა. უხმოდ შემიძღვა პატარა ოთახში. ციალა ტახტზე იწვა, დამინახა თუ არა ტირილი აუვარდა, ჩემთვის უცნობი ქალიც აქვითინდა. ვერაფერს მივხვდი, სალამიც ვერ მოვახერხე, შუა ოთახში უხერხულად გაჩერებული, ხელში ქუდს ვჭმუჭნიდი და დაბნეული შევცქეროდი ხან ერთს, ხან მეორეს. ბოლოს გონს მოვეგე, საწოლს მივუახლოვდი.

„რა მოხდა, ციალა?„ – შევეკითხე მტირალს

ციალამ უფრო უმატა ქვითინს, ტირილი ისტერიკად გადაიქცა, ხანშიშესული ქალი დაფაცურდა, რაღაც წვეთები ჩაყლაპა, შემდეგ მოეხვია და შეეცადა დაემშვიდებინა, საკმაოდ დრო გავიდა, ვიდრე ციალა ცოტათი მაინც დაწყნარდებოდა. მერე კი ნაწყვეტ–ნაწყვეტად მიამბო, რომ ორი დღის წინ მისი მამაც, ერთ–ერთი ქარხნის დირექტორი, დაეპატიმრებინათ.

„ახლა მე შენზე უარეს დღეში ვარ თამაზ!„ – დაამთავრა ციალამ და კვლავ ტირილი აუვარდა.

მოულოდნელობისაგან გავშეშდი.

„დაჯექი, შვილო, თქვენზე ბევრი რამ მიამბო ციალამ„ – ჩამესმა ქალის ხმა. მისკენ უაზროდ გავიხედე.

„ჩემი ბებიაა თამაზ, სოფლიდან ჩამოვიდა. დედა მამის ამბის გასაგებად წავიდა„ – გამაცნო ციალამ ბებია.

უხმოდ ჩამოვჯექ მინდოდა რაღაც მეთქვა, ციალა მისი ბებია მენუგეშებინა, მაგრამ ენა ვერ მოვაბრუნე, სიტყვა ვერ დავძარი, აზრწართმეული, სულ მთლად დაბნეული, უხმოდ შევცქეროდი ორთავეს.

გვიან ღამით დავტოვე ციალას ბინა. ჩემს გულში მბჟუტავი უკანასკნელი სინათლეც ჩაქრა. ციალა ახლა, პირიქით, გამხნევებასა და ნუგეშს საჭიროებდა. იმ ღამით დეიდასთან დავრჩი, უძილოდ გავატარე, არც დეიდა თამარს ეძინა, მასზე მძიმედ იმოქმედა ციალას მამის დაპატიმრებამ.

დილით გვიან ავდექი, ხალისოდ წავედი სკოლაში. პირველ გაკვეთილზე ორიანი მივიღე. გულგრილად მოვისმინე მასწავლებლის საყვედური, რასაც ჩემთვის კარგა ხანია დაკარგული ჰქონდა მნიშვნელობა.

ციალა მესამე გაკვეთილზე გამოჩნდა, ძალზე მოწყენილი და დანაღვლიანებული. საოცარი ის იყო, რომ უფრო ლამაზი და მიმზიდველი მეჩვენა. უხმოთ ჩამოვართვი ხელი.

„თამაზ, ამ საღამოს უეჭველად მოდი, აუცილებელი საქმე მაქვს„ – წყნარად მითხრა მან და ნაღვლიანად შემომხედა.

„მოვალ, ციალა„.

რამდენიმე წუთს ვისაუბრეთ, მაგრამ არც ერთს არ გვიხსენებია მშობლები. ციალა წავიდა მეც აღარ დავრჩენილვარ, უკანასკნელი ორი გაკვეთილი მივატოვე და სახლში წავედი.
საღამოს 6 საათზე ციალასთან ვიყავი. დედა–შვილი ბარგს კრავდა, თავზარი დამეცა, მივხვდი, რომ თბილისს ტოვებდნენ.
ჩემმა გამომეტყველებამ ალბათ ყველაფერი უთხრა ციალას. მკლავში ხელი მომკიდა, გვერდზე გამიყვანა და შთაგონებით მითხრა:
„თამაზ, მე და დედას თბილისში ცხოვრება გაგვიჭირდება, გადავწყვიტეთ სოფელში წავიდეთ ბაბუასთან, დედაჩემის მამასთან... წინ უნდა გავიხედოთ, ცხოვრებას შევეჭიდოთ და თვითონვე მოვაწყოთ ჩვენი მომავალი. თუ მამა უდანაშაულოა, გამოუშვებენ, თუ არადა, მშობლების ცოდვას ჩვენ არ მოგვკითხავენ. დრო გავა, გავიზრდებით, შრომაში ჩავებმებით, ხალხი ჩვენი შრომით დაგვაფასებს და საზოგადოებაში ჩვენთვისაც აღმოჩნდება ადგილი. შენ ჩემზე ნაკლებ როდი გესმის, რომ ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს მეტი მოეთხოვება. ხომ გესმის, თამაზ!„
„მესმის, ციალა მაგრამ...„
„კარგი, ნუღარ გააგრძელებ, ჩვენ ამ საკითხზე ცოტა უფრო გვიან მოვილაპარაკებთ. აი ბარგს შევკრავთ, დედა და ბებია სხვაგან მიდიან და რამდენიმე საათი მარტო ვიქნებით, კარგი?„
თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.
ერთი საათის შემდეგ მცირე ბარგი უკვე შეკრული იყო. ციალას დედა და ბებია წავიდა, ჩვენ მარტონი დავრჩით.
ვდუმდით. ტახტზე ჩამომჯდარნი შევცქეროდით ერთმანეთს. საუბრის დაწყება არ ხერხდებოდა,თავდახრილი ციალა სუფრის ფოჩებს წეწავდა. ნავთქურაზე ჩაიდანი შიშინებდა, ეზოდან ბავშვების ჟრიამული ისმოდა, ადრიანი გაზაფხულის ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ბრჭყვიალებდნენ ფანჯრის მინებზე.
„ციალა„! – დავარღვიე სიჩუმე.
„გისმენ, თამაზ!„ – თავაუღებლად მიპასუხა ციალამ.
„როდის მიდიხართ?„ – შევეკითხე ანგარიშმიუცემლად და თვითონვე შემრცხვა ჩემი კითხვისა, იმდენად სულელურად მეჩვენა იგი.
„ხუთი საათის შემდეგ. მატარებელი თორმეტზე მიდის, თამაზ...„
„ამაღამ?„ – თითქმის შევყვირე.
ციალამ თავი ასწია, თბილად შემომხედა და ნაღვლიანი ღიმილით დამიქნია თავი.
„რას ამბობ, ციალა, ამაღამ, ასე მოულოდნელად?!„
„ასეა საჭირო, თამაზ„ – ჩაიჩურჩულა.
„საჭირო?„ მერე მე... მე რა მეშველება უშენოდ, ნუთუ არ იცი, რომ შენ და ეკაღა ხართ ერთადერთი სანთელი ჩემს დაბნელებულ გულში!„
ციალა ნელა წამოდგა, ბავშვივით გადამისვა თავზე ხელი, შემდეგ გვერდით მომიჯდა და წყნარად მითხრა:

„ვიცი, თამაზ, მეც ძალიან მიჭირს შენგან დაშორება, ამდენი ხნის მეგობრობის შეწყვეტა მაგრამ...„
„მეგობრობის და მეტი არაფერი?„
ციალამ არ მიპასუხა.
„ციალა! – შევძახე გახელებით, – მე...„ – ვერ ვბედავდი მეთქვა, ჩემს თავსაც არ ვუტყდებოდი, რომ გაგიჟებით...
მან ტუჩებზე მიმაფარა ხელი, სიტყვა შემაწყვეტინა, შემდეგ ალერსიანი ხმით მითხრა:
„ნუ თამაზ არ არის საჭირო, მე ყველაფერი ვიცი, დიდ ხანია მიმხვდარი ვარ, გახსოვს 10 იანვარი? ვინ იფიქრებდა, რომ ასე შებრუნდებოდა ჩვენი ცხოვრება, რა ბედნიერები ვიყავით მაშინ, თამაზ!...„
„ციალა, მაშ ყველაფერი გათავდა?„ – შევეკითხე სიმწრით.
„არა, თამაზ, არ გათავებულა! პირიქით, ყველაფერი წინ არის, მაგრამ ჯერ ბავშვები ვართ და ცხოვრებაში ბევრი სიძნელეების გადალახვა მოგვიწევს. ვარდისფერი ხან გათავდა, ახლა ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ცხოვრებას და საკუთარი ძალით მოვძებნოთ ბედნიერება„.
„ჩვენ მას ვიპოვით, ციალა, თუ შენ... შენ ჩემთან იქნები და არ დამტოვებ!„
ციალა ცოტა ხანს დადუმდა. მერე ნაზად გამიღიმა.
„თამაზ, მე შენ დღეს იმიტომ დაგიბარე, რომ ბევრ რამეზე მოგელაპარაკო, ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ მეშინოდა, ცუდად არ გაგეგო, არ გაჯავრებულიყავ. დღეს კი, დღეს, ჩვენი ერთნაირი მდგომარეობა მაძლევს ამის უფლებას, მისმენ თამაზ?
„გისმენ ციალა!„
„მე არ მომწონს შენი ქცევა. უკვე ვაჟკაცი ხარ, ბევრი რამ მოგეთხოვება. ჩვენ არც ერთი არ ვაგებთ პასუხს მშობლების მოქმედებაზე თუ ისინი დამნაშავენი არიან, მაგრამ შეიძლება ეს შეცდომაც იყოს და ყველაფერი გათავდეს. შენ კი რას აკეთებ, თამაზ? აი უკვე ორი თვეა აღარ სწავლობ, ფრიადოსანი ოროსანთა რიგებში აღმოჩნდი, მოეშვი, ცხოვრებასთან ბრძოლაზე ხელი აიღე, თვითდინებას მიყვები,თითქოს შენთვის ყველაფერი სულ ერთი იყოს. განა ეს კარგია?
„რა ვქნა ციალა, განა მე მინდა? მაგრამ ვეღარ გავუძელ ყველაფერი ეს ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა და გამტეხა!„
„არა, თამაზ, აქ გაძლება არაფერ შუაშია, ნებისყოფაა საჭირო, სიძნელეს დაძლევა უნდა. ქედის მოხრა, ბრძოლაზე ხელის აღება–ლაჩრობაა. განა შენ ლაჩარი ხარ?„
„ციალა, მე ეს სილაჩრით არ მომსვლია, შენს გარდა ყველამ ზურგი შემაქცია, ამხანაგები ზიზღით მიცქერიან, მასწავლებლებიც, ვის რა დავუშავე?„
„ისინი სწორი არიან, აქ საკვირველი არაფერია, ეს უნდა გესმოდეს, თამაზ!„
„მესმის, ციალა, შენ თითქოს მართალი ხარ, მაგრამ ეს ისე ძნელია, ისე მწარე, რომ...„
„ჰო ძნელია, ვიცი, შენ გგონია მე არ მიყვარს მამა?„ თამაზ მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს... – ციალას ხმა აუთრთოლდა, შემდეგ მოწოლილი ცრემლები ჩაყლაპა და განაგრძო: – მაგრამ თუ... უნდა შევურიგდეთ მწარე სინამდვილეს.

ორთავენი გავჩუმდით. ოთახში სინათლე გაიცრიცა, ჩრდილები დაგრძელდა, შეუმჩნევლად წამოგვეპარა ღამე. მე ციალას ხელი მჭირა, ნაზად ვეალერსებოდი და იმ წუთში მხოლოდ იმას ვნატრობდი, სადმე შორს, ადამიანისათვის მიუწვდომელ ადგილზე გავფრნილიყავით, სადაც არავის არ ეცოდინებოდა ჩვენი მშობლების ამბავი.
„თამაზ!„ – დაარღვია მყუდროება ციალამ.
„გისმენ ციალა!„
„რაღაც უნდა გთხოვო, თამაზ და შემპირდი, რომ უსათუოდ ამისრულებ„.
„თქვი, ციალა.„
„შენ უნდა ისწავლო, თამაზ, უნდა ისწავლო! კიდევ ორი თვე და გამოცდები დაიწყება, უნდა შესძლო ატესტატის აღება. საშუალო დამთავრებულს კი აღარაფერი გაგიჭირდება, შეიძლება იმუშაო და ისწავლო კიდეც დრო მალე გავა, 4–5 წელიწადში უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებ, დამოკიდებული კაცი გახდები, ყველაფერი კარგად იქნება,მპირდები, თამაზ?„
„გპირდები, ციალა! ვისწავლი, ყველაფერს დავძლევ, ყველაფერს მოვერევი, თუ შენ...„
„კარგი, თამაზ, ვიცი ნუ იტყვი, არ არის საჭირო...„
„ბოლომდე მომისმინე , ციალა„.
„არ არის საჭირო, თამაზ, მე ვიცი რაც უნდა მითხრა. ისწავლე თამაზ და...მელოდე„! – უკანასკნელი სიტყვა ციალამი წყნარად, ჩურჩულით წარმოთქვა და თავი მხარზე მომაყრდნო.
მეტი არაფერი გვითქვამს, ეს იყო ჩვენი სიყვარულის გამოცხადებაც, ფიციც და იმ წუთს მწამდა, ჩვენი დაშორება არავითარ ძალას აღარ შეეძლო.
სადგურზე ერთად წავედით, ციალა ძალზე მოწყენილი იყო, მაგრამ ცდილობდა ჩემთვის არ შეემჩნევინებია. ბაქანზე ვიღაც ბიჭუნა ნაადრევ იებს ყიდდა. ციალამ ფული გაუწოდა, ნაღვლიანად გაიღიმა.
„იყვარს იები„ – წყნარად მითხრა და ქინძისთავით კონა მკერდზე დამიმაგრა.
„ეს როგორ?! – გავიღიმე ნაძალადევად, – ნაცვლად იმისა რომ მე მომერთმია თაიგული, პირიქით იებს მთავაზობ?„
„ჩემს სახსოვრად გქონდეს, თამაზ„ – ჩაიჩურჩულა ციალამ.„
მატარებლის გასვლამდე ბაქანზე ვიდექით, გავლილ ბედნიერ დღეებს ვიგონებდით, ვსაუბრობდით ყველაფერზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოგვცდენია ჩვენს იმჟამინდელ მდგომარეობაზე, არ გვინდოდა განშორების უკანასკნელი წუთები მოგვწამლოდა.
მატარებელი დაიძრა, ციალა ვაგონის კარებში იდგა და ხელს მიქნევდა, ნელ–ნელა გავყევი მიმავალ მატარებელს, შემდეგ სირბილზე გადავედი და დიდხანს, ვიდრე უკანასკნელმა ვაგონმა არ ჩამიარა, მივსდევდი ჩემს პირველსა და უკანასკნელ სიყვარულს...
მარტო დავრჩი, მატარებელი თვალ მიეფარა, ბაქანი დაცარიელდა, მე კი ვიდექი... ვიდექი... შემდეგ მკერდიდან იების კონა მოვიხსენი, ხელში დავიჭირე,

ქინძისთავი სათუთად შევინახე ჯიბეში და დამძიმებული გულით წამოველ სადგურიდან.
ის ღამე უძილოდ გავატარე, ბევრი ვიფიქრე. ბოლოს, გადავწყვიტე ყურადღება აღარ მიმექცია სკოლაში ჩემდამი ამხანაგების დამოკიდებულებისათვის და მესწავლა, მე ხომ ციალას, ჩემს ციალას დავპირდი!
გავიდა კიდევ ორი თვე, ციალა ყოველ კვირაში მწერდა წერილს. სკოლაში ნიშნები გამოვასწორე, ნელ–ნელა შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. მშობლების საქმე ჯერ ისევ გამოძიებაში იყო, იმედი მომეცა. ეკა ხშირად კითხულობდა მშობლებს, მაგრამ ვარწმუნებდი,მივლინებაში არიან და ჯერ ვერ ჩამოვლენ–მეთქი.
20 მაისს პირველი გამოცდა გვქონდა, ჩავაბარე, სახლში გახარებული წავედი, იმჯერად დეიდასთან ვცხოვრობდით. დეიდა სახლში არ დამიხვდა, ეკა ტახტზე იწვა,თვალები დაეხუჭა და მძიმედ სუნთქავდა.
„ეკა რა მოგივიდა?„ – შევძახე და საწოლთან მივვარდი.
ეკამ არ მიპასუხა.
„ეკა, შემომხედე ეკა! – შევსთხოვე მუდარით და ხელი შევახე. ბავშვს ლოყებზე ალი ასდიოდა ელდა მეცა, საწოლთან დავიჩოქე.
„ეკა, შემომხედე, გენეაცვალე! მე ვარ შენი ძამიკო„ – მოვეფერე, ცეცხლივით ანთებული ლოყები დავუკოცნე.
ეკამ მძიმედ გაახილა თვალები, უაზროდ შემომხედა, შემდეგ ისევ დახუჭა.
„მიშველეთ„ – ვიყვირე გიჟივით.
ოთახში მოხუცი მეზობელი ქალი შემოვარდა.
„მიშველეთ, დეიდა, ეკა ძალიან ცუდად არის!„ – შევევედრე მას.
„რა მოუვიდა? – შეშფოთდა კეთილი მეზობელი„ – სულ ორი საათიც არ იქნება, რაც აქ თამაშობდა, – მოხუცი საწოლთან მივიდა, ეკას შუბლზე ხელი დაადო. ჩქარა ექიმი!„
კისრიმტვრევით გავვარდი ოთახიდან, იქვე ახლოს ექიმი მეგულებოდა, დავრეკე, კარი გამიღეს თუ არა, უკითხავად შევვარდი ოთახში.
„მიშველეთ, ექიმი!„ – მივმართე შეიშნებულ ქალს.
ნახევარი საათის შემდეგ ექიმი ეკას საწოლთან იდგა და ბავშვს გულდასმით სინჯავდა.
მე, მეზობლის მოხუცი ქალი და დეიდა, რომლისთვისაც ტელეფონით შეეტყობინებიათ ეკას ავდმყოფობა შნშფოთებული შევცქეროდით ექიმს.
ექიმი დიდხანს სინჯავდა ავადმყოფს, შემდეგ წამოდგა.
„საშიშია რაიმე?„ – შეეკითხა დეიდა შიშნაკრავად.
ექიმი ერთხანს დუმდა, შემდეგ მძიმედ წარმოთქვა:
„მდგომარეობა სერიოზულია, მარჯვენა ფილტვის ანთება აქვს!„
მეხივით დამეცა ექიმის ნათქვამი, – ფილტვების ანთება! ერთი წუთით ოთახი დატრიალდა, შემდეგ თითქოს ვიღაცამ მძიმე ურო დამკრა თავში, თვითონვე გავიგე ჩემი იატაკზე დაცემის ხმა და გონი დავკარგე.
როდესაც თვალი გავახილე, პირველად მტირალი დეიდაჩემი დავინახე, ქაფურის მწვავე სუნი ვინრძენი.

„როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, ასე წახდენა! – მკაცრად მითხრა ექიმმა, – ავადმყოფს საშიში არაფერი ჭირს, თქვენ კი... ეგ რა მამაკაცური საქციელია!„ შემრცხვა. „მართლაც, იმის მაგიერ, რომ ეკას მივხედო, განაზებული ქალივით გული მიმდის„ – შევრისხე ჩემი თავი და ტახტიდან ადგომა დავაპირე.
„იწექით!„ – მიბრძანა ექიმმა, ჯერ არ შეიძლება თქვენი ადგომა, ისევ ცუდად გახდებით.„
„მე არაფერი მიჭირს, ექიმო! – წარმოვთქვი ნაძალადევი სიმშვიდით და ტახტიდან წამოვდექი, – მეც არ ვიცი როგორ მომივიდა.„
ექიმმა კუშტად შემომხედა, მაგიდასთან დაჯდა, რამდენიმე თავი წამალი გამოწერა.
„სასწრაფოდ დაამზადებინეთ, საღამოსათვის ისევ შემოვივლი„ – წაილაპარაკა მან და ოთახიდან გავიდა.
აფთიაქში დეიდა წავიდა, მე ჯერ ისევ მიბრუოდა თავი და სახლში დავრჩი, ექიმის რჩევისამებრ ეკას ხშირხშირად ვუცვლიდი ცივ ტილოებს.
დეიდა გამწარებული დაბრუნდა, ორი თავი წამალის მეტი ვერ ეშოვა. ჩემთვის მანამდე უცნობი ქალი შემოჰყვა, შემდეგ გავიგე, ისიც დეიდას მეზობელი ყოფილა, ექთანგი.
საღამომდე ეკას საწოლს არ მოვშორებივარ, ყოველ ნახევარ საათში ავადმყოფს ტემპერატურას ვუსინჯავდით, თერმომეტრი 41 გრადუსს უჩვენებდა. ექიმი საღამოს 9 საათზე ისევ მოვიდა. დიდხანს სინჯავდა ავადმყოფს.
„აუცილებელია სტრეპტლციდი, თორემ ბავშვი დაგვეწვება„ – ჩაილაპარაკა მან.
„სტრეპტოციდი! მე ვიცოდი არსებობდა ეს ახალი, ტემპერატურის დამწევი, უებარი საშუალება, მაგრამ ისიც ვიცოდი, მისი შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო.
„მიშველეთ რამე, ექიმო, – აქვითინდა დეიდა, – სამუდამოდ ყმად გაგიხდებით, ყველაფერს გავყიდი, ოღონდ ბავშვი გადამირჩინეთ„.
ქვასაც კი შესძრავდა დეიდაჩემის საცოდაობა. ამ რამდენიმე საათმა მოსტეხა. ექიმი გულწრფელად შეწუხდა.
„ქალბატონო, მე თქვენი არაფერი მინდა. ისედაც საკმაოდ ვიქნები დაჯილდოებული, თუ ჩემი ცდა შედეგს გამოიღებს. და ბავშვს გადავარჩენ, მაგრამ ამაზე როდია ახლა ლაპარაკი, მე რომ მქონდეს ეს პრეპარატი, თქვენი თხოვნა არ დამჭირდებოდა, ისედაც მოვიტანდი, მაგრამ არა მაქვს. ხვალ შეიძლება ვიშოვო რამდენიმე აბი, მაგრამ ხვალამდე დიდი დროა, მთელი ღამე ბავშვის ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია.!„
გაოგნებული ვიდექი, მესმოდა, რამდენიმე აბზე იყო დამოკიდებული ეკას სიცოცხლე, მაგრამ სად მეშოვნა სტრეპტოციდი?
უეცრად გამახსენდა, ჩემი მეზობელი ახალი ბინიდან, ჩემზე ორი წლით უფროსი არტაშა, რომელიც თბილისის ყველა სპეკულიანტს იცნობდა და გასამჯელოს მიხედვით თითქმის ყველაფერს შოულობდა.
სწრაფად წამოვდექი.
„მე ვიშოვნი სტრეპტოციდს, აუცილებლად ვიშოვნი!„ – განვაცხადე მტკიცედ და კარებისაკენ წავედი.

„სად მიხვალთ, ყმაწვილო?„ – მომაძახა ექიმმა.
„მე ვიშოვი, ექიმო სტრეპტოციდს, გადამყიდველებს გამოვართმევ, – მივუგე ექიმს თამამად, – მხოლოდ მითხარით, რამდენი იქნება საკმარისი?.
დეიდა დაფაცურდა, ფული მოძებნა, ორი ცალი ასმანეთიანი მომაჩეჩა ხელში. გული შემეკუმშა, მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ჯიბეში ერთი მანთის მეტი არ მქონდა.
ექიმმა თბილად შემომხედა.
„ერთი წუთით მოითმინეთ, – მითხრა მან და მკლავში ხელი მომკიდა, – ესეც აიღეთ! – ექიმმა ჯიბიდან ფული ამოიღო და შემდეგ დაუმატა: – ორი კოლოფი იყიდეთ თუ მართლაც მოახერხოთ შოვნა.„
„ფული საჭირო არ არის პატივცემულო ექიმო, მე თვითონაც მაქვს„ – უარი განვაცხადე ფულის მიღებაზე დაყურებამდე გავწითლდი.
ექიმი გაჯავრდა: „ლაპარაკის დრო არ არის, ფულს საჩუქრად როდი გაძლევთ, შემდეგ დამიბრუნეთ, ახლა კი აიღეთ და გასწით.”
„გმადლობთ, ექიმო, მაგრამ თქვენს ფულს ვერ ავიღებ, არ არის საჭირო, მე თვითონ მაქვს, მეყოფა.„
ექიმს ეხლა ნამდვილად გული მოუვიდა: „მე თქვენოდენა შვილი მყავს, არ გეკადრებათ ასეთი ჯიუტობა! ფული წაიღეთ, თუ არ დაგჭირდებათ, უკანვე მომიტანეთ!„ – მითხრა მან ბუზღუნით და ათმანეთიანები ჯიბეში ჩამიტენა.
დეიდა ხმას არ იღებდა, დარდისა და სირცხვილისაგან გამშრალი უხმოდ იდგა ეკას საწოლთან. მე ვიცოდი, რომ მან მთელი თავისი ფული მომცა და ერთი მანეთიც არ დაუტოვებია.
აღარ მიკამათია. უსიტყვოდ გავვარდი ოთახიდან. იმის შეგნებამ, რომ სრულიად უცნობმა ადამიანმა, რომლისაგანაც ისედაც დავალებული ვიყავით, თავისი ფული მომცა წამლების სასყიდლად, საშინლად შემილახა თავმოყვარეობა, მეორე მხრივ უღრმესი მადლობისა და პატივისცემის გრძნობით განვიმსჭვალე ექიმისადმი, რომელმაც ასეთი უანგარობა და კეთილშობილება გამოიჩინა გაჭირვებაში მყოფ ადამიანთა მიმართ, თუმცა ეს ადამიანები ახლოს არც იცნობდნენ მას და არც სამაგიერო სიკეთის გადახდა შეეძლოთ, ახლო მომავალში მაინც.
რა კარგი იქნებოდა ცხოვრება, რომ...
უეცრად მშობლები გამახსენდა. „იციან ახლა რა დღეშია ეკა? ნეტა თუ გრძნობენ რაიმეს?„ – გამიელვა თავში და ფეხს ავუჩქარე. ქუჩაში ვერავის ვხედავდი, თითქმის გავრბოდი.
არტაშა სახლში დამხვდა, ვიღაც სტუმრები ჰყავდა, სვამდნენ. ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა. ის რატომღაც ცდილობდა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა ჩემთან, მაგრამ მე არ ვაძლევდი ამის საბაბს, ჩემდაუნებურად პირველი შეხვედრისთანავე ანტიპატიურად განვეწყვე.
„მოდი, თამაზ, მოდი! მადლობა ღმერთს, ჩვენთან ფეხი შემოგიცდა, – შემეგება არტაშა, შემდეგ თანასუფრელებს მიმართა: – გაიცანით, პროფესორის შვილია, ახლა მილიციასთან ცოტა იაღლიშად არის, მაგრამ არაფერია.„

მეწყინა არტაშას ეს ლაზღანდარობა, მაგრამ თავი შევიკავე, მე მასთან ეკას სიცოცხლის სათხოვნელად ვიყავი მისული და რაც არ უნდა ეთქვა, ყველაფერს ავიტანდი.
„ერთი ჭიქა დაგვალევიე, თამაზჯან„
არტაშამ ღვინით სავსე ჩაის ჭიქა მომაწოდა.
„არა, არტაშ, ღვინო კი არა ცეცხლი მეკიდება, უნდა მიშველო რამე„.
„ვაჰ, რა გაგვჭირვებია ასეთი!„ – გაუკვირდა მას და მაგიდიდან წამოდგა.
„გეტყვი, შენს იქით გზა არა მაქვს„ – მიუვუგე. შემდეგ მის მეგობრებთან ბოდიში მოვიხადე, არტაშა გვერდზე გავიყვანე და ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი.
„ვაა! მე რომელი აპტეკარი მნახე!„ – გაიცინა მან.
„შენ ყველას იცნობ, არტაშ, უნდა მიშველო!„
„გიშველი, მაგრამ ეგ ოხერი ძალიან ძვირად ყიდიან, მე კი ახლა ფული არა მაქვს„.
„ფული მე მაქვს, შენ მხოლოდ წამალი იშოვე„.
„შენ აქ დამიცადე მე მალე მოვალ – არტაშამ ქუდი დაიხურა, – ბიჭებო! – მოუბრუნდა მეგობრებს, – თქვენ პურის ჭამა განაგრძეთ, არ აიშალოთ, ამ საათში აქა ვარ, თამაზაც გაართედ, ჩვენი ახალი მეზობელია, ჯიგრიანი ბიჭია!„ – გააცნო ჩემი პიროვნება მათ და ოთახიდან გასვლა დააპირა.
„მეც შენთან მოვდივარ, არტაშ! – მივაძახე კარებში გასულს და უკან დავედევნე.
არტაშამ წამალი მიშოვნა, ორი კოლოფი სტრეპტოციდი. გამოვცოცხლდი. სიხარულით გავუწოდე ფული.
„ამოდენა ფული სად გიშოვნია?„ – გაუკვირდა არტაშას.
„ვისესხე, არტაშ„.
„ისესხე? არა ძმაო, ნასესხებ ფულს მე შენ არ გამოგართმევ. გაუშვი ჩემი ვალი გქონდეს, ძმაკაცურად გავსწორდებით, ეს კი ვისაც გამოართვი მიუტანე „
უარზე დავდექი, მაგრამ რაც მეტს ვეხვეწებოდი, ის უფრო ჯიუტობდა, ბოლოს 200 მანეთი დავუტოვე, გულწრფელი მადლობა გადავუხადე და წასვლა დავაპირე.
„თამაზჯან, ერთი ძმაკაცური სათხოვარი მაქვს...„ – შემაჩერა არტაშამ.
„თქვი, არტაშ!„
„ახლა შენ სხვანაირად კი არ გამიგო, ბიჭებს ცოტა ოინბაზობა გვინდა, შენ მაინც რამდენიმე დღე დეიდაშენთან უნდა დარჩე და თუ არ გეწყინება შენი ოთახის გასაღები დამიტოვე„.
გავუგე: არტაშა სამაგიერო სამსახურს მთხოვდა, ამიტომაც არ აიღო 200 მანეთზე მეტი. ბრაზი წამეკიდა, მინდოდა სახეში მიმეხალა წამალი, მაგრამ თავი შევიკავე, ჯიბიდან გასაღები ამოვიღე, უსიტყვოდ გავუწოდე და სირბილით წავედი.
„არხეინად იყავი, თამაზ, ოთახში ყველაფერი რიგზე დაგხვდება, არ გეგონოს რაიმე ავურიოთ„ – კიდევ რაღაცას მომძახოდა არტაშა, მაგრამ მე აღარ გამიგონია.
დრო შევამოწმე, ერთი საათი გასულიყო, რამდენიმე წუთში სალში ვიყავი, სწრაფად ავირბინე კიბეები და ოთახის კარი შევაღე. ყველანი მოლოდინით შემომცქეროდნენ.
„ვიშოვნე!„ – ვუპასუხე მათ მუნჯ კითხვას და ჯიბიდან წამალი ამოვიღე.

დეიდა სიხარულით გადამეხვია.
„ყოჩაღ ვაჟკაცო!„ – გამიღიმა ექიმმაც და მაგრად ჩამომართვა ხელი.
ეკას ძალის–ძალად ჩააყლაპეს აბი.
ყველანი თითქოს დავმშვიდდით, იმედი მოგვეცა. ექიმმა დაარიგა დეიდა, როგორი წესით ეძლია წამალი ბავშვისათვის და წასასვლელად მოემზადა.
„პატივცემულო ექიმო, – გადავუღობე გზა, – თქვენ ისეთი ამაგი დაგვდეთ, მისი გადახდა ჩვენს ძალ–ღონეს აღემატება, კადნიერებად ნუ ჩამითვლით, მინდა ვიცოდე, თქვენი სახელი.
„გიორგი ესტატეს ძე, – გაიღიმა ექიმმა, შემდეგ ქოჩორი ამიჩეჩა, – აი როგორი ვაჟკაცი ყოფილხარ„.
„ბატონო გიორგი, თქვენი დიდი, დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ დამატება აღარ დამჭირდა, ჩემიც მეყო. ძალიან გთხოვთ აიღოთ„. – ვთხოვე და ფული გავუწოდე.
„თამაზ ეს ფული თქვენთან დარჩეს, იქნებ კიდევ დაგჭირდეთ„ – მიპასუხა მან.
„არა, არ არის საჭირო, ჩვენ გვაქვს ფული„.
„გამიგონე თამაზ, საჩუქრად არ მომიცია ეს ფული, ჩათვალე, რომ გასესხეთ და სხვა დროს დამიბრუნებთ„.
„კი მაგრამ...„
„არავითარი, „მაგრამ!„ სიამაყეს თავი დაანებე, თორემ ნამდვილად გამაჯავრებ, ვიდრე შენ სპეკულიანტებთან დარბოდი, მე და დეიდა თამარმა ვისაუბრეთ, ბევრი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა, ასე, რომ იქნებ მე და შენ მეგობრებიც გავხდეთ. თუ, რა თქმა უნდა, შენც გექნება ასეთი სურვილი„.
„რას ბრძანებთ, ექიმო!„
„ჰოდა, ვიყოთ მეგობრები!„ – კვლავ გაიღიმა ექიმმა და ოთახიდან გავიდა, დეიდამ გააცილა.
„დეიდა, ვინ არის ეს კაცი, ასე რომ ზრუნავს ჩვენზე?„ – შევეკითხე დეიდას, როცა ოთახში შემობრუნდა.
„ექიმია, შვილო! ვიდრე შენ წამალზე იყავ წასული, ცოტა ვისაუბრეთ, მამაშენს კარგად იცნობს თურმე, ძალიან გაეხარდა როცა გაიგო, შენ და ეკა მისი შვილები ხართ„.
„მართლა?! ფულიც იმიტომ მომცა?„ – წარმოვთქვი მწარე ღიმილით.
დეიდა მიხვდა მეწყინა.
„რას ამბობ, თამაზ, ფული რომ მოგვცა, არც კი იცოდა ვინ ვიყავი, ეგ რა უმადურობაა!„ – მიპასუხა მწყრალად.
„ბოდიშს ვიხდი, დეიდა, მე არავის შეურაცყოფა არ მინდოდა, მით უმეტეს ექიმისა„.
ღამის პირველ საათზე ავადმყოფს ოდნავ დაუკლო ტემპერატურამ, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დეიდა ძალის–ძალად ჩავაწვინე ლოგინში, მე კი ეკას საწოლთან მოვიკალათე და მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.
მეორე დღეს ტემპერატურა უკვე 38–გრადუსამდე დაეცა. ექიმი ყმაწვილივით გამხიარულდა, მოგვილოცა და დიდხანს ეთამაშა ეკას.

მე სახლიდან არ გავდიოდი. ეკა გახდა, გაიცრიცა და თეთრ ბალიშზე მისვენებული, ცისფერთვალება ანგელოზს დაემსგავსა.
ორი დღის შემდეგ მათემატიკაში მქონდა გამოცდა, ეკას ავუხსენი და ვთხოვე გავეშვი.
„წადი, თამაზ, მაგრამ მალე დაბრუნდი, ჩემთან მინდა იყო,„ – მითხრა და საზოლთან დახრილს ხელები მომხვია, რამდენჯერმე მაკოცა.
ორი დღე–ღამის უძილობამ და ნერვიულობამ სასტიკად მომქანცა, მაგრამ მაინც შევძელ გამოცდის ჩაბარება. სახლში მხიარული დავბრუნდი. ეკას წითელი ვარდები მივუტანე. გაიხარა, მადლობა ათსი კოცნით გადამიხადა.
გავიდა კიდევ სამი დღე. ეკას ტემპერატურა ხან ოდნავ აუწევდა, ხან ისევ დაუკლებდა. ექიმს, რომელიც დღეში ორჯერ მაინც შემოივლიდა სანახავად, ვატყობდი, აშფოთებდა ეს გარემოება, მაგროამ ჩვენ არაფერს გვეუბნებოდა.
დეიდამ შვებულება აიღო. მორიგეობით ვუთევდით ღამეს ავადმყოფს. ნემსების კეთება ექთანმა ითავა. თუმცა მე მასზე ნაკლებად როდი შემეძლო შპრიცის ხმარება, მაგრამ ერთხელაც არ მიცდია ეკასთვის ჩხვლეტა.
დადგა 26 მაისი. დილით ადრე ავდექი. მესამე საგანში უნდა ჩამებარებინა გამოცდა. ეკას საწოლს ფრთხილად მივუახლოვდი. ავადმყოფს ეძინა, თერმკრთალი ლოყები შესწითლებოდა, ნესტოები უთრთოდა, ძილში მოუსვენრობდა.
შევკრთი. ფრთხილად დავადე შუბლზე ხელი, ცხელი მეჩვენა ბავშვი, სასწრაფოდ გავაღვიძე დეიდა თამარი.
„რა მოხდა?„ – შემეკითხა შეშფოთებით და ეკას საწოლს შეშფოთებით გადახედა.
„ეკას ტემპერატურამ აუწია!„
„ღმერთო, ჩემო!„ – ამოიგმინა თამარმა და ლოგინიდან წამოხტა.
6 საათი იყო. ამომავალი მზის სხივები ოქროსფრად ეფრქვეოდა ფანჯარას და მისგან არეკლილი ეკას საწოლს დასთამაშებდა.
ავადმყოფს ტემპერატურა გავუსინჯეთ, თერმომეტრმა 40–გრადუსი უჩვენა. თავზარი დაგვეცა...
„გაიქეც ექიმთან„ – მითხრა დეიდამ.
უხმოდ გავვარდი ოთახიდან, ექიმს ეძინა. გააღვიძეს. დამინახა თუ არა, ყველაფერს მიხვდა, სწრაფად წამოდგა. ვიდრე პირს დაიბანდა, ავადმყოფის მდგომარეობა ვუამბე, ხმა არ ამოუღია, ერთი კითხვაც არ მოუცია. მისი მკაცრი სახე და მოღუშული წარბები მაშინებდა, ხოლო დუმილი ავის მომასწავებლად მიმაჩნდა. ათიოდე წუთის შემდეგ სახლში ვიყავით. ეკას ისევ ეძინა. ძილში ხანდახან კვნესა აღმოხდებოდა, დეიდა საწოლთან იჯდა, სანთელივით გაფითრებული, დამუნჯებული, უაზროდ გვიცქეროდა ოთახში შემოსულთ.
ექიმი საწოლთან დაიხარა, ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა, შემდეგ ფენედესკოპი მოიმარჯვა, დიდხანს ყურადღებით სინჯავდა, გულსა და ფილტვებს უსმენდა. ოთახში სამარისებული სიჩუმე იდგა.
ექიმი ავადმყოფის გასინჯვას მორჩა. მძიმედ წამოდგა.
„სწორედ ამისა მეშინოდა!„ – გამოსცრა კბილებში

„რა გვჭირს, ექიმო?„ – თითქმის იკივლა დეიდამ.
„ანთება მეორე ფილტვშიაც განვითარდა, მდგომარეობა გართულდა„ – უპასუხა ექიმმა მისკენ მიუხედავად.
„ვაიმე შვილო!„ – მწარედ ამოიგმინა დეიდამ და ნიაღვარივით წასკდა ცრემლები. მე გავშრი, ხმის ამოღება აღარ შემეძლო. დამეხილივით მივაჩერდი ეკას საწოლს და მომეჩვენა, რომ საწოლზე დაფრქვეული მზის სხივები სისხლისფრად კიაფობდა.
ექიმი ჩვენთან დარჩა. ერთი წუთითაც არ დაუტოვებია ავადმყოფი, გულის საშუალებებს უკეთებდა, ხშირად უსინჯავდა მაჯას და უფრო და უფრო იღუშებოდა.
დღის ორ საათზე ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა, აღრიალებული დეიდა თამარი ოთახიდან გაიყვანეს. ეკას ჟანგბადის ბალიშით ასუნთქებდნენ. რაღაც უცნაური აპათია დამეუფლა. ექიმს მექანიკურად ვეხმარებოდი, ავტომატურად ვმოძრაობდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ის რაც ოთახში ხდებოდა, ეკას კი არ ეხებოდა, არამედ კოშმარული სიზმარი იყო.
ოთახი ხალხით გაივსო, ყველანი იცრემლებოდნენ, მეზობლის დეიდას ტირილი ისმოდა.
„რა ატირებს? – ვეკითხებოდი ჩემს თავს, – სისულელეა! ეკას არაფერიც არ უჭირს! აი ნახავ თუ რაიმე მოუვიდეს!„ – ვარწმუნებდი საკუთარ თავს თუ ვიღაცას.
ეკას ბალიში შეუცვალეს. ვიღაცამ რაღაცა მითხრა, ვიღაცამ ხელი მომკიდა, მე ვერაფერს ვგრძნობდი, ეკას მივჩერებოდი და ერთი და იგივე კითხვა მექანიკურად მიტრიალებდა თავში.
„რა უნდა აქ ამდენ ხალხს?„
„თამაზ, გადით ოთახიდან!„ – მომესმა უეცრად.
გამოვერკვიე, ექიმს ხელი წაევლო მკლავში და ეკას საწოლიდან კარებისაკენ მეწეოდა.
„ჰა... რაო?„ – შევეკითხე ექიმს უანგარიშოდ.
პასუხად ექიმმა მეორე ხელიც მომკიდა და კარებისაკენ მიბიძგა. უეცრად ყველაფერს მივხვდი, ექიმს ხელი შევაშვებინე ეკას საწოლთან დავიჩოქე, ორივე ხელები დავუჭირე.
„ეკა, ეკა!„– ჩავძახე ჩემ ცისფერთვალება დაიკოს. გულში დაგროვილი ბოღმა ყელში მომაწვა და ცრემლებად გადმოხეთქა ლოყებზე, ბავშვი ოდნავ სუნთქავდა.
„ეკა, შემომხედე, მითხარი რამე!„ – ჩავძახოდი ბავშვს.
უეცრად ეკა შეტოკდა, ერთი წამით თვალები გაახილა, გაფიცხებული ტუჩებით სივრცეს გაუღიმა: „დედა... დედიკო, ახლა მე ორი თოჯინა მყავს, მამამ მომიტანა, რა დიდხანს გელოდეთ„ – ჩურჩულებდა ის და სახეზე ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა.
„ეკა, მხედავ, ეკა?„ – ჩავძახე კიდევ ბავშვს, მაგრამ ეკას უკვე არაფერი ესმოდა. თუმცა მისი ტუჩები ისევ მოძრაობდნენ, სიტყვები ვერ გავარჩიე, ალბად რაღაც სასიამოვნო ზმანებას განიცდიდა, რადგან ღიმილი ეფინა მარმარილოსავით გათეთრებულ სახეზე.

ეკას სწოლზე თავჩამხობილი ხმიანად ავტირდი. ვიღაცამ ხელი წამავლო, საწოლს მომგლიჯა.
„თამაზ, ვაჟკაცი ხარ, გამაგრდი!„ – მომესმა ექიმის ხმა. უაზროდ შევხედე ძია გიორგის, თვალები ცრემლით ავსებოდა.
„ტირით, ექიმო?! თქვენც ტირით?! ვერ მოვუარე ჩემს დაიკოს, ვერ დავიცავი, ხედავთ? მე, მე მოვკალი ის, მე მოვკალი!„
ექიმმა ხელი მომხვია.
„დამშვიდდი თამაზ, დამშვიდდი, უბედურო ბავშვო!„ – ჩამჩურჩულა და გულზე მიმიკრა.
ყველაფერი გათავდა. ეკას სიცოცხლე სანთელივით ჩაქრა, მხოლოდ ღიმილი ვერ მოკლა სიკვდილმა. ქათქათა ბალიშზე დაფენილი წაბლისფერი კულულებით ეკა დიდი ხელოვნებისაგან დახატული მძინარე ანგელოზს ჰგავდა.

§ § §

უკანასკნელი სიტყვები დაჭრილმა ჩურჩულით წარმოთქვა, მძიმედ ამოიოხრა და მიყუჩდა.
მინდელი მონუსხული შესცქეროდა ჩარგიევს, რომელსაც ჩაცვინული თვალებიდან ღვარად სცვიოდა მსხვილი ცრემლები. პალატაში ბარათელი შემოვიდა, ფეხაკრეფით მიუახლოდა საწოლს.
ჩაეძინა? – შეეკითხა გამომძიებელს წყნარად და დაჭრილის მაჯას წაეტანა.
ჩარგიევმა თვალები გაახილა, თბილად შეხედა დასტაქარს.
– გმადლობთ, ექიმო, მე არ მძინავს, არც ცუდადა ვარ... ვიდრე სათქმელი არ მითქვამს, არ მოვკვდები, მიქელ გაბრიელთან ხელშეკრულება მაქვს დადებული – შეეცადა გახუმრებას.
– თქვენ ახლა უნდა დაიძინოთ, მათე, ამბავი კი ხვალ გააგრძელეთ – წარმოთქვა ციალამ მტკიცედ.
– სწორია, დაისვენეთ, მე სხვა დროს მოვალ – მხარი დაუჭირა გამომძიებელმა.
– არა, ექიმო, ძალიან გთხოვთ, საშუალება მომეცით ბარემ ბოლომდე ვქვა, ხელს ნუ შემიშლით, თქვენც ბატონო ლევან, ნუ წახვალთ, მისმინეთ, მე გთხოვთ, ნუ წახვალთ! – აღელდა ჩარგიევი და მუდარით შეხედა ექიმს.
ბარათელმა თავი გააქნია.
– ძალიან გთხოვთ, ექიმო, სულ ცოტაღა დამრჩა, მხოლოდ ნახევარი საათი, გთხოვთ, მარტო დაგვტოვოთ. მე არა მიშავს რა, მაგრამ თუ დამჭირდით, ბატონი ლევანი დაგიძახებთ, ძალიან გთხოვთ.
ჩარგიევის ხმაში იმდენი მუდარა და სითბო იგრძნობოდა, ბარათელმა ვერ გაუძლო, ალერსიანი შეხებით მოსწმინდა ლოყაზე დაღვრილი ოფლში შერეული მსხვილი ცრემლები და პალატიდან გავიდა.

ციალამ წყნარად გაიხურა კარი. ჩარგიევმა თბილი მზერა გააყოლა და მძიმედ ამოიოხრა. ძლივს მოსწყვიტა ნაღვლიანი მზერა კარებს, მერე ჩუმი ხმით განაგრძო ამბის თხრობა.

თავი XIV

ეკა მაისის წვიმიან დღეს დავკრძალეთ.
საფლავს მომაშორეს, სადღაც ლოდზე დამსვეს, ციალა გვერდიდან არ მშორდებოდა, რაღაცას მეუბნებოდა, ალბათ მანუგეშებდა. ხმას არ ვიღებდი, დაბერებული, ძაძებში ჩამჯდარი დეიდა თამარი გულში მიკრავდა, მეფერებოდა, მაგრამ მე ვერაფერს ვგრძნობდი, „რა უგემური მოფერება იცის დეიდაჩემმა„ – გამიელვა რატომღაც თავში.
კუბო საფლავში ჩაუშვეს, მიწა მიაყარეს, გოროხები საშინელი რახრახით ეხეთქებოდნენ სახურავს, სული შემეხუთა, ენით გამოუთქმელ ტანჯვას განვიცდიდი.
ციალა იმ საღამოსვე დაბრუნდა სოფელში. წასვლის წინ ბევრი მელაპარაკა, არაფერი მიპასუხნია, ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო: ეკა აღარ მყავდა, ადამიანებთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი. სიკვდილი უკანასკნელი დარტყმა იყო, რომელმაც დაუბრუნებლად ამომაგდო კალაპოტიდან, ადამიანები შემძაგდნენ, დეიდაჩემს ვეღარ ვიტანდი, მისი ყოველდღიური გოდება გაუსაძლისი შეიქნა. მშობლების ხსენება აღარ მინდოდა, ისინიც შემძულდნენ, მთელი ჩემი უბედურების სათავე ხომ მათი დანაშაულებრივი მოქმედება იყო...
ეკას დასაფლავებიდან მეხუთე დღეს ჩემი მშობლების საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. ჯგუფში 14 კაცი გადიოდა. საქმის განხილვა ორ კვირაზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. ჩემმა მშობლებმა ბრალდება უარყვეს, მაგრამ მოლარემ, მთავარმა ბუღალტერმა და მომარაგების განყოფილების უფროსებმა სავსებით აღიარეს დანაშაული და სასამართლოს დაწვრილებით მოუთხრეს როგორ გაუკეთეს ორგანიზაცია დამნაშავეთა ჯგუფს ჩემმა მშობლებმა და როგორ იფლანგებოდა მშენებლობისათვის განკუთვნილი თანხები.
არ გამკვირვებია. მას შემდეგ რაც საქმე ახალ გამომძიებელს გადაეცა, მე თითქმის შევეჩვიე იმ აზრს, რომ ჩემმა მშობლებმა უღალატეს ყოველივე წმიდას, ოჯახს, შვილებს, ეკას...
მთელ თბილდისს ეს საქმე ეკერა პირზე, ზიზღით იხსენიებდნენ დამნაშავეებს, განსაკუთრებით ჩემს მშობლებს.
ცნობას იმის შესახებ, რომ ჩემს მშობლებს დახვრეტა მიუსაჯეს, მშვიდად, თითქმის კმაყოფილებით შევხვდი. დეიდაჩემმა თმები დაიგლიჯა, გოდება დაიწყო. უხმოდ ჩავალაგე პატარა ჩომოდანში ჩემი და ეკას ტანსაცმელი, ეკას

გადიდებული სურათი. დეიდა გაკვირვებით მიყურებდა. შემდეგ ტირილი შეწყვიტა.
„სად მიხვალ, თამაზ?” – შემეკითხა შიშნაკრავად.
„სახლში, ჩემს ბინაზე„ – ვუპასუხე რაც შეიძლებოდა მშვიდად.
„გაგიჟდი, შვილო?„
„მე ჩემს ჭკუაზე ვარ„.
„მაშ მე გამაგიჟებ„.
„შენც შენს ჭკუაზე დარჩები, ქალბატონო!„ – მივუგე შხამნარევი ღიმილით.
„თამაზ! – აღშფოთდა დეიდაჩემი – ეს რა მომართვაა, როგორ მიბედავ!„
„დამშვიდდით! მე არ შემიძლია ამ ოთახში ცხოვრება, ჩემთვის ყველანი აუტანელი გახდით, აღარ მინდა თქვენი დანახვა! გესმით? – აღარ შემიძლია!„
„რა მოგივიდა თამაზ?!„
„არაფერი. მე დიდხანს ვითმინე, დიდხანს ვიცადე, მეგონა რომ ცდებოდნენ ჩემი მშობლების დაპატიმრებაში. იმედები გამიცრუვდა, ისინი ნამდვილი დამნაშავეები აღმოჩდნენ, მკვლელები! ეს, მათ მოკლეს ეკა! წაშალეს ჩემი მომავალი, მგლად მაქციეს, ნადირივით გამაგდეს ქუჩაში უპატრონო და მიუსაფარი! შენ კი, შენ მათ სტირი, მათ უბადრუკ სიცოცხლეს მისტირი! წაიკითხე? შენს დასა და მის პროფესორ მეუღლეს იმდენი ვაჟკაცობაც არ აღმოაჩნდათ ეღიარებინათ დანაშაული. ის მაინც ეთქვათ, რამ აიძულათ ჩაედინათ ასეთი სისაძაგლე!
მერე და რა უნდოდათ, რა აკლდათ, რას ელტვოდნენ? ძაღლსაც კი უყვარს თვისი ლეკვი, სუსტი კრუხი თავის წიწილასათვის სიცოცხლეს წირავს ძლიერ ქორთან ბრძოლაში, მგელას კი ლუკმა მიაქვს თავისი ლეკვისათვის, ჩემმა მშობლებმა კირა ჰქნეს, რა ჰქნეს–მეთქი, მიპასუხეთ!„ – ვყვიროდი მე და სიძულვილით მივჩერებოდი დეიდას, რომელიც საცოდავად მოკუნტული ერთბაშად დაპატარავებულიყო, შიშით შემომცქეროდა და ხმას არ იღებდა.
„ვერა მპასუხობთ? მით უკეთესი. დაჯექით ოთახში და იტირეთ დამნაშავენი, იტირეთ მკვლელები, მაგრამ არ გაბედოთ მათთან ერთად უმანკო ეკას სახელის ხსენება„ – შევუტიე დეიდას და ჩემოდანი ავიღე.
„თამაზ, შვილო!„ – წამოიკნავლა და წამოდგა.
„მე თქვენი შვილი არა ვარ, მეორედ არ გაბედოთ!„ – ვიღრიალე.
„მისმინე, თამაზ! შეჩერდი, ჩემო შვილო...„
„არა–მეთქი, თავი დამანებეთ! ნუ გგონიათ, რომ ცრემლს შეუძლია გული მომილბოს! მე გული აღარა მაქვს, ის სასაფლაოზე დავმარხე! მშობლების გამო ყველა ზიზღით მიიცქერის, დღეიდან მარტო ვარ და ისე ვიცხოვრებ, როგორც მამაჩემის შვილს შეეფერება, მშვიდობით!„
„თამაზ! გონს მოდი, თამაზ!„
უკვე კარებთან მისული მოვბრუნდი, მძულვარებით შევხედე ჩემკენ ხელებგამოწვდილ დეიდას, დიდხანს მივჩერებოდი.
„ერთი სიტყვაც, დეიდაჩემო, – დავიწყე ნაძალადევი სიმშვიდით, – ტყუილად ნუ ეცდებით ჩემი ამბის გაგებას, მე ამ სახლში ვეღარასოდეს მნახავთ, თქვენც არ

გირჩევთ ჩემს ოთახში მოსვლას. მე დღეიდან არავინ არა მყავს გვარიც კი მეზიზღება ჩემი!„
„თამაზ!„ – იღრიალა დეიდამ.
მე უკან აღარ მიმიხედია, მშვიდად გავიხურე კარი. ფეხით წავედი, არაფერზე აღარ ვფიქრობდი. ქუჩაში ხალხი ირეოდა. ნელი ნაბიჯით მივიკვლევდი გზას, ახალგაზრდების ერთი ჯგუფი შემომეყარა, სახე უბრწყინავდათ, რაღაცაზე გაცხარებით მსჯელობდნენ შევატყვე, სკოლიდან ბრუნდებოდნენ, გამოცდები ჰქონდათ ჩაბარებული. სიცილ–ხარხარით ჩამიარეს „ბედნიერები!„ – გავიფიქრე გულში და მათი სიხარული შემშურდა.
ეკას სიკვდილის შემდეგ სკოლაში არ წავსულვარ, დასაფლავებაზე მოსული დამრიგებელი შემპირდა გამოცდების ორი კვირით გადადებას, რამდენიმე ამხანაგმა დახმარება შემომთავაზა. ყველაფერი უარვყავი. ვიცოდი, გამოცდებს ვერ ჩავაბარებდი, საამისო ძალა აღარ გამაჩნდა.
ეზოში შესულმა არტაშა მოვძებნე, გასაღები გამოვართვი, ოთახში შევედი. არტაშა ფეხდაფეხ შემომყვა, ერთხელ კიდევ მომისამძიმრა და უკითხავად ჩამოჯდა მაგიდასთან. საწოლზე დავეშვი, გულხელი დავიკრიფე, უაზროდ მივაშტერდი ჭერს.
„თამაზ„ – შემეხმიანა არტაშა.
ხმა არ გავეცი.
„მომისმინე, თამაზ„ – დაიწყო ისევ არტაშამ.
„რა გინდა!„ – გავეპასუხე ბრაზიანად.
„არც ასე ვარგა, თამაზჯან, ვაჟკაცი არა ხარ? ძალა მოიკრიბე, გამხნევდი, თორემ დარდი მოგკლავს„
„ნეტავი ვისთვის რა საჭირო ვარ?„
„როგორ თუ რა საჭირო ხარ! კაცი არა ხარ, ადამიანი! უნდა იცოცხლო, სიკვდილს ყოველთვის მოესწრები, ყველანი იქ უნდა წავიდეთ!„
„ჩემი ცხოვრება დასრულდა. მშობლებმა მიღალატეს, ეკა მომიკვდა, ვისთვის უნდა ვიცოცხლო!„
„ვაჰ, ერთი ხელი აიღე და... მეც მომიკვდა მშობლები, შენზე პატარა დავრჩი, მაგრამ ხომ ხედავ ვცხოვრობ, შენც უნდა იცოცხლო.„
არ შევპასუხებივარ, ლაპარაკი ნერვებს მიშლიდა, მარტოობა მინდოდა, მაგრამ არტაშა ვერ გრძნობდა ჩემს განწყობილებას და ცდილობდა საუბარი გაება.
„თამაზჯან, – დაიწყო ისევ არტაშამ, – ძმობას გეფიცები ძალიან მწყინს შენი ამბავი, მაგრამ რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის, მკვდრები არ ცოცხლდებიან, დრო გაივლის, ყველაფერი დაგავიწყდება.„
მე ვდჯმდი.
„დარდს უნდა მოერიო, თამაზჯან! ამისათვის ერთი წამალი არსებობს, – არტაშა წამოდგა. – მე ახლავე მოვალ, შენ აქ დამიცადე„, – დაუმატა მან და ოთახიდან სწრაფად გავიდა.
არ გავნძრეულვარ, საშინელ ფიზიკურ დაღლილობას ვგრძნობდი, სხეულის ყველა ნაწილი მტეხდა, მტკიოდა, ისე ვიყავი დაჟეჟილი, თითქოს დიდი

სიმაღლიდან ჩამოვვარდნილიყავ. არ ვიცი რამდენხანს გაგრძელდა ჩემი მარტოობა.
კარებმა გაიჭრიალა.
„თამაზჯან, გძინავს?„ – მომესმა არტაშას ხმა.
თვალი გავახილე, მივიხედე–არტაშა მაგიდასთან ფუსფუსებდა, ბოთლებს ხსნიდა, გაშლილ გაზეთზე სანოგავეს აწყობდა.
ადექი, თამაზ, თითო ჭიქა დავლიოთ, დარდს მოგვაშორებს!„
უხალისოდ წამოვდექი.
„მოდი, მოდი, დავლიოთ! ნახე რა ხელად მოგეშვას„ – წამაქეზა არტაშამ და ხელი წამავლო.
მაგიდასთან მივედი. არტაშამ კონიაკის ბოთლი ჩაის ჭიქებში დააპირქვავა, შემდეგ მეორე ჭიქაშიც ჩაასხა.
„გაგვიმარჯოს!„ – დაილოცა მოკლედ და გადაჰკრა.
უხმოდ გადავკარი. ჩემს ცხოვრებაში პირველად დავლიე იმოდენა კონიაკი, სასმელმა ცეცხლი მომიკიდა, ძლივს მოვითქვი სული, თვალებიდან სიმწრის ცრემლები წამომივიდა.
არტაშამ ძეხვის ნაჭერი მომაწოდა.
„მიირთვი თამაზჯან! დღეს მე ვარ მასპინძელი„.
კიდევ შევსვით. კონიაკმა მადა გამიხსნა, საჭმელს მივეტანე, ორი ბოთლი კონიაკი გამოვცალეთ. ოთახი დატრიალდა, სკამზე ჩამომჯდარი ორივე ხელით მაგიდას მოვეჭიდე, თავს საშინელი გუგუნი გაჰქონდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ გარემოს შეგრძნების უნარი ჯერ კიდევ არ დამეკარგა.
„მაშ ეს არის სიმთვრალე?„ – ვეკითხებოდი ჩემს თავს. არტაშამ მესამე ბოთლი გახსნა, დაასხა.
„რათა სვამ, თამაზ, არა გრცხვენია?„ – ჩამძახოდა ვიღაც.
„დალიე, შენთვის ყველაფერი გათავებულია, ცხოვრებამ სიტკბო წაგართვა, შენც მწარე შესვი„ – მექომაგებოდა სხვა, მეორე.
ჭიქას წავეპოტინე, ხელი მომეცარა, სასმისი წაიქცა, მთელ მაგიდაზე გაიშალა დაღვრილი სითხე.
„მიცვალებულებულთა შესანდობარი იყოს, თამაზჯან!„ – მანუგეშა არტაშამ, შემდეგ ბარბაცით წამოდგა, ხელი მომხვია.
„თამაზჯან, ამ ქვეყნად სხვა არაფერი შეგვრჩება, – ღვინო – ეს იცი რა არის? სიციცხლეა, დარდს მოკლავს, მტერთან შეგარიგებს, ძმაბიჭებს შეგაყვარებს, – არტაშამ გრძნობით გადამკოცნა, – შენ ჩემი ძმაკაცი ხარ, თამაზ–ჯან, სიყმე მომიკვდეს თუ ვისმეს დავაჩაგვრინო შენი თავი მე... შენ... ისა... მახალას, ჩემი სიყმე მომიკვდეს რაღა, თუ ალალი ძმასავით არ გაგიტანო!„
დიდხანს მეფიცებოდა ძმობას, რაღაცას მპირდებოდა, მგონი თავის მეგობრების გაცნობას, მაგრამ ვეღარ გავიგე, სასმელმა თავისი გაიტანა.
დილით გვიან გამომეღვიძა. თავი მისკდებოდა, პირში საშინელი მწარე გემო მქონდა. წყურვილისაგან ყელგამშრალი, ჩემს საწოლზე გაუხდელად ვიწექი, ვერაფრით ვერ მოვიგონე ვინ მიმიყვანა საწოლთან, ვინ ან როდის დამაწვინა.

გაჭირვებით წამოვჯექ, ოთახი მოვათვალიერე, მაგიდაზე სანოვაგის ნამუსრავი და ცარიელი ბოთლები ეყარა. იატაკი თეფშისა და ჭიქის ნაფშვნევებით იყო მოფენილი.
არტაშა წასულიყო. ავდექი, წყლიანი ვედრო მოვნახე, ხარბად დავეწაფე, შემდეგ თავზე დავისხი, მრცხვენოდა, თავს ძალა დავატანე, პირი დავიბანე. სარკესთან მისულმა ეკას სურათს შევხედე, ფოფინა თვალები საყვედურით მიცქეროდნენ, ჩემი თავი შემზიზღდა. სურათს თვალი ავარიდე, ქურდივით გავიპარე ოთახიდან. ქუჩაში გასულმა ჯიბეები მოვიჩხრიკე. რამდენიმე მანეთი აღმომაჩნდა, ყვავილები ვიყიდე და სასაფლაოზე წავედი.
კაეშანი მახრჩობდა. ორიოდე ცრემლი ალბათ შეღავათს მომცემდა, მააგრამ ამაოდ–ტირილს ვერ ვახერხებდი.
ეკას საფლავის მახლობლად ვიღაც მოხუცი ქალი მთელი ძალით მოსჭიდებოდა აბორცვილ მიწას, გრძნობით იკრავდა გულში.
„შვილოო... შვილოო... ჩემო გაუხარებელო ბიჭოო„ – მოსთქვამდა საზარლად. მორიდებით ავუარე გვერდი შაოსანს, ეკას საფლავთან მივედი. ფრთხილად დავაწყვე ყვავილები ნაშალ მიწაზე და უხმოდ ჩამოვჯექი იქვე.
„ხმა გამე შვილოო. დამელაპარაკე ჩემო ვაჟკაცოო...„
მოსთქვამდა მოხუცი და ნაზად უსვამდა ხელს საფლავს.
საღამომდე ფეხი არ მომიცვლია სასაფლაოდან. ტირილით დაოსებული ქალი რა ხანია წავიდა, მე კი ვიჯექი და მდუმარებით დავცქეროდი მიწას, რამდენიმე დღის წინ ეკას გულზე რომ დააყარეს.
საფლავის ნახვამ დარდი უფრო გამიცხოველა, მრცხვენოდა ეკასი.
„რად დათვერი, თამაზ, არა გრცხვენია?„ – ამომძახოდა თითქოს საფლავიდან.
„მაპატიე, ეკა, მაპატიე ჩემო პატარავ! ეს პირველი და უკანასკნელი იქნება, მეტს აღარ დავლევ, არასოდეს, არასოდეს არ დავლევ,„ – ვბუტბუტებდი მე.
სასაფლაოდან გვიან ღამით დავბრუნდი, შეუმჩნევლად შევედი ოთახში, არ მინდოდა არტაშას გადავყროდი, შუქიც არ ამინთია. კარები ჩავკეტე და დავწექი. დიდხანს არ მომიხუჭავს თვალი. „რაღაც უნდა მოვიფიქრო„ – ვეუბნებოდი ჩემს თავს, ლუკმაპური ხომ საჭიროა, დეიდასთან დაბრუნებაზე ფიქრიც არ მინდოდა, სხვა კი მე არავინ მყავდა, მარტო ვიყავი ამ ქვეყანაზე. დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე მუშაობა დამეწყო. „უკვე მეთვრამეტე წელიწადში ვარ, თითქმის საშუალო განათლება მაქვს, რაიმე სამუშაოს ვიშოვნი, თავს გავიტან, შემდეგ იქნებ ჩემი ცხოვრებაც მოეწყოს„ – გადავწყვიტე და ოდნავ დავმშვიდდი, ციალა მომაგონდა. „როგორ შეხვდება ამ ამბავს? მას ხომ იმედი აქვს, ატესტატს ავიღებ, იქნებ აღარც კი ინდომოს ჩემთან შეხვედრა, – გამიელვა გულში. გუშინდელი სიმთვრალე გამახსენდა, თავი შემზიზღდა: – ლაჩარო, ლოთო! ღვინოში ეძებ თავდავიწყებას,„ – დავტუქსე ჩემი თავი.
„ისწავლე თამაზ და... მელოდე!„ – მკაფიოდ ჩამესმა ციალას სიტყვები. გული დამწყდა. „რა ცუდად მოეწყო ჩემი ცხოვრება! ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი დავკარგე: მშობლები, პატარა დაიკოც, ციალაც და მერე რატომ? განა მე მსურდა, განა მე ვარ დამნაშავე?„ – ვფიქრობდი და ბოღმამორეულს ძილი არ მეკარებოდა.

განთიადისას ჩავთვლიმე, კაკუნმა გამომაღვიძა, ყური მივგდე–კაკუნი განმეორდა.
„თამაზ„ – მომესმა არტაშას ხმა.
არ მინდოდა მისი ნახვა, ამიტომ თავი მოვიმძინარე. მან ერთი–ორჯერ კიდევ დააკაკუნა და კარებს მოშორდა. ალბათ გადაწყვიტა, სახლში არ ვიყავი. მოგვიანებით წამოვდექი, მაგიდაზე დარჩენილი პური და ყველის ნაჭერი უგემურად გავღეჭე და ოთახიდან მტკიცე გადაწყვეტილებით გავედი. სამუშაო უნდა მეშოვა, დამოუკიდებელი ცხოვრება დამეწყო,როგორ ვცდებოდი თურმე! მთელი სამი კვირა ვიხეტიალე, არაფერი გამომივიდა. სამაგიეროდ ჩემი ღარიბული ნივთები და მამის ნაჩუქარი საათი გაიყიდა. დეიდა რამდენჯერმე მოვიდა, ტირილით მთხოვდა დავბრუნებულიყავი მასთან, ეკას სახელიც დამაფიცა, მაგრამ ცივი უარი ვუთხარი, არ წავყევი. იმ საღამოს მეორედ დავლიე, უგრძნობლად დავთვერი არტაშასთან, საშინლად შემძულდა ადამიანები, მშურდა სხვისი მხიარულება, სიცილი, ბედნიერება, რადგამ მასში წილი აღარ მედო.
ბოლოს ციალას ცივი წერილი მივწერე, სულ რამდენიმე სტრიქონით ვაცნობე: სამუშაოდ რუსეთში მივდივარ და წერილებს ნუ გამომიგზავნი–მეთქი. წერილში მისი ნაჩუქარი იების ფურცლები ჩავდე, უკვე გამხმარი.
ყველაფრიდან განვთავისუფლდი, ყველას ჩამოვშორდი, სამაგიეროდ არტაშას დავუმეგობრდი და თითქმის ყოველ საღამოს ვსვამდი. ეკას სურათი ჩამოვხსენი, აღარ შემეძლო მისი თვალების ცქერა, მრცხვენოდა.
ერთი თვის შემდეგ გასაყიდი თითქმის არაფერი დამრჩა, არტაშა წამომეშველა.
„თამაზჯან – მითხრა მან მორიგი ლოთობისას, – ეს ცხოვრება მორევია თუ ხელი არ გაანძრია კაცმა დაიხრჩობა„
„აკი ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სამუშაო ვერ ვიშოვე„.
„ფუჰ! – ზიზღით გააფურთხა არტაშამ, – სამუშაო... მერე ვისთვის უნდა იმუშაო, ან რამდენი უნდა იშოვო?”
„მაშ რა ვქნა!„ – შევეკითხე გაკვირვებით
„ვა, როგორ რა ქნა, მე აქ არა ვარ? აი, ერთი საქმე აქვთ ჩემს ძმაკაცებს სწორედ შენნაირი ბიჭი უნდათ. თუ არ ითაკილებ, კაი ფულს იშოვნი„ .
„როგორ?„
„ახლა შენ თვითონ ხომ იცი მე როგორ ვცხოვრობ! ამ დღეებში ბიჭებმა კაი რამეები ჩამოიტანეს მოსკოვიდან, გასაღება ჭირდება, შესანახი ადგილიც, შენს ოთახში მაიტანენ, მერე ნელ–ნელა გაყიდიან, შენც დაეხმარები. არხეინად იყავი გულს არ დაგწყვეტენ.„
„სპეკულიანტობა დავიწყო?„
„სპეკულიანტობა რას მიქვია! მამა უცხონდათ,მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ანტიკა რამეები სახლში მოვართვათ და ფულიც არ გადავახდევინოთ?
„მე მაგას ვერ ვიზამ, არტაშ„
„შენი საქმეა, მაშ თუ გინდა სადგურზე გადი, ბარგს წაუღებ ვისმეს, თოკს მე გათხოვებ, ეგ უფრო ჩესტნი სამუშაოა„ – დამცინა არტაშამ.

„განა აუცილებელია ბარგი ვზიდო?„
„მაშ სხვა რა გინდა, ხო ხედავ რო ახლოს არ გიკარებენ„
გველნაკბენივით წამოვიჭერ, მინდოდა ყელში ვცემოდი არტაშას, იქვე მიმეხრჩო. არტაშა გაუნძრევლად იჯდა, დამშვიდებით მიცქეროდა, შემდეგ დინჯად ჩაასხა ღვინო ჭიქებში და წყნარი ხმით, რომელშიაც მუქარაც გამოსჭვივოდა, მომიგო:
„დაჯექ თუ არ გინდა, მე არ გაძალებ, ეგ ღვინო დავლიოთ, მე მხოლოდ სიმართლე გითხარი, კაცი ან ღმერთთან უნდა იყოს, ან ეშმაკთთან, მათ შუა ჯერ არავინ გაჩერებულა, შენც ვერ გაჩერდები.„
უხმოდ დავეშვი სკამზე. შემდეგ ჩაის ჭიქა ავიღე და სულმოუთქმელად დავცალე. არტაშამ ისევ შეავსო. კიდევ რამდენიმე ჭიქა შევსვით. თანდათან გამიარა ბრაზმა, ახლა არტაშას წინადადება ისე ძალიან აღარ მეხამუშებოდა. „მართლაც, ცხოვრება ხომ მინდა, არტაშას ხელის შემყურე როდემდის უნდა ვიყო, რა უფლებით უკადრისობ მისი ხელობის გაზიარებას?„ – ზედიზედ დავუსვი ჩემს თავს კითხვა.
გვიან ღამით დავამთავრეთ სმა, ოთახიდან გასვლისას არტაშამ წყნარად მითხრა: „ხვალ საღამომდე იფიქრე, თუ თავში დაგიჯდეს, მითხარი, მე შენი დახმარება მინდა, თორემ ის ხალხი უშენოდაც იოლად წავა.„
პასუხი არ გამიცია, ოთახში შემოვბრუნდი და ძაღლივით მივეგდე საწოლზე, მეორე დღეს არტაშა ეზოში არ გამოჩენილა, მეც არ გავსულვარ ბინიდან ან სად უნდა წავსულიყავ, ჯიბეში ერთი გროშიც არა მქონდა, გასაყიდიც აღარაფერი იყო.
საღამომდე მშიენრი ვიჯექი ოთახში. დაღამდა, ეზოში გამოვედი, ათრტაშას ოთახში სინათლე ენთო, გულმა იქით გამიწია. საშინლად მინდოდა ღვინის დალევა. დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს, ბოლოს ცდუნებამ დამძლია და არტაშასთან შევედი. ძველებურად შემხვდა, გამიღიმა.
„ჰა დავლიოთ?„ – მკითხა და კარადიდან არყით სავსე ბოთლი გამოიღო.
„დავლიოთ, ჯანი გავარდეს! წყალსაც წაუღია ყველაფერი!„ – ვუპასუხე და ხარბად ავიტაცე ჭიქა...
იმავე ღამით არტაშამ და კიდევ ორმა ახალგაზრდამ, რომელთაგანს ერთს გოგი ერქვა, ხოლო მეორეს ჟორა, ჩემს ოთახში სამი ჩომოდანი მოიტანეს. დილით კი, მე და არტაშა საბურთალოს ბაზარზე გავედით. მთელი საქონელი სამ დღეში გავასაღეთ. არტაშა სწორი აღმოჩნდა, კარგი ფული გავაკეთეთ, თვითოეულს სამასი მანეთი გვერგო, არტაშა რესტორანში დავპატიჟე, გულუხვად გადავიხადე დანახარჯი.
ეს იყო პირველი ნაბიჯი, მას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მესამეს მეათე. ჩემს მდგომარეობას შევეჩვიე, მუდმივი შემოსავალი გამიჩნდა. ხშირად, საღამოობით, მთვრალი ვიყავით თუ ფხიზელი, ჩემს ოთახში ვიკრიბებოდით, კარტს ვთამაშობდით, ვსვამდით. მე ძალიან მალე შევისწავლე ბანქოს თამაში, ვთამაშობდი ოცდაერთს, უფრო ხშირად პოკერს, ვინ იცის, რამდენჯერ დაგვთენებია თავზე. არ მინდოდა დავფიქრებოდი ჩემს მდგომარეობას, ვგრძნობდი, როგორ ჩავიყურყუმელავე წუმპეში, მაგრამ გამოსავლის ძებნა არც მიფიქრია. ახლა ჩემს მეგობრებს არტაშა და მისი ნაცნობი სპეკულიანტები

შეადგენდნენ, გავურბოდი ციალაზე ფიქრს და მისი მოგონებით მოწოლილ ბოღმას ბეჯითად ვახშობდი ღვინოში. ასე გავიდა ივლისი.
აგვისტოს სულის შემხუთავმა სიცხემ ბევრი თბილისელი გარეკა ქალაქიდან. ჩვენ კი ძველებურად ვსაქმიანობდით. ერთ საღამოს ჩვეულებრივად დავჯექით პოკერის სათამაშოდ. ოთხნი ვთამაშობდით, პირველად ბედმა გამიღიმა, თითქმის 1000 მანეთამდე მოვიგე, გოგი და ჟორა აგებდნენ, აზარტში შესულნი ბილწად იგინებოდნენ.
ვსვამდით, განუწყვეტლივ ვეწეოდით და ვთამაშობდით. ნელ–ნელა ფორტუნამ ზურგი მაქცია. გაბრაზებული დიდ თანხებს გავდიოდი, მაგრამ ერთი ხელიც ვერ გავჭერ, ბროლოს, არა მარტო მოგებული, ჩემი ფულიც წავაგე. ბრაზი მომერია, უკანასკნელი 100 მანეთი გავედი და როდესაც ჟორამ ისიც მოიგო, გაბოროტებულმა სავსე ჭიქა გადავკარ და ცარიელი სასმისი კედელს მივაფშვენი.
„პრისტავკა ვითამაშოთ, თამაზ–ჯან„ – გამიღიმა ჟორამ და გვერდზე ჩასმული ერთადერთი ოქროს კბილი გამოაჩინა. შევყოყმანდი, კიდევ რომ წამეგო? ნაღდი ჯანდაბას, მაგრამ პრისტავკა სხვა საქმეა, წაგებულის ვადაზე გადაუხდელობა სასტიკად ისჯება, მევალეს შეეძლო ყურიც კი მოეჭრა წაგებულისათვის.
„ეთამაშე!„ – წამაქეზა არტაშამ.
„წყალსაც წაუღია ყველაფერი, ვითამაშოთ, მაგრამ არა პოკერი, არამედ ზარი,„ – დავთანხმდი მე.
გოგიმ ჯიბიდან კამათლები ამოიღო, მაგიდა გვერდზე გავწიეთ, იატაკზე ჩავიმუხლეთ, პირველმა არტაშამ ჰყარა წააგო. შემდეგ ჩემი ჯერი დადგა, რამდენჯერმე ვყარეთ კამათელი, მოვიგე, კიდევ მოვიგე, შემდეგ ისევ წავაგე. ოთახში კამათლის ჩხრიალი და წვივზე გამეტებით შემოკრული ხელის ტკაცუნი ისმოდა.
გათენებისას დავამთავრეთ თამაში, 500 მანეთი წავაგე, ბრაზი მახრჩობდა არა ფულის წაგებით, არამედ იმის გამო, რომ სრულებით არ მომდიოდა.
„არა უშავს თამაზჯან, – მანუგეშა გოგიამ, – ცხოვრებაც ზარის თამაშია, დღეს წააგებ ხვალ მოიგებ„.
არ მიპასუხნია.
„ზეგ საღამოს ფულს აქ, შენს ოთახში ჩამაბარებ, რვა საათზე მოვალ„ – დინჯად წარმოთქვა ჟორამ და ჭიქები ღვინით შეავსო. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.
„აბა, შემდეგ შეხვედრამდე!„ – დაილოცა არტაშამ, ჭიქა მომიჯახუნა და გადაჰკრა.
როცა უკანასკნელი ბოთლიც გამოვცალეთ, კარგა გათენებული იყო. სამთავე ჩუმად გაიპარნენ, მე გაუხდელი მივწექი საწოლზე, მაგრამ დიდხანს არ დამეძინა. საკვირველი ის იყო, რომ სრულებით არ მომეკიდა ღვინო.
ბოლოს როგორც იქნა ჩამეძინა. მთელი დღე ლოგინში გავატარე. საღამოს არტაშა შემოვიდა, გამაღვიძა.
„ადე, გავიაროთ!„ – მითხრა მან.
„სად უნდა გავიაროთ? – ვიუარე მე, – ერთი გროშიც არა მაქვს, იმ მუდრეგებმა ორას თუმნამდე ნაღდი მომიგეს, ერთ პურს არ გვაჭმევენ?
„არ მინდა სამადლო პურის ჭამა, თავი დამანებე!„

„ვა, თამაზ შენ რა არიფივით იქცევი, თამაში თამაშია, ძმაკაცობა კი ძმაკაცობაა. ჟორამ თითონა თქო საღამოს არტოს ბაღში მოდითო, გაიგე? ჰოდა, ადექი რაღა, რა დროს წოლაა, დაღამდა.„
წამოვდექი. იქვე ოთახში შევისხი სახეზე წყალი, დაჭმუჭნული ტანსაცმელი ვითომ გავისწორე და არტაშას გავყევი.
გვიან ღამემდე ვიქეიფეთ. ჟორას და გოგის ვიღაც ჩემთვის უცნობი ახლდა. ოცდაათი, ოცდათორმეტი წლისა იქნებოდა, უსახელოო პერანგი ეცვა, სულ მთლად სვირინგებულ მკლავებზე ძალოვანი კუნთები უხტოდა, გადამბული შავი,ძალზე სქელი წარბები, ისედაც უსიამოვნო, სახეს, მიუკარებელი კაცის იერს აძლევდა; მოკაუჭებული ცხვირით მტაცებელ ფრინველს ჰგავდა; ცოტას ლაპარაკობდა, გოგია და ჟორა მორიდებით, თითქმის შიშით შესცქეროდნენ და ფინიებივით ელაქუცებოდნენ. არ მომეწონა ჩემი ახალი ნაცნობი მიუხედავად იმისა, რომ მე რატომღაც გამორჩევით, კეთილად მექცეოდა.
„ვინ არის?„ – ვკითხე არტაშას, როცა პრკიდან გამოვედით და სხვას დავშორდით. არტაშა მიხვდა ვისაც ვგულისხმობდი.
– ეგა? რუბენა ჰქვია, ძალიან კარგი ვინმეა, მთელი თბილისის ბიჭები იცნობს, ძველი ბიჭია, დიდი ხანი არ არის, ციხიდან გამოვიდა.„
„ქურდია?„ – ვკითხე, ცოტა არ იყოს შიშით.
„ქურდი კი არა, კაცია! – მიპასუხა არტაშამ და შემდეგ დაუმატა: – ეგ რომ მაგასთან წამოგცდეს, სანთელივთ გაგაქრობს, რით ვერ მიეჩვიე კაცურ ლაპარაკს?„
არტაშას ნათქვამმა ნათლად მიმახვედრა, ვინც იყო რუბენა: „კაცი!„ – ასე ეძახდნენ ჩემი ახალი ნაცნობები ყველა სტაჟიან ქურდს.
„პრავიანია?„ – ვკითხე ისევ.
„მაშ რა! მთელი თბილისის ბიჭები მაგის მზეს ფიცულობენ!„ – მიპასუხა არტაშამ ამაყად.
მეორე დღეს ყველა ნაცნობი სპეკულიანტი მოვინახულე, მაგრამ ფული ვერსად ვერ ვიშოვე, უფრო სწორედ არ მასესხეს, არტაშამაც უარი მითხრა, რაც მქონდა წავაგეო, მიპასუხა.
მთელი დღე რაღაც გამოუცნობი შიში მტანჯავდა – რა იქნება? რას მიზამს ჟორა? ჩემდაუნებურად ვცახცახებდი. გამახსენდა არტაშას ნაამბობი, როგორ საშინლად დაუმახინჯებია ვიღაცას პრისტავკა წაგებული ფულის გადაუხდელობისათვის. საღამოს 8 საათზე ჟორა მოვიდა, თან გოგი და რუბენა მოჰყვნენ. შიშით გამაჟრჟოლა მის დანახვაზე. „ტყულა არ მოუყვანია, რაღაც საშინელებას მიპირებს„ – ვფიქრობდი მე და კბილს კბილზე ვაცემინებდი.
მოსულნი მაგიდასთან დასხდნენ, მხიარული მასლაათი გააბეს. მე საწოლზე ჩამოვჯექი და თუმცა მათ საუბარს ყურს ვუგდებდი, არაფერი მესმოდა, რაღაც საშინელ ველოდი. ჟორა კი ყურადღებასაც არ მაქცევდა, ლაზღანდარობდა და გულიანად ხარხარებდა.
ცოტა ხნის შემდეგ არტაშაც მოვიდა.
ჟორამ დაჯდომაც არ აცალა:

„აბა, არტაშჯან, სწრაფად რამე გააჩინე. რუბენასცოტა პატივი ვცეთ, აჰა ეს ბალის ტყავი დაიჭი„ – მიაჩეჩა ხელში ას მანეთიანი და მსუბუქად უბიძგა კარებისაკენ.
არტაშამ ჩუმად გადმომხედა და მანიშნა გარეთ გავყოლოდი, წელმოწყვეტილივით ძლივს წამოვდექი, ლასლასით გავყევი ეზოში.
„ფული იშოვნე?„ – მკითხა არტაშამ.
„ვითომაც არ იცი. სად უნდა მეშოვნა?„ – შევუღრინე მე,
„მაშ იცი რას გეტყვი, რუბენას თხოვე იქნებ თავდებად დაგიდგეს!„
„რას დამიდგება, რა მისი ამხანგი მე ვარ, რომ თავი შეიწუხოს.„
„შენც ცადე, იქნებ რამე გამოვიდეს, თორემ ფინთად გათავდება საქმე, ჟორამ პრისტავკაზე ხუმრობა არ იცის!„ – მიპასუხა არტაშამ და წავიდა.
დიდხანს ვიდექი გარეთ, ვერ გადამეწყვიტა ოთახში შესვლა, სადაც ჩემი სულთამხთავი მეგულვებოდა. „რაც მოსახდენია მოხდეს!„ – გავიფიქრე ბოლოს და ოთახში შევბრუნდი.
რუბენა, ჟორა და გოგი ოცდაერთს თამაშობდნენ. ბანკი რუბენას ეჭირა, მის წინ ფულის გროვა იყო დახვავებული.
„სტუკია!„ – განაცხადა მან და ფული შეაქუჩა.
„ათასი მანეთი!„ – წამოიძახა ჟორამ და კარტის გამოსარგთმევად ხელი გაუწოდა.
„მოდის„! – უპასუხა რუბენამ.
ჟორამ კარტები შეატყუპა, დიდხანს წვალობდა, ფრთხილად ჩითავდა, სხვები მოლოდინით შეჰყურებდნენ რუბენა ფეხებგაჩაჩხული იჯდა, კბილებით ნახევრად დაღეჟილი პაპიროსი ეჭირა, ხარბად ქაჩავდა და კუშტად შეჰყურებდა პარტნიორს.
ჟორამ როგორც იქნა გაჩითა თავისი კარტები და ფრთხილად დასდო მაგიდაზე, შემდეგ პაპიროსს მოუკიდა და ნერვიულად გააბოლა.
რუბენა მშვიდი მოლოდინით შეჰყურებდა.
„ვდგავარ, შენთვის წადი!„ – ჩუმად წარმოთქვა ჟორამ.
რუბენამ თავისი კარტი გასინჯა, შემდეგ კალოდიდან დაუდევრად ერთბაშად გადმოაგდო ორი კარტი.
„ოცი!„ –განაცხადა დინჯად და აქამდე დაფარული მესამე კარტიც გახსნა.
„უჰ, მაგისი... – შეიგინა ჟორამ და ჯიბიდან ხუთი ცალი 100 მანეთიანი ამოიღო, შემდეგ ჩემსკენ მობრუნდა: – დანარჩენი 500 მანეთი ჩადი!„ – მომიგდო მკვახედ.
გავშრი, ენა ჩამივარდა. ერთბაშად ყელში რაღაცამ წამიჭირა.
„დაყრუვდი?„ – ძაღლივით შემომიღრინა ჟორამ და ჩასისხლიანებული თვალები ბრაზით შემომანათა.
„მე... მე...„ – ავლუღლუღდი ენა ბლუსავით .
„რა თხასავით კიკინებ, ხომ ხედავ წავაგე, გადაიხადე!„
„მე... ფული არა მაქვს, ჟორა, ღმერთმანი ვერ ვიშოვე, ხვალ მოგცემ„ – ამოვღერღე და საცოდავად დავიღრიჯე.
„ვერ იშოვე?„ – გესლიანად ჩაიცინა ჟორამ, – შენ პრისტავკა იცი რა არის? ამ წუთში ფული, თორემ დაუბრიდავი არ გადამირჩები„.
„ჟორა, თუ ძმა ხარ..?” – წამოვიკნავლე მე.

„ახლა 9 საათია, შენ ისედაც ერთი საათი დააგვიანე გადახდა! იქნებ გგონია...„
„პრისტაკა წააგო?„ – შეაწყვეტინა რუბენამ, რომელიც მის წინ დახვავებულ ფულს დინჯად აწყობდა და ჯიბეში იტენიდა.
„პრისტავკა, და ამ ტუტუცს ჰგონია, რომ ვალის ამოსაგებად სასამართლოში ვუჩივლებ. ის კი არ იცის, რომ ორივე თვალებს დავთხრი, ცოცხლად შეგჭამ, შე მუდრეგო, შენა!„ – ძაღლივით შემომყეფა და ფეხზე წამოხტა.
საშინელების მოლოდინში გავინაბე.
„მოიცა ჟორა, – მომესმა უცებ რუბენას ხმა. – ეგ 500 მანეთი მე მოვიგე, თუ ფული არა გაქვს, გადმომაბირე, იქნებ მე არ ვიზარალო„.
„გადმოგაბირო?!„ – გაუკვირდა ჟორას.
„ჰო, როგორმე ამოვიღებ„ – მზაკვრულად ჩაიცინა რუბენამ.
„ყაბულსა ვარ, წაიყვა, თუ გინდ ცოცხლად შეწვი„.
მორიგდნენ. ჩემთვის არ უკითხავთ, თითქოს ნივთი რამე ვიყავი და არა ადამიანი.
“აქეთ მოდექ, თამაზ„ – მიბრძანა რუბენამ. შიშით მიახლოვდი.
“პრისტავკაზე სიცოცხლით აგებენ პასუხს, ან ფული, ან სული! – შენ ეს იცი?„
„არა„
„არა? აბა რა ეშმაკად თამაშობდი?„ – გაუკვირდა რუბენას.
„მე მეგონა ვიშოვიდ, მაგრამ ვერ ვიშოვე„.
„გეგონა! რაებს ჩმახავ! შენ იცი, მე ერთხელ რაზე ვიჯექი? არა? მაშ გეტყვი: ერთხელ მეც ვერ ვიშოვე ვადაზე ფული, ხოდა, რისკზე წავედი, ერთ ბინაში შევეხეტე თუმცა ნაღდში ვიცოდი ამწევდნენ, მაგრამ მაინც შევედი. რადგან პრისტავკის გადაუხდელობისათვის გამომწელავდნენ. ჩავვარდი, ეს ერთადერთი საპატიო მიზეზია პრისტავკის გადაუხდელობისათვის, თანაც კაცური მიზეზი, გაიგე?
ხმას არ ვიღებდი, თავდახრილი ისე ვიდექი, როგორც დამნაშავე მოწაფე მკაცრი მასწავლებლის წინაშე და წნორის ფოთოლივით ვცახცახებდი– ჯერ კიდევ არ ვიცოდი რას მიპირებდა რუბენა.
„აი რა, – დაიწყო ისევ რუბენამ დინჯად, – მე შენ ამჯერად დროს მოგცემ, ფულს კი გაშოვნინებ, ამ დღეებში საქმეებზე წაგიყვან, ვნახოთ რა კაცი დადგები. საქმე ფულში როდია, 500 მანეთი რა დიდი ფულია, გაპატიებდი კიდეც, მაგრამ პრისტავკას პატიება არ შეიძლება, აუცილებლად უნდა გადაიხადო, შენი ფულით, შენი ნაშოვნი ფულით. გაიგე?„
„გავიგე„.
„ჰოდა, ასე, ეს ფული სახარჯოდ დაიჭი, – რუბენამ ორი ცალი ასიანი გამომიწოდა, – ტირილს კი თავი დაანებე, ხვალიდან ჩემთან იმუშავებ, რა შენი სქმეა ბარახლოს გაყიდვა!„
მე ხმას არ ვიღებდი.
„გამომართვი ფული!„ – მკაცრად გაიმეორა რუბენამ.
შიშით აცახცახებულმა უანგარიშოდ ჩამოვართვი ასიანები. რუბენა წამოდგა და მხარზე ხელი დამკრა.

„გამოდგები!„ – გაიცინა მან. შემდეგ ჟორასთან მივიდა, – მორჩა! დღეიდან თამაზი ჩვენი ბიჭია, არაფერი აწყენინო, რაც მოხდა, ისიც დაივიწყე, გაიგე?„
„ვა, როგორ ვერ გავიგე, რუბენჯან! განა მეჯავრება, მაგრამ პრისტავკა პრისტავკაა, შევრიგდით, ჯიგარო!„ – გამიღიმა ჟორამ და ხელი გამომიწოდა.
ჩამოხრჩობილივით გავიკრიჭე და გამოწვდილ ხელს ხელი შევაგებე.
ოთახის კარები სანოვაგით და ბოთლებით დატვირთულმა არტაშამ შემოაღო, ჩემი გაღიმებული სახის დანახვაზე, თვითონაც გაიღიმა, თვალი ჩამიკრა, შემ დრო იხელთა და ჩუმად მითხრა:
„გამოგადგა ჩემი რჩევა? გითავდება?„
„ჰო, მითავდება?” – მივუგე მოკლედ.
„შენ რუბენას მაგრად მოეჭიდე მაგასთან არ დაიკარგები?” – დამარიგა ისევ არტაშამ და ბოთლების გახსნას შეუდგა.
იმ ღამით სამუდამოდ ამეხილა თვალი. ადრევე ვგრძნობდი, ჟორა და გოგი სპეკულიანტები არ იყვნენ, მაგრამ არასოდეს მიკითხია რაიმე, ახლა კი გამოირკვა, ერთიც და მეორეც ბინის ქურდობას ეწეოდნენ; მატარებელზე „მუშაობდნენ„, ეს იყო მათი პროფესია. ამაში შეზარხონებული არტაშაც გამომიტყდა.
„იცი, თამაზჯან, გასაღები რომ გთხოვე, შენს ოთახში ორ კაი ბიჭს ეძინა, ლეგავები ეძებდნენ. სამი დღის შემდეგ აითესნენ უგროზისკი პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს, მააშ! შენ რომ არ ყოფილიყავ, სამალავიც აღარ გვქონდა, მე სახლში მიყვანა ვერ გავბედე,ბებიაჩემი თუმცა გამოყრუებულია, მაგრამ, თვალში ჯერ კიდევ იხედება, შემეშინდა.
„რატომ აქამდე არ მითხარი?„ – შევეკითხე ნაძალადევ სიმშვიდით
„გიჟი ხარ?! – გაკვირდა არტაშას, – ეგ რომ მექნა, გაუსაღებელი არ დავრჩებოდი„.
„ახლა რატომ არ გეშინია?„
„ახლა... გაიცინა, არტაშამ, – შენ რუბენა ვინა გგონია მაგან თუ თქვა, აქედან კამჩატკამდე მოკლამენ კაცს! მოღალატეების დანდობა ჩვენს კარაბადინში არ წერია, მაგის სახელით ციხეში ქურდები სამართალსა ქნამენ, არც კასაცია, არც აპელაცია, მორჩა! იყო კაცი და, აღარ არის კაცი! ასეა„.
რუბენა ყველაზე მეტს სვამდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ სრულებით არ ეკიდებოდა სასმელი. სხვები კი მაგრად დაითვრნენ. მე ღვინოს არ ვეკარებოდი, ყოველივე იმან, რაც ცოტა ხნის წინათ გადამხდა, კრიჭა შემიკრა და შიშით შეპყრობილი ისე ვუცქეროდი რუბენას, როგორც მოჯადოებული ჩიტი გველს.
ღამის დაახლოებით ორ საათზე რუბენა წამოდგა.
„გვიანაა დავიძინოთ!„
ყველანი წამოდგნენ.
„მე თამაზთან ვრჩები!„ – უმისამართოდ თქვა რუბენამ და ჩემს საწოლზე გაიშხლართა. სხვები სწრაფად გაიკრიფენ ოთახებიდან. კარები ჩავკეტე და სკამზე ჩამოვჯექი. ოთახში ერთი საწოლის მეტი არ იდგა, მეორე დიდი ხანია გავყიდე, ლოგინიც არ მქონდა, მაგრამ შიშით ხმას ვერ ვიღებდი, რუბენამ თვალი გაახილა, წამოდგა, საწოლიდან საბანი აიღო მომაწოდა.
„გაშალე და დაწექი!„ – მომიგდო მოკლედ.

ხმა არ ამომიღია, ჩუმად გავშალე იატაკზე თხელი საბანი, ტანსაცმელი გავიხადე, შემდეგ შუქი გამოვრთე და მივწექი, მაგრამ ძილი არ მომკარებია.
„ხვალიდან ჩემთან იმუშავებ„ – გამახსენდა რუბენას დაპირება და ჟრუანტელმა დამიარა. რა მოჰყვება ჩემს „მუშაობას?„ ალბათ ციხე! დამიჭერენ, ციხეში ჩამსვამენ, იქნებ უარესიც მიქნან, იქნებ სჯობია ახლავე გავიქცე? მივალ დეიდასთან, ბოდიშს მოვუხდი, ყველაფერს ვეტყვი, გამიგებს, საიდუმლოს შემინახავს, შემდეგ რაღაც გამოსავალიც გამოჩნდება. ამ აზრმა გამახალისა. ლოგინიდან წამოვდექი და ფრთხილად გადავხედე რუბენას: იგი ყელში ხანჯალგაყრილ ხარივით ხრიალებდა.
„გაიქეც, ვიდრე გვიან არ არის, გაიქეც!„ – ჩამძახოდა იდუმალი ხმა.
„ახლავე, ახლავე!„ – ვუპასუხე მე და ფრთხილად დავიძარ კარებისაკენ, მაგრამ გზა არტაშამ გადამიჭრა. დამცინავად შემომხედა.
„სად მიხვალ თამაზ დეიდასთან უნდა დაიმალო? შენ რუბენა ვინა გგონია? მაგან თუ თქვა, აქედან კამჩატკაზე მოკლამენ კაცსს, სიცოცხლე მოგძულდა?„ გამოვერკვიე, კარებთან საცვლებისამარა ვიდექი და უაზროდ მივჩერებოდი ცარიელ სივრცეს. მოჩვენება გაქრა. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ რუბენას ხრიალი არღვევდა. უეცრად მივხვდი, რომ ვერსადაც ვერ წავიდოდი, საამისოდ არც გამბედაობა მყოფნიდა და არც ნებისყოფა.
რუბენამ დაახველა, გვერდი იცვალა. ციებიანივით ავკანკალდი. „მომკლავს, თუ გაიღვიძა და მიმიხვდა, რომ გაპარვას ვაპირებდი„ – ელვასავით გამირბინა თავში და სწრაფად დავუბრუნდი საწოლს.
მთელი სხეული მიკანკალებდა, საწოლზე წამოვჯექი, მაგიდაზე ხელის ფათურით მოვძებნე ღვინის ბოთლი, მოვიყუდე და ნახევარზე მეტი სულმოუთქმელად დავლიე. მესიამოვნა, კანკალმა გამიარა, ოდნავ დავმშვიდდი კიდეც.
გვიან ჩამეძინა. მესიზმრა, ქობულეთში ვიყავი, ციალა საცურაო კრსტუმში ჩემს გვერდით ქვიშაზე იწვა, მხიარულად ვბაასობდით, ვიცინოდით. მშვიდი ლურჯი ზღვის ტალღები ნაზად გველამუნებოდა ფეხებზე.
„ვიბანაოთ!„ – ვთხოვე ციალას.
სიცილით დამეთანხმა დგაფუნით შევერიეთ რბილ ტალღებს.
„დამიჭირე!„ – ცელქად წამოიძახა ციალამ და მხარულით დაწინაურდა. მკლავი გავმართე, დავედევნე, ციალამ გამასწრო. შემრცხვა, სწრაფად მოვუსვი მკლავი, მაგრამ მაინც ვერ დავეწიე. დიდხანს მივდევდი... უეცრად ციალა შესდგა, ნაპირისაკენ გაიხედა, იმავე წამს მკლავში ჩავავლე ხელი.
„ხომ დაგიჭირე!„ – შევძახე გახარებულმა.
ციალას არ უპასუხნია ისევ ნაპირისაკენ იხედებოდა. უნებურად მეც ნაპირს ვესროლე მზერა, საკმაოდ შორს გაგვეცურა, ნაპირზე მყოფნი ქონდრის კაცებივით მოჩანდნენ.
„დავბრუნდეთ, თამაზ, მეშინია„ – შემომჩივლა ციალამ.
„რა მოგივიდა, ციალა, დაიღალე?„ – ვკითხე მზრუნველობით.
„მეშინია, თამაზ...„

„რა სისულელეა, რისა გეშინია?„ – შევცინე.
უეცრად ჩამობნელდა, ზღვა გაშავდა და აქოჩრილი ტალღები ბოროტი ღმუილით შეეხეთქნენ ერთმანეთს. ნაპირი თვალიდან დამეკარგა, ვერაფერს ვხედავდი, გარდა ციალასი, რომელიც აზვირთებულ ტალღას აყოლილი მთელი სისწრაფით უსვამდა მკლავებს.
„ყოჩაღად, თამაზ!„ – მესმოდა მისი ხმა.
უეცრად ტალღამ დამკრა და რამდენჯერმე დამატრიალა ადგილზე. ორიენტაცია დავკარგე, უკვე აღარ ვიცოდი საით იყო ნაპირი, ტალღები ზღვის ფსკერისაკენ მეზიდებოდნენ. ციალა გაქრა, თვალთაგან დამეკარგა.
საშინელებამ შემიპყრო.
„ციალა, ციალა!„ – ვიბღავლე უეცრად.
„აქეთ, თამაზ, აქეთ!„ – მომესმა ციალას ძახილი და ძალა შემემატა.
მოვარდნილმა უზარმაზარმა ტალღამ თვალუწდენელ სიმაღლეზე ამწია, ტალღის ქედზე მოქცეულმა ციალა დავინახე, ნაპირს მიეღწია, ხელს მიქნევდა.
„ფრთხილად, თამაზ, ფრთხილად! ტალღას გამოჰყევ, არ დაიმსხვრე!„ – მომესმა ისევ მის ხმა და ნაპირიც განათდა.
გაბედულად მოვუსვი მკლავები, ტალღა გაგორობდა. კიდეუვ უფრო მაღლა აიწია და საშინელი ღრიალით მიასკდა ნაპირს. ფეხქვეშ ქვიშა ვიგრძენი, გახარებული გავექანე ციალასაკენ, მივუახლოვდი კიდევ სამი ნაბიჯი... ორი, ერთი და ციალათან ვიქნები.
„გაფრთხილდი, თამაზ!„ – მომესმა სასოწარკვეთილი კივილი და იმავე წამს ნაპირზე მისული უეცრად მოვარდნილმა ბობოქარმა ტალღამ ბუმბულივით ამიტაცა, უკანვე გამაქანა.
„ვერ წახვალ, აქ უნდა დარჩე!„ – ჩამესმა ყურში ბოროტი ხითხითი და ხახადაღრენილმა ურჩხულმა ბასრი კბილები ჩამასო, სიღრმეში წამათრია.
„მიშველეთ, მიშველეთ!„ – ავბღავლდი საშინელებით შეპყრობილი და გავიბრძოლე, ურჩხულმა კვლავ ადამიანივით ჩაიხითხითა და დინჯად გაცურდა ღია ზღვისაკენ.
უცნაური შარავანდედით მოცული ციალა, შორეულ ნაპირზე მდგარი, ხელს მიქნევდა, რაღაცას მეძახდა, ურჩხული სწრაფად მიცურავდა, თანდათან ვშორდებოდი ნაპირს, ციალა ნათელ წერტილივით ჩანდა ჰორიზონტზე.
უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, საშინელი ურჩხულს თავისუფალი ხელით ყელში ვეცი.
„მიშველეთ!„ – ვიბღავლე არაადმიანური ხმით.
„რა ეშმაკი გაბღავლებს!„ – შემომიტია ურჩხულმა ნაცნობი ხმით.
უეცრად თვალი გავახილე, იატაკზე ვიწექი, თავს რუბენა დამდგომოდა.
„რა ეშმაკი გაბღავლებს– მეთქი!„ – მეკითხებოდა ის გულმოსულად.
გამოვერკვიე, გული საშინლად მიცემდა. ოფლში ვცურავდი, უაზროდ მივჩერებოდი ჩემს ლოგინთან დახრილ რუბენას, რომელიც საოცრად გავდა სიზმარში ნახულ საზარელ ურჩხულს.

„ადე! რამდენი ხანია გათენდა, აგრე საშინლად რომ ღრიალებდი, ჟორა ხომ არ ჩაგყოლია სიზმარში?„ – ბოროტად გაიცინა რუბენამ .
„სიზმარი ვნახე, საშინელი სიზმარი, მახრჩობდნენ!„ – მივუგე უანგარიშოდ და საწოლზე წამოვჯექი.
„ადე, ადე! სიზმარში დახრჩობა არაფერია, ცხადში არ გაგგუდოს ვინმემ„ – მიპასუხა აგდებულად რუბენამ.
ძლივს ავითრიე დაჟეჟილი ტანი იატაკიდან, საბანი ავიღე და საწოლზე დავაგდე. რუბენა მაგიდასთან ჩამოჯდა, შეწყვეტილ საუზმეს დაუბრუნდა, უხმოდ ილუკმებოდა, ვახშმის ნარჩენს შეექცეოდა და პირდაპირ ბოთლიდან სვამდა ღვინოს.
ტახტზე მორჩილად ჩამომჯდარი, მოთმინებით ველოდი როდის გაათავებდა საუზმეს რუბენა, მაგრამ იგი არ ჩქარობდა. დინჯად ისაუზმა. დარჩენილი ღვინო მთლიანად შესვა, შემდეგ პაპიროსი მოუკიდა, ფანჯარათან ჩემგან ზურგშექცევით დადგა და ალაპარაკდა:
„მე ახლა წავალ, შენ სახლიდან ფეხი არსად გაადგა, ამ საღამოს ან ხვალ ჩემი გამოგზავნილი კაცი მოვა, საქმეზე წაგიყვანს. უსიტყვოდ შეასრულე რაც გიბრძანოს, თორემ... – რუბენა უეცრად მობრუნდა, ბოროტი მზერა მესროლა, – გაიგე?„
„გავიგე„ – ამოვიკნავლე.
მისი სახე და საშინელი, ერთმანეთზე გადამბული სქელი წარბები მაშინებდა. მინდოდა თვალი ამერიდებია, არ შემეხედა, მაგრამ ვერ ვახერხებდი, ისევ იმ ჩიტად გადავიქეც, ხის ტოტზე მჯდომი, მოჯადოვებული, თვითონვე რომ უვარდება პირში მომჯადოებელ გველს.
რუბენა ერთხანს მიყურებდა, თვალით მბურღავდა, შემდეგ ისევ ფანჯრისაკენ შებრუნდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობსო, განაგრძო: „საქმეს გააკეთებ... შენს მუშაობაზე პასუხს მე ვაგებ, არაფერი მიჰქარო, თორემ კატასავით დაგახრჩობ. მე ხუმრობა არ ვიცი! ამ პირველი საქმით გადაწყდება შენი ბედი, ეს კარგად დაიხსომე! ენას კბილი დააჭირე, რახან ჩვენი გახდი, ესეც იცოდე, მოლაყბეს დანის წვერი არ აცდება! ჩემი სახელი სხვებისათვის დაივიწყე, თუ ვინმესთან დაგცდენია, ოთხში ამოგიღებ! არც გაქცევა იფიქრო, საფლავშიაც ვერ დამემალებ! – დაამათვრა მან მუქარით, შემდეგ ქუდი აიღო, – წავედი!„ – მომიგდო ძაღლივით და ისევ გავიდა ოთახიდან, რომ ჩემთვის ზედაც არ შეუხედავს.
მთელი დღე ბინიდან ფეხი არ გამომიდგამს, შიშით დაბეჩავებული რუბენას მიერ გამოგზავნილ კაცს ველოდებოდი, ყოველ მცირე ხმაურზე გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა და შიშისაგან გაფითრებული თვალებით კარებს მივჩერებოდი.
დაღამდა. „ალბათ ღამე მოვლენ„ – გავიფიქრე. გახდა ღამის პირველი, შემდეგ ორი საათი – არავინ ჩანდა. – იქნებ არავინ მოვიდეს, შეიძლება რუბენა მეხუმრა, შემაშინა„ – გავიფიქრე იმედიანად.

როგორც იქნა გათენდა. ოდნავ იმედმოცემული ოთახიდან გამოვედი, პური და საუზმე ვიყიდე და უკანვე დავბრუნდი. იმ ღამემაც მშვიდობიანად ჩაიარა, მე ოთახიდან არ გავსულვარ. არტაშაც სადღაც გადაიკარგა.
იმედი მომეცა: „იქნებ რუბენა კიდკვაც დაიჭირეს ჩემთვის აღარ სცალია„ – გამიელვა გონებაში. ამ აზრმა გამახალისა, თითქმის დავაჯერე ჩემი თავი, რომ რუბენა აღარ მოვიდოდა, არც ვინმეს გამოგზავნიდა. „მადლობა ღმერთს, გადავრჩი!„ – ვიმეორებდი სიხარულით, მაგრამ ოთახიდან მაინც ვერ გავდიოდი. ღამის პირველ საათწე თითქმის მთლიანად დამშვიდებული დავწექი. თუ ამაღამაც არავინ მოვიდა, ხვალ გათენდება თუ არა, დეიდა თამართან მივალ, ყველაფერს ვეტყვი, არაფერს დავუმალავ, ციალასაც მივწერ, შეიძლება ჩამოვიდეს კიდეც...
ტკბილ ფიქრებში გართულს ტკბილად ჩამეძინა... არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა, უეცრად თვალი გავახილე, კარებზე ფრთხილი კაკუნი მომესმა. გავინაბე, კაკუნი განმეორდა.
„ვინ არის?„ – შევეხმიანე ფრთხილად.
„გააღე!„ – მომესმა უცნობი ხმა.
წელი მომწყდა, სხეული მომიდუნდა და საწოლიდან წამოდგომა ვეღარ მოვახერხე.
„გააღებ თუ არა?„ – იკითხა კარებს უკან ჩუმმა ხრინწიანმა ხმამ და უწმაწურად შეიგინა ავდექი, ძლივს მივსლასლასდი კარებთან და გასაღები გადავატრიალე ოთახში ჯუჯა ტანის ახალგაზრდა შემოვიდა, წვრილი ბოროტი თვალები ჰქონდა.
„შენ რა დაყრუვდი?„ – ჩაიხრიალა მან.
„მეძინა„ – მივუგე და ავკანკალდი.
„ე, მანდ სულ არ დაგაძინო, მუდრეგო, ვირიშვილო!„ – ძაღლივით შემომყეფა, – ერთი საათია ვაკაკუნებ!„
ხმა არ ამომიღია. შუა ოთახში გაჩერებული, საცოდავად შევყურებდი ჩემს სულთამხუთავს.
„რას უყურებ, ჩაიცვი!” – შემომიღრინა მან.
უსიტყვოდ დავემორჩილე, ვიდრე აკანკალებული ხელებით ფეხსაცმლის თასმებს ვიკრავდი, ჯუჯა უცნობი მაგიდასთან იდგა და თვალს არ მაშორებდა. როგორც იქნა მოვრჩი ჩაცმას და უსიტყვოდ მივაჩერდი.
„ახლა მისმინე! – დაიწყო მან, – რუბენამ გამომაგზავნა, შენც იცი რაზე – საქმეზე სამნი წავალთ, არაფერი აურიო, თორემ იქვე დაგაკლავ! – ჯუჯა ცოტა ხნით შეჩერდა და შემდეგ უფრო რბილად დაუმატა: საშიში არაფერია, სახლში არავინაა, საქმეს ადვილად გავაკეთებთ, შემდეგ ჩემგან თავისუფალი იქნები.„
„მე რომ ქურდობა არ ვიცი?„
„ისწავლი! – გაიცინა ჯუჯამ, – რუბენგამ ბევრი გაზარდა. შენც გაიზრდები. აბა წავიდეთ!„.
ოთახიდან გამოვედით. ბევრი არ გვივლია, ხუთიოდე კვარტალი გავიარეთ და რომელიღაც მიყრუებულ ეზოში შევედით ჯუჯამ ფრთხილად დააკაკუნა სარდაფის განათებულ ფანჯარაზე, მაშინვე გაგვიღეს კარი. ორთავენი შევედით,

მაგიდასთან გამხდარი, ქერათმიანი ყმაწვილ იჯდა, ორიოდე წლით თუ იქნებოდა ჩემზე უფროსი,მხიარულად შემოგვცინა „მოხვედით?„ – შეგვეკითხა ღიმილით.
„მოვედით!„ – უპასუხა ჯუჯამ კუშტად.
„აბა, აბა მხიარულად! რას იღუშები!„ – გაეპასუხა ქერა, შემდეგ ჩემთან მოვიდა, მეგობრულად დამარტყა მხარზე ხელი. „გეშინია? – მკითხა სიცილით და პასუხისათვის არც დაუცდია ისე განაგრძო: – არა უშავს პირველად ყველას ეშინია, მერე ეჩვევიან, შენც შეეჩვევი„.
არ მიპასუხნია.
ახლაც არ ვიცი ვისი ბინა გავქურდეთ იმ ღამეს. ქერამ შუშა ამოსჭრა, თავისუფლად გავაღეთ ფანჯარა და შიგნით გადავედით. შემდეგ ვერაფრით ვერ მოვიგონე რას ვაკეთებდით ბინაში, რამდენ ხანს დავრჩით იქ, როდის წამოვედით. მხოლოდ ის დამამახსოვრდა, როდესაც ნაქურდალით დატვირთულებმა რომელიღაც ბნელ ქუჩაში შევუხვიეთ, მიუხედავად იმისა, რომ სულისშემხუთველი სიცხე იყო, მციოდა, კბილს კბილზე მაცემინებდა და რატომღაც საშინლად მერეოდა გული. შევერიეთ თუ არა სიბნელეს, ჩემს გვერდით მომავალმა ქერამ ჩომოდანი დადგა, ხელი დამავლო და რამდენჯერმე ღონივრად გამაწნა სილა. უეცრად გამოვფხიზლდი, ავენთე, მეც გავაგდე ხელიდან ჩომოდანი და სამაგიეროს მიზღვევა დავაპირე, ქერამ ჩუმათ ჩაიცინა.
„– ნუ ფაფხურობ, ეს გამოსაფხიზლებლად გითავაზე და არა საჩხუბრად„ – ჩაიჩურჩულა მან, შემდეგ ჩომოდანი აიღო და გზას ისე გაუდგა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს. მეც უკან გავყევი.
გათენებისას რომელიღაც ბინაში მივედით, რუბენაც იქ დაგვხვდა. გამომცდელად ამათვალიერა, მზერა გავუმართე. მიღებული სილების, თუ სხვა მიზეზით, უკვე აღარ ვკანკალებდი, მაგრამ უფრო საოცარი ის იყო, რომ სრულიადაც აღარ ვგრძნობდი იმ შიშს, რომელსაც ადრე რუბენას დანახვისას განვიცდიდი.
„ყველაფერი რიგზეა?„ – კითხა რუბენამ ქერას.
„ყველაფერი, რუბენჯან! თამაზმა ხოშიანად იმუშავა, ვერც კი იტყოდი თუ პირველად იყმო საქმეზე„.
„აკი ვთქვი კაცი დადგება–მეთქი!„ – ღიმილით შემომხედა რუბენამ.
ქერამ სიცილი დაიწყო.
„დადგება და აგრე? ორიოდე სილა დასჭირდა, ეგ იყო და ეგ, გათავდა მაგის ნათლობა„.
„გითაქა?„ – შემეკითხა რუბენა.
„მითაქა!„ – ვუპასუხე მე.
„ვა, ეგ არის, მე კინაღამ რწყევით მოვკვდი პირველ საქმეზე–გადაიხარხარა ქერამ, შემდეგ რუბენას მიუბრუნდა, – რაც მე იმ ღამეს მჟეჟეთ, ერთი კვირა მეკიდა ფარნები, თამაზი კი იოლად გამოვიდა გაკვეთილს, ორი სილა რა საანგარიშოა, მე უფრო ლმობიერი ოსტატი ვარ, ჰა, რას იტყვი, ჯიგარო?„ – შემომცინა ქერამ და მეგობრულად დამკრა ხელი.
გავიღიმე.

„კარგია, მორჩით, საქმეს მივხედოთ! – თქვა რუბენამ. შემდეგ ოთახის კუთხეში ჩუმად მჯდარ ჯუჯას მიუბრუნდა – პატაშ, დილით არტაშას იპოვნი, საქონელს გადასცემ და გააფრთხილებ თბილისში არ დაალეხოს, სხვაგან გაგზავნოს სადმე, ეხლა კი დავიძინოთ. ორიოდე დღე დავისვენოთ, უგროზისკმა არსად ჩაგვავლოს. იმ ღამეს სამუდამოდ ჩამომართვეს ჩემი სახელი და „ლამაზო„ შემარქვეს. ამ სახელით შევრჩი თბილისის ქურდებს.
რუბენა უკვე მგლურად აღარ მიცქეროდა, მარიგებდა და მიხსნიდა როგორ უნდა მოვქცეულიყავ, რომ ქურდებში პატივისცემა დამემსახურებინა შემდეგში, როდესაც თბილისიდან გადავიკარგე, ზუსტად გამოვიყენე რუბენას გაკვეთილები. ქურდები მორიდებით მექცეოდნენ, ჩემს სიტყვას ანგარიშს უწევდნენ, მემორჩილებოდნენ.
ორი დღე რუბენასთან გავატარე. ბინა ვიღაც აისორს ეკუთვნოდა, ის გვემსახურებოდა,როგორც ბატონებს. რუბენა ფულს უხვად აძლევდა, დღე და ღამე ვლოთობდით, ვთამაშობდით, რუბენა აშკარად მმფარველობდა, მასწავლიდა, მშვიდად მეთამაშა, როდის რა ფოსტას გავსულიყავ. მესამე დღეს ჟორა მოვიდა, საგანაგებოდ ვეთამაშე, უკანასკნელი შარვალიც მოვუგე და სიამოვნებით ვუცქეროდი ტრუსების ამარა მჯდარს. რუბენა ხარხარებდა.
„მა რა გეგონა, ოხერ! სულ შეგირდად კი არ დარჩებოდა, შენ ეგ ვინა გგონია, ტყუილად კი არ შევარქვით „ლამაზო„.
ჟორა ბრაზისაგან იხერხებოდა, მაგრამ ვერაფერს უბედავდა მოხარხარე რუბენას. იქვე ჩავიცვი ჟორას კოსტუმი და ფეხსაცმელები, მოგებული ფული ჯიბეში ჩავიტენე ერთი კვირის წინ გადატანილი შიშის სამაგიეროს მიზღვა სატანურ სიამოვნებას მგვრიდა. პრისტავკაზე თამაში შევთავაზე, უარი თქვა.
რუბენა სიცილით იგუდებოდა.
„ჰო, შეგაშინა? ეთამაშე, რო ერთი ინტერესნად დაგიხაზოს სახე, მა რა გეგონა შეჭმას რო უპირებდი, მუდრეგნახევარო!„
ჟორა ხმას არ იღებდა.
მე სრულიადაც აღარ მეშინოდა მისი. უკვე ვიცოდი,ვერც ფულს წამართმევდა, ვერც რაიმეს გამიბედავდა, მე ახლა ქურდი ვიყავი და ქურდების კანონი მიცავდა, დაუწერავი კანონი, სასტიკი და დაუზოგავი...
მესამე დღეს ჩემს ოთახში დავბრუნდი.
არტაშა შემომეგება, მაშინვე შემამჩნია ახალი ტანსაცმელი.
„სად იყავი ჯიგარო? მომილოცავს ახალი კოსტუმი! მშვიდობაში!„
„სხვაგან„! – ვუპასუხე მოკლედ.
„დეიდაშენთან არ შეგივლია?„
„არა, რაში გაგახსენდა დეიდაჩემი?„ – შევეკითხე ცივად.
„ვა, რასა ბრაზობ, აქ ერთი შიშაქი ვინმე მოვიდა, გიკითხა, დღესაც იყო, ასე თქო, დეიდაშვილი ვარო, იმიტომ გკითხე.„
„რეებსა მიჰქარავ, დეიდაჩემს შვილი არა ჰყავს„
„მაშ ვინ იყო?„ – გაუკვირდა არტაშას.
„მაიმუნობას თავი დაანებე, მე არავითარი დეიდაშვილი არა მყავს.„

„ჩემმა მზემ! სიყმე მოკვდეს თუ ტყუილს ვთქომდე! ვიღაც გოგო იყო. გეუბნები, ორჯერ მოვიდა თითონა თქო დეიდაშვილი ვარო, დედამ გამომაგზავნაო„.
„არა ტყუი?„
„ვა, რა სარგებელი მაქვს!„
დავრწმუნდი, რომ არტაშა არ ტყუოდა, მაგრამ ვინ იყო. ალბათ დეიდამ თვითონ ვერ გაბედა მოსვლა და ვინმე მეზობლის გოგონა გამოაგზავნა, ვიფიქრე და ოთახში შევედი. საშინელი მძიმე სუნი ტყვიასავით მეძგერა, ფანჯარა გავაღე, არეული საწოლი გავასწორე. ნაგვით ავსებული რამდენიმე დღის მიულაგებელი ოთახი ბუნაგს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს. ფიჯაკი გაფიხადე, დაუდევრად მივაკიდე სკამზე და საწოლზე მივეგდე. დიდხანს ვიწექი, ფიქრს გავურბოდი ან რაღა მქონდა საფიქრალი, რუბიკონი გადალახული იყო, მე ახლა რუბენას შეგირდი ვიყავ და გულმოდგინედ ვცდილობდი მისთვის მიმებაძა – „დავაჟკაცებულიყავ„
„კაცი„ – წარმოვსთქვი ხმამაღლა და გამეცინა.
კარებზე ფრთხილად დააკაკუნეს.
„არტაშაა, – გამიელვა თავში, – შემოდი!„ – გავძახე მკვახედ, კარები გაიღო, ზურგშექცევით ვიწექი, შემოსული არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, რომ კარებთან გაჩერდა და აღარ იძვროდა. ადგომა არც მიფიქრია. არტაშა მხოლოდ ნაქურდალის გაყიდვაზე მუშაობდა და მე მორიდებით უნდა მომპყრობოდა, ასე მასწავლა რუბენამ.
„რას უდგახარ , აქეთ! მოდექ!” – გავეხმიანე შემოსულს მისკენ გაუხედავად.
„თამაზ„!
ნაცნობმა ხმამ ელდენივით გამიარა ტანში და საწოლიდან წამომაგდო. კარებისაკენ მივბრუნდი, უეცრად თავბრუ დამესხა, ყელი გამიშრა, უაზროდ გავიწვდინე ხელები, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოვახერხე. კარებში ციალა იდგა და ცრემლჩამდგარი თვალებით ღიმილით მიცქეროდა.
„ციალა, ძვირფასო!„ – ვიყვირე უეცრად, საწოლიდან ვეფხვივით ვისკუპე და ანგარიშმიუცემად გულში ჩავიკარ.
იგი ოდნავ გამიძალიანდა, ჩემს გაშმაგებულ ალერსს სახე მოარიდა, თავი მკერდზე მომადო და აქვითინდა.
„ციალა, ჩემო ციალა!„ – ვლუღლუღებდი და ერთი სიტყვაც ვერ მეპოვნა მის დასამშვიდებლად.
ასე გაგრძელდა რამოდენიმე წამს. პირველად ციალა გამოერკვა, ჩემი მკლავებიდან თავი მტკიცე მოძრაობით გაინთავისუფლა და უსიტყვოდ ჩამოჯდა მაგიდასთან, ცდტლობდა გაეღიმა, არ ეტირა, მაგრამ ცრემლები თავისთავად დიოდა მის დიდრონ თაფლისფერ თვალებს.
ამ სამი თვის განმავლობაში ციალა შესამჩნევად შეცვლილიყო, მკერდი დასრულებოდა, მზე მოკიდებოდა. კიდევ უფრო გამშვენიერებულიყო. ორთავე ვდუმდით, არ ვიცოდით როგორ დაგვეწყო საუბარი და ერთმანეთს გაბუტული ბავშვებივით შევცქეროდით, მყუდროებას მხოლოდ ჩვენი სუნთქვა

არღვევდა. ბოლოს ისევ ციალამ მოახერხა თავის დაოკება, ცრემლი შეიშრო, თბილად შემომხედა და ფართოდ გამიღიმა.
„როგორ ცხოვრობ, თამაზ როგორა ხარ?„
„ვარსებობ, ციალა, ჯერ არ მოვმკვდარვარ„ – გავიხუმრე უკბილოდ და საცოდავად გავიღიმე.
„გამხდარხარ, თამაზ, თვალები შეგშუპებია, წარბებ შუა ნაოჭები გაგჩენია, – თანაგრძნობით მითხრა ციალამ და დაუმატა: – ბევრს მუშაობ?„
“ჰო, არა, არც მაინცდამაინც„ – ვუპასუხე არეულად
ციალამ გამომცდელად შემომხედა, თვალი ვერ გავუსწორე, მზერა, ავარიდე.
„შენ რაღაცას მიმალავ, თამაზ„ – მისაყვედურა.
„არა, ციალა, რას უნდა გიმალავდე, მე უბრალოდ დავიღალე, ძალიან დავიტანჯე„.
„დაიტანჯე? მერე ამიტომ შესწყვიტე წერილების წერა?„
მე ვდუმდი.
„არ ვიცი ციალა, რა გიპასუხო, ეს ისე, რაღაც თავისთავად, ჩემდაუნებურად მოხდა, – მივუგე თავაუღებლივ. შემდეგ გამბედაობა მოვიკრიბე და დავამატე: – მართლაც რუსეთში ვაპირებდი წასვლას, ჯერ არ გადამიფიქრებია, ალბათ წავალ„.
„შენ სტყუი, თამაზ! მე ყველაფერი ვიცი!„
თავზარი დამეცა. ციალამ ყველაფერი იცის, გამიელვა თავში და მხოლოდ ახლა გამახსენდა რუბენა, ბინის გაქურდვა, და ის რომ მე სიკვდილ–სიციცხლით სხვა ხალხთან, ვიყავი დაკაშირებული, აქამდე თავს ვიტყუებდი, ახლა კი ნათელი გახდა, ციალა ჩემთვის სამუდამოდ იყო დაკარგული! ჩემს არჩეულ გზაზე ის არ გამომყვებოდა, არც მე ვისურვებდი შეუძლებელს. „რა უფლება მაქვსმე, ქურდს და ბოროტმოქმედს, იმედი ვიქონიო სათნო და მშვენიერი ქალიშვილის სიყვარულისა„ – გავიფიქრე მწარედ და კიდევ უფრო დავხარე თავი.
„რამ დაგამუნჯა, თამაზ!„ – მომესმა ფიქრებში წასულს.
„ცხოვრებამ, ცხოვრებამ დამამუნჯა!„ – ვუპასუხე მწარედ. მერე ჯიბიდან პაპიროსი ამოვიღე, მოვუკიდე და ნერვიულად გავაბოლე.
„შენ, შენ ეწევი, თამაზ?„
ციალას შევხედე, მას თვალები გაფართოებოდა და შიშით მიცქეროდა.
„ჰო, ციალა, აგერ სამი თვეა ვეწევი„ – ვუპასუხე და ცალყბად გავიღიმე.
„მაშ ასე, ეწევი, სვამ! – ციალამ მაგიდაზე მდგარ და ოთახის კუთხეში მიყრილ ცარიელ ბოთლებს გადახედა, – ეს იყო შენი დაპირება?„
მე ისევ დუმილი ვარჩიე.
„თამაზ, მე შენ ვაჟკაცი მეგონე, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა, განა მარტო შენს თავზე დატრიალდა ქარიშხალი? არც მე გაუნებივრებივარ ცხოვრებას, მაგრამ სულით არ დავცემულვარ, შენ კი რა მოგდის, თამაზ! პაპიროსი, ღვინო, ლოთობა... ამისათვის გამოექეც დეიდა თამარს? ამისათვის გააგდე სახლიდან? – ციალას ხმას სიმკაცრე დაეტყო.

„მე ყველაფერი გავაკეთე, ციალა, რომ ცხოვრებას არ გავეთელე, მაგრამ არფერი გამომივიდა, დავმარცხდი!„ – ჩავილუღლუღე ჩუმად.
დამარცხდი? შენ ბრძოლაც კი არ გიცდია, სურვილიც არ აღგიძვრია ბრძოლის, უბრალოდ მოეშვი, გზას აცდი და არა დამარცხდი! – ხმას აუწია ციალამ და ფეხზე წამოდგა, – შენ, შენ ფეხქვეშ გათელე ჩვენი სიყვარული, ჩვენი დიდი გრძნობა. ცხოვრებას, ბედნიერებისათვის ბრძოლას ღვინო და თამბაქო არჩიე. ასეთი სულმოკლე ხარ?„
„ციალა!„ – ავუწიე მეც ხმას, – მე სულმოკლე არა ვარ. არც მშიშარა. ღვინო და თამბაქო მე არ ამირჩევია, თვით ცხოვრებამ მომიწოდა ერთიც და მეორეც. შენ არ იცი როგორ ვეწამე, რა გადავიტანე ამ ექვს თვეში, რამდენი ვიბრძოლე და როგორ დავმარცხდი! ნუ მისაყვედურებ, ჩემს წყლულები არ აკლია, ახალი ჭრილობა საჭირო აღარ არის, ზედმეტია!„
დუმილი ჩამოვარდა, ციალა შიშჩამდგარი თვალებით გაკვირვებით შემომცქეროდა, მე ბოლთას ვცემდი, გაშმაგებით ვეწეოდი პაპიროსს და ციალას მზერას თვალს ვარიდებდი.
წუთები მძიმედ მიდიოდა.
„თამაზ!„ – დაარღვია ციალამ დუმილი, – შენ ახლავე წამოხვალ დეიდა თამართან და არასოდეს, გესმის, არასოდეს არ დაბრუნდები ამ დაწყევლილ ოთახში, აქ ცხოვრება შენ საშინელებას მოგიტანს, დაიღუპები!„
„გვიანღაა, ციალა!„
„თამაზ! – შეჰყვირა ციალამ, – გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, ეკას სახელს, ახლავე წამოდი!„
„გვიანღაა–მეთქი, ციალა, მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი!„
„რას ამბობ თამაზ!„ – თითქმის იკივლა ციალამ.
„შენ არ იცი, ციალა, ნურც მკითხავ, ამით არაფერი შეიცვლება.„
ციალა უხმოდ ატირდა, ღაპაღუპით დაედინა მსხვილი ცრემლები.
„აღარ გიყვარვარ?„ – შემეკითხა ტირილით.
„მიყვარხარ, ციალა, სიცოცხლეს მირჩევნიხარ! ერთი შენი ცრემლისთვის უყოყმანოდ გავწირავ თავს, წვეთწვეთობით მივცემ სისხლს, მაგრამ მე... მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, ჩემი სიყვარული მხოლოდ უბედურებას, საშინელ სირცხვილს მოგიტანს. შენ არ იცი რა ძნელია ჩემთვის შენი დათმობა. ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი სხივის ჩაქრობა. მხოლოდ შენი სიყვარული მინათებდა გზას, ბედს ისიც შეშურდა. ჩემი გული დაცარიელდა, იქ სიბნელემ და სიცივემ დაისადგურა, როგორც კუბოში„...
„საშინელებას ლაპარაკობ, თამაზ!„
„შეიძლება, მაგრამ ესსაშინელება სინამდვილეა, სრული სიმართლეა.„
„რა გადაგიწყვეტია, თამაზ?„
„მე არაფერი, სხვებმა გადაწყვიტეს, ჩემი აზრი არც კი უკითხავთ.„
„თამაზ!!!„
„კმარა, ციალა, ნუღარ მტანჯავ, ომ ხედავ, რომ ამით არაფერი შეიცვლება, თამაზი მოკვდა, უკვე კარგა ხანია მოკვდა!„..

„მითხარი მაინც რა მოგივიდა, რა შეგემთხვა?„
„ციალა, მე ბევრი ღამე გავათენე შენზე ფიქრით, შენ ჩემი პირველი და უკანასკნკლი სიყვარული ხარ. ჩემს თავსაც არ ვუტყდებოდი, რომ ოდისმე შევურიგდებოდი შენს დაკარგვას. უძილო ღამეებში გესაუბრებოდი, აზრებს გიზიარებდი, რჩევას გეკითხებოდი, მხოლოდ ის აზრი მასულმდგმულებდა, რომ შენ გიყვარდი, ოდესმე ერთად ვიქნებოდით. ამით გამხნევებული ვებრძოდი ცხოვრებას, მაგრამ დავმარცხდი, ყველაფერი დავკარგე! შენმა მოსვლამ დამანახა სინამდვილე, ბედს ეს უკანასკნელი სიხარულიც შეშურდა ჩემი, უფსკრულით გაგვყო და ჩვენ სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით, შენ მაინც იყავი ბედნიერი, მე კი... მე დამივიწყე!„
„გულს ნუ მიწყალებ, თამაზ!„
„არა, ციალა, შენ ბედნიერი უნდა იყო. ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ იქ სიყვარულისათვის ადგილი აღარ დარჩა. ჩემი გული შებღალულია, ხოლო ჩემი სიყვარული ყოველივე წმიდას ჩირქს მოსცხებს, წაბილწავს. შენ უნდა გამიგო, ციალა, მოხდა ისეთი რამ, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია, არც ჩემზეა დამოკიდებული„.
„მომისმინე, თამაზ, – წარმოთქვა ციალამ მტკიცე ხმით, – მე არ გკითხავ რა მოხდა, მაგრამ მწამს, რომ მისი გამოსწორება შეიძლება, წამოდი, დღესვე წავიდეთ სოფელში, იქ იმუშავებ, ბინასაც იშოვი, ყველაფერი მოგვარდება, შენი ცხოვრებაც აეწყობა.
„ვერა, ციალა!„
„დამიჯერე, ჩემო თამაზ, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, გულს ნუ მომიკლავ, დამიბრუნდი! ჩვენ ერთად ვიქნებით, თამაზ, ერთად ვიპოვით ბედნიერებას, სიხარულს, – ციალა წამოდგა, ხელი მომხვია, მკერდზე მიმეკრა, – ნუ მეთქი, თამაზ, ნუ! დამიჯერე, დაიღუპები!„ – ჩურჩულებდა ის დანაზად ეალერსებოდა ჩემს თმებს.
ცეცხლი მომედო, ციალას ყოველი სიტყვა, მისი ალერსიანი ჩურჩული, ცხელი შანთივით ხვდებოდა გულს. ვხედავდი, კიდევ რამდენიმე წუთი და გავტყდებოდი, მის ნებას დავყვებოდი. ანგარიშმიუცემლად ხელი მოვხვიე, თავი გადავუწიე, ციალა მუდარით შემომყურებდა, მისი თვალები სიყვარულს მთხოვდნენ. ბედნიერებას მპირდებოდნენ. წამით დამავიწყდა თავი, რუბენა, ქურდობა, საშინელი ახლო წარსული და თავი ბედნიერად ვიგრძენი, ნელა დავიხარე ციალასაკენ, მაგრამ უეცრად რუბენას ერთმანეთზე გადაბმული სქელი მოღუშული წარბები და მტაცებლის მსგავსი სახე დამიდგა თვალწინ; სწრაფად გამოვფხიზლდი, თავს არაადამიანური ძალა დავატანე და ციალა მკერდიდან მოვიგლიჯე, მან ყრუდ ამოიკვნესა და მოწყვეტით დაეცა სკამზე.
ადგილი აღარ მყოფნიდა, გალიაში დამწყვდეული მხეცივით დავრბოდი ოთახში და გაშმაგებით ვღეჭავდი პაპიროსს, ციალა ჩუმათ ქვითინებდა, ჩემს დაუბრუნებელ ბედნიერებას დასტიროდა და მეც ოდესღაც ბედნიერი ჭაბუკი, ახლა კი სახელდაკარგული და ქურდობის მიერ „ლამაზად„ მონათლული,

დღეიდან სრულიად მარტო, პატარა ბნელ ოთახში ერთადერთი დამსწრე ვიყავი ჩემივე პანაშვიდისა.
დიდხანს ტიროდა ციალა, დიდხანს სდიოდა ცხარე ცრემლები და ეს ტირილი ტანჯვასთან ერთად განუზომელ სიამოვნებას მგვრიდა, რადგან ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, როცა ჩემი სიკვდილის საათი დაჰკრავდა, არავინ იქნებოდა ჩემს გვერდით ერთი ობოლი ცრემლი მაინც ჩაეყოლებინა საფლავში... არ ვიცი რამდენხანს გაგრძელდა ეს მტანჯველი მდგომარეობა, ალბათ ძალიან დიდხანს... ვიწრო სარკმელში ღამემ შემოიხედა... ციალა წამოდგა, ტირილისაგან დაოსებულმა სევდიანად შემომხედა, მისი სახე რაღაც განსაკუთრებით ლამაზი მეჩვენა ახლა, სინაზითა და მომხიბვლელობით გაშუქებული და ასეთი დარჩა ის ჩემს მეხსიერებაში...
უხმოდ გავედით ოთახიდან. ფეხით წავედით. სალაპარაკო აღარაფერი გვქონდა. ჩვენს შორის ყველაფერი ითქვა და მწარე ფიქრებში ჩაძირული ნელა მივყვებოდით ხალხის ტალღას. მუხრანის ხიდთან ციალა შეჩერდა.
„აწი მე მარტო წავალ„ – ნაღვლიანი, ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა მან და ცრემლები გადმოჰყარა. გამოწვდილი ხელი ჩამოვართვი, დიდხანს მეჭირა. ის იდგა თავდახრილი და ელექტროლამპიონების შუქზე წამწამები ორ შავ პეპელას მიუგავდა.
„მშვიდობით, თამაზ!„ – ნაღვლიანად მითხრა ციალამ.
„მშვიდობით, ციალა! – მე ამ ქვეყანაზე ბედის გარეშე გავჩნდი. სიხარული ვერ გაიმეტა ჩემთვის ცხოვრებამ. შენს სიყვარულსაც ვერ მოვარე, ესეც დაენანა ბედს... არ ვიცი რა მომელის მომავალში, დიდი ტანჯვა მოგაყენე, მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად უბედური ვარ... დამივიწყე, შენ კარგი და ჭკვიანი ხარ, ნებისყოფით ჩემზე ძლიერი და მწამს გაიმარჯვებ, ბედნიერებას იპოვი! იცოდე, დღეიდან ჩემი ერთად–ერთი სიხარული მხოლოდ შენი ბედნიერება იქნება, მშვიდობით სამუდამოდ.
თავდახრილ ციალას ღაპა–ღუპით სცვიოდა ცრემლები და თბილად მეწვეთებოდა ხელზე. მისი ხელი ნაზად მივიტანე ტუჩებთან და რამდენჯერმე ვაკოცე, შემდეგ ხელი შევუშვი და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით, გამოვბრუნდი. შუა ხიდზე უკან მოვიხედე. ციალა იმავე ადგილზე იდგა. სწრაფად შევბრუნდი, ხიდს გავცდი და მძიმე ნაბიჯით შევყევი აღმართს.
კაეშანი მტანჯავდა. „მარტო ვარ, სრულიად მარტო, უთვისტომო და მიუსაფარი„ – ვიმეორებდი გულში და ბრაზით შევცქეროდი ადამიანებს, რომლებმა, როგორც მე ვფიქრობდი, უკანასკნელი სიხარულიც წარმტაცეს ამ ქვეყნად...
იმ დღიდან მტკიცედ მივეკედლე რუბენას. ყოველი ახალი ბოროტება ველურ სიხარულს მგვრიდა, სატანურ სიამოვნებას განვიცდიდი, როდესაც რომელიმე ბინას გავქურდავდი, მატარებელში გაქურდული მგზავრის კივილი და თავში ცემა ნაზ მელოდიასავით მიტკბობდა სმენას. თანდათან დავკარგე ადამიანური თვისებები და მძვინვარე ქურდად ვიქეც. ვქურდობდი თბილისში, კახეთში, გორში, ბათუმში. მილიცია ფეხდაფეხ დაგვდევდა, მაგრამ ბედი გვწყალობდა და ერთხელაც ვერ მოგვიგდეს ხელში. ასე გავიდა თითქმის ერთი წელიწადი.

ქურდებს ჩემი ერიდებოდათ, პატივით მეპყრობოდნენ, რუბენა ტოლივით მექცეოდა, ანგარიშს მიწევდა და თუ აქამდე მის სახელს იფიცებდნენ, ეხლა „ლამაზოც„ გაუჩნდათ საფიცრად.
მალე გავეცანი ბოროტმოქმედთა სამყაროს, თითქმის საქართველოს ყველა ქალაქში გვყავდა ჩვენი ხალხი, მაგრამ ძირითადად მაინც ოთხნი დავდიოდით ერთად: რუბენა, მე, გოგი და ჟორა. ბოლოს დადგა დრო და ბედმა ზურგი შეგვაქცია: ბათუმში მაღაზიის გატეხვა განვიზრახეთ, მილიცია ჩასაფრებული დაგვხვდა, ალყაში მოვყევით, სროლა აგვიტეხეს, ჟორამ და გოგიმ იქვე დაამთავრეს თავიანთი „კარიერა„ გოგის შუბლში მოხვდა ტყვია და ადგილზევე გააცივა. დანარჩენებმა სროლით გავიკაფეთ გზა. თითქმის სამშვიდობოს გასულთ დაგვეწია ტყვია, ჟორამ მკერდზე იტაცა ხელი და კვნესით გაგორდა ქვიშაზე. რუბენმა ერთი დახედა და რა დარწმუნდა მას სიარული აღარ შეეძლო, აუღელვებლად დაახალა ორი ტყვია, გამოვიჭერით, მოვახერხეთ დამალვა და რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვედით. “რუბენას საქციელი არ გამკვირვებია: ცოცხლად ჩავარდნილ ჟორას ორივეს გაცემა შეეძლო” თბილისშიაც გაჭირდა თავის შენახვა, რეალური საფრთხის წინაშე ვიდექით, რუბენამ გადაწყვიტა გავცლოდით საქართველოს. სიამოვნებით დავეთანხმე. რამდენიმე დღის შემდეგ რუბენამ პასპორტები იშოვა: „კოკოევი გიორგი ალექსის ძე, ეროვნებით ოსი„, – წავიკითხე ჩემს პასპორტში და გამეცინა. სურათს დავაკვირდი: იქიდან დავაჟკაცებული, ახალულვაშებაკოკრებული ახალგაზრდა მიცქეროდა...
გვიან ღამით დავტოვეთ თბილისი, სხადასხვა ვაგონით ტწამოვედით როსტოვში და იქ დავბინავდით. შემდეგ ორი წლის განმავლობაში დავძრწოდით ხან ორნი, ხან სხვებთან ერთად. მოვინახულეთ ხარკოვი, ლენინგრადი, მოსკოვი და ყველგან დავტოვეთ კვალი... და ბოლოს ჩვენი ხეტიალიც ისე დამთავრდა , როგორც უნდა დამთავრებულიყო: 1940 წლის ზამთარში ხუთმა კაცმა მოსკოვში მაღაზია გავქურდეთ, სამძებრო მილიციამ კვალს მიაგნო, სათითაოდ აგვკრიფეს, მხოლოდ რუბენა არ იყო ჩვენს შორის, მან პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა, ხშირად იტყოდა: ცოცხლად მილიციას არ ჩავბარდებიო. როდესაც ოთახში მილიციის მუშაკები შემოცვივდნენ, რუბენამ თურმე ნაგანი იძრო, მაგრამ დაასწრეს და ადგილზე დაცხრილეს. ეს მასთან ერთად ოთახში შეპყრობილმა, ჩვენი ჯგუფის წევრმა პეტკა დიდთავამ მიამბო, როდესაც სასამართლოში შევხვდით ერთმანეთს.
პროცესზე თავი მოვიკატუნე, „გულწრფელად„ ვაღიარე ჩემი ერთადერთი დანაშაული და ყველაფერი რუბენას დავაბრალე, ლმობიერად მომექცნენ, ერთი წლის პატიმრობა მაკმარეს, სასჯელი მოვიხადე, გამოვედი და ისევ ქურდობას მივყავ ხელი. ახლა ძველებურად თავისუფლად ვეღარ ვგრძნობდი თავს 5–6 თვის შემდეგ ისევ დამიჭირეს და ამჯერად 8 წლის პატიმრობა მრომისაჯეს შორეულ მხარეში გადასახლებით. მაინცდამაინც არ შევწუხებულვარ, უკვე სტაჟიანი ქურდი ვიყავი და ბანაკში თავის გატანა არ მიჭირდა. ტჟარგონს დაუფლებულები, სწრაფად ვეცნობოდით ერთმანეთს, და პატიმრები შიშს ქვეშ გვყავდა.

სადღაც კრასნოიარსკის მხარეში გადაგვასახლეს, ომმაც იქ მოგვისწრო. ბევრმა პატიმარმა განცხადებით მიმართა კოლონიის ადმინისტრაციას – ფრონტზე წასვლა ითხოვა, ზოგიერთის სურვილი დააკმაყოფილეს, მაგრამ ყველა ქურდ–რეციდივისტს უარი უთხრეს.
პატიმრობიდან ამნისტიამ გამანთავისუფლა, კოლონიიდან 27 წლის ასაკში გამოვედი, საცხოვრებლად ქ. ვილნიუსი ავირჩიე. რომელიღაც არტელში მოვეწყვე და მალე მოვძებნე ჩემი წრე, მაგრამ ჯერჯერობით ქურდობას ვერიდებოდი. ორიოდე როსტოველი ქურდიც ვნახე, მიცნეს და უფროსადაც მაღიარეს. სწორედ როსტოვში შემარქვეს „ჩერქეზი„ და ეს სახელი საკმაოდ ქუხდა ქურდების წრეში. იმ წლებში ვილნიუსი იყო ჩვენი ყველაზე საიმედო თავშესაფარი, მილიცია და შინსახკომი ბანდერელებს ებრძოდა, ჩვენთვის არავის ეცალათ. თითქმის ყოველ ღამე ვთამაშობდი, კოლონიაში გატარებული დრო ცუდად არ დამიკარგავს, ოსტატურად ვაწყობდი კარტს და პოკერში თუ ოცდაერთში უწყალოდ ვფცქვნიდი პარტნიორებს. ხუთი წელიწადი ვიცხოვრე ამ ქალაქში, მხოლოდ რამდეჯერმე მივიღე მონაწილეობა ქურდობაში, ისიც მსხვილ საქმეზე. ფული თავზე საყრელად მქონდა და დროსაც ჩინებულად ვატარებდი. ერთხელ გულმა თბილისისაკენ გამომიწია. ბევრი აღარ მიფიქრია, სამსახურიდან შვებულება ავიღე და თვითმფრინავში ჩავჯექი... თბილისში მაისის მშვენიერ საღამოს ჩამოვედი, მიუხედავად იმსა, რომ საქართველოს დედაქალაქში არავინ მელოდა, ვისაც ჩემი ნახვა გაახარებდა, რაღაც უცნაური სიხარული ვიგრძენი, როდესაც თვითმფრინავიდან გადმოვედი და ფეხი ქართულ მიწაზე დავადგი. რატომღაც მომინდა მოვხვეოდი გულში ჩამეკრა ეს მიწა და ხასხასა ბალახი, გამორჩეული სურნელება რომ ასდიოდა. წარსული წლების განმავლობაში ერთი დღეც არ მახსოვს რაიმე სიხარულს აეჩქროლებინოს ჩემი გული და მიკვირდა, თანაც მიხაროდა, რომ ახლა აღტაცება დამეუფლა.
სასტუმროში თავაზიანად მიმღეს, უშიშრად ვიყავი, საქართველო ისე დავტოვე, მილიციას ერთხელაც არ აუღია ჩემთვის თითების ანაბეჭდი. ჩემი წარსულის შიში არ მაწუხებდა, ძალზე ელეგანტურად მეცვა და არც თავაზიანობა მაკლდა. საუკეთესო ნომერში მოწყობილს, ახლო ნაცნობობა არავისთვის გამიბამს. დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს და ბოლოს გადავწყვიტე დეიდა მენახა. საღამო ხანს მივადექი 4 სართულიან სახლს, კრილოვის ქუჩაზე. გული უჩვეულოდ მიცემდა. 14 წლის შემდეგ პირველად ავდიოდი კიბეებზე, მივდიოდი ბინაში, რომელშიაც ჩემი დაღუპული ჭაბუკობის დღეები გავატარე და სადაც ჩემმა პატარა ეკამ სამუდამოდ დახუჭა თვალი.
„ცოცხალია თუ არა დეიდა თამარი? ნეტა თუ მიცნობს?„ – ვფიქრობდი მე და სწრაფად მივიწევდი საფეხურებზე.
კარი უცნობმა მამაკაცმა გამიღო, გაკვირვებით მომაჩერდა. „უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით სად ცხოვრობს თამარ ნადირაძე?„ – შევეკითხე თავაზიანად.
„რა მოგახსენოთ, ვფიქრობ, ამ სახლში ასეთი არავინაა„
გული დამწყდა, ბოდიში მოვიხადე და უკანვე გამოვბრუნდი. ეზოში მეეზოვეს შევეჩეხე. დაკვირვებით მივაჩერდი, ვიცანი, თუმცა წლებს სულ ერთიანად

გაეთეთრებინა ძია ამაიაკის მეჩხერი წვერულვაში. გულგრილად შემომხედა მივხვდი რომ ვერ მიცნო.
„ბოდიში ძიაკაცო, თუ შეიძლება თქვენთან ერთი კითხვა მაქვს„ – მივმართე მე.
მან უხმოდ შემათვალიერა.
„რა გნებავთ?„ – შემეკითხა ბებრული ჩიფჩიფით.
„ხომ ვერ მეტყვით, სად ცხოვრობს თამარ ნადირაძე? ის ამ სახლის №18 ბინაში ცხრვრობდა ამ თოთცმეტიოდე წლის წინათ.„
ამაიაკმა გაკვირვებით შემომხედა.
„თამარ ნადირაძე? მერედა, თქვენ ვინ ბრძანდებით?„
„მე მისი შორეული ნათესავი ვარ, მოსკოვიდან „
„ნათესავი?! რა ნათესავი?„
„შორეული ნათესავი„
„აი ის თამარი და რომ დაუჭირეს?„ – ისევ შემეკითხა მოხუცი.
„დიახ, დიახ!„
ამაიაკი ერთხანს დუმდა, რაღაცას ყოყმანობდა, შემდეგ გაუბედავად მიპასუხა:
„ის ხომ მოკვდა, შვილო. რამდენი ხანია მოკვდა, საწყალი...„
გულში რაღაც ჩამწყდა, გავშეშდი.
„მოკვდაა?„ – ვიკითხე უაზროდ.
„ჰო შვილო, აგერ 12 წელიც იქნება, სწორედ ომის დაწყებამდე მოკვდა. კარგი ქალი იყო, ცხონებული, და და სიძე დაუჭირეს, პატარა დისშვილი მოუკვდა, უფროსი ბიჭი სადღაც გადაიკარგა. მერე თქვეს, ქურდებთან იყო მოკლესო, არ ვიცი ვინ მოუტანა ეს ამბავი, საწყალ ქალს, მას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. ღმერთმა აცხონოს, საწყალი, აღარავინ დარჩა, მეზობლებმა დავასაფლავეთ ის საცოდავი...„
„სად დაასაფლავეს?„ – ვკითხე
„დის შვილის გვერდზე დამარხეს. ეჰ – ამოიოხრა მოხუცმა, – ძნელია შვილო უთვისტომობა, ერთი ახლობელიც არ მიჰყოლია საფლავამდე, ერთი ცრემლიც არ ჩაჰყოლია ნათესავისა, პატარა რკინის ჯოხიც მე დავასვე მის საფლავზე წარწერიანი ფირფიტით. ამაიაკმა ხალათით მოიწმინდა ბებრული ცრემლი.
გულზე თბილად მომხვდა ამაიაკის სიტყვები. ეს მოხუცი სხვა ერისა და დეიდაჩემისათვის უცხო ადამიანი, გულწრფელ მწუხარებას გამოსთქვამდა.
ჯიბეზე ხელი ვიკარ, ორი ცალი 100 მანეთიანი ამოვიღე და ამიაკს გავუწოდე.
„ძიაკაცო დიდი მადლობელი ვარ ჩემი ნათესავის კეთილი მოგონებისათვის. ბოდიშს ვიხდი, ცუდად ნუ ჩამომართმევთ, ამ ფულით გთხოვთ თამარის შესანდობარი შესვათ.„
ამიაკმა გაკვირვებით შემომხედა, წყენა დაეტყო.
„მე ცრემლს ფულზე არ ვყიდი„ – მითხრა გულმოსულად.
შევწუხდი საქციელი წამიხდა.
„ბოდიშს გიხდი, მაგრამ რადგან ფულზე უარს მეუბნებით, გთხოვთ თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ დეიდაჩემის მოსაგონებლად.„

„დეიდათქვენი, განა თამარი თქვენი დეიდაა?„ – გაოცებით მკითხა მოხუცმა და დაჟინებით დამაცქერდა. მივხვდი, რომ უნებლიეთ გავეცი ჩემი თავი, უკან დავიხიე.
„ჰო დეიდად მეკუთვნოდა, თამარი დედას ბიძაშვილი იყო„ – ვუპასუხე ნაძალადევი სიმშვიდით, შემდეგ გამოკითხვის თავიდან ასაცილებლად მკლავი გამოვდე„
„გთხოვთ, ძია, უარს ნუ მეტყვით, აქ სადმე ახლოს შევიდეთ„
„რატომაც არა ღვინის დალევა სწორადაც შეიძლება, მხოლოდ ჩემს მოხუცს გავაფრთხილებ და ეხლავე გამოვალ„.
ამიაკმა წინსაფარი მოიხსნა და საპარადო შესასვლელში მიიმალა.
...პლეხანოვის პროსპეკტზე რესტორანში შევედით, თავისუფალ მაგიდას შემოუსხედით და ოფიციანტს ვახშამი დავუკვეთეთ. ამიაკმა დაწვრილებით მიამბო დეიდას უკანასკნელი დღეები.
„სულ იმ დაკარგულ ბიჭს დასტიროდა, მოსთქვამდა, მისმა დარდმა ჩაიყვანა საფლავში. უკანასკნელ ხანს არავის ნახვა აღარ უნდოდა, მთელი დღეები კარჩაკეტილში იჯდა, უსმელ–უჭმელი, დარდითა და შიმშილით მოიკლა თავი„ – მიამბობდა შემთვრალი ამაიაკი და ყოველი მისი სიტყვა გახურებული შანთივით მიდაგავდა გულს...
გვიან ღამით მოხუცი შინ მივაცილე და სასტუმროში დავბრუნდი, ვიგონებდი დეიდას სახეს, მის ხმას, სიარულს და გული მეჭეჭყებოდა. ეჰ ვინ იცის, როგორ მოეწყობოდა ჩემი ცხოვრება, ადამიანების მიმართ სიძულვილით შეპყრობილი, დეიდას, რომ არ გავქცეოდი, რუბენას მაინც არ ჩავუვარდებოდი კლანჭებში და მგელკაცობასაც ავცდებოდი.
მეორე დღეს სასაფლაოზე წავედი. 14 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეცვლილიყო აქ. გაჭირვებით მივაგენ თამარის საფლავს, ისიც ძია ამაიაკის წყალობით. რკინის პალოზე დამაგრებულ, უკვე გვერდზე მოღრეცილ, ფირფიტაზე ჟამთა სვლას ჯერ კიდევ ვერ გადაერეცხა მიცვალებულის გვარი და საფლავის ნომერი, მის გვერდით ეკას ოდნავ აბორცვილ საფლავს ეკალბარდები მოსდებოდა, თამარის საფლავიც სარეველას დაეფარა.
დიდხანს ვიჯექი ორ საფლავს შუა, წარსულს ვიგონებდი, სურათი სურათს სცვლიდა, გონებაში კინოფირივით გაირბინა ბავშვობის წლებმა, ბედნიერმა დღეებმა – ნათლთდ დამიდგა თვალწინ უკანასკნელი 10 იანვარი, საზეიმო ვახშამი, შავბნელი ღამე, გაფითრებული მამა, აქვითინებული დედა, ეკას ავადმყოფობა, სიკვდილი, სახლიდან გაქცევა, მწუხარებით დატანჯული დეიდას სახე, არტაშა, რუბენა, მრავალი ქურდობა, ციხე და გადასახლება, სასაფლაოზე უკანასკნელად 14 წლის წინათ ამავე ადგილზე ეკასათვის მიცემული ფიცი და ამ ფიცის გატეხვა, ციალა... „სად არის ნეტავ ახლა? კიდევ ვახსოვარ?„ – ვფიქრობდი მაშინ.
„ჩემი ბრალი არა არის, დეიდა, ჩემი ბრალი არ არის!„ – ვეჩურჩულებოდი საფლავს და 14 წლის შემდეგ პირველად გადმომცვივდა ცრემლები.

დიდხანს ვიჯექი ორ საფლავს შორის, შემდეგ მესაფლავე მოვძებნე, თოხი ვთხოვე და საფლავთა გაწმენდას შევუდექი. გულმოდგინედ ვმუშაობდი, უცნაური დაჟინებით ვგლეჯდი ეკალ–ბარდებს, ჩემთვის ძვირფასი ადამიანების საფლავი მთლიანად რომ დაეფარათ.
დაღამდა, ჩრდილები დამუქდნენ, გრილმა ნიავმა შეატოკა მეზობელ სთფლავზე მზრუნველი ხელით დარგული ახალგაზრდა კიპარისები. მოწყენით წამოვდექი, სამუდამოდ დავემშვიდობე საფლავებს და მძიმედ დავადექი ქალაქისაკენ მიმავალ გზას. არასოდეს ვყოფილვარ ასე მოწყენილი და გაბოროტებული. თბილისმა მიმზიდველობა დაკარგა ჩემთვის, ამ ვეებერთელა ქალაქში ერთი კაცმც არ მეგულვებოდა, გულის დარდი გამეზიარებინა, წარსულზე მესაუბრა, ბავშობა მომეგონებია, გამეღიმა ან მასთან ერთად მეღვარა ცრემლები.
ახლა 17 წლის ყმაწვილი აღარ ვიყავ, წლებმა ბევრი რამ შესცვალა ჩემში, მაგრამ ერთი რამ უცვლელი დარჩა: სიძულვილი ადამიანებისადმი, რომლებმაც მგლების ბუნაგში შემაგდეს, მგლად მაქციეს!
რუსთაველის პროსპექტზე ხალხი უწყვეტ ტალღად მიედინებოდა. ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები, წყვილები... მომღიმარნი, მხიარულნი, კოხტად ჩაცმულნი... ყველას ჰქონდა თავისი დიდი თუ მცირე სიხარული, პატარა ბედნიერება, სიყვარული, ცხოვრების მიზანი... მე, მხოლოდ მე ერთი, ვიყავ, რომელსაც წილი არ ედო ბედნიერებაში და ბნელით მოცულ მომავალს ერთი მიმქრალი ვარსკვლავიც არ მინათებდა.
მესამე დღეს ვილნიუსში დაბრუნება გადავწყვიტე, აღარ მინდოდა თბილისში დარჩენა, სადაც ჩემი არათუ სახელი, ეროვნებაც არავინ იცოდა წლების მანძილზე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში წანწალმა ზედმიწევით შემასწავლა რუსული ენა. აქ, თბილისშიაც არავის დავლაპარაკებივარ ქართულად, გარდა ძია ამაიაკისა, მხოლოდ ეს იყო: თუმცა უკვე მესამე გვარს ვატარებდი, მაგრამ ერროვნება არ შემიცვლია, ისევ ოსი ვიყავ, რადგან მეშინოდა – ჩემი გარეგნობა აშკარად მიუთითებდა არარუსულ წარმოშობაზე.
ვილნიუსში გამგზავრების წინა დღით, 21 მაისს ზაფხულისათვის უჩვეულო პაპანაქება დაიჭირა, ჰაერი გამდნარ ლითონივით ლივლივებდა, სიცხის ბუღი ასდიოდა ქალაქს... თხელ პიჟამოში ჩაცმული ჩემს ნომერში რბილ საწოლზე ვიწექ და შემთხვევით ხელთ ჩავარდნილ ძველ გაზეთს ვათვალიერებდი, ეს იყო ჩემი ერთადერთი სიამოვნება. ქართულ ლაპარაკს მოკლებული ხარბად ვკითხულობდი სხვადასხვა შრიფტით აწყობილ სტრიქონებს. გულგრილად გადავავლე თვალი მეწინავეს, შრომით მიღწევებზე რომ მოუთხრობდა მკითხველს, მეოთხე გვერდზე უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების ცნობები გადავიკითხე. ომს აპირებენ, ომისათვის ემზადებიან. ამერიკა ატომური ბომბით იარაღდება, იტყობინებოდა გაზეთი. „წყალსაც წაუღია! ჩემი არაფერი დაიკარგება. მთელი მსოფლიო რომ გადაიბუგოს, ერთი კაცის სიკვდილიც არ შემაწუხებს„ – გავივლე გულში და გაზეთის თვალიერება განვაგრძე. აგერ განცხადება დისერტაციის დაცვის შესახებ: ზოგი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს ეძებს, ზოგი დოქტორობისათვის იბრძვის. განცხადებათა სიმრავლემ

გამაკვირვა და უცებ ერთმა ტყვიანაკრავივით წამომაგდო საწოლიდან. გულმა გამალებით დამიწყო ცემა, სისხლი მომაწვა, თვალები ამიჭრელდა. პატარა განცხადება იუწყებოდა, რომ 19... წლის 21 მაისს, დღის 3 საათზე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ექიმი ციალა ბარათელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე...„
„ციალა, ციალა ბარათელი, ჩემი ციალა!„ – აღმომხდა სიხარულით და გაზეთი გულში ჩავიკარ, განცხადებას დავეკონე... შემდეგ ფეხზე წამოვიჭერ, საათს დავხედე, – ორს 15 წუთი აკლდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და ანგარიშმიუცემლად დავეშვი კიბეზე, ქუჩაში გამოვვარდი და თითქმის სირბილით გავსწიე სამედიცინო ინსტიტუტისაკენ.
„ციალა, ციალას ვნახავ! მის ხმას მოვისმენ, ალერსიან გამოხედვას დავიჭერ!„ – ზარივით რეკდა გულში და იმ წუთს ჩემთვის სხვა აღარაფერი არსებობდა. ზემელზე გამოვერკვიე შევჩერდი.
„სად მივდივარ, მაქვს კი უფლება მის ხელს შევეხო, უმანკო სახეს შევხედო?„ – გამიელვა გულში და ჩემს სიხარულს შხამი გადაესხა.
დიდხანს ვიდექი გაოგნებული და ვერ გადამეწყვიტა როგორ მოვქცეულიყავ. ხელში ჩაბღუჯული გაზეთი გავშალე, კვლავ და კვლავ გადავიკითხე განცხადება, ეჭვი შემეპარა. „იქნებ სხვა არის, იქნებ უბრალო დამთხვევაა„ – ვეკითხებოდი ჩემს თავს. სკვერში შევედი, მოცელილივით დავეცი მერხზე, დავფიქრდი: „შენ შეცდი დისერტანტი ციალა არ არის, მავნებლის შვილს არავინ მისცემს უფლებას დისერტაცია დაიცვას!„ – ჩამძახოდა ვიღაც. დიდხანსვებრძოდი ეჭვს, ბოლოს დამძალა, თითქმის დავრწმუნდი, რომ ეს ციალა ბარათელი სხვა იყო, ჩემთვის უცნობი და სრულიად უცხო, სასტუმროში დაბრუნება გადავწყვიტე.
კი მაგრამ მამის, სახელი? აქაც შეცდომაა?„ – გამიელვა თავში და შევჩერდი. – წავალ, ვნახავ, თუ ის არის, ჩემი მისვლით არაფერი დაშავდება„, – გადავწყვიტე დიდი ყოყმანის შემდეგ და სწრაფი ნაბიჯებით გავყევი ლენინის ქუჩას. საყვავილე მაღაზიას გავუსწორდი. „მიყვარს იები„ – გამახსენდა და ციალას ნაღვლიანი სახე დამიდგა თვალწინ. ცხადად ვიგრძენი რროგორ დამაბნია მკერდზე იის კონა. სარდაფში ჩავედი. ყვავილის გამყიდველი თავაზიანად მომეგება, ალბათ ჩემმა ტანსაცმელმა მრახდინა გავლენა.
„იები გააქვთ?„ – შევეკითხე რუსულ ენაზე.
„რაღა დროს იებია, მაისი ილევა!„ – მიპასუხა გაკვირვებულმა გამყიდველმა.
„იცი რა, – მივმართე ღიპიან გამყიდველს ხვეწნით, – მე ძალიან მინდა იები, იქნებ როგორმე მიშოვოთ ერთი კონა მაინც, სულ, სულ პატარა კონა.„
უარის ნიშნად თავი გააქნია.
„ახლა იებს ვერსად იშოვით„!
გული დამწყდა.
„ვარდები ინებეთ რომელიც გნებავთ!„ – შემომთავაზა გამყიდველმა და ხელით მიმითითა კუთხეში, სადაცწყლიან ქოთანში სხვადასხვა ფერის ყვავილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სილამაზეში და ნაზ სურნელებას გადმოსცემდნენ.

...ლამაზი თაიგული გავაკეთებინე,ხელთ შერჩენილ გაზეთში შევახვევიე, გაკვირვებულ გამყიდველს 100 მანეთიანი შევაჩეჩე და სარდაფიდან გამოველ.
„საცოლესთან თუ მიდის, აბედნიეროს!„ – მომესმა კიბის უკანასკნელ საფეხურზე გამყიდველის ქართულად ნათქვამი და მწარედ გამეღიმა.
სააქტო დარბაზი მალე ვიპოვე. უხმაუროდ შევედი და სულ ბოლო რიგში თავისუფალ მერხზე ჩამოვჯექი. ხალხით გაჭედილ აუდიტორიას გადავავლე თვალი. სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, გული საშინლად მიცემდა.
ზუსტად 3 საათზე მწვანე მაუდ გადაფარებულ მაგიდას რამოდენიმე კაცი შემოუსხდა. იმავე წამს მაგიდის გვერდით, კათედრაზე დისერტანტი ავიდა. ხარბად შევცქეროდი, შეცდომა შეუძლებელი იყო – კათედრასთან ციალა იდგა და აუდიტორიას უღიმოდა. ჩემი გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, უეცრად მოზღვავებულმა სიხარულმა სუნთქვა შემიკრა; თვალებში სხივჩამდგარი, აღფრთოვანებული მივჩერებოდი ჩემთვის დაუვიწყარ სახეს და გარკვევით მესმოდა ჩემივე გულის ცემა.
რა ცოტათი შეცვლილიყო ციალა! ისევ ისეთი ტანკენარი, მაღალი მკერდი, დიდრონი თაფლისფერი თვალები და ბავშვივით გაბუტული წითელი ტუჩები; ოდნავ დასრულებულიყო, მაგრამ ეს კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა მისი ნაკვთების სინატიფეს. თვალებად ქცეული მივჩერებოდი ციალას და იმ წუთში ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.
დისერტანტი დინჯად ლაპარაკობდა, გატაცებით ამტკიცებდა რაღაც დებულებას და თავისთავში მტკიცედ დარწმუნებული, მშვიდად შესცქეროდა დარბაზში მყოფთ. მისი მსჯელობა ჩემს გონებამდე არ აღწევდა, სიხარულმა ყველა სხვა გრძნობა დამიხშო.
უეცრად, აქამდე ჩუმად მყოფი დარბაზი ახმაურდა, გამოვერკვიე, სამეცნიერო საბჭოს წევრები დარბაზიდან გადიოდნენ. მე შევცქეროდი ისევ ციალას. რომელსაც მეგობრები შემოხვეოდნენ და სამეცნიერო ხარისხს წინასწარ ულოცავდნენ, ხელს ართმევდნენ და კოცნიდნენ.
საბჭომ თათბირი დაამთავრა. თავჯდომარემ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, ციალას ერთხმად მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დარბაზში ტაშის ცემა ატყდა, სხვებთან ერთად მეც ფეხზე წამოვიჭერ, ყმაწვილური აღტაცებით შევუერთდი ტაშის ცემას. პირველად მოხუცმა თავმჯდომარემ მიულოცა, შემდეგ საბჭოს ყველა წევრმა ჩამოართვა ხელი, შემდეგ ვიღაც წარმოსადეგი აღნაგობის 35–მდე წლის კაცი მიუახლოვდა ღიმილით გაუწოდა ხელი და ლოყაზე ეამბორა.
„ილიამ არავის დაუთმო, ყველას დაასწრო მილოცვა!„ – მომესმა ჩემს გვერდით მხიარული ხმა.
„ასეც უნდა, ყველაზე დიდი სიხარული მეუღლეს მართებს!„ – უპასუხა მეორემ.
„მეუღლე?! მაშ ციალა გათხოვილია და ეს წარმოსადეგი მამაკაცი მისი ქმარია?„ – გამიელვა თავში და გული ჩამწყდა. სიძულვილით შევხედე ჩემს სიყვარულის მომტაცებელს, რომელიც სახეგაბრწყინებული ესაუბრებოდა ვიღაცებს,მაგრამ ეს

იყო წუთით, შემდეგ ჩემს გულში ადამიანურმა გრძნობამ გაიმარჯვა: „ციალა გათხოვდა! დისერტაცია დაიცვა, მან გაიმარჯვა ცხოვრებასთან ჭიდილში – ყველაფერი დასძლია. არ მოუწამლო ეს ბედნიერი წუთები, თამაზ!„ – ჩამძახა ვიღაცამ. მერხზე ჩამოვჯექი, ჯიბიდან ავტოკალამი ამოვიღე, უბის წიგნაკიდან ფურცელი ამოვხიე.
„ძვირფასო ციალა, გილოცავ დიდ სიხარულს! გისურვებ ბედნიერებას! შენ იები გიყვარდა, მაპატიე, რომ ვერ ვიპოვე!„ – დავწერე ხელის კანკალით, შემდეგ ფურცელი ორად გავკეცე, წითელ ვარდებს შორის ჩავდე, თაიგული ვიღაც ლამაზ გოგონას მივაწოდე, ვთხოვე დისერტანტისათვის გადაეცა – და ნელი ნაბიჯით გავსწიე კარებისაკენ.
ისე როგორც 14 წლის წინათ მუხრანის ხიდთან, ახლაც შევჩერდი, ციალას შევხედე – მან ღიმილით ჩამოართვა ქალიშვილს ვარდები, მოკეცილი ფურცელი გაშალა, თვალი გადაავლო.
„ვისგან არის?„ – იკითხა შემკრთალი ხმით.
მე გოგონას პასუხისათვის არ დამიცდია, სწრაფად გავედი კარებში და ჩქარი ნაბიჯით გავიარე დერეფანი. არ მინდოდა ციალას ვეცნე, არ მინდოდა სიხარული მომეწამლა მისთვის.
იმ ღამით გალახული ბავშვივით ავტირდი. ძლიერ გამიკვირდა არ მეგონა თუ ცრემლი გამოჟონავდა ამდენ დარჯაკში გამოვლილ ჩემს გაყინულ გულს. რა მატირებდა? ციალას ბედნიერება, თუ ჩემი უბედურება? – არ ვიცი! მხოლოდ ეს იყო, იმ ღამით პირველად შემერყა ჩემი თავისადმი რწმენა და იქ სადღაც გულის რომელიღაც კუნჭულში ვიგრძენი, ჩემი ცხოვრების უკუღმართობაში მარტო ხალხი რომ არ იყო დამნაშავე. ციალაც ხომ ჩემს დღეში, ჩემს მდგომარეობაში ჩააყენა ცხოვრებამ! მაშ როგორ მოხდა, რომ მე ქურდი გავხდი, ის კი ცხოვრების ფართო შარაგზაზე გამოვიდა.
არა მშურდა ციალასი, მე მხოლოდ ჩემი თავი შემეცოდა და ავტირდი, მაგრამ ერთი წუთითაც არ მიფიქრია ადამიანებს დავბრუნებოდი, ჩვენს შორის დიდი ხნის დამწვარი იყო ხიდი!...
ჩარგიევმა თხრობა შეწყვიტა, გამშრალი ტუჩები გაილოკა.
– თუ შეიძლება ცოტა წყალი მომაწოდეთ, – მიმართა სმენად ქცეული მინდელს და სუსტად გაუღიმა.
გამომძიებელი გამოერკვა, ფრთხილად მიუტანა დაჭრილს გაფიცხებულ ბაგესთან წყლიანი ჭიქა, რამდენიმე ყლუპი შეასვა.
– იქნებ დანარჩენის თხრობა გადავდოთ? – შენიშნა წყნარად.
– არა, ბატონო ლევან, თითქმის დავამთავრე. თუ არ დაგღალეთ, ბარემ მომისმინეთ.
– კი მაგრამ, თქვენი ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება, გაწყენთ.
დაჭრილმა მწარედ გაიღიმა.
– ჩემი ჯანმრთელობის გაფრთხილებას აზრი აღარა აქვს, მე ვგრძნობ აღსასრულის მოახლოებას. ამიტომ ვჩქარობ. ბარემ ბოლომდე მოისმინეთ აღსარება ცოდვილის.
– მაშ ექიმს დავუძახებ, – წამოდგა მინდელი.

– არავითარ შემთხვევაში, ბატონო ლევან! გთხოვთ ნუ იზამთ ამას, მინდა მარტო მომისმინოთ. ციალას, ქალბატონ ციალას გარეშე და საერთოდ, გთხოვდით არ გეამბნათ მისთვის ჩემი ნაამბობი. ალბათ მიმხვდით რატომ მსურს ეს... სხვას ვისაც გინდათ უამბეთ... მაგრამ ისე რომ... ადრესატი უცნობი დარჩეს.
მინდელი გამომცდელად მიაჩერდა.
– კარგი, – დასთანხმდა ბოლოს, საუბარზე ნუ დავისწრებთ, მაგრამ...
– გმადლობთ, ბატონო ლევან... ვიცი რისი თქმაც გსურთ, მე კარგად ვარ ჯერჯერობით, ექიმის დახმარება არ მესაჭიროება, თხრობაც შემიძლია. ძალიან გთხოვთ მომისმინოთ, კარგი?
– რა გაეწყობა, – მიუგო გამომძიებელმა ლმობიერად...
დაჭრილმა მადლიერი მზერა მიპყრო საწოლთან დახრილ გამომძიებელს, ცოტა ხანს იყუჩა და განაგრძო:

თავი XV

– მეორე დღეს ვილნიუსში დავბრუნდი, ისევ „საშკა ჩერქეზად„ გადავიქეცი და ღვინოსა და ქალებში ვახრჩობდი ბოღმას, ბავშობაში სადღაც წამიკითხავს, ადამიანმა რომ პროფესიაც არ უნდა აირჩიოს პირველობას უნდა ელტვოდესო, მე ქურდი გავხდი, მეამაყებოდა კიდეც ჩემი პროფესია და თუ პირველი არა უკანასკნელიც არასოდეს ვყოფილვარ, ხოლო ქურდობის დაწყებიდან 3–4 წლის შემდეგ როსტოვში მეხივით ქუხდა „საშკა ჩერქეზის„ სახელი და ყველა, ვისაც რაიმე საერთო ჰქონდა ჩემს წრესთან, უსიტყვოდ მემორჩილებოდა. ცხოვრებაზე გაბოროტებულს, ჩალის ფასად აღარ მიღირდა სიცოცხლე, ყოველ ახალ საქმეზე გულგრილად, მშვიდად მივდიოდი, არაერთხელ მოვხვედრილვარ ტყვიების ცეცხლში, სიკვდილისათვის არა ერთხელ შემიხედია თვალებში, მაგრამ ფერიც არ შემცვლია. ეს იყო თუ სხვა რამ, ტყვია მზოგავდა, ხოლო ქურდებში მამაცისა და გამბედავი კაცის სახელი გამივარდა.
ისიც უნდა ითქვას, ძალზე ვფრთხილობდი, წეღან გითხარით, ჩალის ფასად არ მიღირდა სიცოცხლე–მეთქი, მაგრამ ციხეში მოხვედრა მაინც არ მინდოდა. საქმეზე მხოლოდ მაშინ მივდიოდი, როცა ყველაფერი გაზომილი იყო და შესაფერისი გეგმაც მიღებული. ალბათ ეს იყო მიზეზი, მე უვნებლად გადავრჩი, თუმცა არა ერთი და ორი ქურდი ჩავარდა. მე კვალს არ ვტოვებდი, „საშკა ჩერქეზის„ ხსენებას კი ვერც ერთი ქურდი ვერ გაბედავდა, ჩემი ხსენების საზღაური უეჭველი სიკვდილი იყო. ასე მივათრევდით ერთმანეთს მე და სიცოცხლე, რომელიც ქვით სავსე ხურჯინივით მეკიდა მხრებზე.
ციალასთან შეხვედრის შემდეგ რამდენჯერმე მიფიქრია ხელი ამეღო ბოროტებაზე, მაგრამ ვერ შევსძელი. განვშორებოდი ყოველივე იმას, რასაც 14 წლის განმავლობაში შევესისხლხორცე, ესეც არ იყოს, რითიმე ხომ უნდა

მეცხოვრა, უფრო კი, მგონია ისევ ნებისყოფა არ მეყო ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად.
ასე გავიდა კიდევ სამი წელი. უკანასკნელ ორ წელიწადში საქმეში პირადად არ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ არც ერთი დიდი ქურდობა ან ძარცვა არ მომხდარა უჩემოდ. მე ვხემძღვანელობდი ყველაფერს, მე ვაგზავნიდი საქმეზე, მევე ვანაწილებდი ნაქურდალს, ვიგებდი და ვაგებდი.
შარშანწინ ივნისში ვილნიუსში ერთი ცნობილი ქურდის ბინაში ივანისელს შევხვდი, დავიახლოვე, საიმედოდ მოვაწყვე, ის მე მხოლოდ „საშკა ჩერქეზად„ მიცნობდა, ეროვნებაც არ იცოდა ჩემი, არც არასოდეს უკითხია თვითონ კვალიფიციურმა ქურდმა, კარგად იცოდა ჩვენი კანონი. 2 თვის შემდეგ, მეც არ ვიცი რატომ, ერთ საქმეზე წავედი. რომელზე–თქვენთვის საინტერესო არა არის. არ გაგვიმართლა, სამძებრო მილიციას გადავეყარეთ, 7 კაციდან 4 მოგვიკლეს, მე და ივანისელი ერთად გავრბოდით. თითქმის სამშვიდობოს გასული, მძიმედ დამჭრეს ბარძაყში, წავიქეცი წაქცეულს გამახსენდა ბათუმი და მკერდში დაჭრილი, ქვიშაზე მოფართხალე გოგია, რუბენამ რომ შუბლში მიაჭედა ტყვია.
„ახლა ჩემი ჯერია„ – წარმოვთქვი ხმამაღლა და გულგრილად დაველოდე როდის დამახლიდა ტყვიას უვნებლად დარჩენილი ივანისელი.
„რა მოგივიდა, საშკა?„ – შესძახა ივანისელმა და დაიხარა „წადი, თავს უშველე, ჩემი საქმე გათავებულია!„ – მივუგე მე.
ივანისელმა ერთი მოიხედა უკან, შემდეგ ხელი დამავლო, ზურგზე მომიგდო. საშინელმა ტკივილმა ლამის გონება წამართვა, მაგრამ ყელში მომდგარი ყვირილი ჩავიხშე.
შემდეგ აღარ მახსოვს რა მოხდა. ივანისელი მგლური ნაბიჯებით გარბოდა. ხანდახან გონზე მოვიდოდი, მაგრამ გარემოს შეცნობის უნარი დაკარგული მქონდა. თვალი რომელიღაც სარდაფში გავახილე. საწოლთან, სკამზე ივანისელი იჯდა და მშვიდად მიყურებდა. პირველად ვერ მივხვდი სად ვიყავი, შემდეგ კი ყველაფერი გამახსენდა და ლოგინიდან წამოწევას შევეცადე.
„იწექ, არ გაინძრე!„ – გამაფრთხილა ივანისელმა და მკერდზე დამადო ხელი. გავიღიმე. რაღაც გაურკვეველი სითბო ვიგრძენი ივანისელის მიმართ, რომელმაც ნაცვლად იმისა, ადგილზე გავეთავებინე, რისკი გასწია და გადამარჩინა. როგორ მოვიქცეოდი მე მის ადგილზე? ალბათ ისე, როგორც როგორც რუბენა მოექცა გოგიას.
ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ძვალი ოდნავ იყო გაკაწრული. ერთი თვის შემდეგ ფეხზე დავდექი. ივანისელი კი იმ დღიდან აღარ მომშორებია და ვცდილობდი არც სარისკო საქმეზე გამეგზავნა.
ამ უკანასკნელი საქმის შემდეგ ძალიან გაჭირდა ვილნიუსში თავის შენახვა. ერთიერთმანეთზე აკრიფა მილიციამ ჩვენი ხალხი და ბოლოს ჩემი თავისუფლების აღსასრული დადგა.
ერთ დილას, სამსახურში მიმავალი, მოულოდნელად დამაკავეს ბუჩაში. ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. ოთხიოდე საქმე დამიმტკიცეს და 25 წლით გამაგზავნეს შორეულ ბანაკში. ჩემი ჩავარდნის მიზეზი ციხეში გავიგე, მაგრამ

შური არავიზე მიძიებია, უჩემოდ დაეხრჩოთ „საშკა ჩერქეზის„ კვალზე მილიციის მიმყვანი.
ყველა ადამიანი იმედით ცოცხლობს. არც ქურდები ვართ მოკლებული ამ სიკეთეს. თუმცა დაჭერის დღიდან მხოლოდ გაქცევაზე ვფიქრობდი, ძიების მომენტში შესაფერისი მომენტი არ ჩამივარდა, უაზრო რისკზე კი არ წავედი, რადგან წესად მქონდა ყველა საქმე კარგად მოფიქრებისა და აწონდაწონვის შემდეგ დამეწყო.
სასჯელის მოსახდელად შორეულ ჩრდილოეთში გამგზავნეს. კოლონიაში ძირითადად ქურდ–რეციდივისტები იყვნენ მოთავსებული, მიმღეს, უფროსადაც მაღიარეს. „საშკა ჩერქეზის„ სახელი აქაც კარგად იყო ცნობილი.
გავეცანი თუ არა კოლონი
ის პირობებს, გაქცევის იმედი დავკარგე, თვით საპატიმროს ტერიტორიიდან გასვლა არ იყო მაინც და მაინც ძნელი, სადარაჯო ზონიდან გასხლტომაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარი სიძნელე შემდეგ იწყებოდა: 150კმ–ით მეტი უდაბური ტაიგა უნდა გამევლო და სიცივესა და ნადირს რომ გადავრჩენოდი, შიმშილი მომკლავდა. მდგომარეობა თითქმის გამოუვალი იყო. დროებით ხელი ავიღე განზრახვაზე და შემთხვევას დავუწყე ლოდინი. პატიმრები მუშაობდნენ, პირობები სავსებით ნორმალური გვქონდა, ეს იყო – ზონის გარეთ არ გვიშვებდნენ, თორემ სხვა მხრივ, თითქმის არაფრით განსხვავდებოდით ჩვეულებრივი მუშებისაგან.
გავიდა 8 თვე. გაქცევაზე ფიქრი არ მშორდებოდა. ყოველი პატიმრის ოცნება ხომ თავისუფლებაა.
ერთ საღამოს, ჩვენთან ბარაკში, უცნობი პატიმარი მოვიდა და „საშკა ჩერქეზი„ იკითხა. გამიკვირდა მისი თხოვნა, რამდენიმე წუთი ცალკე გავყოლოდი. მაგრამ უარი არ მითქვამს. განვცალკევდით, მხოლოდ ახლა დავაკვირდი უცნობს, – იგი 45–50 წლისა იქნებოდა, ტყვიასავით ჩასხმული, მხარბეჭიანი, გრძლად მოშვებულ წვერში ჭაღარა გარეოდა. ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი და ვცდილობდი გამომეცნო მისი ჩემთან მოსვლის მიზეზი.
„გაგიკვირდა ჩემი მოსვლა?„ – მკითხა მან.
„რაზე მოსულხარ?„ – ვუპასხე კითხვითვე.
„საშკა ჩერქეზის„ ვაჟკაცობაზე ბევრი გამიგონია, უფრო სხვანაირი მეგონე„.
„ამის სათქმელად მოხვედი?„
„მაშინ „ცაცია„ არ მერქმეოდა, მარტო მაგისთვის რომ მოვსულიყავ. დაკვირვებით შევათვალიერე.
მე უკვე ვიცოდი პატიმრებისაგან, რომ მეექვსე ბარაკის მამასახლისი, მეტ სახელად „ცაცია„, ძველი ქურდი და სავსებით სანდო იყო
„მაინც რა გინდა?„ – შევეკითხე მოგვიანებით.
„არ მოგწყინდა გალიაში ჯდომა?„ – პირდაპირ დპმისვა კითხვა ცაცაიამ.
„დავუშვათ მერე?„
„მერე ის, რომ არის ერთი გეგმა, მის შესასრულებლად გაბედულებაა საჭირო, შენ ის გაქვს, არ მე ვარ ლაჩარი.„

„რა გეგმაა?„
ცაცია წამით შეყოყმანდა, შემდეგ ცივად გაიცინა.
„გეტყვი: ჩემთან ბარაკში ბევრი სანდო და თავზეხელაღებულები არიან, მაგრამ მე შენთან მოვედი. გასვლა შეიძლება, გარეთ კავშირი გვაქვს. თუ სადარაჯო ზონას გავუსხლტით, გავალთ.„
„მერე და, ტაიგა? ამაზე იფიქრეთ?„
„ვიფიქრე. აქ ერთი ქურდი იაკუტი იჯდა 6 წელი მოათავა, დიდი ხანი არ არის, რაც გაანთავისუფლეს, მაგრამ ითხოვა და სოფელში, აქედან დაახლოებით 150 კილომეტრში დასახლდა, ის დაგვეხმარება.
„150 კილომეტრს როგორ გავივლით უკაცურ ტაიგაში, იარაღისა და პროდუქტის გარეშე?„
„150 კილომეტრის გავლა საჭირო არ არის, აქედან 40 კილომეტრში პროდუქტი იქნება დამალული, თვითონ კი ზონიდან 2 კილომეტრში დაგვხდება. იქამდე მისვლაა საჭირო, მერე ფიქრი არ არის – მეგზაურობას იაკუტი გაგვიწევს.„
„სანდოა ეგ ვიღაც იაკუტი?„
„ამაზე მე ვაგებ პასუხს„. – მომიგო ცაციამ მტკიცედ.
“ჩავფიქრდი, 40 კილომეტრის გავლა არ იყო ძნელი, თუ სადარაჯო ზონას გავუსხლტებოდით, მაგრამ შევძლებდით კი უიარაღოდ ნადირის მოგერიებას?„
ცაციამ თითქოს ამოიცნო ჩემი ფიქრები.
„ცეცხლმსროლელ იარაღს ვერ ვიშოვით, კიდეც რომ ვიშოვოთ, ვერ გამოვიყენებთ უკაცურ ტაიგაში, პირველი გასროლისთანავე დაგვიჭერენ. დანა მაქვს, მეორესაც ამ დღეებში ვიშოვი, ასეთი შემთხვევა არ განმეორდება, უნდა წავიდეთ.„
„კარგი, – დავთანხმდი უცბად, – იცის ვინმემ შენი განზრახვა?„
ცაცია შეყოყმანდა.
„იცის ერთმა, ისიც თან უნდა წავიყვანოთ„.
„ვინ არის?„
„ძველი ქურდია – „პაპაშა.„ გვარად გიორგაძე„.
„გიორგაძე?„
„ჰო, ქართველია, კავკასიელი„.
„კარგი, როდის მივდივართ?„
„მე თვითონ გაგაფრთხილებ ამ დღეებში, იაკუტის შეტყობინებას ვუცდი.„
„ის „პაპაშა„ პირადად გამაცანი.
„მოდის„ მიპასუხა ცაციამ და წავიდა.
მეორე დღეს გიორგაძეს შევხვდი, არც მისთვის გამიმხელია თუ ქართველი ვიყავ. გაქცევის მეტად მარტივი გეგმა შევიმუშავეთ. როგორც წესი, პატიმართა ამოკითხვა დილით ადრე და დაწოლის ხანს წარმოებდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ბარაკებში მიმავალთ, უნდა მოგვეხერხებინა და რაზმს ჩამოვრჩენოდით, შემდეგ თავი უნდა მოგვეყარა გაჭრილ ახოსთან, სადაც იაკუტი დაგვხვდებოდა; გამოგვეყენებინა გამოკითხვამდე დარჩენილი 4 საათი და სადარაჯო ზონა გაგვევლო. რაზმზე ჩამორჩენა არ იყო ძნელი. რამდენიმე ასეულ პატიმარს ორი–

სამი კაცი ბადრაგობდა, ისიც ფორმალურად რადგან კოლონიის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით პატიმრების გაქცევა ყოვლად შეუძლებელი იყო. გავიდა ერთი კვირა, გაქცევისთვის ყველაფერი მზად იყო. მერვე დღეს ცაცია შემომხვდა და გამაფრთხილა, რომ ზუსტად სამი დღის შემდეგ, საღამოს, დანიშნულ ადგილზე იაკუტი გველოდებოდა.
„თუ ვერ გავედით სხვა შემთხვევა აღარ გვექნება. იაკუტი ერთ საათსაც არ დაგვიცდის.„ – მითხრა მან.
შევთანხმდით მაგრამ დილით გაუთვალისწინებელი ამბავი დატრიალდა: სამუშაოზე ვიღაც პატიმარი ისიც ქურდი, „პაპაშას„ აუხირდა თურმე. „პაპაშას„ ცაცია გამოექომაგა, მოწინააღმდეგეს – რამდენიმე თავისი ამხანაგი, ჩხუბი ნამდვილ ხელჩართულ შეტაკებას დაემსგავსა. გიორგაძე მძიმედ დაჭრეს, ცაციასათვის კი ბარი დაერტყათ და წელს ითრევდა, თეძო ამოგდებულივით.
„მაინც უნდა წავიდეთ! – მითხრა ცაციამ – ახლა აქ გამოძიება დაიწყება და შეიძლება ორი დღის შემდეგ სამუშაოზეც არ გამიყვანონ„
„პაპაშა? – ვკითხე მე.„
„პაპაშა ვერ წამოვა, სიკვდილს თუ გადაურჩა, რამდენიმე თვეს სამუშაოდაც აღარ ივარგებს.„
„გაგვცემს!„
„ვინ, პაპაშა?„ გუშინდელი ხომ არ გგონია!„
„მაინც ნახე„
„ვნახავ!„ – შემპირდა ცაცია.
დადგა გაქცევის დღეც, დილით ჩვეულებრივად გაგვიყვანეს სამუშაოზე, თერმომეტრი 18 გრადუსს უჩვენებდა ნოლს ქვემოთ. რატომღაც სულ არ ვღელავდი და მოთმინებით ველოდი სამუშაოს დამთავრებას. როგორც იქნა ეს დროც დადგა, ბარაკებში მიმავალ კოლონიას მშვიდად ჩამოვრჩი და ტყეში შევუხვიე. არავის გაკვირვებია, რადგან ამაში არაჩვეულებრივი არაფერი იყო. ათიოდე წუთის შემდეგ, კოლონამ ჩაიარა თუ არა, ახოზე გამოვედი. რამდენიმე წუთში ცაციაც გამოჩნდა, სიარული უჭირდა, მაგრამ არ იმჩნევდა. უხმოდ გავეშურეთ იაკუტთან შესახვედრად, ცალ–ცალკე, ადრე შესწავლილი ბილიკით. სულ რაღაც ნახევარი კილომეტრიღა დამრჩა გასავლელი, ცაციას ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი სადღაც მარცხნივ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ყინვისა, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე, ახლა სულ რაღაც ორასიოდე მეტრი თუ მაშორებდა იაკუტთან შეხვედრის ადგილს. უეცრად ტაიგაში გამეფებული სიჩუმე შეძახილმა დაარღვია, ჩემს მარჯვნივ შაშხანა გავარდა ერთხელ, მეორედ… კიდევ ერთხელ და თოფის ხმას ცაციას გამწარებული გინება მოჰყვა… თოვლს გავეკარ, მაგრამ იმავე წამს წამოვხტი და თავგამეტებით გავიქეც „რა კარგია, რომ ადრე დავათვალიერე ბილიკი„, –ვფიქრობდი გახარებული და უფრო ვუმატებდი სისწრაფეს. აგერ დიდ ნაძვიც. ორჯერ ვიყავით ამ ადგილზე მე და ცაცია. ნაძვის წინ, ორ მოჭრილ ხეთა შუა, პატარა თავისუფალ არეზე თოვლში დავეცი, გული მკერდიდინ ამოხტომას ლამობდა.

„ცაცია?„ – მომესმა ნიავივით წყნარი ჩურჩული და თავი ავწიე. ნაძვის გვერდით ვიღაც ბეწვში ჩაფლული დაბალი ტანის კაცი იჯდა და დაკვირვებით მათვალიერებდა.
„იაკუტი ხარ ?„ – გავეპასუხე ჩურჩულითვე.
„ჰო, ცაცია სად არის?„
„ცაცია მოკლეს ან შეიპყრეს, პატრული შემოეყარა?„
იაკუტს არ უპასუხნია უხმოდ წამოდგა.
„წავიდეთ! ალბათ აქაც მოვლენ„ – მითხრა და უხმაუროდ გაძვრა ნაძვებში… მთელი ღამე ვიარეთ, უგზოუკვლოდ მივდიოდით, მაგრამ იაკუტი ერთხელაც არ შეჩერებულა გზის საძებრად, ჩანდა, კარგად იცნობდა ამ მხარეს. გათენებისას რომელიღაც ფუღუროს შევაფარეთ თავი. იაკუტმა ზურგზე მოგდებული ტომარა გახსნა, მოხარშული ხორცი და ორცხობილა ამოიღო. უხმოდ დავიწყეთ ჭამა, იაკუტი დაკვირვებით მათვალიერებდა. მიკვირდა მისი საქციელი, მთელი ღამე ხმა არ ამოუღია, თუ ის ორიოდე სიტყვა არა, რომლითაც შეხვედრისას შემეხმიანა, უთუოდ მუნჯი მეგონებოდა:
საუზმე დავამთავრეთ, იაკუტმა ახლა მათარა გადმომცა.
„გაუფრთხილდი, მეტი არ არის!„ – მითხრა მან.
მათარა სპირტით იყო სავსე, მოვსვი, სასიამოვნო სითბომ საამოდ დამიარა ძარღვებში.
„დაიძინე!„ – მოკლედ მომიგო იაკუტმა და თვალები დახუჭა.
არ ვიცი რამდენ ხანს გვეძინა, შეიძლება ერთი საათი, შეიძლება სამიც. ძილმა სწრაფად აღმიდგინა ენერგია, თამამად გამოვძვერი ფუღუროდან.
„ბევრი აღარ დაგვრჩა, მალე მივალთ„, – გამამხნევა იაკუტმა.
უხმოდ დავადექით გზას. დაახლოებით 5 საათის სიარულის შემდეგ იაკუტი გაჩერდა.
„მოვედით!„ – მითხრა მან.
მიმოვიხედე, ტყეში ვიყავით, ირგვლივ თვალუწვდენელი, თოვლის სიმძიმით ტოტებდაზნექილი წიწვნარი იყო მხოლოდ.
„აქ იყავ!„ – მომიგდო იაკუტმა და ტყეში გაუჩინარდა.
მარტო დავრჩი
„რა მოუვიდა ცაციას, მოჰკლესნეტავ თუ ცოცხლად შეიპყრეს? ვაი თუ გამცა? – გამიელვა თავში.
„ადექ,წავიდეთ!„ – ხელი წამავლო იაკუტმა.
უცნაური კაცია ეს იაკუტი, როდის მოვიდა რატომ ვერ გავიგე?
წამოვდექი, იაკუტმა ტომარა გადმომცა.
„აქ შაქრის რაფინადია, – მითხრა მან და ტომარა მომაწოდა, – კიდევ 100 კილომეტრი გაქვს გასავლელი, გზაზე გაგიყვან, შემდეგ, კი ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. გახსოვდეთ, დიდი სიფრთხილეა საჭირო. ტაიგიდან ერთადერთი გზა მიდის დასახლებულ პუნქტამდე, იქ თუ ჩააღწიე, შემდეგ არა გიშავს, დასახლებაში ღამით შედი პირველ ქოხში, მარცხნივ ოთხჯერ დააკაკუნებ კარებს

გაგიღებენ, ჩემს სახელს ეტყვი, მოგივლიან, გაგამგზავრებენ. ალბათ გეძებენ უკვე, ფრთხილად იყავი!
„რა სახელს?„
„იაკუტი!„ სხვა სახელი საჭირო არ არის, მომიჭრა მან და წამოდგა, – წავიდეთ გზას გაჩვენებ.
ტომარა ავიღე, უკან მივყევ წინ მიმავალ იაკუტს. რამდენიმე წუთის შემდეგ გზაზე გავედით, იაკუტი შეჩერდა..
„აი შენი გზა!„ – მითხრა მან და წინ გაიშვირა ხელი.
სიბნელეში თეთრად მოჩანდა გატკეპნილი თოვლის ვიწრო ზოლი. იაკუტი შემობრუნდა.
„ახლა ისევ ტყეში შევიდეთ, რამდენიმე საათის დასვენებაა საჭირო„.
უკანვე შევედით ტყეში. სამიოდე მეტრი გავიარეთ და ერთ ბებერ ფიჭვთან შევჩერდით.
იაკუტმა ისევ გახსნა თავისი ტომარი, ვივახშმეთ.
„ვინ არის ეს კაცი, რატომ არაფერს არ მეკითხება? – გავიფიქრე გონებაში და იაკუტს მივაჩერდი. ის მშვიდად აბოლებდა ჩიბუხს.
„იაკუტ!„
მან თავაუღებლივ შემომხედა.
„მითხარი მაინც, ვინა ხარ? თუ გავედი ის მაინც ვიცოდე ვისი მადლობელი უნდა ვიყო„
„საჭირო არაა, ცაციას თხოვნას ვასრულებ! – მითხრა მან, შემდეგ უბე მმოიქექა, – აი ეს ქაღალდი, ცაციამ გადმომცა, როცა ბანაკიდან გავთავისუფლდი, მე ამის არაფერი გამეგება, არ ვიცი რა არის, ცაციას ვუნახავდი, იქნებ შენ გაარკვიო„.
ოთხად გაკეცილი ქაღალდი ჩამოვართვი, მექანიკურადჩავიდე ჯიბეში.
„აბა მე წავედი! ათი წუთის მეტს ნუ დააყოვნებ, შენც წადი! გზა მშვიდობისა!„
იაკუტი წამოდგა, გამოუმშვიდობებლად წავიდა. წავიდა, მაგრამ შორს წასვლა არ ეწერა, ის იყო ტომარი ზურგზე მოვიგდე, რომ იმ მხრიდან საიდანაც იაკუტი თვალს მიეფარა საშინელმა ჭახანმა შესძრა ტაიგის მდუმარება. შევკრთი, შემდეგ ტომარა დავაგდე და იაკუტის კვალს გავეკიდე, ორმოცდაათი ნაბიჯიც არ გამივლია საშინელი სურათი ვიხილე: თოვლისაგან დამძიმებული ცალკე მდგომი მოხრილი ფიჭვი, ვინ იცის, რამდენი წელი, თურმე იმიტომ იმაგრებდა თავს, რომ წაქცევისას იაკუტის სიცოცხლე წაეღო. გადატეხილი ხე თავში დასცემოდა იაკუტს და ქვეშ მოეტანებია. იგიჯერ კიდევ იქნევდა ფეხებს დაკლული ქათამივით. შევეცადე ხისაგან გამენთავისუფლებინა იაკუტის სხეული და როცა ხე გვერდზე გადავათრიე უთავო ცხედარიღა შემრჩა ხელში. დარტყმის ძალას თავი მოეგლიჯა მისთვის.
იაკუტის ასეთ ბედს ჩემთვის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ის იყო წასვლა დავაპირე, ერთმა აზრმა გამიელვა, შევჩერდი, შემდეგ უყოყმანოდ გავიხადე კოლონიაში მიღებული ცხვრის ტყავის ქურქი, სწრაფად გავაძვრე იაკუტს თბილი ბეწვი და ჩემი ქურქი ჩავაცვი. „თუ კვალს მიაგნეს, ძებნას აღარ დამიწყებენ, მგლებისაგან დაძიძგნილ გვამს ვერ ამოიცნობენ„. – გავიფიქრე

თითქმის კმაყოფილებით. შემდეგ უთაო ცხედარი მჭიდროდ მივაბჯინე გატეხილ ხეს და სწრაფი ნაბიჯით გავშორდი იქაურობას.
ორი წუთის შემდეგ ტაიგიდან გაველ და იაკუტის ნასწავლებ გზას დავადექ. აღარ გიყვებით როგორ მივაღწიე დასახლებულ პუნქტამდე. ეს შიმშილის, გაჭირვებისა და არაადამიანური ტანჯვის გრძელი კრიალოსანია. რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა ჩემი სიცოცხლე, მაგრამ ყველაფერი დავძლიე და მშვიდობით მივაღწიე ქოხამდე.
იაკუტი მართალი გამოდგა–მიმიღეს, მომიარეს, მთელი ერთი თვე მათთან დავყავი. როდესაც კარგად მოვმაგრდი, გამახსენდა იაკუტის მიერ გადმოცემული ოთხად დაკეცილი სქელი ნაცრისფერი ფურცელი. გავხსენი, რაოდენ იყო ჩემი გაოცება, როცა ქართულ ენაზე ნაწერი შემრჩა ხელში. ჩვეულებრივი წერილი იყო, პატიმრის მიერ ცოლთან მიწერილი. გამიკვირდა, ნუთუ ცაცია ქართველი იყო? მაგრამ როდესაც ხელმოწერა დავხედე, ყველაფერს მივხვდი. წერილი „პაპაშას„ დაეწერა და სხვათა შორის ცოლს სთხოვდა კარგად მიეღო ბარათის მომტანი, სულ ბოლოს ადრესატის მისამართი იყო მიწერილი. წერილის გადაგდება დავაპირე, მაგრამ არ ვიცი რატომ, გადავიფიქრე და ხალათის ჯიბეში ჩავიდე, ჩემს მასპინძელს ერთხელაც არ უკითხავს ვინ ვიყავი, არც იაკუტის სიკვდილი უდარდია მაინცდამაინც წასვლისას 5000 მანეთი ფული მომცა, გაკვირვებით შევხედე.
„ორივეს წილია, – ამიხსნა მასპინძელმა, – ახლა დიდ ფასი აღარა აქვს ოქროს, ძნელად იყიდება.„
ყველაფერს მივხვდი, აი თურმე რატომ ზრუნავენ ჩემზე. გამახსენდა: გაქცევამდე სამიოდე თვით ადრე „ცაციას„ მიმართ კოლონიაში გამოძიება წარმოებდა ოქროს დამალვაზე, ვიღაცამ დაასმინა. მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, ცაციას ვერაფერი დაუმტკიცეს. ძნელი დასაჯერებელი იყო პატიმარს ოქრო დაემალა. ან რად უნდოდა, რაში შეეძლო მისი გამოყენება? ახლა ისიც ნათელი გახდა, რათ დადიოდა იაკუტი წელიწადში ერთხელ ვეებერთელა ფიჭვთან.
…2 თვის შემდეგ უკვე სამშვიდობოს ვიყავ. ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოსკოვში ჩვენი ხალხისაგან ჩარგიევის სავსებით საიმედო საბუთი ვიშოვე, საცხოვრებლად ამჯერად ტაშკენტი ავირჩიე, ლეგალურად მოვეწყვე ტაქსომოტორის პარკში დისპეტჩერად და ჩემი ხალხის ძებნას შევუდექ. ერთი თვის შემდეგ ნაცადი ქურდების პატარა, მაგრამ საიმედო ჯგუფი შევკარი და ძველ საქმიანობას მივყევ ხელი.
ივანისელმა ტაშკენტში მომნახა, ისე შევხვდით თითქოს გუშინ დავცილდით ერთმანეთს. მალე აზარტულ მოთამაშეთა ბუნაგს მივაგენი, მთელი ღამეები ვთამაშობდით, უწყალოდ ვფცქვნიდი პარტნიორებს.
კარგად ვიცვამდი. თუ ქურდების წრეში არ ვიყავი, ჟარგონის სიტყვას ვერავინ მოისმენდა ჩემგან, ერთი სიტყვით, ეჭვს ვერავინ შეიტანდა ჩემს პიროვნებაში. გასულ წელს ერთ საუკეთესო რესტორანში ბასკაკოვა გავიცანი. წინათ არც ერთ ქალს არ ვიახლოებდი. ბასკაკოვას კი შევეჩვიე, მხოლოდ შევეჩვიე, რადგან შეყვარება უკვე აღარავისი აღარ შემეძლო.

ასე მიდიოდა ჩემი დღეები…
ერთ საღამოს ივანისელი ჩემთან დარჩა ღამის გასათევად, მე უკვე გითხთრით, რომ მას შემდეგ რაც ივანისელმა არ გამიმეტა და ჩემს გადასარჩენად დიდი რისკი გასწია, ისე ვეპყრობოდი თითქმის ძმა ყოფილიყო ჩემი. ისიც გრძნობდა ამას და თავი მოჰქონდა.
რატომღაც ძილი გაგვიტყდა, დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს ჩემი დაჭრის ამბავიც გავიხსენეთ.
ერთი გამაგებინე, რას მივაწერო მაშინდელი შენი თავგანწირვა?„ – ვკითხე ივანისელს.
მან დაკვირვებით შემომხედა.
„შენ შეგიძლია არ მიპასუხო, – გავაგრძე მე, – მაგრამ თუ მეტყვი, მხოლოდ მართალი უნდა მითხრა.
„კეთილი, – მიპასუხა ივანისელმა, – მაგრამ მხედველობაში იქონიე, რომ ეს საუბარი შენ თვითონვე წამოიწყე, მე არაფერი მიკითხავს და არც ახლა მაინტერესებს ვინა ხარ ან რა გვარს ატარებ სინამდვილეში„.
ივანისელის პასუხმა გამაკვირვა.
„განა რაიმე ურთიერთობა აქვს ჩემს წარსულს შენს მოქმედებასთან?„ – მივუგე განცვიფრებით.
„მე ეგ არ მითქვამს. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, სრულიად არა ვარ დაინტერესებული ისეთი რამ გავიგო შენი წარსულიდან, რისი თქმაც შენ არა გსურს.„
„სახელდობრ?„
„აი თუნდაც რა ეროვნებას ეკუთვნი, გყავს მშობლები, და–ძმა ან…„
„მე სრულიადაც მარტო ვარ ამ ქვეყნად. რაც შეეხება ჩემს ეროვნებას აქ არავითარი საიდუმლო არ არის, მე მგონი შენც იცი ჩერქეზი ვარ. თუმცა არ მესმის რა მნიშვნელობა აქვს ამას შენთვის. იმის თქმას ხომ არ აპირებ, რომ ქართველი გეგონე და ამიტომ არ გამიმეტე სასიკვდილოდ?„
„რა თქმა უნდა არა, თუმცა ასეც რომ იყოს, შენც იცი, ეგ ვერ შემაკავებდა გამეკეთებინა ის, რასაც შენც ჩაიდენდი ჩემს ადგილზე, მაგრამ ჩემს წარსულში არის ერთი ეპიზოდი, რამაც მაიძულა ტრადიციისათვის მეღალატა და ნაცვლად იმისა, ტყვია დამეხალა შენთვის, რისკი გავწიე და გადაგარჩინე.„
თუმცა ივანისელზე დიდი გავლენა მქონდა, ქურდობის დაუწერელ კანონს მტკიცედ ვიცავდი, ეს კანონი უფლებას არ აძლევდა ივანისელის წარსულით დავინტერესებულიყავ.
ივანისელი მიხვდა ჩემი სიჩუმის მიზეზს, ჩაიცინა.
„მე ეს ეპიზოდი იმიტომ ვახსენე, რომ მან ჩემზე დიდ გავლენა მოახდინა და ცოტაც რომ დამცლოდა, იქნებ ქურდობაზეც ამეღო ხელი. თუმცა ისე კი არ გამიგო ვნანობდე. – არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჩემი წარსულის ამ პატარა ნაწყვეტმა იმ მომენტში, როდესაც შენ წაიქეცი და მილიცია სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯში იყო, მაიძულა გადამერჩინე ან შენთან ერთად ჩავვარდნილიყავ.„
„მაინც რა იყო ასეთი?„ – დამძლიაცნობის წადილმა.

„გეტყვი„. – ივანისელი ჩემსკენ გადმობრუნდა და სიბნელეზე კვე შეჩვეული თვალით შევამჩნიე როგორ იღიმებოდა იგი.
„დიდი ხნის წინათ, – დაიწყო მან, – ერთ კოლონიაში ვიჯექი, რუსეთის შორეულ მხარეში, ვინ გინდა რომ იქ არ იჯდა, მაგრამ უმეტესობა მაინც ჩვენი ხალხი იყო. შენც იცი კოლონიაში ცოტა როდია ისეთი, რომელიც იოლად ეგება აგიტაციის ჩანგალს და კოლონიის ადმინისტრაციის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, აღზრდილი უბრუნდება საზოგადოებას. ჩემზეც სცადეს ეს ხერხი, მაგრამ შენც ხედავ რა გამოვიდა აქედან.
კოლონიის ადმინისტრაცია მალე დარწმუნდა, ჩემგან „კომისარი„ არ გამოვიდოდა, მაგრამ თავი მაინც არ დამანებეს და დაჟინებით ცდილობდნენ მოვერჯულებიეთ. ერთხელ, ბარაკში ოციოდე პატიმარი მოიყვანეს, მათ შორის ორი ქურდი. დიდ ხანი არ გასულა, რომ ახლად მოსულებმა რამდენიმე ქურდი გადაიბირეს და შეეცადნენ სხვა ქურდების დამორჩილებას. მათი ცდა ჩხუბითა და დანების ტრიალით დამთავრდა. ერთი ახალმოსული გამოშიგნეს. ამას შედეგად რამდენიმე ქურდის ხელახლა გასამართლება და სასჯელზე სასჯელის დამატება მოჰყვა. თუმცა ჩხუბის დროს მებარაკში არ ვყოფილვარ და დღემდე არ ვიცი ვინ ჩაიდინა მკვლელობა. რატომღაც სხვებთან ერთად მიმცეს პასუხისგებაში და ალბათ სასჯელსაც ვერ ავცდებოდი, რომ ერთ გარემოებას არ ეთამაშა გადამწყვეტი როლი: ჩვენს კოლონიაში სასჯელს იხდიდა ერთი ქართველი კაცი, რომელზედაც პატიმრები ერთმანეთის საწინააღმდეგო, მაგრამ მაინც საინტერესო ამბავს ყვებოდნენ. ერთნი ამბობდნენ, რომ ის მეცნიერი იყო და დაპატიმრებამდე დიდი თანამდებობა ეჭირა, სხვები ლაპარაკობდნენ, მან რაღაც მანქანა გამოიგონა დასაზღვარგარეთ გაყიდა, ზოგიერთის თქმით კი ის არავითარი მეცნიერი და გამომგონებელი არ იყო და ჩვეთან მხოლოდ გაფლანგვისთვის იჯდა. თვით ის პატიმარი არავის უხსნიდა გულს, სხვებივით მუშაობდა და ყველასთან ერთნაირ დამოკიდებულებაში იყო, არც უახლოვდებოდა დარც გაურბოდა ვინმეს. ხანდახან საღამოს დაგვიჯდებოდა, ახალგაზრდა პატიმრებს გვესაუბრებოდა და გვარიგებდა ხელი აგვეღო ქურდობაზე. საოცარი ის იყო, რომ მას არავინ არ თვლიდა ადმინისტრაციისაგან გამოგზავნილ კაცად და თუმცა აგიტაციას გავურბოდით, სიამოვნებით ვუსმენდით ხოლმე. ამ პატიმარს ვიღაცამ „უპარტიო კომისარი„ შეარქვა და მთელი ლაგერი ამ სახელით იცნობდა.
აი სწორედ ეს „კომისარი„ გამოვიდა მოწმედჩემს საქმეზე და იმდენი იბრძოლა, იმდენი წერა და იარა კოლონიის უფროსთან, რომ ბოლოს ჩემს მიმართ საქმე მოსპეს და კარცერიდან გამიშვეს. მე ახლაც არ ვიცი როგორ მოახერხა მან პატივისცემა ჩაენერგა ყველა პატიმრისათვის და კოლონიის ადმინისტრაციისათვის, მაგრამ ყველა ვხედავდით, რომ ერთნიც და მეორენიც პატივისცემით ექცეოდნენ.
ჩემი კარცერიდან გამოსვლის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, მკვლელობის ჩამდენი ქურდები გაასამართლეს და სხვა კოლონიაში გაგზავნეს, ხოლო ჩვენს კოლონიაში მყოფი ქურდებიდან ვიღაცამ ხმა გაავრცელა, ბიჭები ფირუზამ

ჩააგირავაო. ჭორი ბევრმა დაიჯერა, რადგან მე ჩემდაუნებურად დავუახლოვდი „უპარტიო კომისარს„ და მასთან ერთად ვიძინებდი ტახტზე.
როგორც შემდეგ გამოირკვა ეს გარემოება ქურდებმა ღალატად მიიჩნიეს და სიკვდილი გადამიწყვიტეს. ერთ ღამეს მე და „კომისარი„ ბარაკის ეზოში ხის ქვეშ ვიჯექით და ჩვეულებრივად ვსაუბრობდით. უნდა გითხრა ის ისეთი კაცი იყო, რომ ვისაც ერთხელ მაინც გაესაუბრებოდა, თავის გავლენის ქვეშ მოაქცევდა უთუოდ. მეც ასე დამემართა და ვგრძნობდი, რომ კიდევ ცოტა ხანიც და უეჭველადჩამომაშორებდა ქურდებს. მინდოდა თავი დამეღწია ჩემი საქმიანობისათვის, მაგრამ ვერ ვახერხებდი. იმ ღამით პირველად გავბედე მეკითხა, რატომ იყო დაპატიმრებული. მან მწარედ გაიღიმა, ბავშვივთ გადამისვა თავზე ხელი და ნაღვლიანად მითხრა: მე, მძიმე, ძალზე მძიმე დანაშაულისათვის ვარ დასჯილი, თუმცა ის რასაც მაბრალებენ არასოდეს ჩამიდენია, ჩემო შვილო„ შემდეგ წამოდგა, ბარაკისაკენ წავიდა, მეც უკან გავყევი, ბარაკიდან ასიოდე ნაბიჯზე სამი პატიმარი შემოგვეყარა. ჩვენ გვერდის ავლა დავაპირეთ, მაგრამ ისინი წინ გადაგვიდგნენ და შეუვალი ხმით მოითხოვეს ცოტა ხნით გვერდზე გავყოლოდი. მე მზად ვიყავი შემესრულებია მათი მოთხოვნა, მაგრამ კომისარმა ხელი მტაცა, წინ ამეფარა
„რა გინდათ ამ ბავშვთან?„ – შეეკითხა მათ მკაცრად.
„შენ გვერდზე მიდექ, უპარტიო კომისარო, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფ„ – უთხრა ერთმა მათგანმა.
„ქურდების საქმეში ნუ ერევი, თავს წააგებ„ – მიახალა მეორემ.
„ეხლავე გზიდან მოგვეცალეთ!„ – შეუტია ჩემმა თანმხლებმა. იმავე წამს სამმა დანამ იელვა, მაგრამ „კომისარი„ ლომივით დატრიალდა და ვიდრე მე გონს მოვიდოდი, სამთავე თავდამსხმელი ცხვირპირ დასისხლიანებულები ეყარნენ მიწაზე. ეს ამბავი ჩემი თხოვნით კომისარს არავისთვის გაუმხელია, მაგრამ ამის შემდეგ იგი გვერდიდინ არ მიცილებდა და შვილივით მფარველობდა.
რამდენიმე ხნის შემდეგ ორთავე სხვა კოლონიაში გადაგვიყვანეს. ექვსი თვის შემდეგ კი იგი ავად გახდა ტიფით. ორი ღამე ტანზე არ გამიხდია, არც დავწოლილვარ ერთგულ ლალასავით ვადექი თავზე, ექიმიც არ აკლებდა ზრუნვას და წამალს, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა იგი გარდაიცვალა„ – დაამთავრა ივანისელმა.
მე უინტერესოდ ვუსმენდი ივანისელს. ჩემთვის არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ამ „უპარტიო კომისრად„ წოდებული კაცის თავდადებას და კაცთმოყვარეობას და მოუთმენლად ველოდი როდის იტყოდა ივანისელი იმას, რაც მე მაინტერესებდა, მაგრამ ივანისელი დუმდა და სიბნელეში პაპიროსის შუქის გაელვებაზე ვხედავდი როგორ მისჩერებოდა ჭერს.
„მერე–დავარღვიე მე დუმილი, – შენც კომისარს მიბაძე? – შევეკითხე დაცინვით.
ივანისელი წამოჯდა, დიდხანს დაჟინებით მომაცქერდა.
„არა, მათე. არავითარი წაბაძვის სურვილი არ მქონია, საქმე იმაშია, რომ ის კაცი, ის „უპარტიო კომისარი„ და შენ… გაჭრილი ვაშლივით გევხართ ერთმანეთს.„

ენერგიის უდიდესი დაძაბვა დამჭირდა, რომ ტახტიდან არ წამოვჭრილიყავ, გულმა საშინლად დამიწყო ძგერა და უეცრად მოწოლილმა სისხლმა ჩაქუჩივით დამკრა საფეთქელში.
„მე მგავდა? რა სისულელეა! – წარმოვთქვი რაც შეიძლება მშვიდად, – რა გვარი იყო ის შენი „უპარტიო კომისარი?„
„გვარი და სახელი არ მახსოვს, დიდ ხნის ამბავია, ხოლო მსგავსება კი მართლაც ძალზე დიდია„.
„ეგ სისულელეა, ფირუზ, მე საქართველოში არავინ არა მყავს, მაინც რამდენი წლისა იქნებოდა ის შენი კომისარი?„
„წლოვანებას ვერ გეტყვი, ასე 50 წლისა მაინც იქნებოდა: გამოტეხილად უნდა გითხრა, რომ თუ მისი სიკვდილი არა, მე ახლა სულ სხვა ვიქნებოდი დღეს.„
„სისულელეა! თუმცა ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, – მივუგე მე და შემდეგ სიცილით დავუმატე: – ასეა თუ ისე მე მაინც მადლობელი ვარ იმ ჩემი მსგავსი „კომისრისა„, რომელმაც, როგორც ჩანს, დიდი სამსახური გამიწია და სიკვდილს გადამარჩინა. შენ ნუ დარდობ, „კომისარი„ უეჭველად სამოთხეში მოხვდებოდა, ღმერთს უყვარს ასეთი ხალხი და ჯოჯოხეთს მათი მიღებით სიამოვნებას არ მიანიჭებს„.
ივანისელმა არაფერი მიპასუხა, ცოტა ხნის შემდეგ წაეძინა კიდეც. მან კი დაიძინა, მაგრამ მე ახლოსაც არ გამკარებია ძილი. ქართველი, მეცნიერი, დიდი თანხების გაფლანგველი„, – ლურსმანივით ჩამეჭიდა თავში ივანისელის ნათქვამი. „იქნებ მამჩემი იყოს?„ – ამეკვიატა ეს აზრი და მოსვენება დავკარგე. ის ღამე თეთრად გავათენე, მაგრამ აკვიატებული აზრი შემდეგ დღეებშიაც ვერ მოვიშორე.
„რა სისულელეა! – ვპასუხობდი ჩემს თავს, – ჩემს მშობლებს დახვრეტა მიუსაჯეს და დახვრიტეს კიდეც. დახვრეტა მისჯილს ციხეში აღარ აჩერებენ, ხოლო სასჯელი რომ შეეცვალათ, დეიდაჩემი უეჭველად გაიგებდა. ცხადია ისინი დახვრიტეს, მორჩა და გათავდა! მორჩა და გათავდა!„
მაგრამ არ მორჩა და არც გათავდა, ეჭვი ჯერ მატლივით ჩამიჯდა გულში, შემდეგ თანდა თან გაიზარდა და ბოლოს სრულიად დამიმორჩილა.
პაპიროსის ბოლში გახვეული თეთრად ვათენებდი ღამეებს. ძილი შემძულდა, ჩავთვლემდი თუ არა, სიზმრები მაწვალებდა. თითქმის ყოველ ღამეს მესიზმრებოდა მშობლები, ჩვენი ბინა თბილისში, ელდისაგან უეცრად დაბერებული დედა და გაფითრებული მამა. ნაძალადევი სიმშვიდით რომ მიყვებოდა ჩეკისტებს. სრულიად მომეშალა ნერვები, გავხდი, თვალები ჩამიცვივდა, სულ ცოტა რამე მყოფნიდა წონასწორობის დასაკარგავად. ბოლოს ისე გამაღიზიანა ამ ამბავმა, რომ მეშინოდა ჭკუიდან არ შევშლილიყავ.
ერთ ღამეს გვიან დავბრუნდი ოთახში, გაუხდელად მივეგდე საწოლზე და უაზროდ მივაჩერდი ჭერს. ფიქრებმა წამიღო. მომაგონდა 10 იანვარი, უკანასკნელი 10 იანვარი ჩემი ბედნიერი ბავშვობისა. გაჩახჩახებული ოთახი, მხიარული სტუმრები, ბედნიერი დედ–მამა, სკამებს შორის ქურციკივით მოხტუნავე თვალებფოფინა ეკა, ციალა… შემდეგ ჩეკისტები, მშობლების წაყვანა,

მამის თბილი გამოხედვა. „მისმინე თამაზ, რაც არ უნდა მოხდეს, გახსოვდეს, მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის„ – მომესმა გარკვევით. გიჟივით წამოვვარი
დი მთელი სხეული მიცახცახებდა, კარადას ვეძგერე, კონიაკის ბოთლი მოვიყუდე და სულმოუთქმელად დავცალე… ის ღამეც თეთრად გავათენე, მეორე დღეს კი მტკიცედ გადავწყვიტე, თბილისში წავსულიყავ, ივანისელი ცას ეწია სიხარულით.
„თბილისი კარგი ქალაქია, საკმაოდ დიდი, ჩვენი ხალხაცი არის, ჯერ ვერ მოსპეს ლეგავებმა გაიცნობ, იქნებ ორიოდე საქმეც წავიღოთ და მერე მოვუსვათ ოთხივე კუთხივ„ – მითხრა მან მხიარულად.
მწარედ გამეცინა. რა იცოდა ივანისელმა თუ თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქი იყო და პირველი ნათლობაც იქ მქონდა მიღებული.
გადაწყდა, მეორე დღეს ორთვიანი შვებულება ავიღე და თვითმფრინავში ჩავჯექი. ტანიასათვის მე წყალტუბოში მივდიოდი, ივანისელი კი ცალკე უნდა წამოსულიყო და სასტუმრო „თბილისში„ მოვეძებნე. ტანია ჯერ არ მიშვებდა, მაგრამ შემდეგ დამთანხმდა იმ პირობით, რომ 4 კვირის შემდეგ ისიც წამოვიდოდატ და ერთმანეთს წყალტუბოში შევხვდებოდით.
თბილისში 16 დეკემბერს ჩამოვედი. სასტუმრო „თბილისში„ დავბინავდი, სადაც ასე სტუმართმოყვარულად მიმღეს ამ რამდენიმე წლის წინათ. მალე უცხო ფრანტივით გამოწყობილი ივანისელიც მეწვია. მისალმებაც არ ვაცალე, წავეჩხუბე, მის ასეთ თავისუფალ მოსვლას შეიძლებოდა ორივე ჩვენგანის დაღუპვა მოჰყოლოდა.
სწრაფად გავისტუმრე და ვუბრძანე, 4 დღის შემდეგ მოსულიყო, ისიც ღამით. მეორე დღესვე რომელიღაც იურიდიული კონსულტაცია მოვძებნე, ვიკითხე სად და როგორ შეიძლებოდა გამეგო ჩემი მშობლების საქმე და იმავე დღესვე სათანადო განცხადებით უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარესთან შევედი. პასუხისათვის ხუთი დღის შემდეგ დამიბარეს, მაგრამ წასვლა აღარ დამჭირდა, სწორედ მესამე დღეს სასტუმროში ადმინისტრატორმა პაკეტი გადმომცა. დავხედე თუ არა საფოსტო შტამპს, ყველაფერს მივხვდი, პაკეტი უმაღლესი სასამართლოდან იყო. სწრაფად წავახიე კონვერტს თავი და მოუთმენლად გავშალე ღერბიანი ფურცელი. თვალები ამიჭრელდა, ძლივს ჩავიკითხე მოკლე ცნობა და მოწყვეტით დავეშვი სკამზე.
„რა მოგივიდათ, ცუდად ხომ არ გახდით?„ – მომესმა შეშფოთებული ხმა. გამოვერკვიე, ადმინისტრატორი ქალი თანაგრძნობით შემომცქეროდა.
„არფერია, ახლავე გაივლის!„ – ამოვილაპარაკე და ძლივს წამოვდექი.
ძლივს მივაღწიე ჩემს ოთახამდე. საწოლზე გაუხდელად მივეგდე და ხელთშერჩენილი ფურცელი ხელმეორედ გავშალე, წავიკითხე, მეორედ, მეხუთედ…
საეჭვო არაფერი იყო.
მოკლე ცნობით მატყობინებდნენ, რომ ჩემი მშობლების მიმართ საქმე წარმოებით იყო შეწყვეტილი და ორთავენი, სიკვდილის შემდეგ, რეაბილიტირებულნი. „მათ

მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო!„ – ჩაქუჩივით მცემდა თავში ცნობიდან ამოკითხული სიტყვები და გაგიჟებას ალბათ არაფერი მაკლდა. ათასწილ მნრჩია მკვდარი ვყოფილიყავ, ან ასეთი ცნობა არ მიმეღო. თავზარს მცემდა იმის ფიქრი, რომ მეც სხვებივით და იქნებ ყველაზე ადრეც, დავიჯერე ჩემი მშობლების დამნაშავეობა და ერთხელაც კი, ვიდრე შავ ნაპრალში ჩავიჩეხებოდი, შებრალება არ მიგვრძვნია მათ მიმართ, არ დამნანებია მათი სიკვდილი.
„ღმერთო, ღმერთო!„ – წამოვიძახე სასოწარკვეთილმა და იმ წუთასვე ფეხზე წამოვიჭერ.
„ჯანდაბას ღმერთი, ის არასოდეს ყოფილა! თუ არა, ასეთ ბოროტებას არ დაუშვებდა. მე თვითონ ვარ ჩემი თავის ღმერთიც, ხატიც და ამას იმით დავამტკიცებ, რომ შურს ვიძიებ! შურს ვიძიებმეთქი ყველაფრისათვის: დედის, მამის, პატარა ეკას და ჩემი მიზეზით საფლავში ნაადრევად ჩაწოლილ დეიდა თამარისათვის, ჩემი დაღუპული სიცოცხლისათვის, ყველა ბოროტებისათვის რაც ამ 20 წელის განმავლობაში ჩამიდენია!„ – ვიბღავლე მუშტმოღერებით და ცოფიანივით დავიწყე სირბილი ოთახში.
„მერე ვისზე, ვისზე გინდა იძიო შური?„ – ჩამძახა ვიღაცამ და შევჩერდი. მოვიხედე – ოთახში თმააბურძგნული, გაფითრებული და ტუჩებდასისხლიანებული, ვიღაც უცნობი შემოსულიყო, ბოროტი თვალებით მომჩერებოდა.
„შენ კიდევ ვინა ხარ!„ – შევძახე გაშმაგებით და გამეტებით ვკარი ფეხი მუცელში. ზრიალით დაცვივდა ჩამსხვრეული სარკე… გამოვერკვიე – კარადის წინ ვიდექი, უცნობი აღარსად იყო. ცოტა ხანს გაოგნებული შევყურებდი გამოშიგნულ კარადას, შემდეგ იატაკზე დავეცი და ავტირდი. ავტირდი, როგორც ბავშობისას, ხმიანი ზლუქუნით. მივხვდი, ჩემი მუქარა ცარიელი სიტყვები იყო მხოლოდ, გულ ვერ მოვიოხებდი, ჯავრს ვერ ამოვიყრიდი, რადგან აღარავინ იყო შურსაგები.
როდესაც გამოვერკვიე კარგად გათენებული იყო. მეძინა? გულწასული ვეგდე? – არ ვიცი… მხოლოდ ეს იყო, უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე მომივიდა გულის შეტევა. შეიძლება ახლაც ასეთი რამ დამემართა. ძლივს ავითრიე დაჟეჟილი სხეული და საწოლზე მივეგდე. საღამომდე არ გავნძრეულვარ, პაპიროსს პაპიროსზე ვეწეოდი ვაბოლებდი და უაზროდ შევცქეროდი ჭერს. საღამოს ივანისელი მოვიდა, უხალისოდ მივიღე.
„ვაა, რა ფერი გაძევს, ავადა ხარ?„ – შემეკითხა გაკვირვებით.
„არაფერია, არაფერი, ისე უქეიფოთა ვარ„ – მივუგე ნაძალადევად.
ივანისელმა იჭვნეულად შემომხედა, შემდეგ იატაკზე გადაიტანა მზერა, სადაც დაფშვნილი სარკის ნატეხები ეყარა.
„უქეიფოთ ვარ – მეთქი, არ გესმის? რა შტერივით მიყურებ!„ – შევუტიე გაბრაზებით.
„ვაა, რას ცხარობ, გკითხე, ხომ არაფერი დამიშავებია!„
შემრცხვა.

„ჰო, კარგი არ გეწყინოს„ – ვუთხარი მეგობრული ტონით.
ივანისელმა გაიღიმა.
„არ ადგები?„
„არა, ვერ ავდგები. შენც წადი, დასვენება მინდა. ხვალ საღამოს გამოიარე, მანამდე მეც კარგად გავხდები„ – ვუთხარი თითქმის ხვეწნით.
ივანისელი წავიდა.
ის ღამეც თეთრად გავათენე, უღონო ბრაზი მახრჩობდა, ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებულს, არ ვიცოდი რა მექნა, ვისზე გადმომენთხია გულში დაგროვილი ბალღამი.მთელი ღამე ხან მშობლები, ხან კიდევ დეიდა თამარი მედგა თვალწინ და მოსვენებას ვერ ვპოულობდი.
„როგორ მოხდა, რატომ დავიჯერე?„ – მეასედ ვეკითხებოდი ჩემს თავს.
„იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო არ დაეჯერებინა„ – მეასეჯერვე მპასუხობდა იდუმალი ხმა და ბოღმა მერეოდა.
…„მაშ თუ გინდა სადგურზე წადი ბარგს წაუღებ ვისმეს,თოკს მე გათხოვებ„, – ამოტივტივდა გონებაში ერთ დროს არტაშას ნათქვამიც და ბრაზი წამეკიდა „იქნებ არც კი გავყოლოდი რუბენას გზას ადამიანებს რომ ხელი არ ეკრათ და უფსკრულის წინ მდგარი ნაპრალში არ გადავეჩეხეთ!„ – წარმოვთქვი მწარედ.
ამ აზრმა კიდევ უფრო გამაბოროტა, მთელი ჩემი უბედურება ადამიანებს დავაბრალე და თითქმის სიამოვნებით გავიხსენე რაც 20 წლის მანძილზე ბოროტება ჩამედინა. დავმშვიდდი კიდეც.
„მაშ თუ ასეა, „საშკა ჩერქეზი„ კიდევ ბევრჯერ შეგახსენებთ თავს, კიდევ ბევრს აატირებს და გაამწარებს. თქვენივე ხელით გამოძერწილი ავაზაკი. დანდობა არ იქნება, არც შებრალება!„ – დავასკვენი ბოლოს.
ფარატინა ქაღალდმა, რომელიც უმაღლეს სასამართლოდან მივიღე ჩემში ჩაკლა ადამიანური გრძნობის ის მცირე ნატამალიც, ციალასთან შეხვედრამ რომ ჩამინერგა ამ რამდენიმე წლის წინათ.
თბილისთან უკვე აღარაფერი მაკავშირებდა. ტანიას ჩამოსვლამდე 7–8 დღეღა იყო დარჩენილი, გადავწყვიტე მისთვის დამეცადნა და უკანვე დავბრუნებულიყავ ტაშკენტში, სადაც ასე კარგად ვიყავი მოწყობილი. მაგრამ ვიდრე თბილისიდან წავიდოდი, გადავწყვიტე გამეგო როგორ მოხდა, ჩემს მშობლებს ასეთ მძიმე დანაშაულში დასდეს ბრალი, დახვრიტეს და შემდეგ მათ მიმართ საქმე მოსპეს?
უმაღლეს სასამართლოდან მიღებულ ცნობაში ამ კითხვის პასუხი ვერ ვიპოვნე. გადავწყვიტე ისევ ის ადვოკატი მენახა.
„საჭიროა საქმის გაცნობა„ – მითხრა მან.
იმ დღესვე ადვოკატის სახელზე ორდერი გავაფორმე, უმაღლეს სასამართლოს მივადექი და არქივიდან მრავალტონიანი საქმე მივიღეთ. მას სამი დღე ეცნობოდა ჩემი ადვოკატი, მეოთხე დღეს კი თვალწინ გადამიშალა მთელი მისი შინაარსი. განსაკუთრებით მამაჩემის დაღუპვის მიზნით გულდაგულ მოექსოვათ ბოროტების ქსელი.

მამა დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის უფროსად მუშაობდა თბილისში. ჯერ კიდევ ადრე, სანამ მამაჩემს ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ შემთხვევით მოვისმინე მშობლების საუბარი და გავიგე, რომ მამას ადგილზე ვიღაც სევერიან დოლიძე უნდა დაენიშნათ, მაგრამ ბოლოს მამაჩემის კანდიდატურას გაემარჯვნა, დოლიძე კი მოადგილედ დაუტოვებიათ. ამით ძალზე განაწყენებულა დოლიძე და თუმცა ის არ ამჟღავნებდა, მოსისხლე მტრად გადაკიდებია მამას.
მშენებლობაზე სამეურნეო დარგსა და კადრებს დოლიძე განაგებდა. მამა თითქმის არ ერეოდა ამ საკითხში. ჰოდა, დოლიძეს, ბუხჰალტრად და მომარაგების უფროსად ისეთი ხალხი დაესვა, რომლებიც პირად გამდიდრებასა და სახელმწიფოს ხარჯებზე ჯიბის გასქელებაზე ფიქრობდნენ როგორც ჩანს, დოლიძემ გაითვალისწინა, რომ მამაჩემი სუსტად ერკვეოდა საფინანსო საკითხებში და გადაწყვიტა სწორედ ამ სისუსტით ესარგებლა, სულ რაღაც 8–10 თვის მანძილზე მშენებლობაზე მოკალათებულმა ნაძირალებმა რამდენიმე ასეული ათასი მანეთის გაფლანგვა შესძლეს. როდესაც საქმე გაიხსნა, თანხის უშუალო დამტაცებლებმა უყოყმანოდ დაადვეს ხელი მშენებლობის უფროსს. მამაჩემმა, ცხადია უარყო ბრალდება, მაგრამ მას მაშინვე წარუდგინეს საბანკო ჩეკები, რომლებზედაც ხელი ჰქონდა მოწერილი. მამაჩემმა უარყო ხელწერაც, მაშინ მას უჩვენეს კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნა, სადაც კატეგორიულად იყო მითითებული, რომ ხელწერა მხოლოდ მამაჩემის მიერ იყო შესრულებული.
ბოროტმა ადამიანებმა არ დედაჩემი დაინდეს: საქმე იმაშია, რომ მამაჩემის მივლინებაში ყოფნისას, დედას რამდენჯერმე მიეღო პაკეტით უშუალოდ მოლარისაგან მამის კუთვნილი ხელფასი ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე, როდესაც საჭირო გახდა, ყალბის მქნელებმა ეს ფაქტი გამოიყენეს და განაცხადეს, თითქოს დატაცებული თანხის ნაწილი დედაჩემს მიეღო. პაკეტის გადაცემა დოლიძის რჩევით სხვა პირთა თანდასწრებით ხდებოდა და მოწმეებმა, რომლებმაც არ იცოდნენ რა თანხა იყო კონვერტში, ცხადია დაადასტურეს ფაქტი. დოლიძე ამ საქმეში მშრალი გამოვიდა და რაც მთავარია, არა მარტო შეძლო საძულველი ადამიანების თავიდან მოშორება, არამედ უფროსის სავარძელში მოკალათა.
ჩემი მშობლები გაასამართლეს და ყალბი ბრალდებით სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა შეუფარდეს.
შემდეგ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დახვრეტა ათ–ათი წლის პატიმრობით შეუცვლია და სასჯელის მოსახდელად შორეულ კოლონიაში გაუშვიათ.
სამი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასამართლოს განაჩენი დაურღვევია და საქმე ხელახლი ძიებისათვის გადაუცია. ახალ გამომძიებელს თითქმის წელიწადი უმუშავია საქმეზე და ბოლოს სრული სიმართლეც დაუდგენია. 3 წლის შემდეგ გამოირკვა, როგორ მოახერხა დოლიძემ ფაქტების ფალსიფიკაცია, დადგინდა ისიც, რომ მშენებლობის ბუღჰალტერი მისი ნათესავი იყო. ექსპერტი კალიგრაფიც ამ ბოროტსა და კარიერისტ ადამიანს მოესყიდა.

გაფითრებული ვუსმენდი ადვოკატს, რომელიც წყნარი ხმით კითხულობდა დოლიძის ჩვენებას, მის დაპირისპირებას კალიგრაფ–ექსპერტთან, ბუხჰალტერთან, მომარაგების განყოფილების უფროსთან, მოლარესთან… ვისმენდი როგორ ურცხვად ყვებოდა ჩადენილ საშინელ ბოროტებას… ადამიანთა სიმართლეს დააგვიანდა… ადვოკატმა ნაღვლიანი ხმით წაიკითხა ბანაკის ადმინისტრაციის ცნობა მამაჩემის ტიფით გარდაცვალების შესახებ… მაშ ასე, ივანისელი სწორი აღმოჩნდა, მამაჩემმა მის ხელში დალია ტანჯული სული… დედაჩემი კოლონიიდან თბილისში გადმოეყვანათ, მაგრამ პატიმრობიდან განთავისუფლება ვეღარ მოესწროთ, გაეგო თუ არა თავისი ქმრის უდანაშაულობა და მეუღლის გარდაცვალება, დამბლა მოსვლოდა და ისიც გარდაცვლილიყო.
„დოლიძეს სასჯელი მოხდილი აქვს?„ – ვკითხე ადვოკატს.
მან გაკვირვებით შემომხედა.
„დოლიძემ ის მიიღო, რაც დაიმსახურა, – მიპასუხა წყნარად, შემდეგ საქმეში ჩაკრულ დაუწებავ კონვერტიდან ქაღალდი ამოიღო, – წაიკითხეთ!„ – დასძინა. ქაღალდი ჩამოვართვი, რამდენიმე სტრიქონი იუწყებოდა, დოლიძისა და მისი ორი თანამონაწილის მიმართ შეფარდებული სასჯელის უმაღლესი ზომა სისრულეში იყო მოყვანილი.
სიბრაზისაგან ავცახცახდი, აქაც ხელი მომეცარა. შურიც სხვამ იძია და მე იმის საშუალებაც დავკარგე, დავმტკბარიყავი როგორ აკანკალდებოდა უბადრუკი ადამიანი სიცოცხლესთან განშორების უკანასკნელ წუთებში…
ახლა ივანისელი იყო ერთადერთი კაცი, რომლის მიმართაც რაღაც სიფბო მაინც მქონდა გულში. თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს, მეორე დღეს დაწვრილებით ვაამბობინე მამაჩემის უკანასკნელ დღეებზე. ივანისელმა გაიხსენა როგორ ეთქვა მამაჩემს: შენზე რამდენიმე წლით უფროსი ვაჟი და პატარა გოგონა მყავსო„ და მათ ხსენებაში დაელია სული. ახლაც არ ვიცი როგორ, მაგრამ მაინც მოვახერხე არ დამეეჭვებინა ივანისელი ჩემს ვინაობაში. ორი დღე სასტუმროდან არ გამოვსულვარ, შემდეგ თითქმის დავმშვიდდი, მდგომარეობას შევეგუე. მესამე დღეს გვიან ღამით ივანისელი მოვიდა, თანკიტოვანი მოიყვანა.
„ჩვენი კაცია, საქმე აქვს, მოუსმინე! – მითხრა მან და შემდეგ კიტოვანს მიუბრუნდა: – უთხარ ჩოფურ…„
ჩოფურამ მოკლედ მოსჭრა…
„ბარახლო არ იყიდება, უფრო სარისკოა, მე აქ ერთი საქმე ვიფიქრე, თუ მოგეწონება შეიძლება გავაკეთოთ. საჭიროა…„
„მოკლედ მოსჭერი, რა საქმეა?„ – შევაწყვეტინე ცივად.
კიტოვანმა გაკვირვებით შემომხედა.
„რას მიყურებ, თქვი და გაათავე! რაკი ჩემთან მოსულხარ, საქმე თქვი, გავაკეთებთ თუ არა ჩემი საქმეა, მე გადავწყვეტ!„ – შევუტიე შემკრთალ კიტოვანს.
ივანისელმა ცივად გაიცინა.
„ასე..„ – ჩაილაპარაკა წყნარად.
კიტოვანი ალბათ მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე.

„ქუთაისის საიუველირო მაღაზია უნდა წავიღოთ!„ – მოსჭრა მოკლედ და დაუმატა: ყველეფერი მზადა მაქვს, მხოლოდ ეს არის, ბინა ვერ შევიგულეთ, პატარა ქალაქია, ჩვენი ხალხი ძირიანად მოსპეს„.
„ქუთაისის?„ – შეეკითხე გაკვირვებით და პაპაშას წერილი გამახსენდა.
„ჰო, ქუთაისის – დამიდასტურა კიტოვანმა, – რა, გაგიკვირდა?„
„არა, ბინას კი ვიშოვით…„
„როგორ?„
პასუხის ნაცვლად ჩემოდნიდან წერილი ამოვიღე და უხმოდ გადავეცი.
კიტოვანმა გაოცებით შემომხედა, შემდეგ წერილი გადაიკითხა.
„ვა, პაპაშა, ჩემი ოსტატი? მე მეგონა უკვე გაასაღეს მეთქი, ხედამ ცოცხალი ყოფილა, – გადაიხარხარა მან, – სად არის?„ – დაუმატა მოგვიანებით.
„კოლონიაში„.
კიტოვანმა ისევ გადაიკითხა წერილი.
„ვაა, ინჟინერიო? ვის ინჟინრებში მიეცა საქმე?„
„ეგ საინტერესო არ არის, არც საქმეს შეეხება, – მივუგე მე, – წაიღებ წერილს?„
კიტოვანი წამით ჩაფიქრდა.
„პაპშას ვიცნობ, ძველი ქურდია, საქმეც გაგვიკეთებია ერთად, მაგრამ ცოლი… იმას არაფერი წამს ჩვენი, არც მიგვიღებს, არც ბინას მოგვცემს„.
„შენ სულელი ყოფილხარ, ჩოფურ!„
„ვა, რათა?„
„შენგან არასოდეს გამოვა ინჟინერი, – განვაგრძე მე – ისე კი ოქროულობის მაღაზიის საქმე არ გაკეთდება.„
„ვა, ინჟინრობა რა ეშმაკად მინდა„ – გულწრფელად გაიკვირვა ჩოფურამ.
„გინდა. პაპაშას ცოლთან მიხვალ და ბინაც გვექნება, გაიგე?„
ჩოფურამ თვალები დაჭყიტა, შემდეგ გულიანად გადაიხარხარა.
ყველაფერზე შევთანხმდით, მეორე დღეს ჩოფურა ქკთაისში წავიდა, სამივე დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდა.
შემიძლია ვიცხოვრო პაპშას სახლში. მის ცოლს ისე გაუხარდა ჩემი მისვლა, აღარც კი მიშვებდა. „ჩანს პაპაშამ სიტყვა შეასრულაო, ქურდობაზე აღარ ფიქრობსო„ და ათასი სხვა სისულელეც მითხრა, მეც დავუდასტურე: „ანგელოზია, სულ ჩვენს წრეში ტრიალებს მეთქი„ – იცინოდა კიტოვანი.
გეგმა შევადგინეთ, მე წყალტუბოში ჩავიდოდი. ივანისელი, კიტოვანი და ბალავაძე ქუთაისში უნდა შამხვედროდნენ. ჩოფურა ადგილზე მიმიყვანდა, საქმის წაღების დღეს კი მე დავნიშნავდი.
„ჩემთან შენს მეტი არავინ მოვიდეს, ზეგ ადგილზე ვიქნები, გასაგებია?„ – გავაფრთხილე ჩოფურა.
წყალტუბოში ორშაბათ დილით ჩავედი. იმავე დღეს ჩოფურასთან ერთად მაღაზიას ვეწვიე.
„რას იტყვი?„ – მკითხა ჩოფურამ, როდესაც მაღაზიიდან გამოვედით.
„შენი გეგმა მომწონს, მაღაზიაში ჭერიდან ჩავალთ, მაგრამ საქმეს კვირა დღემდე ვერ წავიღებთ„.

„რათა? კვირამდე მთელი ერთი კვირაა!„ – უკმაყოფილოდ მითხრა ბალავაძემ.
„შტერი ხარ–მეთქი, ჩოფურ, წერა–კითხვა იცი?„
„მერე რა რო ვიცი?„
„ჰო და ცოდნას გამოყენება უნდა. ვერ წაიკითხე? მაღაზია ორშაბათს ისვენებს, მთელი 24 საათით მეტი გვექნება ასათესად.
ჩოფურას არ უპასუხნია.
„ბიჭები ზეგ საღამოსათვის დაიბარე, მომზადებაა საჭირო, მე ისევ წყალტუბოში წავალ„ – ვუბძანე ჩოფურას.
„იცი რა, ივანისელმა მითხრა, შენ თურმე პოკერი გიყვარს, მართალია?„
„მერე რა?„
„ის რომ აქ ერთი კარგი კომპანია, მსხვილ ფოსტაზე თამაშობენ, თუ გინდა მიგიყვან.„
„ვინ არიან?„
„ერთი სტუდენტია, ორი კიდევ ინჟინერი„
„ისე როგორ შენ?„
„არა ნატური, მაგრამ მათთვის მეც ინჟინერი ვარ„
„საიდან გაიცანი?„
„აქ ერთი ვინმეა ასეთი რამეების ახოტნიკი, ორი წელიწადია ვიცნობ სანდო ხალხია.„
„კარგი„ – დავეთანხმე მე, – საღამოს 8 საათზე სასტუმროსთან შემხვდი.
დანიშნულ დროზე ჩამოვედი. ჩოფურა უკვე მელოდებოდა. ტაქსით წავედით, ახლაც არ ვიცი რომელ ქუჩაზე ვიყავით, ოთახი რესტორნის ოფიციანტს, ვიღაც კლავას ეკუთვნოდა.
მაგიდას ოთხნი შემოუსხდით: მე, ორი ინჟინერი, და ერთიც სტუდენტი, სახელად ანზორი. სტუდენტმა არ ვიცი რითი, მაგრამ ჩემი წარსული გამახსენა, რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ის მეოთხე, ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კი არა, მე ვიყავი, გოგიასთან და ჟორასთან მოთამაშე.
ჩვეულ ხერხს მივმართე. 5000 მანეთამდე წავაგე სტუდენტთან. გვიან დავიშალეთ, მეორე დღის შეკრების დროც დავთქვით მეორე დღეს ისევ წავაგე, კვლავ ანზორმა მოიგო, მეც ეს მინდოდა ნელ–ნელა ვამზადებდი ნიადაგს ჩიკვაიძის ჩასათრევად.
გავიდა კიდევ ერთი დღე.
„დროა„ – გადავწყვიტე.
თამაში დავიწყეთ. როგორც მოსალოდნელი იყო ორი დღის მოგებამ ჩიკვაიძე გაათამამა, გაბედულად თამაშობდა, რისკს ეწეოდა. დაახლოებით ღამის პირველ საათზე აზარტმა უმაღლეს წერტილს მიაღწია.
ბანკი მეჭირა. დინჯად ავრიე კარტი, რამდენჯერმე ჩავჭერი. სახეაწითლებულ ანზორს თვალებიც ანთებოდა, შესამჩნევლად უკანკალებდა ხელი.
კარტი ჩამოვარიგე.
„500 მანეთი!„ – დაიძახა იოსებმა.
ხუთას კიდევ ხუთასი მიუმატა დათამ.

ანზორს შევხედე უეცრად, გამხმარი თითებით ძლივს რომ ჩითავდა კარტს. ჩიკვამძემ კარტი გასინჯა, ძლივს დამალა სიხარული.
გულში გამეღიმა. ძველი ხელობა გამოვიყენე და ანზორს ოთხი კაროლი მივეცი, ახლა მისი მოგება მხოლოდ ოთხ ტუზს შეეძლო.
ინჟინრები სწრაფად გამოეთიშნენ თამაშს, ჩემი და ანზორის გაბედულმა გასვლებმა ხელი ააღებინეს ბრძოლაზე.
ანზორი კი სულ უმატებდა და უმატებდა. მე მე დინჯად მივყვებოდი, ჯიბიდან დასტა – დასტად ამომქონდა ფული და ანზორი დასახელებულ ციფრს ვუმატებდი.
დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ანზორის მთელი ფული ბანკში იდო.
„10000!„ – შეჰყვირა გაშმაგებით.
„ფულს ვერ ვხედავ!„ – შევნიშნე წყნარად.
„ითამაშე!„ – დამიბღვირა ანზორმა, – მე მოთამაშე ვარ და წაგებულზე პასუხს ვაგებ.„
„კეთილი!„ – გავიღიმე ცივად, შემდეგ კოსტიუმის ჯიბიდან ასიანების საკმაოდ სქელი დასტა ამოვიღე. სხვა ფულიც დავუმატე.
„ათი და კიდევ ათი„ – მივუგე დინჯად და 20000 მანეთი დაუდევრად ჩავყარე ბანკში.
ანზორი გაფითრდა, შემდეგ ერთბაშად მოაწვა სისხლი სახეზე, შეყოყმანდა, მაგრამ თითქმის 25000 მანეთს იყო გასული და უკანვეღარ დაიხია.
„მოდის!„ – ამოიხიხინა მან, – გახსენით კარტი!„
„თვითონ გაისარჯე!„ – მივუგე დაუდევრად, შემდეგ პაპიროსს მოვუკიდე და მოვქაჩე.
ჩიკვაიძემ ბოროტი მზერა მესროლა, ჩემს კარტს მისწვდა და
„უუჰ, შენი!„ – შეიგინა და გამეტებით შემოიკრა სახეში გაშლილი ხელი, იოსები და დათო ფეხზე წამოიჭრნენ.
„ოთხი ტუზი!„ – შეჰყვირეს ერთხმად.
მე დინჯად მოვხვეტე ფული.
„თქვენგან 20000 მანეთი მოდის, ყმაწვილო„ – შევნიშნე მაგიდაზე დამხობილ ჩიკვაიძეს.
თამაში აღარ გაგვიგრძელებია. დათა და იოსები წავიდნენ, ჩიკვაიძეს არც გაუგია მათი წასვლა. პოზაშეუცვლელად ისევ მაგიდაზე იყო დამხობილი და სიცოცხლის ნიშანწყალი მხრების ტოკვაზე ეტყობოდა მხოლოდ.
სიამოვნებით დავაკვირდი, 20 წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა.
„აწი უკვე ჩვენი ხარ! ეს ერთი და სხვა ათასი!„ – გავივლე გულში და ჩოფურას თვალი ჩავუკარ.
„დროა წავიდე, ნუღარ მაყოვნებ„ – მივმართე ანზორს.
მას თავი არ აუღია.
„არ გესმის? ფული – მეთქი, მივდივარ„ – ავუწიე ხმას და ჩიკვაიძეს ხელი წავავლე.

თავი ასწია, უსიცოცხლო, ჩამქრალი თვალებით შემომხედა. მის გამოხედვაში შიში, ვედრება, ზიზღი და უილაჯო ბოღმა ერთმანეთში არეულიყო.
„ფული აღარ მაქვს, ესე იგი ჯიბეზე არა მაქვს!„ – ამოილუღლუღა საცოდავად.
„რაო? სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრდა, ლაწირაკო! – ჩაისისინა ჩოფურამ და დანა ამოიღო, – მაკარონივით დაგაყრევინებ წელებს! შენი თავი მშიერ სტუდენტებში ხომ არ გგონია?„
ჩიკვაიძეს შიშმა დაუმახინჯა სახე.
„მოგცემთ, არ მომკლათ!„ – ჩაიხრიალა ყელში.
„აბა, მალე! – დაადგა თავზე ჩოფურა.
ანზორი მონუსხულივით შესცქეროდა ჩოფურას ხელში ცივად მოელვარე ბებუთს.
„მოიცა, ვახტანგ, – შევაჩერე კიტოვანი, – ეგ დანა შეინახე, საჭირო არ არის, სულელი როდია, გადაიხდის.„
ჩიკვაიძემ ვედრებით შემომხედა.
„არა გაქვს ფული?„ – ვკითხე წყნარად.
„არა მაქვს, – მიპასუხა მან ერთბაშად ჩახლეჩილი ხმით, – მაგრამ გადავიხდი.
„როგორ გადაიხდი, თუ არა გაქვს?„
„რას ალაპარაკებ, არა აქვს და აქვე დავკლავ წიწილასავით„ – კვლავ ჩაერია ჩოფურა.
„მოიცა–მეთქი! – შევუტიე კიტოვანს და ისევ ჩიკვაიძეს მივუბრუნდი: – როგორ გადაიხდი მეთქი, შენ გეუბნები!„
ჩიკვაიძე ერთხანს დუმდა, ეტყობოდა რაღაც აზრი ჰქონდა, მაგრამ თქმა ვერ გაებედა, ბოლოს ყოყმანი დასძლია.
„გადავიხდი თუ…„ – ისევ შეყოყმანდა ის.
„თუ რა? დაამთავრე!„
„თუ თანახმა იქნებით, რასაც გეტყვით„.
„თქვი, რა არის?„
„ბიძაჩემის სახლში 3%–იანი ობილიგაცია აქვს„…
„კარგი წავიდეთ, თანახმა ვარ ობილიგაციებზე„ – გავაწყვეტინე მე.
ჩიკვაიძემ საცოდავად შემომხედა.
„მე… მე… ვერ წამოვიღებ ობილიგაციებს„.
„აბა როგორ? – შევეკითხე განგებ გაკვირვებით.
მე უკვე მივხვდი რა გზით აპირებდა წაგებულის გადახდას ჩიკვაიძე, მაგრამ მინდოდა მასვე ეთქვა ყველაფერი, რომ ჩემს ხელში ყოფილიყო და მომავალში უსიტყვოდ დაგვმორჩილებოდა.
„თქვენ… თქვენ… უნდა წაიღოთ! სახლში ჩემს მეტი არავინაა, ფანჯარას ღიას დავტოვებ, ობილიგაციები საწოლ ოთახში ტანსაცმლის კარადაშია, სულ ზედა თაროზე„ – ამოიკვნესა ჩიკვაიძემ.
„კარგი, – დავთანხმდი მე, – წავიღებთ, მაგრამ გაფრთხილებ, თუ მოგვატყუე, წინასწარ შეადგინე ანდერძი.„
„სულელი ხომ არა ვარ„.

შევთანხმდით, ჩიკვაიძემ ტელეფონის ნომერი მოგვცა, დილით ჩოფურამ დაურეკა და ბინა დაათვალიერა.
საღამო ხანს სასტუმროსთან ველოდიკიტოვანს. ერთბაშად ჩემს გვერდზე, „პობედა„ გაჩერდა, იქიდან კიტოვანი, ბალავაძე და ივანისელი გადმოვიდნენ.
„ვისია მანქანა?„ – ვკითხე კიტოვანს გაკვირვებით.
„ერთი აქაური არიფის, – გაიცინა მან, – ჩემი ვალი ჰქონდა, ჟდღეს შემთხვევით შევხვდი, ფული ვერ დამიბრუნა და ვალში მანქანა მათხოვა.„
„რა სისულელეა!„ – გავჯავრდი მე.
„სულაც არა, – მიპასუხა კიტოვანმა, – თუმცა შტერს მეძახი, მაგრამ მეც ხანდახან მეც ოქრო აზრები მომდის, საქმეზე მანქანით წავალთ, ასე უფრო ავურევთ გზა–კვალს მილიციას„, – კვლავ გაიცინა კიტოვანმა.
„ვინ არის მანქანის პატრონი არ გაგვყიდოს!„ – გავაფრთხილე კიტოვანი.
„მაგის დარდი ნუ გაქვს, ხმასაც არ ამოიღებს, მიცნობს…„
…დანარჩენი თქვენც იცით. ფანჯარა დაპირებისამებრ ღია დაგვხვდა, ბინაში სამნი შევიდნენ, მე გარეთ ვიცდიდი. მერე ის იყო გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა, ჩიკვაიძის ბიძა და დეიდა შემთხვევით სწორედ საღამოს მატარებლით დაბრუნებულიყვნენ თბილისიდან, და ეძინათ. როცა ივანისელმა საათებიც აიღო, ტყეშელიაძეს გაეღვიძა, შედეგი თქვენთვის ცნობილია. დაჭრილი ივანისელი ძლივს მოიყვანეს მანქანამდე.
სახლში წივილ–კივილი ატყდა, ჩვენ სასწრაფოდ გავშორდით იქაურობას, სადაც ალბათ მალე გაჩნდებოდა მილიცია. ივანისელი მუცელში იყო დაჭრილი. სხვას მის ადგილზე უყოყმანოდ მოვუღებდი ბოლოს, და სადმე გადავაგდებდი, ივანისელი კი ვერ გავიმეტე, გადავწყვიტე მეშველა თუნდაც ეს ჩავარდნად დამჯდომოდა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მას ჩემს გულში დიდი ადგილი ეჭირა, მაგრამ სად წამეყვანა ივანისელი?
რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაში შევუხვიეთ, კიტოვანმა მანქანა შეაჩერა.
„რა ვქნათ? – იკითხა შემკრთალი ხმით, – ასე მაინც არ თოვდეს ოხერი, მოუსვამდით ქუთაისიდან.„
„რომ ყველანი გაგვთოკონ? სულელი ხარ და მეტი არაფერი„, – მივუგე მე და ივანისელი შევანჯღრიე.
„როგორ ხარ შეგიძლია სიარული?„
ივანისელმა მხოლოდ ამოიკვნესა.
„მოკვდება თუ დროზე არ ვუშველეთ?, – წარმოვთქვი მე.
ბალავაძემ პირქუშად შემომხედა.
უეცრად თავში ერთი აზრი მომივიდა.
„პაპშას„ სახლი შორს არის? – შევეკითხე კიტოვანს მოუთმენლად.
„პაპშას სახლი? მერე რათ გინდა?„
„კითხვებს თავი დაანებე!„ – შევუტიე პირქუშად.
„არა ახლოა!„
„სხვა ცხოვრობს ვინმე იმ სახლში?„
„არა!„

„მანქანა მივა ასეთ თოვლში?„
„იქ გინდა მიიყვანო? – შიშნაკრავად მკითხა ჩოფურამ.
„მიდის თუ არა მანქანა, მიპასუხე!„
„მიდის!„
„მაშ გასწი!„
„ვა, ყველანი ჩავვარდებით!„
„გასწი–მეთქი! დევიძეს იმას უამბობ, რასაც მე გეტყვი, სხვა გამოსავალი არა გვაქვს„
კიტოვანმა ერთი შემომხედა, მაგრამ წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მოტორი ჩართო… ხუთიოდე წუთის შემდეგ რომელიღაც სახლთან გავჩერდით.
„აქ იყავ!„ – მივუგე ბალავაძეს და სასწრაფოდ გავაღე მანქანის კარი.
…მუცელში დაჭრილი, გონდაკარგული ივანისელი, დიდი გაჭირვებით ავიყვანეთ მე და კიტოვანმა.
დევიძემ დაიჯერა კიტოვანის ნაამბობი. ჩემმა გლეხურმა ჩაბალახმა და ჭაღარა წვერმაც კეთილსასურველი გავლენა მოახდინა მასზე. მერე ის იყო ქირურგი გრძელიძე მოვიტაცეთ. კვალის დასაკარგავად, თვალახვეული, თითქმის ნახევარი საათი ვატარეთ ქალაქში და ბოლოს დევიძის ბინაში მივიყვანეთ. რისკმა გაგვიმართლა, ივანისელს ჩემი სისხლი მივეცი, თუმცა ექიმი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, მაგრამ ვაიძულე. მე პირველი ჯგუფის სისხლი მქონდა და ვიცოდი არაფერს ავნებდა დაჭრილს.
გრძელიძე სადღაც მიყრუებულ მოსახვევში ჩამოვსვით, გავნთავისუფლდი თუ არა მისგან, ჭაღარა თმა და წვერი მოვიგლიჯე, ჩაბალახში შევახვიე და რიონში გადავყარე.
„პობედა„ ახლავე პატრონს წაუყვანე, ალბათ ეძებენ უკვე, არსად წამოგცდეს თუ შენ გყავდა წაყვანილი, ბალავაძე ოთახიდან არ გამოუშვა, შენ კი…„ – გავაფრთხილე კიტოვანი.
„მე რა?„
„შენი გამოსვლაც საშიშია, მაგრამ ჩემთან კავშირიც რომ საჭიროა?„
კიტოვანი წამით ჩაფიქრდა.
„არის აქ ერთი ბარიგა, იმას გამოუშვებ„.
ყოყმანი დავიწყე.
„სრულიად საიმედოა, მოვა ყველაფერს გადაანაღდებს„
„ვინ არის?„
„ვაჭარია ერთი, დიდი ხანია ნაქურდალს ასოხარებს„.
„კარგი, ხვალ 12 საათზე წყალტუბოში ჩამოიყვანე, სარისკოა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, თავიდან უნდა მოვიშოროთ ყველაფერი. ახლა კი გააჩერე ჩამოვალ.„
მეც წყალში ჩავჯექი და რამდენიმე წუთში წყალტუბოში ვიყავი უკვე.
მეორე დღეს დანიშნულ დროზე კიტოვანი ჩამოვიდა, თან ხოტოველი ჩამოიყვანა. მოვრიგდით.
კიტოვანმა საათები და ობილიგაციები გადასცა. შემდეგ ხოტოველი სასტუმროში მივიყვანე ტანიასთა, გავაცანი.

„ამ კაცს ჩემი ფული მართებს, – ვუთხარი ტანიას, – მე შემძლება ორი დღით თბილისში მომიხდეს წასვლა, თუ ფული მოიტანოს დაიტოვე.
თითქოს ყველაფერი მოგვარდა. მე ივანისელის გამოკეთებას ვუცდიდი, რათა სასწრაფოდ დაგვეტოვებინა ქუთაისი და საერთოდ საქართველო. ესეც არ იყოს, ვიცოდი უკვე გვეძებდნენ და დაუყონებლივ გასვლას ასე პატარა ქალაქიდან, შეიძლება ჩავარდნაც მოჰყოლოდა. შემდეგ ის იყო წყალტუბოს რესტორანში თქვენს მიერ დაგებულ მახეში გავები და ქუთაისში წაყვანისთანავე მივხვდი, რომ ხულიგნობა და უცნობისაგან ტანიას შეურაცხყოფა, განგებ–ჩემს უხიფათოდ შესაპყრობად იყო ინსცენირებული. მე დარწმუნებული ვიყავი გამოძიება ასე სწრაფად ვერ ჩაგვიდგებოდა კვალში და სწორედ ამიტომ იარაღი თავიდან მოვიშორე, დევიძის ბინაზე დავტოვე, როგორც ჩანს ვერ შევაფასე თქვენი უნარი, ჩემი შეცდომა არც არის გასაკვირი, 20 წლის მანძილზე მგელივით დავძრწოდი და თუმცა დამდევდნენ, თავისუფლად ვუსხლტებოდი დიდი ქალაქების სამძებრო მილიციას. ქუთაისი კი… ეს პროვინციული ქალაქი ჩემი აზრით,ნაკლებად შესძლებდა ჩემი კვალის აღმოჩენას, აქაც შევცდი და ნაცვლად იმისა სადმე დიდი ქალაქის მუშაკებს ავეყვანე თქვენ ჩაგივარდით ხელში, ესეც ბედის დაცინვაა, ალბათ რა გაეწყობა… ასე იყოს!
ჩარგიევმა წამით შეისვენა, ლაპარაკმა და წარსულის გახსენებამ დაღლის ნაცვლად თითქოს ღონე შეჰმატა დაჭრილს. თვალებდახუჭული, შედარებით წყნარად სუნთქავდა, ლოყებიც კი შეფაკლოდა ოდნავ.
მინდელი გარინდებით უსმენდა დაჭრილს, ამ გრძელმა მოთხრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. გამომძიებელს შეებრალა კიდეც ჩარგიევი, შეებრალა ქურდობის გზაზე უნებლიეთ შემდგარი ადამიანი, ნიჭიერი და კარგი მომავლის მქონე თამაზი, შემდეგში საშიში ქურდი და არა ერთი ავკაცობის ჩამდენი „ჩერქეზი„, რომელიც ახლა, მძიმდ დაჭრილი, იქნებ სასიკვდილო სარეცელზე იწვა და თავის ავკაცობას, თავის უნებისყოფობასთან ერთად, ადამიანებს, მათ შეცდომებს აბრალებდა.
„რთული, ძალზე რთულია ცხოვრება. არის შეცდომები, რომელთა შხამიან ნაყოფს ათეული წლების შემდეგაც სისხლისა და სიცოცხლის ფასად იმკიან, – გაიფიქრა გამომძიებელმა, შემდეგ ციალა გაახსენდა. – რა უცნაურია ხანდახან ადამიანთა ბედი, ჩარგიევმა ოცი წელი იმიტომ იავკაცა, რომ ბოლოს მძიმედ, იქნებ სასიკვდილოდაც, დაჭრილი ციალას შეხვედროდა ქუთაისში! ციალამ არ იცის ჩარგიევის ნამდვილი გვარი. ვერც იცნო მისი ყმაწვილობის მეგობარი, მაგრამ იგრძნო, გულით იგრძნო, რომ ეს კაცი, საშიში ბოროტმოქმედი, ოდესღაც მისი ახლობელი იყო. უმანკო და შეუბღალავია ახალგაზრდის გული და გრძნობა. უეჭველია, ციალასთან შეხვედრამ გაუღვიძა ჩარგიევს დიდი ხნის წინათ ჩაკლული გრძნობები და აფთარი ადამიანად აქცია, შენანა დაღუპული ყმაწვილკაცობა, სხვა თვალით დაინახა ცხოვრება„.
„ჩარგიევი არ არის დაღუპული ადამიანი, – განაგრძობდა ფიქრს მინდელი, – ის სასჯელს მიიღებს, სასამართლო ვერ იქნება მისადმი განუკითხავი, გაითვალისწინებს ყოველივეს, ხოლო სასჯელმოხდილი ჩარგიევი შესძლებს

დაუბრუნდეს საზოგადოებას, ადამიანურ ცხოვრებას ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა ჩარგიემა იცოცხლოს! იცოცხლებს კიდევაც, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მის გადასარჩენად.!„ – დაასკვნა გამომძიებელმა და თბილად შეხედა პატიმარს, რომლის დანაშაულის დასამტკიცებლადაც ამდენი შრომა გასწია. ჩარგიევმა თვალი გაახილა, ისევ წყალი ითხოვა სუსტი ხმით. მინდელმა ჭიქა მიაწოდა, გაუღიმა. დაჭრილმა გამომძიებლის ღიმილი დაიჭირა, ხარბად შესვა წყალი და დაღლილი ხმით განაგრძო:
– მე დავამთავრე ჩემი აღსარება, ბატონო ლევან, თქვენ ალბათ მიხვდით რამ მოახდინა ჩემში ასეთი გარდატეხა… ციალა… რომ შემძლებოდა ჩემი თავის დაძლევა და რამდენიმე წლის წინათ ციალასთან შეხვედრისას ხელი ამეღო ჩემს პროფესიაზე, იქნებ მეც მრგებოდა დამსხვრეული სიხარულის პატარა ნატეხი. არა, ციალას სიყვარულზე როდი ვამბობ–შეუძლებელზე როდი ვოცნებობ. სადმე ვიმუშავებდი, ციალასთან როგორც ღვიძლ დასთან ვიმეგობრებდი, ის ხელს არმკრავდა, გამიგებდა, დამეხმარებოდა, ისევ შემეყვარებინა ადამიანები, ახლა კი… ახლა, მე საამქვეყნო აღარა ვარ და არ მინდა საფლავში წავიღო ჩემი დაღუპვის საიდუმლო, ვინ იცის, იქნებ გამოგადგეთ, განსაკუთრებით თქვენ, რომლებიც ადამიანების ბედს წყვეტთ, უდანაშაულოს დასჯას ხომ ხშირად უფრო მეტი ბოროტება მოაქვს, ვიდრე სიკვდილს, ჩემთვის კი ყველაფერი დამთავრებულია. საფლავიდან გელაპარაკებით და ადამიანთა სამართალს ჩემზე ძალაც აღარ აქვს უკვე.
მინდელი აღელდა.
– თქვენ არ მოკვდებით, თამაზ, იცოცხლებთ! და მე მწამს და მიხარია რომ შესძლებთ მალე დაუბრუნდეთ საზოგადოებას!
ჩარგიევმა მწარედ გაიღიმა.
– გვიანღაა, ყველა ხიდი დამწვარია…
– თქვენი სინანული? – შეედავა ცხარედ გამომძიებელი, – ახლა სხვა დროა, სასამართლო ყველაფერს გაითვალისწინებს, მხედველობაში მიიღებს და სასჯელმოხდილი, გაწმენდილი დაუბრუნდებით ადამიანებს.
დაჭრილის სახეზე ერთი წუთით სიხარულმაგაიელვა, ჩარგიევიდაჟინებით მიაჩერდა გამომძიებელს და დიდრონი ჩაცვივნული თვალები ცრემლებით აევსო. შემდეგ გაფიცხებული ტუჩები გაილოკა და წყნარად ამოილაპარაკა:
– მე მთავარი არ მითქვამს, ბატონო ლევან…
– მე არც გეკითხებით, არც საჩქაროა, ხვალ, ზეგ მიამბობთ, – უპასუხა გამომძიებელმა გულისხმიერად.
– ჩემთვის ხვალინდელი დღე არ გათენდება… – ჩარგიევმა ფანჯარას შეხედა, – თენდება… – განაგრძო სუსტი ხმით, – ადამიანები ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგებიან… გავა ზამთარი, გაზაფხულზე ლურჯი იები აყვავდება, ხეები მწვანედ მოირთვება, ვარდებიც გაიფურჩქნება, თავიანთი სიტურფით ადამიანებს სიხარულს მოუტანენ, სურნელებას აზიარებენ, მე კი, მე… საფლავში ვიქნები და ჩემი სიკვდილიც არავის დაწყვეტს გულს… არავის დაენანება, ერთ იასაც არავინ

მოიტანს ჩემს სამარეზე და ეს საფლავიც ისე დაიკარგება, ვით ცოცხალი დავიკარგე ამ ქვეყანაში…
ჩარგიევს ხმა შეუწყდა და უღონოდ გადაესვენა ბალიშზე. მინდელი შიშნაკრავად დააცქერდა დაჭრილის წმინდა, სანთელივით გაფითრებულ სახეს, შემდეგ შეშფოთებული წამოხტა სკამიდან, ექიმს გასძახა.
შეშინებული ციალა პალატაში შემოვარდა, ჩარგიევს მკლავი გაუშიშვლა, ქაფური შეუშხაპუნა.
– ჩქარა დეგელინი! – შესძახა თან შემოყოლილ ექთანს და აკანკალებული ხელით ავადმყოფის მაჯას წაეტანა.
ჩარგიევს კიდევ ორჯერ შეუშხაპუნეს წამალი, მინდელი მდუმარედ შესცქეროდა ციალას, მისმა შეშფოთებულმა სახემ დაარწმუნა გამომძიებელი, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო, ჩარგიევის საწოლს მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა სიკვდილის მსახვრალი ხელი.
კარები წყნარად გაიღო. პალატაში ფეხაკრეფით შემოვიდა ბალანჩივაძე და ნელა მიუახლოვდა მდუმარედ გულხელდაკრეფილ მინდელს.
– გარდაიცვალა? – იკითხა შეშფოთებით.
მინდელმა უარის ნიშნად თავი გააქნია.
ციალას არ გაუგია პალატაში მამათილის შემოსვლა. ის დაჭრილს დასტრიალებდა თავზე და ექთანთან ერთად ცდილობდა სიცოცხლე დაებრუნებია გულწასულისათვის.
ფანჯარაში განთიადი იხედებოდა, ზამთრის ღამე ისე მძიმედ იცრიცებოდა, თითქოს ცდილობდა პალატიდან გასულს აუცილებლად წარეტანა თამაზის სიცოცხლე.
ასე გავიდა მტანჯველი ხუთიოდე წუთი, ჩარგიევმა რამდენჯერმე ამოიკვნესა და მძიმედ, ნელ–ნელა გაახილა თვალი.
– მადლობა ღმერთს! – თავისუფლად ამოისუნთქა ბარათელმა. და მხოლოდ ახლა შეამჩნია პალატაში მყოფი პოლკოვნიკი.
– ავადმყოფის დაკითხვა არ შეიძლება, გთხოვთ პალატიდან გახვიდეთ! – ჩუმი, მაგრამ მტკიცე ხმით მოითხოვა მან და ისევ დაჭრილს მიუბრუნდა.
ჩარგიევს ოდნავ, სულ ოდნავ შეუფაკლდა გაფითრებული სახე ახალგაზრდა სიცოცხლე კიდევ ერთხელ მტკიცედ შეებრძოლა სიკვდილს , უკან დაახევინა… თვალები ფართოდ გაახილა, ღიმილმა გაუპო ბაგე და დაჟინებით მიაჩერდა ციალას.
– ისევ თქვენ… ექიმო გმადლობთ! – ჩაიჩურჩულა მან.
– ლაპარაკი არ შეიძლება, გავნებთ! – მიუგო ციალამ.
– ვიცი ექიმო, მაგრამ ეს სიკვდილს ვერ შეაჩერებს.
– გამომძიებელი წავიდა, მე დავითხოვე.
– დააბრუნეთ ექიმო! – შეევედრა დაჭრილი.
– ნუ ლაპარაკობთ, მათე, თქვენთვის მომაკვდინებელია ოდნავი მღელვარებაც კი.
– არა ექიმო, გევედრებით, გთხოვთ, შხამად ნუ გამატანთ, დააბრუნეთ, ახლავე დააბრუნეთ გამომძიებელი. დაჟინებით მოითხოვა ჩარგიევმა.

ბარათელი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, ნაღვლიანად დააცქერდა ავადმყოფს და შეყოყმანდა.
– გთხოვთ, ექიმო, დააბრუნეთ! თქვენ კი… თქვენ წადით. რამდენიმე წუთი კიდევ დამტოვეთ, – ნაღვლიანად, მაგრამ მტკიცედ ითხოვა ავადმყოფმა.
ციალამ ვეღარ გაუძლო მომაკვდავის დაჟინებით თხოვნას და საწოლს მოშორდა.
მინდელი ნელ–ნელა მიუახლოვდა ჩარგიევს.
– სხვა დროისთვის გადავდოთ საუბარი, მათე, – რბილად მიმართა გამომძიებელმა.
– ასე აჯობებს, ახლა თქვენ სუსტად ხართ, – დაუმატა ბალანჩივაძემ.
– არა… ექიმმა დამიბრუნა ღონე… ან უფრო სწორედ იმიტომაც მოვბრუნდი, რომ სათქმელი დავამთავრო… თქვენ ხომ არ იცით მე ვინა ვარ, არ მინდა ჩემი აღსარების შემდეგ სხვისი გვარით ჩავწვე საფლავში, – უპასუხა ნაწყვეტ–ნაწყვეტად ჩარგიევმა.
მინდელმა მხრები აიჩეჩა, ვეღარ შეედავა.
ჩარგიევმა წამით იყუჩა. დაღლილი თვალები ჭერს მიაპყრო.
– მე აღარავინ მყავს ამქვეყნად… – ჩუმად დაიწყო მან, – არავინ დაიტირებს ჩემს სიკვდილს… მაგრამ არ მინდა იმათ მთვლიდნენ, ვინც არა ვარ… თბილისში და იქნებ სხვაგანაც. ახლაც… ახსოვთ ალბათ ცნობილი პროფესორი რევაზ გელოვანი… და მისი მეუღლე მარინე… განთქმული ინჟინერი… მე მათი ვაჟი ვარ… თამაზ გელოვანი…
– გელოვანი?! – ფეხზე წამოიჭრა პოლკოვნიკი.
– გელოვანი! თამაზ გელოვანი! – იკივლა უეცრად ციალამ, რომლის ოთახში ყოფნა აქამდე არავის შეუმჩნევია და ანგარიშმიუცემლად მივარდა საწოლთან.
– თამაზ, თამაზ, ჩემო ბავშვობის მეგობარო – გულდამდუღრულმა იყვირა ბარათელმა და საწოლზე დაემხო.
მინდელი შეძრწუნდა, ელდენივით დაჰკრა ჟრუანტელმა და გაშეშებულ პოლკოვნიკს უანგარიშოდ წაავლო მკლავში ხელი.
ციალას წუთით დაავიწყდა გარემო, მინდელი, ბალანჩივაძე, თავისი თავი… საწოლზე დამხობილი ხმიანად ტიროდა და მდუღარე ცრემლებით ალბობდა მომაკვდავის მკერდს.
ჩარგიევის სახე ძლიერმა სიხარულმა გააშუქა, გაფითრებული ღაწვები ერთბაშად აენთო, თვალებში ელვარება ჩაუდგა.
– თქვენ… თქვენ, აქ იყავით… მოისმინეთ? მე ეს არ მინდოდა იმიტომ, რომ მსურდა მხოლოდ ჩარგიევი მომკვდარიყო, თამაზს კი ეცოცხლა, თუმცა ვინ იცის, იქნებ ასე ჯობს. გმადლობთ, ციალა, სიკვდილს არ ვნანობ, რაკი შენი წმინდა ცრემლი მიმყვება საფლავში… იყავ ბედნიერი!… ნუ ტირი, გაზაფხული მოვა, იები აყვავდება… შენი საყვარელი ლურჯი იები… გახსოვს! ეხ, ნეტავ მაშინ… მე… – ჩარგიევს უეცრად ხმა ჩაუწყდა და ბალიშიდან მოწყვეტით გადაუვარდა ხუჭუჭა თავი.
ღიმილი დააკვდა გაფითრებულ ბაგეზე.

მინდელი გონს მოვიდა, ფრთხილად დაუხუჭა ცხედარს ღიად დარჩენილი თვალები, ზეწარი დააფარა სიკვდილდაუფლებულ სახეზე. შემდეგ მორიდებით წამოაყენა მოქვითინე ციალა და აცრემლებულ ექთანთან ერთად თითქმის ძალით გაიყვანა პალატიდან.
ბალანჩივაძე ნელა დაეშვა სკამზე, ხელის ფათურით მოსძებნა პაპიროსი, მოუკიდა, მოქაჩა და ღრმად ამოიოხრა:
– იცი ლევან? – ჩაილაპარაკა ნაღვლიანად, – მე ვიცნობდი რევაზ გელოვანს, მე ვიძიებდი მათ საქმეს, რომელიც უნდა ითქვას, ძალზე გახმაურებული და დაუჯერებელი იყო. თუმცა საქმის წარმოებაზე უარი არ მითქვამს, მეშინოდა სუბიექტური განცდების ქვეშ არ მოვქცეულიყავ, სადღაც ქვეშეცნეურად ვგრძნობდი, რომ გელოვანები ბოროტების მსხვერპლი იყვნენ. ამიტომ წინააღმდეგი ვიყავი მათი დაპატიმრების. გულმოდგინედ შევუდექი გამოძიებას, სიმართლის დადგენას. მახსოვს თამაზიც იგი არა ერთხელ იყო ჩემთან. ვაიმედებდით, საფუძველიც მქონდა, ხოლო როდესაც ღრმად შევიჭერი საქმეში და მთელი რიგი მხილებანი საეჭვოდ მივიჩნიე, თანამდებობიდან ჩამომაქვეითეს. ამას ისიც დაერთო, რომ ჩემზე უსახელო საჩივრებით გაივსო ზემდგომი ორგანოები. ჩემი მაშინდელი უშუალო უფროსი, ბუნებით მხდალი და თანამდებობაზე შეყვარებული ადამიანი, ისე დაფრთხა, ყოველი ღონისძიებით ცდილობდა პასუხისგებაში მივეცი გელოვანების საქმისადმი მიკერძოების ბრალდებით. შეიძლება მიაღწევდა კიდეც მიზანს ცენტრალური კომიტეტი რომ არ ჩარეულიყო ამ საქმეში. გელოვანებს, ალბათ გითხრათ რა ბედიც ეწია… ახლა კი, ახლა ვეღარ ვიცანი, – დაამთავრა ბალანჩივაძემ და ცხედარზე ანიშნა.
– ვერც მან გიცნოთ, დავით ილიჩ, თუმცა ძალზე თბილად მოიგონა მისთვის უცნობი შავკოსტუმიანი ჩეკისტი და რევაზ გელოვანის პირველი გამომძიებელი, – წყნარად უპასუხა მინდელმა და დაუმატა: – მან ხომ მიამბო, დაწვრილებით მიამბო თავისი წარსული და ყოველივე რაც მოხდა.
ბალანჩივაძე მძიმედ წამოდგა, მეორე პაპიროსს მოუკიდა.
– აი რა მძიმე შედეგი მოსდევს ჩვენს შეცდომას, ერთი შეხედვით დანაშაულის მამტკიცებელი ფაქტების უკრიტიკოდ მიღებას; შიშს გამოძიების შედეგით დაინტერესებულ ანონიმიურ ავტორთა წინაშე, ვინ არის ახლა იგი? – დამნაშავე! დიდი დამნაშავე, რომელმაც არა ერთი ავკაცობა ჩაიდინა და ისე შეიძულა ადამიანები, რომ მხოლოდ ბოროტებაღა ანიჭებდა სიხარულს. შეხედეთ მას ლევან, კარგად შეხედეთ, კარგი მომავლის ადამიანი იყო. ბოროტი კარიერისტის დაბეზღებით, დანაშაულის მტკიცებათა მოხერხებული ფალსიფიკაციით და მართმსაჯულების შეცდომის გამო, მძვინვარე ქურდად იქცა, და ბევრი ისეთი ავკაცობა ჩაიდინა, რომ იქნებ სიკვდილითაც კი ვერ დაიმსახურა პატიება; შეხედეთ და არასოდეს არ დაგავიწყდეთ რამ დააყენა ასეთ გზაზე, გესმით ლევან?.

დასასრული.